ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი



9-10

1999

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

წელიწადი 75-ე № 9-10 1999 წელი

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო

## შინაარსი

### პოეზია, პროზა, დრამატურგია

ირაკლი აბაშიძე — ხმა კატამონთან. ლექსი 3
ლია სტურუა — რძეში ჩავარდნილი ქვა. შეგრძნებების რომანი 5
დადუნ თურქაძე — ლექსები 34
მედეა კახიძე — ორი მოთხრობა 36
თამარ დაუშვილი — ლექსები 46
კლავდია დევდარიანი — ჯვარი ვაზისა. მოთხრობა 48
ამირან მიქაუტაძე — ლექსები 58
ლევან მილორავა — სიკვტილია. მოთხრობა 60
ჯეიმზ ჯოისი — ულისე. მე-17 ეპიზოდი. თარგმანი და კომენტარი ნიკო ყიასაშვილისა. გაგრძელება 66

### ირაკლი აბაშიძე — 90

ანდრო ბუაჩიძე — თეთრი აჩრდილის მძებნელი 82

### კრიტიკა, პუბლიცისტიკა

მანანა კაკაბაძე — დამაარსებელი 85
შოთა თეთვაძე — "ივერია" და საქართველოს მოსახლეობა 95
ალექსანდრე სიგუა — ნაპოვნი ფურცლები 101
ნატო ჭანტურია — აკაკი წერეთლის პირადი წერილების პარიზული ციკლი 103

### პოლემიკა

გიული ალასანია, თამაზ ბერაძე — 1995 წლის საუკეთესო შოტლანდიური წიგნი საქართველოსა და ქართველებზე 108

### ხელოვნება

ნათელა ურუშაძე — ფიქრთა ბინადარი სიტყვა 114
თეა შაიშმელაშვილი — არტურ ადამოვი — "ახალი თეატრის" მიმდევარი 119

### თვალსაზრისი

ელენე ქურდაძე — ბილიკები და საფეხურები 121

(იხ. მე-2 გვ.)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

## მეცნიერება

გვანცა სულაბერიძე — მუსიკალური ჟანრები ქართულ ისტორიულ წყაროებში 129
ჯონდო გვასალია — წმინდა ნინოს ნაკვალევზე 134

## ფაქტები, მოგონებები

ლეო გაბუნია — ორი პორტრეტი 136

## რეცენზია

ანდრო ბუაჩიძე — წიგნი ქართული მწერლობისა და ისტორიის საკითხებზე 149
დავით მუსხელიშვილი — ძველი ჰერეთის მატიანე 151
ლევან ფრუიძე — სიმართლე აფხაზეთზე 152

## გამოსათხოვარი

ხსოვნას პატივისცემით შეინახავენ 159

---

მთავარი რედაქტორი
**თამაზ ჭილაძე**

სარედაქციო საბჭო:
**მარიამ აგიაშვილი**
**ანდრო ბუაჩიძე**
**აკაკი მინდიაშვილი**
**მანანა მიქელაძე**
**მზია შატბერაშვილი**
**ვაჟა ჩორდელი** (პ\მგ. მდივანი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი აბაშიძე

## ხმა კატამონთან

"- ო, ენავ ჩემო,
დედაო ენავ,
შენ, ჩვენო ნიჭო,
სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
შენ ერთი შემრჩი სამარის პირთან.

ნათესავს ათასს,
მეგობარს ათასს,
მრუდსა და მართალს,
მტერთა და ძმათა
დავშორდი,
მორჩა,
ყველა მოთავდა;
მშვიდობა ვუთხარ ყველა მოკვდავთა,
მხოლოდ შენ უკვდავს,
მხოლოდ შენ მარადს,
შენ - ერთს,
შენ ვერ გთმობ
სამარის კარად.

თუ რამ მზე მწამდა,
თუ რამ მზე მწვავდა,
უტკბილეს დღეთა,
უტკბილეს წამთა,
უტკბესი შენ ხარ, ენავ დედაო,
შენ, მწარე ლხინო,
ტკბილო სევდაო,
შენ, ყოვლის მთქმელო,
ყოვლის არმთქმელო,
შენ, გმირთა გმირო,
ბრძენო ქართველო,
წარსულის ძეგლო, წინ გამხედავო.

ქვესკნელში მძრომო,
ცაში მჭვრეტელო,
ხან - ფუნჯო ჩემო, ხან - საჭრეთელო,
შენ, აკვნის ჰიმნო,
ცრემლო სამარის...
იბერის ენავ,
ენავ თამარის...
შენ, ნიჭო ჩემო,
სრბოლავ და ფრენავ,
დედაო, ენავ, დედაო ენავ!

დაეცეს, იქნებ, სიმაგრე ყველა,
მოისრას, იქნებ, ყველა ყმა ველად,
დაედოს მტვერი ყველა დიდ ხსოვნას,
დააკვდეს აზრი ნაპოვნის პოვნას,
ყოველ ნერგს, იქნებ, დაატყდეს მეხი,
ყოველ ძეგლს, იქნებ, დაედგას ფეხი,
მხოლოდ შენ, უჭკნობს,
შენ, ხატად ქცეულს,
რა დრო, რა დასცემს
შენს უკვდავ სხეულს?

ო, ენავ ჩემო,
დედაო ენავ,
შენ, ჩემო ნიჭო,
სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
შენ ერთს,
შენ ვერ გთმობ
სამარის პირთან".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოეზია, პროზა, დრამატურგია

ლია სტურუა

## რძეში ჩავარდნილი ქვა

შეგრძნებების რომანი

I

ძალიან მკვრივი უკუნეთი დგას გარშემო, ისეთი, როცა ბნელ ოთახში შავი კატა უნდა იპოვო, რომელიც იქ არ არის. ჩემი მგრძნობიარე მე გულუბრყვილოდ დუმს, ხოლო გონიერი არა - მე არა- კატასთან ერთად მოდის მბჟუტავ ოთახში ჩაის დასალევად.

ოთახი ყოფის სწორი ხაზიდან განუზომლად მაღლაა, როგორც მთა ზღვის დონიდან - მრავალსართულიანი სახლის ბოლოში. მიხვალ, ჩაის სმის რიტუალს შეასრულებ, გათბები და, რაც მთავარია, კიდევ ერთ ღამეს გადააგორებ.

ძილი ხომ შვება უნდა იყოს. ჩათვლემილი ქალის მუხლებიდან გადმოვარდნილი ძაფის გორგალივით მყუდრო და მრგვალი, მაგრამ შენი ნერვიული თითების მიერ ისე აბურდული, რომ თავს და ბოლოს ვეღარ იპოვი.

ამ შეუძლებლობას თუ ნაეპოტინები, დილამდე აღარ მოგიწევს დაწოლა და სრულიად ლოგიკური მიზეზიც გექნება: გვიან დალეული ჩაის ტანინი თუ სტიმულინი კატების შავ წერტილებს ოთახის კუთხეებისკენ მიერეკება - კონფუციუსის მიერ შემოთავაზებული შელავათი ეროვნულ უკუნეთში.

წამლის ორი აბიც იზოგება. ტაზეპამფენაზეპამ-დიაზეპამის კილოგრამები დაილექა ჩემს შიგნით, როგორც მოურეველი შაქარი, ვერცხლის კოვზს ვეძებ, რომ ფსკერზე ჩავუშვა და წნევა გავათანაბრო: ქვედა კიდურებში - სიმძიმის ცენტრი, ხელებში - ფრენის სავარაუდო სიმსუბუქე, თორემ პირიქითაა: თავით მიწაში ვარ ჩასობილი, ფეხები ჰაერში ფართხალებენ, ამიტომ ზაფხულს წითელი ფერი რომ გაერევა, მკვლელობაზე ვფიქრობ, ზამთარში - თვითმკვლელობაზე. ვერასოდეს ვერ ვეწერებოდი ზამთრის პეიზაჟში, უცხო ვიყავი ანემიური მზესავით. ახლა ზაფხულის ღამეა და რახან წამალი არ დამილევია, თავით ბალიშს ვნაყავ, საათის წიკწიკი ისე მძაფრდება, თითქოს ყურებში წყალი წვეთავს, ან რაღაც, უფრო მძიმე, იქნებ, სინდიყი? ვერცხლის მძივები ერთი ძაფი, მეორე, მესამე...

საათი ასე მუშტივით მირტყამს, როცა ნერვები ახალ წათლილ ფანქრებს ემსგავსებიან, სხვა დროს ამაზე არ ვფიქრობ, რადგან ეს ფიქრი ჩემი არ არის, სხვისია: ბერგმანის საათები, სალვადორ დალის დაღვრილი, დამსხვრეული დრო...

შეიძლება, სახლში, საკუთარ ლოგინში მანქანამ გადაგიაროს? ეს არის ყველაზე რეალური საფრთხე ჩემს უძილო ღამეში. ამ დროს, მხოლოდ, ახალგაზრდები დაქრიან ქუჩაში, ნასვამები, ნარკოტიკისგან ამჩატებულები. თუ ერთი წუთით თვალი წამართვა თვლემამ და წარმოვიდგინე, რომ ყაყაჩოებიან მინდორში აღმოვჩნდი (გვირილებიანი მიწა ადრე მესიზმრებოდა, მაზოხიზმამდე), 140 კმ-ის სიჩქარით მიმავალი მანქანა სრისავს ყაყაჩოებს და სისხლიანი მუხრუჭები ადამიანივით კივიან. ამის მერე ძილი ისპობა.

ვინმეს მინდა დაველაპარაკო, მაგრამ ლაპარაკი ვერტიკალური სტიქიაა და ადგომა მეზარება

იქნებ, დედას შევჩივლო. ის ჩემს მონაყოლს წუწუნს და ქვეცნობიერში ქექვის ფუფუნებას არ დაარქმევს. შეიძლება ვერცხლის კოვზიც მაპოვნინოს, მიმანიშნოს სად შეინახა, რომელი უჯრის რომელ კუთხეში.

ბალიშზე უაზრო ტრიალისაგან ყელი გამეწელა, თეთრი ფერი გაიზარდა და გათენებისკენ წაიყვანა ღამე.

უნდა ავდგე, პირი დავიბანო, ჩაი დავლიო. ყველაზე ძნელი ჩაცმა და სარკესთან მისვლაა. სიგარეტს ვუკიდებ და ვიგრძელებ ტახტზე ჯდომის დროს. ისე ვარ ამ ტახტზე მიჭედილი, რომ როცა ავდგები და სადმე გავდივარ, აქაც ვრჩები, შეიძლება ტელეფონის ყურმილი ვერ ავილო, მაგრამ ზარს აუცილებლად გავიგონებ.

ჩემი მეგობრები, თითქმის აღარ გადიან ქუჩაში. ურჩევნიათ ტელეფონის ზარს რეალურად უპასუხონ. არც არავის ელოდები-

ლია სტურუ
ბიბლიოთეკა

ან განსაკუთრებით, მაგრამ ხომ შეიძლება, ვილაცას გაახსენდეთ, დაურეკოს, სამსახური შესთავაზოს... ფილოლოგია დასკდა და დაიბზარა უპატრონო სახლივით, მის ნანგრევებში, შეიძლება, შემთხვევითი გამვლელიც მოყვეს, მათ კი უფრო ეხერხებათ სიტყვების შენებება, ვიდრე სურსათის ნაფშხვენებისაგან კერძის შეკოწიწება.

ტყუილად ვეხვეწები: - ჭადრები ისე უხვად გაიფოთლა, რომ რუსთაველზე სიცარიელეები და ნანგრევები აღარ ჩანს. აყვავებული ნუშის ხეები ზარივით წკრიალებენ. დედაჩემის ლანდიც კი გამოჩნდა ბარნოვის ქუჩაზე, კინო "ყაზბეგის" მხრიდან, აღდგომა იყნოსა, წითელი კვერცხები, მიხაკები - ჯანსალი სისხლის იმიტაცია. მისი სისხლი გათხელდა, მოდუნდა, თავში ვერ ადიოდა. ტვინის შიმშილმა მოკლა.

მივდივარ ქუჩაში, ზოგჯერ იმასაც კი ვახერხებ, ნაცნობი დავინახო, გავჩერდე, გამოველაპარაკო. ლაპარაკს ნირი წაუხდა, იერი შეეცვალა, ზერელე და პირობითი გახდა.

- როგორა ხარ? (ფორმა ძველია და უკვდავი, მაგრამ ნამდვილი ინტერესის კვალიც კი არ ჩანს).

- კარგად, არა მიშავს, როგორ უნდა ვიყო (პასუხის ვარიანტები, ასეთივე მოკლე და არაფრის მთქმელი).

ერთხელ შევცდი. ისეთი წრფელი მომეჩვენა შეკითხვა, ძველებურ ღიმილში ხავერდის სიღრმეები დავინახე და დავიწყე:

- როგორ ვიქნები! სინათლე არასდროს არ მაქვს, ფეხით ავდივარ მეთორმეტე სართულის სახანძრო კიბეზე, წყალი ამაქვს ბოცით...

ნაცნობის თვალებში შუშამ ისე გაიელვა, რომ შევცბი, იქვე გავიცინე და დავამატე: - ავდივარ კიბეზე და ვმღერი: "თებროლე მიდის წყალზედა, კოკა ემტვრევა მხარზედა!" შუშას ღიმილის ფარდა ჩამოეფარა, ცივი ელვარება დაარბილა. ურთიერთობის ზერელე რიტუალი ვიცეკვეთ და დავცილდით ერთმანეთს.

გაზეთის რედაქციისკენ ვაგრძელებ გზას. კორექტურა უნდა წავიკითხო, - რატომ? რომ ლექსში შეცდომა არ გაიპაროს. კი მაგრამ რატომ? ვის რად უნდა შენი ლექსები?

რატომღაც მგონია, რომ ლექსები უფრო უნდათ, ვიდრე მე, რომელსაც არავითარი სიხარულის მოტანა აღარ შეუძლია მეორე ადამიანისთვის: ან ცუდ გუნებაზე ვარ, ან ტახიკარდია მაწუხებს, ან სახლში ვბრუნდები, სახლი აღარ მხვდება თავის ადგილას და ნაცემი ძაღლივით დავდივარ ქუჩაში, ლექსში კი შემიძლია ასეთი რამ ვთქვა: "ზაფხულობით, პირდაპირ სიცილიდან მეზრდება ფეხები".

ვერც ერთი ჩემი მეგობარი სახლიდან ვერ გამოვიყვანე. ძნელია გაყინული ხელფეხის აკრეფა. მაგრამ მე უარესი მჭირს: კლაუსტროფობია მიმერეკება სახლიდან, სიზმრიდან, საკუთარი ტანიდან.

ქუჩაში კოცონები ანთია. ხალხი პურის რიგში დგას. ოღრო-ჩოღრო ასფალტი მყრალი გუბეებითაა სავსე. თუ ვინმე ხმას ამოიღებს, საზარელ ამბავს ყვება. ბრონეულის კაშკაშა ყვავილები ადამიანის სისხლით გატენილ ტკიპებს გვანან. აი, სადაა ფროიდი. რამდენი ხანი ვიძახე: - მომეცით გასაღები მისი ავადმყოფური გენიალობის!

თხელი ცომივით უსახო მასა ამტკიცებს, რომ კაცი, შეიძლება, ამებისგან ან მედუზისგან გაჩნდეს, მერე ქუჩაში დაიღვაროს და ძაღლებმა ალოკონ. უაზრო ცხოვრება, უსახელო სიკვდილი...

ასეთი ფიქრი თუ მიკარგავს სუნს, რომლითაც ჩემი უბნის ძაღლები მცნობდნენ. შიში ასხივებს ჩემგან, არა ძაღლის, არამედ ადამიანის მიმართ, მაგრამ შიში შიშია, ძაღლები ასეთ ნიუანსებში ვერ ერკვევიან, მიყეფენ, შეიძლება დამგლიჯონ კიდეც. მხოლოდ ერთი დგას ჩუმად და მიყურებს, ისეთი უაზრო ფერისაა, გარგარს რომ ფეხი დააჭირო და გასრისო. სახლისკენ მოვდივარ, მომყვება, ვჩერდები, ვუყურებთ ერთმანეთს. მის გაბურძგნულ სხეულს შიმშილის გარდა კიდევ რაღაც აწუხებს, აშკარად ვგრძნობ, უნდა რომ მოვეფერო. ადრე ყველა ძაღლს ვეფერებოდი. არც კბენის მეშინოდა, არც რწყილების, ვერ ვაიძულე ჩემი თავი რაიმე გრძნობა გამოვხატო, მაგრამ ვიცი, ყველაფერი შეიძლება ვუთხრა, რაც მაწუხებს. ის ხომ ვერ მიპასუხებს და საძულველი დიალოგი არ გამოგვივა. ვეტყვი რამეს და მერე მიწას მივაყრი ნათქვამს.

მეცოდება ჩემი თავი. ალბათ, ამიტომ არ ვვარგივარ თანაგრძნობისათვის. დღისა და ღამის ყველა მონაკვეთში, შეიძლება, დედაჩემს დავჭირდე, 4 წლის მანძილზე მწოლიარე ავადმყოფს. მელანდება ბნელში ჩემზე დამიზნებული, თუ შემთხვევითი ტყვია, მაგრამ, რატომღაც, ყოველთვის, მშვიდობიანად ვბრუნდები სახლში და სრულიად შეუსაბამო სურვილი მიჩნდება: წიგნის კარადას ვაღებ, ჩემსავით განერვიულებული წიგნები უაზრო მოძრაობას იწყებენ და ის, პოეტი, რომელსაც ვეძებ იატაკზე ვარდება, როგორც ფანჯრიდან გადახტა. ხელში აღმომაჩნდება სულ სხვა წიგნი, ისიც პოეტის, საიდანაც რენუარის ქალები იხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებიან. ადრე ვერ ვამჩნევდი ამას, ოღონდ, ეს ქალები უფრო ნარინჯისფერები არიან, ქართული გადახრა.

მაინცდამაინც, ძველებური გამჭვირვალე ფინჯნით მომინდება ჩაის დალევა. ხელები ისე მიკანკალებს, როგორც დედაჩემს. ნეტავ, როგორ მოიქცევიან ჩემი სისხლძარღვები რამდენიმე წლის შემდეგ? ასევე უარს იტყვიან თავში სისხლის გაგზავნაზე, ბევრი მშიერი ფიქრის გამო?

ლიმოჟის ფაიფური იმსხვრევა. თავს ვერ ვიკავებ. ხმამაღლა, ცრემლებით ვტირი. არც თუ ცოტა ჭურჭელი დამიმტვრევია აუღელვებლად, და, უცებ, ასეთი რეაქცია, როცა რამდენიმე მეტრის მანძილზე დედაჩემი კვდება...

ვის გავაგებინებ, რომ ეს ფინჯანი შიკრიკია სპილოს ძვლის კოშკის, ურომლისოდაც არ ვვარგივარ ცხოვრებისთვის...

და, თითქოს, მიდასტურებს ამას, რუსთაველის პროსპექტის მხრიდან კაცი გამოჩნდება. მაღალი, ხმელი, ხელებში საკუთარი თავი უჭირავს. მაინ რიდი? რაღა დროსია. ბავშვობამ, რახანია, ჩაიარა.

ახლა, შეიძლება, მხოლოდ, ის ლანდი გამოჩნდეს, რომლის ქვეშევრდომობას ყველა ასაკში განვიცდი.

ჩემს გამომეტყველებაზე ეცინება - არ იცი, რომ რემბოს ფეხი მოაჭრეს სიკვდილის წინ?

- რა თქმა უნდა, ვიცი, მაგრამ თავი, მაინც, სხვა არის.

- სანადირო თოფის გარდა, სხვა იარაღი არ მქონდა. კოშკის წვეტივით წამაცალა თავი.

- მერე, მწერლები?

- რა უნდა ექნათ მწერლებს? გაკიცხეს ჩემი საქციელი.

- გახსოვთ, პარიზიდან რომ ჩამოხვედით, როგორი ელეგანტური იყავით, როგორ ექსპრომტებს ამბობდით, თითქოს, სპილოს ძვლის კამათლებს აგორებდით?

- და შენ რა იცი? მაშინ ხომ დაბადებულიც არ იყავი.

- ვიცი. თქვენს ლექსებს რომ ვკითხულობდი, მერე მესიზმრებოდით, ხავერდის პრინციპით, ელსინორის კოშკის მაკეტთან იდექით და სათვალიანი კლავდიუსი ისე გიყურებდათ, თითქოს, გასრესა უნდოდა თქვენი. - აკი გამსრისა!

- ვერა, ის ხელსისხლიანი იყო, თქვენ - ხელვარდიანი.

- ხელვარდიანი. რა კარგი სიტყვაა!

- ჩემი არ არის. გიორგი შატბერაშვილთან ამოვიკითხე.

სახე მოელრუბლა. დასევდიანდა. ცოტა ხანი იცოცხლა. რამდენი კარგი კაცი, შეიძლებოდა, გაეცნო, ჩემთვისაც კი შეიძლება, რაიმე კაფია ეთქვა, უფრო სწორედ, ჩემი ბავშვობისთვის, მაგიდის ქვეშ რომ დადიოდა თეთრი ფეხებით.

დამაგვიანდა. რა ტკბილი იქნებოდა ჩემთვის იმ ხანმოკლე ბოჰემური დღეების ესთეტიკა, როცა რუსთაველზე, ჭადრის ხესთან იდგა, გაშლილ ხელისგულზე მონპარნასის რომელიმე კაფე ეხატა, როგორც ქართველი მეფეების ფრესკებს - ეკლესია და ამბობდა:

"უფეხო რემბო, მეწინავედ მგოსნებს გვჭირდები,

თორემ ლალი და მარმარილო გადიხვეტება"

ვილაც გვითვალთვალებს, თუმცა თვალთვალი და მოყურადება არც სჭირდება. აშკარად გვისმენს. ვერც დაიმალება, ვერც ერთ ხეს ვერ ამოეფარება, იმხელა ყუთი ადგას თავის მაგივრად, ბეჭებზე. უთავო მხედრები დამებედა დღეს.

ადამიანი - ტელევიზორი მეუბნება, რომ გადაცემა უნდა გავაკეთო 37 წელს მოკლულ პოეტებზე, რადგან ცოტა ცრემლიც თუ არ გაერია ამ პრაგმატიზმში, ეკრანს დაუმტვრევენ, ააფეთქებენ.

- რატომ, ხომ გაქვთ პოეზიის 5 წუთი. ამაზე ხანგრძლივად ვინ მოისმენს ლექსს?

ასე კი, სამგლოვიარო დეპეშას გავს. როგორც არ უნდა ერთობოდე, ჭამდე და სვამდე, იძულებული ხარ, დროებით გაიტრუნო და სევდიანი ყურადღება გაითამაშო.

მაღალი ლანდი ორთქლდება, ძალიან რეალისტური გარემო შეექმნა ქუჩაში, მეც, ვცდილობ, მის კვალს გავყვე. ტელევიზორი უკან მომდევს, ციმციმებს, ახველებს, ანტენების სწორი ხაზები მოყვება ალვის ხეებივით.

ასეთი დაცვით შეიძლება, კოშმარებში იარო. მაგრამ ქარსაცავი ზოლები არბილებენ ანტენის გიჟურ მოძრაობას, რომელიც მხოლოდ გრიგალს, ვულკანების ამოფრქვევას, მიწისძვრას, რევოლუციებს იწვევს ეკრანზე.

ალვის ხეები, ყინვის თეთრი ნახატი მინაზე...

მაგრამ ტელევიზორი რეალისტია - მას სტიქიებისგან თავდაცვა სჭირდება და არა მათი გაპოეტურება.

- დაჯექი, იფიქრე, დაამონტაჟე, ამოხაპე ნერვიული თავიდან პოეზია. ისიც მტრული სტიქიაა, გაუშვი, შეასკდეს რევოლუციას, ან სეტყვას და სანამ კადრს მიღმა სისხლისდენა არ შეწყდება, ვესტერნები და მელოდრამები დაახვავე. საწყალ, უმწეო, გაოგნებულ ადამიანს გართობა ჭირდება,

ბიბლიოთეკა

გათიშვა, ნარკოტიკის ფული კი არა აქვს.

დიდება ტელევიზორს! ყველაზე იაფ ნარკოტიკს!

სად არის ლენინი, თავისი ხატოვანი ფორმულირებებით!

"სოციალიზმი პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია".

"რელიგია - ოპიუმი ხალხისათვის".

კედელივით დგანან ალვის ხეები, ქარს აკავებენ...

უპატრონო სახლში დავდივარ. მგონი, სტუმრობა გადავწყვიტე რომელიღაც ძველ ნაცნობთან, სახლი ცარიელი დამხვდა. არა დროებით ცარიელი და მომლოდინე, არამედ გულამოჭმული და უცხო. ფანჯარასთან თეთრი როიალი დგას, როიალის ლანდი, რადგან ხმას არ გამოსცემს. თავს ვხდი და ვხედავ სიცარიელეს. ეს რომ ძველი სახლი იყოს, ვიფიქრებდი, რომ როიალის შიგნეულობა სხვენზე დევს, ნერვიული გენიოსის ხელით ამოგლეჯილი, ხმის ნიუანსების რიცხვი რომ ეცოტავა და "ტემპერირებული ბრიყვი" დაარქვა ამ თეთრ მშვენიერებას. მაგრამ ახალ სახლებში სხვენი არ არის, სარდაფში კი მეშინია ჩასვლა, რადგან, ყველგან, სადაც სიღრმეა, კოშმარი ბუდობს. ამ ოთახში ყველაფერი ცარიელია და უსულგულო. გაპრიალებულ მაგიდაზე არც ჭიქის, არც ლამბაქის კვალი, სანთლის ნაღვენთიც კი არ ჩანს. კარადებში ტანსაცმელი არ კიდია, წიგნები არ დევს, მხოლოდ აბლაბუდები ფრიალებენ. რაღაც, ძალიან ნაცნობი სილუეტი მოძრაობს მათი მფარველობის ქვეშ, ყოფა რომ ხელს მკრავს სიზმრისკენ, მის წვეტიანი ხმა და ფრჩხილგაგრძელებული საჩვენებელი თითი უკან მაგდებს, ბურთივით. აშკარად, მასწავლებელია, მაგრამ არც ქართულის, არც ისტორიის, არც მათემატიკის. ასეთი ირეალური (ტანსაცმელი კი არ აცვია, საკიდარზე კიდია, თითქოს) და აქტიური, შეიძლება მხოლოდ ყოფაქცევის მასწავლებელი იყოს. მის საგანში ყველას 5 უწერია. ამის გამოა დაკომპლექსებული. დაგუბებულ, დაუხარჯავ ბოლმას ჩემისთანებზე იყრის.

- ბუნდოვანი ლექსები გაქვს და ვულგარული, - მეუბნება.

ბუნდოვნების გამო რისხვას უკვე შევეჩვიე, მაგრამ ვულგარული?

- აბა რას ნიშნავს რძეში ჩამხობილი მარწყვის ჟრუანტელი?

- ბედნიერებას.

- იმის ნაცვლად რომ ეცადო, რამენაირად, სიმშვიდე მოიპოვო, ცხოვრების სიმძიმისგან გათავისუფლდე, მაინც, ბედნიერებას ახსენებ, რომელიც უარეს ტანჯვას მოგაყენებს ცოტა ხნის მერე.

უარესი რაღა უნდა იყოს, ცხადსა და სიზმარს შორის სათამაშო ბურთად რომ იქცევი, აბლაბუდების კილომეტრებიც ვერ შეგირბილებს თვალსაჩინოებს, თუ თვალშისაცემობას, რის გამოც ატრაქციონების ბაღში გამოდგმულ სამიზნეს ემგვანები, ცალყბად განათებულს, თითქოს პროჟექტორებს შუქი დაუვარდათ...

რამდენჯერ მიფიქრია, თუკი მე ვარსებობ, იმდენად და ისე, როგორც სხვები მხედავენ, მუხლებში ზამბარები უნდა ჩამიდგეს, ადრინდელ დრეკადობას დავუბრუნდე და სულმოუთქმელად ავირბინო ჩემი სახლის სართულები. ხომ მეუბნებიან, კარგად გამოიყურებიო. გარეთ ჯოჯოხეთია, იერონიმუს ბოსხის ნახატებიდან გადმოტანილი . ვითომ, შეიძლება, ფიროსმანის ჟირაფმა, ლამის, მთაწმინდამდე გაწელილი ყელიდან ჩამოიხედოს და რამე შეცვალოს ქალაქის ქუჩებში?

ახალგაზრდა კაცი წიგნებს ყიდის. ინტელიგენტური შესახედაობა აქვს, მაგრამ გამომეტყველება იმ გარგარისფერი ძაღლის, ყოველდღე რომ ქუჩაში მხვდება და სახლამდე მიმაცილებს. წიგნს ვიღა ყიდულობს, მაგრამ გამოჩნდა ერთი, ისე ფურცლავს წიგნს, ათვალიერებს, რომ ეტყობა მყიდველია, ფასს კითხულობს, გადაფურცლავს კიდევ ერთხელ და მიწაზე რაღაც ვარდება. წიგნების გამყიდველი მოულოდნელი სიმკვირცხლით დაიხრება, რომ აიღოს ის, რაც დავარდა და რაც სიძველისგან ხელში ეფშვნება. თითქოს, მთავარი აზრი ჩამოიბერტყა წიგნმა და სახეზე ორი ალისფერი ვარდი ეხატება გამყიდველს, რაც სრულიად შეუსაბამოდ გამოიყურება, როგორც ყველაფერი ამ ქალაქში.

## II

შეუსაბამობის ბუნებაზე ვფიქრობ. ყოველთვის მიყვარდა პარადოქსები, თუ მეტაფორები. მაგ. ზოგჯერ ადამიანს ვხედავდი და მუსიკა მესმოდა.

როცა ეს კაცი არაფრით გამორჩეული არ იყო, არც მუსიკა არანაირი წახნაგით არ ეხებოდა. მაგრამ მუსიკას მარტო შენთვის ვერ შეინახავ, ის ვიღაცას უნდა გაუნაწილო, მიუტანო, როგორც ტროლეიბუსის გაჩერებაზე დაჭრილ კაცს ყორჩივარდების თაიგულივით მიაქვს სახლში თავისი გაგლეჯილი შიგანი და როგორც სახლი არაფერს არ ნიშნავს ამ შემთხვევაში, მხოლოდ, დეკორია, ფონია, ისე ის, პირველი კაცი - მიზეზის მიზეზი, საერთოდ, არაფერ შუაშია. მშვენიერი შეუსაბამობა, მხატვრული ტყუილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგ. ტკივილი რომ გამოხატო, შუშის ნამსხვრევებზე უნდა გაიარო, მაგრამ ძალიან წითელი სისხლის გეშინია, ამიტომ შეგრძნების იმიტაციას ახდენ - თოვლზე დადიხარ. არანაკლებ გტკივა შიშველი ფეხები, მაგრამ პასტელის ფერებით გადმოცემული ეს ტკივილი უფრო ეთიკურია, ვიდრე სიგიჟე, სისხლი, კივილი... ეთიკური სათნოება...

არსებობს სხვაგვარი შეუსაბამობა, რომელიც შიშს იწვევს, უფრო სწორედ, არაადექვატურობა. ეს უფრო შესაფერისი სიტყვაა. როცა დღედაღამე მუშაობ, სახლიდან თუ გახვედი, ხელებში ჩამხობილ თავს ტოვებ საწერ მაგიდაზე, ეს ფიქრის დროა, ხელშეუხებელი, მერე, როცა აქედან იები გაიზრდება, მისცემ უფლებას მინაურებს, წყლიან ქილაში ჩადგან ისინი. უკვე გაგიუცხოვდა შენი ფიქრი, ყველასი გახდა. მაგრამ კაპიკსაც არ გაძლევენ ამის საზღაურს. ქუჩაში რომ გახვიდე და ეს იები გაყიდო, პურის ფულს, ალბათ, იშოვი, ვერ ახერხებ ამასაც, ნახევარი ქალაქი საჩუქრად მოგთხოვს და უარსაც ვერ ეტყვი.

ან ღამე, ქალაქში, სრულ უკუნეთში რომ მოდიხარ (XX საუკუნის ბოლოს) და, უცებ, დაინახავ, რამდენიმე ადამიანი დგას, საუბრობენ. რატომღაც, მზესუმზირებს გაგონებს მათი სახეები. გაიფიქრებ კიდეც, მცენარის ასეთი ნათება მკრეხელობაა მზის მიმართ, ადამიანის სახისა, მითუმეტეს. თუ პირიქით: "მე თუ არ დავიწვი, შენ თუ არ დაიწვი, ის თუ არ დაიწვა, ბნელს რა გაანათებს?"

მოვდივარ სინათლისკენ, ნაბიჯსაც ავუჩქარე, აი, ახლა ამიხსნის ღმერთი, თვალსაჩინოდ, ნუთისოფლის აზრს: მწერივით დავიწვები და სხვასაც მაგალითს მივცემ. ვუახლოვდები და ვხედავ: მკვდარი პოეტები დგანან ქუჩაში. მათი სახეების შუქზე წამოვსულვარ. ქუჩის ფარნებივით მაღლები გამხდარან, შუაღამისას წავლენ, როგორც ლანდების წესია და დავრჩები მარტო ჩემს სიბნელეში. მართლა მარტო კი არა ვარ, მაგრამ სიბნელე კედელივით მყარია, რომელიც ოჯახის ყველა წევრს შორის არის ამოშენებული, რომ ერთმანეთის თანაგრძნობისთვის ჩაგვაქროს და ჩნდება შიში. შიშით ვცხოვრობ, შიშს ვსწავლობ ანბანივით, რადგან შიში განყენებულად არ არსებობს, ის შენი შიშია, შენი სხეულის თარგზე აჭრილი.

მაგ. მე ბუმბულის მეშინია, ვიღაცას - ატმის ხაოსი. ბავშვობაში ძილის წინ სასტიკ ზღაპრებს რომ ვუყვებოდით ერთმანეთს და შიშისა და ნეტარებისაგან ვცახცახებდით, ზოგჯერ ვფიქრობ, ნეტა მშობლებს გაეყინათ წარსული და ზედ "ბავშვობის წლები" დაეწერათ!

ცხოვრების მეორე ნაწილს უფრო სახელდებული შიში განაგებს, ამის გამო, ნაკლებად სტიქიური, ტრაგედიის ხელოვნებასთან წილნაყარი. რაც უფრო მეტია სისხლი, ცხედრები, მით უფრო კრიალაა კათარზისი. იქნებ ყველაზე მძაფრი სიმბოლო ამ შიშნარევი ნეტარების - კორიდაა?

- ნუ აწვალებ ძაღლს!
- ნუ მოკლავ ჩიტს!
- ქინძისთავს ნუ გაუყრი პეპელას!

მაგრამ როგორ იქცევა ადამიანი, როცა ყველა ეს ტაბუ მოხსნილი აქვს? როცა რამდენიმე ძაღლის, ათასი ჩიტის და პეპლისხელა ხარის მოკვლა ამწიფებს მას და არა რაინდული რომანების კითხვა?

აქედან ხომ არ ჩნდება ამბივალენტობის ყველაზე ზუსტი პოეტური შესატყვისი:

"იქნება, მოკლულ ხარში ქალწულის ჩონჩხი ჭვივის" (გარსია ლორკა)

ცხოვრების ბოლოსკენ ნეტარება ჩლუნგდება, შიში მატულობს, მაგ. სიკვდილის შიში და მას თუ კიდევ რაიმე სტიქიური უბედურება დაემატა, თუნდაც, რევოლუცია, შიში უკვე ცხოვრების წესად იქცევა.

- რა ლამაზი და სუფთა იყო ჩემი და! ქუჩაში წყაროს წყალივით მიდიოდა, როცა იდგა, ან იჯდა, თითქოს ვერცხლის სურაში ჩაასხეს. ვინ განაგებდა მის უმწეობას? ეს მაინტერესებდა სულ, როგორც სათამაშოს დაშლა, რომელსაც თავიდან ველარ ვაწყობდი, რაღაც იდუმალება იდო მასში, ჩემთვის მიუწვდომელი. ამ იდუმალებას, თუ სიმართლეს ვეძებდი და ვიფიქრე...

- ე. ი. თავიდანვე გედო თავში მისი მოკვლა?

- არა, როგორ გავიმეტებდი, თავზე მეტად მიყვარდა.

- აბა რა მოხდა?

- ბიბლიიდან არ გახსოვს, აბრამს რომ შვილის მოკვლა უნდოდა და ღმერთმა გააჩერა? მე არ გამაჩერა ღმერთმა და მეგონა, მის მოსაწონ საქმეს ვაკეთებდი.

- მაგრამ ბოლოს, რას მიაღწიე?

- როგორ თუ რას, წავიკითხე მისი ქვეტექსტი, ვნახე მისი ანატომია, მშვენიერი პოეტური ქვეყანა, თვალისგან დაფარული: ორგანოების იდუმალი სიცოცხლე, საათივით მომუშავე გული, სისხლძარღვებით გადაბმული თირკმელები - ლობიოს ორი, კოხტა მარცვალი, ნაღველში გაბნეული ლანგერჰასის კუნძულები - ქარვის მძივები. ეს იყო ნამდვილი სამშობლო, რომელსაც ვერასოდეს ვერ ვნახავდი, საკუთარი თავი რომ მომეკლა.

- მაგრამ შენ ხომ დაანგრიე ის, როგორც ახლა შენს მიწიერ სამშობლოს ანგრევ.

- რაც უფრო საყვარელ ადამიანს მოკლავ, მით უფრო ძლიერია კათარზისი და თავისუფლების შეგრძნება.

- ამიტომ მოახდინეთ რევოლუცია, რომ კაენის ცოდვა გაგემეორებინათ?

თუმცა რას ვეკითხები. კაენმა მოკლა აბელი, კაენი მოკლა მზემ. აბელის ხსოვნად დარჩა უცოდველობა (მსხვერპლი იყო და ვერ მოასწრო თავისი წილი ცოდვის ჩადენა) კაენის საფლავს ჟანგისფერი ფუფხი მოედო. ჟანგმა შეჭამა მისი ქვა თუ თოფი, მკვლელობის იარაღი. "ჟანგმა თოფი, თოფმა მგელი, მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა". ყველაზე ლამაზი და უცოდველი ამ ლექსში, ვენახი, თვითონ კი კვდება, მაგრამ არავის არ კლავს. უხერხულად დგას, ტკბილი, შაბიამნისფერი, ამ სისხლიანი ტრაპეზის ბოლოში და თავის რიგს ელოდება...

მაგრამ ყველა ზღაპარი სასტიკი არ იყო. იყო კიდევ დილისა და შებინდების ზღაპრები, გამჭვირვალე და მშვიდი. მაგ. ოლეანდრის ხეზე რომელიც დაეხმარა უფლისწულს ჩვეულებრივი სასახლის ქვეშ იდუმალი სამყარო აღმოეჩინა (სიზმარში რომ სიზმარს ნახავ) სადაც მთვარეულებივით ცეკვავდა 13 პრინცესა, ერთი მათგანი შეუყვარებოდა და დღის სინათლეზე ამოეყვანა. ასეთ ამბებს ბოლო კეთილი ჰქონდათ. არავითარი: " - მე თქენ მიყვარდით უფრო ძლიერ", მდინარის შრომანები და სუიციდის მცდელობა. მაგრამ ეს უფრო გვიანდელი სიყვარულია. ოლეანდრის ხის ზღაპარი კი იმიტომ მიყვარდა, განსაკუთრებით, რომ მეც მედგა ოლეანდრი აივანზე და შინაურები ლინას მეძახდნენ, როგორც იმ მეცამეტე ქალს. მხოლოდ აბრეშუმის პირსახოცი, ოქროს სარწყული და ვერცხლის ნიჩაბი არ მქონდა ხის მოსავლელად. ამ ხის ქვეშ მოკვდა სახლიდან გამოგდებული ძაღლი რექსი, რომელსაც ვუვლიდი და ოლეანდრს ვეხვეწებოდი: - ჩემო მშვენიერო ოლეანდრო, მე შენ გივლიდი და მიყვარდი, გადაარჩინე რექსი! (ზღაპრის ფორმულა, ოდნავ გამარტივებული, აბრეშუმისა და ოქრო-ვერცხლის უქონლობის გამო). იქნებ ამიტომ არ დამეხმარა ხე, როცა ზღაპარში ყველა სურვილს უსრულებდა თავის პატრონს? "ავუგოთ ტაძარი ყველა შეკითხვას" ცნობისმოყვარე ბავშვობიდან წამოსულ შეკითხვებს, ბოლოს ღმერთამდე მივყავართ, არა მარტო რწმენის გამო, რომელსაც გვინერგავდნენ. არამედ სრულიად ლოგიკურად.

რატომ არ გავს წყლის ორი წვეთი ერთმანეთს, ან ორი ფოთოლი, ან ორი თითი? რატომ არის ჰარმონია ბუნებაში უფრო მყარი, ვიდრე ადამიანურ სამყაროში? აბსოლუტურ სულამდე მივყავართ ამ შეკითხვებს, უწვალებლად, გონიერი გზით, რომელიც სუფთაა, tabula rasa-ა, მერე კი, ამ თეთრ დაფაზე იმდენი რამ დაიწერება, რომ ხელი თუ არ შეაშველე, მთელს ტანზე გადმოგივა, ხეს დაემგვანები ფერით და სიბრძნით და პირველივე ტკივილი ქრისტესთან მიგიყვანს.

რამდენი დღეა არ მინახავს ჩემი გარგარისფერი ძაღლი. ძალიან მაკლია მისი ჩუმი თანაგრძნობა, თუმცა კი, მას ჩემზე მეტად უჭირს. ამ რამდენიმე დღის წინ, საკმაოდ დიდი გზა გავიარეთ ერთად და მომიყვა, როგორ ჩხუბობდნენ ძაღლები და ადამიანები ნაგვისყუთში ჩაგდებული საჭმლის ნარჩენებისათვის, როგორ შეიძულეს იგი ძაღლებმა, რადგან ადამიანებს არ ერჩის, ადამიანებისთვის კი ისიც ისეთია, როგორიც ყველა ძაღლი და ქვას ესვრიან, პირიდან ლუკმას ართმევენ. ამიტომ ყოველთვის, საჭმელს ვყიდულობ მისთვის. ეს რამდენიმე დღეა, ვერ ვიპოვე. ძალიან ღრმად, ძაღლების ბუნაგში შესვლა მეშინია. მაგრამ თუკი შიში ცხოვრების წესად მექცა, ძაღლმაც რომ არ მიკბინოს, მანქანა დამეჯახება, ან ინფარქტი დამემართება კიბეზე ასვლისას, ამიტომ ეზოში შევდივარ. გაჭყლეტილი გარგარის გროვასავით გდია ჩემი ძაღლი, მაინცდამაინც, ის მოკლეს, უპატრონო ძაღლებზე ნადირობისას. ცივა. ყველაზე უფრო მეცოდება, ვინც სიცივეში კვდება. ძაღლიც კი. "გამხდარ ლანდს ცივა" და მაინც მარტის თოვლ-ჭყაპში მოიკლა თავი ჩემმა პოეტმა.

- ყველაზე მეტად სიცივის მეშინია - მეუბნება ლალი. - ხომ არ შეიძლება ადამიანი რამდენჯერმე მოკვდეს. ჩემთვისაც ნაცნობია ეს გრძნობა. სახლში სიკვდილის ესკიზი მიდგას, შავი ეპოქსიტისგან ჩამოსხმული.

სიტყვებს ვეძებ, რომ ლალის უფრო თბილი ირეალურისკენ ვუბიძგო

- აბა, წარმოიდგინე, ზაფხულში რამდენ შუქს და სითბოს ვისრუტავთ მზისგან, ყვავილებისგან, თაფლისგან, ადამიანი ეგოისტი კია და აღარ უნდა, რომ ეს სითბო გასცეს, მაგრამ ძალიან რომ დაძაბო წარმოსახვა, აურას გაითბობ და გაყინულ საგნებს გადასცემ.

- გახსოვს, "დაკარგული თაობა" ჩვენი ახალგაზრდობის ლიტერატურაში? ჩვენმა თაობამ აურა დაკარგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ისევ დაკარგული თაობა, ოღონდ, უფრო მისტიკური...

მისტიკა ოლეანდრის ხეს მახსენებს. არც ბებიაჩემს უშველა მან, როცა დიდხანს და ძნელად კვდებოდა. პატეფონის ფირფიტა რომ მაღალ დო-ზე ავარდება, მერე იატაკს ენარცხება და ღრჭიალით იმტვრევა. აკაციის ხეებს თავი სტკივათ ამ ხმებისაგან...

ბებია კუბოში წევს ისეთი მშვიდი, თითქოს, ტკივილის ნიღაბი მოხსნეს და ისევ საკუთარი სახე დაუბრუნეს. ოდნავ ჩრჩილნაჭამი. ყურძნის მარცვლებივით მწვანე თვალები აქვს, ძალიან დაღლილი პირი. ლაპარაკი უყვარდა და ყველა. ნაოჭი ტუჩებთან მოუგროვდა.

ცოტათი რომ თანამიგრძნობდეს ჩემი ოლეანდრი, ან ფუტკარი ამოუფრინდებოდა ბუტკოდან, ან ქარი კარებში მოწნეკილი ხორცივით გაწელავდა მის ვარდისფერს. არაფერი, მხოლოდ სიჩუმე, მუსიკის მტვრევაზეც უარესი.

და, მხოლოდ, ერთხელ, ბებიას სიკვდილიდან რამდენიმე წლის მერე, უცნაური რამ მოხდა.

ჩემს მრავალმეზობლიან ეზოში, რომელიც, მონადირეებით იყო სავსე (მაშინ ჯერ კიდევ არ მქონდა დაწერილი, რომ ფრინველების ხოცვაში ცა შემოაკვდათ აზარტულ მონადირეებს). ერთმა მათგანმა დაჭრილი ბუს ბარტყი მოიყვანა. მიუხედავად ჩემი ფრთხილი დამოკიდებულებისა ფრინველების მიმართ, მე და ბუ დავმეგობრდით. ის ან ბუჩქზე, ან ფანჯრის რაფაზე იჯდა და მრგვალი თვალებით მიყურებდა. ფრენა არ იცოდა. იშვიათად მინახავს ვინმეს თვალებში ამდენი სევდა. ჩემი კატაც კი არ ერჩოდა, რაღაცით გავდნენ ისინი ერთმანეთს, ალბათ, ნებაყოფლობითი თვინიერებით. სევდის ნაწილი ამის ბრალი იყო, ნაწილი - დაკარგული ტყის. ზოგჯერ, როცა სინათლე შესაფერისი კუთხით უდგებოდა ბუს და მის თვალებში, ეზოს მშვენება, დიდი თუთის ხე ირეკლებოდა, ის უფრო დამოუკიდებელი და თავისუფალი ჩანდა.

ერთხელ, ზემოთ ამოვიყვანე და ოლეანდრის ხეზე დავსვი. აშკარად არ მოეწონა ასეთი ფერადოვნება, თვალებშიც კი არ აერეკლა ვარდისფერი. ოპერის მხატვრები სასახლეებს რომ დგამენ სცენაზე, მოჭარბებულად დატვირთულებს არქიტექტურული სამკაულებით, ასეთი გამოჩნდა ბუს ფონზე ოლეანდრი.

ერთ დღეს, ბუს პატრონთან მთვრალი ნათესავი მოვიდა. აკაკუნა კარებზე, ფანჯრებზე, სახლში არავინ იყო და უცებ, დაინახა ბუ, უფრო სწორედ ჯერ სიკვდილი დაინახა მის გაფართოებულ თვალებში და მერე ბუ. სისხლის სუნივით გააგიჟა ამან, ფრთები დააგლიჯა ბუს, ფანჯრის გისოსებს ურტყა. აივანზე ვიდექი, ვტიროდი, შველას ვითხოვდი, არავინ არ გამოიხედა. მერე მთვრალს შევეხვეწე, ახლა მე დამემუქრა. ერთი ბაჯაღლო ოქროს ბეჭედი გვეგდო ცარიელ ზარდახშაში, ბებიას ერთადერთი სამკაული, რომელიც გაყიდვას გადაურჩა, იმას დავპირდი, არც კი მომისმინა. მაშინ ქვა ვიპოვე და ვესროლე. თავში მოხვდა, სისხლიც წამოუვიდა. ბუ მიაგდო და კიბეზე ამოვარდა ჩემს მოსაკლავად.

ოლეანდრმა ყვავილებიანი ტოტები გამოწია და შემისრუტა. მე რომ ველარ დამინახა, ვიფიქრე, ხეს დაამტვრევს-მეთქი, მაგრამ ისეთი მკაცრი იდგა ხე, ვარდისფრად გაფოფრილი, ამდენ მისტიკას ველარ გაუძლო, ერთი შეიგინა და გაგვეცალა.

მკვდარი ბუსგან ფიტულიც კი ვერ გააკეთეს, ისე იყო დამახინჯებული. ჩემი ლექსების პირველ წიგნს დავარქვი "ხეები ქალაქში".

### III

საკუთარი ტყავი-ციხე, სახლი-ციხე, ქალაქი-ციხე, მთებით შემოსაზღვრული, როგორც კედლებით. ძალიან თუ მოინდომე აქედან გასვლა, ნებართვის გარეშე, კედელში ჩაგატანენ და უფრო მყარი გახდება შენი ჩაკეტილობა. "ციხეს რად უნდა რკინის კარები, მას უნდა ჰქონდეს შუშაბანდები". ალბათ, ნამდვილი ტუსაღის კი არა, ჩემნაირის მოგონილია ეს სიმღერა, შუშაბანდიდან კიდეც რომ ვერ გახვიდე, ქვეყანას ხედავ, მაგრამ იქნებ მაშინ უფრო ტრაგიკულად გრძნობ ჰერმეტიულობას?

როგორც იმ ბიჭის დედა, ციხის კედელში რომ ჩაატანეს, დედა კი თავისუფლად მოდიოდა და კითხულობდა: - შვილო, ზურაბ, სადამდი? - ვაიმე, დედა, მუხლამდი, მკერდამდი, ყელამდი და ბოლოს, ჩურჩულით გამეორებულ შეკითხვაზე - შვილო, ზურაბ, სადამდი? - ვაიმე, დედა, გავთავდი...

იშვიათად გამიგონია უფრო ტრაგიკული ლეგენდა და ახლა ყველაზე შესატყვისი ჩემი მდგომარეობის. ერთი კითხვა არ მასვენებს: ჰქონდა თუ არა მას არჩევანის საშუალება? თუ ჰქონდა (არ ყვიროდა, არ ტიროდა, არ აგინებდა მეციხოვნეებს) არ ვიცი, მაწყნარებს ეს, თუ მაფორიაქებს. მაზოხიზმით გაზავებული ძალადობა...

მაგრამ შენი ციხე უნდა დაიცვა. ოღონდ, ვისგან? შენივე ნაცნობებისგან,

ვინც წიგნები დაწვა ქუჩაში? ალბათ, მაშინ დამემართა კლაუსტროფობია. ვერ ვჩერდები შემოსაზღვრულ გარემოში, თუმცა ახლა ეს, ყველაზე უფრო უხიფათოა. გარეთ ყოველწუთში შეიძლება მომკლან ტყვიით, დანით, ქვით. მითუმეტეს თუ ჩემი ლაპარაკი გაიგონეს: მრგვალმარცვლიანი, ჭრელმახვილიანი - პოიკილოტონური, როგორც ერთი ჩემი პროფესორი ამბობდა...

- აბა შემომხედე, რატომ გგონია, რომ მე მტერი ვარ შენი?

ვერ ამჩნევ, ვგავართ კიდეც ერთმანეთს, როგორც სისხლით ნათესავები.

- მე ჩემი დედა. რას მებაზრები! სად ისწავლე ასეთი დაწყობილი ლაპარაკი?

ხალხი იმდენია და ისე ათქვეფილი ერთმანეთში, რომ ნემსი არ ჩავარდება. იარაღი რად გინდა, ხელი რომ მკრას ვინმემ, წავიქცევი და გადამივლიან. მაგრამ, რატომღაც, ფეხზე ვდგავარ და ისეთი ქოშინი ამომდის პირიდან, თითქოს გავრბივარ, ჰაერი არ მყოფნის, ვიხრჩობი. კეფაზე ვიღაცის მობჯენილ თვალებს ვგრძნობ. ვიხედები უკან და ისეთ განსხვავებულ სახეს ვხედავ, რომ ნიღაბი მგონია. უფრო სწორედ, ჩვენ, ყველას გვიკეთია ნიღბები და ეს ერთი სახეა ნამდვილი. ხელში თეთრი ჭიქა უჭირავს. მეუბნება, რომ ჰაერი მომიტანა, გზაში გააჩერეს, მაგრამ თეთრი ჭიქა თეთრი დროშა ხომ არ არის, რომ რამე აზრი გამოიწვიოს და გამოუშვეს. ბრბოც ჯერ გონს ვერ მოეგო, მაგრამ ცარიელი ჭიქა რომ მივიყუდე პირთან და თეთრი ფერის დალევა დავიწყე, მიხვდნენ, რომ ორი გიჟი ჩაუვარდათ ხელში, თანდათან შემჭიდროვდნენ ჩვენს გარშემო, აშკარად დავინახე ჩემი ბავშვობის ბუ, რომელსაც თვალებში სიკვდილი ედგა. მაგრამ სალოსმა (ახლა უკვე მთელი ტანით გამოჩნდა და რატომღაც ოლეანდრის ხე გამახსენა) ხელი მომკიდა და მოხდა სასწაული: ტყავიდან ამოვძვერი და ჰაერში გავიფანტე: ცალკე თრომბები გაფრინდნენ, ცალკე ნერვები ამოვარდნენ ბუდეებიდან. სიკვდილს კი გადავრჩი, მაგრამ რას მივაღწიე? მხოლოდ ღმერთს შეეძლო ჩემი თავიდან აწყობა, ან მოქანდაკეს. მომნახა ჩემმა მოქანდაკემ. არც მას უჭირდა ცაში ხელების ფათური, მაგრამ ერთი შეცდომა დაუშვა ჩემი ხელახლა აწყობისას. ვიღაც ქალმა ახალგაჩენილი კნუტები გადაყარა ქუჩაში, საჭმლის ნარჩენებთან ერთად. არ ვიცი, ვერ შეამჩნია ისინი, თუ შეეცოდა, ჩემი სისხლძარღვები დააკლდა, თუ ნეკნები, რაღაცით ხომ უნდა ამოევსო ცარიელი მუცელი და კნუტები ჩამიყარა შიგ. იმის მერე ნაწლავებს მიკაწრავენ და კუჭს მიგლეჯენ. მე არ ვიცოდი არაფერი ამის შესახებ. ერთხელ წამოსცდა. იქამდე მეგონა, რომ პილპილის ბუჩქი მეზრდება მუცელში. აბა, საიდან ასეთი მცხუნვარე ტკივილი? ჩამოვედი მიწაზე, ცოტა გამხდარი ამდენი ფრენისაგან, კმაყოფილი, შეშინებული და გამტყუნებულიც. არ გამოვიდა საკუთარი ტყავიდან ამოსვლა. აზრი არა აქვს ამას სიკვდილამდე. ალბათ, ჯობია, ზავი დადო სხეულის ყველა ნაწილთან, შეთანხმება ჰარმონიულ საფუძველზე, შეძლებისდაგვარად, ორკესტრს უნდა მიბაძო, არსებობს რამე უფრო განსხვავებული ერთმანეთისგან, ვიდრე ვიოლინო და დოლი? ერთი ცისფერია, მეორე შედედებული სისხლისფერი, მაგრამ თანაცხოვრობენ მუსიკაში.

თუ იარსებებს ჰარმონია ტვინის გარეშე,

ორკესტრს რომ ვინმემ ჩამოაჭრას ტაწწვრილი ფრაკი?

ორღანი ცალკე იფართხალებს, სიმები ცალკე

და ქათამივით მოკვდებიან გულის არეში.

და მოხდება რევოლუცია, ისეთი, როგორიც მოხდა.

- ეს სახლი კომუნისტების აშენებულია. დავანგრევთ და უკეთესს ავაშენებთ.

- არ მესროლოთ, თორემ მოგელანდებით!

- დაფიცებული მაქვს, უნდა დავანგრიო!

- დაანგრიე, საგამოფენო დარბაზი რაღად გვინდა! რა დროს ხელოვნებაა!

და მარმარილოს თეთრი კიბე ყველაზე გვიან დაინგრა. გედის ყელივით იდგა სიცარიელეში, ცას უყურებდა. გამომწვევი და უადგილოც კი ჩანდა შავი კაბების, შავი თავსაფრების, შავი წინდების გარემოცვაში.

- ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს.

- არა, არასდროს არ ჯობს სიცოცხლეს სიკვდილი. როცა ცოცხალი ხარ, შეგიძლია ამწვანებულ მთას თავი მიადო და შაკიკი დაგიამდეს, სახლის ღრიჭოებს ხელები ააფარო და სისხლისდენა შეუწყვიტო.

სიცოცხლე იქაც მთავარი იყო, ერთ ჩემს ლექსში, ამ ბოლო დროს ყველაზე ხშირად რომ მაგონდება, ამბავი ქალის, რომელიც გაათხოვეს სიმდიდრისგან გიშერივით ელვარე კაცზე, მას კი თეთრი ცხენკაცი უყვარდა. კაცი კენტავრივით სხვის ტკივილებს იგროვებდა ტანში, ქალი - რუსთაველის თეთრ-წითელ სილამაზეს ასახიერებდა, ახლადგამომცხვარი მუქი რასის საპირისპიროდ. სიმდიდრემ შეიძლება ტალა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხი გიშერად აქციოს და, მაინც, ნახევრად ძვირფასი ქვაა გიშერი, ფატმანივით ნახევრადლამაზი და საჭოჭმანო. და, იდგნენ ერთ მხარეს ალმასის ქინძისთავები, იაგუნდის გულქანდები, მარგალიტი სამწყება, მეორე მხარეს - გიშერი, აქატი, რომელიც მშვენივრად გრძნობდა თავს, სანამ არ მიხვდა, რომ ოქროს ჩარჩო ჭირდება თვითდამკვიდრებისათვის.

და ყველაფერი დახლზე დაიყარა. დარჩნენ გამჭვირვალე ქალები და ცხენკაცები ისეთი ცოტა, რომ დღე და ღამე რომ არაფერი ეკეთებინათ, შენივთების გარდა, ვერც მათი შვილები გადაარჩენდნენ შუქს, ვერც შვილიშვილები.

მაგრამ ქალს, მაინც, არ შეეძლო შვილები არ გაეჩინა, თუნდაც გიშრის მძივიდან ჩამოვარდნილი კაცისგან, ავ თვალსაც აირიდებდა.

ცხენკაცს კი იმდენი ტკივილი დაუგროვდა იმ ადგილას, სადაც მისი ტანი ცხენს უერთდებოდა, რომ წელში მოიხარა. რადიკულიტის დიაგნოზს უსვამდნენ. გუნებაში ეცინებოდა. რადიკულიტი ხომ არ ხრიდა წყლისკენ ტირიფს. მაგრამ ადამიანებს სად ეცალათ ასეთი სირთულეებისთვის. მთავარი ახლა ფიზიკური გადარჩენა იყო.

და, მაინც, ხვდებოდნენ ისინი ერთმანეთს. რახანია, შეხვედრები პლატონური გახდა. ქუჩაზე გადადიოდნენ, რომ სადმე დამსხდარიყვნენ, წვენი ან ყავა დაელიათ და ელაპარაკათ. ყველაზე უფრო ტრამვაის გამოჩენის ეშინოდათ, რომელმაც ფეხი მოაჭრა ერთ მათ მეგობარს. ტრამვაი უკვე, იმდენი ხანი არ დადიოდა ქუჩაში, რომ არავის აღარ ახსოვდა. იქნებ, არც იყო არასოდეს, მაგრამ ხომ იყო უფეხო კაცი, გულუბრყვილო და ისეთი ლურჯთვალება, რომ "აიია" უნდა ესწავლებინა ბავშვებისათვის მთელი სიცოცხლე და ცის კამკამისთვის ეცქირა, მას კი დოსტოევსკი უყვარდა, რომელმაც ჯოჯოხეთის ფსკერი დაანახა.

მისი ტკივილიც ჰქონდა გამჯდარი ცხენკაცს ტანის სიღრმეში. მას და წითელთმიან ქალს შვილებიც ჰყავდათ, მაგრამ არა ერთმანეთისაგან. ამიტომ მეტისები იყვნენ ისინი და ეცინებოდათ ტრამვაის გახსენებაზე, კენტავრის არსებობაზე, თეთრის და შავის დაპირისპირებაზე. მათთვის ტკბილი იყო შავში გათქვეფილი თეთრი ფერი, როგორც რძიანი ყავა. მძიმე როკი შედიოდა ყურებში. მიდიოდა საყოველთაო შეჯვარება: ნემსის ქურდის და აქლემის ქურდის, ძაღლის და ქათმის, ქარის და ფარდის... ქალაქი ისე აივსო მკვდრებით, რომ ცოცხლები ნეკროფილიისკენ მიდრეკილებას არც კი მალავდნენ. უფასოდ, სწრაფად, წინააღმდეგობის გარეშე იკმაყოფილებდნენ სექსუალურ მოთხოვნილებას. შვილები, მაინც ზედმეტი ბარგი იყო ამ ცხოვრებაში. გაუჭირდათ ერთმანეთის ნახვა ცხენკაცს და წითელთმიან ქალს, ის ინით ველარ იღებავდა თმას, რაღაც შხამიან საღებავს ისვამდა, მაინც, არ უნდოდა სახე დაეკარგა, რაც ახლა ყველაზე გავრცელებულ ავადმყოფობად იქცა. უახლოესი ადამიანებიც ველარ ცნობდნენ ერთმანეთს, რადგან ორი სახე ჰქონდათ: საგარეო და საშინაო. გარეთ გასვლისას, ქუდივით ჩამოიფხატავდნენ სახეს, ზემოთ აწეული ტუჩის კუთხეებით, რაც ღიმილს ნიშნავდა, თუმცა ესეც ჩვეულებისთვის ხარკის გადახდას გავდა, რადგან ნაცნობი იშვიათად ხვდებოდათ, თუ შეხვდებოდათ, ზუსტად ისეთივე სახე ეცვა და სიტყვები აღარ იყო საჭირო, ისედაც, ღიმილის კიდეზე დადიოდნენ, რომლის მიღმა უფსკრული ჩანდა;

ქუჩაში უფრო უცხოებს შეხვდებოდი, მათ მეორე სახე არ ჰქონდათ და იმ ერთს იხატავდნენ ისე გულმოდგინედ, რომ საქართველოს რელიეფურ რუკებს გავდნენ, ხოლო ქალაქის მკვიდრი აბორიგენები ვენახში გამოდგმულ საფრთხობელებს აგონებდნენ. ენატრებოდათ კი თავისი ვენახი, როგორც მე ჩემი ქალაქის ქუჩები, რომლებიც ბილწსიტყვაობით აშმორებულ ორლობეებს დაემგვანა?

"და ვაზის ფურცლებზე ისე გალურჯდება იქ შაბიამანი, ვით თვალის უპე, როცა არ მახურავს ლამეში საბანი".

უადგილოა პოეზია, უხერხული, სევდის მომგვრელი. ჯობია, თავი გაიპო მონადირის თოფით და არც ერთი წვეთი სისხლი არ გამოგივიდეს, შედედებული დარდი თუ გიდგას ძარღვებში... სახლში რომ ვბრუნდები, ისევ ძველ, შინაურ სახეს ვირგებ, უანტენო ტელევიზორიდან ისე ისმის მუსიკა, თითქოს თითები ერთმანეთში ებლანდება უჩინარ პიანისტს. ტახტზე მოვიკალათებ და ვუყურებ ტელევიზორს, ან დეტექტივს ვკითხულობ - ვითიშები. უძილო ლამე მელოდება, როცა ან შავ ნაპრალში ვვარდები, ან ზლაპარს ვუყვები ჩემს ტვინში მოკუნტულ ბავშვს. საკვირველია, რომ ის კიდევ ცოცხალია. რამდენი წამლის ნაღმებს გაუძლო, რამდენი აზრის დასაფლავებას, სამაგიეროდ, ფანტაზიის ოდნავ დაძაბვას თხოულობს ჩემგან. მიჭირს, ამ დროს სიკეთის გამეტება. იგი ძალიან შორიდან, ტანის ატავისტური სიღრმეებიდან უნდა გამოვიძახო, სპირიტიზმის სეანსი ჩავატარო. ბებიის ან დედის სულს ვუხმო. ბაბუა არ მახსოვს, მამაჩემის სული კი ასეა გაბრუებული ღვინისგან, გვიან და ძნელად

ბიბლიოთეკა

მოდის ჩემამდე. ბავშვს, ტვინში მოკუნტულს, რომ დაბადებულიყო, შეიძლება სალომე ან ელისო რქმეოდა, ახლა კი უკულმა ჟღერს მისი სახელი - მელოსი. ძალაუნებურად, რალაც რითმის მაგვარი გამოდის, ხომ არ შეიძლება საკუთარ ყელს ფეხი დაადგა, მითუმეტეს. თუ ასონანსს აზრიც მოყვება: "მუსიკა ერთადერთია, რომელსაც შეუძლია შეცვალოს არარსებული სამყარო". ვზივარ და ველოდები ნაცნობ ხილვას, რომელსაც მაქმანის ხელთათმანები უკეთია, იდაყვებამდე და სახეს ვუალი უფარავს, თითქოს ცაცხვის ჩრდილი დაყვებათან, პარკეტის იატაკზე სანთელივით ირეკლებიან მისი გრძელი ფეხები, ხელში ორქიდეა უჭირავს, ისიც სანთელივით, უცებ პარკეტი ირღვევა და ქვემოდან, როგორც სცენაზე, დაგრეხილი ქედი ამოდის, სამკუთხედებისგან შემდგარი. მისკენ მივდივარ და მიახლოებისას ვხედავ, რომ ეს არც სამკუთხედებია, არც თივის ძნები, არც პირამიდები, არამედ მაქმანის ზვინები, სისხლით და ოფლით გაზინთული, იქვე, ყვავილებიანი ფაიფურის ნამსხვრევები ყრია, იმდენი, გეგონება მიწიდან ამოიზარდნენ. კიდევ უფრო ახლოს თუ მიხვალ, ადამიანების ტანებს გაარჩევ, ერთმანეთში გადაგრეხილს, ხორცების შერწყმის, თუ შურისძიების ვნებიან ყმუილს...

მედალიონებში რომ გაღიმებული სახეები იდო, ის ღიმილი გააუპატიურეს და სახეები მოკლეს, ისევე როგორც ტანები, გამოიყენეს და გადააგდეს სანაგვეზე.

სანაქებო სანაგვე გამოუვიდათ: აბრეშუმის, ატლასის, ხავერდის, ვარდის სურნელებით გაჟღენთილი, რომელსაც ოფლის და შარდის სუნით ახშობდნენ, მაინც გამოუსხლტათ რამდენიმე, უფრო ქალები, უვნებელნი ფიზიკურად, მაგრამ რევოლუციის სამუდამო დამღით სულზე.

ბებიაჩემის ბუნებაში, მაინც, უფრო ძლიერი იყოს სანთლის მეტაფორა, შეშას რომ დაჩეხავდა სარდაფში, მერე ჩემთვის ქირით გამოტანილ როიალზე უკრავდა, უფრო ხშირად, შოპენს, რაც რამდენიმე ათეული წლის შემდეგ გამახსენდება.

სტოკატოს ნემსებს შეეხევა ხავერდის ლანდი

თუნდაც, შოპენის, სისხლის წვეთი ძაფივით პირთან...

დედას დათრგუნულობამ სიკვდილამდე არ გაუარა. ვერც სილაღე, ვერც მუსიკა, მხოლოდ თავგანწირულობა და თავდახრის უნარი ეტეოდა შიშით დავიწროებულ ბუნებაში.

მოვიდოდა საავადმყოფოდან შემკრთალი, ფერდაკარგული: — დღეს ოჭოლას ცოლი მოვიდა, გავსინჯე, ტუბერკულიოზი აღმოაჩნდა და ხმამაღლა თქვა, ყველას გასაგონად: - ჩვენა ამათი ყმები ვიყავითო.

მერე კარის ყოველ დაკაკუნებაზე კანკალებდა.

რომელიმე ავადმყოფი მადლიერების ნიშნად წიგნს ან ყვავილებს მოუტანდა, საჩუქარს ხომ დაუბრუნებდა, ახლა იმისი ეშინოდა, ვინმემ არ გაიგოს და არ იფიქროს, რომ ამის საბაბი მივეციო.

მამაჩემის ხასიათი ღვინის ყვავილებივით ეხატა თეთრ სუფრას. მერე ეს ლაქები ლურჯდებოდნენ და რომანტიულიც კი ხდებოდა მოგონება მის ღვინისმოყვარულობაზე. სიხარულის ნაკლებობას ივსებდა, ალბათ.

მე მგონი, ღვინის ყვავილებისგან და შიშის აბლაბუდისგან დაწნული თოჯინასავით დავიბადე. ერთადერთი, რითაც მაშინებდნენ, 1917 წლის რევოლუცია იყო და, მაინც, მოვესწარი მის გამეორებას (თუნდაც პაროდიულს), საკუთარ ნერვებზე გადავატარე. დედამ მისი სათავე დაინახა და დაიშალა, ფეხები მოერღვა, სისხლძარღვები მინასავით მყიფე გაუხდა, გაუნძრევლად იწვა, მხოლოდ ხელები წრიალებდნენ, ნითელი საბნის ზედაპირზე. ერთადერთი, ლაპარაკი შეეძლო, მე კი ამისთვის არ მეცალა. ახლა ვნანობ ამას, ახლაღა მივხვდი, რომ როგორც კი დამინახავდა, ლაპარაკს მონატრებული ყელი ისე უთბებოდა, თითქოს ქარვის მძივი ეკეთა. ძალიან მენატრება ახლა, მაგრამ ისევე უნუგეშოდ, როგორც ჩემს თავში მოკუნტულ ბავშვს ჩემი დედობა. სადღა შემიძლია. ყველა ზღაპარი დამავიწყდა, ბოროტის გარდა. ისევ ტელევიზორს ვაყურებინებ, როცა კლასიკის ეკრანიზაციაა, ან მელოდრამა - სიკეთის ილუზია სისხლის, ძალადობის, სისასტიკის გარეშე...

## IV

ცხენკაცს იმდენი ტკივილი დაუგროვდა, რომ ტანშიც აღარ დაეტია. ცხენში გადავიდა. აქამდე აზრად არ მოსვლია, ცხენს მიხორცებული ტანი აეშვა და ჩვეულებრივ ადამიანად ქცეულიყო. მაინც გააკეთებდა ცხენებს თიხისგან, პლასტელინისგან, ბრინჯაოსგან.

სულით ხორცამდე ქალაქელი იყო. სოფელიც კი არ ჰქონდა. ალბათ, ამიტომ უყვარდა ასე მიწა, არამარტო ბალახიან-ყვავილიანი, გადაბიბინებული, არამედ სიცხისგან დახეთქილი და სიცივისაგან დამზრალიც. ძალიან რომ გაუჭირდებოდა ქალაქში სუნთქვა, ცას გაჭრიდა და მთებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადალმა გავარდებოდა. ორი ცხენკაცი დაფრინავდა მის მეხსიერებაში, მაგრამ მათი ცხენები ლურჯი იყო და მსუბუქი მუცლები ზამბახებით ჰქონდათ ამოვსებული, მისი - ბრინჯაოსფერი და მძიმე.

როცა ქალი სხვას გაყვა, უფრო ხშირად, ივნისის დასაწყისში გარბოდა ქალაქგარეთ და ყაყაჩოები ქალის წითელ ფრჩხილებს აგონებდა. მან კარგად იცოდა, რომ ოჯახური ცხოვრებისათვის არ იყო გაჩენილი. ყოველ დილას სახლიდან ვერ გავიდოდა და პურს და რძეს ვერ მოიტანდა, უფრო მნიშვნელოვან საქმეებზე რომ არაფერი ვთქვათ. ბოჰემაც არ ეხატებოდა გულზე, ღვინოს ცოტას სვამდა, მაინც სულ შეზარხოშებულივით იყო. ქალაქში მძიმედ დადიოდა, ქალაქგარეთ - ჩიტებზე დაბლა, ჭიანჭველებზე მაღლა. არასოდეს არ იტყოდა, რატომ. ამის ამსახველი ფრაზა, ჭიანჭველას რომ ფეხი არ დავადგა - ძალიან გაცვეთილი ეჩვენებოდა.

როგორი სიყვარული ჰქონდათ! ჩიტებივით ცხოვრობდნენ, რომლებიც არც თესენ, არც მკიან, მაგრამ მშივრები არ რჩებიან. "შეხედეთ ფრინველთა ცისათა". ბიბლია ქალს უფრო უყვარდა. მართალია, მას არც ფრთები ამოსდიოდა ამისგან და არც ცხენი ეხატებოდა წელთან, მაინც მსუბუქი იყო და გარემოს გარდამქმნელი. როცა მოდიოდა, პატარა ოთახის ჭუჭყისფერ შპალერზე გვირილები იხატებოდნენ. ყაყაჩოს თვითონ გავდა და ამდენი წითელი ფერი დაახრჩობდა ოთახს. ამიტომ ყაყაჩოებიან მინდორს, მხოლოდ, მაშინ აგონებდა კაცს, როცა არ იყო. გარედან რომ ვინმეს შემოეხედა, ფანჯარაში ან კარის ღრიჭოში, დაინახავდა, რომ ისინი იყვნენ და არც იყვნენ, დაბალ განიერ ტახტს ცეცხლი ეკიდა და ბუნების სუნი იდგა, რომელსაც ინით შელებილი თმა გამოსცემდა.

ჩაის და ყავას გამჭვირვალე ფაიფურის ფინჯნებით სვამდნენ, არასოდეს დიდი და უხეში თიხის ჭიქით, რომლის კედლებზე, შეიძლება ხელებიც გაითბო. ბროლის ჯამებიდან გარგარის და მარწყვის მურაბები ანათებდნენ, ფაიფურის ყვავილებიანი დაფიდან - ყველის ნაჭრები.

ორივეს მოსწონდა ასეთი ცხოვრება. ნარინჯისფერი პეპლების ხვატი საწოლის თავზე, მაშინაც კი, როცა ყინულის ლოლუები იხედებოდნენ ფანჯარაში... ზოგჯერ, ვიწრო ოთახში ქალი ცხენს შეასკდებოდა - ბრინჯაოს ისეთ ხორკლიან სიმაგრეს, რომ დაკაწრულ-დალილავებული სახით დადიოდა რამდენიმე ხანს. კაცს არ უჭირდა ზავის თეთრი ბაირაღის გამოფენა. უფრო იმიტომ, რომ ქალი არასდროს წუწუნებდა, რომ ოჯახი უნდა, სახლი, ბავშვები. ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ კაცი სადმე, სალუდეში შევიდოდა, სადაც მაგიდები ბინძური იყო და ზედ ბუზები ენებებოდნენ, ტარაკნების სირბილით და დაუბანელი ტანების სუნით იყო სავსე იქაურობა, იაფი სიგარეტის მყრალი კვამლით და ისეთი ჟარგონით, რომ შორიდან მოთვალთვალე ქალს, გაფხაჭნილ ყურებზე, სისხლის წვეთები აჯდა.

მისი ცხენკაცი, ზუსტად ისეთივე ხდებოდა, როგორც ყველა იქ მჯდომი, რადგან ცხენს ვერავინ ვერ ხედავდა, მხოლოდ, ოდნავ მაღალი იყო სხვებზე, თითქოს, თითის წვერებზე დადიოდა და სხვა არაფერი, არც სხვისი ცოდვის მტვირთველს გავდა და არც სხვისი ტკივილის ტანში დამგროვებელს: ეტყობა, ისვენებდა თავისი მითისგან, რომელიც მისი ჯვარიც იყო, ზოგჯერ, სიზიფესავით იხსნიდა და სანამ მის ასალებად დაიხრებოდა, თუ უფსკრულში ჩავიდოდა, მარტივი კაცის ცხოვრებითაც უნდოდა ეცხოვრა.

სალუდეში დროდადრო ქალი შემოდიოდა, ვულგარული, ჭრელი, მაგრამ რაღაც აკლდა მის სიჭრელეს, რომ ჰეტერა ესმერალდას დამგვანებოდა. იქნებ, ჭუჭყიანი გარემო უკარგავდა ფერს. ამიტომ თმის ღერივით საზღვარზე უნდა ევლო ვულგარულობასა და სინატიფეს შორის. სალუდე კი ყველაზე შესაფერისი ადგილი იყო იმისთვის, რომ კაცს ვენერიული დაავადების ჭია შეძრომოდა თავში და იქამდე ´ეღრღნა ტვინი, სანამ მიძინებულ გენიალობას არ მიადგებოდა.

სახლში დაბრუნების დროც მოდიოდა. ჯერ კიდევ ქუჩიდან ხედავდა კაცი ფანჯარაში ბრონწეულის ტოტივით ქალის თავს, რომელიც აღარ ჩანდა, ახლა არც მაინცდამაინც ჭირდებოდა. შემოქმედებაში ხელს შეუშლიდა. რთული იყო ცხენის კეთება, თან ყოველი ბოლო, წინაზე უკეთესი უნდა ყოფილიყო. ქანდაკების დამთავრებისას ეძებდა ადგილს, სადაც ისარი უნდა მოხვედროდა და კინოვარის წითელ ლაქას ახატავდა ზედ - წინასწარი განცდა სასიკვდილო ჭრილობის...

დღევანდელ ცხენს კი პეპელა დაახატა შუბლზე.

მერე ტელეფონთან მივიდა. ლაპარაკი არ უყვარდა ტელეფონით, მხოლოდ აუცილებელი ინფორმაციის მიღება, მაგრამ ქალი არ ჩანდა და შიში დაეუფლა, უმართავი, ტრადიციის შემრყევი. თუმცა, რა ტრადიცია უნდა ჰქონოდა დროისა და სივრცის გარეშე მცხოვრებ კაცს. ეს უფრო ჩვეულება იყო, დასრულებულ ცხენს ყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველთვის ქალთან ერთად უყურებდა. შამპანურის ბოთლსაც მიამსხვრევდნენ ხოლმე გვერდებზე, როგორც გემს, რომელიც ზღვაში გადის. სად დაიკარგა ქალი? ალბათ, რაღაც ეწყინა. მაგრამ მან ხომ მხოლოდ მიახატა ცხენს ჰეტერა ესმერალდა. ეშმაკთან გარიგება არ დაუდვია და არც აპირებდა ამას. ქალმა ყურმილი აიღო.

- ცხენი დავამთავრე.

- მერე?

- ისეთი უჩვეულოა. ბრინჯაო მიწისკენ ექაჩება, პეპელა - ცისკენ.

- მაინც დაახატე პეპელა?

- აბა, როგორ ვუშველო თავის ტკივილს, რომელიც ტვინს მიღრღნის?

- შენი ბრალია. სალუდეში არ უნდა შესულიყავი.

- დამცხა. ცივი ლუდი მომინდა. მეც ხომ ადამიანი ვარ.

- მაგრამ ისიც ხომ იცოდი, რომ არლნის ჩიტივით ჭრელი ქალები მარტო იქ დადიან.

- ის პეპელა იყო, სრულიად უხორცო. არავითარი სექსი. ავადმყოფობა გატეხილი შუბლიდან შევიდა ტვინში, გახსოვს ვიღაც ძალიან გამჭრიახმა კაცმა ცხენის ჭიხვინს რომ მიამგვანა ჩემი ხმა და ქვა მესროლა?

მოუთმენლად ელოდა ქალი, ისეთი რამ ეთქვა თავის გასამართლებლად, რომ დაეჯერებინა. რამდენიმე წუთში იქ იყო, პატარა ოთახში, რომელიც ავეჯს ვერა, უამრავ ცხენს კი იტევდა.

გასერეს ჰაერი, მცხეთისკენ წავიდნენ. იქ ერთი რესტორანი ჰქონდათ შეგულებული. ზაფხულში არსად არ გრილოდა ისე, ზამთარში ძალიან ციოდა, მაგრამ ბუხარში ცეცხლს ანთებდნენ, სახის და ტანის ნახევარი მხარე უთბებოდათ, რომელიც ცეცხლისკენ და ერთმანეთისკენ იყო მიმართული, მეორე ნახევარი ისეთი გაყინული ჰქონდათ, რომ გამოცნაურებას ვერ ბედავდნენ ცნობისმოყვარეები. ძალიან ცოტა ხანს შეეძლოთ უერთმანეთოდ ყოფნა. როცა კაცი მუშაობდა, ქალი ტახტზე იყო წამოწოლილი და წიგნს კითხულობდა. როგორ მშურდა ამ ფუფუნების და ყველაფრის, რაც გააჩნდათ, ფინალის გარდა.

ტრადიციამ, დროისა და სივრცის მეფემ, თავისი გაიტანა. ქალი უნდა გათხოვილიყო და შვილები ყოლოდა. ყოველი მხრიდან ჩასჩიჩინებდნენ. ვის დაუჯერებდა, მაგრამ მომაკვდავი დედა შეეცოდა, გათხოვდა. კაცი დიდი ხნით წავიდა ქალაქიდან. როცა დაბრუნდა, ქალი ფეხმძიმედ იყო. მაინც მოუნდა მისი ნახვა. ტელეფონმა დარეკა თუ არა, ქალს ყურმილი არც აულია, ისე გავიდა სახლიდან, როცა სავარძლიდან ადგომაც კი უჭირდა.

ბავშვს რომ აჩენდა, ექიმები აშკარად ხედავდნენ, რომ არა ქმარი, დერეფანში ბოლთას რომ სცემდა, არამედ სულ სხვა კაცი ეხატა თვალებში. კაცსაც ეყოლა შვილები ჩვეულებრივი შავგვრემანი ქალისგან, მაგრამ ცოლი არ შეურთავს.

ერთხელ, შემთხვევით, წიგნის მაღაზიაში შეხვდნენ ერთმანეთს. ქალმა უთხრა: - ისეთი ბავშვები ვერ გავაჩინე, რომლებიც ფორთოხლების კოცონს ახტებიან.

- ვერც მე. - ასე დაცილდნენ. არ იცოდნენ, რომ წლების მერე კიდევ გაეხარდებოდათ ერთმანეთის დანახვა და ლაპარაკი, ლაპარაკი, ლაპარაკი... როგორ მათბობს ეს ამბავი ახლა, ჩემს ბნელ და ცივ ღამეებში.

ტყვიების წითელი ხაზები გავლებულია ჩემს თავზე, მშვიდობიანი მავთულების ნაცვლად, ქალაქი ინგრევა. ველოდები, როდის მოვა ჩემი სახლის ჯერი. გული მეკუმშება ისე, თითქოს, ვიღაცა წურავს ლიმონივით, მერე ისვენებს და თავიდან იწყებს. მერე ლოგიკა ჯობნის შიშს. რაც არ უნდა მოხდეს, სანამ მე-12 სართულის კიბიდან მიწამდე ჩავაღწევ, ყველაფერი გათავებული იქნება. ჯობია, სახლში დავრჩე და წიგნი წავიკითხო. ძველებური ფუფუნება ტახტზე წამოწოლილი კითხვისა, არ არსებობს. სანთელს ვერ მოიმარჯვებ თვალებთან, თან გაიყინები. ამიტომ ჩაცმულ-დახურული ვზივარ და ვკითხულობ. რას? სრული შეუსაბამობა გარე სამყაროსთან. ყველას რომ ჰგონია, ნერვები ამოვალაგე თავიდან, იატაკზე დავაწყე და მატყლივით ვპენტავ შინდის ჯოხით, სულ ტყუილია. ბესიკ გაბაშვილს ვკითხულობ ყოველ ღამე. არასოდეს არ ვგიჟდებოდი მასზე. ენის გასატეხივით თუ ვიმეორებდი ზოგჯერ ალიტერაციულ ლექსებს, ლამაზად ჟღერდნენ, თარზე რომ დაუკრა და სადაფის წვიმა წამოვიდეს.

ამ ოთახში, უსინათლობაში, სიცივეში, უიმედობაში ერთ რამეს მივხვდი - ერთადერთი სიყვარულის პოეტი ქართულ ლიტერატურაში ეგ იყო. კიდეც იბრძოდა, რაღაც დიპლომატიურ მისიასაც ასრულებდა, მაგრამ მხოლოდ ყოფაში. ლექსში ერთხელ არსად არ გაიელვებს ხმლის წვერი, პოლიტიკა, პატრიოტული მოტივი, ასეთი პატივცემული ქრესტომათიისგან. მხოლოდ სიყვარული, ლამაზი ქალის სხეული, ისე განათებული შიგნიდან, გეგონება გულის ადგილას ნათურა ანთია, სიტყვების მარცვლები ისეა მომრგვალებული, როგორც მკერდში და თეძოებში ჩაწყობილი ოქროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუნდები. მხოლოდ, ერთი მინიშნება იმაზე, რომ არც თუ ბედნიერი ქვეყნის შვილია - სევდის ბალი. სევდის ბალში ცხოვრობს, მიუხედავად იმისა, რომ ეპიკურეული ტკბობა შეუძლია ხორციელი სილამაზით.

- ნუთუ, ასეთ ომსა და უბედურებაში ინერებოდა ტანო-ტატანო?

რიტორიკული შეკითხვა საკუთარ თავს.

მეზობელი შემოდის, ჩემს ნავთქურაზე ხელების გასათბობად, თვითონ ნავთი გაუთავდა, და თითქოს, რაღაც მოელანდა, შეშინებული უკან იხევს. მივდევ. ვერ ვაჩერებ, სულ კი მაქვს იმის შეგრძნება, რომ აბსურდის თეატრია ჩემი ცხოვრება, მაგრამ რაღაც მნიშვნელოვანი როლი ხომ არ მომცეს ამ ბოლო დროს? სარკეში ვიხედები და ვქვავდები. სახის ნაცვლად სრულიად გაუმჭვირვალე ლაქა მადევს, არა ნილაბი, თვალების და პირის ჭრილით, არც კი ვიცი, როგორ ვსუნთქავ, ან ვხედავ, მაგრამ რახან ამას ვახერხებ, იქნებ, შემიძლია ახალი და ყველაზე სასურველი სახე დავიხატო, მაგ. მშვენიერი ელენესი, ქუჩაში გამოვიდე და ომიც კი შევწყვიტო, ან გავართულო, ჰომეროსს თუ დავუჯერებთ.

მაგრამ უცხო სახის მიღება, თუნდაც იდეალურის, იგივეა, რაც უცხო ქვეყანაში ცხოვრება, სადაც შენს მიღმა იყურებიან, თითქოს ლანდი ხარ, გაგჭოლავენ და ისე გაივლიან, რომ ფრჩხილიც არ წამოგტკივდება. პარიზში მოტოციკლეტმა გადამიარა, მე კი ფეხზე ვიდექი. ამას ჯობია, სძულდე, წიგნები დაგიწვან, მაშინ კიდევ გრჩება შანსი ფერფლიდან აღდგომის.

ღმერთს ვთხოვ, ჩემი დაკარგული სახე დამიბრუნოს. მარტო მე არ ვარ ასეთ დღეში. ღამე არ ჩანს, მაგრამ როცა გათენდება, თვალები ფერადი მძივებივით ყრია ქუჩაში. ბოქლომით დაკეტილი პირები მიტოვებულ სახლებს გვანან. თვითონ არ მოვითხოვდი ღნიოში პირების გაუქმებას? საკუთარ თავზე ვიწვნიე. ამას კიდევ ავიტან, თვალის ჩინს თუ დამიბრუნებ, ღმერთო! რომელსაც, როგორც უკანონო სიმდიდრეს, კონფისკაცია გაუკეთეს. ოღონდ, თვალები სხვებში არ აგერიოს, ყავისფერი იყო, მხედველობა - 7, ადამიანებს ბუნდოვნად ვხედავდი, სინათლეს ისე მკაფიოდ, რომ თავი მტკიოდა.

ის თავის ტკივილი მენატრება.

ისტორიისთვის ჩვენი აბსურდული ყოფა კი არაფერს ნიშნავს და არც არაფრის გაარაფრება დიდი ტრაგედია.

ჩემს შეშინებულ მეზობელთან შევდივარ, გულუბრყვილოდ ვეკითხები: - რა მოხდა, სად გაიქეცი?

- სახე არ გქონდა.

- ეს ხშირად ხდება, ოღონდ ვერავინ ამჩნევს. ზოგჯერ სახეს ვიხსნი ხოლმე და ვასვენებ. მაცივარში ვდებ, რომ ყინულმა ნაოჭები შეისრუტოს, თვალებისსკლერა გაიწმინდოს, მერე ისევ ვიკეთებ და ახალ გამოშვებული მონეტასავით პრიალებს. არ შეგიმჩნევია?

შეშინებული ქალი ვერაფერს ვერ ამჩნევს, მაგრამ, სასწრაფოდ მეთანხმება, გულში ფიქრობს: - კიდევ ერთი გიჟი მოემატა გაგიჟებულ ქალაქს. მე კი კმაყოფილი ვარ მოხდენილი შთაბეჭდილებით. თითქოს მთავრობის დავალებას ვასრულებ. შოკურ თერაპიას ვახორციელებ.

## V

ერთხელ პარიზშიც კი აღმოვჩნდი ამ უდროობაში. ეს იყო შარშან, შარშანწინ, ან, იქნებ, მერმის, არ მახსოვს. ბარნოვის ქუჩიდან გადავედი ქუჩაზე, რომელსაც ქვია: "ეძებე შუადღე" ("შერშ მიდი").

ხომ არის ჩვენთან ბესიკის ქუჩა, მაგრამ ქუჩას რომ "სევდის ბალი" ერქვას, ასეთი რამ წარმოუდგენელია. სამაგიეროდ, ლენინის ძეგლს ჩამოვაგდებთ და მისი სახელობის მოედანს თავისუფლების მოედანს დავარქმევთ, რომელი წახნაგით შეგვეხება ამის გამო თავისუფლება? მერიდება კიდეც ამ გატყლარჭული სახელის გამეორება. იქნებ, ძველი, ბერიას მოედანი ჯობდეს. სისხლიან აჩრდილებს წამოატივტივებს, ძვირფას აჩრდილებს - თავგაპობილებს, ყურგახვრეტილებს, თოვლში ჩაყინულებს...

ისიც კი აღარ ვიცი, პარიზში ვიყავი თუ თბილისში ჩამოვიტანე იგი. შუქის გრაფიკში ჩავტენე. როცა სინათლე მოდის, რამდენიმე საათით ამოვიღებ მას, რუქასავით გადავშლი და დავდივარ მის ქუჩებში, მონატრებული მხატვრების გამოფენებზე, კაფეებში. როცა განსაკუთრებით ცუდად ვარ, პირიქით, თბილისი ჩამაქვს პარიზში. მაშინ მეჯახება მოტოციკლეტი, მტკივდება თავი, ჩემს მუცელში, შეცდომით ჩაყრილი კნუტები ისე მწარედ იფხაჭნებიან, რომ ანატომიას მიცვლიან. ბავშვის ნახატს ვგავარ - ერთი დიდი წრე (შიგ ჩაყრილი მოჟღარუნე გულით, ნაწლავებით, ფილტვებით, თირკმელებით), რომელსაც ადგას მეორე პატარა წრე, თავი, ანუ ნერვების გორგალი, ფეხების და ხელების ჯოხები ისე ხატია, პროპორციის დასაცავად, თორემ ამხელა ტანის ტარება ფეხებს უჭირს, ხელებს ყვავილის დაჭერა თუ შეუძლიათ, უფრო მძიმეს ვერაფერს ვერ მოერევიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი დავდივარ ქუჩაში. თბილისში არავის არაფერი არ უკვირს. სხვაგან ინვალიდი ვგონივარ და ფულსაც კი მიწვდიან, როცა უარს ვეუბნები, გაკვირვებულები, სასწრაფოდ, მეცლებიან, მაგრამ როცა პარიზმა, პირველად ჩამოსულს, ცოტათი ბეცს, ცოტა დაკომპლექსებულს, უიმედოს და დეპრესიულს, თავი დამანახა, შემეშინდა, გული არ გამისკდეს-მეთქი.

რა შემრჩა ძველი ცხოვრებიდან?

შაკიკი
და თეთრი მაქმანის საყელო
მუქ კაბაზე,
როგორც პატარა მონაკვეთი
ორ ტკივილს შორის...
ამ მონაკვეთისაა ეს ქალაქიც,
გეგონება,
სინათლის გუნდა გესროლეს,
ან სურათი გადაგიღეს
და ობიექტივიდან
ერთი ჩიტი კი არა,
ბევრი თეთრი ფრინველი აფრინდა
ალბათ, ამ წუთში უნდა მოკვდე
და ისე განათდება მკრთალი მაქმანი,
თითქოს, წმინდანის ყელზე დაეფინა...

ვერ შევასრულე ეს სიტყვა, ვერ მოვკვდი. მაინც, ძალიან სცილდება პოეზია და ცხოვრება ერთმანეთს. ზოგჯერ, მათ შორის უფსკრულია, რომლის კიდეზე ჰალუცინოგენური ყაყაჩოები ცეკვავენ. წითელი და შავი, წითელი და შავი... ჩემი გმირი ქალი, რომელსაც ცხენ-კაცი უყვარდა, ძალიან მაგონებს მადამ დე რენალს. რატომ არის სიყვარული ყოველთვის ტრაგიკული? იქნებ, ისიც ტყუილია, როგორც ლექსი, როგორც, საერთოდ, ხელოვნება და რაც უფრო ოსტატური ტყუილია, უფრო შემზარავი, მით უფრო დამაჯერებელია (შვილების დახოცვა, დედასთან ინცესტის მერე, თვალების დათხრა). შენც ხომ ტყუიხარ როცა ამბობ, რომ აყვავებული ხე უნდა დაიჭირო ხელში და მიხვიდე კაცთან, რომელიც გიყვარს, მაგრამ, იქნებ, ეს იმ საქციელის მეტაფორაა, ცხრა თვის ფეხმძიმე, სკამიდანაც რომ ვერ დგება და ტელეფონის პირველივე ზარზე გარბის, საყვარელ, მაგრამ უკვე დიდი ხნის გაუცხოებულ კაცთან? ტყუილი სიმართლედ იქცევა, ჭეშმარიტებად. ასეთი სიმართლეა ისიც, რომ მიყვარს მინა, რომელზედაც დაბეჟილი ვაშლები ყრია, უფრო მეტად, ვიდრე აყვავებული. ბევრს არ სჯერა ჩემი. მეტაფორა გაოცებას კი იწვევს, მაგრამ ნდობას და თანადგომას ანადგურებს.

ქუჩაში მივდივარ. სახლი მაინც ის ციხეა, საიდანაც, ზოგჯერ, შეიძლება გამოსვლა. სროლა უკვე აღარ ისმის, ომი დამთავრდა სიმღერასავით ამეკვიატა: "ომი გათავდა, მშვიდობისა გეშინოდეთ, ხალხო!" ალბათ, არის ისეთი აზრიც, რომელიც ჯერ ტანით უნდა იგრძნო. ქუჩები დანგრეულია. ყოველ ნაბიჯზე ქვიშისა და ცემენტის გროვები დგას... ბავშვი გაივლის და ისე გაულიმებს მათ, როგორც ცოცხალ მთას. ამღვრეულ დროში ფული იოლად იშოვება და მშენებლობა, ლამის ნგრევის პარალელურად იწყება. თავიდან მახარებდა ეს, მაგრამ წიგნის მაღაზია რომ აღარ დატოვეს ქალაქში, შემეშინდა. ვერ წარმომედგინა ჩემი ქალაქი ამ ნახევრად ჩაბნელებული, ბუნდოვანი, რატომღაც, ყოველთვის, გრილი შენობების გარეშე. ბუკინისტურ განყოფილებაში ტყავის, თუთუნის და სიძველის სუნი რომ იდგა, ოდნავი, როგორც აქროლებული სუნამოსი. აქ გამყიდველებიც სხვანაირები იყვნენ, განსხვავებულები გასტრონომების თუ უნივერმაღების გამყიდველებისგან, თუნდაც ძალიან ზედაპირულად, მაგრამ, მაინც, წიგნთან ურთიერთობაში ჩამოყალიბებულები. ზუსტად ხვდებოდნენ, რომელი წიგნის საყიდლად შემოხვედი, რომლის დასათვალიერებლად და რომელზე ცხვირის ასაბზუებლად.

საქმეში ჩახედული ხალხი ამბობდა, რომ როგორ მალეც არ უნდა გაიყიდოს პოეზია, მაინც წამგებიანია გამომცემლობისათვის. თურმე ამ სიტყვების აზრიც ტანით უნდა მეგრძნო, როგორც ახლა მოხდა, როცა აღმოჩნდა, რომ პოეზიაც და პროზაც, ლიტერატურა, ოღონდ არა ის, რომელსაც "სხვა დანარჩენად" მიიჩნევს ვერლენი, არამედ ნამდვილი, ნიუანსების, ელფერებისა და პაუზებისაგან შემდგარი, მხოლოდ ზარალია ვაჭრობაზე გადასული ქვეყნისათვის.

და, მაინც, ეტყობა, ტყუილად არ გამოვსულვარ სახლიდან. ტანსაცმლის მაღაზია, კაფე-ბარი, ქსეროქსი და, უცებ ბიბლიოთეკა. ისევ იქ, სადაც ყოველთვის იყო, ჭავჭავაძის გამზირზე, ტროლეიბუსის გაჩერებასთან. თვალებს არ ვუჯერებ, შევდივარ, ვკითხულობ, - აქ მარტო გაზეთებია, თუ წიგნებიც? - რა თქმა უნდა წიგნებიც - მპასუხობენ.

წიგნის კითხვა სახლში მირჩევნია, მაგრამ ისე გამახარა ბიბლიოთეკის პოვნამ, რომ რაღაც წიგნს ვიღებ თაროდან და სკამზე ვჯდები, ალბათ, წიგნების რაოდენობაც და თემატიკაც ისე იქნება შეზღუდული, როგორც ციხის სამკითხველოში და, მაინც, მიხარია, ვფურცლავ წიგნს, ლიდერინის ყდაში ჩასმულს, ლამის ვიკითხო, კოლენკორისყდიანი წიგნებიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაქვთ-მეთქი. რა წერია ამ წიგნში, ახლა ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, არც ავტორი მაინტერესებს, არც სახელწოდება, მთავარია, რომ ჭავჭავაძის ქუჩაზე, ტროლეიბუსის გაჩერებასთან ვიპოვე ბიბლიოთეკა, რომლის სული, მეგონა დიდი ხანია მოიხარშა რესტორნის სამზარეულოში.

სულ მეგონა, რომ პუშკინის მიერ სიკვდილის წინ ნათქვამი:

- მშვიდობით, მეგობრებო! ვიღაცის მოგონილია, ვინც სცენა მიუშენა საწოლთან მომაკვდავ პოეტს. ნუთუ შეიძლება კვდებოდე და მხოლოდ, წიგნებთან გენანებოდეს განშორება?

ისევ ტანით ვიგრძენი თუ დავიჯერე, როგორი მართალი და სასოწარკვეთილია ეს ნათქვამი, მაშინ, როცა ბიბლიოთეკა აღმოვაჩინე ჩემი გაციებული ქალაქის ქუჩებში და ისე გავუღიმე მას ბავშვი რომ გამოივლის და ქვიშის მთას, ცოცხალივით გაუღიმებს, როგორი მარტოხელაა, ზოგჯერ, ბავშვი, რომელსაც უამრავი ხალხი ახვევია, უვლიან, ელოლიავებიან, ცივ ნიავს არ აკარებენ, მაგრამ მკაცრად სჯიან ტყუილისთვის. ის კი არ ტყუის, თავის სამყაროს იშენებს: ჭიქის თუ ბოთლის ნამტვრევებისგან, ზღვის კენჭებისგან, ლამაზყდიანი წიგნისგან, ჩიტივით საკუთარი ნერწყვით აწებებს ამას ყველაფერს და სადღაც, ჩვენს არსებობაზე მაღლა, ბუდეს იკეთებს. ჩვენ კი ვუნგრევთ, ფიცის ფორმულას ჭეშმარიტებასავით ვუჭედავთ თავში: დედას ვფიცავარ, მამას ვფიცავარ, ტყუილს აღარ ვიტყვი და მავნე ტყუილისკენ ვუბიძგებთ, რადგან ის ადამიანებს (მშობლებს) უფრო გაიმეტებს, ვიდრე საკუთარ ჭეშმარიტებას და უკვე უკანმოუხედავად ტყუის. მას, ჯერჯერობით ვერავინ ვერ დაარწმუნებს, რომ ყოფა უფრო მართალია, ვიდრე ფანტაზია.

ბებია რომ გარდამეცვალა, დედა, დროდადრო, თავის მცირერიცხოვან ნათესავებთან მტოვებდა, თვითონ რომ სამსახურში წასულიყო. ერთხელ თავის დეიდასთან მიმიყვანა. ორი დეიდა ყავდა. ერთი ლამაზი, მეორე - უშნო. უშნოს, რომელიც ძლივს გათხოვდა, ქმარი და შვილი ომში დაეღუპნენ, ნერვიულობისგან, თუ თანდაყოლილი უიმედობისგან, თითქმის დაბრმავდა, მარტო ცხოვრობდა და ორი კატა ყავდა. კიდევ ერთი უბედურება სჭირდა, სრულიად უფანტაზიო ადამიანი იყო და ისეთი დაბოღმილი, რომ ყველა სძულდა. ერთი კეთილმოსურნე ადამიანი არ ყავდა, არც ნათესავი, არც მეგობარი, არც მეზობელი.

დედაჩემმა სამსახურის, ანუ პურის ფულის დაკარგვას და ჩემს წეროსავით განელილ ყელზე ჯირკვლების აღმოჩენას, ერთი დღით ჩემი თავისუფლების დათრგუნვა ამჯობინა და ამ ქალთან მიმიყვანა. თან საგზალიც დამიტოვა. კარაქიან პურზე ტაოტივით წასმული ხიზილალა, რომელსაც ბებიაჩემის ბოლო სამკაულები შეეწირა და რომელსაც თუ პირში არ მტენიდნენ, ძაღლებს ვუყრიდი ფანჯრიდან. ახლა დავრჩი მარტო, ე. ი. მშიერი. ერთადერთი განძი დედაჩემის დეიდას რომ გააჩნდა, თავადის გვარი იყო. მხოლოდ ის უყვარდა, საგულდაგულოდ ინახავდა, ზოგჯერ ამოიღებდა ჩუქურთმიანი კარადის უჯრიდან, როგორც ძუნწი ოქროს და მტვერს სწმენდდა, ეფერებოდა, დედაჩემივით არ ეშინოდა მისი.

მე ვგრძნობდი რომ გამორჩეულად არ ვუყვარდი. ჯერ ერთი, ნახევრად პლებეური წარმოშობის გამო, მეორეც, ჩემი ტყუილი, ანუ ფანტაზია, ცნობილი იყო ნათესაობაში (ამ დროს არასოდეს ყოფითი ტყუილი არ მითქვამს, ვერ ვიტანდი წვრილმან მატყუარებს).

მხედველობა მეც მაკლდა და შევეცადე კოზირივით გამომეყენებინა მასთან შემხები წერტილი, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ჩემი ბუტერბროდები კატებს აჭამა და როცა უკვე საკმაოდ მომშივდა, ტაფაზე თხელი ცომი დაასხა, გამოაცხო, დაჭრა, თაფლიანი ქილა გამოიტანა, კატებს დაუძახა და დაიწყო ტრაპეზი. უშაქრო ნამცხვარს თაფლში აწობდა და ხარბად ჭამდა, კატებსაც თანაბრად უნაწილებდა.

რომ არ ავტირებულიყავი, არარსებულ მლაშე პურს ვჭამდი, მაგრამ მისი თაფლიანი ნამცხვრის ჭამა წარმოდგენითაც კი არაფრით არ გამომდიოდა. მას კი ეგონა, რომ კეთილ საქმეს აკეთებდა, ტყუილის ანუ ფანტაზიის უძლურებაში მარწმუნებდა, ყოფის თვალსაჩინოების წინაშე. გამოუვიდა კიდეც, საკუთარ თავში დამაეჭვა, ჰოფმანის ზღაპრები, რომლებსაც მაშინ ვკითხულობდი, ფანჯარაში ვისროლე, ოლეანდრის ხე კინაღამ დამიჭკნა, ისე მივაგდე. სამუდამოდ დამამახსოვრდა ის ერთი დღე. ხელმეორედ, ჩემი ასეთი დათრგუნვა, მხოლოდ, რევოლუციამ შეძლო.

რევოლუციას ის ხალხი ახდენს, რომელსაც თავისუფლება ციხიდან გამოსვლა ჰგონია. როცა, ზოგჯერ, პირიქით ხდება. ციხეში წლობით ჩაყუდებული, გაქცევაზე მეოცნებე კაცი, ბოლოს, მართლაც რომ მოახერხებს გაქცევას, გამოვა ისეთ ვრცელ და ერთფეროვან ტრამალზე, სადაც ერთ ნაოჭს, ერთ კუთხეს ვერ მონახავს ჩამყუდროებისთვის. ეს სივრცე, თავისუფლების ჰიპერბოლა, ისე არ გავს მის მიერ ციხეში მო-

ბიბლიოთეკა

გონილს, რომელსაც თავის ხორცს და ტვინს აჭმევდა, რომ იგი ისეთივე წვალებით, როგორც გამოიქცა, ციხეში შეიძლება შებრუნდეს.

ჩემთვის რომ ეკითხათ, ქალაქის ყველაზე დიდ მოედანს თავისუფლების ნაცვლად აღდგომის სახელს დავარქმევდი, ან ხარების, ან ვარდების, ხომ დარგეს აქ ოდესღაც რამდენიმე ჰექტარი ვარდი, მაგრამ უკვე აღარ მახსოვს, ცხადში იყო ეს, თუ სიზმარში. მწითურ ბავშვებს ჰგავდნენ, ძილშიაც რომ ვერ იქრობენ თმის ძირებს და ჭორფლის კოპლებს, ამიტომ ეშინიათ მათი ადამიანებს, სახლის ბუდეში ვერ ჩადებენ თბილად და მორგებულად და ცოდვის შვილებივით ქალაქს მიუგდებენ... ახლა რეკლამების ძეგლები დგანან ამ უპატრონო ბავშვების საფლავებზე. ამასაც, ალბათ, თავისუფლებას ეძახიან ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში.

თაფლში ჩაწყობილი პური, ჩემთვის ყველაზე მიუწვდომელი და, ამიტომ ყველაზე სანატრელი სიტკბო. ერთ ზაფხულს ვთქვი, დღე თითქოს თაფლის გაგრძელებაა ჩემი ქილიდან.

თაფლიც მაქვს, პურიც, რძის და კარაქის სუროგატიც, ომიც დამთავრდა, დედა გარდაიცვალა, ყოველ ღამე აღარ მესიზმრება, რომ მისი ტანი ცოცხალია, თავი კი მკვდარი, რადგან სისხლი ვეღარ ადის მასში, დაიღალა შვეულობით, ზმნური ბუნებით. შადრევნის ჭავლი ახალგაზრდა უნდა იყოს, როგორც მუშტაიდში, ჩემს ბავშვობაში, ნარინჯისფერ ბურთს რომ ახტუნავებდა. საათობით შემეძლო მეცქირა ამ გაცოცხლებული ბურთისთვის.

აღარავის არ აინტერესებს, სად მივდივარ, რა მიხარია, რა მტკივა. ამაზე ვოცნებობდი, დედაჩემის ზედმეტად მოწებებული მეურვეობიდან თავის დაღწევაზე და ახლა, სწორედ ეს მენატრება, უნუგეშოდ, ციხეში ნებაყოფლობით დაბრუნებასავით. ვრეკავ მის სახლში. - დაბადების დღეზე მივდივარ და მალე მოვალ: ყურმილს ჩემი შვილი იღებს, სულ არ აინტერესებს ან სად მივდივარ, ან როდის მოვალ. მე არსადაც არ მივდივარ, მხოლოდ მინდოდა, შემემოწმებინა, ხომ არ გაედებოდა ტელეფონს ჰაერის ჭავლი, რომელშიც მისი ლანდი ხორციელდება ზოგჯერ. ისე იყო შეწირული ყველასთვის, ისეთი ავადმყოფი ფეხები ჰქონდა და უჭირდა სიარული, რომ უსათუოდ ფრენის უფლება უნდა მიეცათ საიქიოში. მეც ისე მწარედ მომენატრა, რომ ჰაერის ჭავლი აშკარად რაღაცას მოიმოქმედებს. ფარდებს და ჭაღებს გამოედება, სტიქიას გაითამაშებს და ჩემი შვილი უკვე აღარ, მისი პატარა შვილი ისე გაუღიმებს ჰაერს, როგორც ქვიშის მთას უღიმოდა ქუჩაში, რომელიც მისთვის ცოცხალია. მეც იმდენად ბუნების ანაბარა, მის იმედზე დავრჩი, რომ ნელ-ნელა მაგონდება ის ენა, ხეებს რომ ველაპარაკებოდი ოდესღაც.

ერთ დროს, კომფორტით შერბილებულმა სიცხემ და ყინვამ, აიწყვიტეს და ყველაზე სასტიკი სახე მაჩვენეს. სიცხე თავის ქალას მხდის და შიგ მზესუმზირას ყვავილს მიტენის. მზესუმზირასთან ყველაზე მახლობელი ასოციაცია ვან-გოგის მოჭრილი ყური, რომელიც ყინვისგან თეთრად იფშიკება.

"ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას". საკუთარ ტყავზე შევამოწმე ამის სისწორე.

გაჭირვებული, ურწმუნო ადამიანი სულ უფრო ხშირად ახსენებს ღმერთს, ხან იმედით, ხან - საყვედურით.

ღმერთი არ შეიძლება იყოს კეთილი, ან სასტიკი. ის მართალია თავის სიკეთეშიც და სისასტიკეში, ოღონდ, არა მშობლიურ სამ განზომილებაში, არამედ უსასრულობაში.

ჩვენც ხომ მოგვცა საშუალება, მიახლოებითი წარმოდგენა გვქონდეს მასზე - მთის წვერები თუ ხის კენწეროები, ილუზიას გვიქმნიან, რომ შეიძლება დავინახოთ ნამდვილი ცა, ვიფაფხუროთ, ჰიპოთეზებითა და აქსიომებით თავბრუ დავასხათ ერთმანეთს. ფიზიკური კანონის სახელი დავარქვათ იმას, რომ ღმერთმა მიწაში ანდამატი ჩადო და ვაშლი, ციდან ან ხელიდან ჩამოვარდნილი, ცაში კი არ მიფრინავს, მიწაზე ვარდება და ღმერთმა მაინც შეღავათი მოგვცა - სიკვდილის მერე, ცაში სიარულის უფლება, ოღონდ, ხელშესახებ ცაში: სამოთხეში და ჯოჯოხეთში, რასაც მაინც შეჩვეულის იერი ახლავს, უსასრულობაში არავინ არ შეგიშვებს, გინდა ასი ვაშლი შეჭამო და მოგეჩვენოს, რომ ღვთაებრივის საიდუმლოს ჩასწვდი. მაგრამ როგორ გამშვიდებს უსასრულობის მოდელი - ჰორიზონტი, როცა არავითარი სიმკვეთრის და სახის დანახვა აღარ გინდა. არც მავთულის, არც გზის, არც სახლის, მხოლოდ მატყუარა ჰორიზონტის, რომელიც არის და არც არის, მზერას გირბილებს, სულ იოლად გადადის ცაში თუ ზღვაში და არაფერს არ მიჯნავს ერთმანეთისგან.

## VI

კიდევ ასეთი ტყუილია აგარაკი. ხანმოკლე შვებულება სამოთხეში, ცის ისეთ სიცხადეში, რომ აშკარად ხედავ, როგორ ხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმძღვანელობს ღმერთი ფიჭვების ნათესაობას მზესთან, აყვავებული ბუჩქის მოულოდნელობას მოსახვევში, თითქოს, აბრეშუმის ქოლგა გაშალეს, სინათლის ან ჩრდილის წონასწორობას. ამიტომ, ზოგჯერ, მეჩვენება, რომ მეც ასეთივე ჰარმონიული ვარ, ზოგჯერ, პირიქით - უიმედოდ არასრულყოფილი და ვცდილობ, მიწისგან მივილო მუხტი ან მთაზე ავიდე და ამირანის ლანდი დავინახო. უცნაური სასჯელი უყვარდათ ღმერთებს, სამუდამო, როგორებიც თვითონ იყვნენ. რამდენი წელი შეიძლება პალოს მიწაში ასობდეს და არწივს აკორტნინებდეს გულ-ღვიძლს პრომეთე-ამირანი?

მაგრამ, ამ შემთხვევაში, მისი ლანდი, იქნებ რეკლამაც კია სანატორიუმის, სადაც დაავადებული ადამიანები დადიან, შიგნიდან მტკივნეულები, ჩემსავით: ზოგს კატის კნუტები ჩააყოლეს მუცელში, ზოგს - არწივი. ჯერჯერობით სასიკვდილო არ არის მათი ავადმყოფობა. მაგრამ მისი ხანგრძლივობის, ქრონიკულობის გამო, მარადიულობის ილუზია ჩნდება, ამიტომ შეიძლება იმ მარადიულ კაცს უყვარდე, გერქვას სახელი ყამარი, ბროლის კოშკში ცხოვრობდე. რა განსხვავებაა ბროლის და სპილოს კოშკებს შორის? ერთი წარმართულია, მეორე - დეკადენტური.

პრომეთე ღმერთს პარავს ცეცხლს, ამირანისთვის კი ცეცხლი ქალია და თუ ამ ქალად წარმოიდგინე თავი, მთიდან კაცის ლანდი წამოვა ზვავივით, გზადაგზა მიწის ნამცეცებს, იებს, რიყის ქვებს აიკრავს და მაშინ მოვა, როცა დამსვენებლების ნაწილი კინოშია, ნაწილი - ტელევიზორს უყურებს, ოთახებში ჩაკეტილები ყავას სვამენ (რაღაც ხომ უნდა გააკეთონ აკრძალული, რაკი ქალაქის კანონიერი ჩარჩოებიდან ამოვარდნენ) ტყეში არავინ არ დადის ამ დროს. მას ჩუმად მოსვლის სხვა მიზეზიც აქვს: წელის მარჯვენა მხარეს, შეუხორცებელი ჭრილობიდან დაფლეთილი ღვიძლი მოუჩანს, რომელიც მე წითელ-ყვითელ თაიგულს მაგონებს, სხვები კი რას იფიქრებენ, ვინ იცის.

როგორ ვიგებდი მის მოსვლას?

ამ დროს ძალიან ტკბილ ჩაის ვსვამდი და ჟრუანტელი მივლიდა ტანში. ამ ჟრუანტელის ბოლოში აკაკუნებდნენ. მექანიკურად ვკითხულობდი: - ვინ არის?

პასუხს რომ ვერ მივიღებდი, ვხვდებოდი, სიტკბოს ბუნდოვანებიდან გამოვდიოდი და მთის ნაგლეჯივით კაცი იდგა ჩემს წინ. მკერდზე და მხრებზე ბალახი ეზრდებოდა და ისე უხდებოდა, როგორც დროის მწვანე პატინა ბრინჯაოს ქანდაკებას.

მე კი სულ არ ვგავდი ყამარს, ჩემი ნერვები ანათებდნენ, მხოლოდ, ელექტრონისგან გაწითლებული ლითონის სპირალივით, სხვა არაფერი. ცხადია, მას არასოდეს არ მოუვიდოდა თავში ჩემი მოტაცება და ბევრ სინათლედ დაქუცმაცება. ის მოდიოდა ჩემთან სასაუბროდ, როგორც თავგზააბნეული კაცი მიდის ფსიქოანალიტიკოსთან, რომ მოუყვეს მთელი თავისი ცხოვრება, რომლის ფსკერზე ჩაღრმავება უფრო უჭირს, ვიდრე ღმერთთან შებრძოლება.

რატომ დასჭირდა, მაინც ეს ცეცხლი?

ამირანის პასუხი იმპულსურია, გრძნობას აყოლილი: - ქალი მოეწონა, პრომეთე გლობალურ პრობლემას წყვეტს - დედამიწის განათებას. ჩემთან, რა თქმა უნდა, ამირანი მოდის, მაგრამ მეც ხომ უნდა მომეწონოს იგი, თუნდაც, ლაპარაკის იქით არ წავიდეს საქმე. ამიტომ დაკუნთულ, 24 საათი ჰაერზე ყოფნისგან გარუჯულ კაცს ბერძნულ მითებთან ნათესაობის შესახებ ვეკითხები, მინდა, რომ არა აშკარა პრომეთე, არამედ ანგელოზის ბუმბულივით მსუბუქი ორფეოსი გაახსენდეს, რადგან მე არ შემიძლია 100 კგ. ხორცთან და კუნთებთან ურთიერთობა, თუ მას არასდროს გაუგია, რომ შეიძლება კაცი ჰადესში ჩავიდეს საყვარელი ქალის იქიდან გამოსაყვანად, მარტო მოწონება და მოტაცება არაფერს ნიშნავს.

ამირანი ნაწყენია, რომ შემეპარა ეჭვი მის ცეცხლოვან ემოციებში. როგორ ავუხსნა, რომ არ შემიძლია ცეცხლის მდინარე დავლიო და ლაჟღაჟა ბედნიერ ხორცად ვიქცე, მე მხოლოდ იმდენ სიტყვას მოვეფერევი, რამდენიც მეყოფა ხანძრის გამოსახატავად, სანამ სახლთან ერთად დავიწვები.

ამირანი ალღოს ულებს ჩემს განწყობილებას და თავისი სიყვარულის ამბებს მიყვება. უფრო სიამოვნებით საგმირო საქმეებზე ილაპარაკებდა, მაგრამ, ცოტა მაინც ხომ უნდა მასიამოვნოს. ყამარი მისი ბოლო სიყვარული იყო. იქამდე გრძელი გზა გამოიარა. ჰიპნოზიც კი არ სჭირდება, ისე იოლად იგონებს წარსულს.

- დედა ადრე გარდამეცვალა. მე და მამას არავინ გვყავდა ერთმანეთის გარდა. მამაჩემი ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე კაცი იყო, ღამის შავ ნაოჭებში ცხოვრობდა უფრო, ვიდრე მზეში და უამრავი ქალი უყვარდა, რომლებსაც ხელებით ხედავდა და არა თვალებით. თეძოების და მკერდის მოხაზულობით ცნობდა და არა სახით, ერთადერთი სახე მისთვის მე მქონდა, ამიტომაც მხოლოდ, დღისით ვიყავით ერთად.

მამაჩემის თვალებში ვხედავდი ჩემს თავს და ძალიან მომწონდა, მდინარის სარკეს მამა საკუთარი ჩრდილით მიფარავდა, რომ ნარგიზად არ ვქცეულიყავი, წითელი ფოთლების ზვინებს უმზადებდა შემოდგომაზე ქარის ღმერთს, ჩემს თავს უმალავდა სანამ პატარა ვიყავი. იცოდა, როგორ მეშინოდა ღამის და როგორ მიყვარდა მზე, ამიტომ ღამიდან მოტანილ, თავისი ქალების თეთრ ქიტონებს უფრიალებდა მზეს დაზავების დროშასავით, ცეცხლი თუ სადმე გაჩნდებოდა, პირველი ის გარბოდა და აქრობდა. ეტყობა, გრძნობდა, რას უნდა მოვეკალი. სულმოუთქმელად მიყვებოდა ამირანი. ცდილობდა მოელბო ჩემი უნდობლობა. იმასაც გრძნობდა, რომ მე ვიცი, რომ სხვის ამბებს მიყვება, როგორც თავისას: იქნებ, უნდოდა ეჩვენებინა თავისი ნათესაობა მითოლოგიასთან და როგორ მოსწონდა ისინი, ვის ცხოვრებასაც იბრალებდა, რომ თავისი, ნაჯახივით პირდაპირი, ვაჟკაცური ბუნება, შესაძლებლობის ფარგლებში გაენატიფებინა და ჩემთვის მოეწოდებინა, როგორც გამდნარი ოქრო (მორჯულებული ცეცხლი).

ეს კი იყო, რომ ყველა მის ამბავში ცეცხლი, სინათლე ან მზე აუცილებლად მონაწილეობდნენ.

მონუსხულივით ვუსმენდი.

- როდის გაგიჩნდა პირველი სურვილი გაფრენის? - მის თამაშს ავყევი.

- შენ გქონია ოდესმე ეს სურვილი?

შეკითხვითვე მიპასუხა კითხვაზე.

- მე ორი კაცი მიყვარდა, რომლებიც დაფრინავდნენ, მაგრამ ისინი ფრთიან ცხენებზე ისხდნენ.

- ბარათაშვილი და გალაკტიონი, არა?

გაოგნებული მივაჩერდი. ეტყობა, როცა მის ქვეცნობიერში მზერას ვაფათურებდი, ჩემი სისხლით შესრუტული პოეტები დამივარდა და მისი ცნობიერების ნაკადს ამოყვა.

- ხო, მაგრამ შენ რომ დედალოსის და იკაროსის ამბავს მიყვები, თანაც, ძალიან შენებურად, რატომ?

- იმიტომ, რომ ცეცხლმა დაგვღუპა ორივე.

- მზემ.

- რა განსხვავებაა. ორივე წვავს და შენ ხომ არ გგონია, როცა მე ნამდვილი ცეცხლი მიმქონდა ხალხისთვის, ჰერაკლიტეს ცეცხლზე არ შემეძლო შუბლის გათბობა.

ასეთი წიგნიერება უკვე ზედმეტია.

- და ქალები, რომლებიც გიყვარდა?

- კირკე მიყვარდა, ამორძალები, სირინოზები, მათ ღამის ბნელ ნაოჭებში ვხვდებოდი, როგორც მამაჩემი და მხოლოდ მათი ტანები მიყვარდა, პენელოპეს კი ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს სანთელი ენთო და სულ მის შუქზე მივდიოდი, მაგრამ ხან მთა აეფარებოდა, ხან ზღვა, ხან ტყე, ღამის ლოგინში კი ნაღებივით რბილი და მსუყე ქალები ინვნენ და წვიმას ელოდნენ, მეც ოქროს წვიმად მოვდიოდი.

- ზევსს ბაძავდი და არ გეშინოდა?

- რომ არ მეშინოდა, სწორედ იმიტომ დამსაჯა.

- ახლა ოდისევსის ზღაპარს მიყვები. ნუთუ, საკუთარი არაფერი არ გაგაჩნია, ცეცხლის ქურდობის გარდა?

- მარტო მაგით ვერ მოგხიბლავდი. ახლა კი მისმენ და ჩემს ტყუილებში გირჩევნია ცხოვრება, ვიდრე შენს კომფორტაბელურ სანატორიუმში, სადაც ყოველდღე ლაპარაკობთ, ვის კუჭი ტკივა, ვის ღვიძლი, ვის რამდენი აქვს წნევა და როგორი მკურნალია ბორჯომის წყალი.

- ან ვის რამდენ კარატიანი ბრილიანტის ბეჭედი უკეთია და ვინ ვისთან წევს.

- ჰო, თუნდაც, ამაზე. ჩვენ კი ტყეში დავდივართ, სადაც ფიჭვები სიცივის ხორკლებითაც კი მზეზე ფიქრობენ და ჩემი მითოლოგია გაცილებით კარგი მკურნალია, ვიდრე თქვენი მინერალური წყალი.

მართლაც, რა ოსტატურად მოქსოვა აბლაბუდა უამრავი მითისგან, ყველას ტყავში შეძვრა, რომ უფრო მართალი ყოფილიყო. ამირანი ხომ მომწონდა და მომწონდა თავისთავად, მაგრამ ასეთი განათლება, ასეთი გარდასახვის უნარი და ნერვების წვერებით შეგრძნება სხვისი ცხოვრების...

- მაგრამ შენ არ იცი, თომას მანი და ფელინის ფილმები, არ იცი, რა მშვენიერი ფონია სანატორიუმი დრამატული სიუჟეტების, ხანმოკლე რომანების, კლასიკური ლიტერატურისთვის...

- აქაც იგივე პანოპტიკუმია, ოღონდ რანგით დაბალი.

ღმერთო, როგორ აირია და გადაიხლართა ერთმანეთში პრომეთე და ამირანი, ელინური და ქართული, ცხადი და სიზმარი!

ნუთუ, მართლა, ამომაგდეს ჩემი სამყაროდან, მითოსში ჩამასახლეს და წინაალმდეგობაც არ გამიწევია? მართლა იქ მირჩევნია ყოფნა? მაგრამ რა უნდა მითის იმიტაციას? ხომ შემიძლია ჯამში წყალი ჩავასხა, ქაღალდის გემი ჩავაგდო, ზედ დახატული ტორსებით - უსახო ქორო და ერთი სახე გამოვყო - ოდისევსი, ან პრომეთე, ან აქილევსი. მაგიდა იყოს ძველი ელადა, მასზე ვაშლი იდოს. ხოლო მაგიდის ქვეშ პა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარა, თეთრი ფეხებით მშვენიერი ელენეს ბავშვობა დადიოდეს. ამ დროს რეჟისორმა (ამ შემთხვევაში მე) თითი დააქნიოს, ელენეს ზრდა შეაყოვნოს და ეპოსი მოკლას. ამირანის დახმარებით ამ იმიტაციას, მის ტყუილებში გადავარდნა მირჩევნია. კიდევ, პროცედურებზე სიარულს, ცაცხვის სურნელოვან ჩრდილში ჯდომას და თვალიერებას, როგორ დადიან შენს გარშემო კაცების ნანგრევები და ქალების მუცლები, რომლებშიც სიყვარულის დანგრეული იმპერიაა ჩამარხული.

ამირანის ლანდი, ზედმეტად მკაფიო, თანდათან, ბუნდოვანდება და ქრება. დღის სინათლეს ვერ იტანს, უფრო, მასზე მიბჯენილ თვალებს. რაღაც დამავიწყდა. ვეძახი, მივდევ, ხეები არ მიშვებენ. ისინი არაფრით არ გვანან ქალაქის ხეებს, რომლებსაც აღარ ვუყვარვარ, მაგრამ ამირანი ნათესავია მათი, მე, მხოლოდ, კარგი ნაცნობი.

მთავარი არ მიკითხავს. ყველა ახსენა, ორფეოსის გარდა. ყველას ამბავი აჭრა საკუთარ თარგზე. ნუთუ, პოეტის ტყავში ჩასახლება უფრო ძნელია, ვიდრე ზღვების გადალახვა, გაუთავებელი ომები, ნაღებივით ქალების სიყვარული, როცა თავში ზარი რეკავს, რომ პენელოპე ელოდება, მიუხედავად ყველაფრისა, სანთელივით ანთია ითაკის შუაგულში, სადაც დაბრუნება ისეთივე გარდაუვალია, როგორც სიკვდილი.

მეორე დღეს ისევ ვიწყებ ფიქრს საღამოზე, როცა ამირანი უნდა მოვიდეს. იქნებ, არც მოვიდეს, ვაწყენინე. ძალიან ცხელი დღეა. მთები ისე ახლოა და ტყეებით დარბილებული, რომ მწვერვალი არა აქვთ, ხეებიც კარგავენ ხაზებს. ნაძვის კევის და თაფლის სუნი დგას. ასეთ დღეში უპირატესობა ეძლევათ მწერებს: ფუტკრებს, პეპლებს, ქინქლებს, კოღოებს, სიტკბო რომ ამოაქვთ ყვავილების ბუტკოებიდან, ჰაერიდან, სისხლიდან, ჭრიჭინობელა ხერხავს ღამეს და გაცრეცილი ადგილებიდან მოცისფრო სარჩული მოჩანს, თითქოს მტრედები იჩეკებიან.

ამირანი ძალიან გვიან მოდის, ლანდების დრო რომ გაივლის, იმის მერე ღამის 1 საათზე. ამდენი საუკუნე გავიდა და, ეტყობა, მაინც უჭირს მარტოობა. ის, რაც ჩემთვის მითების სამყაროა, მისთვის ნამდვილი ცხოვრებაა, რომელზედაც ის ფინიით და არწივითაა მიბმული.

ალბათ, ორივეს უფრო გვსიამოვნებს მისი სიტყვებით აშენებულ ქვეყანაში ცხოვრება, რომელსაც კი ვერ აღწერ, მაგრამ მისი ჩემზე ზემოქმედების მიხედვით ვხვდები, რომ ისეთივე ნამდვილია, როგორც ეს სანატორიუმი, რომელშიც ერთი თვით ჩამოვედი დასასვენებლად, რომ არაფერი ვთქვა ქალაქურ ყოფაზე, სადაც ყოველ შემოდგომაზე ყუნწებშესუსტებული ფოთლებივით ცვივიან მიწაზე ჩემი ახლობლები და ნეშოსავით მირბილებენ ნაბიჯს, არ ჯობია სულ იქ ვიყო, სადაც მიწა მხოლოდ მიწაა, თუნდაც გამოგონილი, და არა ხალიჩად ქცეული სხეულები, რომლებსაც მეშინია ფეხი არ დავადგა.

ვატყობ, ჩემს სტუმარს, ლაპარაკის დაწყება უნდა, ჩემს ფიქრებში წასულ გაუცხოებულ სახეს შეშინებული უყურებს, ვაითუ, აღარ მომინდეს მასთან ერთად დაბრუნება მის მრავალღმერთიან წარსულში?

და მერამდენედ წყევლის თავის უკვდავებას, მაგრამ მე მომწონს მასთან სიარული უკუღმა, თავით თუ ხელებით, ფეხებს ვასვენებ, ტერენკურზე სასიარულოდ ვინახავ.

- მამაჩემი მეურმე იყო.

უცნაური ნახტომი დედალოსიდან. ხმას არ ვიღებ. ეტყობა ამდენი გარდასახვის მერე, ისევ უნდა გაიქართულოს ბიოგრაფია, მეც მასიამოვნოს.

- ერთად დავდიოდით ალზევანში მარილზე: ვმღეროდით ურმულს. მოგისმენია ის ურმული, გაბმული და სევდიანი და არა ისეთი, ახლა რომ მღერიან, სტილიზებული, მომღერლისათვის გადამუშავებული. განა შეიძლება, ოთახში, როიალთან დაჯდე და ნოტებით გამოხატო სახრით ნაცემი ურმული?

ყურადღებას ვაქცევ მეტაფორას. იქნებ, ნუხელ, ჩემგან რომ წავიდა, ორფეოსი დაესიზმრა და უკარნახა ეს ფრაზა, ჩემი გულის დასაპყრობად?

- ჰოდა, ერთხელაც, მივდივართ მარილზე, რიგრიგობით გვძინავს. ვინც ფხიზლობს, სიმღერას აგრძელებს. ღამის არ გვეშინია, რადგან მთვარე ანათებს და მაშინ, როცა ცეცხლი არ გვქონდა, შეჩვეულები ვიყავით მთვარის და ვარსკვლავების შუქზე ცხოვრებას. თავზე ისე გვათენდებოდა, თითქოს, მტრედები იჩეკებოდნენ ღამის ნაჭუჭიდან.

ჩემი ფიქრიც მოიპარა. ვბრაზდები. ალბათ, ღმერთიც ასე გაუბრაზდა, მთას რომ მიაჯაჭვა, მაგრამ მე უბრალო მოკვდავი ვარ და ამბის გაგრძელებას ველოდები.

- ბევრი ვიარეთ, თუ ცოტა ვიარეთ, ჰორიზონტზე მარილის მთა გამოჩნდა, მაგრამ რაღაც უცნაურად ჩანდა, თითქოს მიწაზე კი არ იდგა, ჰაერში ტივტივებდა, რომ მივუახლოვდით, კოშკი აღმოჩნდა, ვერ გავიგე, ყინულის, თუ მარილის, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყინულის რომ ყოფილიყო, მზე ხომ დაადნობდა და მარილსაც არ გავდა. ასეთ რთულ ნაგებობას ძროხების ასალოკად ხომ არ ააშენებდა კაცი. მამამ მითხრა, გზა გავაგრძელოთო, მაგრამ მე უარზე ვიყავი. სანამ არ გავიგებდი, რა ხდებოდა ამ ბროლის კოშკში, ადგილიდანაც არ დავიძროდი. მაშინ მიხვდა მამაჩემი, როგორც უფრო გვიან ღმერთი, რომ ვერაფერს გახდებოდა ჩემთან.

## VII

იქვე, გვირილებიან მინდორზე დავსახლდი. კარგი ადგილი იყო. მდინარე მიდიოდა და მოდიოდა, ვარსკვლავებს ირეკლავდა. ღამე კოშკი ცეცხლივით ენთო, შიგნიდან ანათებდა რაღაც. მამაჩემმა არ იცოდა, რა იყო ცეცხლი, მე კი ოლიმპოზე მქონდა ნანახი, სადაც იმდენი იყო, რომ მუდმივი დღე იდგა (რა უნდოდა ქართული ზღაპრების ობოლ, გუდამშიერ ბიჭს ოლიმპოზე?) ის კი აგრძელებდა.

- მე, მაინცდამაინც, არ მომწონდა მუდმივი სინათლე, რადგან მთვარე და ვარსკვლავები არ ჩანდა. ბავშვობაში დედა მასწავლიდა: "მზე დედაა ჩემი, მთვარე მამა ჩემი, გუნდი და გუნდი ვარსკვლავი და და ძმაა ჩემი". ღმერთებს არ მოსწონდათ ცის ასეთი ნათესაური ხსენება. ასეთ დროს უფრო მიმწვავდებოდა უცხოობის გრძნობა.

ცხადია, კოშკს უხილავი პატრონი ჰყავდა, თუმცა მე ვერავის ვერ ვხედავდი. ოლიმპოს კი მაგონებდა, მაგრამ მხოლოდ სინათლით და ელვარებით. იქ სვეტები იყო უამრავი - პართენონი, რომელსაც ცა ეჭირა, ეს კოშკი კი ალავერდს გავდა, გედის ყელივით ამოდიოდა გარემოდან. ეტყობა, სისხლი ქართული მქონდა, სულიერი მდგომარეობა - ელინურად ჰარმონიული. იქნებ ცის იმ მონაკვეთში, რომელიც თავზე მადგა, უკვე იკვეთებოდა მართლმადიდებლობა, საერთო საძირკველი, მაგრამ მაშინ მე ეს არ ვიცოდი, გაორება მტანჯავდა.

აქ კი, ამ გვირილებიან მინდორზე, ყველაფერი დამავიწყდა.

ვიყავით მე და კოშკი, რომელსაც, ალბათ, ქალური საწყისი მართავდა. ქალს გავდა იგი არამარტო თვალსაჩინოდ, არამედ იმ ფარული ნიშნებით, რის გამოც მიწას დედამიწას ვეძახით. კაცი ამდენ სინათლეს არ აანთებდა სახლში. მაშინ რა ვიცოდი, რომ თვითონ ენთო ყამარი, მოსწონდა, ღამეში რომ იმ ყვავილს გავდა, რომელსაც პეპლები ეხვევიან.

- "შამფარვანიანის" ძეგლი. ჩავილაპარაკე ჩემთვის. აღმოსავლური პოეზია, აშკარად არ იცოდა, ყურადღება არ მიაქცია ჩემს სიტყვებს, განაგრძო:

- ორი დღე-ღამის შემდეგ ვიგრძენი, რომ კოშკიდან მიყურებენ. არავინ არ ჩანდა, მაგრამ გიშრის ავგაროზი, რომელიც მკერდზე მეკიდა, შუაზე გაიპო. სადღაც, ღამეში გადავაგდე. დილას ვიპოვე, ისევ მთელი იყო. ორი თვალი მიყურებდა: კეთილი და ავი. ცხელოდა. ბროლის კედლები, ალბათ, გრილი იყო, როგორც მდინარე. უცნაურმა აზრმა გამიელვა. მდინარე რომ გააშეშო და მისგან სახლი ააშენო, მოძრაობის იდეა მაინც დარჩება კედელში და ასეთ სახლში არასოდეს არ იგრძნობ თავს, როგორც ციხეში...

აქ ყოფნის ერთი კვირის თავზე კოშკთან მივედი. რა თქმა უნდა, შესასვლელი ვერ ვნახე. სარკმელში რაღაცამ გაიელვა, ოქროსფერმა, შვეულად ეკიდა, ლივლივებდა.

- ოქროს თმა.

- ხო, შენ რა იცი?

ქაოსი, გაუთავებელი ქაოსი. დრო, სივრცე, ადამიანები, ერთმანეთში ათქვეფილი და აზელილი, ამირანი, პრომეთე, მე, ამირან დარეჯანის-ძე, დალი, ყამარი.

- მაგრამ იმ ქალს დალი ერქვა.

- რომელ ქალს?

- თმები რომ მოკვეცე, როცა ეძინა, თუმცა ის გენდობოდა.

- არა. ეს მე არ გამიკეთებია.

- აბა, კოშკში როგორ ახვედი? ხომ თმა გადმოგიგდო კიბესავით?

- კი. ავედი და ელდა მეცა. ვერ გავიგე, ქალი იდგა შუაოთახში თუ მზე. ისეთი ფერი ედო გარემოს, თითქოს, ჩაი ესხა ბროლის ჭიქაში. ცხელი, ქაფქაფა და ისეთი ტკბილი, ჟრუანტელი რომ დაგივლის.

- და ამ ჟრუანტელის კარზე აკაკუნებენ...

- რა თქვი?

ძალიან ამოვარდნილი იყო ჩემი მეტაფორა მისი თხრობიდან. ეპოსში შეპარული აბსურდი, აბა, როგორ დავიახლოვო რაინდი, ნახევრად ღმერთი, ბრინჯაოს ქანდაკება?

- მერე, მერე რა მოხდა?

- მერე ერთმანეთი გვიყვარდა.

- დიდხანს?

- დიდხანს, ძალიან დიდხანს.

- მერე?

- მერე დედაჩემის ლანდმა დაიწყო სიარული კოშკის გარშემო, მეძახდა, ტიროდა. ჯერ არ მესმოდა, მაგრამ მოწმენდილი ციდან წვიმა რომ წამოვიდა, მივხვდი.

- რა ერქვა დედაშენს?

- არ მახსოვს, მგონი დარეჯანი.

- ამირან დარეჯანის-ძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- რას ამბობ! ადამიანს ხომ მამის სახელით იხსენიებენ?

- ეს საბუთებში. პოეზიაში კი ყველაფერი შეიძლება.

- დედაჩემს ეგონა, რომ კოშკის კედელში ჩამატანეს, მაგრამ ბროლი გამჭირვალე იყო და ხომ გამოვჩნდებოდი! არ მივეცი უფლება, ეთამაშა ტრაგედია: - შვილო, ზურაბ, სადამდი?

მაგრამ მომენატრა და მეცოდებოდა. ყამართან დაშორებაც არ შემეძლო. ამირანის ნაამბობში ყამარი სარკე იყო, ოქროსჩარჩოიანი, რომელშიც ჩანდა მისი გრძნობები, მისი სევდა, მაგრამ როგორი იყო თვითონ ყამარი, როცა მას სარკედ არ იყენებდნენ?

ცხრაკლიტულში გამომწყვდეული ღმერთის ცეცხლი. ისევ სხვისი აზრით, თუნდაც ღმერთის.

რას ფიქრობდა თვითონ, რა იცოდა საკუთარ თავზე?

იცოდა, რომ კანი ჩვილი აქვს და თმას რომ გაიშლის, ნაკაწრები რჩება მკერდზე და მხრებზე. სარკე არსად არ იყო, რომ თავისი გამოსახულება დაენახა. მდინარის არსებობის შესახებ არც კი იცოდა. აკრძალული ჰქონდა კოშკიდან გასვლა, თორემ მდინარეს რას უბრძანებდი, წუთში ათჯერ იცვლიდა სახეს და ღმერთი, თუნდაც წარმართი, თავისი სიტყვების გამეორებას არ იყო ჩვეული. გაქვავებული მდინარე, რომლისგანაც კოშკი ააგეს, მოძრაობის და სარკის იდეას ინახავდა, მხოლოდ, მზის ანარეკლს აჩვენებდა ყამარს და მან იცოდა, რომ ალიონზე ბუნდოვანია და გამჭირვალე. შუადღისას - ტერაკოტისფერი, ღამე როგორი იყო, კაცს უნდა ეთქვა, რომელიც აქამდე არასდროს არ ენახა. და ამირანი რომ გამოჩნდა, მის თვალებში დაინახა თავისი თავი, ძალიან მოეწონა, ხოლო ეს კაცი, საუკუნოდ შეუყვარდა. უსიტყვოდ, დაუფიქრებლად.

ამირანს რომ ეგონა, ისევე დიდხანს უნდა ევლო მასთან, ამაოდ, როგორც კოშკის გარშემო, ეკლებზე დაგლეჯილი ხელებით სისხლიანი ვარდები მიეტანა, სევდის ბაღი გაეშენებინა ცარიელ ოთახში, სადაც თეთრი ბუმბულის ხალიჩები ეგო, ქალმა მხრებზე დაადო ხელები და სახე სახესთან მიუტანა. კოცნაც კი არ იცოდა, ეგონა, ტუჩებიდან, მხოლოდ სიტყვებიდა სიმღერა გამოდის. ახალი შეგრძნებები უჩვეულო იყო და ბედნიერი. მაგრამ ავი თვალის მზერას გრძნობდა. ამირანმა არ იცოდა რომ ამ თვალმა გადაატარა დედამისს ცხრა მთა და აქ მოიყვანა. ყამარს მშობლები არ ყავდა, ღმერთის თავიდან გამოვიდა, ანგელოზის ბუმბულებისგან და ექსტაზში წარმოთქმული სიტყვებისგან შეთხზული. თანდათან დაქალდა: ზამთარში თოვლის გუნდებს, ზაფხულში - ვაშლებს უწყობდა მკერდში შემოქმედი...

ყამარს ძალიან აინტერესებდა ამირანის დედის ნახვა, აინტერესებდა როგორი იყო ქალი, რომლის ტანიდანაც შვილი გამოვიდა. იქნებ, იმიტომ ერქვა ამირან დარეჯანის ძე, დედის მუცლიდან რომ იყო გამოსული, მისგან განსხვავებით და არა აღგზნებული ტვინის ხვეულებიდან. ისიც აინტერესებდა, თვითონ თუ ეყოლებოდა შვილი, ხომ იცოდა უკვე, რომ ლამაზი იყო, შვილი კი ამირანისნაირი უნდოდა.

მაგრამ ავი თვალი, ანუ მამის ეჭვიანობა არ აძლევდა ამის უფლებას და ერთ დღეს, ამირანი გაკვირვებული დაბრუნდა მინდვრიდან, სადაც გვირილები გაქრა და, მხოლოდ, ნარგიზები ყვაოდნენ, აქამდე უნახავი ყვავილები, მდინარეში იხედებოდნენ, ძალიან მოსწონდათ თავი და არც არაფერი სხვა არ უნდოდათ. გუმანმა უთხრა, რომ ეს მზისფერი ყვავილები მათი შვილები იყვნენ, ოღონდ, დაბადებიდანვე გაუცხოებულები.

და უცებ:

- თვალები დამელალა ამდენი სინათლით, ღამე მომენატრა, სიგრილე, სიმშვიდე.

"გაზაფხულის საღამოა მშვიდი, ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი". ნერვების მოუთოკაობაში, სიგიჟეში, კოშმარებში როგორი კუნძულები ჰქონდა სულისმოსათქმელი პოეტს!

ისევ შევუვარდი ეპოსში ჩემი ლირიკით.

გასაგები იყო ამირანის მდგომარეობა. არა გაცივება, არა ღალატი, მაგრამ შეუთავსებლობა გაუთავებელ ჰიპერბოლასთან.

ყამარის მოტაცება, ერთი იმედით: ის და სიბნელე გაანელებდნენ ერთმანეთს და ორივე ადამიანურად ასატანი გახდებოდა.

ზოგჯერ, პოეტიც იღლება მეტაფორისგან და ისეთ გაცვეთილ სიტყვებს შემოიტანს ლექსში, რომ გგონია დაანგრევს მას, მაგრამ ეს სიტყვები პაუზებს ემგვანებიან, ლურჯ ჩრდილებს მზის მცხუნვარებაში.

სანთლები ჩააქრეს და ისე გამოიპარნენ კოშკიდან. ერთი ხმა არ არღვევდა სიჩუმეს, მხოლოდ მდინარე გავდა ყვითელი აბრეშუმის ნაჭერს, ქარში აფრიალებულს, ნარგიზები იხედებოდნენ მასში და ცრემლებს ღვრიდნენ. პირველად იგრძნეს ტკივილი თავის სიცოცხლეში, და სისხლის ყივილი.

სოფელში ღამე იყო, მაგრამ გათენებამდე ამოვიდა მზე. ფეხზე ამდგარი შეხვდა

ეროვნული

ამ უცნაურობას ხალხი, ზოგი მხრებზე მოკიდებული საწოლით გამოვარდა სახლიდან, ზოგს მტევნებივით ესხა ბავშვები და ყველანი აჩრდილებს გავდნენ, მხოლოდ შეყვარებულებს ეჭირათ ხელში ციცინათელები და დანარჩენებს გზას უკვალავდნენ.

ძალიან შეეშინდა ყამარს. ისე ეკვროდა ამირანს, რომ მარცხენა გვერდი დაუწვა. დაბალჭერიან ბნელ სახლში ბევრი ხალხი იყო: დედა, მამა, ძმები. არ გამოვიდა სიყვარული უხეშ ფარდაგზე, რომელიც მიწურ იატაკზე ეგო. თან, შეუჩვეველი სინათლის გამო, ღამე არავის არ ეძინა. ჯერ პირდაღებულები, ისხდნენ და ცას მისჩერებოდნენ, მერე, უკულმა დატრიალდა ყველაფერი, ყირაზე დადგა. ღამე მუშაობდნენ, დღე ეძინათ.

- დალლილი მზის მადლი გაგვიწყრაო. ველარ ცნობდნენ ერთმანეთს. მთვარე და ვარსკვლავები დაკარგეს. არაფერი აღარ ჰქონდათ მზის გარდა. სიკვდილს ნატრობდნენ, როცა თვალებზე ქვებს დაადებდნენ და ბედნიერი სიბნელე დაეუფლებოდა სხეულს.

გაოცებული იყო ყამარი. ვერ ხვდებოდა, რატომ ერჩიათ სინათლეს სიბნელე. როგორ შეეძლოთ შაქრისა და მარილის შუქზე ეცხოვრათ სახლში, გარეთ - მთვარისა და ციცინათელების კვალდაკვალ ევლოთ. შეჩვეული ჭირის ანდაზა უცხო იყო მისთვის.

ერთადერთი, რამაც ამდენხანს გააძლებინა ამ გაუგებარი ხალხის გარემოცვაში, მათი შვილები იყვნენ. წყლის დიდი წვეთი რომ პატარა წვეთებად დაიყოფა, ისეთი ასლები მშობლების, მაგრამ მარტო მათ მოსწონდათ სინათლე, თმებზე ეხებოდნენ ყამარს და არ ეწვებოდათ ხელები, მაშინ, როცა კედელსაც რომ გასდებოდა მისი თმა, შეიძლება ხანძარი გაჩენილიყო.

რადგან მისი სიყვარულის ნაყოფი მხოლოდ ნარგიზები იყო, ყამარს ეგონა, რომ ბავშვები სიტყვებიდან ჩნდებიან, ოღონდ, ძალიან მდაბიური, ყოველდღიური სიტყვებიდან: ვერაფრით ვერ ისწავლა ამ ენაზე ლაპარაკი. როგორც არ უნდა სწორედ და უფერულად დაეწყო, უსათუოდ ისეთ ხატს გამოურევდა, რომელიც უფროსებს სძულდათ, ბავშვებს კი მოსწონდათ. მაშინ, რატომღა არ უჩნდებოდა შვილი?

როცა მესამედ ჰკითხა ამირანს ამის შესახებ, მან აუხსნა, რომ კაცს, შეიძლება, ჩვეულებრივი ქალისგან ყავდეს შვილი და არა მზისგან. თავის კოშკში თუ დაბრუნდება, მისი შემოქმედი ჩამოვა ციდან და პირველსავე შეხვედრაზე დააფეხმძიმებს.

- განა, შენ შეგიძლია საკუთარ დედასთან შვილი გააჩინო?

- არა, ეს ჩემს ქვეყანაში ყველაზე ძველი წყევლაა. "დედა შეერთოს ცოლადა".

- მაგრამ ოიდიპოსის კომპლექსი?

- როცა პრომეთეს მეძახიან, მაშინ სხვაა, როცა - ამირანს, სრულიად გაუგებარია ის კათარზისიც კი, რომელიც თვალების დათხრას მოჰყვება...

- მაგრამ მეც ხომ ყამარი ვარ, როცა ღმერთის შვილობისგან ვთავისუფლდები, ძალიან მიჭირს გაორება.

- ჩემმა ფსიქოანალიტიკოსმა მიამბო გახლეჩილი მე-ს შესახებ. - ჩემზე უთითებს ამირანი.

გუნებაში მეცინება. ვის გაუგონია ჩემი ფსიქოანალიზი. ერთადერთი, რასაც ვახერხებ, საკუთარ ქვეცნობიერში ქექვაა და ამის მერეც, დიდხანს, ჭკუაზე ვერ მოვდივარ, თითქოს სარჩულამოტრიალებული ვდგავარ ხალხის წინაშე. თავიდან წითელი გეორგინები მიჩანს - ტვინის ნაცრისფერი ნივთიერების რეაქცია სირცხვილზე.

ამირანი ხელს კიდებს ყამარს და ჩემსკენ მოაბრუნებს, ჩემი ბნელი სახლი ნათდება - "ფსიქოანალიზის" საზღაური.

საუკუნეები გამოიარეს სინათლის სისწრაფით და ისევ, იმ უხსოვარ სიბნელეში მოხვდნენ. ყამარს აღარ შეუძლია ამდენის ატანა. იქ საყვარელი კაცის მშობლები მაინც იყვნენ. მე კი ვინ ვარ მისთვის? ამირანთან კიდევ რაღაც მაკავშირებს, რაღაც იდუმალი ქვეტექსტი. ყამარს კი, საერთოდ არ აქვს ქვეცნობიერი. მოულოდნელად ამირანის ბუნებაში, ცხენკაცისთვის დამახასიათებელ დანაშაულის გრძნობას ვპოულობ. როგორც კი ყამარი ზურგით მომიბრუნდება, წასასვლელად მოემზადება, სიბნელე ჩამოწვება ოთახში. კედლები ისე აისხლიტავენ მას, როგორც ტყვიას, რომელიც რიკოშეტით ისევ, მე მხვდება. ყამარი თმას მადებს ჭრილობაზე, არა იმიტომ, რომ ვეცოდები ან სინდისი აწუხებს, ერთი სული აქვს ამირანი წაიყვანოს აქედან, მაგრამ ხვდება, რომ ჩემი სიკვდილი არ ეპატიება. ეფერება ამირანს, ეწებება მარცხენა გვერდზე, გულის მხარეს და მეც, ამირანის დედასავით მეჩვენება, რომ ბროლის კოშკშია ჩატანებული ჩემი რაინდი - ვაიმე, დედა, გავთავდი!

ჩემი სისხლი და დედამისის ცრემლი ერთად მოედინებიან ქუჩაში. ცნობისმოყვარედ უყურებს ამას ყამარი, ტრაგედიის შეგრძნება არ ჩააყოლა ტანში ღმერთმა. მისი თავგანწირული სიყვარულიც კი, ზოგჯერ რაციონალური მეჩვენება - დაკარგული ნახევრის პოვნა და მიწებება მასზე, როცა მთლიანობის განცდა ისეთი ნათელი ხდება, როგორც ბროლის კოშკი, საიდანაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამირანმა წამოიყვანა. მან ჯერ კიდევ არ იცის რა ელის, როგორ ტკივილს ჩაასახლებს ცხოვრება მის კვერცხივით სლიპინა ტანში, არც კაცმა იცის, როდის მოკვეცავს თმას, დააქუცმაცებს და დედამისის და ჩემს სამყაროებს გაანათებს.

- აი, ეს კაცი ფანჯრიდან უნდა გადახტეს. დაუფინე შენი თმა და არ დაიმტვრევა.

- რატომ უშლი ხელს სიკვდილში? გათიშულია, ავადმყოფი, უკბილო და წვერმოშვებული. ის ვერავის სიცოცხლეს ვერ გაალამაზებს.

- პირიქით. იცი, როგორი ლექსები აქვს? "ძვირფასო სული მევსება თოვლით".

- ჰოდა, მითუმეტეს, კაცი დიდხანს ვერ გაძლებს ყოფის სიცხადეში, როცა "თოვლია მისი სამშობლო"

არც მთლად ბროლისა ყოფილა ყამარი, როგორ ენათესავა პოეზია. ალბათ, ტკივილიც უზის, სადღაც ღრმად, თუ კი შეიძლება ჰქონდეს სიღრმე, ანდა ფსკერი. გავთამამდით. ფანჯრებს მჭიდრო ფარდები არ ჩამოვაფარე და მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ბნელი ქუჩიდან მოდარაჯე ხალხმა გაუგებარ სინათლეს მოკრა თვალი ჩემს ფანჯარაში.

წამოვიდნენ და წამოვიდნენ. წითელი ენები ეკიდათ პირებიდან, დროშებივით მოაფრიალებდნენ. საშიშროება ვიგრძენი და ამირანს ვთხოვე, სასწრაფოდ წასულიყვნენ. შავი თავშალიც მივეცი ყამარის თმის დასაფარად, მაგრამ გვიანღა იყო. დემონსტრაციის მეწინავე, რომელიც გუმანის სიმკვეთრით გამოირჩეოდა, მიხვდა, როგორ შეიძლებოდა ტკივილი მიეყენებინათ დამპალი მითოლოგიისთვის.

ამირანის მინდორს მიაგნო კოშკის მახლობლად. ბროლის კედლებს ვერ მოერეოდნენ, მაგრამ ნარგიზებზე ატარა და ატარა თავისი ჯოგი, სანამ ყველა არ გასრისა და შუქივით სისხლი არ ადინა.

პირველად სიცოცხლეში ეტკინა ყამარს მკერდის მარცხენა მხარე...

## VIII

ჩემი ქალაქი - ქვაბი მოთმინებით მელოდება, მთებს შუა ჩაგდებული, მაგრამ ეს შინაური მთებია და არა სიშორისგან ლურჯი, ამიტომ მათ კალთებზე იდუმალებას ვერ დაასახლებ. მოგონილ სამყაროში ცხოვრებაც კანონით ისჯება. ღამის პეპლები სინათლის წყაროს რომ ველარ პოულობენ, ბალიშის სითეთრეზე მოდიან, სახეზე მიფათურებენ ფრთებს. ერთადერთი შველაა მანქანები. ჩვეულებრივად მიმავალი მანქანის შუქი — მოცისფრო ზოლი ჭერზე. ძალიან სწრაფად თუ მიდის — მუხრუჭების კივილის ანარეკლი სისხლისფერია, შავი პეპლები ზედ-ქვეყნის დასასრული.

აღარ ვიცი, რისი უფრო მეშინია: პეპლების თუ სიცივის. რისი აღარ მეშინია ამ ბოლო დროს. ხმაურის, რომელშიც სროლა მელანდება, სიჩუმის სიბნელის, ჩემზე დამიზნებული ავი თვალის (გიშრის ყველა მძივი დამებზარა), სუფთა ქაღალდის, რომელზეც უნდა დავწერო. ერთადერთი, რისიც არ მეშინოდა, ტყე იყო, ხეები, მტკვრისკენ რომ ჩაუხვევდა გზა და მუხებსა და ფიჭვებს შორის რაღაც იისფერყვავილიან ხეს მოიგონებდა გარყვნილი ფანტაზია, კრიალას, წვიმაში გარეცხილს.

- არული, არული ფანტაზიას! - ყვირიან და დახტიან ცეცხლის გარშემო. უფანტაზიო კაცებმა იყიდეს ეს ტყე და ახლა ყიდიან, გარშემო დაყუდებულ მთებსაც ყიდიან თავის ამირანიან-არწივიან-ძაღლიანად, როგორც მოჩვენებებიან სასახლეებს.

ჩემი გაყიდვა გაუჭირდებათ, როგორც ამ ტყის ბინადარის, ჯიუტი ვარ და ასაკიც არ მიწყობს ხელს, თორემ რა თვალსაჩინო მაგალითი ვიქნებოდი იმის, როგორ არ უნდა იცხოვროს გონიერმა კაცმა. ცეცხლი რომ ანთია ქუჩაში, რომელშიც კატებს, წიგნებს და შერეკილებს ყრიან, რა კლაუსტროფობია უნდა აგიტყდეს! დაეტიე სახლში, ხმელ პურზე შოკოლადის სუროგატი წაუსვი და მადლობა უთხარი სიბნელეს, რომელსაც შეუძლია შენი დამალვა. თორემ ისეთი კრემატორიუმები დადგეს ქუჩაში, შენი მოწონებული, კრემატორიუმში არაფერია ცუდი, მაგრამ ფერფლსაც პატრონი უნდა, კოლოფი, კედელში შედგმა, ქალაქში კი კედელი აღარ დარჩა, ბილწსიტყვაობით რომ არ იყოს აჭრელებული, "რაც არა მარტო შეურაცხყოფას აყენებს გრამატიკას, არამედ ბოროტება მოაქვს სულისთვის" და თუ მართალი იყო პლატონი, სადღა უნდა წაიღო სული და ფერფლი?

ხომ ვამბობდი "დამწვით მზესუმზირების კრემატორიუმში", მაგრამ სულ არ მიფიქრია, სად უნდა წაიღონ ფერფლი. ყველაფერს ჯობია ჰაერში მოაფრქვიონ.

- იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ, რამე!

არა აქვს მნიშვნელობა რა. იგივე ფერფლი, ნახმარი ტანსაცმელი, ნაოჭებში ჩარჩენილი ძველი პატრონის კეთრით, თუ ქერტლით, სანატორიუმი, თავისი ავადმყოფობით, თუ გემძიმა, კარგად გაფერთხე და უფსკრულში გადაუძახე ადამიანებს, ცოცხლები რომ დატოვო, კი ვერ გაჯობებენ, ქვასაც ვერ გესვრიან, მაგრამ არ

ლია სტურუა
ბიბლიოთეკა

მოგასვენებენ თავისი ინტელიგენტური ნოსტალგიით. უფსკრულში გადაუძახე და თან თოკებიც ჩაუშვი, რომ მკვლელობა არ დაგაბრალონ, მაინც ვერ ამობობღდებიან. ზოგს კუჭი ტკივა, ზოგს ღვიძლი, ზოგს გული და მაინც წერენ, ხატავენ, მღერიან. კალმისტრებიც ჩაუყარე, ზეთის საღებავები, ნოტები, ძეგლებად დაადგებიან უსახელო საფლავებზე. მოცარტიც საერთო საფლავში არ ჩააგდეს, ესენი ვილა არიან.

მოცარტი, ამადეუსი. ვინმემ რომ იცოდეს როგორ მიშველა ამ სიტყვამ, თოკის ნვერიდან ცრემლივით ჩამოგრძელებულმა, ჩავიხედე მასში და ყველაზე მაღალი ბგერა გავიგონე - მოოქროვილი კლავესინი, თითქოს მთის მწვერვალზე აიტანეს, არ შეიძლება მოკვდე, როცა მუსიკა არსებობს.

ასე, ნახევრად მკვდარი, ამოვბობღდი უფსკრულიდან. ბუნება, აშკარად, მეხმარებოდა, ყველა ბუჩქის ფესვი ამოატრიალა მინამ და ზემოთ ამომაგდო. ერთი შეხედვით, არაფერი არ იყო შეცვლილი. ყველა ხე თავის ადგილას იდგა, მაგრამ რაღაც სილაღეშელახულებს გავდნენ, თითქოს, ქარში თავისით კი არ დადიან, სალახს მიყავს, თოკზე გამობმულები სასაკლაოზე. საქონელივით გრძნობდნენ სიკვდილის მოახლოებას. რამდენიმე ხე ჩემს თვალწინ გახმა და გაყანგისფერდა. როგორც ადამიანს უთეთრდება თმა შიშისგან, ან მუნჯდება.

რა უნდა მექნა? გამომეტანა ბიბლიოთეკიდან ნიკო ლორთქიფანიძე, ტყეში გავსულიყავი და ხმამაღლა წამეკითხა მოთხრობა "იყიდება საქართველო"! მოვიდოდნენ, ბორკილს დამადებდნენ და მომისჯიდნენ ქალაქიდან გაუსვლელობას.

ასეც მოხდა. მაგრამ ეს, ალბათ, აუცილებელი იყო, თუნდაც იმიტომ, რომ ჩემი გაგრძელებული მონოლოგი დიალოგით შეცვლილიყო.

მიკროფონები ზრიალებენ, კალმები წრიპინებენ, ხალხი ღელავს.

- როგორ ჩაგაგდეს ხრამში?

- ხრამში არა, უფსკრულში.

- რა განსხვავებაა?

- უფსკრული უფრო ღრმაა და უფრო ძნელია იქიდან ამოსვლა.

- რა მოხდა, ხელი გკრეს, თუ ფეხი დაგიცდა?

- არც ერთი, არც მეორე, სანატორიუმი დაბერტყეს, როგორც მტვრიანი ხალიჩა და ასე, იოლად, მოგვიშორეს.

- ფელინის ფილმებში სანატორიუმი სამოთხესაც გავს, ჯოჯოხეთის განსაწმენდელსაც, მაგრამ იქ თავისი ნებით შედიან და გამოდიან, ხანმოკლე სიყვარულებიც ხარობენ, წითელას გამონაყარივით კანზე, მაგრამ ასე აშკარად არავის კლავენ. ე. ი. თქვენი მოკვლა უნდოდათ?

- ჩაიხედეთ უფსკრულში და პასუხს იპოვით.

უნდა რამენაირად დავიკარგო. ყელში მიჭერს, მახრჩობს ეს სევდიანი პოპულარობა. სადღაა ჩემი ოლეანდრის ხე, რომ შემისრუტოს, ან ის სალოსი, რომელმაც ჭიქით ჰაერი მომიტანა?

სახეზე ხელი ჩამოვისვი და დავინახე ისეთივე თვალები, ჩემს მეზობელს რომ ჰქონდა, როცა ჩემი სახის ნაცვლად ლაქა დაინახა.

ყვითელი ფერი, რითაც შემოდგომამ წაშალა განერვიულებული ადამიანები, შუბლიდან ყელამდე ჩამომელვარა და დამმალა. კომშის სუნი დადგა ქუჩაში და ყველაზე გამოუსწორებელმა პრაგმატიკოსმაც დაინახა, როგორი ფრთხილი ნაბიჯით შემოვიდა ქალაქში შემოდგომა. შეიძლება მერე, სახლში რომ გააანალიზებს დღევანდელ დღეს, ჩემს აზრდაკარგულ ხელობასაც კი დააბრალოს ასეთი მკაფიო ხილვა, ჯერჯერობით კი, ქარვისფერი შეუშვა თვალებში და ოდნავ მოეშვა, სილამაზეში გაიტრუნა. ყველას აქვს ამის უფლება. ანალიზის მერე კი შემაგინებს: - შენი ესთეტი დედა ვატირეო! მაგრამ მე უკვე საიმედოდ ჩაკეტილი ვიქნები ჩემს სახლში და ამ სამყაროსავით ძველ ოინს მისი თანდასწრებით არასოდეს აღარ გავიმეორებ. რა უნდა გავაკეთო სახლში? დავიძინო. კიდევ კარგი, ტაზეპამი მაქვს. ისე მინდა რეალობა ჩამოვიბერტყო და თუნდაც, სიზმრისეული კოშმარით შევცვალო, რომ მაშინვე ვიძინებ.

ძალიან ნაცნობი სილუეტი მოდის ჩემკენ. ლიფტი არ მუშაობს და კიბეზე იწყებს ამოსვლას. ქერა თმა აქვს, მოკლედ შეჭრილი. ბავშვები პატარა სარკეებით რომ სინათლის ნაკუწებს იჭერენ, ისეთი სხივები დაფრინავენ მის გარშემო. სიზმარში კი ვხვდები, ვინ არის, მაგრამ ცხადში ვერაფრით ვერ გადმომაქვს ეს ცოდნა, ლოგიკა მიშლის. ქალი სწრაფად ამოდის კიბეზე, ქოშინის გარეშე, რასაც ბავშვებიც ვერ ახერხებენ, მაგრამ ძალიან შეცვლია იერი. ოთახში შემოდის, ჩამოჯდება ჩემს საწოლზე. თვალებს ვახელ და მაშინვე ვხუჭავ, ისეთი ელვარება მოდის მისგან. უცებ, ვერ ვხვდები, რაშია საქმე, მოკლედ შეჭრილი თმა თითქმის აღარ ანათებს. თურმე მკერდი გაუშიშვლებია და რაღაცას მეუბნება. ნელნელა მეწვეთება ტვინში, რომ რაღაც თხილისოდენა სიმაგრეები გაუჩნდა ორივე ძუძუში. მგონია, რომ ყური მატყუებს. როგორ შეიძლება დასნეულდეს ასეთი თვალისმომჭრელი მკერდი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

- იმის მერე, რაც ნარგიზები მომიკლეს და ტკივილი ვიგრძენი გულში, ამირანმაც ჯერთმა მომკვეცა მძინარეს, თავის მშობლებს გაუგზავნა და დაუბარა, რომ სულ ღერა ღერა დაენაწილებინათ მთელი ქვეყნისათვის, შენს ქალაქსაც უნდა რგებოდა სინათლე, მაგრამ დროში თანხვედრა ვერ მოხდა.

- მერე სად იყვნენ მკვდარი პოეტები, რომლებიც არასოდეს არ ცნობდნენ დაქუცმაცებულ დროს? განიერი სახელოებიდან, ოინბაზებივით რომ ამოახვევდნენ სინათლეს?

- არაფერი არ გამოუვიდათ. ქვემოდან სულს უბერავდნენ და აქრობდნენ. მათ შუქს სანთლის ძალა ჰქონდა და არა ლაჟვარდის.

- ალბათ, ასე იყო, მაგრამ შენ რაღა დაგემართა?

- თმის მოჭრის შემდეგ, ღამღამობით მტკიოდა მკერდი, ეს პირველი ტკივილი იყო ჩემს სიცოცხლეში. შემეშინდა, მე ხომ ბროლის ვარ და მხოლოდ ჩაქუჩით დამტვრევა თუ შეიძლება ჩემი, მაგრამ ეს ღმერთის გარდა, არავინ იცის.

- არა უშავს რა, ექიმთან წაგიყვან და ყველაფერი მოგვარდება. მაგრამ მოსაკვეთი რომ გახდეს მკერდი? - გამკრა გუნებაში და ისე გამაჟრჟოლა, როგორც ყოველთვის, როცა ათეისტურ წიგნებს ვკითხულობდი და ჩემს თვალწინ ირღვეოდა სამყაროს ჰარმონია, სიკეთეს და ბოროტებას გაფუჭებულ სასწორზე წონიდნენ. "ღმერთი არ არის და ყველაფერი ნებადართულია".

გაუჭირდათ ბროლის დამსხვრევა. მთელი დღე ხერხავდნენ თეთრ სამკუთხედებს, მარჯნის წვეროები თავისით მოძვრა და ესკულაპეს ცოლმა მათგან საყურეები გაიკეთა, მაგრამ ისე ჩამოუგრძელდა ყურები, რომ მოიხსნა და ნაგავში გადაყრა. სანაგვეზე მაშინვე დიდი წითელი ყვავილები ამოვიდნენ. იქნებ გეორგინები? ტვინის და პოეზიის უსირცხვილობა.

ყამარი უკვე დიდი ხანია შეეჩვია სარკეებს და რომ დაინახა თავისი ბრტყელი მკერდი, გრძნობა დაკარგა. მე აღარ ვიცი, ამ სიგრძე სიზმარი მქონდა, თუ ცხადშიც გადმოვიდა იგი, მაგრამ ისე ვიყავი ლაჟვარდში ხელის ფათურით დაკავებული, რომ უამრავმა ყოფითმა უბედურებამ გვერდი ჩამიარა და ვერც შევამჩნიე.

ყამარს ვკითხე, რამდენი ხანია, ამირანი არ უნახავს.

- რამდენიმე საუკუნეა.

- მაშინ წადი მასთან. მე მიგასწავლი მის მთას. თუ კი ჩემს კიბეზე ამოხვედი, იქაც არ გაგიჭირდება ასვლა.

- როგორ, ასეთი დამახინჯებული მივიდე კაცთან, რომელიც მიყვარს?

მე მოვუყევი რომ ერთ კაცს ვიცნობდი, ენათმეცნიერს, რომელიც ტროლეიბუსის გაჩერებაზე დაჭრეს და როგორი წვალებით მიიტანა სახლამდე, ყოჩივარდების თაიგულივით, თავისი გაგლეჯილი შიგანი.

და კიდევ: - ამირანიც ამ დღეშია. არწივი ყოველდღე უჭამს გულღვიძლს და ჭრილობა არ უხორცდება.

- რატომ?

- ღმერთმა დასაჯა. შენი მოტაცებისთვის.

- იქნებ, მეც იმიტომ დამსაჯა ღმერთმა, რომ შემიყვარდა.

- ალბათ. ვის მოეწონება, როცა მისი ჩანაფიქრი ირღვევა.

გავუშვი ყამარი. ჩემს მანებიან თავსაფარში გავახვიე. გაიელვა მოწმენდილ ცაში და წვიმა წამოვიდა. არავის არ გაკვირვებია, ცაშიც კი არ აუხედიათ. ყველაზე უფრო ახლა ამის გაკეთება უჭირდათ. ხერხემლის ავადმყოფობა იყო გავრცელებული ქალაქში. წელში მოხრილი დადიოდა ყველა, მიწაზე თვალდაბჯენილი.

## IX

და, მაინც, რაღაც შეიცვალა. ჰაერი, რომელმაც ჩემი გარდაცვლილი მეგობრების ადგილი დაიკავა, შესქელდა და ოდნავ უფრო თბილი გახდა დანარჩენ სივრცეზე.

საიდანღაც მუსიკა მოისმა. ისე წავედი ამ ხმაზე, როგორც მკვდარი პოეტების მანათობელი სახეებისკენ. არაფერი არ ისმის და არ ჩანს. იქნებ ის, რაც მომესმა, მუსიკაც არ იყო, მხოლოდ ჰაერის განსხვავებული ვიბრაცია და რამდენიმე მაღლა აწეული სახე, მოყურადე, იმათგან, მიწაზე თვალდაბჯენილებისგან. იშვიათად მინახავს ასე ჩემს თვალწინ გამოცოცხლებული ჩამქრალი სახე, ნესტოები იბერებიან, რაღაცას ყნოსავენ, თვალებში ამდენი ხნის მანძილზე, პირველად ირეკლება ცა. მიდიან და მივყვები. ხმა კონსერვატორიიდან მოდის, აბა, საიდან უნდა წამოვიდეს მუსიკის ხმა. ადრე ეს ფაქტი იყო და არა სენსაციური ინფორმაცია. დანგრეულ-ჩამოძონძილი კონსერვატორია, თითქოს, ვარდისფერი ფერუმარილი წაუსვეს, ისე შეუკეთებიათ, რომ ვერც კი შევამჩნიე. ხმას კი კონცერტის მოლოდინი გამოსცემს, რომელიც უნუგეშოდ მენატრებოდა, წლების მანძილზე. კარს ვაღებ და შევდივარ. არც ბილეთი მაქვს, არც არავინ თხოულობს მას. იქნებ, კედლებმა მიცნეს და ჩემი სახე ხელებში ჩაუდეს კარისკაცებს ბილეთის ნაცვლად. გამოჩნდა პარტერის ოქროსფერი ხავერდი, თანდათან შიფონში გარდამავალი, შემზადება ფრენისთვის ისევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხავერდის ლოყები და ორლანის ქერამდე მილები. მომღერლების ყელები, ოქროს წყალში ამოვლებული. მუსიკა, მკვდარი კლასიკოსების გაგრძელება და მისი ზემოქმედება ცოცხალ-მკვდარ ადამიანებზე, ზუსტად ისეთი, როგორც ბრმა ჰომეროსის უნაკვეთო და უწრეხაზო ელენე - არ იცი, რა ფერის თვალები აქვს, როგორი ცხვირი, მკერდი და თეძოები, მაგრამ მისი გულისთვის ომები იწყება და წყდება. მოკლული დირიჟორის ლანდიც გაიელვებს - ტანწვრილი შავი ფრაკი და გახვრეტილი ყურიდან სისხლი სდის.

მართალია, მუსიკა ისეთი განყენებული რამ არის, რომ სისხლს ვერ მიიერთებს, ამიტომ გაიკლაკნება იგი პარტერის რიგებს შორის, აილე ბახის ფუგა, პურივით, ცხელ სისხლში ჩააგდე ფეხები, წნევა დაგივარდება და იჯდები ასე კონცერტიდან კონცერტამდე, თუ შუალედი ძალიან გაგრძელდა, კულისებში დაიმალები, რომ დამლაგებელმა არ გამოგვხვეტოს სიგარეტის ნამწვავებთან და ორკესტრის აწყობის შემდეგ დარჩენილი დისონანსების ნაფცქვენებთან ერთად, მერე კი შენს ადგილზე დაბრუნდები და არავის არ ეცოდინება, შენს გარდა, რომ რეპეტიციების დროს ვალტორნები, ფაგოტები, ვიოლინოები, როიალი ფასკუნჯებივით თავის ხორცს აჭმევენ მუსიკას, მაგრამ დირიჟორი ხელს აიქნევს თუ არა, მუსიკა სრულად უნივთო და უხორცო ხდება, ხოლო ჰაერის სიმაღლეში შიფონის ჩიტები დაფრინავენ.

პურის რიგებიდან გამოყოლილი შიში დამრჩა. სალაროსთან, ხალხში, რომ დავდგე და ჩემს წინ გათავდეს კონცერტის ბილეთები, რა ვქნა? ამიტომ, ჯობია, კონსერვატორიაში ვიცხოვრო, როგორც სავარძელში ვზივარ სახლში და სამსახურში რომ წავალ, მაინც ხავერდზე ვრჩები მიბეჭდილი. მაშინ ჩემს ადგილს ვერავინ ველარ დაიკავებს. ასე ცხოვრობენ ბიბლიოთეკაში მწიგნობრები, ანუ წიგნის ჭიები. ვერავინ ვერ ხვდება, როდის ასწრებენ სახლში ყოფნას, ჭამას, ძილს, და მითუმეტეს შვილების გაჩენას...

ზოგჯერ, მართლა მირჩევნია დებიუსის წვიმა ნამდვილს. არ მესმის, როგორ მოახერხეს ამ ბავშვებმა, თავისი ჯოჯოხეთში მოხარშული ცხოვრებიდან, ასეთი კრიალა მუსიკა ამოეყვანათ.

ქუჩაში კი გამუდმებით ისმის: - რა დროს მუსიკაა!

ტელევიზორში: - დალიეთ კოკა-კოლა, ყველაზე გამაგრილებელი სასმელი!

ამ სიცივეში, როცა თითები, ლამის კლავიშებზე მიეყინოთ ჩიტებივით გამხდარ ბავშვებს, ხოლო შედარებით, ხანდაზმული ორკესტრი საყვირებში ჩაბერილი სუნთქვისგან თბება.

სახლში დაბრუნება აღარ მინდა. მაგრამ ყველაფერი თავდება ოდესმე. რაც უნდა გაწელო დრო, სახლში მაინც უნდა დაბრუნდე. სად არის ჩემი სახლი? მყუდრო ქუჩიდან ქარის ბოლოში გადატანილი.

სავარძლიდან ადგომა მიჭირს, მაგრამ თავს ვერევი და სახლის მოსაძებნად მივდივარ. ფოიეში რამდენიმე ნაცნობი მხვდება, იმ კატეგორიიდან, რომელმაც აღლო აუღო ცხოვრებას. მათი შიფონის კაბები ახალთახალია და ასომთავრულივით გამოკვეთილი გახუნებულების ფონზე, თან ოქროს ქინძისთავებით ტანზე დამაგრებული, ამიტომ ფრენა უჭირთ, მაგრამ კონცერტის მერე, გაცილებით, უკეთ გამოიყურებიან.

ისინი მეუბნებიან, რომ ამ დღეებში პრემიერაა ოპერაში, მერე ორ დრამატულ თეატრში, ალაფურშეტებიც გახშირდა, რამდენჯერმე აღმოვჩნდი კიდეც მათზე. ფლამანდიელი მხატვრების ნატურმორტებს გავს მაგიდები. ბევრი სინათლეა, თბილა, სისხლიანი ნანადირევის როლს ხიზილალა ასრულებს, კვერცხებზე წასმული - ლაქები მზეზე, თეთრი პურისა და კარაქის თოვლში ძეხვის ნაჭრები ყვავიან ვარდებივით, ძველი ქართული ქეიფების რაბლეზიანურ ბუნებასა და ახლანდელ შიმშილს შორის ჩაგდებული კუნძული, ჰედონისტური - უარყოფითი სიტყვა, სევდიანი შოპენჰაუერის ლექსიკონიდან ამოღებული.

ალბათ, ხმამაღლა ვფიქრობ, რადგან საჭმლით პირგამოტენილი სახეები გაკვირვებით მიყურებენ. კონცერტის შეჩვეულ გარემოში ისე კარგად ვეწერებოდი, რომ ვერც კი შემამჩნიეს. აქ, აშკარად, უცხო ვარ. მართალია, ხავერდის სავარძლიდან გამოყოლილი სირბილე მიმრგვალებს არამარტო გაწვეტიანებულ იდაყვებსა და მუხლებს, არამედ სიტყვებსაც და საშიში სულაც არ ვჩანვარ, მაგრამ უცხო ვარ.

ვერ დავიჯერებ, რომ სპილოს ძვლის კოშკის მოხაზულობას მამჩნევენ მხრებზე და მაინც, ჯობია, წავიდე სანამ, საბოლოოდ, გავუღვიძებ ცნობისმოყვარეობას და ვერ მივდივარ. მეც ცნობისმოყვარე ვარ, მაინტერესებს, რა იქნება მერე. ფორთოხლები შემოაქვთ. როგორ უხდება თეთრ სუფრას, როგორც თოვლს. მათი სუნი უფრო მიყვარს, ვიდრე გემო. შობის დღესასწაულს მაგონებს, როცა ბავშვები ფორთოხლების კოცონს ახტებიან.

სასიამოვნო გარეგნობის კაცი ფორთოხალს მაწვდის, თავიდან ხიზილალას მთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაზობდა. - არ შემიძლია, იცით, მე მუცელში პილპილის ბუჩქი მეზრდება და ამდენ ნარინჯისფერს ერთად ვერ გავუძლებ.

სასწრაფოდ მეცლება. სალამოს მანძილზე რამდენჯერმე ვიჭერ მის შეშინებულ მზერას, თუმცა ვატყობ, რომ ჩემს მიმართ რაღაც ამბივალენტური ინტერესი ჩნდება, მე მგონი, ვიღაცამ მიცნო და ირგვლივ ლაპარაკი ნაძალადევად სწორი ქართულით იწყებს დინებას.

იმიჯი, თინეიჯერი, მენტალიტეტი, ქართული შესატყვისებით იცვლება და ჩვენს გარშემო შექმნილ მეორე შრეში დამცინავ ღიმილს იწვევს, ფენოვან ნამცხვარს ემგვანება იქაურობა. მთავარ ტკბილ ფენებს შორის ათქვეფილი ნაღები ქათქათებს, სხვა ფენები თავისუფალი არიან წებოვანი სიახლოვისაგან ერთმანეთთან და შუაგულისკენ ილტვიან, სადაც სიურპრიზია ჩამარხული. არავინ იცის, რას მოვიმოქმედებ და ვიტყვი მეორე წუთში, ამიტომ ცნობისწადილი იზრდება და ხურდება. მოლოდინს არ ვამართლებ. ჩუმად და გულმოდგინედ ვიწყებ ჭამას, ნებიერ კმაყოფილებას ვიხატავ სახეზე. დადებითი მუხტები აფრიალდებიან ჰაერში. ჩემი კაბის გახუნებულ ქსოვილსაც შიგნიდან ვაძლევ ფერს: იმ ჟანგისფერ ხეებს ვემგვანები, რომლებიც უფრო ლამაზებიც კი ჩანან ჩვეულებრივ, მწვანე ტყეში.

დაძაბული ჰაერი ჩემს გარშემო მშვიდდება, ნაოჭებსაც კი იკეთებს, ღრმას და მოშრიალეს. სულ ცოტაც და დებიუსის წვიმა წამოვა ჭერიდან.

- მოგვიყევით რამე დებიუსიზე.

დამთხვევაა, თუ, მართლა, დავეუფლე ჰიპნოზის ხელოვნებას, ამირანთან ურთიერთობისას?

- მე, მხოლოდ, მისი მოსმენა შემიძლია, როცა ნაწვიმარ იებს ვხედავ და არა სახლის სახურავებს და ქოლგებს.

- მაგრამ მისი იმპრესიონიზმი?

- ეს წვიმა იისფერია.

- და საინტერესო ეპიზოდები მისი ცხოვრებიდან?

- რომ მოგიყვეთ, უსათუოდ, ბევრ ტყუილს ვიტყვი, რადგან თარილებს ვერ ვიმახსოვრებ, იმპრესიონიზმის ხსენებაზე, ვან გოგის მზე მირტყამს თავში და ყველაფერი ერთმანეთში ირევა.

- აი ხომ ხედავთ, მხატვრობაც იცით.

- მაგრამ ეს ცოდნა მხოლოდ ჩემთვის არის მნიშვნელოვანი და სხვა არავისთვის. მე რომ ვან გოგის ოთახს ვხედავ, ვგრძნობ, როგორ ტკივათ ნერვები კედლებს, საწოლს, ფეხსაცმელს. მაგრამ სულ არ მახსოვს ამ ფეხსაცმლის ზომა, როდის ხვდებოდნენ ის და თეო ერთმანეთს, რომელ წელს გარდაიცვალა, ისიც არ მახსოვს. ამაზე რომ ვფიქრობ, თარიღს კი არ ვხედავ, არამედ ორ ხელოვნურ მზესუმზირას სოფლის პატარა სასაფლაოზე.

- სადაც ყვავები დაფრინავენ...

თბილი ქარივით შემეხო ეს სიტყვები. იქნებ, არც ისე ცუდადაა საქმე, როგორც მგონია. იქნებ, უნდა დადგე აი, ასე, ჟანგისფრად მათ შუა და გალაკტიონის ლექსები უკითხო და ორ-სამ კაცსაც, რომ რაღაც სიმი შეერხეს გულში...

ორი ქალი იწყებს სიმღერას, სულ რომ არ ჩაიძიროს საჭმელში დღევანდელი დღის მუსიკალური მიმართულება. ერთი ვიოლინოსავით მღერის, მეორეს უფრო დაბალი ხმა აქვს.

- ვინ არის ეს ქალი, ვინ არის ეს ქალი, ასეთი ცისფერი?

ცისფერი ქალი სიმღერას ამთავრებს, წავის ქურქს იცვამს და გადის.

ზედმეტად გამათამამა სითბომ და კეთილგანწყობის ილუზიამ. წასასვლელად ვემზადები.

ის კაცი, ფორთოხალს რომ მთავაზობდა, მერსედესის კარს მიღებს. აქაც თბილა და როგორც წიგნის მაღაზიაში, ძვირფასი ტყავის და სიგარეტის სუნი დგას. მაინც. კარგი რამაა ფუფუნება, როცა ბედნიერების განყენებულ იდეას ხელით ეხები და გემოს უსინჯავ. რატომ არ შეიძლება ასე იცხოვრო? რატომ უნდა მოგკლას ჭლექმა, უფულობამ, რატომ უნდა გადმოხტე ფანჯრიდან?

მე ამ კითხვებზე პასუხი არ ვიცი. იქნებ, მერსედესის პატრონმა იცის? ისე ოსტატურად მესაუბრება არაფერზე, ისე მსუბუქად მივყავარ არსაიდან არსაითკენ. სახლში უკუნი სიბნელეა.

- ხომ არ ამოგყვეთ კიბეზე?

ასეთი თავაზიანია თუ თამაშობს? ჩემი აცილება 13 სართულიან სახანძრო კიბეზე და უკან ჩამოსვლა! თან ისიც არ ვიცი, დამხვდება თუ არა ჩემი ბინა თავის ადგილას. იქნებ, სიბნელემ შეჭამა და მხოლოდ ხერხემალი ანუ კიბე დატოვა მისგან. ისევ მიმძაფრდება აბსურდის თეატრის შეგრძნება.

ვემშვიდობები ჩემს გამცილებელს და სახლში მივდივარ, მეექვსე სართულამდე მანქანის ფარები მინათებს. თუ თამაშობს, ჩემს მეტი ხომ ვერავინ დაინახავს. იქნებ, გულწრფელია, იქნებ, რომელიმე ჩემი სიტყვა შეეხო გულზე, ან გაუგებარი ჟანგისფერი მოეწონა საერთო ერთფეროვნებაში? იქნებ, გუმანით ხვდება, რომ მეათე სართულიდან გული ჩამივარდება კიბის უჯრედში და საფლავიც არ დარჩება ჩემგან, ისე გა-

ვქრები და ვეცოდები, ან მიბრაზდება. ადამიანის რიტუალური ბუნების უკანასკნელ საზღვარსაც კი ვარღვევ. ალბათ, ამის გაფიქრებაზე ძრავს მანქანას და მიდის. ყველა ადამიანი ისე კვდება, როგორც ცხოვრობს. ვერც ცხოვრების წესს შეუცვლი და, მითუმეტეს, ვერც ბოლოს. სასვენი ნიშნებიდან ყველაზე უფრო წერტილის დასმა მიჭირს. ძალიან გამოკვეთავს დასასრულს. კედელს გაარღვევ, წერტილს კი ვერა. სულ მრავალწერტილში გადადის ჩემი ფრაზის პირობითი დასასრული. ყველაფერი თავდება, მაგრამ ამას იქით, ვინ იცის, კიდევ რა არის? ტკივილი მეშვიდე სართულზე მეწყება, მეათეზე გული მისხლტება ხელიდან და მივარდება არა საფეხურებზე, არამედ კიბის უჯრედში, სულ ბოლო სართულზე. დახრა და ალება რომ შემეძლოს კიდეც, უკვე აზრი აღარ აქვს, არც მინდა. ისეთ სიმსუბუქეს ვგრძნობ, ბავშვობის მერე რომ არ მიგრძვნია. ჩემი ბინის დაკეტილი კარებიდან რაღაც ანათებს ისე, რომ მეშინია, ხანძარი არ იყოს. მაგრამ, სინათლის წყაროს ვერ ვპოულობ. გავდივარ აივანზე და ვხედავ ჩემს ცხოვრებაში ყველაზე უფრო ხშირად გამეორებულ მეტაფორას: როგორ ვკიდივარ თმებით ცაზე და ხეზე. ცაზე, პირდაპირი მნიშვნელობით, კიდია ოქროსთმიანი ქალი, ზუსტად ისეთი, როგორიც შეცოდებამდე, თმის მოკვეცამდე და მკერდის მოკვეთამდე იყო და ანთია.

- მე უკვე აღარ მინდა, ჩემი მეზობლებისთვის მომეცი თმის თითო ღერი: ერთს ბავშვი ყავს ავად წითელით და ბევრი შუქი ჭირდება, მეორე - ინფარქტის მერე ბნელში რომ ზის, სუნთქვა უჭირს, გული ეკუმშება.

- რაღად გინდა თითო ღერი, როცა უკვე მთელ ქალაქს ვანათებ.

- როგორ მოგვაგენი?

- ქალაქის დიდ მოედანზე რამდენიმე ჰექტარი ვარდები დაურგავთ და მათ შუქზე წამოვედი: იქნებ, მართლა, დაარქვათ ვარდების მოედანი?

ჩემი სიმსუბუქე უკვე ძალიან საგრძნობი ხდება. ნუთუ, ამსიმძიმე იყო გული და ასე მექაჩებოდა მიწისკენ? ჰაერში ავდივარ, თუ ცაზე დავდივარ, ვერ ვხვდები, ან ნაბიჯი მაქვს ასეთი ლურჯი, თუ მყარ ლაჟვარდს მივაგენი, რომელსაც მიწიდან ადამიანის თვალი ვერ ხედავს?

ქვევით ვიყურები: არა, ჯერ ისევ ქალაქის თავზე ვარ. მიწაზე ჩემი საყვარელი სამკუთხედი იკვეთება: ოპერა, კონსერვატორია, რუსთაველის თეატრი. სივრცე მათ შორის ისეა დატენილი მომღერალი ლიბრეტოებით, ჰამლეტის, ლედი მაკბეტის, შინდისფერთმიანი ქალების ლანდებით, რომ შიგ ვერაფრით ვერ შეაღწევ, თუნდაც, ასეთი, ღმერთისგან ნაბოძები სიმსუბუქის წყალობით, როგორიც მე მაქვს. იქნებ, თეთრი ლანდოთი, ან მზის ეტლით! თეატრისგან უნდა ვითხოვო რეკვიზიტი, ახლა ისეთი პირობითი გახდა დეკორაცია, რომ მზის გამომხატველ ყვითელი აბრეშუმის ქსოვილს მაძლევენ "მედეას" ბოლო აქტიდან. ვსარგებლობ ამით და სხვა მიმართულებით მივდივარ, ზევით. იქნებ, თვალი მაინც მოვკრა, სად ცხოვრობენ მკვდარი პოეტები. ახლა ეს უფრო მჭირდება მაგრამ როგორ გავარჩევ ერთმანეთისაგან სამოთხეს და ჯოჯოხეთს?

რა თქმა უნდა, ჯოჯოხეთის ადგილას ბოსხის ნახატი არ დამხვდება, არც სამოთხე იქნება ტიმოთესუბნის ფრესკების ასლი.

იმედი მაქვს, რომ ჯოჯოხეთისთვის არ გაიმეტებდნენ პოეტებს, მაგრამ სამოთხეშიც არ შეუშვებდნენ ამხელა ტკივილით და აწეწილი ნერვებით. სადღაც გამჭირვალე ცასა და მყარ ლაჟვარდს შორის დადიან, ალბათ. ვაჟა-ფშაველას პირში ბალახი ამოსდის, ბარათაშვილს სრულიად აღარ ემჩნევა კოჭლობა, ძალიან ღრმად, ღრუბლების სათავესთან, სადაც ცა, განსაკუთრებით თეთრია, გალაკტიონი ცხოვრობს, თოვლის სამშობლოში. ბესიკს ხანდახან უფლებას აძლევენ სამოთხის ბაღში იაროს, "სევდის ბაღთან" მსგავსების გამო.

როგორ მინდა დაველაპარაკო რომელიმეს, მაგრამ ვინ მომცემს ამის უფლებას! ჯერ ბოლომდე უნდა გავარკვიო, მოვკვდი თუ ცოცხალი ვარ. ასეთი რამ კი ცაში არ ხდება, მიწაზე უნდა დავბრუნდე, მაგრამ ფრენას მე ხომ არ ვმართავ, ჩიტივით მშვიდობიანად ვერ დავეშვები სასურველ ადგილას, ან განსაწმენდელში უაზროდ და უადგილოდ უნდა ვიარო, რაც სიზიფეს და ამირანის სასჯელზე ბევრად უარესია, ან მიწას უნდა დავენარცხო და სული ამომხდეს.

ცოტათი დაბლა ვეშვები, ისე, რომ ქალაქის ქუჩებს ვხედავ. დედა-შვილი მიდის ქუჩაში. პატარა გოგონამ დამინახა.

- დედა შეხედე, რაღაცა მიფრინავს.

- ალბათ, ფოთლებს ატრიალებს ქარი.

- რა ფოთლებს, ახლა ხომ გაზაფხულია.

როგორ მეცნობა მიწაზე თვალდაბჯენილი ქალის განურჩევლობა. მისთვის სულერთია რა დროა, ხეებს ყვავილები ასხიათ, თუ ფოთლები ცვივათ. ისე გაამწარეს, რომ ცაში ახედვის ეშინია. რამდენ წვალებად დაუჯდა ფიქრის ამოძირკვა თავიდან, ოცნებისა, მითუმეტეს. და ახლა თუ გაახსენეს, რომ ცა არსებობს, ღლისით ფრინვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებით სავსე, ღამე - ვარსკვლავებით, ფრჩხილის ნაკაწრივით ახალ მთვარეზე ამინდი იცვლება, ხოლო სავსე მთვარე - სიყვარულისკენ უბიძგებს ადამიანს, ეს ყველაფერი თუ გაახსენეს, გული გაუსკდება და მოკვდება, იქვე, ტროტუარზე დაეცემა შვილის თვალწინ და ველარც აკრიფავენ, ამიტომ ცდილობს, სადმე მაღაზიაში შეიყვანოს ბავშვი, იაფი სალეჭი რეზინი უყიდოს და დააწყნაროს, მაგრამ ბავშვი არ წყნარდება.

- დედა, ნამდვილად ანგელოზია, ისე გავს ადამიანს, კაბაც კი აცვია.

- ანგელოზებს კაბები არ აცვიათ.

შაგალის ნახატი ხომ არ ელანდება ბავშვს? - ფიქრობს ქალი. როგორ უყვარდა ერთ დროს ეს ცაზე ქინძისთავებით მიბნეული, ან მიწაზე წვიმასავით გადმოპირქვავებული ტანები, ყვავილები მათ მკერდებში და ვიოლინოები მუცლებში. იქნებ ფეხმძიმედ როცა იყო, იმდენი უყურა ამ ნახატებს, რომ გამზადებული ხატებივით ჩაუდო შვილს ტვინში?

- არაფერი საჭირო არ არის ასე გაზარდო ბავშვი, ესთეტიკა ზედმეტი ბარგია დღეს. ჯობს ორივე ფეხით მიწაზე იდგეს. ისე მესმის მისი ფიქრი, თითქოს, ხმამაღლა ლაპარაკობს. სატელიტურ ანტენას ვეფარები. მერე კი ვხვდები, რომ ვერავითარი ძალა ქალს ცაში ვერ ამოახედებს. ბავშვს ვუღიმი და ხელსაც ვუქნევ, იფიქროს, ცოტა ხანს, სანამ გაიზრდება, რომ ანგელოზები არსებობენ და ფრენისკენ გვიბიძგებენ...

ისე, მეც რა მინდა ცაში, როცა ვიცი, რომ დედამიწის გარშემო ხეტიალიც, ფათერაკებით სავსე თავგადასავლები, ცაში ფრენაც კი, გაცილებით უფრო იოლია, ვიდრე დავიწყებულ თუ ხსოვნაში დაპატარავებულ სამშობლოში დაბრუნება იქნებ შენი მომლოდინე სახეები დრომ და სევდამ ისე დასერა, როგორც სახლის კედლები ბზარებმა და აბლაბუდამ?

და, რაც მთავარია, ის ქალი, ოქროს ძაფით რომ კერავდა და გზას გიჩვენებდა, მიუხედავად იმისა, უყურებდი შენ მას თუ არა, ღმერთმა ობობად აქცია და ჩააქრო.

მართალია, ეს ის მთავარი ქალი კი არ იყო, ვინც ლამის, საუკუნეა გელოდება, არამედ გზის გამკვლევი ამ მოლოდინამდე, მისი ბიძგები გულის ცემასავით წყდება. ბოლო აზრი წამოტივტივდება თავში: ყველა ადამიანი თავის ითაკაში უნდა დაბრუნდეს. თუმცა ლოგინში სიკვდილი გაცილებით იოლია, ვიდრე ასე წვალებით ცაში ასული დაასკდე მიწას, მაგრამ სხვა გზა არ არის.

მთელი ძალით ვენარცხები ქვაფენილს, ვერც კი ვხვდები, რომელი ქუჩის. ჩემივე ლექსი მაგონდება: შემთხვევითი გამვლელებისთვის უბედური ადამიანი იქნები, ფანჯრიდან გადმომხტარი, შენი ნებიერი შვილებისთვის კი - რძეში ჩავარდნილი ქვა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადუნ თურქაძე

## მარადიული სევდა

ზამთრის ვარდივით ჭკნება დიდება,
სიმაღლეც ქრება
თავს რომ წირავდნენ,
ვინ ეზიარა ჭეშმარიტებას
და ვინ აავსო თასი პირამდე?

შემოაღამდა ბევრს შუა გზაზე,
როცა სიცოცხლე თრობას იწყებდა,
უხმოდ ავიდა სახრჩობელაზე
და შეეწირა თავდავიწყებას!

ისევ იცვლება ვერცხლზე სერობა,
ართობს მასხარა დარბაზს შაირით,
ხსნის დრო და ჟამის ულმობელობას
ბეჭდის წარწერა - "ესეც გაივლის"...

დილა ამშვიდებს მშფოთვარე ვნებას
გრძნობა ეცლება ღამის ტირადებს,
ამ ქვეყანაზე ვინ ჰპოვა შვება
და ვინ აავსო თასი პირამდე?

ჟამთა სიავე ცხენთა ჯირითით
და ეტლის ქროლვით დათრგუნა ვინაც,
ვინაც ელადის ცის ლაბირინთი
თავისი ქვეყნის არჩია ბრწყინვას.

ვინც მიხვდა ბედთან დასრულდა დავა
და შეეპარა ცხოვრებას ხავსი,
გაექცა ყველას, რომ ეგრძნო თავად
საბედისწერო გასროლის ფასი!

თეთრი ქარები ღამეს კაწრავენ,
ზამთრის სიჩუმე მოსავს კვირა დღეს,
ვინ მიაღწია ნეტარ ტაძრამდე
და ვინ აავსო თასი პირამდე?

უძილო ღამის ცივი თითებით
იშლება ჩუმად ფიქრთა დღიური,
ყოფნა? არყოფნა? სულს გაფითრებით
კითხვები ტანჯავს მარადიული.

ყოველ ნაბიჯში თვლემს ბედისწერა,
ზეცა იზიდავს მიწის ბინადრებს,
ვინ მიაღწია უხილავ მწვერვალს
და ვინ აავსო თასი პირამდე?

ვინ გაუსწორა თვალი ღვთის მზერას
ნუგეშად ცრემლი რომ არ ჰქონოდეს?
ვინ სთქვა სიამით გედის სიმღერა
და ვინ დასცალა თასი ბოლომდე?

## დედა

შენ ჩემთან ახლოს გეძინა დედა,
მე კი სულ სხვაგან ვიყავი წუხელ...
მე კი სულ სხვაზედ ვფიქრობდი წუხელ...
უეცრად ძილში შენ შემკრთალმა ამოიკვნესე,
იქნება ჩემი ტკივილები იგრძენი, დედა!

## ხილვა: გელათი

შენ მუხლებამდე ბალახში დგახარ
ნათელი ცით და ლურჯი კედლებით,
სულ მუხლებამდე ბალახში დგახარ
ხელაპყრობილი ცისკენ ვედრებით...

რა ვუყოთ, ზოგჯერ გეწვევა რული
და წარსულისკენ გაგირბის მზერა,
შენს ბებერ ფესვში ცემს მეფის გული,
ვით გაფრთხილება და ბედისწერა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## და არავინ უწყის...

*მზია ფერაძეს*

ბალიშს ლაჟვარდის დაფენოდა
ლურჯი ფოთლები,
სიცხიან ტუჩებს
გინელებდა ცრემლები დედის
და გაუშლელი ყვავილები შენი ოცნების
აპრილის ქარებს მიჰქონდათ სადღაც...

და შენ გეგონა,
რომ ეს იყო მხოლოდ სიზმარი
და ბავშვურ განცდით თამაშობდი
ოქროს ჩიტებთან,
მერე ჩნდებოდნენ სურათები უცნობი
მხარის
და შენ გეგონა,
რომ ეს იყო მხოლოდ სიზმარი.

და ვით იმედი
შენს თვალებში სხივი ეული,
დიდხანს ომობდა თავგანწირვით
გარდუვალ ხვედრთან,
მაგრამ სულ უფრო მძვინვარებდა
ბედი წყეული
და ფერად სიზმრებს
შენთვის უცხო ბურუსში ხვევდა!

და ბოლოს, როცა მზერა მოსწყდა
თვალს ფერმიხდილი
და არვინ უწყის, რა კრთოდა მასში
შიში თუ წყენა,
შენ მარადიულ სიჩუმეში განაგრძე
ძილი,
ნაწამებ სულს კი დაუვანა
სათუთად ზენამ...

## თოვდა...

მღეროდა შენი მაღალი ტანი,
ვნებით ბორგავდნენ კვამლში ბორცვები,
სულს აბრუებდა ჰანგი ორღანის
და ცახცახებდა ნერვი ფოცხვერის!

გარეთ კი თოვდა... თეთრი ხეები
გარინდულიყვნენ შენი სახებით,
მე მეშინოდა თვალის გახელის,
რადგან მოჰქროდნენ შენსკენ ხელები!

მარადიული სევდა სამების
ცოდვილთა ბედზე კვნესოდა ქარში,
წამებით ჩავლილ ბედნიერ წამებს
მე დავეძებდი თოვლისგან წაშლილს...

თოვდა და შენი მაღალი ტანი
მიჰქონდა ღამეს, როგორც სანთელი
და ფითრდებოდა სულის საკანი
ამღვრეულ ფიქრთა კორიანტელით.

ვიდექი ასე, დიდხანს, დაღლამდის...
განაწამები იდუმალ თრთოლვით
და სიყვარულზე უთქმელ ღაღადისს
ეფინა თეთრი სიჩუმე – თოვლი!

ბიბლიოთეკა

მედეა კახიძე

# თვალში ნაცარშეყრილი ცოდვა-მადლი

ორი მოთხრობა

ცხრა მთას იქითელიაო, სადაურობას არ უვიწყებდნენ ოცი წლის წინ ჩვენს სოფელში გადმოხვეწილ ლექსოს. ართვალი არ იყო, გონითაც და ღონითაც სხვებს გადაემეტებოდა, მაგრამ, აქაურთათვის სახელგატეხილ კაცად ითვლებოდა და გაკიდეგანებული ჰყავდათ. ლექსოს ცოლის მწარე-მწარე წამოძახილებისა ეშინოდა და ნებაზე ჰყავდა მიშვებული, მალუცა ყელყელაობდა: - კარგი შემომტანიც არისო და კარგი მომფერებელიცო. ქმრის დაყოლიებას, დიდი არაფერი უნდაო, ერთი შეუთამაშე ლოგინშიო და ეგ არისო. საკმარისი იყო საწყენი სიტყვა წამოსცდენოდა, რომ ცოლი ყიამყრალი წყევლით გამასპინძლებოდა:

- ასეთი, ხელადასავით დაჯიდა ქალი რამ ათხოვნინაო; - წამოსცდებოდათ მოშურნეებს.

- ტოლმა ტოლს უნდა უტოლოსო, მაგ ბაჯაჯღანას რა აყურებინებსო.

- მაგისთვის ეგეც მეტიაო, კაცი შემოკვდომია და ჩვენსკენ იმიტომ გადმოსხვავებულაო.

- კი არ შემოკვდომია, გულდაგულ მისულა და მძინარისთვის თავი რიყის ქვებით გაუჩეჩქვია მაგ სულწაწყმედილს და სიცოცხლე მოსასპობსო, - ენას იქავებდნენ მეზობლები.

- ციხეშიც მჯდარაო, თავი ქრთამით გამოუხსნიაო, ეგ სიბნელის ბჭესთავს ვეღარ გამოაღწევსო.

- ისეთი მკლავები აქვს, ერთი კი არა, ბარემ ათიც ეყოლება გასტუმრებულიო.

არც მალუცა აკლებდა საყვედურებს: - ცოდვიანი ხარ და დაასაკებამდე იმიტომაც არ შეგვრჩა არცერთი შვილიო, ღმერთი შენთვის მემკვიდრეს არ იმეტებსო. მალუცამ ისეთი ლონიერი წყევლა იცოდა, ბაყბაყ დევს სულს გააცხებინებდა. ამბობდა კიდეც, ვისაც შევუთვლი, ხესავით ზეზეულად ხმებაო, მერე ჩამოთვლიდა: ეგ პირქვე დასამარხავიო, ეს არ გასაშვებიო, ეგ მზედასაბნელებელიო: - აყეფდა დღეცისმარე და აღარ ჩერდებოდა, - თქვენს ლხენას, მაგას დღე ვაყაროო...

- შენ რომ წყევლას მოყვები, კაცი ვდონდლოვდებიო.

- ვინმეს, რომ ვთათხავ, გული მიგრილდებაო; - შეაგებებდა პასუხს მალუცა.

ხელთუყარი ქალი იყო, იჯდა და განძრევა ეზარებოდა. თუ ქმარი წყალს არ მოუტანდა, წყურვილით დაიხრჩობოდა. დოქში ერთთავად მოდონდლოვებული წყალი ედგა.

- ამ გუბისწყალს რა გასმევს, კიდევ კარგი წყაროა, თორემ ჭურჭელში აგიყროლდებოდაო, - ეტყოდა ლექსო.

ქვევრში რომ მაჭარი აბუყბუყდებოდა, ქმარს ალოდებდა, დუღილში ისე გადმოიცლებოდა, ზემოდან სიპს არ გადაახდიდა ჰაერი გარეთ გამოსულიყო.

ტრუსის სუნი მეცაო, ქმარს ეზოში ჩასძახებდა, ღუმელთან მიფიცხებული მალუცა, მუხლებს და ხელებს არ დაასაქმებდა, ცეცხლი გამოეკეთებინა. შვილი რომ შეეძინა, ძმამ ძეობაში მეწველი თხა მოგვარა. ახლა მეთხეობა დამაწყებინეო, ეგ თავისით არ მოიწველება და აკუზვ-დაკუზვის თავი სადა მაქვსო, უკანვე წააყვანინა. ქმარს უნებივრდებოდა, აგვისტოში დარაბებს ხურავდა, წვიმის შხაპა-შხუპი არ მაძინებსო. მუდამ ქალ-ამხანაგებით გარშემორტყმული, თვითონაც ჭორებით ისაზრდოებდა თავს და სხვებსაც ასაზრდოებდა, ახალ-ახალი ამბები არ ელეოდა. მალუცასაგან უნდა გაგეგო, ვინ რამდენჯერ დააცემინა ცხვირი, ვისმა ქათამმა რამდენი კვერცხი დადო, ვინ ვისა ყვარობდა და ვისი ყვინჩილა წაიღო ქორმა. ცნობათა ბიურო ხარო, ყოველ საღამო ცხელ-ცხელ ამბებს გადმოსცემო, ცალყბად აქებდნენ მოცლილები. ხან ისეთ ტყუილს დაარხევდა, თვითონვე გაოცებას იყო, საიდანღა მომაფიქრდაო, არავის არ უთხრაო, დააფიცებდა მსმენელს, ორმა ვიცოდეთო და საღამომდე ჭორს თვითონვე გაავრცელებდა.

დღენიადაგ ქმარს ოჯახისშვილობას აყვედრიდა. ციხის ზედამხედველის შვილიშვილი ვარო, ქალობამდე ისე მოვედი, ფრჩხილიც არ წამომტკივნიაო, ოჯახის მოვლამ წაიღო ჩემი ჯანიო, მოუთმენლად ველოდები თოვლის ჩამოყრასო, ზამთარში ჯანს ვასვენებო, ბუხარ-გამხიარულებულ ოთა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხში ჯდომას არაფერი მირჩევიაო. ცოცხს კვირაში ერთხელ თუ გამოუსვამდა სახლს. ჩაგოდრებულ - გაფაშფაშებული, უკანალს ძლივს დაათრევდა ლახ-ლახა იხვივით. გულზე ქონი რომ შემოგაწვა, ეცადე წონაში დაიკლოო, ურჩევდა ქმარი. რომ გავხდე, ზამთარში შემცივდებაო.

ჭამას გადაყოლილს, პირის პატივი უყვარდა. ხშირად ამბობდა: მაქვს და კუჭი არ გავანებივროო! აბა, ჩემი ქონება სხვას გამოვაჭმევინოო?! თიბათვეში გოზინაყს აკეთებდა, მაცივარში შეკუჭავდა და ქმრის ჩუმ-ჩუმად იზოგებდა. მამლები გაიქრო: - სისხამზე მაღვიძებენო: - დედლები მაინც იყოლიე, კვერცხი ვიქონიოთო; - ისედაც შაკიკი მკლავს და მაგათი კაკანით თავს აღარ ავიტკივებო, კვერცხი მითხარი და იმაზე წუწუნი: - აიტაცებდა ცოლი და კარგებისას ეტყოდა ქმარს: - შენ კაცის შემბრალებელი აღარ გახდებიო, ტყუილად არ მოგიკვეთეს შენიანებმაო. ლექსო თავს მართლულობდა: - აილ-დაილე, ანკესით თევზი თუ დამიჭერია და მახეში ჩიტი გამიბამსო, ეს თუ ცოდვად ჩამეთვლებაო; დედაჩემმა კაცთმოყვარე ქრისტიანად გამზარდა, მუდამ საკეთილო საქმეზე ვიყავი შემდგარიო და ვერ გამიგია, მე რატომ უნდა ვზიდო სხვისი ცოდვაო. გული შემეთელა ამდენი ტყუილი ცილისწამებითო.

ერთადერთი ოჯახი, ვისაც ლექსოს ავკაცობისა არ სჯეროდა ჩვენ ვიყავით: - კაცს ძველი ადათი არ ავიწყდება ცოლს ერთ ზედმეტ სიტყვას არ შეკადრებსო, პურის ნატეხსაც კი მოწიწებით ექცევაო, ძირს დავარდნილს დასწვდება, მტვერს შეუბერავს და ადგილზევე დადებსო. თავისი მარჯვენით კაი კაცობს და ირჯებაო, ეგ კაცს როგორ მოკლავდაო: - თავდებობდა მამაჩემი. ლექსო მამაჩემს შეჩიოდა - ერთმა მოურიდებელმა წამოძახებამ გამხვიაო შარში. სიჯეელეში ერთს დავემუქრე, თუ კიდევ წაგასწრებენ ქურდობაზე, არ დაგინდობ და ჩაგქოლავო, ჩემდა საუბედუროდ ის კაცი მეორე დღესვე იპოვეს ვენახში თავგაჭეჭყილი. ჩემმა ქადილმა ავარაუდებიათ, რომ მკვლელი მე ვიყავი, ცოდვათა გამტევნებელ ვაცად ჩამთვალეს და უტყუარ საბუთად წამიყენესო, მაგრამ დანაშაული ვერ დამიმტკიცეს და გამანთავისუფლესო. ხალხი მოკლულის პატრონს მიუდგა, სოფელი გაერთპირდა, თვალში ამომიბუეს, კარგი და ავი ერთნაირად მომითვალეს და დაუჩემებელი ენები აღარ დააყენეს. ჭორმა თანდათან იბარტყა, ნათესავები და მახლობლები დამიშორეულდნენ. თავი აღარსად გამომეყოფოდა, გვემა სულისა ველარ დავითმინე, ნდობადაკარგული და გზაშეკრული, თავს ველარაფერს ვაბამდიო, ნიადაგგამოცლილი წყალმცენარესავით დავტივტივებდი, ვიდრე სიმარტოხელე მობეზრებული, მალუცას არ გადავეყარეო, მაგრამ ჭორი აქაც ფეხდაფეხ მომყვაო და სასეიროდ გამომაჭენაო.

ლექსო არაფერს მალავდა, მოვიდოდა და გულისნადებს გადაშლიდა: ასე და ასეო ჩემს თავს! - დაკეჭნილი და დაფუკული გულით დავდივარ, თაგვების სოროში შეთრეულს ვგევარო, მეგონა ოჯახი ზურგს გამიმაგრებდა და ვაიდან-ვუიში გადავარდიო, ვაი შენ ჩემო თავოო, ამ ცოცხზე გადამჯდარმა კუდიანმა უუნარო გამხადა და უარეს დღეში გამხვიაო. ენად არისო გაკრეფილი: - კაცის სისხლში გაქვს ხელები გასვრილიო, მოჭარბებული სისხლი გამოუშვი და ახლა დაცხრიო. ცდას არ აკლებს ფეხქვეშ გამიგოს, თავი სახრით გასახრული მგონია, დღეს სწორედ არ დაალამებს და გაათენებსო: - მამაჩემი გულს დაუხვევდა, დააწყნარებდა, ლხინში შეიყოლიებდა და შვებამიცემულს გაისტუმრებდა. ბავშვებს შიშის ფეთება ქონდათ, - ლექსოს გამოჩენაზე ტლინკებს შეყრიდნენ და გარბოდნენ, არ დაგვედევნოს და ნაბუარი არ გაგვადინოსო, მე მისი რიდიც მქონდა და სიყვარულიც. ცხენხეთქებით მომავალი, ალვირს მოსწევდა. წინ შემომისვამდა და ოხუნჯ-ოხუნჯობით ქუჩაზე ჩამომატარებდა: - ორი თვალი და ორი ყური რომ გაბია, არა ჯობდა ექვსი პირი გამოგსვლოდა, ექვსჯერ უფრო მეტს შეათქლაფუნებდიო: - რასაც მთავაზობენ, იმასაც ვერ ვათავებო, ერთიც მეყოფა, უარს ვეუბნებოდი ექვს პირზე: - მე მომებარე და ყლაპაყლუპში გავარჯიშებო. სულისულზე მოველოდი ლექსოს მოსვლას და გული მწყდებოდა, მის გულზე გამოსულ მუწუკს რომ ვერაფრით ვწამლობდი. მამაჩემმა ორივე თვალი, ლექსოს განსაკითხველად გულში ჩაიბრუნა და ქომაგად დაუდგა: - ეჭვმიტანილი იყო, მაგრამ არ დაუმტკიცდაო, ასეთი გულჩვილი სისხლს როგორ დაღვრიდაო, გარეულ იხვებზე სანადიროდ არ მომყვებაო. კაცის მკვლელი, ასე უცაბედად ვერ გადასხვაფერდებოდაო, სხვისი დანაშაული, მაგას რად გინდათ არწყვევინოთო: - მთელი სოფელი პირზე ადგება, მეტი რაღა მტკიცება გინდაო. ეგ კაცის სამშვიდობო ხიდზე გადამყვანელი ველარ გახდებაო, აუყაყანდებოდნენ მამაჩემს. გულზე ცეცხლმოკიდებულ ლექსოს მამაჩემთან ყოფნა შვებას განაცდევინებდა. სადაც არ უნდა ყო-

ბიბლიოთეკა

ფილიყო მიდგებ-მოდგებოდა და გვერდში ამოეტუზებოდა. ერთმა ენის წასწრებამ ვიწროში წამომატანა და ყელში დასახრჩობად მწვდაო, თავმომწონე ბიჭი ვიყავი, მაჩანჩალობა მძულდა და მაჩანჩალად გადამაქციესო, თავდებად ძმებიც არ დამიდგნენო, მე ვზიდე ვიღაც არამზადის საზიდი ტვირთიო: - მამაჩემი გულდადებით უსმენდა და ამხნევებდა: - რას იზამ წყვდიადში, სინათლეც იკარგებაო, ცილისწამების ხლართი უეჭველად გაიხსნებაო, ზერე-ქვერე მითქმა-მოთქმასაც ბოლო მოეღებაო. ლექსოს ხავილი აღმოხდებოდა გულიდან და ყელში გულმობჯენილი ვედრებით შემოგვაჩერდებოდა. მეც ავღელდებოდი, გრძნობები ამეშლებოდა და სატირლად გავემზადებოდი, ლექსოს ჭორი ისევ კოლო-ბუზივით ეხვეოდა და ბრალში ხვევდა. მერე და მერე თვალსასეიროდ გამოჭენებულ ქმარს მალუცამ თავზე გადახტომა დაუწყო. მისი ქვეშ-ქვეშობის მოწმე მრავალჯერ ვყოფილვარ. მინახავს, როგორ მიუჯახუნებია ცხვირწინ, შობაზე, ალილოზე ჩამოვლილი ბიჭუკელებისათვის: - თქვენი მოსაცემი კვერცხი სადა მაქვსო, როცა კვერცხს დავდებ, მაშინ მომაკითხეთო, თქვე ლაყე კვერცხებივით ტვინგამოლაყებულებოო, ისიც დამინახავს რომ მუხლებს ითქვეფდა: - ჩემი კაცი წაქვავებულია, ხახვის კვლებს აბრეშუმა მოედო, გაუმარგლავად დაურჩენლობა წაახდენსო და რა მეშველებაო. დეკემბერში, ლეღვის ხეებს ქაფქაფა-ადუღებული წყალი ჩაუსხა ფესვებში: - ლექსო ლეღვის ჩირზე სულს ამთხვევს, თონეში ჩაკიდებას მომთხოვს და მაგის ჯანი სადა მაქვსო, ლეღვები გაახმო და ყინვას დააბრალა, თან უსირცხვილოდ ენამელურობდა, თურმე ქართლში იმიტომაც არ ხარობს ლეღვი და ბროწეული, ყინვას ვერ უძლებენო. ლექსო უთმენდა: - მაგის უმაქნისობას და ავთვალობას მივეჩვიე, ეგეთი რამე-რუმეები არ გაეოცება, მაგრამ ცხოველები სძულს, ძაღლი ამოიჩემა და მეშინია სიმუხანათე რამ არ ჩაიდინოსო: - ვაი ხესა და ქვას, ვისაც ეგ გადაეკიდებაო, ძაღლი მოაშორეო ამოიჩემა და აღარ მეშვებაო, მაგისი გაბმული წკმუილი ნერვებს მიჭამსო, ყურები გამუდმებით მაღლა აქვს აცქვეტილი, არაფერი არ გამოეპაროსო, უჯრის თაგვის გაცუცუნებაზეც იყეფებაო, თავგასული ქოფაკიაო: - რამ გააქოფაკა ჯიშიანი კავკასიური ნაგაზია, მეცხვარის ძაღლიაო, შარშან მეცხვარეები, სამ გუდა თუშურ ყველში მიცვლიდნენო, მაგრამ მასეთ შემმართებელ და ერთგულს რა გამამეტებინებსო, ორი მგელი ჰყავს დაგლეჯილიო: - შენ სულ მკვლელობა გელანდებაო ის ერთი, ხომ მოინელე, ახლა ჩემი ჯერია, გინდა სული ამომხადოო. ენად გაიკრიფებოდა მალუცა. - ენაზე სულ ძაღლი ეკერა, დღე არ გააჩნია და ღამეო, ბოხი ხმით ყმუისო, მეზობლის ინდაურს კურტუმი გამოაგლიჯაო. ძაღლის დაყეფებაზე ისეთი წყევლის კორიანტელს დააყენებდა თვალი არ გაიხილებოდა: - შე უკუღმართ გზაზე გასაყენებელოო, შავი ქვა და ნაცარი ცხელიო, შე დასამიწებელოო და დაამიწა კიდევაც. ლექსოს ისე გამოთხლიშა ძაღლი ხელიდან, არც თავი უმართლებია და არც ნართაულებს მოყოლია.

- ჯაჭვზე დაბმული, როდემდე უნდა ყოფილიყო, - შენი გულმაგარაო. მთაში გავატანე მწყემსებს, მგლებთან საბრძოლველადო. რამდენიც გინდა იხტუნე, უკვე ერთი დღის სავალზე არიან და ვეღარ დაეწევიო, დაარხეინებული ბრძანდებოდეო, საჩინო ადგილზე დააბინავებენო, ცხვრებს ჩამორეკავენ და იმ წუნკალსაც უკან ჩამოგგვრიანო. ცხადზე უცხადესი იყო, ცოლმა ნაგაზი თავიდან მოიწყვიტა. ლექსომ დაირბინა მდელო-კორდი და ყელზე საბელწაჭერილი ჯაგებში იპოვა ჩაგდებული. - მალუცა მოურიდებლად ლაქლაქებდა: - ენა გაუხმეს და ხელმომართული არ ატაროს გამჩენმა, ვინც მე დამაბრალოსო, ვისაც კაცის კვლაზე ხელი აქვს გაჩვეული, ეგეც იმისი ნახელავიაო, ხელები შეაწმინდა ქმარს: - ბებერი იყო და კარგახანია მოძულებული ჰყავდა, მშიერს კლავდაო, ძლივს საწადელი შეისრულაო. მორჩა, ძაღლს აღარ ვაყოლიებინებო, მაგ ტვინგაფიცხებულსო: - ხალხმა ისევ აიქაფა პირი წელთა მრავლობა, ზოგს ჭკუას აცლის, ზოგს აბრძენებსო, ლექსოს ბზე უყრია თავში და მეტი არც მოეთხოვებაო. ენა და პირი ვერ მოთვლის, რასაც მაგას ვუთმენო, - ლექსო ჩვენ შემოგვღმუოდა: - ფეხქვეშ გაგების მოყვარული არ ვიყავი და ცოლმა გამხადაო, როდემდე უნდა მთელოს და მბუბნოსო. აქ გამჩერებელი აღარა ვარო, რაც ჩემი ცოლია, ერთი მასალბუნებელი სიტყვა არ წამოსცდენიაო. მამაჩემი ისევ ღვინის სმაში შეიყოლიებდა, გულდანაღვლიანებულს აქეთურ-იქეთურ ლათაიებს მოუყვებოდა და ჭმუნვას გაუქარწყლებდა: - სიმართლე გაირკვევაო, შენზე უარეს დღეში სხვები ყოფილანო; არწმუნებდა მამაჩემი: - შენთან მეგობრობა მეამაყებაო, ეხვეოდა, თავში ღვინო შემჯდარი და გამხიარულებული ლექსო. მამაჩემთან მეგობრობა, მართლაც მისი მაბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნიერებელი იყო, როცა ნასვამმა ლექსომ დაიტრაბახა, ვენახს ისე აჟონჟლია, ხუთ ტონამდე დაიკრიფებაო და ქვევრის თხოვნა დამჭირდებაო. სახელმწიფო დამზადების კომისიამ, სავალდებულო გადასახადი ისე შეაწერა, ზვარში ცალი თვალითაც არ შეუჭყეტიათ, ვენახში ერთი ტონა ყურძენიც არ მოიკრიფა და ლექსოს, მთელი წლის მოსავალი თავისი ხელით ამოახაპინეს მარნიდან და მეურნეობის საწყობში ჩააბარებინეს. - უწვეთღვინოდ დარჩენილს, აღარც საზედაშედ და აღარც სტუმრისათვის რომ აღარ დარჩა ღვინო, მამაჩემმა უშელავათა, სამჩაფიანი ქვევრი საფერავით მიულიცლიცა და ორადმოკაკული ლექსო წელში გამართა. შენ რომ არ წამომშველებოდი, ერთი შემღერება ღვინოლა მქონდა და ერთ ყლუპადაც არ მეყოფოდაო, ზიარებასავით სულზე მომასწარიო. დუჟმორეული ბრბოს, მოურიდებელ ლაქლაქს შეჩვეული ლექსო ხანდახან თავს წალილინების ნებას რთავდა, ბოლოს მისი გულის კუნჭულში ჩაკირულ საიდუმლოს მოწმეც გავხდი, - სუფრიდან, ისე არ ადგებოდა იმ ქალის შესანდობარი არ დაელია და ჩონგურზე კაფია არ დაემღერებინა. ლექსი იაფი ქათინაურებით იყო სავსე, მაგრამ ისე გულჩათუთქულად მოთქვამდა სტრიქონიდან ყოველი ნატყორცნი სიტყვა ტკივილს მაყენებდა და ჩემდა უნებლიედ ჩინარყოფილი ქალის, სულგამწარებული ყოფის ზიარ ვიქმენი, და თვალმაღვიძარს თვალმილულს მისი მზიანი სახე და ჩანჩქერივით ჩამოშლილი თმები მელანდებოდა. ლექსოს ხვაშიადის ერთგული შემნახავი ბოლომდე დავრჩი და ლექსო დღემდე არ დამვიწყებია. "ქალაო ტუჩებრძიანო, გულის ტოლო და ზიანო, ნურაფერს მკითხავ მზიაო"! ლექსო მალუცას თავს არიდებდა, შინ ყოფნა აღარ ეხალისებოდა, იმედმინავლული და გასილაქებული ხელმარტოობას რჩეობდა. - გაუთენებელზე შინიდან გასული, დასაძინებლად შემოდიოდა, ცხენს ბალახს დაუყრიდა, დასარწყულებლად წაიყვანდა და ადამიანივით ეგულისპასუხებოდა. ცოლი ეჭვიანობდა, ჩემს თავს ცხენი გირჩევიაო, ზერელე კაცი ხარო, წყალმანკიანი გულის პატრონი ვარ და ენა გაბრტყელებული, მხოლოდ მაგ ულაყს ესიყვარულებიო. ლექსოს თვალის დამყენებელი ცხენი ჰყავდა, ღონიერ ფეხებზე შემდგარს, მაგარი სანიხლე ქუსლი ქონდა, ყარყარა კისერს, რომ წამოსწევდა და ჭკვიან თვალებს შემოგაშტერებდა, გეგონებოდა საცაა გამოგეპასუხებაო. ბოლოს ჯერი ცხენზე მიდგა. მალუცა ატყდა და აღარ გაჩერდა: - ეზო წარამარა ინეხვებაო, მაგისი ხვიხვინი მეჯავრებაო: -ცხენის წესი ასეთია, და უნდა იხვიხვინოსო: - გაყიდე მოაშორეო. ორივე ხელი მაგ ამოსაგდებისკენ გაქვსო, სულ მოუცლელი როდემდე უნდა იყოო. თავის ქეიფზე გათამაშებსო, გაცდენსო. საბანაოდ, წაიყვანეო, გაუთიბეო, თივა მიუმარაგეო საზამთროდ, მარილი აალოკეო, შეკაზმეო: - გათიბვა და წყალზე ჩასვლა, მეხალისებაო, რა დიდ მოვლას თხოულობსო, თავის საწილო ბალახს თვითონ მოულობსო. ავკიდებ, დაიზურგება და მოდისო: - ბალახის გამჩანაგებელიაო, ძლომა არ ეკიდებაო: - შენ რა გაკლდებაო, შენ ხომ იონჯას არა სძოვო. რაკი ერთი და ერთი აიხირა, აღარ გაჩერდა, ვიდრე ცხენს სასიკვდილო განაჩენი არ გამოუტანა. ერთ საღამოს ლექსოს ბოსელში, მუცელგაბერილი ცხენი დახვდა, მალუცა ზლუქუნით შეეგება: - არიქა, ჩქარა რაიმე ილონე, ჩვენი შავრა კვდებაო, ლექსო მიხვდა, ზოზინის დრო არ იყო და თავქუდმოგლეჯით მამაჩემის საძებნელად გავარდა. მამაჩემი გამოცდილი ბეითალი იყო, როგორც კი დუჟმორეული, პირალმა გაშხლართული ცხენი დაინახა, დანანებით თქვა: - ამისი წირვა გამოყვანილიაო, ველარაფერს ვუშველიო. მალუცა აიქოჩრა და შეუტია, - ცოტათი მაინც გამოიღე ხელი, ნემსის გაკეთება სცადე ან აბი გადააყლაპე, პირუტყვი არ გეცოდებაო, შე ოჯახქოროო. მამაჩემი განზ-განზე იყურებოდა, მერე გახევებულ ცხენს ქუთუთოები გადაუწია და თავაულებლივ თქვა: - რაღა საშველი უნდა მივცე, უკვე მკვდარიაო. მიწაზე დამუხლისთავებული ლექსო ბუტბუტებდა: - უსაკვებოდ, შენ არა მყავდი და უპატიოდო. ასეთ გაყალალნებულ ბედაურს, რა მოგერიაო. მალუცა მამაჩემს უკან გაედევნა თავდაჭერილობა დაკარგა და მიაწყევლა: - ხელმომართული არ გატაროსო მამაზეციერმა, შე არ გასაშვებოო, როგორ არ გაინძერიო, კარგად გაგესინჯაო. მამაჩემს აღშფოთებისაგან სახე მოეღრიცა, ბოსელში შემობრუნდა, ლექსოს წინ მიფანტმოფანტული სახე მოეღრიცა, ბოსელში შემობრუნდა, ლექსოს წინ მიფანტ-მოფანტული ლენცოფას დაღრღნილი ფოთლები აკრიფა და მალუცას ჯერ თვალებთან მიუტანა, მერე მუჭში ჩასჩარა და გაგულისებულმა დაჭყივლა: - შენც კარგად იცი, რომ ცხენი ლენცოფით მოწამლულია, კიდევაც იცი, ვინ შეაპარა ბალახში ლენცოფას ფურცლებიო; დაბნეული ლექსო, ხან ცხენს დახედავდა, ხან ფოთლებს შეაშტერდებოდა და სიმწრისაგან კრინტი ვერ და-

ეროვნული

ეძრა. წადილ-ასრულებული მალუცა, გაფხორილი ინდაურივით იდგა და მორიგ ბრძანებებს იძლეოდა: - რალას უდგეხარ, პანაშვიდის გამართვას ხომ არ ეპირებიო, გაინძერი, ბუდრუგნობის დრო არ არისო, - გაათრიე აქედან ეს მძორი, აქ არააყროლოო. ლექსო ლამის ტიროდა: - ჩემი გული იმ ბედაურს თან გაყვაო! მალუცა ცხენის სიკვდილს ქმარს აბრალებდა: - ლენცოფა შეაჭამა და მოინადირაო. უბნის დიაცმაცუნებს ენის ტარტარის საბაბი მიეცათ და ისევ წაესივნენ ლექსოს: - ასეთი რამე-რუმეები ეხერხებაო, ერთხელ რაკი ხელი გაიკვეთა, მუხანათობა გაიადვილაო, მილიცია მოსყიდული ყავსო. გინდა ჩვენც ამოგვწყვიტოს, ხმასაც არ გასცემენო. მალუცამ არ იქნა და ენა მუცელში არ ჩაიგდო, ქმარს გულს უჭამდა, ვირი იყიდეო, მაგარი წიხლი იცის, ნადირი რომ დაეტანება კბილებს ჩაულეწავსო. ბოლოს იმდენად გათავხედდა და ნამუსი გაიწყვიტა, არც დაეკითხა, ლექსოს გადანახული ფული ძმას ბაზრობაზე გაატანა და სამასხროდ თეთრი ვირი აყიდინა და ჩამოაყვანინა. მოაჯირზე გამობმული ვირის დანახვაზე ლექსო შეცბა, მერე მძიმედ ამოიგმინა, ცოტა ხანს მინაცრებული სახით იდგა და მალუცას მძულვარე თვალებით შეცქეროდა, მერე უარაქათოდ ხელი ჩაიქნია, ფეხათრეული ოთახში შევიდა და ტანსაცმლიანი მიწვა ქვეშაგებზე.

ადრიანად აბგააკიდებული გზაზე გამოვიდა და ჩავლილი წყალივით გაუჩინარდა.

- მამაჩემი უკვე აღარ იყო ცოცხალი, როცა სამედიცინო ინსტიტუტში მოვეწყე, იმ წელიწადს ლექსო, ისევ შემოიჭრა ჩემს ყოფიერებაში, თბილისში მომძებნა, კონვერტში ჩადებული სამასი თუმანი მომიტანა და იცრუა: - მამაშენისა მემართა, ვალი ვერ გავისტუმრეო და ახლა ვიხდიო, მეტროში ვმუშაობ, მოსვენებული ვარ, ენაჭრელი იქაც ბევრია, მაგრამ ჩემი სახელიც კი არ იციან წესიერად, რომ საქირდაოდ გამხადონ, ზოგი ალექსანდრეს მეძახის, ზოგი ალეკოსო. მთელი დღე მიწაში ვარ ჩამძვრალი, მზის სინათლეს ვერ ვხედავ, მაგრამ ასე მირჩევიაო. მისამართი გამომართვა: - შენი ნახვა, როცა მომინდება, მოვალ და გნახავო, ხელფასი კარგი მაქვს და პატარას წაგეშველებიო.

ახალბედა ექიმი ვიყავი, როცა საავადმყოფოში მძიმე ავადმყოფი ლეკი მოიყვანეს. სამი დღის გახეთქილი ბრმანაწლავი აღმოაჩნდა. გონწართმეული, ცნობაზე ძლივსძლივობით მოვიყვანე. თეთრ ხალათში ჩაცმული ექიმი, მოლა ვეგონე, ხელები დამიჭირა და ტირილი დაიწყო: - ალსარება მინდაო გითხრა, სკამზე ჩამოვუჯექი და დამშვიდება დავუწყე. მუდარით შემომაჩერდა: - ვკვდებიო, ოცდახუთი წლის წინანდელმა ცოდვამ დღეს მიწიაო, ცხენიდან გადმოვვარდიო. ფშაველში მძინარე ქართველს, ვენახში, ქვით თავი გავუჩეჩქვეო, შამილის ომში მოკლული წინაპრის სისხლი ავიღეო. ჩემი დანაშაული სხვას დააბრალესო, ლექსო ერქვა სახელადო, სოფელმა მოიკვეთაო... ლეკი ტუჩებს აცმაცუნებდა და ყელიდან ხმა აღარ ამოსდიოდა; - მიპატიებია, ჩავიჩურჩულე და ლეკმაც თვალები დახუჭა.

უცებ თმებისკენ გამექცა ხელი, გული ვიწროში მოტანებული ჩიტივით ამიფართხალდა. მძიმე სენმოხდილივით ღონეგამოცლილი სკამზე გადავესვენე, აღარ ვიცოდი გამხარებოდა თუ მწყენოდ, ლეკის პირით ნალაღადევი სიმართლე, რადგან, აღარც მამაჩემი იყო, აღარც მაწყევარა მალუცა, აღარც მეზობლები, აღარც ლექსოს მომგონებლები, ყველანი დაყურსებულ სასაფლაოზე ინვნენ. და ვერცერთ იმათგანს ხმას ვერ მივაწვდენდი. ვერ გამეგო ვილასთვის იყო საჭირო მეტისმეტად დაგვიანებული სამართლის მკვდრეთით აღდგომა, დაღმართზე მიმრბენავი კურდღელივით, მთელი სიცოცხლე, სული რომ არ მოათქმევინა ლექსოს.

- მოღვედებულ ფეხებს ძლივს მივათრევდი და მახსენდებოდა: - გული შემეთელა ამდენ ტყუილი ცილისწამებითო! უცებ თითქოს სიცივეს ყური მოტყდაო, მღელვარებამ სხეულში სითბოდ დამიარა და საკუთარ თავს გამოვუტყდი, რომ გულიდან მძიმე ლოდი გადავაგორე, რომ ჭეშმარიტების დადგენა არასდროს არ არის გვიან. ისიც საცნაურვყავი, ცილისწამება დაგუბებულ მდინარეს გავს, რომლის სხვა კალაპოტში დროებით გადაგდება შესაძლებელია, მაგრამ საბოლოოდ სწორ გზიდან ვერასოდეს გადაახვევინებ, რომ სიმართლის მოურევნელობა ღმერთის დაწერილი კანონია, რომ ალალმართალს კაცს შეიძლება თვალში ნაცარი შეაყარო, დაბრმავებით კი ვერ დააბრმავებ. სიამაყე ვიგრძენი, იმის გამოც, რომ მილეთი ხალხში, ერთმა ციცქნა გოგომ გავაჭვრეტინე გულს მისი სიალალმართლე და უცოდველობა. მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც ის იყო რომ ლექსომ მიწაზეც იპოვა სამართალი, და მე გულით მიხაროდა, რომ ზესთაბუნებრივად განწმენდილს და ნეტარება მომადლებულს, მართალთა შორის ჰქონდა დამკვიდრებული სამუდამო სასუფეველი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნებისმიერი და უნებლიე შეცოდება

როცა, მამიდაჩემს სარფიან გზაზე აქეთ-იქით მავალი ქმარი მოუკლეს, ხელი არაფერში მოემართა. ნაღველთან ერთად ხელმოკლეობამ და ავადმყოფობამაც ყურები ჩამოაყრევინა და ისე მოულოდნელად ჩაინავლა, სატკივრის შეტყობაც ვერ მოვასწარით. ტირილით გულმოუოხებელი ლევანი, ჩვენი საპატრონებელი გახდა. დედაჩემს პირზე ეკერა მისი სახელი: - არ მინდა ბავშვის სული უდედობამ დაამძიმოს! საჩაგრავად არავის ანებებდა. მეც მეამაყებოდა ჩემი მამიდაშვილი, ისეთი გრუზა თმიანი ტოლდასადები ბიჭი იყო, ზადს ვერ უპოვიდი. მისი შიშით, არც მწყენინებელი მყავდა, არც უბატონოდ ხმის გამცემი. გაზულუქებულებს და ნაალერსალებს, არც სითამამე დაგვკლებია, არც მხიარულება მოკლებული ვყოფილვართ როდისმე. კარგახნობამდე ლევანი ღვიძლი ძმა მეგონა, როცა ყურში მომწვდა მისი მამიდაშვილობა, გულიდან ყრუ დრტვინვა ამომხდა, გარშემომყოფებს დავეუმზრახე და აქამდე სევდაშეუპყრობელი, თავმოძაგებული შევმზერდი მზიანეთს. რას არ ცდილობდა, რის მჩუქებელი არ იყო ლევანი ჩემს გასამხიარულებლად, სადღაციდან ცოცხალი კუ და ზღარბიც მომგვარა, გიტარა მაღალხმიანზე ააწყო და ქალის წიკვინა ხმით, სალლაბუცო კუპლეტებს მიმღეროდა. ჩერჩეტი და უგუნური ხარ, ძმა ვარ, აბა ვინ ვარო, შენს მეტი ვინ მაბადიაო. ხან შემომიბღვერდა: - გულმოსული ნუ ხარ, თორემ იმდენს მოგარტყამ ველარ გამოიგნოო! იმდენი იგულმოდგინა, მიალერსა, ავზნიანობაზე ხელი ამაღებინა და ძველებური უზრუნველობა დამიბრუნა. ბოლოს ჩემი ეჭვიანობის ძირფესვიანად ამოსაძირკად, ყველასგან დაფარულ საიდუმლოს მაზიარა, თავის საცოლესთან სტუმრად წამიყვანა: - გაიცანიო, ეს გახლავთ ჩემი ბუტია დაიკოო, უთხრა და თმებზე მომქაჩა. მერი წინ დამიცუცქდა, ანაპერწკლებული თვალები შემომანათა: ეს რა ჩასაკვნეტი გოგოაო, ხელი დამტაცა, გულში ჩამიკრა და აივანზე ფრიალ-ფრიალით დამაბზრიალა. მერე ფუღურო ფურცლის ქვეშ ჩალის სკამზე ვიჯექი, ფართოდ გაღებული თვალებით შევციცინებდი და ენამოჩლექილი პირს აღარ ვაჩერებდი: - გაჩუმდით, თავი ნუ წაგვჭამეო, თორემ მეგუდურე მოვაო და დამპალ-დუმპალ შეშაზე გადაგცვლიო, შე სულელო შენაო! თითს მიქნევდა ლევანი. იმ საღამოს, მერიმ ერთხელ და სამუდამოდ მოიგო ჩემი გული. მას მერე, აღარც ასე ადვილად შემვარდნია გული ვინმეზე, აღარც არავინ მომწონებია. მერი ზომაზე გადასული სიყვარულით მეპყრობოდა, უჩემუნახაობას ვერ ითმენდა-ღვთის ბოძებული აღნაგობა ჰქონდა, წუნი არ დაედებოდა, იტყოდი, ორი თვალი მომცა და მაყურებინაო. სულ მინდოდა მეამებინა რაღაც. მის დანახვაზე ვცმუტავდი და მზად ვიყავი მისი ყოველი სურვილი შემესრულებინა. უნაღვლონი ვიყავით და მეზაფხულე მზეწვიებივით გული გვიმღეროდა. ჩვენს სახლს ფუნიკულიორი ზემოდან გადმოცქეროდა, როგორც კი ტყე შეპერანგდებოდა, შევაფორთხდებოდი ლევანს განიერ მხრებზე და სიხარულით ჭკუა დაკარგულები ისეთი სიადვილით ავიალმართებდით ბილიკს, არც ვისვენებდით. მერე სულის შეგუბებამდე მინდვრიანზე თვალხუჭუნობას ვთამაშობდით, ჭრიალა საქანელაზე ფეხებჩამოკიდებულები ვქანაობდით და ცისქვეშეთი ჩვენი გვეგონა. შესაღამოვებულზე ჩამოვსხდებოდით და ჩამოხრამულ კლდეებზე შეკუნწლულ სახლებს გავყურებდით. მერი კაკალ-კაკალ ჩამომაკაკლინებდა სკოლის ამბებს, თავი არ მეზოგებოდა, რას ვჯიყჯიყებდი თავადაც არ ვიცოდი. მუდამ გულისყურიანი და ხალისიანი მერი აელვარებული თვალებით მიცქერდა და მჟღერი ხმით კისკისებდა. შენს ქერქში დაეტიეო, მაგრამ ნუ შეტოპეო, თორემ ნატვრის ხელიჩაზე დაგსვამ მაღალნაპირებიან მდინარეს გაგატანო, გამომეპასუხებოდა, ვითომც გულმოსული ლევანი. ფრთაშესხმული ვიყავი, მიხაროდა, მერისთან დასაახლოვებლად ჩემმა მამიდაშვილმა ძნელად დასაძლევი გზა რომ გადალახა, სხვა გოგოები უკან დააყენა და ინსტიტუტის დამთავრებისთანვე ქორწილს გააჩაღებდნენ. მე მათი მუდმივი თანამგზავრი გავხდი, ვერცერთი ვერ მელეოდა და ჯერ კიდევ პირდაუბანელი გოგუცანა, მერიმ დაქალად გამიხადა: - საამბობლად დავჯდეთო, ჩამომჩურჩულებდა, მეც სკამზე გადავევსვენებოდი და არამკითხეობას დავიწყებდი. მერიმ ერთ დღეს სამზითვოდ გამზადებული თივთიკის ბალიშები, დალიანდაგებული აბრეშუმის საბნები მაჩვენა და გამენდო: - ვიცი პირღნიოშობას არ დაიწყებ, არ გამთქვამო. - ხელის მოწერას ვა-

მედეა კახიძე
ბიბლიოთეკა

პირებთ საპირველმაისოდო. კრუნჩხვა შეპყრობილი სხეულივით ვმოუსვენრობდი, სულგაკმენდილი ველოდი დათქმულ დღე-საათს. ფიქრ-აზრად არ მომსვლია, რომ დარკეთილი შემიგვეწყრებოდა, გვიანი შემოდგომის ჟღმურტლი და თოვლჭყაპი ჩამონვებოდა, ჩემი უსანადლესი ნატვრა ჩაკვდებოდა და ყველაფერი სავინიცობო გახდებოდა. ლევანმა ბოლოხანებში ორმაგი თამაში წამოიწყო და ცეკას თანამშრომლის მანჭია ქალიშვილს გადაეკიდა. ათასნაირი მიმოთქმები გულს მიმღვრევდნენ და არგასაგონებლის გასაგონებლად ყურებს ვიყრუებდი. - ხმებმა ივრცელა, ვილაცამ იენავა და ლევანს და მერის შუა წყალი შეიმღვრა. ლევანი გაორებული იყო, არ იცოდა რა გზას დადგომოდა, მერის სიყვარული სძალავდა, მაგრამ, არც დაპირებული ოქროს ქვიშრობები ეთმობოდა. მთელმა ოჯახმა მიიღო მონაწილეობა, საცოლეს არჩევანში. დიდხანს საზრავდნენ, ბოლოს გადაწყვიტეს: - ბობოლა სასიმამრო ლევანს პატივს მიაგებსო და ბედსა სწევსო. სავალალო ამბავიც თვალის სისწრაფით დატრიალდა, ლევანს უვაჟკაცობა შეაჩნდა, დედაჩემმაც უჩინჩაოტა: - მეტი რა ჩარა გაქვსო, ხომ ხედავ ინსტიტუტიდან სად გაგანაწილესო, მზის გულზე გაზრდილს ციმბირში რა გაგაძლებინებსო, სიმტყუვნეში არ ჩამომართვანო, ყველა თავის გზასავალს იადვილებსო. ერთხანს ზაფრამორეული ლევანი, ჩალამებული თვალებით მიდიმოდიოდა, მერე შენ — ჩემობა არ შეეშალა, კამკამა წყლის ოქროს თევზს, სიბლანტე მორეულ გუბურაში მოცურავე თავკომბალა არჩია და სახელდახელო ქორწილი გამოკვალთა. ნიშნობაში ძალით წამათრიეს, ვიცოდი მერისთან მისასვლელი პირი აღარ მექნებოდა და როცა მექორწილენი ღვინით შეჭიჭინდნენ, შინ გამოვიპარე. ახლაც, არ დამვიწყნია ფართოდ გულამოჭრილი კაბიანი, გათქვირებული პატარძალი, გამობურცული ძუძუები ლიფს გარეთ რომ ჰქონდა გადმოყრილი და ლამის ზემოთ ამოხტომოდა. მისი წითელი ყურის ბიბილოების შემხედვარეს ჩემდაუნებურად, რომ მეფიქრებოდა, საცაა მაგიდაზე შეხტებოდა და ყიყლიყოს შემოყივლებდა. დედაჩემს საყვედურებით ცხვირი გავუხვრიტე: - ეს ყელაყინჩული ქალი სად გამოჩხრიკეთო! სამი დღე და ლამე ვიმწყურვალ-ვიშიმშილე, ფიქრს თავი ვერ გავართვი, რატომ გაატანა ჩამდინარე წყალს ლევანმა სიყვარული. ლევანი მოვიძაგე, ყველაფერზე კბილს ვუჭრიდი და კრიჭაში ვედექი. მინდოდა მოვმკვდარიყავი და მერის ჭირის სანაცვლო გავმხდარიყავი. პატარძლის დანახვაზე პირს ვილმექდი, მყეფარად ვიქეცი შოლტების გადაქნევ-გადმოქნევის გარეშე პირში ვახლიდი: - ორზურგა ხარ, უსირცხვილობა და სირცხვილიანობა ვერ განასხვავე. შენმა სულმა ზღოს ეგ ცოდვაო! - აბა დამლაშება არ იყოსო, ორივე მიყვარსო! თავს ისაწყლებდა ლევანი. ბოლოს თავისძვრენიაობაში გაიწაფა, დედაჩემს ეხვეწებოდა, მაგის პირში ნუ ჩამაგდებო, რა მოხდა ისეთი ხმის გაცემა აღარ უნდაო, საამისო რა ჩავიდინეო. მიყვარდა და მიყვარსო. ბევრი იპირმოთნევა, მაგრამ ჩემი დაუკარგველობა ვერ შეძლო, მეც ჩემს სამართალს მივმართე და დავეუნზრახე. ლევანი ჩვენი სახლიდან წავიდა ცოლოურში გადაბარგდა, ორლაბაბიანი ცოლი წვეულებებში ხელჩაკიდებული დაყავდა და კაბინეტში ფეხიფეხ გადადებული იჯდა და ბრძანებას-ბრძანებაზე იძლეოდა. ლევანი კარგი მოჭადრაკე გამოდგა, ფიგურების გადასმ-გადმოსმა არ შეეშალა და სანადელს ჩქარა მიაღწია. სკოლიდან მომავალი ვხედავდი ფანჯრის რაფაზე დაყუდებულ მერის რომ თვალები ჩვენი აივნისკენ აწყდებოდა და გული მიკვდებოდა, რომ მისი შველა ჩემს ხელთ არ იყო.

ერთხელ დედამისი შემხვდა ქუჩაში, მკლავში ხელი ჩამავლო და მითხრა: - არ გადარჩეს ცოცხალი შენი ძმა, ჩემი შვილის გამწარებისთვისო, უნამუსოებო, სულაც რომ მოისპობოდეთ გამიხარდებაო. მერი დედამისის ქცევამ შეაძრწუნა, სკოლაში მოვიდა და ჩამქრალი ხმით მომიბოდიშა: - დედაჩემი წყევლის, მაგრამ ჩემი გული ილოცებაო, ღირსი არ ვიყავი ალბათო. მაგრამ, მე იმას ვწუხვარ ღმერთთან მისასვლელი პირი რომ არა აქვსო. მე ვუთხარი, ღმერთი სიმძიმის კვალად სჯის ყველას და აქვითინებული ყელზე შემოვეჭდე, ნესტრიანობა არ დაუწყვია: - მაგისმა სულის სიწროობამ გამაოცაო, ამოთქვა გულდათუთქულმა და გამშორდა: - ასე მეგონა ლევანის ცოდვა კისრად მე დამედო, განზე გავუდექი და პირი აღარ ვუჩვენე, საიდან არ სცადა მოვლა, თავი ურჩობაზე დავდე და გული არ მომირბილდა. ლევანის სკამი ყველასათვის საშურველი გახდა, დიდნაყოფიერ შრომაში თავწარგული, მაგრამ უქვეშევრდომილესი მონა-მორჩილებით გარემოცულს. ბლენძვა არ დატყობია, დიდკაცობა არ შეუფერებია, როცა ტყუილების მიშველებაში გაწაფულა და არც სხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვათა ნაშრომ-ნადაგის მიტაცებას წაუცადუნებია: - თუმცა ხელის ჩამორთმევაზეც ტაციობა ჰქონდათ გამართული, ბევრი თაყვანისმცემლები და დამპატრონებელი ეხვია, მე მაინც უსულგრძელობა ბოლომდე ვერ ვაპატიე, სულდანამცეცებულ ორპირ კაცად ჩავთვალე, დაუბრებული დავრჩი და შემწყნარებლობა არ გამომიჩენია. ლევანს დიდხანს არ შეუქცევია თავი ბედნიერებით, უდღეური გამოდგა მისი დიდება და ღვთის კალთიდან დაბერტყილი სიკეთე, - მისი სულსწრაფვა კვლავაც მერისკენ ილტვოდა, სიყვარული წუთითაც არ შენელებია, თუმცა მეუღლემ თავი გამოილამაზა, ოპერაცია, ოპერაციას მიაყოლა, ჩინური ნემსებით მუცლიდან ქონი დაიგდო, ტანი და ბაყვები გაიხდუნა, კეხიანი ცხვირი ჩამოითალა და ავადმაყურებლებს თვალები დაუვსო. მიზანს მიღწეული ლევანი, მერისთან უპირატესობის დაკარგვას ვერ შეეგუა და გულზე მძიმედ დაწოლილი ვნება ვერ ჩაკირა, როცა საქმე ადგილიდან ვერ დაძრა, ათას ჭირს მჭამდა: - თუ ჩემს შენათვალს არ გადასცემ, ყვავილები და ბარათი, მაინც აახლეო, მაგრამ კირკიტობა შემაჩნდა, ხათრი არ დავუჭირე და მერი ყბადასალები აღარ გავხადე. მოვიდოდა და ტკეპნა-ტკეპნით წამოიწყებდა: - მადლი მოისხიო, ისეთს არაფერს ვთხოულობ ერთხელ დამენახოსო, უბეში ჩაგისვამ ისე გატარებო, ოღონდ შემახვედრეო, უიმისოდ სული ველარ მომიდგაო. შენმა მზემ, რასაც ვამბობ სიმართლეაო. მითხარი რომელ ქალაქში გამწესდა მასწავლებლადო, ბავშვივით ჟინიანობდა და აქეთ-იქით ეწყვეტებოდა, რა ხერხს არ მიმართავდა, როგორმე მოვეხელთებინე და ჩემთვის მისამართი გამოეტყუებინა და ხსნის გზა ეპოვა. ზღარბივით ეკლებს ვბურძგლავდი, პირზე ხელს ვაფარებდი: - ეს საქმე ხელგამოუვალია, თვითონ მიაგდე ქვა და შეელიე, ტყუილად ებღაუჭები იმედს, შენს მიერ ერთხელ უკვე საჯაროდ შელანძღულს, გასაბიაბრუებლად აღარ დაგანებებ და ახალი ტრაგიკომედიის მოწმე არ გავხდები. სამოახლოდ არც მე გამოგადგები და არც ის აგეგდებინება აბუჩად-მეთქი. ლევანის ფარულად მერის ყოველ შაბათ-კვირას ვნახულობდი და ვესიყვარულებოდი. დაძაგრული მისმენდა და შემომკნაოდა: - უძალო ქალს ხასობაც მომინდომაო, მოსარევად ვეადვილებიო, ჩემი აღშფოთება საზღვარს კარგავსო, სისხლი დამეწრიტაო, ნეტავ აქედანაც გადამკარგაო, ამდენი ნერვების წიწკნა ბოლოს მომიღებსო. ბოლო ხანებში გაძლებაზე იყო, სიცოცხლე წამწარდა და არაქათდაცლილი, ისეთმა მღელვარებამ მოიცვა, ისე დაფრთხა, რომ წონასწორობა დაკარგა და ილაჯი და ქანცი გაუწყდა. სახის ნატიფი ნაკვთები გაუუფერულდა, თლილი თითები და ჩამოქნილი ცხვირი გაუძვალტყავდა და სახე გაუყვითლდა, ძალღონემ ლევა დაუწყო და ისეთი თვალის სისწრაფით წაუვიდა უკან ჯანმრთელობა, კინაღამ სული გაგზავნა ცაში. იმხანად ლევანი თბილისში არ იყო, მერის საავადმყოფოში დაწოლის ამბავი ვერ გაიგო, ჩამოვიდა თუ არა ფეხდაფეხ დევნით დამტანჯა: - ავად ყოფილა და უგულისყუროდ ვერ დავტოვებო. მხსნელად და შემშველად მოვევლინოო. ფეხი მომასო: - წამლის მიუწოდებლობა მოკლავს, შენი ბრალი იქნებაო. ტყუპ-ტყუპი წიხლები ავუყარე: - მერის სახელს არამც და არამც არ შეგამწიკვლინებ. უმისნებართვოდ ვერაფერს გეტყვიო. რაკი მხარში არ ამოვუდექი, უმარილოდ დამცილდა და: - ბარტყობაში რა ჯიუტიც იყავი, იგივე დარჩიო, მე თვითონ მივწვდებიო. მითხრა გამწყრალმა. ძებნა დიდხანს არ გაუწელია, ხელქვეითებმა ქალაქი გადაჩხრიკეს, ფერდებჩაცვივნული მგლებივით, ისუნსულეს და მერის სადმყოფობა შეიტყვეს. იმჟამად რას ვიფიქრებდი, სულ მალე გულისმომწყვლელი ელდა წამოყოფდა თავს და ჩემი უგლიმი საქციელი და მწკლარტე სიტყვა-პასუხი სანანებელი გამიხდებოდა. ლევანმა ყველას ქვა და გუნდა მიაყარა, არც მითქმა-მოთქმის მოყვარულ მიჭვრიტანებს დაერიდა, არც ცოლს მოეხათრა, დიდი შნო და უნარი გამოიჩინა, ზომაზე მეტი გულისხმიერება და ჭარბი ენერგია დახარჯა, გაუჩინარი წამლები გაუჩინა, ავადმყოფი გამოაკეთა და სული მოადგმევინა. თუმცა გონება უბნელდებოდა, სული სცვიოდა მერი დაემარტოხელებინა და გულიდან მთელი წლის სათქმელი ამოეხეთქა, მოჭარბებულ და ალტკინებულ ვნებას გულში ილოობდა, ეშინოდა უმართებლო საქციელით მერი არ გაენაწყენებინა და სულსწრაფობით საქმე არ წაეხდინა. გვიან ჩავწვდი, მერიც რომ შეხვედრის მოსურნე იყო და ხელსაყრელ წუთებს ელოდა და ემზირებოდა - თუნდაც წუთიერად თვალი შეევლო ლევანისათვის და მრავლისმეტყველი მზერით გული მოეჯერებინა. მერის საავადმყოფოდან გამოსვლის დღეს, ლევანის დაწინაურება და ადგილისცვლევინება გადაწყდა და საჩქაროდ მოსკოვში გამოიძახეს, მაგრამ ლევანი უკან აღარ ჩამობრუნებულა. აეროპორტის გზაზე იჩქითად შემოფეთებული არყით გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტყვრალი "სამასვალის" მძღოლის ანაწერა გახდა. მესამე დღესვე თბილისში ჩამოასვენეს და კაცი, რომელიც მთელ ქალაქს თავის ნებაზე ატარებდა, ისე გადაძევდა, მის ცოლს შვილიერებაც არ ღირსებია, გვარი მაინც სამარადისოდ არ დაკარგოდა. უყვედრებელი ცრემლით და აჩვილებული გულით უჭირისუფლა სულიერმა სამწყსომ და განკრძალულ სავანემდე მიაცილა: - მთავრობამ ცერემონიის სიუხვის და პომპეზურობის კალთა დააბერტყა, გადამეტებულად მგზნებარე სიტყვები დაახარჯეს და ნაცარმტვრად მისაქცევად მიწაში ჩაუშვეს: - კისერმოწყვეტილები და დაუსასურებულები ძლივს მოვლასლასდით სახლამდე. მერის ჩემი პატარა ხელები თლილ თითებში ჰქონდა ჩაბლუჯული და შემომტიროდა: - ასე მგონია ყველაფერწართმეული დავრჩიო, თავდალმა ჩავქანდი გამომსარჩლებელი აღარავინ მყავსო. ჰაერი და სინათლე არ მყოფნიდა, სინდისს ვერ ვიყუჩებდი, თავს ვერ ვპატიობდი, ასე გახიახებული და დანესტრილი რომ წავიდა ლევანი ჩემგან.

მერი დარდს ველარ უძალიანდებოდა. უფერულ დღეებს მარტოობაში აცოდვილებდა, მოგონებები ულრღნიდა ტვინს და გონზე მოსვლას ველარ ახერხებდა. თვეების იგივეობა ირგვლივეთს უპირქუშებდა და შორს გადასახედ თვალსაწიერს უგმანავდა. მაშინ მეგონა გვერდში დგომით და ქომაგობით მის ცრემლებს შევეცრემლებოდი და მოურჩენელი ჭირის განქარვებას შევძლებდი და ვერ ვხვდებოდი მის ჩალამებულ გულს ყბედობით, მიეთმოეთით სულთქმას ვერ მივაშველებდი, რომ მას ჩემი სიყვარული უკვე არაფრად ესაჭიროებოდა. - თურმე, შეიძლება ადამიანს შენი გადამეტებული სიყვარულით და წრეგადასული თანაგრძნობით, რაიმე დაუშავო და შვების ნაცვლად ხელბორკილად გაუხდე და ყელთამდე მოყარო. ახლაც ვკიცხავ, ჩემს უგუნურ საქციელს, თავმომაბეზრებელი სტუმრობით გულს რომ ვუწყალებდი და გაწვრილებულ ნერვებს ვუწვრილებდი. ახლაც უხერხულად ვიმშუშნები, რატომ ამოვართვი სული ჩემი წამდაუწუმი სტუმრობით: - მერის უნახაობას ვერ ვითმენდი, ბანტდაკოსებული ყოველდღე, ბაკიბუკით ავდიოდი მიკიბულ-მოკიბულ რკინის კიბეზე, კარს დაუკაკუნებლად შევალებდი, პალტოს დაუდევრად მივაგდებდი სკამზე და გაყინულ ლოყას საკოცნელად მივუშვერდი. საკლასო რვეულებში თავჩარგული მერი, კალამს გვერდზე გადადებდა, რვეულებს დაკეცავდა და წამოდგებოდა. ბუხართან მიმდგარ საკარცხულში უბოდიშოდ ჩავეცემოდი, გაგონილი და მოგონილი ამბების მოყოლას ვიწყებდი: - ის გვერდით მომიჯდებოდა, ჩემს შეციებულ ხელებს მუჭში მოიქცევდა და გატრუნული მისმენდა, თუ უცაბედად სახელი "ლევანი" წამომცდებოდა სახეზე ფერი გადაკრავდა და გაინაბებოდა, მერე მრავალჯერ გადათვალიერებულ ალბომის ფურცვლას ვიწყებდი და ლევანთან გადაღებულ სურათებს ხელში ვაჩეჩებდი. მერი ცდილობდა ჩემი ყურადღება სხვა საგანზე გადაეტანა, დიდ სიწზე ბრონეულებს, კომშებს, ყურძენს დაახვავებდა და მაგიდასთან ლამის ძალისძალათი დამსვამდა, მაშინ ვერ ვხვდებოდი, მერის სურათების ცქერა უჭირდა და ისედაც მძიმე საგონებელში ჩავარდნილ ქალს ტკივილს ვაყენებდი. ის ჭამას მაძალებდა, ჩამოქნილი თითებით მიფცქვნიდა კომშს, შუაშუა გადახლეჩილ ნალვერდალივით გალუებულ ბრონეულებს წინ მილაგებდა, მერე თვითონაც მაგიდას მიუჯდებოდა და სახეში შემომაცქერდებოდა: - ასე მგონია, მისი თვალებით შემომყურებო. პირწავარდნილი ლევანი ხარო, მეტყოდა და თვალები ცრემლებით დაენამებოდა, მაშინ ვერ მივმხვდარიყავი. ჩემი წარამარა მისვლით სიავეს ვუშვრებოდი, რომ ჩემი უადგილო ნუგეშით ვერ ვასაზრდოვებდი და ვერც ქთრილის წონა შვებას მოვგვრიდი. - ახლაც ვნანობ, ჩემს უდიერ საქციელს, ღონეგამოცლილი და გაწვალებული ქალის ცხვირწინ ქარბორბალასავით რომ ვტრიალებდი. საშუალებას არ ვაძლევდი მოცოცხლებულიყო, განმუხტულიყო, გაწვლილი და გასავალი გზა აეწონ-დაეწონა. მრცხვენია ჩემი გაუთავებელი რატრატისა და სითამამის, ყურძნის მარცვლებს მუჭა-მუჭა რომ ვიყრიდი პირში და სავსე თეფშს ერთი ხელის მოსმით ვასუფთავებდი. არ შემიძლია წავუყრუო იმას, ოთახიდან-ოთახში ოჯახის წევრივით რომ დავბაჯაჯლანობდი და ცხრაპირ ტყავს ვიძრობდი მასლაათში მხარი ამებმევინებინა და როგორმე კარტის თამაშზე დამეყოლიებია. მე მას ჩემი თავშემაწყინარი მისვლით გართობის ნაცვლად მოთმინება დავაკარგინე და ვათქმევინე: - ღმერთო! ძალა მომეცი, შენი თვალების საყურებლადო. - ახლაც მრცხვენია იმ სიბრიყვის, ტირილით თვალებს რომ ვასიებინებდი და საკუთარ თავთან დარჩენის ნებას არ ვაძლევდი. მე მაშინ ჩემს ყოველდღიურ სტუმრობას სიყვარულს ვარქმევდი და არ ვიცოდი, ყველაზე დიდი თავისუფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლება მისთვის, ჩემგან თავის დაღწევა იყო. მე ვიყავი ბრალში ქარის ფეხები რომ გამოისხა და ისე გადაიკარგა თბილისიდან, არც გამომხმაურებია და არც მისამართი დაუტოვებია. ახლა მივხვდი, გასწრებაზე იყო, თუმც ჩემი იერიშის შეკავება არც როდის უცდია და არც შეჭმუხვნილი შუბლით მჩვენებია როდისმე. მაშინ ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი და დიდი საზრიანობა ვერ გამოვიჩინე - დამენახა მისი თვალშისაცემი ფერმკრთალობა, ჩაცვივნული ლოყები, ჩავარდნილი გულმკერდი, რომ მისახვედრს მივხვედრილიყავი. სასტიკად ვნანობდი, ბოროტად, რომ ვსარგებლობდი მისი კეთილგანწყობით და თავშეკავებულობით, უფრო მეტად რომ ვუახლებდი ალს მის ნაცარწაყრილ მოგონებებს. მერის გზაკვალს კარგახანს ვეძებდი, მინდოდა სადმე, თუნდაც ერთი წუთით მომეხელთებინა და ბოდიში მომეხადა ჩემი შესაწუხებელი სტუმრობისთვის და მეთქვა, რომ მხოლოდ კეთილის ქმნა მსურდა და სხვა არაფერი. ჩემი დიდი სურვილი სადმე შემხვედროდა არ ასრულდა, მისი გარდაცვალების ცნობა დაგვიანებით მომწვდა ყურში და საფლავამდეც არ მიმიცილებია.

არსებობს დანაშაული, რაც კანონით არ ისჯება, არც სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს, არც საზოგადოება მოგთხოვს უზნეობისთვის პასუხს, არც სახელის შებღალვა გელის და რაც მთავარია, არც მაღალი ღმერთი ჩაგითვლის ცოდვად, მაგრამ ბუნებაში ცოდვის მოუკითხველობა გამორიცხულია და მაშინაც კი, როცა მსაჯულები სდუმან, განსასჯელი მაინც განისჯება, რადგან არსებობს კიდევ ერთი მკაცრი და მოუსყიდავი მოსამართლე, რასაც კაცის სინდისი ჰქვია. ტაძარში მინდა შევიდე, ღვთისმშობლის ხატთან დავიჩოქო და შევევედრო მიუტევებელი შეცოდება მაპატიოს, ან მღვდელმსახურს მივეახლო და ალსარება ვუთხრა, რადგან მხოლოდ წმინდა ღვთის კაცმა იცის ტაძრის კედლებიდან გამომზირალი ფრესკების ენა და მხოლოდ მას ძალუძს ჩაწვდეს, რას ნიშნავს, როცა საგვარეულო გამოხუნებული ალბომიდან საყვარელი ადამიანის სურათები თვალგაშტერებით შემოგცქერიან და პასუხს გთხოვენ ნებისმიერი თუ უნებლიე შეცოდებისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თამარ დაუშვილი

●

დაჭრილი ვეფხი შეეფარვის
ნესტიან მღვიმეს,
დროდადრო, ვაგლახ,
მოიქედნის ხალხიც რჩეული,

გზებს ღვთისმიერი
გარდასახვა დააგვირგვინებს!
ჩვენ მწვერვალებზე მიმოქცევას
ვართ დაჩვეული!

●

რა საბოდიშოდ ამექცა მხარი!
ჩემი აქ მოსვლა შეცდომა თუა,
როგორც სიმწვანემ ქარაფზე ხარი
ძმათა ღიმილში შემომიტყუა...

●

სხვის მთებს ან როგორ შევბედავ?
თავს განა მუდამ სხვა მესხმის?
გულს ვაფრიალებ - ვერ მხედავ,
ზარს ვაწკრიალებ - არ გესმის!

შენთვის შენგანვე მკვდარი ვარ,
დროშას მოვაფრენ ცირცელის,
ხმაწართმეული ზარი ვარ
უენო უფლისციხელის...

●

ო, რა უზომოდ თავხედობს ბედი!
თუ რამით მაინც ვარ ბედნიერი,
ერთადერთია: - უცვლელი ხედი:
მამის სახე და დედის იერი!

●

გული ასგზის შეეხეთქა
კედლებს იერიქონის,
ჯერ სავსეა ჩემი ზეცა
მორბენალი სტრიქონით...
ზღვას მიაპობს ლურჯი "არგო"
კვალში მისდევს ვეშაპებს,

"ლომი" - ჩემი ზოდიაქო,
ღმერთი ხელსაც ვერ მახლებს!..
სანამ სულ არ ამოვწურავ
სულში ჩაღვრილ ზედაშეს,
სანამ ცრემლის ტბაში ვცურავთ
შენ და მე და მე და შენ...

●

ეს არის - ფიცსა ვსდებ:
ლექსს არ გავეკარო,
ათასჯერ მოვკვდები
დღეში საღამომდის,
შებრუნდა ზეცის და
ღმერთების სამყარო, -
ტრფობის ამირბარო,
ლექსი არ გამომდის!
მზე მწუნობს,

დღეს მივსდევ
მაინც მზით გალეშილს,
შენამდე, შენამდე,
ჰოი, ლილეოდა!
რა იქნებოდა
ერთხელ სიცოცხლეში
ახალი სიხარული, ახალი
გატაცება,
ახალი სიყვარული მწვეოდა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

რაკი ღმერთი შორიდან
ერთს ვერ გვარჩევს ორიდან, -
უნებლიეთ მოვიდა
ხარაკირი,
კორიდა!
- ლექსი სხვა რა გგონიათ?
- ერთის კვდომა ორიდან!

●

მსგავსის არა ვარ მნახველი -
ღრუბლის მეხურა ქურუხი,
ხელგაშლილობით კახელის
და მასპინძლობით გულუხვით
წვიმდა...
ამსხვრევდა მინანქარს
მათრახის სხვეპით უხეში,
ფიქრით შევყავდი წინაპრებს
გარდასულ საუკუნეში!

●

მშვიდად ერთ დღესაც არ მიცხოვრია,
მწვავს მეხთატეხის ნაცნობი ექო,
ნისლებს რატომღაც არ ეშინიათ
სადმე ქარაფზე გადაიჩეხონ...
ნეტავ "ფოცხვრებად" მთა ვინ მონათლა,
მთა ვინ მონათლა, მითხარ, "ლეკებად"?
კაცი არა სჩანს, მწყემსი არა სჩანს,
ნისლებს ვინ საით მიერეკება?

ჯერ სერ-სერ დიან, მწყობრად, რინდებად,
თუ შეეფარნენ კლდის თეთრ ქარაფებს?
მერე ცა ლურჯად გამობრწყინდება,
მზე ოქროსფერად გამონათებს!
მზე - კლეოპატრა ლურჯ გაზონებში,
მზე ნეფერტიტის ყელით ამოდის,
მზე - ასულია ფარაონების
და დედოფალი ტუტანხამონის...

კლავდია დევდარიანი

# ჯვარი ვაზისა

მოთხრობა

*ადიდე შენ, ქრისტე,*
*ქართლი სამითა დიდებითა:*
*კვართითა მით შენითა,*
*ხელთა შენთა სამსჭვლითა,*
*ფერხთა შენთა ფიცრითა.*
**უცნობი ავტორი**

ზაბილონმა ოჯახს გამოუცხადა, მეუდაბნოედ უნდა წავიდეო:

- მივდივარ ღვთის მიმართ რწმენით, ის მუდამ იზრუნებს თქვენზე, ნეტარებას მოგანიჭებთ, ღმერთი ანგელოზებს გამოგიგზავნით, ისინი მოგიტანენ ჩემს ამბავს, დაგიფარავენ ყოვლისა ბოროტისაგან, ზაბილონმა ნინო გულში ჩაიკრა, სახე ცრემლით დაუსველა, ღმერთს შეავედრა ასული თვისი.

— სუსტი და უსუსური ხარ, შვილო ჩემო, მაგრამ ეცადე, სულით იყო ძლიერი. ღვთისმშობელ მარიამს შეგავედრებ. ამიერიდან ის იქნება მფარველი შენი. გულში სამუდამოდ ჩაინერგე ღვთის სიყვარული, მუდამ მორჩილი იყავი ზეციერი მამისა, იგი არის მამა ობოლთა, მსაჯული ქვრივთა. ბიძაშენი, იერუსალიმის პატრიარქი, იზრუნებს შენზე. მიბაძე ღირსეულ მენელსაცხებლე დედათა ქრისტეს სიყვარულში, თუ მათსავით შეიყვარე მაცხოვარი, მაშინ მისგან მიიღო ყოველივე, რაოდენი ითხოვო. ცოდნა, რომელიც წამებულმა მოწაფეების საშუალებით გაავრცელა, სწრაფად მოედო დედამიწას. იმავე ცოდნას დაეწაფე, შვილო ჩემო, ის მისცემს აზრს შენს ცხოვრებას, უკვდავგყოფს ამქვეყანაზე.

იერუსალიმში ოჯახით ჩასული ზაბილონი გაიმიჯნა მეუღლისაგან, შვილი ნინო ღმერთსა და წმინდა ღვთისმშობელს შეავედრა, ხოლო თვითონ, ღირს მამათა მსგავსად, იორდანეს მიაშურა. იერუსალიმის პატრიარქმა თავისი და, ზაბილონის ცოლი სუსანა, მსახურად მისცა დედათა უძლურთა, ხოლო გამორჩეული ღმრთისა, ნეტარი ნინო მსახურებდა ღვთისმოშიშ დედაკაც სარას. ნინო სარასთან ორი წელი იმყოფებოდა და მისგან სწავლობდა საღმრთო რჯულს, ვინაიდან სარამ ყოველივე უწყოდა ქრისტეს ცხოვრებისა: ხარებისა, ნათლისღებისა, ჯვარცმისა, აღდგომისა, ტილოთა და კვართისა...

ნინო დღედაღამ ლოცულობდა, შესთხოვდა უფალს, რათა ღირს ეყო იმ ადგილის ხილვისა, სადაც მაცხოვრის კვართი იყო დაფლული. მუხლმოყრით და შეუსვენებლივ ევედრებოდა ღვთისმშობლის ხატს, რათა უმჯობესად წარემართა სული მისი.

იმ დროს წმინდა ადგილების თაყვანსაცემად იერუსალიმში ეფესელი დედაკაცი ჩავიდა. ეფესელი დედაკაცი, წმინდა ადგილების მოლოცვისა და გლახაკთათვის მოწყალების გაცემის შემდეგ, თავის ქვეყანაში დასაბრუნებლად განემზადა. მაშინ ღვთისმშობელი გამოეცხადა ნინოს სიზმრად:

ჩიტის ჭიკჭიკი ჩაესმა მძინარე ნინოს. ჩიტის ხმა თანდათან ძლიერდებოდა. უეცრად გარემო უცნაურად განათდა. ნინო თითქოს აიტაცეს და იმ სენაკის წინ დასვეს, რომელშიც ღვთისმშობელი ცხოვრობდა. მის სარეცელს ვაზის ვეებერთელა ყლორტები ფარავდა.

ნინომ უზარმაზარი ნათელი სვეტი შენიშნა, ციდან დედამიწისაკენ რომ ეშვებოდა; იგი თვალს ვერ აცილებდა ამ ვეებერთელა, თვალისმომჭრელ სინათლეს; შიშმა შეიპყრო, გაირინდა. ხედავდა, ცაზე ვარსკვლავები როგორ კამკამებდნენ. ნაწილი დედამიწისაკენ გამოეშურა, ნაწილმა კი თავი ზეცას შეაფარა.

ნინოს მოეჩვენა, თითქოს ღვთისმშობელი დედამიწაზე ჩამოდიოდა, გარშემო ყველაფერი გამოცოცხლდა, ყველაფერს სული ჩაედგა.

ნინომ ცხადად დაინახა, ზეცაში ახლად გაჩენილ ქულა ღრუბელზე მთლად ნათლით მოსილი ღვთისმშობელი როგორ მოაბიჯებდა.

ღვთისმშობელი ნინოსთან მივიდა, თავზე ხელი დაადო და უთხრა:

- ნინო, მოწაფეო მაცხოვრისა, წარგავლინებ შენ ჩემს წილხვედრ ჩრდილოეთის ქვეყანაში — ქართველთა ერის საქადაგებლად. წადი, მხნედ, უშიშრად უქადაგე ჭეშმარიტი სარწმუნოება. დღეიდან შენ იქნები მოძღვარი მათი.

ამ სიტყვებით ღვთისმშობელმა თავისი საწოლის თავზე რტოებგადაფენილი ვაზი დაიწია, ორი გაძლიერებული ლერწი ვაზისა მოტეხა, მისგან ჯვარი შეკრა და ნინოს ხელთ მისცა:

- ამიერიდან ეს ჯვარი იქნება შენი მფარველი, ამ ნიშნით დასძლევ ეშმაკს, ეს ჯვარი დაგიცავს მაცდურისაგან, მოგცემს ძალას, შეგაძლებინებს ქადაგების კეთილად წარმართვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩრდილოეთის ქვეყანაში გაავრცელე რწმენა ჩემი ძისა, იესო ქრისტესი. ამიერიდან შენ იქადაგებ ქრისტეს რჯულს ჩემს წილხვედრ ქვეყანაში.

- დედოფალო, როგორ შევძლო შენი იმედის გამართლება, მე, უცხო, უსწავლელმა ქალმა. რა უნდა მქონდეს იმის ნიშნად, რომ მიწინამძღვროს ყოველ საქმეში?

- ჯვარი ვაზისა ხელთ გიპყრია! ახარე მათ სიხარული პირითა შენითა. დღეიდან შენს ხელებს ექნება ძალა სნეულთა განკურნებისა. ეს მოგიხვეჭს ხალხის ნდობას. უწინასწარმეტყველე მათს ქვეყანას აღორძინება. გამრავლება ვითარცა ფრინველთა ცაში და თევზთა ზღვაში. დალოცე ისინი. მე მუდამ შენი მფარველი და შემწე ვიქნები, არასოდეს მიგატოვებ!

ნინო მუხლებზე დაეცა ღვთისმშობლის წინ და შელაღადა:

- კურთხეულო დედოფალო, მარად ვიქნები ქრისტეს რჯულის მქადაგებელი ამ ქვეყანაზე.

ნინოს გამოეღვიძა, გაოგნებულმა იქაურობა მოათვალიერა და მიხვდა: სიზმრად ვიხილეო ღვთისმშობელი, ნინოს ხელთ ჯვარი ეპყრა, ვაზის ტოტისგან შეკრული. ამ საოცრების მნახველი მთელი ტანით აცახცახდა, შეშინებულმა გათენებისთანვე პატრიარქს მიაშურა, ყოველივე აუწყა და ჯვარი ვაზისა უჩვენა, თან შეევედრა:

- წარმავლინე, მამაო, ჩემდამი საღმრთო ბრძანების აღსასრულებლად!

შემკრთალმა პატრიარქმა ნინოს მიმართა:

— ნეტარ ხარ, თუ წესად დაიდებ, ემსახურო მოყვასთა შენთა. სიკეთე, სათნოება და სიყვარული ქრიტიანობის სამკაულია. არანაირი შრომა არ არის ადამიანისათის დამამდაბლებელი. მხოლოდ მავნებელი აზრი ხდის ადამიანს სულმოკლეს და ცოდვილს.

მაშინ ნინომ პატრიარქს ჰკითხა:

- კურთხეულო პატრიარქო, ვიცი, ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ მის სამოსელზე წილი იყარეს... მინდა ვიცოდე, სად ვეძებო სამოსელი უფლისა. ცხოველმყოფელი ჯვარის შესახებაც მინდა ცოტა რამ მაუწყო.

- იცი, ალბათ, საუფლო კვართი, წილისყრის დროს, მცხეთელ ურიებს ხვდათ წილად. ტილო და სუდარა პეტრე მოციქულმა და მენელსაცხებლე დედებმა წაიღეს, ხოლო ჯვარი შურით გაბოროტებულმა ურიებმა დაფლეს მიწაში.

- მცხეთელ ურიებსო? სად ვეძებო მე ეგ ქვეყანა, არ ვიცი, მამაო.

- ჩრდილოეთით არის ქვეყანა ივერია, სამკვიდრებელი წარმართთა. ამ ქვეყნის სამეფო ქალაქია მცხეთა. ეს რამდენიმე დღეა, იერუსალიმში წმინდა ადგილების თაყვანსაცემად, მონყალების დასარიგებლად ერთი დიდებული დედაკაცი ჩამოვიდა. ახლა იგი, წმინდა ადგილების მოლოცვის შემდეგ, შინ ბრუნდება. იმას გაგაყოლებ, შვილო ჩემო, მერე კი განაგრძე ის გზა, რომელზედაც უფალი წარგიძღვება.

პატრიარქმა ნინო საკურთხევლის აღსავალთან მიიყვანა, ხელები მხრებზე დააწყო და დალოცა:

- უფალო ღმერთო, შემოქმედო ყოველთა ხილულთა და უხილავთა, მპყრობელო ყოველთა საუკუნეთაო, შემოგვედრებ ჩემს დისწულს, რომელიც ღვთისმშობელმა დედამ აირჩია შენი ღვთაებრიობის საქადაგებლად და შენი წმინდა აღდგომის მახარობლად. წარუძეხ, სადაც შენმა სახიერებამ ისურვოს, იყავი მისი კეთილისმყოფელი და მეგზური, მტრის ყოველგვარი სივერაგისაგან დამცველი და მფარველი. შეზღუდე იგი შენი წმინდა სულით, რათა ასპიტთა და იქედნეთა შორისაც უშიშრად ვიდოდეს, მოუთხრობდეს შენს ღვთაებრივ ჭეშმარიტებას, რამეთუ დიდებულ ხარ უკუნისამდე!

შენ, ყოვლად წმინდა დედოფალო ღვთისმშობელო, დაიცავი შენ მიერ ღვთის სადიდებლად გამორჩეული მსახური შენი. წარუძეხ, საითაც გსურდეს, რადგან შენს ურიცხვ წყალობაზე მინდობით ვგზავნი მას შენივე სურვილისამებრ!

პატრიარქი ნინოს მიუბრუნდა:

- მოდი, შვილო, გაზიარო. მარად გახსოვდეს: ყოველი ქრიატიანი უნდა ეზიაროს, რათა სულიერად განიწმინდოს, ყოველი ქრისტიანი უნდა ცდილობდეს, თანდათან უმჯობესი შეიქმნეს ლოცვით, მარხვით, ზიარებით.

ღვთისმშობელმა ეგზომ დიდ საქმეთა შესრულება დაგავალა, შვილო ჩემო. ნადი, პირნათლად ემსახურე წმინდა საქმეს. დიდი ღირსებაა ადამიანთა ღვთის გზაზე დაყენება. ქრისტიანობა ერთადერთი მოძღვრებაა სიკეთეს რომ ქადაგებს ქვეყანაზე. დალოცვილ იყოს შენი ყოველი ნაბიჯი, შენი ყოველი სიტყვა!

პატრიარქმა ჯვარი გარდასახა ნინოს, აკურთხა.

ნინო დაემშვიდობა პატრიარქს. უკანასკნელად ჩაეკრა გულში დედას და სამუდამოდ გამოეთხოვა.

●

ნინო და მისი თანამგზავრნი გზას დაადგნენ. მიდიოდნენ ნელა, გარშემო ყოველივე ყვაოდა, ყვავილთ სურნელით იყო მოცული მათი სავალი გზა. ბუნება ლოცავდა ნინოს გამგზავრებას, დიდ საქმეებს უქადდა.

კეთილი ქალი გამოდგა ნინოს თანამგზავრი. მიდიოდნენ, ერთმანეთს ამხნევებდნენ, ღმერთს მადლს სწირავდნენ, რომ ასეთი ნათელი დღე აჩუქათ სამგზავროდ...

საღამოს ბინდი ეუფლებოდა, როდესაც მიაღწიეს ეფესელი დედაკაცის კარ-მიდამოს. მთელი სახლობა გამოეგება დაბრუნებულ ოჯახის უფროსს და მის სტუმარს, მიულოცეს მოსულთ მშვიდობით დაბრუნება. გაიხარეს ნინოს გაცნობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინოს გაცნობამ განსაკუთრებით რიფსიმე გაახარა:

- დიდი ხანია მოსურნე ვარ ახალი მოძღვრების მიღებისა, ნათლისღებისა. როცა ჩემი მეგობარი ქრისტეს ქვეყანაში წამოვიდა, მე შინ არ ვიყავი. ახლა თვით ღმერთმა მომივლინა შენი თავი.

რიფსიმემ თავის სახლში გადაიყვანა ნინო. ორი წელი დაჰყო ნინომ რიფსიმეს სახლში და გამუდმებით ასწავლიდა მის სახლეულს ქრისტეს სჯულს, ქრისტეს ცხოვრებას, რომელმაც ჩვენთვის, კაცთათვის, ხორცი შეისხა სული წმიდისა და მარიამ ქალწულისაგან, განკაცდა, იტვირთა ჩვენნი ცოდვანი, ეკლის გვირგვინი დაიდგა, ავაზაკთა გვერდით ჯვარს ეცვა პილატე პონტოელის დროს, მესამე დღეს აღსდგა მკვდრეთით და ზეცად ამაღლდა.

რიფსიმემ შეიწყნარა ნინოს სიტყვის თესლი და ნათელ იღო, მასთან ერთად მისი სახლეულის ორმოცდაათი სული მოინათლა.

მაგრამ განსაცდელი მოიწია რიფსიმესა და ქრისტეს სჯულზე შემდგართა მიმართ. კეისრის ბრძანებით, რიფსიმეს უნდა დაეტოვებინა უბიწოების აღთქმა და ხლებოდა მას. რიფსიმემ იგრძნო მის თავს მოწევნილი განსაცდელი, იახლა თავისი დედამძუძე გაიანე, ნინო, ორმოცდაათი სახლეული თვისი და მიატოვა თავისი ქვეყანა.

ნინოს თან მიჰქონდა ჯვარი ვაზისა. მიდიოდა სიყვარულის, სიკეთის, სათნოების საქადაგებლად.

ქალები მზისა და მთვარის ამოსვლა-ჩასვლით საზღვრავდნენ დროს. ცდილობდნენ ხალხის ნდობა დაემსახურებინათ.

მალე მშვენიერი სამოთხე გამოჩნდა. ქალებმა გაიხარეს, რამდენიმე დღე იქ გაატარეს, დაისვენეს, ლოცულობდნენ, ქრისტე ღმერთს ადამიანთათვის მრავალ სიკეთეს შესთხოვდნენ.

შემდეგ გაიანემ გზის გაგრძელება მოინადინა:

- წავიდეთ, ჩვენს გზას ვეწიოთ, აქ როდემდე ვიყოთ, განა ცოტა საქმე გვაქვს?

- წინ გრძელი და ძნელი გზა გვიძევს, ეს ღამე აქ გავათიოთ, ხვალ, გამთენიის ჟამს დავტოვოთ აქაურობა. გესმის, რა საყვარლად ჭიკჭიკებენ ფრინველნიო, - მიუგეს.

დილით ადრიანად წამოიშალნენ. ნათელი, მზიანი დილა იდგა. ქალები მხნედ მიაბიჯებდნენ.

უეცრად ხმაური და ადამიანთა ფეხის ხმა შემოესმათ.

- ადამიანები მოდიან! - შეშინდა გაიანე.

- იქნებ თავის ფეხით მოდიან ჩვენთან ქრისტიანობის მისაღებად, - დაამშვიდა რიფსიმემ.

- ჩუმად, - გააჩუმა ნინომ ორივე, - ისინი თავიანთ კერპებთან მიდიან.

- ფრთხილად უნდა ვიყოთ, მტერს არ გადავეყაროთ! - შეშფოთდა გაიანე.

უცებ ბრბოდან ვიღაცამ იყვირა:

- ხედავთ, ჩვენ ხომ ამ ქალებს ვეძებთო! — და მათკენ გაექანა.

თავშეფარება გვიანღა იყო, ქალებმა უნებურად უკან დაიხიეს.

- არ გაუშვათ, დაიჭირეთ! - ღრიალებდა ბრბო.

- თავს ვუშველოთ! - შესძახა გაიანემ და გაიქცა. ნინო და რიფსიმე უკან მიჰყვნენ.

ბრბო გაქცეულ ქალებს დაედევნა.

- ერთად ნუ წახვალთ, სხვადასხვა მხარეს გაიქეცით! - შესძახა გაიანემ. გაიანემ ფეხი შეანელა, იფიქრა, იქნებ ახალგაზრდები გადავარჩინოო. ხალხის ბრბო გაიანეს შემოეხვია. დაიჭირეს.

- ქრისტიანი ყოფილა!

- გულზე ჯვარი ჰკიდია!

ალტაცებული ბრბო გაიანეს ურტყამდა, სახეში აფურთხებდა.

- უგუნურებო! - შეჰყვირა ვიღაცამ. - ჩვენ ამას გადავყევით, ისინი კი გაგვექცნენ.

ბრბო შედგა, მიიხედ-მოიხედა.

- აგერ, მირბიან!

- მოიცათ! - კვლავ გასცა განკარგულება იმან, ვინც უფროსობდა. - თქვენ ამას უთვალთვალეთ, იმათ ჩვენ დავიჭერთ.

ნინო მიტრიალდა და უეცრად ღრმა ორმოში ჩავარდა. მიიხედ-მოიხედა, ცოტა გონს მოეგო და ორმოდან ამოხოხება დაიწყო.

"შენი ვალი არ დაგავიწყდეს, შენ მცხეთელები უნდა გააქრისტიანო. გახსოვდეს, ჩემი წილხვედრი ქვეყანა შენთვის მომინდვია." - ჩაესმა ჩურჩული ნინოს.

ნინოს ყურს სწვდებოდა ბრბოს ალტაცებული შეძახილები. დიდხანს ეძებეს ნინო, მაგრამ მის ასავალ-დასავალს ვერ მიაკვლიეს.

ნინომ თავზე ბალახის გროვა დაიდო, ორმოს კიდეზე ამოხოხდა, გაიხედა... ბრბოს რიფსიმე შუაში მოექცია, ალტაცებული ღრიალითა და შეძახილებით მიჰყავდათ იმ ჯგუფისაკენ, რომელიც გაიანეს ეხვეოდა.

ნინოს სურვილი დაეუფლა, ორმოდან ამოსულიყო და მეგობრებს შეერთებოდა. ორმოს ნაპირს შეეპოტინა კიდეც, მაგრამ კვლავ ჩაესმა ხმა:

- ქრისტიანობა უმსხვერპლოდ არ გავრცელებულა, ეგენი მხოლოდ ერთი მსხვერპლთაგანნი არიან. ჩვენ ვილოცებთ მაგათთვის. მაგათი სულები ზეცას დაივანებენ.

ნინო კვლავ შეჩერდა, ვაზის ჯვარი გულში ჩაიკრა, თან თვალს არ აცილებდა ბრბოს, რომელიც რიფსიმესა და გაიანეს აწამებდა.

- არ მოჰკლათ, არ მოჰკლათ! - ბრძანა კვლავ იმან ვინც თავკაცობდა. - თრადატ მეფეს უნდა გავაგებინოთ!

ბრბოს რამდენიმე კაცი გამოეყო, ცხენებზე ამხედრდნენ და მეფისაკენ გაქუსლეს.

ბრბო კვლავ განაგრძობდა გაიანესა და რიფსიმეს შეურაცხყოფას.

რიფსიმე და გაიანე ზეცისკენ თვალაპყრობილნი იდგნენ და ქრისტე ღმერთს შესთხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვდნენ, მხნეობა მიეცა, რომ ღირსეულად შეხვედროდნენ განსაცდელს.

მობრძანდა მეფე თავისი ამალით და ტყვეებს ჰკითხა:

- რას ითხოვთ, დედაკაცნო?

- არაფერს! ქრისტე ჩვენთვის ეწამა, ჩვენც ავიტანთ ქრისტესთვის წამებას!

- უარყავით ქრისტე და შეგინდობთ!

- არასოდეს!

- წამოდით ჩვენთან, თაყვანი ვცეთ ჩვენს ღმერთებს და გაპატიებთ ყოველგვარ დანაშაულს.

- ჩვენ არანაირი დანაშაული არ ჩაგვიდენია! ჩვენ ქრისტიანები ვართ!

- ჩვენი სასჯელი მკაცრი იქნება.

- ჩვენ მზადა ვართ, ყოველგვარი ტანჯვა მივიღოთ ქრისტეს მოძღვრებისათვის!

ამასობაში ბრბო თავის მსხვერპლთ შემოეხვია. ტანსაცმელი შემოაფლითეს და ვეებერთელა ნაბლის ხეს მიაკრეს. მათრახები გაამზადეს.

ქალები ცრემლად იღვრებოდნენ, ლოცულობდნენ:

- წმინდაო ღმერთო, წმინდაო ძლიერო, სავსე არიან ცანი და ქვეყანანი შენის დიდებითა. შეგვინდე, შენს სასუფეველში შეგვიფარე. მოგვიტევე, თუ რამ ცოდვა ჩაგვიდენია. უფალო, შეგვიწყალე, შეგვაძლებინე ტანჯვის ატანა, გვაჩუქე სიკვდილი!

რიფსიმეს თავგანწირულმა კივილმა მიდამო შესძრა, მას თვალში მოხვდა მათრახის ბოლოზე დაკიდებული ტყვიის ბურთულა, თვალიდან სისხლმა იფეთქა.

ბრბო არ ცხრებოდა:

-სიკვდილი ჩვენი ღმერთების მგმობელთ!

- მაგრად დაარტყით!

ნინო უყურებდა ამხანაგების ტანჯვას. ცრემლად იღვრებოდა. ღმერთს შესთხოვდა:

- ღმერთო, მომეც ძალა, გავუძლო ამ გასაჭირს. პირნათლად შევასრულო დაკისრებული მოვალეობა ჩემი. აჩუქე მეგობრებს სიკვდილი!

შუაღამე იყო. გაავებულმა ბრბომ ძლივს დაიხშო ვნებები. განაწამები რიფისმესა და გაიანეს გვამები მიატოვეს.

ნინო ფრთხილად ამოვიდა სამალავიდან. მეგობრების ნეშტის წინ დაიჩოქა და ილოცა:

- ყოვლად წმინდაო იესო, შეგვიწყალე ჩვენ. უფალო, გვიხსენ და გვილხინე ცოდვათა ჩვენთაგან. მეუფეო, შეგვინდევ ცოდვანი ჩვენნი. წმინდა გვყვენ ჩვენ ყოვლისა ბიწიერებისაგან. აცხონე, სახიერო, სულნი ჩვენნი.

ნინომ ნაგვემი მეგობრები დაიტირა და საფლავები იმ ხის ქვეშ გაუთხარა, რომელზედაც ბრბომ რიფსიმე და გაიანე მიაკრა.

მეორე დილით მარტოდ დარჩენილი ნინო ამხანაგთა საფლავებს გამოეთხოვა და ღმერთს შეევედრა:

- უფალო ჩემო, ნუ მიმატოვებ მე, მხევალსა შენსა, ამ მძვინვარე მხეცთა, ასპიტთა, და იქედნეთა მსგავს კაცთა შორის.

ზეციდან ხმა ჩამოესმა:

- აღსდექ და წადი ჩრდილოეთით, სადაც სამკალი ბევრია, ხოლო მუშაკი - მცირე. ღვთისგან დაცულ იქნები.

●

ნინო ჯავახეთის მთაზე ავიდა. გაზაფხული მომძლავრებული იყო. ფარავანის ტბას მიადგა. მეთევზეებს გადაეყარა.

მეთევზეებმა გაიკვირვეს ქალის სტუმრობა. მოხუცმა მეთევზემ უთხრა:

- არა წეს არს ქალთა აქ ამოსვლა.

- ღვთისმშობელმა გამომგზავნა მცხეთას ავადმყოფთა განსაკურნად, ქრისტეს რჯულის საქადაგებლად.

- მკურნალი მუდამ ძვირფას სტუმრად ითვლება ხალხში. ჩვენს მთებში მრავლად არიან მწყემსები, მენახირენი დიდ ქალაქ მცხეთიდან, ნახირს აძოვებენ აქ.

გვიან ღამეს ნინომ სასთუმლად ქვა დაიდო და დასასვენებლად მიწაზე მიწვა. ძილში ბრწყინვალე შესახედაობის კაცი გამოეცხადა, დაბეჭდილი წიგნი გადასცა და უთხრა:

- ეს წიგნი მცხეთას წარმართთა მეფეს მიართვი, რადგანაც შენ ამისთვის ხარ მოვლენილი.

ნინომ ტირილით მიუგო:

- უფალო, მე დედაკაცმა, უცხომ და უმეცარმა, როგორ შევძლო ეგ?

- სადაც იქადაგება სახარება, იქ იხსენიება სახელი შენი, რადგან ქრისტეს მოძღვრების გავრცელების საქმეში ქალი და კაცი ერთია. დაიმონაფე ყოველი წარმართი. მოვა დრო, ნათელი გამობრწყინდება წარმართებზე. შენ მანამდე ახარე ძმათა და დათა ჩემთა სიტყვა ჭეშმარიტი. ისინი გამოჰყვებიან შენს ქადაგებასა და სწავლას.

ნინოს გამოეღვიძა, არნახული ჩვენებისაგან გამოერკვა, ხელები ზეცად აღაპყრო და მხურვალე ცრემლთა დენით დიდხანს ევედრებოდა ღვთისმშობელს:

- ჰოი, ყოვლადქებულო და დიდებულო დედაო ღვთისა, რომელმაც ჩვენს საცხონებლად შობე წმინდა იგი წმინდათაი, შეიწყნარე ვედრება შენი უღირსი მონისა და მხევლისა, მოავლინე ჩემზე შენი მფარველობის მადლი და წყალობა. შენ, რომელიც ხარ სასოება და სიმტკიცე, ზღუდე და მცველი ყველა შენი მავედრებელისა, შემწედ ექმენ ჩემს უძლურებას, განდევნე ჩემგან ხილულნი და უხილავნი ბოროტნი, დამიცავ ყოველივე განსაცდელისაგან, განმაშორე მტრის ყოველივე საფრთხეს. ეხლა უშიშრად და მტკიცედ მივემართები წარმართთა შორის მის წმინდა სახელის საქადაგებლად მონდობილი შენს ვედრებას. წარმიძეხ მე, წმინდაო ღვთისმშობელო, მასწავლე სიტყვა ჯეროვანი, საქმე უმჯობესი. მიხედე და შეიწყალე განწირული ერი, რომლისთვისაც დაანთხია სისხლი შენმა ძემ.

ნინომ ლოცვა დაასრულა და გამხნევებული თავის გზას დაადგა. მდინარის ნაპირს მი-

ბიბლიოთეკა

უყვებოდა. მზე ძლიერად აცხუნებდა. ნინო ხეებს ეფარებოდა, ჩქარობდა ჯოჯოხეთურ სიცხეს გასცლოდა. დროის მსვლელობა დაკარგა, გათენებებსღა ითვლიდა მხოლოდ. მზის ამოსვლით ხარობდა. მარტო ყოფნა უჭირდა.

აი, კვლავ გაქრა მზის სხივის უკანასკნელი შუქი, მიდამო წყვდიადმა მოიცვა. ამ სიჩუმეში არსაიდან ისმოდა სულიერის ფაჩუნიც კი. ნინო ხის ძირას მიჯდა, ხეს ზურგით მიეყრდნო და ღმერთს შეევედრა:

- ღმერთო, მაპატიე, სულმოკლეობა.

აღმოსავლეთი ვერცხლისფრად განათდა.

"მალე მთვარე ამობრძანდება", - გაუელვა ნინოს, სიმხნევე იგრძნო.

უეცრად მის ყურს ძაღლის ყეფა მისწვდა.

- ღმერთო ჩემო, უკვე ახლოსა ვარ! - მძიმედ სუნთქავდა ნინო, მიზნის სიახლოვე ახარებდა. დაღლილობის შემდეგ პირველად შეიგრძნო ხასხასა ბალახის სურნელი, დასვენების სიამოვნება.

მშვენიერი ღამე იყო, მთვარე და ვარსკვლავები ცის გუმბათზე კაშკაშებდნენ. ნინოს არასოდეს ენახა ამდენი ვარსკვლავი ერთად. გარშემო ჩამიჩუმი არ ისმოდა. ნინოს მოეჩვენა, რომ ყველა და ყველაფერი ლოცულობდა: - ხეც, ბუჩქიც, ფოთოლიც, მთვარეც და ვარსკვლავებიც, ღამის მშვენიერება ყველაფერს ეუფლებოდა.

ღამის მეჯლისი დამთავრდა, მთვარე დასაძინებლად წაბრძანდა, ვარსკვლავებმაც გუდა-ნაბადი აიკრეს, სათითაოდ ჩაქრნენ. დილის სიომ დაუბერა, ფოთლებს გაესაუბრა, შორიდან ძაღლის ყეფის ხმა მოიტანა.

დილის ნათელს გამოღვიძება მოჰყვა. შეიქნა ჩიტთა ჭიკჭიკი, ფოთლების ჩურჩული.

ამობრწყინდა მზე დიდებული.

ნინომ ღვთისაგან შეწევნა ითხოვა, გზის შიში დაძლია და ქალაქ ურბნისს მივიდა.

ნინო იმედმა დაიპყრო. იმედი ყველა ადამიანის საკუთრებაა. იმედი ამ ქვეყნის ჭეშმარიტებაა. იმედი მართავს ქვეყანას.

ნინომ ურბნისში იხილა ერი, რომელიც ღმერთის მაგიერ მსახურობდა ქვათა, ძელთა და ცეცხლთა.

ურბნისში ნინომ ერთი თვე დაჰყო. ერთ დღეს ერი სავაჭროდ ქალაქ მცხეთას წასასვლელად დაიძრა. ნინოც მათ გაჰყვა.

დაიღალნენ გზად მიმავალნი, დაისვენეს. ნინომაც დაისვენა, ქვაზე ჩამოჯდა. ქვას ხავსი ფარავდა. ხავსს ქვაზე ეშოვა საზრდო, გალვივებულიყო, მწვანედ ხასხასებდა. ხავსზე თავი მიდო, რბილი მოეჩვენა. ნინოს ფეხთით ნაკადული მირაკრაკებდა. რაკრაკმა დედის ნანა მოაგონა. ნინომ ხის ფოთლები აილო, ნაკადულში ჩაყარა. ფოთლები სწრაფად გააქროლა წყალმა. ასევე უნდა მიისწრაფოდეს ადამიანი თავის მიზნისაკენ. ნაკადულის რაკრაკი ატკბობდა. აქაურობის მოცილება ეზარებოდა.

გზის ნაპირას ვეებერთელა მუხა იდგა. ხე გამხმარიყო, სიმწვანე შემოკლებოდა. მუხის ბებერ ტანზე წვრილი ყლორტები ამოხასხასებულიყვნენ. ახალი სიცოცხლით ანუგეშებდნენ მოხუცს.

ნინო ხეობაში გაშენებულ ქალაქს გადასცქეროდა, უხაროდა მიზნის მიღწევა. ნინომ ეს ხალხი უნდა გააქრისტიანოს. აქ უნდა იქადაგოს ქრისტეს მოძღვრება.

დასრულდა ნინოს ხეტიალი.

ექვსი აგვისტო იდგა.

ეს დღე სადღესასწაულოდ იყო მიჩნეული, მას არმაზის დღეს ეძახდნენ. ხალხი არაგვისა და მტკვრის წყალშესაყართან იკრიბებოდა.

მეფე მირიანი და დედოფალი ნანა ხიდთან შეხვდნენ ხალხს. აუარებელი მხლებელი ახლდა მეფე-დედოფალს.

გაისმა სადღესასწაულო საყვირის ხმა. ხალხი მირიანის სადიდებელ სიმღერას მღეროდა.

ხალხი თავის კერპებთან მიდიოდა, წინ მეფე-დედოფალი მიუძღოდათ, ზეცას სწვდებოდა მათი გალობა:

- დიდება, დიდება ღმერთსა, დიდება არმაზს, შენ სალოცავად მოვედით!

ნინო ხალხთან ერთად მთაზე ავიდა. შედგა. სანახაობამ გააკვირვა. შეაშფოთა ამდენი მლოცველის ხილვამ.

ხალხს მტკვრის მხარეს ვეებერთელა ქვის კედელი და გოდოლი აეშენებინა. ქვითვე იყო შემოფარგლული საზეიმო ადგილი და სამსხვერპლო.

არმაზი ნაპრალის ზღუდესთან იდგა. სპილენძის ბუმბერაზს ტანთ ოქროს ჯაჭვი ემოსა. თავს ოქროსავე ჩაფხუტი უმშვენებდა, ოქროსივე სამხრენი ჰქონდა. ცალი თვალი ბივრიტისა ესვა, მეორე - იაკინთის ქვისა. ხელს მახვილი ეპყრა, ელვასავით მქცეველი - ვინც მიეახლებოდა, თავს სასიკვდილოდ გასწირავდა.

ნინო შეაკრთო არმაზის ზვიადმა შესახედაობამ:

- ნუთუ ხალხი ისე დაბრმავდა, თავისივე ხელით აგებულ ამ კერპებს თაყვანს სცემს?

არმაზს ორსავე მხარეს მომცრო კერპები ედგა, მარჯვნივ გაცი - ოქროსი, მარცხნივ გაიმ - ვერცხლისა.

ნინო ატირდა:

- ღმერთო, ეს ამოდენა ხალხი ნამდვილ შემოქმედს არ იცნობს. უფალო, მომეცი ძალა, დავეხმარო ამ ხალხს, რომელიც ცოცხლადვე ჩაუნთქავს ჯოჯოხეთს! მომეცი ძალა მათი სწორ გზაზე დაყენებისა. უფალო იესო ქრისტე, შემოქმედო ყოველთა, რომელიც ჩვენი ცხოვრებისათვის კაცად იქმენ, რათა აცხონო ისინი რომელნიც შენს ხატად შეჰქმენ. შენი დიდების მაღალი სამყოფელიდან მოგვხედე შენს გაჩენილებს, იხსენ საშინელი სიბნელისა და ბოროტი მტრის ტყვეობისაგან. უფალო, ისმინე ვედრება შენი ულირსი მონისა და მხევლისა, აჩვენე შენი ძლიერება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰყავ სასწაული კეთილი, რათა ერმა იხილოს შენი მხსნელობა, მხოლოდ შენ გიცნონ ჭეშმარიტ ღმერთად, შენ შემოგწირონ დიდება და თაყვანი გცენ!

ნინომ დაასრულა ლოცვა და უეცრად მყრალმა ქარმა მობერა. ღრუბლები წამოიშალა. მიდამო სიბნელემ მოიცვა. ისეთი ჭექა-ქუხილი ატყდა, ადამიანებს ეგონათ, ზეცა ჩამოიქცევა, დედამიწას დაემხობაო. გარშემო მხოლოდ კვნესა, შემზარავი ყვირილი ისმოდა. ხალხი თავიანთ ღმერთებს მოუხმობდა, კერპებს შველას შესთხოვდა. დამფრთხალი ხალხი აირია, გაიქცა, რადგანაც ლიტრისხელა სეტყვა გრიალით მოდიოდა.

უეცრად ერთ-ერთის განწირული ხმა გაისმა:

- ხალხო, არმაზს შევევედროთ! არმაზი არ დაგვტოვებს უნუგეშოდ!

კვლავ გაიელვა და ხალხმა არმაზი ველარსად იხილა. გაოგნებული ხალხი მიწას დაემხო. მათს ღაღადისს ხანგამოშვებით ძლიერი ჭექა-ქუხილი ახშობდა.

დედამიწის გულიდან ამოსროლილმა სინათლემ მიდამო გაანათა. ნინოს ზეცისკენ აღეპყრო ხელები და ლოცულობდა, თავის ღმერთს შესთხოვდა:

- უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისა, გამოგვიხსენ ჩვენი ცოდვისა, წყევლისა და სიკვდილისაგან! შენ ხომ ჯვარს ეცვი ჩვენთვის. შენ ხომ ყველა ადამიანისთვის ერთ სარწმუნოებას ქადაგებ. მოიღე ჩვენზე სული წმინდის მადლი, რომლის შემწეობით მოგვეცემა რწმენა, რომ იესო ქრისტე დაუცხრომლად იზრუნებს ჩვენს ცხოვრებაზე, გვაპატიებს ყოველ დანაშაულს, მოგვანიჭებს აღთქმულ ნეტარებას. უფალო, დაგვიბრუნე დღე ნათელი! ნუ მოგვისპობ სინათლეს!

სიბნელემ ნელ-ნელა გაქრობა იწყო. ირგვლივ სინათლე მოეფინა.

ჭექა-ქუხილი შორიდანღა ისმოდა.

მზით განათებული, გაჩახჩახებული არმაზის მიდამო თანდათან დაწყნარდა.

მეორე დღეს ხალხმა იხილა დამსხვრეული, განადგურებული კერპები და შეძრწუნებულმა დატოვა იქაურობა. ხოლო ნინო წამოვიდა, კლდის ნაპირას ერთი მშვენიერი, რტოებგადაფენილი ხე იპოვა, ზედ ჯვარი გამოსახა და მის ქვეშ ექვსი დღე დაჰყო ლოცვასა და ღვთის დიდებაში. ამ ყოფაში იხილა ნინო ერთმა წარჩინებულმა მხევალთაგანმა, სახელად შროშანამ, დაწვრილებით შეიტყო ნინოს მოსვლის მიზეზი და სთხოვა, სასახლეში წაჰყოლოდა, მაგრამ ნინომ შროშანა უარით გაისტუმრა. სამი დღის შემდეგ ნინო ქალაქში შევიდა, ჰპოვა სამოთხე მეფისა და იქ დაისადგურა.

კარგი რამ იყო მცხეთის სამოთხე. ნინომ აქ იპოვა სამოთხის მცველის პატარა ქოხი და იმას მიაშურა. ქოხიდან ახალგაზრდა ქალი გამოეგება. ნინო სიყვარულით და პატივით მიიღო.

ახალგაზრდა ქალი, სახელად ანასტოსი, სამოთხის მცველის მეუღლე იყო. ანასტოსი ფრიად გაახარა ნინოს მისვლამ. ფეხები დაბანა, ზეთი სცხო, საჭმელი მიართვა.

საღამოს ანასტოსის ქმარიც მოვიდა. ვახშმობისას ცოლ-ქმარმა თავისი ნაღველი გაუმხილა ნინოს: ცოლ-ქმარს შვილი არ ჰყავდა და ეს იყო მათი სადარდებელი.

ნინო დაწოლის წინ დიდხანს ლოცულობდა. ღვთისმშობელ დედას შესთხოვდა ქალის განკურნებას, რათა მასაც განეცადა დედობის სიხარული.

ნინომ იმ ღამეს ჩვენება იხილა ბრწყინვალე ნათლით მოსილი კაცისა, რომელმაც უთხრა:

- სამოთხეში, იმ ადგილას, სადაც დიდი კვიპაროსის ხე დგას, მრავალი ყვავილი ყვავილობს, გარემოს სურნელებას აფრქვევს, იმ მცენარეთა შორის იპოვე ბაბილო, მისი ძირიდან მიწა აიღე, ცოლ-ქმარს აჭამე და შვილი შეეძინებათ.

ნინო ასეც მოიქცა. ამის შემდეგ სამოთხის მცველს მრავალი ძე და ასული ეყოლა.

ნინომ კარგა ხანს დაჰყო სამოთხეში. მაყვლის ბუჩქის ქვეშ გაიკეთა სამყოფელი. აქ დღე და ღამე ღმერთს ევედრებოდა ადამიანებისათვის მიეცა ღვთის შეცნობის უნარი.

ღირსმა ნინომ მრავალგზის იხილა ჩვენება: ფრინველნი მოფრინდნიან, მდინარე მტკვარში განიბანიან, განსპეტაკებულნი სამოთხის ხეზე შემოსხდიან და მის ყვავილებს მოისთვლიდიან.

ნინომ სიზმარი თავის მეგობარ სიდონიას უამბო. სიდონიას მამა აბიათარი, ფილოსოფოსობით შემკული მღვდელმთავარი იყო ურიათა. სიდონიაც ფრიად განსწავლული ქალი იყო. როდესაც მან ნინოს სიზმარი მოისმინა ცრემლთა ფრქვევით უთხრა:

- შორიდან მოსულო, ზეცის წყალობით მომართებულო, შენგან სურს შემოქმედს ჩვენი სულის განათლება, ნათლის მოცემით უმეცრების სიბნელისაგან გამოხსნა. წარმართებს შენ უნდა შეამეცნო ქრისტეს მოძღვრება.

ხმა სწრაფად გავრცელდა: მკურნალი ქალი ჩამოსულა, სამოთხის გვერდით რომ მაყვლოვანია, იქ ცხოვრობს. მისი ლოცვა-კურთხევით გაუჩნდათ შვილები სამოთხის მცველსა და მის ცოლსო.

ნინო მაყვლოვანში დღე და ღამე ლოცვაში ატარებდა, გამუდმებით მარხულობდა, საწოლსაგებლად მიწაზე დაფენილი ფიჩვი ჰქონდა.

წარმართებმა იწყეს დენა ნინოს სამყოფლისაკენ. უკვირდათ ნინოს ასეთი ცხოვრება.

ერთ წარჩინებულს ვაჟი გაუხდა ავად, მამამისმა ქვეყანა შეაჯერა, ბოლოს ნინოს მიჰგვარა შვილი და შეევედრა, განმიკურნეო.

ნინომ ყრმა თავის საწოლზე მიაწვინა, ქრისტესმიერი ჯვარი გამოსახა და ღმერთს შეავედრა. გულმოდგინედ ლოცულობდა ნინო, რათა ღმერთს განეკურნა ყმაწვილი. უფალმა

ბიბლიოთეკა

შეისმინა მისი ვედრება და განკურნებული ვაჟი მამას გაატანა.

ნინოს მკურნალობის ამბავმა დედოფლის ყურამდეც მიაღწია და რადგანაც თვითონ დედოფალი დასნეულებული იყო, კაცი გაგზავნა მის მოსაყვანად.

ნინომ უარი შეუთვალა დედოფალს, მოუწოდა, თვითონ მისულიყო მასთან. დედოფალი იძულებული შეიქნა ნინოს სწვეოდა.

ნინო მოწიწებით მიესალმა დედოფალს. სნეულების ამბავი გამოჰკითხა, მერე ავადმყოფი თავის საწოლზე დააწვინა, ჯვარი ვაზისა თავსა, მხრებზე და ფეხებზე შეახო, თან განუწყვეტლივ ლოცულობდა, ნელა, სულ ნელა მთელ ტანსა და თავზე ხელს უსვამდა.

ნანა დედოფალმა შვება იგრძნო და მთლად განკურნებული წავიდა სასახლეში. სასახლეში მისულმა ნანა დედოფალმა მეუღლეს აუწყა ყოველივე და შეევედრა, რომ მხოლოდ ნინოს ღმერთი ენამა ჭეშმარიტ ღმერთად. მეფე მირიანი გაკვირვებული და შეშფოთებული იყო ყოველივეთი.

მეფე-დედოფლის უმცროსი ძე ხურვებამ შეიპყრო. დედოფალმა ნანამ ვაჟი ნინოს მიჰგვარა და შეევედრა:

- მშვენიერო ქალწულო ნინო, შენმა ღმერთმა ჩვენდა საკეთილდღეოდ მოგავლინა. მრავალ სიკეთეს ესეც მიუმატე და განკურნე ჯერაც უცოდველი ძე ჩემი.

ნინომ თავისი წესისამებრ ჯვარი გამოსახა ავადმყოფს და ღვთისადმი გულმოდგინე ლოცვა-ვედრებით განკურნა მეფის ძე.

ამის შემდეგ დედოფალი ნანა დაემოწაფა ნინოს თავის წარჩინებულ მხევლებთან ერთად.

დედოფალ ნანას დედის ძმა, დიდი მთავარი ხვარა დასნეულდა და ნინოს ევედრებოდა განკურნებას.

მეფე მირიანმა ნინოს ჰკითხა:

- რომელი ღვთის ძალით ახდენ მკურნალობას? ან არმაზის ასული ხარ, ან ზადენის.

- ცხონდი, მეფეო, უკუნისამდე! ჩვენი უფლის, ღმერთის და მაცხოვრის იესო ქრისტეს სახელით, რომელიც შემოქმედია ცისა და ქვეყნისა. რომლის ხელთაა ცხოვრება და სიკვდილი ყველა ცოცხლისა. გეტყვი იმასაც, რომ სულ ახლოსაა შენი მოქცევა მის მიმართ. მეფეო, ამ შენ ქალაქში არის დაფლული იესო ქრისტეს წმინდა სამოსელი, მის ძალითა ხდება ურიცხვი კურნება. მისი წმინდა სახელის მეოხებით განიკურნება მთავარიც.

კვიპაროსის ქვეშ, ყვავილნარში, ნანა დედოფლის თანხლებით ნინოსთან ავადმყოფი მთავარი მიიყვანეს.

- უკეთუ გწამს უფალი იესო ქრისტე, თუ გწამს, რომ ის არის ჭეშმარიტი ღმერთი, განთავისუფლდები ამ სენისაგან.

მთავარმა მიუგო:

- მრწამს ის ღმერთი, რომელსაც შენ ეთაყვანები. მას შეუძლია ჩემი განკურნება.

- შენი ვალია, ურყევი რწმენა მიიღო, სამგზის თაყვანი სცე აღმოსავლეთით, აღიარო წმინდა სამება, შემდეგ დასავლეთით მოიქცე და სამგზის თქვა:

- ვიჯმნი შენგან, ეშმაკო, და ყოველთა საქმეთა შენთაგან, შევუდგები ქრისტეს სჯულს.

ამის შემდეგ მთავარს გაეცალა არაწმინდა სული და განთავისუფლდა მისგან. მთავარი დაემოწაფა ნინოს და იქმნა მორწმუნე მთელი სახლობით.

განკურნებული მთავარი ხშირად იჯდა მეფე მირიანთან და საუბრობდნენ ნინოს რჯულზე, მის მკურნალობის უნარზე.

- მათი მოძღვრება ფრიად განსხვავდება ჩვენისგან. იგი სიკეთეს ქადაგებს, ქადაგებს შევეწიოთ ღარიბს, შევეწიოთ ავადმყოფს, ვანუგეშოთ მწუხარე, ვაპატიოთ შეურაცხმყოფელს, კეთილვყოთ მტერი.

- როცა ძალაუფლებას ფლობ, ძნელია მაგის შესრულება.

მეფე და მოგვი საათობით ბაასობდნენ.

●

მირიან მეფე ზაფხულის ცხელ დღეს სანადიროდ გაემგზავრა. მუხრანის მხარეს სანახები მოვლო.

ნადირობა იღბლიანი გამოდგა. მეფემ საკმარისად მოინადირა. სამხრობამდე ყველა სანახები მოვლო და ბოლოს თხოთის მთაზე ავიდა. აქედან უყვარდა გადახედვა, თავის ქვეყნის მიდამოს ცქერით ტკბებოდა.

უეცრად ჩამობნელდა, მიდამო უკუნეთმა მოიცვა. მირიანი დააბნია მოულოდნელობამ:

- ჟამი არს დაბნელებისო? - იკითხა.

- ხედავ, მეფეო, რა უცნაურად ჩამობნელდა?!

- მზე ჩაქრა, აღარ ანათებს ჩვენთვის!

- ჩანს, ღმერთებმა ჩვენზე ხელი აიღეს!

- ილოცე, მეფეო!

- მზეს ნუ წაგვართმევენ!

- მზე დაგვიბრუნონ!

მეფე შედგა, მისი მხურვალე ლოცვა სიბნელეში გაიფანტა:

- ჩემო ღმერთებო, არმაზ და ზადენ, ბუნებამ გაგანადგურათ, მაგრამ ვინ გაბედავს თქვენთვის ძალის წართმევას. წყალობა მოიღეთ თქვენს მუდმივ მლოცველზე! დაგვიბრუნეთ ნათელი!..

კარგა ხანს ლოცულობდა მეფე. ღმერთებს არ ესმოდათ მირიანის ღაღადისი. უკუნი უფრო მეტად, სულისშემხუთავად დააწვა მიდამოს.

მეფე აღშფოთებული მიუბრუნდა მხლებლებს:

- ვუხმე არმაზსა და ზადენს, დალხინება ვერ ვპოვე. ისინი გულგრილნი არიან ჩვენი გაჭირვებისადმი.

- უცხო დედაკაცის ღმერთს შესთხოვე, მეფეო!

- იქნებ გისმინოს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

- ის დედაკაცი თავისი ღმერთის დახმარებით მრავალ კეთილ საქმესა და სასწაულს ახდენს.

- ღმერთო, ჯვარცმულო, - გაისმა მირიანის ხმა, - რომელიც ხარ ჭეშმარიტი ღმერთი, გამინათე ბნელი, მიხსენი ამ ჭირისაგან და ამიერიდან შენ გაღიარებ, შენ გცემ თაყვანს, თაყვანს ვცემ პატიოსან ჯვარს. აღვმართავ ჯვარს, სალოცავ სახლს ავაშენებ. მე და ჩემი ხალხი მუდამ შენი მლოცველნი ვიქნებით!

ღმერთმა უსმინა მეფეს.

განათდა.

კვლავ ამობრწყინდა მზე დიდებული.

მეფემ ხელები ზეცისკენ აღაპყრო და შეღაღადა:

- შენა ხარ ღმერთი ღმერთთაი და უფალი უფალთაი, რომელმაც შეჰქმენ ცანი და ქვეყანა. ამიერიდან უცხო დედაკაცი დედაა ჩემი. ღმერთი, რომელსაც ის ქადაგებს, ჭეშმარიტი მხსნელია ჩემი, მას შეუძლია ქვეყანაზე მოსპოს ბოროტება, დაამყაროს კაცთა შორის ბედნიერება და სიყვარული.

მირიან მეფე სამეფო ქალაქისაკენ გაემართა. ყოველი ერი გამოვიდა მისაგებებლად. გამოვიდა ნანა დედოფალიც. დედოფალს უკვე გაეგო მომხდარი ამბავი.

სიხარულით და რწმენით თვალებგაბრწყინებული მეფე შეეგება თავის ხალხს:

- დიდ არს ღმერთი ნინოსი!

მეფე-დედოფალი მხლებლებითურთ ნინოს სამყოფელისაკენ გაეშურნენ.

- ნინო მაყვლოვანში ლოცულობსო! - მოახსენეს.

მივიდა მეფე ნინოს სამყოფელში და შესძახა:

- ამიერიდან მწამს ჭეშმარიტი ღმერთი, რომელსაც შენ ქადაგებ. მე ვინამე იგი და თაყვანს ვცემ მას! აქვე, ამ სამოთხეში, სადაც სურნელოვანი კვიპაროსის ხე დგას, ტაძარი აღიმართება. მოიკვეთოს მშვენიერი კვიპაროსი, აღიმართოს სვეტი ტაძრის დასამშვენებლად.

მოჰკვეთეს ხე, რომელმაც გამოუთქმელი სურნელება გამოსცა.

- შეამზადეთ სვეტად! - ბრძანა მეფემ.

ხალხმა მოინდომა სვეტის იმ ადგილზე მიტანა, სადაც მეფემ ბრძანა მისი აღმართვა. სვეტს ძვრა ვერ უყვეს.

დაღამდა. მეფემ ბრძანა:

- არ არის უფლის ნება სვეტის ადგილიდან დაძვრისა. ღმერთო, ჩაგვაგონე სურვილი შენი!

მეფე და მისი მხლებელნი სასახლეში წავიდნენ.

ნინო სვეტის მახლობლად დარჩა. მასთან ერთად იყვნენ მისი განუყრელი მეგობრები სიდონია, შროშანა და ათამდე მორწმუნე ქალი.

ნინომ ღამე სვეტთან გაატარა ლოცვავედრებაში, თვალზე ცრემლი არ შეშრობია.

განთიადისას, როცა ყველას ეძინა, ნინო კი ფხიზლობდა სიდონიასა და შროშანასთან ერთად, ნინოს ნათლით მოსილი ჭაბუკი გამოეცხადა და უთხრა:

- ღვთის ნებით სვეტი ადგილზე იდგეს.

ნინო ჭაბუკის წინ პირქვე დაემხო. ჭაბუკი სვეტთან მივიდა, ასწია და იმ ადგილას მიიტანა, სადაც მოჰკვეთეს. ნელა, სულ ნელა თავისივე ძველ ადგილზე დაუშვა.

მეფემ დილით ადრიანად გაიღვიძა. სამოთხეში გავიდა. წინ და უკან დადიოდა, იმ ძალაზე ფიქრობდა, სვეტს უზენაესისაგან რომ ჰქონდა მონიჭებული. უეცრად სვეტისაგან გამოცემული სურნელი შეიგრძნო. სვეტის სამყოფელისაკენ წავიდა. იხილა: სვეტი იდგა და უცნაურ ნათელს გამოსცემდა. სვეტისგან გამოცემული ნათელი ცას აღწევდა.

ხალხს ამბავი მოედო უცხო სახილველისა და ყოველი მხრიდან იწყო დენა.

შემოიკრიბა სასახლე, მთელი ქალაქი სვეტს გარს ეხვეოდა, ყველანი ერთხმად ადიდებდნენ ნინოს ღმერთს და ნინოს მადლს უხდიდნენ. ამიერიდან ცხოველი სვეტისაგან ურიცხვი სასწაული აღესრულებოდა. ვინც რწმენით მოდიოდა, საწადელი უსრულდებოდა.

როდესაც წმინდა ეკლესიის შენება გასრულდა, ნინო მეფე მირიანს მიეახლა და ურჩია:

- ღირსეულო მეფეო, რომაელებისა და ბერძენთა საბრძანებელში მოციქული წარგზავნე. მეფე კონსტანტინემ და დედამისმა, დედოფალმა ელენემ აღიარეს უფალი ჩვენი, იესო ქრისტე, ჭეშმარიტ ღმერთად და მაცხოვრად, ნათელ იღეს მათ და მთელმა მათმა პალატ-მხედრობამ. ვთხოვოთ მეფე კონსტანტინეს და დედოფალ ელენეს, გამოგვიგზავნონ ღვთისმსახურები, მოძღვარნი, ახალი რჯულის მასწავლებელნი.

მეფე მირიანმა სიხარულით მიიღო ნინოს რჩევა, სწრაფად გაგზავნა მოციქულები. ითხოვდა ახალი მოძღვრების კეთილად აღსასრულებლად მოძღვართა და მასწავლებელთა წარმოგზავნას.

მირიან მეფეს ახარებდა ახალი რჯულის აღიარება. ფიქრობდა, ამიერიდან რომაელებისა და ბერძენთა ქვეყანა ჩემი მოკავშირე იქნებაო.

●

გათენდა.

კვირა სასოების მოსაპოვებლად იყო გამოცხადებული.

იმ დღეს უნდა მონათლულიყო მეფე მირიანი, ნანა დედოფალი, მთელი მისი სახლობა და ყველა, ვინცა ამ დროს მცხეთაში იყო და სურვილი ჰქონდა, ქრისტეს მოძღვრებას ზიარებოდა.

მცხეთის მიდამოს, ახლომახლო სოფლებს ხმა მოედო: მეფე-დედოფალი ქრისტეს რჯულს უნდა შეუდგნენო. მოდიოდა და მოდიოდა ხალხი, დიდი და პატარა, მდინარე მტკვრის ორივე მხარეს იკრიბებოდნენ.

- მობრძანდა მეფე-დედოფალი თავისი ამალით, თან ანტიოქიელი პატრიარქი მოჰყვა მხ-

ბიბლიოთეკა

ლებლებით. პატრიარქმა მტკვარი აკურთხა და დაიწყო ნათლობა.

პირველად მეფე მირიანმა და ნანა დედოფალმა ილეს ნათელი, ხოლო შემდეგ მღვდელნი და დიაკვანნი ნათელს სცემდნენ მთელ ერს.

წყლიდან ამოსულნი ზიარებას ღებულობდნენ, ყველას ჯვარს ჰკიდებდნენ და მოძღვრავდნენ: "ამიერიდან შენ ხარ ქრისტიანი".

პატრიარქი ქადაგებდა:

- ყოველი ქრისტიანი უნდა ცდილობდეს უმჯობესი შეიქმნას ლოცვით. ლოცვითვე განიშორეთ ყოველივე რისხვა, გულისწყრომა, უკეთურობა, სხვისი გმობა, უშვერი სიტყვა. ღმერთმა თქვენს გულში დანერგოს შიში და მძულვარება ცოდვისა, სიყვარული სათნოებისა. ცოდვა კაცის ბუნებაზე საწამლავივით მოქმედებს, უბედურს ხდის, წაახდენს მას არათუ სულიერად, არამედ ხორციელადაც. ყოველ ცოდვას დამარღვეველი, გამანადგურებელი მოქმედება აქვს სულსა და ხორცსა ზედა კაცისასა.

ყოველი ცოდვა არის თესლი, რომელიც თავის დროზე მწარე ნაყოფს გამოიღებს: ცოდვა, ვითარცა მძიმე ტვირთი, გადაეცემა შენს შვილთა და შთამომავალთა.

რომიდან წარმოგზავნილი დიაკვანი დილით ადრე მოვიდა. წმინდა პატრიარქის და მეფის კურთხევა მოიტანა. ქართველებს გაქრისტიანებას ულოცავდნენ, მეფე მირიანსა და დედოფალ ნანას - ღვთის გზაზე დადგომას. სწერდნენ: სული წმინდის მადლით გაძლიერდით, გამრავლდით და განიწმინდენით სულიერ ცხოვრებაშიო.

ნინოსადმი მოწერილი წიგნი სავსე იყო ქრისტიანობისათვის თავდადებული ქალის ქებით და მადლობით.

ნინოს მოართვეს ფრანგ მთავრისაგან წარმოგზავნილი მშვენიერი ჯვარცმა და მამის მოკითხვა. ნინოს მამას ფრანგი მთავარი მოენათლა. ნინომ გაიხარა მამის ამბის გაგებით.

პატრიარქმა აკურთხა მირიანის მიერ აშენებული ტაძარი. აკურთხა ღირსი იოანე საქართველოს პირველ მთავარ ეპისკოპოსად. აკურთხა დიაკვნები, მღვდლები. შემდეგ გამოსათხოვარი სიტყვით მიმართა მათ:

- გონიერების და მხნეობის შეერთება სიმშვიდესა და სიმდაბლესთან შეამკობს ადამიანს ზნეობრივად. ზნეობით შემკულ ადამიანს კი შეუძლია აღასრულოს ქვეყანაზე თავისი მაღალი დანიშნულება. თქვენი მაღალი დანიშნულება ახალი აღთქმის ქადაგებაა, გულმოდგინედ შეუდექით თქვენს წმინდა საქმეს...

●

ნინო განემზადა და არაგვის გაღმა, მცხეთის პირდაპირ მთას მიაშურა.

იქ ღამის თევაში, ღვთის მიმართ ლოცვაში ატარებდა მთელ დროს.

საქართველოს პირველმა მთავარეპისკოპოსმა იოანემ გადაწყვიტა, ჯვრის შესაქმნელად გამორჩეული ხის მოძებნა. ეს საქმე მეფის ძე რევის დაავალა, თან მთავარი დიაკონი, ხუროები გააყოლა და ურჩია:

- ნინოსთან წადით, ის წმინდა ქალი დაგაყენებთ გზაზეო!

მეფის ძემ, რევიმ ნინოს თაყვანი სცა და ეპისკოპოსის სურვილი გამოუცხადა:

- ეპისკოპოსს სურს საქართველოსათვის პირველი წმინდა ჯვარი თვით ჩვენმა ერმა შექმნას.

- მეც მიფიქრია, შვილო, მაგაზე. ჯვრისათვის ხე შერჩეული მაქვს, წავიდეთ, გაჩვენებ. მრავალი სასწაული მსმენია მონადირეთაგან იმ ხის შესახებ: თუ ისარცემული ნადირი მის ფურცელს ან თესლს შეჭამს, სწრაფად განიკურნებაო.

გაიხარეს წარგზავნილებმა. ნინო წინ მიუძღოდათ. ნახეს ფურცელდაუცვენარი, კაცთაგან ჯერ ხელუხლები, ლამაზად მდგარი ხე. მოკვეთეს და მისგან სამი ჯვარი შექმნეს.

მირიანის ბრძანებით მცხეთის მთაზე ეკლესია ააშენეს და ერთი ჯვარი იქ აღმართეს.

მეორე ჯვარი წარუგზავნეს თხოთის მთაზე მირიანის მიერ აგებულ ეკლესიას, რომელმაც შემდგომ წმინდა გიორგის სახელი დაიმკვიდრა.

მესამე ჯვარი კი, ნინოს რჩევით, ქალაქ უჯარმას წარგზავნეს და იქ დაასვენეს.

მეფე მირიანმა კირითხურონი იხმო და უბრძანა:

-ერთ ეკლესიას ერუშეთს ჩაუყარეთ საძირკველი, სადაც უფლის ფერხთა ფიცარი ინახება, ხოლო მეორეს - მანგლისს, სადაც უფლის სამსჭვალი არისო.

მეფე მირიანი ცნობილი გახდა ახალი სარწმუნოების, მართლმადიდებლობის აღიარებით, ეკლესიათა შენებით, ეპისკოპოსთა, მღვდელთა პატივისცემითა და გამრავლებით, გლახაკთა მოწყალებით. იგი ყოველდღე იხვეჭდა სახელს თავისი კეთილი საქმიანობით.ამის შემდგომ ნინომ მოაქცია მთიულები, მოიარა ერწო-თიანეთი და ქრისტიანობის სარწმუნოებაზე მოაქცია კუხნი და ბოლოს კახთა დედოფალ სოჯის ეწვია.

ნინომ სოჯის უამბო მეფე მირიანისა და ნანა დედოფლის მონათვლის ამბავი. უამბო სვეტი ცხოვლის სასწაულების შესახებ.

დედოფალმა სოჯიმ ნინო თავიანთ დღესასწაულზე წაიყვანა. დღესასწაული გაზაფხულს ემთხვეოდა, ხეთა კვირტობას, მინდვრის ყვავილობას. ხალხი სიმღერით მოდიოდა, გალობით, სურსათ-სანოვაგით დატვირთული. სოჯიმ თავის ხალხს აუწყა მირიანისაგან ნათლისღების ამბავი:

- ამ ქალმა, ღირსეულმა ნინომ, გვიქადაგა ქრისტეს სიყვარული, ძალდაუტანებელი და გულწრფელი აღსრულება ღვთის სჯულისა. დღეიდან ჩვენც ქრისტეს მიმდევარნი ვართ, სჯული ღვთისა ჩვენთვისაც კანონი უნდა იყოს, იგი გვიჩვენებს თუ როგორ უნდა იცხოვროს მორწმუნემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო ხალხს მოძღვრავდა:

- ამიერიდან ეკლესიაში ღვთისმსახურებას უნდა ვესწრებოდეთ, მომეტებულად ვლოცულობდეთ შინ. საღმრთო წერილს ვკითხულობდეთ, შემწეობა უნდა აღმოვუჩინოთ ღარიბთ, ვიზრუნოთ ავადმყოფთა და დავრდომილთათვის, ვინახულოთ საპყრობილეში მყოფნი, შევუმსუბუქოთ თავისი მძიმე ხვედრი. დავეხმაროთ ყოველ გაჭირვებულს და ცოდვილთ ცოდვათა მონანიებაში. გვიყვარდეს ყველა ადამიანი, როგორც თავი თვისი, სხვისთვის ყოველგვარი კარგი გვინდოდეს, კმაყოფილნი ვიყოთ მით, რაცა გვაქვს, რადგანაც უფალი გვასწავლის: არა გული გითქმოდეს ცოლისათვის მოყვასისა შენის, არა გული გითქმოდეს სახლისათვის მოყვასისა შენისა, არცა ყანისათვის მისისა, არცა მონისათვის მისისა, არცა მხევლისათვის მისისა, არცა ხარისა მისისა, არც კარაულისა მისისა, არცა ყოველისა საცხოვრისა მისისა, არცა ყოვლისა მისთვისა, რაიცა იყვეს მოყვასისა შენისა.

ქრისტიანობა გვიკრძალავს მარტო ცუდ საქმეს კი არა, ცუდ სურვილსაც, ცუდ ფიქრსაც, რომ ცუდმა ფიქრმა და სურვილმა არ მიგვიყვანოს ცუდ საქმემდე...

დედოფალი სუჯი ზეცად ხელაპყრობილი თავის ხალხს ლოცავდა:

- ღმერთმა მუხის სიძლიერე მოგცეთ, ყვავილთ სილამაზე, ფუტკრის ერთობა და შრომის სიყვარული, ნაკადულთა სიწმინდე, გულწრფელობა.

ნინო კმაყოფილი უყურებდა ხალხის გულუბრყვილო ღრეობას და უხაროდა უცოდველი დღესასწაული ხალხისა.

მალე დაბა ბოდბეში ხმა დაირხა, უფლის მოციქული ნინო დასნეულდა, ერთთავად თავის ქოხში ლოცულობსო.

ნინოს სუჯი დედოფალი ეწვია. ნინომ დედოფალს წერილი გაუწოდა და უთხრა:

- მეფე მირიანს უნდა ეახლო და შენი ხელით მიართვა ჩემი წერილი.

ნინო მირიან მეფეს სწერდა:

იესო ქრისტეს ერთგულ მონას, კეთილმორწმუნეს, წმინდა სამების აღმსარებელს, წმინდა მეფეებთან შეერთებულს, მეფე მირიანს.

შენ გაამართლე ქება ყოველთა შემოქმედისა, რადგანაც შენი მეფობის დროს მოხედა უფალმა მის გაჩენილთ.

გთხოვ, წარმომიგზავნო წმინდა მამამთავარი, კეთილი მწყემსი, რათა მომცეს საუკუნო სულის საგზალი, რადგან ჩემი ამ ქვეყნიდან წასვლის ჟამი მოახლოებულაო.

სუჯი დედოფალი სასწრაფოდ თავის მხლებლებთან ერთად წამოემართა სვეტიცხოველისა და პატიოსანი ჯვრის სახილველად, თაყვანის საცემად. შორი გზა განვლო დედოფალმა. მიაღწიეს მცხეთას. ნახეს, მდინარე არაგვი მოდიდებულიყო, მისი გადალახვა შეუძლებელი იყო. ახალგაზრდა მხლებლებმა ცხენები წყალში შეაგდეს, მაგრამ მყისვე უკან მოიქცნენ.

მაშინ დედოფალი სუჯი წმინდა ჯვრით შეიჭურვა, ცხენზე ამხედრდა და აბობოქრებულ მდინარეს შეუტია.

მოხდა სასწაული, თითქოს განდგა მდინარე - დედოფალი სუჯი უვნებელი გავიდა მდინარის მეორე ნაპირზე.

მდინარის მეორე ნაპირიდან ამ სასწაულს თვალს არ აშორებდა მეფე მირიანი თავისი ამალით, მთავარეპისკოპოსი იოანე და ყოველი ერი.

ტაძარში შესულმა სტუმარ-მასპინძლებმა ლიტანია გადაიხადეს. მეფე მირიანმა ნინოს წერილი წაიკითხა, ცრემლით დაასველა. დაუყოვნებლივ გამგზავრება ბრძანა. მას თან ეახლნენ მთავარეპისკოპოსი იოანე, დედოფალი ნანა და მათი მთავრები. მთავარეპისკოპოსმა აღასრულა საიდუმლო ჟამი წირვისა, ნინო აზიარა.

მეფე მირიანმა შეკრებილ ხალხს მიმართა:

- წარვიდა ჩვენგან ჩვენი განმანათლებელი, მოციქულობის მადლით შემკული, გამშვენებული მრავალი ღვაწლით, აღსავსე სათნოებით. პატიოსან ძლვნად წაიღო სიმრავლე ერთა დიდი შრომით, ღვაწლითა და სათნოებით მოპოვებული. ისევე ლამაზად და სათნოდ ჩაქრა, როგორც მოევლინა ამ მხარეს.

ხალხმა რომ გაიგო, ნინო მიიცვალაო, აღელდა. ყველა ცდილობდა, რაიმე მცირედი მაინც მიეღო მისი სამოსელიდან, ან შეხებოდნენ მის ღვაწლმოსილ ცხედარს. მეფე მირიანმა, მისმა ვაჟმა და დიდებულებმა ძლივს შეძლეს ხალხის დაშოშმინება.

მეფემ თავისი სურვილი ხალხს გამოუცხადა:

- ახლა წმინდა გვამი ჩვენი განმანათლებლისა უნდა წავასვენოთ და მცხეთაში სვეტიცხოველის მახლობლად აშენებულ წმინდა ტაძარში დავკრძალოთ.

მივიდნენ ცხედართან, მაგრამ ძვრა ვერ უყვეს. გაოცებულებმა ერთმანეთს გადახედეს. ნინოს ცხედარი ვერავინ დაძრა ადგილიდან.

მეფე მირიანმა ბრძანა:

- დაწყნარდით, ჩვენი ვალია შევასრულოთ სურვილი ჩვენი განმანათლებლისა. ნინო აქ, დაბა ბოდბეში დაიკრძალოს, სადაც საუკუნოდ განისვენა. დე, მისი სურვილისამებრ იყოს.

ვბრძანებ: აქვე აშენდეს ტაძარი, დამკვიდრდეს საეპისკოპოსო.

იდიდოს სახელი მეფე მირიანისა, რომელმაც საქართველოში პირველმა მიიღო ქრისტიანობა. იდიდოს სახელი წმინდა ნინოსი, რომელმაც ქართველებს ქრისტეს რჯული უქადაგა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ამირან მიქაუტაძე

**ამირან მიქაუტაძეს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა. ჟურნალ "მნათობის" რედაქცია ულოცავს პოეტს ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს შემოქმედებით წარმატებებს.**

●

ბოლოს და ბოლოს, გავიდა ზამთარი,
ჩადგება ქარი, დაღლილი ქროლვით,
ბოლოს და ბოლოს, თეთრი სუდარა -
სასაფლაოზე გადნება თოვლი.

ბოლოს და ბოლოს, აფეთქდებიან
ტოტები ნუშის,
ტოტები ტყემლის
და მიტოვებულ ძვირფას საფლავებს
დაედინება ენძელას ცრემლი...

### ეჭვს

შენ შეგიძლია ითარეშო თავაწყვეტილად,
დაღრღნა, - გულს მწარედ მეჭდობოდე ნემსის წვეტებად,
ნაღვლის სამსალა მასვა, დამსვა მზეუჭვრეტელად,
იმედი ყველა დამისეტყვო დარდის ღრუბლებით...
არ შემიცოდოთ არ დამინდოთ, როგორც მკრეხელი...
მაგრამ ერთ იმედს, - რომ აფხაზეთს კვლავ დავბრუნდებით,
ნუ შეეხები!.. გევედრები!... - ნუ შეეხები!!!

●

შენზე წუხილი ისევ გამშოლტავს...
სულით ხორცამდე ვარ გაძარცული,
ვით სხვას, ბედნიერს, კი არ
დამშორდა, -
წყვდიადმა შთანთქა ჩემი წარსული.

სულ ცრემლად მექცა რაც მიმღერია,
(შენ მაინც სად ხარ, ულამაზესო?!)
ვით ცა - უმზეოდ, არაფერია
ჩემი წარსული უაფხაზეთოდ!

ნუთუ, აწ ვეღარ, ვერასდროს
გნახოთ?
ფიქრში გატარებთ, როგორც
ავგაროზს,
შემორღვეულო ბაღო, ვაზნარო,
ჩამოქცეულო ჩემო სახლ-კარო!..

წყვდიადი ადგას საყვარელ წიგნებს,
მზის ჩუქურთმოვან ლამაზ კარადას,
თუ ვეზმანები ჩემს საოსტინგეს -
მზიურ ოცნების ცისფერ პალატას?

ლურჯ დღეებს, ფერად იმ გაზაფხულებს
გადავიწყების ფერფლი ეყრება,
ბერად შევდგები და ვიმარხულებ, -
გულს აღარ მჩხვლეტდეს ჯავრი
ეკლებად.

ზღვისპირას ტირის ჩემი ბავშვობა,
ვხედავ, ვერც ვხედავ, არც რაი არ თქვა...
წარსული თითქოს კი არ დამშორდა, -
ღამის უძილო წყვდიადმა შთანთქა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გოდება სოხუმის დაცემაზე

ზღვის და მზისფერად ნაშენო,
მზიანო კერავ, კოლხურო,
გულს ეტირება... - უშენოდ
ვაი ჩვენ, ჩემო სოხუმო!

შეგრჩა ქართული ნამწვავად,
აწ ბნელ მანტიამოსხმულო,
ვინ დაგცა,
ვინ გაგამწარა,
ვაი, შენ ჩემო სოხუმო!

ხალხო აყრილო, დევნილო,
ჯავრისგან გულგამოხრულო,
ჩამკვდარო, დღემოწყენილო,
ვაი შენ, ჩემო სოხუმო!

რა ავი სული დაგვეცა,
რა ცოდვის კითხვით ვივსებით,
საცხოვრისი თავს დაგვექცა,
მამულში დავალთ ხიზნები.

გვანგრიეს - ისევ ვშენდებით,
დაგვხოცეს - ვდგავართ ცოცხლები,
გაგვძარცვეს, - სული მდიდარობს,
მზის რწმენით შევიმოსებით...

ზღვისპირი გშვენის არშიად,
მზისფერო კერავ, კოლხურო,
ვინ დაგცა,
ვინ დაგაქცია,
ვაი, შენ ჩემო სოხუმო!

●

ღრუბელი ღვივის ცის სიწყნარეში -
მზის და ალუბლის ფერთა საუფლო,
ისევ გეძახი უხმო ალერსით,
ისევ შენს მვირფას ლანდთან
ვსაუბრობ...

ზამთარი მოდის და ცელს მოიქნევს
და ქარში ქარვის ქრება ფერები,
ვით ნაკადული მძიმე თოვლის ქვეშ,
დრო ისე ჩუმად მიიპარება.

მზის ათინათი ზღვაზე არ ქრება,
მზე ზღვაში ოქროს თმებით დაება,
და კვიპაროსთა ლურჯი ფანქრები
ცის სილამაზის წერს უკვდავებას.

ზღვა, დიდოსტატის ყალმით ნახატი,
დაცრეცილია თეთრი ნისლებით...
ნუთუ გათავდა,
მართლა გათავდა
და აწ შენს ხილვას ვერ ველირსები?

## ცხუმი

- ცხუმი! - განგაში, ზარჩამოკრული...
შორით იელვებს შენი ორანი,
და შექანდება გული მოკლული,
როგორც მოხეთქილ წყალში ბორანი.

- ცხუმი! - ჩაცემა ხანჯლის კოტამდე,
თვალში სიკვდილის ბინდის დაქარგვა;
აჩრდილი ჩემი მანდ ეხეტება, -
მოჰკალ, არ სჯერა შენი დაკარგვა!

- ცხუმი! - ზღვისფერში თეთრი, სალუქი... -
განუსჯელობის წმინდა ზვარაკი...
ხოხბის ქალაქის გულს მითბობს შუქი,
გულს მიკლავს დარდი ჩემი ქალაქის.

- ცხუმი! - შერყევა ჯიუტი რწმენის,
აღვლენა ლოცვის უწყალო ღმერთთან,
და... უმწეობის ობოლი ცრემლი,
მწარე, ვით შხამი, შიგ სულში წვეთავს...

ბიბლიოთეკა

ლევან მილორავა

# სიკვტილია

**მოთხრობა**

რანაირი სიფათ-მარიფათის, რა უკულმერთი და მაკვარანცხი უნდა ჰყოლოდა მაღალ ღმერთს მისგან შობილი არსება, სულ რაღაც შვიდი-რვა წლის ყვინჩილასათვის საკუთარ კუთხე-სამეზობლოს მეტსახელად სიკვტილია შეერქმია?! და ეს შერქმეული მეტსახელი სრულებითაც არ გახლდათ ვინმეს მიერ ისე, ჰაიჰარად წამონასროლი სიტყვა!.. ეს მეტსახელი იმ საძაგელმა, ძინძგლიანმა, საფრთხობელასავით აჩონჩხილმა ბიჭმა თავისი ქცევითა და უკულმართობით დაიმსახურა!..

ბიჭუნას, ამქვეყნად, რომ იტყვიან, უბედურ დღეზე გაჩენილსა და ბაჩანად მოვლენილს, არც დედა ჰყავდა და არც მამა.

მამას, კოლიას, ქორწინებიდან სამი თვის თავზე, წითელი არმიის რიგებში უკრეს თავი და რაიონის სადგურში "ტავარნი" ვაგონში შესროლილს, ორი კვირის თავზე ბელორუსიის სასაზღვრო ქალაქ ბელოსტოკთან დაანახეს ზეცაც და მიწაც!..

ეს გახლდათ ორმოცდაერთის მაისის თვის მიწურული...

ივნისის ოცდაორს ჰიტლერმა ომი წამოიწყო და ეს ჯერ კიდევ ფიცმიუღებელი, უწვერულვაშო საზარბაზნე ხორცი - კოლია გაბრიჩიძე ისე მოხვდა გერმანული "ტიგრის" მუხლებქვეშ, თოფიც არ ჰქონდა განასროლი...

დედა - თინიკო ორმოცდასამის დასაწყისში პარტახტიანმა ტიფმა იმსხვერპლა მაშინ, როცა ბიჭუნა ორი წლისაც არ იყო. ასე, რომ ავადმყოფი, ნეკრესის ქარებისგან განამებული ბებია ფედოსის ხელში წამოჩიტულ ბარტყს არც დედა ახსოვდა და არც მამა.

სკოლაში სულ ორიოდე წელი თუ იარა და მერე ისე შეიძულა წიგნიც და სკოლაც, არცერთ იმათგანს სათოფეზეც აღარ გაჰკარებია. და ამისი მიზეზთა-მიზეზი უდედმამო ბავშვში აღძრული ადამიანური შური გახლდათ და სხვა არაფერი!.. ბიჭუნა მთელი ორი წლის მანძილზე ხედავდა მისი თანატოლები როგორ მოჰყავდათ და მიჰყავდათ სკოლაში და სკოლიდან დედებსა და მამებს, ბებიებსა და ბაბუებს, მაშინ, როცა მას არავინ ჰყავდა მიმყოლ-მომკითხავი.

- ხვალიდან აღარ წავალ სკოლაში! - კატეგორიულად გამოუცხადა ერთ დღეს ავადმყოფ ბებიას და იმ დღის შემდეგ სკოლისაკენ პირიც აღარ უქნია.

ვირს ისე არ ეჯავრება პიტნა, რავარც ამ ჩემს ბაღანას წიგნი და სკოლა და რა ვქნა, ახლა, ერთადერთი შვილიშვილია და მოვკლა?! - თავს იმართლებდა ფედოსი კუთხე-სამეზობლოს წინაშე, თუმცა, თვითონ წიგნიერ ქალს, შესანიშნავად ესმოდა სწავლა-განათლების ფასი და იმდენი მაინც მოახერხა, რომ ბიჭს ბატისფეხურად ეჯღაბნა და დამარცვლით ნაწერ-ნაბეჭდი ეკითხა.

ეს იყო და ეს! ამით დაესვა წერტილი ბაჩანიას სწავლა-განათლების საქმეს!

●

ბალახვანში, რიონისპირას, რიყეზე გაზრდილ ბიჭუნას ქვის სროლა შესაშურად ეხერხებოდა, - ნებისმიერ სამიზნეს არ აცდენდა, რის გამოც კუთხე-სამეზობლომ ჯერ ქვასროლია, ხოლო შემდეგ, უფრო მოგვიანებით, სიკვტილია შეარქვა და რატომ მაინცა და მაინც სიკვტილია, ამასაც მოგახსენებთ:

მარტოსულობით საოცრად დასეტყვილმა და დაბოღმილმა ბიჭუნამ, მაშინ, როცა სულ ექვსიოდე წლის იყო, ბებიას ჰკითხა: ჩემს მშობლებს რა მოუვიდათ და რატომ ვარ მე დედითაც და მამითაც ობოლიო?!

ფედოსიმ ბავშვის გასაგებ ენაზე აუხსნა ბაჩანიას: დედაშენი საშინელმა სახადმა გადაიყოლა, ხოლო მამა გერმანელმა ოკუპანტებმა მოგიკლესო!

- ოკუპანტები ვინ სიკვტილი არიენ, ბებო?! - იკითხა ბიჭუნამ.

- ოკუპანტი მტერია, შვილო, რომელიც შენს მიწაზე, შენს სამოსახლოში შემოიჭრება, აგაოხრებს, აგიკლებს, გაგძარცვავს და დაგიმონებს! - ზუსტად განსაზღვრა ფედოსიმ ოკუპანტის ცნება.

ჰოდა, ამისი გაგება აკლდა ახლა, უამისოდაც ტვინნაღრძობ, მაკვარანცხს და უხიაგ ბაღანას?!

იმ დღის შემდეგ ფედოსის ნაჯახირებ-ნაოფლარ ბაღ-ბოსტანში შემოჭრილ ყველა ფრთაფრინველს: ქათამს, იხვს, ბატსა თუ ინდაურს მომხვდურ ოკუპანტად აღიქვამდა და თავისი ხელით გამოჩოკნილი შურდულით, მუსრს ავლებდა დაუზოგავად...

ჰოდა, იყო ერთი რამ წივილ-კივილი, გამიშვი და გაგიშობ მთელს კუთხე-სამეზობლოში, მაგრამ უკულმართ ბაღანას ბაჩანიას "ოკუპანტების" ხოცვა-ჟლეტაზე ხელი ვერაფრით აალებინეს!.. პირიქით, უფრო მკაცრად იმუქრებოდა: მიხედეთ მაგ თქვენს ოკუპანტებს, ნუ დაძვრებიან სხვების ეზო-გარემოში, თვარა, მაგათთვის სიკვტილის რეცეპტი გამოწერილი მაქვსო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოდა, მეტი რაღა უნდოდათ "ენამაკვიტ" ბალახვნელებს?! ფრთა-ფრინველთა დაუზოგავად და განურჩევლად მხოცავ ბაჩანიას მეტსახელად სიკვტილია დაანათლეს და იმ დღიდან ყველა, დიდი თუ პატარა, სიკვტილიათ მოიხსენიებდა!..

●

დრო დაღმართს დაშვებული მწევარივით მიჰქროდა...

დღეები დღეებს, თვეები თვეებს, წლები წლებს მისდევდა და რაც დრო გადიოდა, სიკვტილიას ასაკთან ერთად ფედოსის ავადმყოფობაც მატულობდა და სულ უფრო და უფრო საშიშ ხასიათს იღებდა, ნეკრესის ქარმა გული შეუჭამა საწყალ ფედოსის და თითქმის სანახევროდ ლოგინს მიაჯაჭვა.

წუხდა მოხუცი, ძალიან წუხდა. დღე და ღამ ერთადერთი ნაგრამისა და ნაშიერის მომავალი ედგა თვალწინ და ყველას იმას ევედრებოდა, ჩემს ბაჩანიას მიმიხედეთო!

ჰოდა, ერთ დღეს შეიკრიბნენ კუთხე-სამეზობლოს მამაკაცები: რა ვქნათ, ამ საცოდავ, ობოლ ბიჭს, რა მოვუხერხოთო?!

- სტავლა და წიგნი მაგას რო არ უნდა, ეს ამ კუთხეში კაცმა კი არა, ვაცმაც კი იცის! - დინჯად დაიწყო მჭედელმა დომენტიმ, რომელიც ასაკით, ჭკუითა და გამოცდილებით ყველაზე პატივსაცემ კაცად ითვლებოდა კახიანოურელ ხელოსანთა შორის. - კი, კი ეს ასეა, მარა, ბოლოს და ბოლოს რაცხა გზას ხო უნდა ენიოს ეს დაბადებიდან ბედდამწვარი ბალანა?!

- ლარივით სწორი და მართალი სიტყვა იცი, დომენტი ჩემო!.. დიდ სტავლა-განათლებას ვერც ჩვენ დავიკვეხნით, მარა, ამ ჩვენი ალალი შრომით მაინც ხო ვარსებობთ და ხო გვაქვს რაცხა, ჩვენ ჩვენი საქმე?! - მხარი აუბა დომენტის დალაქმა კოწიამ.

- ბოლოს და ბოლოს ამდენმა ხელოსანმა ერთი ღლაპი სტორ გზაზე ვერ უნდა დავაყენოთ?!.. მა ბიჭი ხელიდან რო წევიდეს, ე საცოდავი ფედოსი მოკვტება და მერე არც ჩვენ გვექნება ქვეყანაზე თავი ამოსაყოფი!.. სხვა თუ არაფერი, საიქიოს წავწყტებით, ღმერთი არ გვაპატიებს, არა!.. კი, კი, აჰააა??!! - თქვა თავისი სათქმელი "ზაბოჟნიკმა" ტარასიმ და გუდასტვირივით დაბერილი ენა ჩაყლაპა.

- ხოდა, რა ვქნათ, ხალხო, რა?! - ისევ დასვა კითხვა ამ ბჭობის მოთავემ დომენტიმ.

- კაი, ახლა, დომენტი, ნუ გიყვარს ხოლმე საქმის გაწელვა და გართულება!.. რა უნდა ვქნათ და ერთერთმა ჩვენგანმა უნდა ევიყვანოთ ე ბიჭი შეგირდათ და ვასტავლოთ რამე ხელობა!.. ააა, ესაა და ეს! - მტკიცედ და ერთპირად თქვა ასენიზატორმა ალფეზამ.

- მაგალითათ რომელმა ჩვენგანმა და რა ხელობა!? - იკითხა დომენტიმ.

- მაგალითათ შენ და შენი ხელობა! - პირში მიახალა კოწიამ დომენტის.

- თქვენც ასთე ფიქრობთ სუყველა? - მიუბრუნდა დომენტი დანარჩენებს.

- კი, ბატონო, კი! - მოკლედ მოსჭრა ტარასიმ.

- შენით დავიწყოთ, დომენტი, შენით! - დაუმატა ტარიასის ნათქვამს ალფეზამ.

- კაი, ბატონო, მასე იყოს! .. მე თანახმა ვარ და ვნახოთ რა გამომივა! - მცირე ყოყმანის შემდეგ თქვა დომენტიმ.

მამაკაცთა თავყრილობის ეს გადაწყვეტილება მწოლარე ფედოსის რომ მოახსენეს სიხარულით აცრემლებულმა გულით დალოცა მთელი სამეზობლო, განსაკუთრებით კი დომენტი და იმისი შვილ-მომავალი, მე თუ ვერა, ღმერთი გადაგიხდით სამაგიეროს სუყველასო!

●

ბაჩანია დიდი მონდომებით შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას და ოსტატიც დიდად კმაყოფილი იყო შეგირდის საქმისადმი ერთგულებით, მუყაითობით, პატიოსნებით.

შეგირდი დილაადრიან წამოვარდებოდა ლოგინიდან, ხელ-პირს ცივი წყლით დაიბანდა, ოდნავ წაიხემსებდა და გიჟივით გარბოდა სახელოსნოსკენ - დახვეტავდა, დაასუფთავებდა, ქურაში ნახშირს ჩაყრიდა, ცეცხლს მოუნთებდა და საბერველით გააჩაღებდა. ასე, რომ სამჭედლოში მოსულ დომენტის საქმის დასაწყებად ყველაფერი მზად ჰქონდა.

ინყებოდა სამუშაო დღე. დომენტი უხსნიდა შეგირდს რა როგორ უნდა გაეკეთებინა საქმე რომ წინ წასულიყო და ბაჩანიაც დიდი გულისყურით ეკიდებოდა ყველა დარიგებას.

- ამ ბალანამ თუ ასე გააგრძელა, ამისგან კაი მჭედელი დადგებაო! - თქვა ერთ დღეს ამქრის საკრებულოში დომენტიმ და იქვე დაურთო: - მართალია, ჩვენს დროში მჭედლობის ფასი თანდათან ეცემა, მარა ქარხანაში რო წევიდეს და იქ იმუშაოს, რავა, ცუდი საქმე იქნება, თუუ??!!

შეგირდის ერთგულებას და შრომისადმი მუყაით დამოკიდებულებას ოსტატიც სათანადოდ აფასებდა: კარგად აჭმევდა და ასმევდა, აცმევდა, ახურავდა და თვიურად დადგენილ გასამრჯელოს უკლებლივ ფედოსის აძლევდა, ბალანას მოახმარე და შენთვისაც მოიხმარეო!..

ეს ასე გაგრძელდა გვიანი შემოდგომიდან მთელი ზამთარი და გაზაფხული, მაისის თვის ბოლომდე, მანამ, სანამ ამ ერთ ნავსიან დღეს ბაჩანიამ თავი არ შეირცხვინა.

იმ დილით, ალიონზე, როცა ოსტატი და შეგირდი გრდემლზე სახნისს კვერავდნენ და გავარვარებულ რკინის ნაჭერს მონაცვლეობით უროებს სცემდნენ, სამჭედლოს ეზოში, ალვის ხის ტოტზე მამალი შაშვი შემოჯდა ჭახჭახით... ეს ის მამალი შაშვი გახლდათ, საბედისწეროდ რომ შეეჩვია ფედოსის ეზოში მსხმოიარე საადრეო ბალს და თვითონ რომ

მუცლის გასკდომამდე მიაძლებოდა, მერე გაფრინდებოდა და საიდანლაც შაშვების, ჩხართების, ჩხიკვების მთელი ჯგრო მოჰყავდა დასანაყრებლად.

ვინ მოთვლის რამდენჯერ ამოიღო მიზანში სიკვტილიამ ეს გარეწარი შაშვი, მაგრამ ყოველთვის ააცდინა და ეს აბეზარი ფრინველიც ჭახჭახით გაეცლებოდა ფედოსის ეზოგარემოს, თითქოსდა დასცინისო უგერგილო მსროლელს...

ჰოდა, აი ახლაც სახელოსნოს ეზოში ალვის ხის ტოტზე შემომჯდარ ფრინველში სიკვტილიამ სწორედ ის მამალი შაშვი ამოიცნო!.. დიახ, ამოიცნო და შერისძიების ელდამ იფეთქა მთელ მის არსებაში:

- ოკუპანტი!.. ავყია მძარცველი და მოძალადე! - შესძახა სიკვტილიამ და სიბრაზისაგან გონებაარეულმა თავისი ურო გრდემლზე დადებულ გავარვარებულ რკინას აацილა და ოსტატის მარჯვენას დაჰკრა გამეტებულად...

ოსტატმა სიმწრისაგან ერთი კი შეიღრიალა და გულშეღონებული მიწაზე გაიშხლართა...

სიკვტილია გამოერკვა. ჯერ თვითონ ეცადა გონს მოეყვანა დაშამათებული ოსტატი, მაგრამ მარტო რომ ვერაფერს გახდა, სახელოსნოდან ყვირილ-ყვირილით გამოიჭრა და მთელი კუთხე-სამეზობლო ფეხზე დააყენა!..

მთელი ექვსი თვე ეკიდა დომენტის მარჯვენა ხელი განასკვულ შავ თავსაფარზე ჯანჯუხა ჩურჩხელასავით, თაბაშირში ამოვლებული...

●

იმ დღის მერე, თითქმის მთელიწელიწადი სიკვტილიას ალარსად უმუშავია, მანამ სანამ ფედოსი მთლად არ ჩავარდა ლოგინად. ჰოდა, ამის მერე რაღა უნდა ექნა საწყალ ბედდამწვარ ყმაწვილს?! სხვა თუ არაფერი, სმა-ჭამა, არსებობა ხომ უნდოდა მას და გამზრდელ ბებიასაც?!.. უკიდურესმა სიდუხჭირემ აიძულა ბაჩანია დამხმარე მუშად დამდგარიყო ღვინის წერტში, შალიკო ფესვიანიძესთან, რომელსაც, მთელი ბალახვნის მხარე გაუმაძღრობისა და სიხარბისათვის, მეტსახელად "აგარიონას" ეძახდა (ვითომდა, აგარის შაქარი და რიონის წყალიო!). მართლაცდა იმ დროს უკვე მომრავლებულ ღვინის მკეთებელთა შორის იშვიათად თუ მოიძევდით ამ საქმეში ისეთ გაქნილ და შუბლგარეცხილ პიროვნებას, როგორიც შალიკო ფესვიანიძე იყო.

პატიოსანი ბუნების ბიჭს ბაჩანიას თავიდან არ მოსდიოდა თვალში ხალხისგან თვალდადგმული და ათვალწუნებული შალიკო ფესვიანიძე და მერე საკუთარი თვალით რომ იხილა თუ როგორ აკეთებდა ღვინოს ჭაჭაზე ფხვნილი შაქრის დაყრით და რიონის წყლის მიშვებით ეს სინდისგარეცხილი და ყველაფრისმკადრებელი ფულიყლაპია და მითუმეტეს გაკეთებულ ღვინოს როგორ ამაგრებდა მორფიანი ხსნარით და მერე ამ "ღვინოს" როგორ ყიდდა არამარტო უცხო კლიენტებთან, არამედ ახლობლებთანაც კი, საოცრად შეიძულა და დაიბოლმა თავის "ხაზეინზე" და მომენტს ელოდა, რომ მასზე შური ეძია, რომ იმისი კაცობა სამზიანოზე გამოექენებინა და ამისი შემთხვევაც სულ მალე მიეცა!..

●

აგვისტოს მიწურულის სიცხით დაალხულ სალამო ჟამს შალიკოს ცოლის ბიძაშვილი, მუხიანელი ბათუია ნუცუბიძე გამოეცხადა და ამცნო: ორი კვირის თავზე უფროსი ბიჭის ქორწილი მაქვს, ათას კაცზე გაანგარიშებული და აბა შენ იცი და შენმა კაცობამ, ღვინოზე სხვასთან ნუ გამიშვებო!..

ასეთ სარფიან მუშტარს და იმასაც შინაურს შალიკო "აგარიონა" დაკარგავდა?!

დაპირდა, დააიმედა მოყვარე, მისგან ბეც დაიტოვა, ღვინის წაღების დღეზეც შეთანხმდნენ და ასე დაშორდნენ ერთმანეთს სიძე-ცოლის ბიძაშვილი.

მოგეხსენებათ, სექტემბრის თვე იმერეთში ღვინის სიმცირისა და ნაკლულობის თვეა, ძველი შესმულია, ახალი ნაადრევია!.. ჰოდა, ტონანახევარი ღვინის გაკეთება არც თუ იოლი საქმე გახლდათ, თუნდაც ამ საქმის ისეთი მაღალი რანგის სპეციალისტისათვის, როგორიც შალიკო "აგარიონა" იყო!

- აჰა მივხედოთ ახლა ჩვენ საქმეს! - ერთი თქვა შალიკომ და დაიწყო წამების სალამოები გამგე-დამხმარე მუშისათვის. მთელი კვირა ითაღლითა და იყალბა შალიკო ფესვიანიძემ, თვითონაც გაწამდა და სიკვტილიაც გააწამა. ბოლოს როგორც იქნა სანადელს რომ მიაღწია, წყალ-შაქარა ღვინოს სიმაგრისათვის საჭირო რაოდენობის მორფიც დაუმატა და მხოლოდ ამის შემდეგ დამშვიდდა და მოისვენა...

ფულისმკეთებელი ხალხის უმეტესობა ძუნწები არიან. შალიკია "აგარიონა" კი ათჯერ ძუნწი იყო. მთელი ამ ნაჯახირევი, ნაწამები ღამეების საზღაურად ბაჩანიას ერთი წითელი სამთუმნიანი მიუგდო და ამით გაუსწორა ანგარიში!

შეურაცხყოფილმა, ამპარტავანმა ყვინჩილამ იჯუჯურაკა "აგარიონას" საქციელი:

- "ესე იგი შენ მე სულელათაც მთვლი, ხომ?!.. ვნახოთ აბა ვისი აჯობებს!" - გაივლო ფიქრად ღვინის საწყობში მარტოდ დარჩენილმა ბაჩანიამ და იქვე, იმ წუთას სიკვდილის რეცეპტი გამოუწერა თავის "ხაზეინს", წასაღებად გამზადებულ ღვინის კასრებში ორმაგად და სამმაგად მორფის დოზა დაამატა...

●

ბათუია ნუცუბიძის ქორწილში მომხდარი ამბავი ყუმბარასავით გავარდა მეორე დღესვე მთელს ქუთაისში და ელვის სისწრაფით

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუარა როგორც ქალაქს, ასევე იმის შემოგარენსაც!.. მეოთხე-მეხუთე ჭიქის მერე ვინც ღვინოს სვამდა ყველა ხვრინავდაო!

ჰოდა, იმ დლის მერე ქუთათური ბალისკიდელი პურიჭამია, ლოთბაზარა ბიჭები ჯიბეებს რომ ამოიფხეკდნენ, საშაყიროდ გაიძახოდნენ: ბალახვანში, შალიკია ფესვიანიძის ღვინის წერტს მივაკითხოთ, იმის ღვინოს ჭრა აქვს მაგარიო!

ეს შაყირი ქუთაისში დიდხანს ცოცხლობდა, მის მერე კი, რაც რომ შალიკო ფესვიანიძის ღვინის წერტი ბალახვანში კარგა ხნის მისკლამული იყო.

●

დრო ყველა ტკივილს ინელებს და კურნავსო! - ძველებისგან გამიგონია და ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც: დომენტი და კონია ისევ დასხდნენ სათათბიროდ, რა მოეფიქრებინათ ისეთი, რომ გზასაცდენილი, უმისამართო ყმაწვილი რამენაირად სწორ გზაზე დაეყენებინათ.

ვინ რა თქვა და ვინ კიდევ რა და ბოლოს, "ღამის ოქროს" მზიდავმა ალფეზიამ ამოიღო ხმა:

- აგერ ჩვენს გვერდით სასაფლაოთა მეურნეობის გარაჟი რომაა, გაზ პიდისიატ ადინის შვეფერი რომაა ჩიტოიი, ის რო იზამდეს სიკეთეს და ამ ბალანას პოპოშნიკათ რო ეიყვანდეს, სიკვტილიას ბედს ძაღლიც ვერ შეუყეფს!.. აა, რავა იტყვით თქვენ?

- უყურე შენ ამ ფუნაგორიას, რა სიბრძნე წამოსცდა?! - შეჰყვირა დალაქმა და ნათქვამს დაურთო: ლუკმაპური ქე მაინც არ ექნება საძებარი, შვეფერი დღეს პირველი კაცია!..

ალფეზას აზრი ყველას ჭკუაში დაუჯდა და ერთად მიადგნენ ჩიტოიას.

ჩიტოია მიქელაძემ კაი გვარისა და ოჯახისშვილმა ისმინა ამდენი დროული ხალხის თხოვნა-მუდარა და დათანხმდა სიკვტილიას "პომოშნიკობას".

●

ის დღე და ის დღე!

სიკვტილიამ სულ ერთიანად იცვალა ნირი: მანამდე თუ ათ-თერთმეტ საათამდე ლოგინში გორავდა, ახლა "ხაზეინს" არ ვაწყენინოო, დილაუთენია ლოგინიდან წამოვარდებოდა, გარაჟში დურთავდა თავს და მანქანას ყოველმხრივ წესრიგში მოიყვანდა, გარეცხავდა, გაასანსალებდა.

●

მანქანა, რომელსაც ჩიტოია მიქელაძე მართავდა, ქალაქის კომუნალური მეურნეობის დამკრძალავ ბიუროს ეკუთვნოდა. მძღოლს, თავისი მანქანით, ხშირად უწევდა კუბოებისა და საყინულეების გადატან-გადმოტანა როგორც ქალაქის, ასევე ქუთაისის მიმდებარე რაიონებში. მოგეხსენებათ, ორმოცდაათიანი წლების საწყის ხანაში, ქვეყანას საბარგო მანქანები თავსაყრელად არ ჰქონდა და ჩიტო მიქელაძეს შორეულ ადგილებშიც უწევდა გასვლა, რითაც ხალტურაზე გადასაყვანი კლიენტები გამუდმებით ბლომად ჰყავდა...

სიკვტილია, როგორც მანქანის მოვლა-პატრონობის საქმეში, აქაც ყისმათიანი და თანაც უაღრესად პატიოსანი აღმოჩნდა, იგი ხალტურაზე გადაყვანილი მგზავრებიდან ამოღებულ ფულს სულ კაპიკ-კაპიკ აბარებდა თავის "ხაზეინს". ამის პასუხად ჩიტოია, თვითონაც კაცური პატიოსანი ბუნების პიროვნება, თავის კუთვნილ საწილოს სიკვტილიას სულ ძალისძალად უტენიდა ჯიბეებში, შენთვისაც მოიხმარე და ავადმყოფ ბებიასაც მოახმარეო!.. საწყალი ფედოსი რომ მიიცვალა, იმისი დაკრძალვისა და გაპატიოსნების საქმე ჩიტოიამ თავის თავზე აიღო და ღირსეულად მიაბარა მიწას ეს მართლაცდა ცხოვრებაში უბუდური, სიკვტილიას იმედად დარჩენილი უკეთილშობილესი მოხუცი.

საქელეხო სუფრის თამადამ, მჭედელმა დომენტიმ, თავის უპირველეს სადღეგრძელოში ჩიტოია მიქელაძის კაცური ღირსებები აღნიშნა და მთელი კუთხე-სამეზობლოს სახელით მადლობა უთხრა მას გაწეული ამაგისათვის, სიკვტილიაზე მზრუნველობისთვის.

●

ჩიტოია მიქელაძე ორმოცსგადაცილებული, უცოლ-შვილო, ბერბიჭა გახლდათ!.. ამპარტავანს, ტუჩიპრეხია და კუდაბზიკა იმერელ დიდგვარიშვილს რჩევა-რჩევაში, წლები თვალსა და ხელს შუა გაუფრინდა და ახლა უკვე ცოლის თხოვაზე რომ ჩამოუგდებდნენ საუბარს სიცილით იჭაჭებოდა, რაღა დროს ჩემი ქალის თხოვნაა, ახლა მე წესით და რიგით საცოლშვილო და გასათხოვარი ქალ-ვაჟები უნდა მყავდესო!..

შეიძლება ამის გამო და ალბათ, სწორედ ამის გამო იყო, რომ ჩიტოიამ გულით შეიყვარა ცხოვრების დაუნდობლობით გაწირული ეს ძინძგლიანი და საფრთხობელა ბიჭუნა და ის დღე დღედ არ ულირდა, როცა ბაჩანიას ვერ შეხვდებოდა!..

დღეები დღეებს, თვეები თვეებს, წლები წლებს მისდევდა და ბაჩანიაც ყრმობის ასაკიდან სიჭაბუკის წლებში შევიდა.

მუყაითმა ყმაწვილმა მანქანა კანკურამდე შეისწავლა და ერთ მშვენიერ დღეს მძღოლის მესამე კლასის მოწმობა მარჯვენა გულისჯიბეში მოაყუჩა. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს ჩიტოია მიქელაძის მცდელობითა და კაიკაცობით მოხდა.

- ბაჩანია, ბიჭო! დრო არის აწი შენს თავს ეწიო, თექვსმეტის შესრულდები საცაა.

ბაჩანიას ტყვიასავით მოხვდა გულს "ხაზეინის" ეს სიტყვები და თვალები ცრემლებით აევსო:

- მაგდებ, ხაზეინ?! კი მარა, ამისი ფასი რა დაგიშავე?!.. ვიცი, ძინძგლიანი და აუტანელი "ნირიახი" რო ვარ, მარა გაძლევ პირობას, აუცილებლად გამოვსტორდები!.. კი, კი, ასე ვიზამ მაგას!..

ამის პასუხად ჩიტოია მიქელაძემ გულში ჩაიკრა თავისი ნაჯაფ-ნაამაგარი ბიჭი და მისდა გასაოცრად ხელში ჭყინტი ბიჭი კი არა, ვაჟკაცი შერჩა, თექვსმეტს მიღწეული, ჩაკუნთული ვაჟკაცი!..

ახლა ჩიტოიას აევსო თვალები ცრემლით:

- არა, ბიჭო, არა, შე სულელო!.. მაგიტომ არ მითქვამს მაგი მე!.. საცაა თექვსმეტის გახდები და შენთვის ახალთახალი მანქანა თვალშედგმული მაქვს!.. კი, აბაა?! ამაზე უკვე ველაპარაკე კანტორის უფროსს და სიამოვნებით დამთანხმდა!.. მაგი კი არა, ისიც კი მითხრა: შენ ჩემს გულში ხო არ იჯექი, ასთე რო მოგიფიქრებიაო, მაგი ბიჭი მეც ძალიან მომწონსო!.. ჰოდა, ჩემო ბაჩანია, ამდღეებში, რავარც კი თექვსმეტის შესრულდები, კანტორის უფროსი ბრძანებას დაწერს, ახალ მანქანაზე შენი შოფრათ გადაყვანის თაობაზე!.. ასე, რომ სულ მალე ცინცხალ მანქანას ელოდე, ჩემო ბაჩანია!

ბაჩანიამ ახლა კი ირწმუნა ხაზეინის კეთილშობილი ჩანაფიქრი:

- კაი, რაღაი ასთეა, ი ცინცხალი მანქანა შენი იყოს და მე ეს ჩემი გაცოდვილარი გადმომილოცე!.. უმფროსს შენ უყვარხარ და რავარც შენ იტყვი, ისე იზამს!..

- მოვრჩეთ ახლა ამაზე ლაპარაკს!.. ეს რავარც მე ვთქვი, ისე იქნება! ხოდა, ვიმუშაოთ ერთათ და ვიყოთ ასე მამა-შვილურად!.. მერე ჩვიდმეტ-თვრამეტის რო გახთები, ერთი კაი გოგო მყავს შენთვის შეთვალთვალებული და შენც თუ მეგეწონება, ქორწილი ჩემზე იყოს!

ამით დასრულდა ამ საკითხზე ლაპარაკი იმ დღეს.

●

ჩემო ძვირფასო და სულგრძელო მკითხველო!

შემეძლო აქ დამესვა წერტილი ჩემი მოთხრობისათვის, მაგრამ ჩიტოიას და ბაჩანიას შორის, გამზრდელსა და გაზრდილს შორის ისეთმა შავმა კატამ გაირბინა, ისეთმა კურიოზმა გაიელვა, რომელიც დღესაც საარაკოდაა ქცეული ყველა ჩემი დროის ქუთათურებისთვის.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ სიკვტილიას ნინლამით სიზმარში, ისევ ის შაშვი გამოეცხადა, რომლის ზმანებაც სიკვტილიასათვის ყოველთვის რაღაც უბედურების მომასწავებელი იყო!.. დიახ, სწორედ ის შაშვი, რომელიც ვერ იქნა და ვერ მოკლა სიკვტილიამ!..

●

იმ დღეს, საღამო ხანს, კანტორაში მისულ ჩიტოიას მანქანის საგზური და კანტორის უფროსის წერილი დახვდა: დღეს, საღამოს, ლომიძის სახელოსნოდან სოფელ ობჩაში სასახლე უნდა გადაიტანო, გამყრელიძეების უბანშიო!..

"ხაზეინ-პომოშნიკმა" სასახლე მანქანის ძარაზე მოაყუჩეს და გეზი პირდაპირ ბაღდათის მხარეს აიღეს!..

გვიანი შემოდგომის პარასკევი დღე იყო, ჩვეულებრივი, მზიანი, ტაროსიანი და ბუნების გაგიჟებას არავინ ელოდა!..

სიკვტილია, როგორც ყოველთვის, მანქანის ძარაზე იყო წამოსკუპებული და გაბმული სტვენით ირთობდა თავს...

საღორიის ტყეში რომ შევიდნენ, ამინდი ერთბაშად შეიცვალა, გაგიჟდა ბუნება, ამოიჭრა საშინელი დასავლეთური ქარაშოტი, დაიქუფრა ზეცა, ჩაწკვარამდა და დაასხა კოკისპირულად!..

ქარ-წვიმა ძვალსა და რბილშიატანდა.

- სიკვტილია, ბიჭო, ჩამოდი კაბინაში!.. ხო ხედავ, ჩამევიდა ცაი ძირს!

- არაფერი მიჭირს, ხაზეინ, ბრეზენტში ვარ გახვეული! - ჩასძახა სიკვტილიამ და ჩიტოიამაც სიჩქარეს უმატა.

ქარ-წვიმა სულ უფრო და უფრო მატულობდა და არც აპირებდა გამოდარებას.

ჰოდა, სიკვტილია რის სიკვტილია იქნებოდა, რომ ასეთ გასაჭირის ჟამს, იმის ნაღრძობ ტვინს რაიმე სასწაული რომ არ მოეფიქრებინა და მოიფიქრა კიდეც:

- "მოდი, კუბოში ჩავწვები, თავსახურს ზემოდან ღრიჭოთ წამოვიხურავ და ამინდი რომ დაამდება, მერე გამოვძრები სამზიანოზეო!" - მოიფიქრა ეს სიკვტილიას ტვინმა და მართლაც ასე მოიქცა: კუბოში გაიშოტა და ზევიდან თავსახური დაიღრიჭოვა...

●

მანქანა რიონის სადგურს რომ გასცდა, ბაღდათის გადასახვევთან, უთვალავი ნაბაზრალი ხალხი დახვდა ამ თავსხმაში მათ და ილბლად გამომტყვრალ მანქანას. გალუმპული ბედურებივით იდგნენ ის საცოდავები კაკლის ხის ქვეშ და ელოდნენ ღვთისწყალობას და აი გამოჩნდა კიდეც!.. ხალხის ჟივილ-ხივილი და ხვეწნა მუდარა გაისმა.

ჩიტოიას შეეცოდა წვიმისგან დაზუზღული ხალხი და მანქანა ადგილზე გააქვავა.

- შენ გაგახარა, შვილო, ღმერთმა, რავარც ახლა შენ ჩვენი გულები გაახარე! - წამოიძახა მათ შორის უხუცესმა ქალმა და გალუმპული ხალხი, ვისაც როგორ შეეძლო, ძარაზე ყირამალა გადადიოდნენ!.. დიახ, აცვივდნენ მანქანის ძარაზე და დაინახეს, რომ ზედ შუა ალაგას სასახლე იდგა... რა თქმა უნდა, ეს ამბავი არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის დარჩენია სასიამოვნოდ, მაგრამ რა უნდა ექნათ?! უკვე ღამდებოდა და სხვა მანქანა გამოჩნდებოდა თუ არა, ეს მარტო მაღალმა ღმერთმა თუ იცოდა, ალბათ!

ჩიტოიამ ერთი კი ამოსძახა კლიენტებს: რა ვქენით, მოვენწყვეთო?! და სასურველი პასუხი რომ მიიღო, მანქანა მთელი სიჩქარით გარეკა!..

ბაღდათის გზაზე რომ გავიდნენ და ხუთიექვსი კილომეტრი რომ გაირბინეს, წვიმა შენყდა, გამოიდარა, ზეცამ პირი გაიხსნა და ნათელი მოეფინა გარემოს...

კუბოში მწოლარე სიკვტილიამ იგრძნო: წვეთები აღარ ეცემოდა კუბოს თავსახურავს, იმის დასადგენად მართლა იდარა თუ არაო, კუბოს თავსახურს ქვევიდან მოაწვა და მარჯვენა ხელი გარეთ გამოჰყო, ვნახოთ, წვეთები დამეცემა თუ არაო!..

ძარაზე მყოფმა ხალხმა რომ დაინახა კუბოდან გამოშვერილი ხელი, იფიქრეს ინყება მეორედ მოსვლა, მიცვალებულნი მკვდრეთით დგებიანო და იქ, ძარაზე ისეთი ამბავი დატრიალდა, იმის აღწერას სრულყოფილად, ალბათ, გენიოსიც ვერ შესძლებდა.

გაისმა ქალების კრიახი და წივილ-კივილი, კაცების ჯლოყინი და დედის გინება, ერთმანეთის ქიჩავ-ქიჩავი და ვინ და როგორ ხტებოდა გაქანებული მანქანიდან, ალბათ, მეცარი კაციც ვერ გაიგებდა.

ყოველივე ამის მომსმენ-მხილველმა სიკვტილიამ, ვითომდა სახეშეშლილი, გონებაარეული ხალხის დასამშვიდებლად, მოისროლა სასახლის თავი, ფეხზე წამოდგა და რაც კი ძალი და ღონე ჰქონდა დასჭყივლა:

- ნუ გენიშიათ, ხალხო, ნუ, ეს მე ვარ, სიკვტილია!!!

ეს გალუმპული და გაჩხინკული საფრთხობელა, მართლაც რომ ჰგავდა სიკვდილის ზმანებას, ნამდვილ გამოცხადებად მიიღეს ღვთისმორწმუნე ქალებმა და ისეთი კივილი მორთეს, ცოცხლებს კი არა, საუკუნის გარდაცვლილებსაც კი წამოჰყრიდა საფლავებიდან!..

სასწაული წყევლები მომისმენია ჩვენში, იმერეთში და მათ შორის ერთი განსაკუთრებულად ამეკვიატა ახლა, ძარაზე დატრიალებული ამბავის ხილვისას: "კისერი და კინჩხი მოგიტეხია და ლინწიც ამოგიგდიათ!" და სწორედ ეს წყევლა აუხდათ იმ დღეს ჩიტოიას მანქანის ძარაზე მყოფ ადამიანებს: თხუთმეტი კაციდან ხუთმა კინჩხი მოიტეხა, სამს ლინწი ანუ ლავიწის ძვალი გაუტყდა, დანარჩენებს ზოგს ფეხი, ზოგს ხელი მოტყდათ და ზოგიერთ მათგანს ნეკნები ჩაემსხვრათ!.. დაჭრილ-დასახიჩრებულთა გმინვა ცას წვდებოდა!.. სასწრაფოს მანქანები მთელი ღამე ეზიდებოდნენ დაშავებულ ადამიანებს საღორიის საავადმყოფოში!..

ამ ყოვლადსასწაულ საგზაო უბედურ შემთხვევას, საბედნიეროდ ადამიანთა მსხვერპლი არ მოჰყოლია, მაგრამ საწყალ ჩიტოიას რა ამბავიც გადახდა, იმისთანა თქვენს მტერს და მოშურნეს: ამ ალალმართალ ვაჟკაცს სამსახური დააკარგვინა, დაჭრილ-დაჩეხილთა სამკურნალოდ მამა-პაპური სახლი გააყიდვინა და სამი წელი ციხეც აჰკიდა, რომელიც გავლენიანი ხალხის, შესანიშნავი უფროსის და მეგობარ-ნათესავთა დიდი მცდელოით, პირობითი პატიმრობით შეეცვალა!.. რაც შეეხება ყოვლად ბედდამწვარ ყმაწვილს, სიკვტილიას, ამ შემთხვევის გახმაურების მერე მძღოლის ადგილს ვინ სიკვდილი მიაქვავებდა?! რა თქმა უნდა, არავინ!!!

შინ ჩაკეტილი, თვალცრემლიანი სიკვტილია თავის გაჩენის დღეს წყევლიდა, კედლებს თავს ურტყამდა: ეს რა ვქენი, მე სამიწემ, კუბოში ჩაწოლა რამ მომაფიქრა, რომელი ბროდსკის შაქარი მე ვიყავი რო წვიმა-ჟჟეთს დავედნეო??!! დაიწვას, დაიწვას ჩემი დაბადების დღე და საათიო! - ხმამაღლა მოთქვამდა შინჩაკეტილი სიკვტილია...

ეეეჰ, ვინ იცის, ეს ამბავი რა დროისაა და ახლაც მოარულ ლეგენდად დადის ჩემს ქუთაისში.

ბიბლიოთეკა

ჯეიმზ ჯოისი

# ულისე

## მე-17 ეპიზოდი

## „ითაკა“

თარგმანი და კომენტარი
ნიკო ყიასაშვილისა

კიდევ რა დამატებითი მიმზიდველობა შეიძლება ჰქონოდა იქაურობას?

დამატებით, ტენისისა და ხელბურთის სათამაშო მოედნები, ბუჩქნარის ხეივანი, ტროპიკული პალმების ბოტანიკის უკანასკნელი მიღწევებით გამართული შემინული ორანჟერეა, მღვიმე შადრევნით, ჰუმანური პრინციპებით შენახული და მოვლილი საფუტკრე, სწორკუთხა გაზონებზე ყვავილების ოვალური ბუდეები შიგ დარგული მეწამული და ყვითელი ტიტების ექსცენტრიული ელიფსებით, ლურჯი სუმბულებით, ნარგიზებით, ფურისულათი, მინდვრის მიხაკებით, ბალის არჯაკელით, შროშანით (ბოლქვები შეძენილი სერ ჯეიმზ უ.მეკჯისთან (შეზღ. პასუხ.) ბითუმი და საცალო ვაჭრობა თესლითა და ბოლქვებით, მინერალური სასუქით მომარაგება, მცენარეთა მოვლასთან დაკავშირებული რჩევები, ზედა სეკვილსტრიტი 23), ხილის ბაღი, ბოსტანი და ვენახი, დამსხვრეული მინაჩარჭობილი ქვის მესერით დაცული უკანონო შემოჭრისაგან, ბოქლომიანი ფარდული სხვადასხვა საადგილმამულო ინვენტარისათვის.

როგორიცაა?

გველთევზას საჭერი გოდორყურები, ასთაკვის საჭერი ქოთნები, ანკესები, ცული, ბეზმენი, სალესი ქვა, საბეკნელა, ძნასაკონი, თივსაბრუნელა, საკეცი კიბე, 10-კბილიანი ფოცხი, ხის ქოშები, ფარცხი, ფიწალი, სასხლავი მაკრატელი, სალებავიანი ქილა, ფუნჯი, თოხი და სხვა.

რა გაუმჯობესებანი იყო მოსალოდნელი მომავალში?

საკურდღლე და საფრინველე, სამტრედე, ბოტანიკური სათბური, 2 ჰამაკი (მანდილოსანთა და კავალერთათვის), მზის საათი იასამნისა თუ ოქროწვიმის ჩრდილქვეშ, კარიბჭის მარცხენა მხარეს დამაგრებული პატარა იაპონური ზარი ეგზოტიკურ და მელოდიურ ხმას რომ გამოსცემს, მოზრდილი თავლია კასრი წვიმის წყლისათვის, გაზონის საკრეჭი, ბალახს გვერდიდან რომ ყრის სპეციალურ ყუთში, სარწყავი მოწყობილობა ჰიდრავლიკური შლანგით.

მიმოსვლის რა საშუალებები იყო სასურველი?

ქალაქისაკენ მგზავრობისას მატარებლისა და ტრამვაის ხშირი რეისები, შესატყვისად შუალედური ანდა ბოლო სადგურიდან. ქალაქგარეთ მგზავრობისას ველოსიპედები, უჯაჭვო საგზაო სატვირთო ველოსიპედი თავისუფალი სვლით, პარალელური საბმურით ტვირთისათვის, ან ჭაპანტრანსპორტი, ვირი მოწნულ ორთვალაში ან მოხდენილი ფაეტონი, შიგ შებმული ღონიერი, მუშა, მასიურჩლიქიანი ცხენით (ლურჯა იაბო, 14 მტკაველი).

რა ერქმეოდა ამ ასაგებ ან უკვე აგებულ რეზიდენციას?

ბლუმკოტეჯი. წმინდა ლეოპოლდის ვილა. ბლუმვილი. ყვავილნარი.[1]

შეეძლო თუ არა ბლუმს ეკლზ-სტრიტ ნომერ 7-ში ყვავილნარ ბლუმვილის წარმოდგენა?

სუფთა შალის სრულ კოსტუმში ჰერისის ტუიდის კეპით, ფასი 8 შილინგი და 6 პენი, და ბაღში სამუშაო პრაქტიკული ფეხსაცმლით ზომაზე მისარგები ელასტიური შესაკრავებით, სარწყავით ხელში ნორჩი ნაძვების რიგს რგავს, მარგლავს, ასხურებს, კრეჭს, საკვებ ბალახს თესავს, მზის ჩასვლისას სარეველა ბალახს ეზიდება ურიკით ისე რომ არ დაიღალოს, ახლად მოცელილი ბალახის სურნელით მთვრა-

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 7-8

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, სასუქი შეაქვს, ბრძენდება, იძენს დღეგრძელობას.

გონებრივი ვარჯიშის რა პროგრამა იყო ამავ დროს შესაძლებელი?

მომენტალური ფოტოგრაფია, რელიგიათა შედარებითი შესწავლა, სხვადასხვა ცრურწმენებთან და ეროტიკულ ჩვეულებებთან დაკავშირებული ფოლკლორი, ციურ თანავარსკვლავედთა ჭვრეტა.

რომელია უფრო მსუბუქი საქმიანობა?

სახლგარეთ: მუშაობა ბაღში და მინდორში, ველოსიპედით სეირნობა სწორ დატკეპნილ გზებზე, ზომიერი სიმაღლის გორაკებზე ასვლა, განმარტოებულ გამდინარე წყალში ბანაობა ან უხიფათო ნაოსნობა მდინარეზე სანდო ბრტყელძირიანი ან სტოპ-ლუზიანი სათევზაო ნავით ჩქერებისა ან ჭორომებისაგან თავისუფალ მონაკვეთებში (ზაფხულის ძილის პერიოდი), მოციონები მზის ჩასვლის წინ ან ცხენებით სეირნობა და უდაბურ პეიზაჟთა ხილვა, და ამ უკანასკნელთან კონტრასტული გლეხების სადგომის ბუხრებში დანთებული ტორფის თბილი ფოშფოში (ზამთრის ძილის პერიოდი). ოჯახურ გარემოში: მსჯელობა, სითბოსა და სიმყუდროვეში, ისტორიისა და კრიმინალისტიკის გადაუწყვეტელ პრობლემებზე: ეგზოტიკური ეროტიკული სრულად, შეუმოკლებლად გამოცემული შედევრების კითხვა: ხურობა იარაღების ყუთით, ჩაქუჩი, სადგისი, ლურსმანი, შურუპები, დიუბელები, ბურღები, შალაშინი და სახრახნისი.

შეეძლო თუ არა გამხდარიყო ჯენტლმენი ფერმერი, მარცვლეულისა და საქონლის მწარმოებელი?

არაა გამორიცხული, თუ იქნა თითო-ოროლა მწველავი ძროხა, თივის ზვინი მთიანი საძოვრიდან და ისეთი აუცილებელი საფირო მოწყობილობა, როგორიცაა სადღვებელი, თალგამის საჭრელი და ა.შ.

როგორი იქნებოდა მისი მოქალაქეობრივი მოვალეობანი და საზოგადოებრივი სტატუსი სოფლის მაცხოვრებელთა და ადგილ-მამულიან აზნაურთა წრეში?

იერარქიული კიბის ზეაღმავალი თანმიმდევრობით, მებაღის, მიწათმოქმედის, მებოსტნის, მესაქონლის და კარიერის ზენიტში საოლქო ან მომრიგებელი მოსამართლის მოვალეობის შემსრულებელი საგვარეულო ფარითა და გერბით და შესაფერისი კლასიკური დევიზით (Semper paratus[2]), ჯეროვნად შეტანილი ალსტერის ჰეროლდმაისტერის დავთარში (ბლუმი, ლეოპოლდ პ., პარლ.წევ., საიდუმ. მრჩ., წმ.პეტრიკს ორდ. კავ., სამართლის დოქტორი (honoris causa[3]), ბლუმვილი, დანდრამი) და მოხსენიებული გაზეთების საკარო და საერო ქრონიკაში (ბ-ნი და ქ-ნი ლეოპოლდ ბლუმი კინგზტაუნიდან ინგლისს გაემგზავრნენ).

მოქმედების რა გეზი დაუსახა თავის თავს ასეთ თანამდებობაზე?

შუალედური გეზი გადაჭარბებულ ლმობიერებასა და მეტისმეტ სიმკაცრეს შორის: ყველაზე ფართე ლიბერალიზმით შერბილებული მიუკერძოებელი, ცალსახა და უდავო მართლმსაჯულების განაწილება ყოველნაირი კლასებისაგან შემდგარ ჰეტეროგენულ საზოგადოებაში, რომელიც მეტნაკლები სოციალური უთანასწორობის მუდმივ ცვალებადობას განიცდის და გეზი რომელიც, ამავ დროს, უძრავმოძრავი ქონების სამეფო ხაზინის სასარგებლოდ კონფისკაციის შემთხვევში უკანასკნელ გროშამდე ჩაჰყვება. მისი, ქვეყნის კანონიერი უმაღლესი მმართველობისადმი ლოიალური, გულმართლობის თანდაყოლილი სიყვარულით ნაკარნახევი, მიზნები უთუოდ იქნებოდა საზოგადოებრივი წესრიგის მკაცრი აღსრულება, ურიცხვი ბოროტმოქმედების აღმოფხვრა, თუმც კი არა ერთდროულად (რადგან ნებისმიერი რეფორმა თუ ეკონომიური სანქცია, რომელსაც წინასწარი გადაწყვეტილების ფუნქცია აკისრია, საბოლოო გადაწყვეტილებიდან უნდა გამომდინარეობდეს, როგორც მისგან წარმოებული), კანონის სიტყვასიტყვით დაცვა (ზოგადი სამართლის, სავაჭრო სამართლისა და საპარლამენტო სამართლის) ყველა ბოროტი განმზრახველისა და კანონის დამრღვევისაგან, რომლებიც ადგილობრივი წესებისა და დადგენილებების წინააღმდეგ მოქმედებენ, დრომოჭმული წეს-ჩვეულებების ყველა აღმდგენელისაგან (ბრაკონიერობა და შეშის წვრილმანი დატაცება), ერთა დევნა-შევიწროვების ყველა წამქეზებლისაგან, საერთაშორისო შუღლის ყველა გამჩაღებლისაგან, ოჯახური მყუდროების ყველა სულმდაბალი ამღვრევისაგან, ოჯახური ცოლ-ქმრობის ყველა გამოუსწორებელი ჩამშლელისაგან.

დაასაბუთეთ, რომ მას ჭაბუკობიდანვე უყვარდა პირდაპირობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ კიდევ 1880 წელს საშუალო სკოლაში თანაკლასელ პერსი ეპჯონს გაანდო, რომ არ სწამდა ირლანდიული (პროტესტანტული) ეკლესიის (რომელშიც მამამისი რუდოლფ ვირაგი, შემდგომში რუდოლფ ბლუმი, ებრაელთა შორის ქრისტიანობის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მოაქცია 1865 წელს), რომელიც მოგვიანებით მიატოვა კათოლიკობაში გადასვლის გამო იმ პერიოდში და აგრეთვე ცოლის შერთვასთან დაკავშირებული მიზეზით 1888 წელს. 1882 წელს დენიელ მეგრეინთან და ფრანსის უეიდთან ჭაბუკური მეგობრობის პერიოდში (პირველის უდროო ემიგრაციის გამო შეწყვეტილი), მათთან ღამეული სეირნობების დროს იცავდა კოლონიალური (კერძოდ კანადური) ექსპანსიის პოლიტიკურ თეორიას და ჩარლზ დარვინის ევოლუციურ თეორიებს, რომლებიც გადმოცემული იყო "ადამიანის წარმოშობაში" და "სახეობათა წარმოშობაში". 1885 წელს მან საჯაროდ გამოხატა მხარდაჭერა კოლექტიური და ეროვნული ეკონომიკური პროგრამისადმი, რომელიც წამოაყენეს ჯეიმზ ფინტან ლეილორმა, ჯონ ფიშერ მარიმ, ჯონ მიჩელმა, ჯ.ფ.ქ. ო'ბრაიენმა და სხვ., აგრეთვე მაიკლ დევიტის აგრარული პოლიტიკის, ჩარლზ სტიუარტ პარნელის (პარლამენტარი კორკის ქალაქიდან) კონსტიტუციური აგიტაციის, უილიამ იუარტ გლედსტონის (პარლამენტარი მიდლოთიდან, ჩრდ. ბრიტანეთი) მშვიდობის, რეფორმისა და ეკონომიკური ღონისძიებების მიმართ, და თავისი პოლიტიკური მრწამსის გამოსახატად ნორთამბერლენდის ქუჩაზე განტოტებულ ხეზე აბობღდა, რათა სანდო საფრიდან ეხილა დედაქალაქში 20000 მეჩირაღდნის საზეიმო შემოსვლის ჩირაღდნებით გაჩახჩახებული პროცესია (1888 წლის 2 თებერვალი), რომელიც ხელოსანთა 120 კორპორაციად იყო გაყოფილი და რიპონის მარკიზისა და (ღრმად პატივსაცემი) ჯონ მორლის 2000 ანთებულჩირაღდნიანი ესკორტი მოჰყვებოდა.

რა თანხის და რა გზით აპირებდა თავისი სააგარაკო რეზიდენციაში გადახდას?

"უცხოური აკლიმატიზირებული სახელმწიფოს მიერ ნაციონალიზირებული და მეგობრულად სუბსიდირებული გულმოდგინე აღმშენებელი საზოგადოების" (დაარსებული 1874 წელს) წესდების შესაბამისად არა უმეტეს 60 გირვანქისა წელიწადში, რაც ყველაზე სანდო ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული უზრუნველყოფილი შემოსავლის 1/6 პროცენტს, ანდა 1200 გირვანქის კაპიტალიდან 5 მარტივ პროცენტს შეადგენდა (გასაყიდი ფასი 20 წლის განვადებით შეძენისას), საიდანაც 1/3 გადასახადია ნასყიდობის ქაღალდის გაფორმებისას, ხოლო დანარჩენი თანხა 800 გირვანქა პლუს 2-ნახევარი % იქიდანვე ყოველწლიური კვარტალური გადასახადი რენტის სახით ერთნაირი წლიური შენატანებით სესხის მთლიანი თანხის დაფარვამდე, რომელიც 20 წლით შესაძენად იყო გაცემული, რაც შეადგენდა 64 გირვანქა წლიურ რენტას, მიწის მფლობელის რენტის ჩათვლით, ხოლო მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტები არენდატორთან ან არენდატორებთან უნდა ყოფილიყო შენახული, რომლებშიც გათვალისწინებული იქნებოდა პუნქტები იძულებითი გაყიდვის, გირავნობის სიგელის გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევის და ურთიერთ კომპენსაციის შესახებ დადგენილი გადასახადების დაფარვის გაჭიანურებული გადავადების თაობაზე, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში დათქმული ვადის გასვლის შემდეგ მთელი ადგილ-მამული მოქირავნეს სრულ მფლობელობაში გადასვლით.

გამდიდრების რა სწრაფ თუმც არასანდო საშუალებას შეეძლო გაეადვილებინა დაუყონებლივი შეძენა?

საკუთარ უმავთულო ტელეგრაფს, რომელიც შეძლებდა ტირე-წერტილის სისტემის მეშვეობით ცხენოსნების ეროვნული ჰენდიკაპის (ჩვეულებრივის ანდა სტიპლჩეიზის) შედეგების გადაცემას 1 და მეტი მილის მანძილზე, აუტსაიდერის მოგებული როდესაც ფსონი 50 ერთზე იყო ნაშუადღევის 3 საათსა და 8 წუთზე (გრინიჩის დროით) ესკოტში, ისე რომ მას ვინც დუბლინში ჩადიოდა ფსონს შეეძლო ინფორმაცია მიეღო და გაეთვალისწინებინა ნაშუადღევის 2 საათსა და 59 წუთზე (დანსინკის დროით). რაიმე დიდი ღირებულების მქონე საგნის მოულოდნელ აღმოჩენას (ძვირფასი ქვის, დაწებებული და დაუწებებელი უიშვიათესი საფოსტო მარკის (7 შილინგი, სოსანი, უკბილებო, ჰამბურგი 1866: 4 პენიანი ვარდისფერი, ლურჯ ქაღალდზე, დაკბილული, დიდი ბრიტანეთი, 1855: ერთ ფრანკიანი მუქი ნაცრისფერი, სამსახურებრივი, გახვრეტილი, დიაგონალურად ბეჭედდასმული, ლუქსემბურგი, 1878), ძველებური საგვარეულო ბეჭდის, უნიკალური რელიქვიის უჩვეულო ადგილას ანდა უჩვეულო გზით: ჰაერში (არწივის გაგდებული ფრენაში), ცეცხლში (ხანძრისაგან გადაბუგული შენობის ნანგრევებში), ზღვაზე (ჩაძირული გემიდან გადარჩენილი მოტივტივე ან ფსკერზე ჩაძირულ ნივთებში), მიწაზე (ნანადირევი ფრინველის კუჭში). ესპანელი ტუსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღის ნაჩუქარ ბარათს რაღაც ძველებურ განძზე, ფასეულობათა ან მონეტების ან ზოდების სახით გადახდისუნარიან საბანკო კორპორაციაში ჩადებულს 100 წლის წინათ 5 რთული პროცენტით, მთლიანი ღირებულება 5000000 სტერ. (ხუთი მილიონი გირვანქა სტერლინგი). კონტრაქტს წინდაუხედავ კონტრაგენტთან 32 პარტია გარკვეული საქონლის მოწოდებაზე იმ პირობით, რომ თითოეულ პარტიაზე საწყისი გადასახადი ყოფილიყო მეოთხედი პენი შემდგომი გაზრდით გეომეტრიული პროგრესიის მნიშვნელით 2 (მეოთხედი პ., ნახევარი პ., 1 პ., 2 პ., 4 პ., 8 პ., 1 შილ. 4 პ., 2 შილ. 8 პ., სულ 32 წევრი). აწონდაწონილ გეგმას, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა ალბათობის კანონების შესწავლაზე, მონტე-კარლოში ბანკის მოსახსნელად. წრის კვადრატურის მრავალსაუკუნოვანი პრობლემის გადაჭრა, სამთავრობო პრემია 1 000 000 გირვანქა სტერლინგი.

შესაძლებელი თუ იყო დიდძალი ქონების შეძენა სამრეწველო არხებით?

მოზრდილი ვერანი ქვიშნარის ათვისება, რომელსაც სთავაზობს აგენდათ ნეტაიმის პროსპექტი, ბერლინი, ბლაიბტროიშტრასე 15, ფორთოხლის პლანტაციების, ნესვის ბახჩების, ტყის გაშენების საშუალებით. ნახმარი ქაღალდის, ჩამდინარე წყლებში დაგროვილი ვირთხის ტყავების, ქიმიური თვისებების მქონე ადამიანის ექსკრემენტების უტილიზაციით, თუ გავითვალისწინებთ პირველის დიდ მარაგს, მეორის დიდძალ რაოდენობას და მესამის უზარმაზარ მასას, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საშუალო აქტივობისა და მადის მქონე ყოველი ნორმალური ადამიანური არსება ყოველწლიურად მთლიანად წარმოქმნის, თხევად ნივთიერებათა გამოკლებით, 80 გირვანა მასას (შერეული ცხოველური და მცენარეული რაციონის შემთხვევაში), რაც უნდა გამრავლდეს 4 386 035-ზე, მთელი ირლანდიის მოსახლეობის რაოდენობაზე 1901 წლის აღწერის მონაცემებით.

უფრო დიდი გაქანების პროექტები თუ არსებობდა?

პროექტი, რომელიც უნდა შეემუშავებინათ და განსახილველად წარედგინათ პორტის მმართველობის წევრებისათვის თეთრი ნახშირის (ჰიდრავლიკური ენერგიის) ექსპლუატაციასთან დაკავშირებით, რომელსაც ღებულობდა ჰიდროელექტროსადგური დუბლინის თავთხელზე მოქცევის უმაღლეს წერტილში, ანდა პულაპუკასა და პაუერსკორტის წყალვარდნილებთან, ანდა ყველაზე მთავარ მდინარეთა აუზებში გეგმიური 500 000 კვ.სთ ელექტროენერგიის ეკონომიური გამომუშავებით. პროექტი ნორთ ბულის ნახევარკუნძულოვანი დელტის დამბებით გარშემოვლება დოლიმაუნტთან და იმ ტერიტორიაზე, რომელიც ახლა გოლფის სათამაშოდ და მიზანში სროლისათვის გამოიყენება, აიგოს ასფალტირებული ესპლანადა კაზინოთი, მაღაზიებით, ტირით, სასტუმროებით, პანსიონებით, სამკითხაოებით და შერეული ბანაობისათვის გამოყოფილი პლაჟებით. რიყრაჟის რძის დასატარებლად ძაღლებ და თხებშებმული ურიკების გამოყენების პროექტი. ირლანდიური ტურიზმის განვითარების პროექტი დუბლინისა და მის შემოგარენში ბენზინზე მომუშავე მცირე ხომალდების მიმოსვლაზე მდინარის ფარვატერით აილანდის ხიდსა და რინგსენდს შორის, შარაბანებით, საგარეუბნო მატარებლებით და სანაპირო ზოლის გასწვრივ სასეირნო გემებით (დღეში 10 შილინგი ერთ სულზე მეგზურის (სამენოვანი) ჩათვლით). ირლანდიის სანაოსნო გზებზე, მათი სათანადო გაწმენდის შემდეგ, სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვათა აღდგენის პროექტი. ტრამვაის შემაერთებელი ხაზის გაყვანის პროექტი საქონლის ბაზრიდან (ჩრდილო წრიული და პრაშა სტრიტი) სანაპიროსკენ (შერიფ-სტრიტი, ისტ-უოლი), რკინიგზის ხაზის პარალელურად (რომელიც მოიცავს სამხრეთის დიდ და დასავლეთის ხაზებს) საქონლის მისარეკ ბაკსა, ლიფის საკვანძო ასაქცევთან და მიდლენდის ტერმინალს შორის, ნორთ-უოლი 43-45, შიდა ინგლისის რკინიგზის კომპანიის დიდი ცენტრალური ხაზის დუბლინის განყოფილებების, დუბლინის საფოსტო ნაოსნობის კომპანიის, ლენკაშირ-იორკშირის რკინიგზის კომპანიის, დუბლინ-გლაზგოს საფოსტო ნაოსნობის კომპანიის, გლაზგო-დუბლინ-ლანდენდერის საფოსტო ნაოსნობის კომპანიის (ლეირდის ხაზი), ინგლის-ირლანდიის საფოსტო ნაოსნობის კომპანიის, დუბლინ-მორკამის სანაოსნო საზოგადოების, ლონდონისა და ჩრდილო-დასავლეთის რკინიგზის კომპანიის, დუბლინის პორტებისა და დოკების საწყობების სამმართველოს, პელგრეივის, მერფისა და კომპანიის საწყობების მახლობლად, ასევე ახლოს ხმელთაშუა ზღვის, ესპანეთის, პორტუგალიის, საფრანგეთის, ბელგიისა და ჰოლანდიის სანაოსნო ხაზების გემების მეპატრონეთა და სააგენტოთა კონტორებთან, აგრეთვე ლივერპულის სადაზღვევო გაერთიანების კონტორასთან, რომლის წესდებითაც დუბლინის გაერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიანებული ტრამვაის კომპანიის, შეზღ. პასუხ., მიერ ცოცხალი საქონლის გადასაზიდი და დამატებითი კილომეტრაჟის ღირებულების გადახდა ცოცხალი საქონლის მფლობელებს ეკისრებოდათ.[4]

პროტაზისის რა ბუნებრივი და აუცილებელი პოსტულირება იქნებოდა ზოგიერთი ასეთი პროექტზე კონტრაქტის დადების აპოდექტიკური საფუძველი?

საძიებელი თანხის ექვივალენტური გარანტია, რომელიც შესაძლოა ყოფილიყო გამოხატული ნაჩუქრობის სიგელით და სატრანსფერო ვაუჩერით დონორის სიცოცხლეშივე ან ანდერძით დონორის ბუნებრივი და უტანჯველი გარდაცვალების შემთხვევაში ან მხარდაჭერა ისეთი გამოჩენილი ფინანსისტებისა (ბლუმ-ფაშა, როთშილდი, გუგენჰაიმი, ჰირში, მონტეფიორი, მორგანი, როკფელერი), რომელთა 6-ციფრიანი დოვლათი წარმატებული სიცოცხლის მანძილზე გროვდებოდა, და კიდევ, სანუკვარი საქმე აღსრულდებოდა კაპიტალის იღბალთან შერწყმის შემთხვევაში.[5]

საბოლოოდ რა გახდიდა მას ასეთი სიმდიდრისგან დამოუკიდებელს?

ოქროს ძარღვის ამოუწურავი საბადოს დამოუკიდებელი აღმოჩენა.

რატომ ფიქრობდა ისეთ ძნელად განსახორციელებელი პროექტების განხორციელებაზე?

მისი ერთ-ერთი აქსიომის თანახმად, მსგავსი ფიქრები ანდა რაიმე მისთვის ახლობელი ამბის საკუთარ თავთან ავტომატური დაკავშირება, ანდა გარდასულ დღეთა მშვიდი გახსენება ძილისთვის განწესების ჟამს, ოდეს მყარ ჩვევად იქცევა, ხსნის დაღლილობას და უზრუნველყოფს ჯანმრთელ დასვენებასა და სიცოცხლისუნარიანობის აღდგენას.

მისი მსჯელობის საფუძვლები?

როგორც ფიზიკოსმა, მან შეიცნო, რომ ადამიანის 70 წლის სიცოცხლის მანძილზე სულ მცირე 2/7-ედი ანუ 20 წელი ძილში გადის. როგორც ფილოსოფოსმა, მან იცოდა, რომ ბოძებული სიცოცხლის ბოლოს ნებისმიერი ადამიანის ოცნებების მხოლოდ უსასრულოდ მცირე ნაწილი აღმოჩნდება შესრულებული. როგორც ფიზიოლოგს მას სწამდა უმთავრესად ძილის დროს მოქმედი მავნე ფაქტორების ხელოვნური მოხსნისა.

რისი ეშინოდა?

ძილში მკვლელობის ან თვითმკვლელობის ჩადენისა გონების დაბნელების შედეგად, გონების იმ განუზომელი კატეგორიალურობის უნარის გამო, რომელიც ტვინის ხვეულებშია მოთავსებული.

როგორი იყო ჩვეულებრივ მისი უკანასკნელი ფიქრები?

ერთადერთ უნიკალურ რეკლამაზე განცვიფრებულ გამვლელს ადგილზე რომ გააშეშებს, სარეკლამო შედევრზე, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი გარეშე დანამატებისაგან, უმარტივესია და ამავ დროს თვალის ერთი შევლებით აღიქმება და თანამედროვე ცხოვრების ტემპს ეხმიანება.

რა იდო პირველ გახსნილ უჯრაში?

ვირა ფოსტერის[6] ხელნაწერის ნიმუშების რვეული, მილი (მილისენტ) ბლუმის საკუთრება, რომლის ზოგიერთ გვერდზე სქემატური ნახატები იყო მინაწერით *მამიკო*, რომელიც გამოხატავდა დიდ ბურთისებრ თავს 5 გაშვერილი თმისღერით, 2 თვალით პროფილში, ტანი ანფაზში 3 დიდრონი ღილითა და 1 სამკუთხა ფეხით: 2 გახუნებული ფოტოსურათი ინგლისის დედოფალ ელიგზანდრასი[7] და მსახიობისა და სილამაზით განთქმული ქალის მოდ ბრენსკომისა: მხატვრულად შესრულებული პარაზიტულ მცენარიანი საშობაო ბარათი მინაწერით Mizpah[8], დათარიღებული 1892 წლის შობით, გამომგზავნის სახელებით "ბ-ნ + ქ-ნ მ. კამერფორდისაგან" და ლექსათ "დე ამ შობამ მოგცეს შვება": ნაწილობრივ დამდნარი წითელი ლუქის ჩხირი, შეძენილი ჰილის შეზღ. პასუხ. ფირმის სასაწყობშო განყოფილებაში, დეიმ-სტრიტი 89, 90 და 91: კოლოფი, რომელშიც ერთი გროსიდან მორჩენილი კალმის მოოქროვილი წვერები ეწყო, შეძენილი იმავე ფირმის იმავე განყოფილებაში: ძველი ქვიშის საათი, რომელიც გადაბრუნებისას ქვიშასაც უკან აბრუნებდა: დალუქული წინასწარმეტყველება (არასოდეს რომ არ გახსნილა) დაწერილი ლეოპოლდ ბლუმის მიერ 1886 წელს, რომელიც ეხებოდა უილიამ იუარტ გლედსტონის 1886 წლის ჰოუმრულის კანონის ძალაში შესვლის შედეგებს (ძალაში არასოდეს შესულა): კევინის საქველმოქმედო ბაზრობის ლატარეის ბი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეთი №2004, ფასი 6 პენი, 100 მოგება: ბავშვის დაწერილი ბარათი, დათარიღებული, დიდი და პატარა ასოების აღრევით, შემდეგი შინაარსის: ასომთავრული მ მამილო მძიმე ასომთავრულ რ როგორა ხარ კითხვის ნიშანი ასომთავრული მ მე ძალიან კარგად ვარ წერტილი აბზაცით ხელმოწერა ხვეულა ასომთავრული მ მილი ბოლოში უწერტილოდ: გულსაბნევი კამეა, ელინ ბლუმის საკუთრება (ქალიშვილობის გვარით ჰიგინზის), აწ განსვენებულის: ჰალსტუხის ქინძისთავი-კამეა, რუდოლფ ბლუმის (ადრინდელი გვარით ვირაგის) საკუთრება, აწ განსვენებულის: მანქანაზე დაბეჭდილი 3 წერილი, ადრესატი ჰენრი ფლაუერი[9] უესტლენდ როუს საფოსტო განყოფილება, მოთხოვნამდე, გამგზავნი მართა კლიფორდი, დოლფინზ-ბარნის საფოსტო განყოფილება, მოთხოვნამდე: 3 წერილის გამგზავნის სახელი, გვარი და მისამართი, ტრანსლიტირებული შებრუნებული ანბანური ბუსტროფედონ-ურ[10] წერტილოვან ოთხხაზოვან კრიპტოგრამაში (ხმოვნების გარეშე): ამონაჭერი ინგლისური ყოველკვირეულიდან "თანამედროვე საზოგადოება", თემაზე ფიზიკური დასჯა გოგონათა სკოლებში: ვარდისფერი ბაფთა, რომელიც 1899 წლის აღდგომის კვერცხს ჰქონდა შებმული: ორი ნაწილობრივ გახსნილი რეზინის პრეზერვატივი სარეზერვო პარკუჭებით, ფოსტით გამოწერილი ჩერინგ-კროსის საფოსტო განყოფილებიდან, ყუთი 32, ლონდონი: კრემისფერი კონვერტების ერთი 12-ცალიანი შეკვრა, სამი ცალით შემცირებული, და ფერმკრთალხაზიანი ქაღალდით: რამოდენიმე სხვადასხვა ავსტრო-უნგრული მონეტა: უნგრული სამეფო მომგებიანი ლატარეის 2 ბილეთი: არცთუ ძლიერი გამადიდებელი შუშა: 2 ეროტიკული ღია ბარათი ა) ორალური სქესობრივი აქტი შიშველ სინიორიტასა (ხედი უკნიდან, პოზიცია ზევიდან) და შიშველ ტორეროს (ხედი წინიდან, პოზიცია ქვემოდან) შორის და ბ) ძალდატანებითი ანალური სქესობრივი აქტი ბერსა (მთლიანად ჩაცმული, თვალებდახრილი) და მონაზონს (ნაწილობრივ ჩაცმული, თვალსევდიანი) შორის, ფოსტით გამოწერილი ჩერინგ-კროსის საფოსტო განყოფილებიდან, ყუთი 32, ლონდონი: გაზეთის ამონაჭერი ძველი ყავისფერი ფეხსაცმლის განახლების რეცეპტით: 1 პენის ღირებულების საფოსტო მარკა, იისფერი, დედოფალ ვიქტორიას მეფობის დროინდელი: ლეოპოლდ ბლუმის ზომების ცხრილი, შევსებული ორთვიანი სისტემატური ვარჯიშის დაწყებამდე, ვარჯიშის პერიოდში და ვარჯიშის დამთავრების შემდეგ, სენდოუ-უაიტლის სისტემის ესპანდერით (სპორტსმენებისთვის 20 შილ., დანარჩენებისთვის 15 შილ.) სახელდობრ, მკერდი 28 დიუმი და 29-ნახევარი დიუმი, ბიცეპსი 9 დიუმი და 10 დიუმი, წინამხარი 8-ნახევარი დიუმი და 9 დიუმი, ბარძაყი 10 დიუმი და 12 დიუმი, ფეხის კუნთი 11 დიუმი და 12 დიუმი: "სასწაულმოქმედის" ერთი პროსპექტი, სწორი ნაწლავის ჩივილების საწინააღმდეგო საუკეთესო საშუალება, გამოგზავნილი უშუალოდ "სასწაულმოქმედის" მიერ, ლონდონი, კოვერტრი-ჰაუზი, საუთ-პლეისი, ქ-ნი ლეოპოლდ ბლუმის სახელზე (შეცდომით) თან დართული მოკლე წერილით, რომელიც იწყებოდა მიმართვით "პატივცემულო ქალბატონო" (შეცდომით).

სიტყვასიტყვით გადმოეცით ის გამოთქმები, რომლებითაც პროსპექტი ამ სასწაულმოქმედი საშუალების რეკლამირებას ახდენდა?

კურნავს და ამშვიდებს მანამ თქვენ გძინავთ, თუ გაზები გაწუხებთ, რადიკალურად ეხმარება ბუნებას იმით, რომ უცბად განიჭებთ შვებას გაზების გამოშვებისას, ორგანოების სისუფთავის დაცვისა და კუჭის ნორმალური მოქმედების გარანტიას იძლევა, პირველივე შენატანი 7 შილინგი და 6 პენი სულ სხვა ადამიანად გაქცევთ და ახალ შინაარსს შესძენს თქვენს სიცოცხლეს. მანდილოსნები განსაკუთრებით სასარგებლოდ მიიჩნევენ "სასწაულმოქმედს", მის გასაოცარ ეფექტს, რასაც თაკარა დღის შემდეგ პეშვით მაცოცხლებელი წყაროს წყლის დალევას ადარებენ. ურჩიეთ თქვენს მანდილოსან და მამაკაც მეგობრებს. ცხოვრების ბოლომდე გიშველით. მომრგვალებული ბოლოთი შეიყვანეთ. პატივისცემით თქვენი "სასწაულმოქმედი".

გამოხმაურება თუ იყო დართული?

უთვალავი. სამღვდელო პირისგან, ბრიტანეთის ფლოტის ოფიცრისგან, ცნობილი მწერლისგან, ბიზნესმენისგან, მოწყალების დისგან, მაღალი წრის მანდილოსნისგან, ხუთი შვილის დედისგან, ბურების ომის ვეტერანი მათხოვრისგან.[11]

რითი ბოლოვდებოდა ვეტერანი-მათხოვრის საბოლოო მოწმობა?

რა დასანანია, რომ მთავრობამ არ აღჭურვა ჩვენი ჯარისკაცები "სასწაულმოქმედით" სამხრეთ აფრიკის კამპანიის დროს! რა შვებას მისცემდა მათ!

რა საგანი მიუმატა ბლუმმა საგნების ამ კოლექციას?

მანქანაზე დაბეჭდილი მე-4 წერილი, მიღებული ჰენრი ფლაუერის მიერ (თუკი ჰ.ფ. ლ.ბ-ია) მართა კლიფორდისგან (იხ. მ.კ.).

რა სასიამოვნო ფიქრი ახლდა თან ამ ქმედებას?

ფიქრი იმაზე, რომ გარდა ხსენებული წერილისა, მისმა მაგნეტურმა სახემ, ფიგურამ და მოპყრობამ გასული დღის მანძილზე ერთი გათხოვილი ქალის (ქ-ნ ჯოზეფინ ბრინის, გათხოვებამდე ჯოუზი პაუელი), ერთი მოწყალების დის, მისს კელანის (სახელი უცნობია) და ერთი ქალიშვილის, გერტრუდის (გერტის, გვარი უცნობია) კეთილგანწყობილი ყურადღება მიიპყრო.

რისი შესაძლებლობა ისახებოდა ამით?

შესაძლებლობა არა უახლოეს მომავალში თავისი მამაკაცური მიმზიდველობა და ძალა გამოეჩინა მდიდრულად წახემსების შემდეგ კერძო ბინაზე ელეგანტური კურტიზანის საზოგადოებაში, შესანიშნავი ტანი, ზომიერი გასამრჯელო, მრავალმხრივი გაწაფულობა, კეთილშობილი წარმომავლობა.

რა იდო მეორე უჯრაში?

საბუთები: ლეოპოლდ პოლა ბლუმის დაბადების მოწმობა: შოტლანდიელ ქვრივთა საზოგადოების შერეული სადაზღვევო პოლისი 500 გირვანქა სტერლინგის თანხაზე მილისენტ (მილი) ბლუმის სახელზე, რომელიც ძალაში შევიდოდა მისი 25 წლის შესრულების შემდეგ, შემდგომი პროცენტული მატებით 430 გირ., 462 გირ. 10 შილ. 0 პენ. და 500 გირ. როდესაც 60 წლის გახდებოდა ანდა მისი გარდაცვალების შემთხვევაში, შემდეგ, როდესაც 65 წლის გახდებოდა, ან შესატყვისად გარდაცვალებისას, ანდა არჩევით შემდგომი პროცენტული მატებით: 299 გირ. 10 შილ. 0 პ. და ნაღდი ანგარიშსწორებით 133 გირ. 10 შილ. 0 პ.: ალსტერის ბანკის ჩეკის წიგნაკი კოლეჯ გრინის განყოფილების მიერ გაცემული, რომელშიც აღნიშნულია ნახევარი წლის მიმდინარე ანგარიში, 1903 წლის 31 დეკემბრამდე, ბალანსი მეანაბრის სასარგებლოდ: 18 გირ. 14 შილ. 6 პ. (თვრამეტი გირვანქა სტერლინგი, თოთხმეტი შილინგი და ექვსი პენი) წმინდა შემოსავალი: მოწმობა 900 გირვანქის ღირებულების კანადის 4%-იანი (სახელობითი) ფასიანი ქაღალდების (საგერბო გამოსაღებისაგან თავისუფალი) ფლობის: კათოლიკური სასაფლაოს (გლასნევინი) კომიტეტის მიერ გაცემული სასაფლაოს ადგილის შეძენის ქვითარი: ადგილობრივი გაზეთის ამონაჭერი გვარის გამოცვლის თაობაზე ცალმხრივად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

სიტყვასიტყვით გადმოეცით ამ განცხადების ტექსტი.

მე, რუდოლფ ვირაგი, ამჟამად მცხოვრები დუბლინში, კლენბრასილ-სტრიტის 52-ში, ადრე მცხოვრები სომბატჰეიში, უნგრეთში, ამით ვაცხადებ, რომ გადავწყვიტე და ვაპირებ ამიერიდან ყველგან და მუდამ ვატარო რუდოლფ ბლუმის სახელი.

რუდოლფ ბლუმთან (ყოფილ ვირაგთან) დაკავშირებული სხვა რა ნივთები ეწყო მეორე უჯრაში?

რუდოლფ ვირაგისა და მამამისის ლეოპოლდ ვირაგის ბუნდოვანი დაგეროტიპი, გადაღებული წელსა 1852-სა დაგეროტიპული პორტრეტების ატელიეში, რომელიც მათ ბიძაშვილსა და შესატყვისად ძმისწულს სეშფეჰერვარელ, უნგრეთი, სტეფან ვირაგს ეკუთვნოდა. უძველესი ჰაგედას წიგნი, რომელშიც ამობრუცულ მინიანი რქისჩარჩოიანი სათვალის დატანებით დანიშნული იყო პასექის რიტუალური ლოცვანის მადლობის ადგილი: ქუინზ-ოტელის ფოტოსურათიანი ბარათი, ენისი, მფლობელი რუდოლფ ბლუმი: საფოსტო კონვერტი წარწერით "ჩემს ძვირფას შვილ ლეოპოლდს".

რომელი გაწყვეტილი ფრაზები ცოცხლდებოდა ამ ოთხი გაუწყვეტელი სიტყვის წარმოთქმისას?

ხვალ შესრულდება ერთი კვირა რაც მივიდე... ამაოა, ლეოპოლდ, ასეთ დღეში... შენს ძვირფას დედასთან... მეტის მოთმენა აუტანელია... მისთვის... ჩემთვის ყველაფერი დასრულდა... კარგად მოექეცი ატოსს, ლეოპოლდ... ჩემო საყვარელო შვილო... მუდამ... ჩემზე... das Herz... Gott... dein...[12]

რა მოგონებებს უღვიძებდნენ ბლუმს ეს ნივთები პროგრესული მელანქოლიით გატანჯული ადამიანის შესახებ?

მოხუცი კაცი, ქვრივი, თმადაუვარცხნელი, ლოგინში, თავზე საბანწაფარებული, ოხრავს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებერი ძალლი ატოსი: ტილჭირი, რომლის დოზებს გრანებითა და მისხლობით იდიდებდა ნევრალგიის მძაფრი შეტევების შესანელებლად: სამოცდაათი წლის მუხუცის მკვდარი სახე, თავი მოიწამლა.

რატომ გრძნობდა ბლუმი სინდისის ქენჯ-ნას?

რადგან მოუმწიფებელი ასაკისთვის დამახ-ასიათებელი მოუთმენლობის გამო სათანადო პატივით არ ეკიდებოდა ზოგიერთ ჩვევასა და რწმენას.

როგორიცაა?

ხორცისა და რძის ერთდროულად მიღების აკრძალვა: აბდაუბდად აბსტრაქტული, გაუგონ-რად დაკონკრეტებული, ანგარიშიანი თანაერთ-მორწმუნე ექსთანამემამულეთა წრეში ყოველკვირეული დისპუტები: მამრი ჩვილების წინდაცვეთა: იუდეველთა სალვთო წერილის ზებუნებრიობა: ტეტრაგრამატონის წარ-მოუთქმელობა: შაბათის წმინდად დაცვის წესი.

როგორ ესახებოდა ახლა ეს ჩვევები და რწმენა?

არა იმაზე მეტად გონივრულად ვიდრე ესახებოდა მაშინ, არა იმაზე ნაკლებ გონივრუ-ლად ვიდრე სხვა ჩვევები და რწმენა ესახებო-და ახლა.

როგორი იყო მისი პირველადი მოგონება რუდოლფ ბლუმის (აწ განსვენებულის) შესახ-ებ?

რუდოლფ ბლუმი (აწ განსვენებული) რეტ-როსპექტული თანმიმდევრობით უყვება თავის ვაჟიშვილს ლეოპოლდ ბლუმს (6 წლისას) გადაადგილებაზე დუბლინის, ლონდონის, ფლო-რენციის, მილანის, ვენის, ბუდაპეშტის, სომ-ბატჰეის შორის და ჩამოთვლილ პუნქტებში ცხოვრებაზე, თან კმაყოფილებას გამოხატავს (პაპამისს საკუთარი თვალით ენახა მარია-ტერე-ზა, ავსტრიის იმპერატრისსა, უნგრეთის დედ-ოფალი), თან კომერციულ რჩევებს აძლევს (პენებს თუ გაუფრთხილდი, გირვანქები თავის თავს მოუვლიან). ლეოპოლდ ბლუმი (ექვსი წლისა) უსმენდა ამ მონაყოლს და თან გამუდ-მებით ევროპის გეოგრაფიულ (პოლიტიკურ) რუკაში მიმართავდა და სხვადასხვა ხსენებულ ცენტრებში კომერციული საწარმოების დაარსე-ბის იდეას სთავაზობდა.

დროს ერთნაირად მაგრამ განსხვავებული სახით თუ წაუშალა ხსოვნა ამ გადაადგილე-ბათა შესახებ მთხობელსა და მსმენელს?

მთხრობელის წლების მატებასთან ერთად და ნარკოტიკული ტოქსინების მიღების შედე-გად: მსმენელის წლების მატებასთან ერთად და გარეშე შთაბეჭდილებათა მაცდუნებელი ზეგავლენის შედეგად.

მთხრობელის რა იდიოსინკრატული ჩვევე-ბი იყო ამნეზიის შედეგად გამოწვეული?

ზოგჯერ ქუდის მოუხდელად მიუჯდებოდა საჭმელს. ზოგჯერ ხარბად ხვრეპდა ნაღებიანი ხურთკმელის წვენს პირდაპირ დახრილი თეფშიდან. ზოგჯერ ტუჩებიდან საჭმლის ნამ-ცეცებს იცილებდა გამოყენებელი კონვერტით ანდა ქაღალდის ნებისმიერი ნაზევით რაც კი ხელში მოხვდებოდა.

სენილურობის რომელი ორი გამოვლინება იყო ყველაზე ხშირი?

ახლომხედველურად თითებზე მონეტების დათვლა, დანაყრების შემდეგ ბოყინი.

რომელი საგნები ანუგეშებდნენ მას ნაწი-ლობრივ ამ მოგონებებში?

სადაზღვევო პოლისი, ჩეკის წიგნაკი, ობ-ლიგაციების მფლობელობის მოწმობა.

დაიყვანეთ ბლუმი, ბედის უკუღმართობებ-ის ჯვარედინი გამრავლების გზით, რომელთა-გან ზემოთ ჩამოთვლილნი იცავდნენ, და ყვე-ლა დადებითისა და ღირსების გამორიცხვის გზით, უმნიშვნელო უარყოფით ირაციონალურ არარეალურ სიდიდემდე.

თანამიმდევრობით, დაღმავალი ელოტური რიგით: სიღარიბე: რიოში საიუველირო ნაწარმ-ით მოვაჭრე ქუჩის მეწვრილმანე, დაგვიანებუ-ლი და საეჭვო ვალების ამკრეფი, უსახსროთა და მისთანათა გადასახადების ამკრეფი. წელე-ბზე ფეხის დადგმა: მუდმივი ბანკროტი გირ-ვანქიდან მეოთხედი პენის პროცენტზე მცხ-ოვრები, ორმხრივი რეკლამის დამტარებელი ქუჩებში, ბროშურებისა და გაზეთების დამტარე-ბელი, ღამეული მაწანწალა, ორპირი ნაძირა-ლა, დასახიჩრებული მეზღვაური, დაბრმავებუ-ლი ყმაწვილკაცი, პენსიაზე გასული სასამართ-ლო შიკრიკი, დაუპატიჟებელი სტუმარი, ნარჩე-ნების მკრეფავი, მხიარულების ჩამშლელი, სა-

ბიბლიოთეკა

მადლოდ ხელგაწვდილი, ქალაქის პარკში გადაგდებული გახვრეტილი ქოლგის ქვეშ სკამზე ჩამომჯდარი ქვეყნის მასხარა. სიდუხჭირე: კოლმაინჰემის მოხუცთა თავშესაფრის (სამეფო ჰოსპიტალი) ბინადარი, სიმფსონის ჰოსპიტალის ბინადარი, სადაც ნიკრისის ქარისაგან ან დაბრმავებისგან დაინვალიდებულ გაღარიბებულ ოდესღაც პატივსაცემ ჯენტლმენებს იფარებენ. გაუბედურულობის ნადირი: ბებერი უსახსრო ძალაგამოცლილი, სიკვდილსიცოცხლის ზღვარზე მყოფი, სამადლოდ შეხიზნული ჭკუაზე შეცდენილი უუფლებო მათხოვარი.

რა თანმდევი დამცირებებით?

ოდესღაც თავაზიანი ქალების უსულგულო ინდიფერენტულობა, კუნთმაგარი მამრების ზიზღი, პურის ნატეხების მიღება, შემთხვევით შეხვედრისას ნაცნობების მხრიდან თვალის არიდება, უპატრონო არარეგისტრირებული მაწანწალა ძაღლების ყეფა, ბალღების მიერ უმნიშვნელო ან უმნიშვნელოზე ნაკლები, მცირე ან არავითარი ღირებულების დამპალი ხილბოსტნეულის დაშენა.

რას შეეძლო თავიდან აეცილებინა მისთვის ასეთი სიტუაცია?

გარდაცვალებას (მდგომარეობის შეცვლას): გამგზავრებას (ადგილის შეცვლას).

რომელი იყო უმჯობესი?

უკანასკნელი, როგორც ნაკლები წინააღმდეგობის გზა.

რა მოსაზრებებით არ იყო გამგზავრება სრულიად არასასურველი?

მუდმივი თანასახლობა ხელს უშლის პირადი ნაკლოვანებების მიმართ ურთიერთშემწყნარებლობას. ფულის დამოუკიდებელი ხარჯვის ჩვევა სულ უფრო მყარად იკიდებს ფეხს. ტუსაღობის მუდმივობის თანაცხოვრების არამუდმივობით გაწონასწორების საჭიროება.

რა მოსაზრებებით არ იყო გამგზავრება არარაციონალური?

ერთიანდებოდნენ რა, დაინტერესებული მხარეები მრავლდებოდნენ, აჩენდნენ შთამომავლობას და ზრდიდნენ მას მოწიფულობამდე, რის შედეგადაც მხარეები თუკი არ დაშორდებოდნენ, იძულებულნი იქნებოდნენ კვლავ შეერთებულიყვნენ და გამრავლებულიყვნენ, რაც უაზრობა იქნებოდა, რათა ამ შეერთებით კვლავ შეექმნათ შემაერთებელი მხარეების თავდაპირველი წყვილი, რაც შეუძლებელი იქნებოდა.

რა მოსაზრებით იყო გამგზავრება სასურველი?

ირლანდიასა და საზღვარგარეთ ზოგიერთი ადგილის მიმზიდველობა, რაც ჩვეულებრივ რუკაზე აღინიშნებოდა ხოლმე პოლიქრომული გამოსახულებით, ანდა სპეციალურ ტოპოგრაფიულ რუკებზე შტრიხებითა და ციფრული აღნიშვნებით.

ირლანდიაში?

მოჰერის კლდეები, კონემარის ქარაშოტი მთები, ლოხ ნეი ჩაძირული გაქვავებული ქალაქით, გოლიათების შარა, კემდენის ფორტი და კარლაილის ფორტი, ტიპერერის ოქროს ველი, ერანის კუნძულები, სამეფო მიტის საძოვრები, ბრიჯიდის თელა კილდეირში, ქუინზ-აილენდის ვერფი ბელფასტში, ორაგულის ნახტომი, კილარნის ტბები.[13]

საზღვარგარეთ?

ცეილონი (პლანტაციებით, საიდანაც ჩაით მარაგდება ტომას კერნანი, აგენტი ფირმისა “პულბრუკი, რობერტსონი და კომპანია”, ლონდონი, მონსინგ-ლეინი 2 და დეიმ-სტრიტი 5, დუბლინი), იერუსალიმი, წმინდა ქალაქი (ომარის მეჩეთითა და დამასკოს კარიბჭით, ოცნებათა მწვერვალი), გიბრალტარის სრუტე (ერთადერთი და განუმეორებელი, მერიონ ტუიდის სამშობლო), პართენონი (სადაც შიშველი ბერძენი ქალღმერთების ქანდაკებებია), უოლ-სტრიტის ფინანსიური ბირჟა (საერთაშორისო ფინანსების მაკონტროლებელი), პლასა დე ტოროსი ლა ლინეაში, ესპანეთი (სადაც კამერონელმა მთიელმა ო'ჰარამ ხარი მოკლა), ნიაგარა (რომელსაც ვერც ერთი მოკვდავი დაუსჯელად ვერ გადაივლის), ესკიმოსების ქვეყანა (საპონს რომ ჭამენ), ტიბეტის აღკვეთილი მხარე (საიდანაც არცერთი მგზავრი არ დაბრუნებულა), ნეაპოლის ყურე (ნახე და მოკვდი), მკვდარი ზღვა.

რითი იყო წარმართული და რომელ მნათობთა ნიშანს მისდევდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვაზე შუაღამისას ჩრდილოეთის ვარსკვლავს, რომელიც მდებარეობს დიდი დათვის თანავარსკვლავედის ბეტადან ალფამდე გავლებული წარმოსახვითი სწორი ხაზის, რომელიც გრძელდება და გარედან იყოფა ომეგასთან, გადაკვეთაზე იმ მართკუთხა სამკუთხედის ჰიპოტენუზასთან, რომელიც იქმნება დიდი დათვის ალფა-ომეგა და ალფა-დელტა ხაზების გადაკვეთით.[14] ხმელეთზე შუადღისას ბისფერულ მთვარეს, ცვალებადი არასრული ფაზებით რომ ანათებდა უდარდელი ჩასუქებული მოსეირნე ქალის არუიმედოდ შუქგაუმტარი ქვედატანის უკანა ჭრილიდან, ღლისით კი ღრუბლის გოდოლს.[15]

როგორი განცხადება ამცნობდა საზოგადოებას წასულის გაქრობას?

5 გირვანქა ჯილდო, გაიტაცეს ან გაიპარა თავისი სახლიდან, ეკლზ-სტრიტი 7, დაკარგული მამაკაცი 40-იოდე წლისა, პასუხობს სახელზე ბლუმი, ლეოპოლდი (პოლდი), სიმაღლე 5 ფუტი და 9-ნახევარი დიუმი, ჩაფსკვნილი, შავგვრემანი, შესაძლოა წვერი მოუშვა, უკანასკნელად რომ ნახეს შავი კოსტუმი ეცვა. ზემოთ ნახსენები თანხა გაიცემა ნებისმიერი ინფორმაციისთვის, რომელიც მის მოძებნას დაეხმარება.

როგორი უნივერსალური ორწევრა სახელწოდება შეეფერებოდა მას როგორც არსებულსა და არარსებულს?

რომელიც უტარებია ნებისმიერ სხვას ანდა რაც უცნობია ყველასათვის. ყოველი ან არავინ.[16]

რა პატივი მიეგება?

უცხოელების პატივი და საჩუქრები, ყოველის მეგობართაგან. უკვდავი ნიმფა, მშვენიერი, არავინის საბედო.[17]

წასული აღარასოდეს აღარსად არცროგორ არ დაბრუნდება?

მარადჟამ იხეტიალებდა იგი, საკუთარ თავზე ძალდატანების შედეგად, თავისი კომეტური ორბიტის უკიდურეს კიდემდე, უძრავ ვარსკვლავთა და ცვალებად მზეთა და ტელესკოპით დანახული პლანეტებისა და ასტრონომიულ მომთაბარეთა და მაწანწალათა იქით სივრცის უკიდურეს საზღვრამდე, ქვეყნიდან ქვეყანაში, ხალხთა შორის, მოვლენათა შუაგულში. სადღაც, ჩუმად ნათქვამს გაიგონებდა და თითქოს საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ, მზის ნებით იძულებული, დაჰყვებოდა დაბრუნების მოწოდებას. ამის შემდეგ კი ჩრდილო გვირგვინიდან გამქრალი, როგორღაც კვლავ გამოჩნდებოდა აღორძინებული დელტის ზემოთ კასიოპეას თანავარსკვლავედში და ხეტიალის უთვალავი ეონების შემდეგ დაბრუნდებოდა უცნობელ შურისმაძიებლად, ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ მართლმსაჯულების გასატარებლად, მოქურუხებულ ჯვაროსნად, გამოფხიზლებულ მძინარედ, ფინანსური რესურსების მფლობელად, დაშვების სახით, როტშილდის ანდა ვერცხლის მეფის სიმდიდრეს რომ აღემატებოდა.[18]

რა გადააქცევდა ამ დაბრუნებას ირაციონალურად?

არადამაკმაყოფილებელი ტოლობა გამოსვლასა და დაბრუნებას შორის დროში შექცევადი სივრცის მეშვეობით და გამოსვლასა და დაბრუნებას შორის სივრცეში შეუქცევადი დროის მეშვეობით.

ინერციის წარმომშობ ძალთა რა თამაშის გამო ხდებოდა წასვლა არასასურველი?

გვიანი საათი, რასაც მოსდევდა ზოზინი: ღამის სიბნელე, რასაც მოსდევდა უხილავობა: გზების უცოდინარობა, რასაც მოსდევდა ხიფათი: დასვენების საჭიროება, რაც ხელს უშლიდა მოძრაობას: დაკავებული ლოგინის სიახლოვე, რაც ხელს უშლიდა ძიებას: (თეთრეულის) სიგრილით განელებული (ადამიანური) სითბოს წინათგრძნობა, რაც ხელს უშლიდა სურვილსა და ხდიდა მას სასურველს: ნარცისის სტატუეტი, ხმა გამოძახილს გარეშე, სასურველი სურვილი.

რა უპირატესობანი გააჩნდა დაკავებულ ლოგინს დაუკავებელთან შედარებით?

ღამის მარტოობის დაძლევა, ადამიანური (მოწიფული ქალი) სითბოს ხარისხობრივი უპირატესობა არაადამიანურთან (სათბური) შედარებით, დილის კონტაქტის მასტიმულირებელი ეფექტი, გაუთოვების აუცილებლობის თავიდან აცილება, თუ შარვალი აკურატულად იქნება დაკეცილი და სიგრძეში მოთავსებული ზამბარიან (ზოლიან) და მატყლის (ჩალისფერ კუბოკრულ) ლეიბებს შორის.

დაგროვილი დაღლილობის რომელი ერთმანეთის მომდევნო, წარმოშობამდე გააზრებული, მიზეზები გაიხსენა ბლუმმა სანამ წამოდგებოდა?

ბიბლიოთეკა

საუზმის მომზადება (ალსავლენის შეწირვა): ნაწლავების გავსება და კარგად მოფიქრებული კუჭში გასვლა (წმინდათაწმინდა): აბანო (იოანეს წესი): დაკრძალვა (სამუელის წესი): ელიგზანდერ კლიტის რეკლამა (ურიმ და თუმიმ): მსუბუქი სამხარი (მელქისედეკის წესი): მუზეუმისა და ეროვნული ბიბლიოთეკის მონახულება (საწმინდარი): წიგნის ძიება ბედფორდ-როუზე, მერჩენტს-არჩზე, უელინგტონის სანაპიროზე (სიმჰატ თორა): მუსიკა ორმონდ-ოტელში (შირა შირიმ): შეხვედრა მრისხანე ტრიგლოდიტთან ბერნარ კირნანის დაწესებულებაში (ყოვლად დასაწველი): დროის უნაყოფო პერიოდი, კებით მგზავრობის, ჭმუნვის სახლში მისვლის, გამოთხოვების ჩათვლით (უდაბნო): ქალური ექსჰიბიციონიზმის ეროტიკული გამოვლინება (ონანის წესი): ქ-ნ მაინა პიურფოის გაჭიანურებული მშობიარობა (სამადლობელი შესაწირავი): ქ-ნ ბელა კოენის საროსკიპოში მისვლა, ტაირონ-სტრიტ 82, რაც მოჰყვა ჩხუბი და აყალმაყალი ბივერ-სტრიტზე (არმაგედონი): ღამის გასეირნება მეეტლის თავშესაფრისკენ და უკან, ბატ-ბრიჯი (მონანიება).[19]

როგორი თავსმოხვეული გამოცანა დაუსახა გაუცნობიერებლად საკუთარ თავს ბლუმმა, როდესაც ადგომა და წასვლა დააპირა, დასკვნის სახით, რათა შესძლებოდა დასკვნის გაკეთება?

მიზეზი მოკლე მკვეთრი გაუთვალისწინებლად გაგებული ეული ხმამაღალი ტკაცანისა, რომელსაც დაჭიმულძარღვიანი ხის მაგიდის უსულგულო მატერია გამოსცემდა.[20]

როგორი თვითგართულებული გამოცანა დაისახა თუმც ვერ გადაჭრა, შეგნებულად ბლუმმა, როდესაც ადგა, გაიარა, დაიწყო მრავალფერი მრავალნაირი მრავალრიცხოვანი ტანსაცმლის შეგროვება?

ვინ იყო მაკინტოში?

რომელი თვითცხადი გამოცანა, რომელზედაც ცვალებადი წარმატებით თავს იტეხდა 30 წლის მანძილზე, უხმოდ და მოულოდნელად გადაწყვიტა ბლუმმა ახლა, როდესაც ბუნებრივი სიბნელე ჩამოაგდო ხელოვნური სინათლის ჩაქრობით?

სად იყო მოსე, როდესაც სინთელი ჩაქრა?

წარმატებული დღის რომელი წარუმატებლობანი ჩამოთვალა უხმოდ თანმიმდევრულად ოთახში მოძრავმა ბლუმმა, როდესაც აზლაზან განძარცვულ მამაკაცის ტანისამოსს აგროვებდა?

რეკლამის განთავსების დროებითი წარუმატებლობა: ტომას კერნანისაგან (აგენტი ფირმისა "პულბრუკი, რობერტსონი და კომპანია":, დუბლინი, დეიმ-სტრიტი 5 და ლონდონი, მინსინგ-ლეინი 2) ჩაის გარკვეული რაოდენობა მიელო: დაედგინა უკანა სწორნაწლავოვანი ხვრელის არსებობა ან არარსებობა ელინურ ქალღმერთან: დასწრებოდა (მიწვევით ან ბილეთით) "ლეას" წარმოდგენას ქ-ნ ბენდმან პალმერის მონაწილეობით გეიეტის თეატრში, სამხრეთ კინგ-სტრიტი 46, 47, 48, 49.

რომელი იქ არმყოფის სახე წარმოესახა უხმოდ შეჩერებულ ბლუმს?

სიმამრის, გარდაცვლილი მაიორ ბრაიან კუპერ ტუიდისა, დუბლინის სამეფო მსროლელთა რაზმი, გიბრალტარიდან და რეჰობოთიდან, დოლფინზ-ბარნი.

იმავე სახის რა განმეორებადი ხილვები არსებობდა ჰიპოთეტურად?

თანდათან მიმავალი დიდი ჩრდილო რკინიგზის, ეიმენზ-სტრიტი, სადგურიდან და მზარდი აჩქარებით პარალელური ხაზების გასწვრივ, რომლებიც უსასრულობაში გაერთიანდებოდნენ რომ გაგრძელებულიყვნენ: პარალელური ხაზების გასწვრივ უსასრულობიდან მუდმივი და კლებადი შენელებით, დიდი ჩრდილო რკინიგზის, ეიმენზ-სტრიტი, სადგურში დაბრუნებული.

ქალის რომელი პირადი სატარებელი ნივთები თუ სამოსი დაინახა?

ქალის ახალი, უსუნო, შავი აბრეშუმნარევი წინდები, ახალი სოსანი ლეკვერთხები, ინდური მუსლინის დიდი ზომის ერთობ ფართე პერანგის ამხანაგი, რომელსაც ოპოპონაქსის, ჟასმინის, თურქული სიგარეტ "მიურატის"სურნელი ასდიოდა, ზედ გრძელი, კრიალა ფოლადის ქინძისთავი ება და მრუდხაზოვნად იყო დაკეცილი, წმინდა მაქმანით გაწყობილი ბატისტის ბიუსტჰალტერი, ცისფერი მუარის ფურჩალიანი ქვედატანი, ყველაფერი ეს უწესრიგოდ ეწყო ოთხკუთხა, ოთხთასმიან, კუთხეებგამაგრებულ, სხვადასხვა ფერის ეტიკეტებიან და წინა მხრიდან თეთრად გამოყვანილ ინიციალებიან ბ.კ.ტ. (ბრაიან კუპერ ტუიდი) ზანდუკზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელი არა პირადი ნივთები დაინახა?

ღამის ქოთანზე დასაჯდომი, ცალფეხგაბზარული, ვაშლებით მოხატული ოთხკუთხა კრეტონის ხელსახოცით დაფარებული, რომელზეც ქალის შავი ჩალის ქუდი იდო. ტუალეტის ნარინჯისფერი ნაკრები, შეძენილი ჰენრი პრაისთან, კლათწნულები, გალანტერეა, ფაიფური, კაველი, მურ-სტრიტი, 21, 22, 23, ყველაფერი ეს უწესრიგოდ ეწყო პირსაბანზე და იატაკზე და მათთან ერთად საბანი თასი, სასაპნე და კბილის ჯაგრისის სინი (პირსაბანზე, ერთად), დოქი და ღამის ქოთანი (იატაკზე, ცალ-ცალკე).

ბლუმის მოქმედება?

ტანისამოსი სკამზე დააწყო, დანარჩენიც გაიხადა, მუთაქის ქვემოდან დაკეცილი გრძელი თეთრი ღამისპერანგი გამოაძრო, თავი და მკლავები ღამისპერანგის შესატყვის ჭრილებში გაუყარა, ბალიში საწოლის თავიდან ბოლოში გადაიტანა, ლოგინის თეთრეული შესატყვისად მოიწყო და შიგ შეწვა.

როგორ?

წინდახედულად, როგორც მუდამ როდესაც სადგომში შედიოდა (საკუთარში ან სხვისაში): რიდით, რადგან ლეიბის გველსპირალური ზამბარები, სპილენძის რგოლები და ჩამოკიდული ბადე სიძველისგან მორყეულიყო და დაჭიმვისა და დაშლის შედეგად ზანზარებდა: დიდი სიფრთხილით, თითქოს ვნებათაღელვის ბუნაგში თუ მახეში შედიოდა ან ასპიდის ბუდეს უახლოვდებოდა: მსუბუქად, ნაკლებად რომ შეეწუხებინა: მოკრძალებით, ჩასახვისა და დაბადების, ქორწინების დაგვირგვინებისა და ქორწინების ჩაშლის, ძილისა და სიკვდილის სარეცელში.

რას აწყდებოდნენ მისი კიდურები თანდათანობითი გაშლისას?

ახალ სუფთა ზეწარსა და საბნის პირს, დამატებით სუნებს, ადამიანური სხეულის სიახლოვეს, ქალის, მისი, ადამიანის სხეულის ანაბეჭდს, მამაკაცისას, არა თავისას, რაღაც ნაფშვენებს, შემთბარი პაშტეტის ნამცეცებს, რომლებიც მოიშორა.

რომ გაეღიმა, რატომ გაიღიმებდა?

იმ აზრის გამო, რომ ყოველი მათგანი ვინც შედის წარმოიდგენს რომ პირველია ვინც შედის როდესაც მუდამ უკანასკნელია წინარეთა შორის, თუნდაც პირველი იყოს შემდგომთა შორის, და ყველას წარმოუდგენია, რომ პირველია, უკანასკნელი და ერთადერთი იმ დროს, როდესაც არც პირველია და არც უკანასკნელი ისევე როგორც არც ერთადერთი იმ რიგში, რომელიც უსასრულობაში იწყება და მეორდება.

როგორი იყო წინამორბედთა რიგი?

დავუშვათ, რომ ამ რიგში პირველი იყო მალვი, შემდეგ პენროუზი, ბარტელ დ'არსი, პროფესორი გუდვინი, იულიუს მასტიანსკი, ჯონ ჰენრი მენტონი, მამა ბერნარდ კორიგანი, ფერმარი დუბლინის სამეფო საზოგადოების მოწყობილ საცხენოსნო გამოფენიდან, მეგოტ ო'რილი, მეთიუ დილონი, ვალენტაინ ბლეიკ დილონი (დუბლინის ლორდ მერი), ქრისტოფერ კელინანი, ლენეჰანი, იტალიელი მეარღნე, უცნობი ჯენტლმენი გეიეტის თეატრში, ბენჯამინ დოლარდი, საიმონ დედალოსი, ენდრიუ (პისუარ) ბერკი, ჯოუზეფ კაფი, უიზდომ ჰილი, ოლდერმან ჯონ ჰუპერი, დოქტორ ფრანსის ბრეიდი, მამა სებასტიანი ანგუსის მთიდან, ფეხსაცმლის მწმენდავი მთავარი ფოსტიდან, ჰიუ ე. (შმაგი) ბოილანი და ასე ყოველი და ასე ამრიგად უკანასკნელ ასომდე.[21]

რას ფიქრობდა ამ რიგის უკანასკნელი წევრისა და საწოლის ამასწინდელი ბინადარის შესახებ?

ფიქრობდა მის ძალაზე (თავხედი), აღნაგობაზე (აფიშების გამკვრელი) კომერციულ ნიჭზე (არამზადა), შთაბეჭდილების მოხდენის უნარზე (ბაქია და კოხტაპრუწა).

რატომ ემატებოდა დამკვირებლისათვის ძალას, აღნაგობას და კომერციულ ნიჭს კიდევ შთაბეჭდილების მოხდენის უნარიც?

რადგან იმავე რიგის წინა წევრებში სულ უფრო გაზრდილი სიხშირით ხედავდა იმავე ჟინსა და აღტკინებას, რომელიც გადაიცემა ჯერ ღელვით, შემდეგ გაგებით, შემდეგ სურვილით და ბოლოს დაღლილობით, ორივსქესის წინათგრძნობითა და მონაცვლეობითი თანაგრძნობით.

რა ანტაგონისტურმა გრძნობებმა დააჩნიეს კვალი მის შემდგომ ფიქრებს?

შურმა, ეჭვიანობამ, განდგომილობამ, აუღელვებლობამ.

ბიბლიოთეკა

შურმა?

სხეულებრივ-სულიერი მამაკაცური ორგანიზმის მიმართ, რომელიც ოპტიმალურად არის მორგებული ზედაპოზიციისათვის ენერგიული ადამიანური სიახლოვისას და დგუშის ენერგიული მოქმედებისათვის ცილინდრში, რაც აუცილებელია სხეულებრივ-ქალურ ორგანიზმში არსებული პასიური, მაგრამ არა უგრძნობელი, მუდმივი, თუმცა არა გამძაფრებული, ვნების სრული დაკმაყოფილებისათვის.

ეჭვიანობამ?

რადგან მოწიფული ნატურა, არასანდო და არამდგრადი თავის თავისუფალ მდგომარეობაში, მონაცვალეობით მოქმედებდა როგორც მიზიდულობის აგენტი და რეაგენტი. რადგან მიზიდულობა აგენტებსა და რეაგენტებს შორის გამუდმებით იცვლებოდა, მატებისა და კლების უკუპროპორციულად, მუდმივი წრიული გაფართოებითა და რადიალური შეყვანით. რადგან მიზიდულობის ცვალებადობის გაკონტროლებული თვალთვალი იწვევდა, სურვილისამებრ, ტკბობის ცვალებადობას.

განდგომილობამ?

ა) 1903 წლის სექტემბერში ჯორჯ მიზაიესის, თერძის ატელიეში იდენ-ქუეი 5, დაწყებული ნაცნობობის გამო, ბ) გაწეული და მიღებული, ურთიერთი და არაერთგზისი სტუმართმოყვარეობის გამო, გ) შედარებითი ახალგაზრდობის გამო, რაც მგრძნობიარეა ამბიციისა და სულგრძელობის, კოლეგებისადმი ალტრუიზმისა და სიყვარულში ეგოიზმის გამოვლინებისადმი, დ) ექსტრარასობრივი გატაცების, შიდარასობრივი აკრძალვების, ზერასობრივი პრეროგატივის გამო, ე) პროვინციებში მოსალოდნელი მუსიკალური ტურნეს, საზიარო მიმდინარე ხარჯებისა და სუფთა მოგების განაწილების გამო.

აუღელვებლობამ?

ისეთივი ბუნებრივი როგორიცაა ბუნების ნებისმიერი და ყოველი ბუნებრივი აქტი, გამოხატული ან შეცნობილი, აღსრულებული ბუნებაში ბუნებრივ ქმნილებათა მიერ მისი ან მათი ბუნებრივად შექმნილი არამსგავს მსგავსებისდა შესაბამისად. როგორც ნაკლებ დამღუპველი ვიდრე ჩამქრალ მზესთან შეჯახების შედეგად ჩვენი პლანეტის კატასტროფული დაღუპვა. როგორც ნაკლებ საძრახისი ვიდრე ქურდობა, შარაზე ძარცვა-გლეჯა, ბავშვებისა და ცხოველებისადმი სასტიკი დამოკიდებულება, თაღლითობით ფულის შოვნა, სიყალბე, გაფლანგვა, ხაზინის გაძარცვა, საზოგადოების ნდობის გაცრუება, სიმულირება, ადამიანის დასახიჩრება, არასრულწლოვანთა გარყვნა, ცილისწამება, შანტაჟი, სასამართლოს შეურაცხყოფა, ცეცხლის წაკიდება, ღალატი, სისხლის სამართლის დანაშაული, ჯანყი გემზე შუაზღვაში, კერძო საკუთრების უფლების დარღვევა, ბინის გატეხვა, ციხიდან გაქცევა, ზნე-ჩვეულებათა გაუკუღმართება, მოქმედი არმიიდან დეზერტირობა, ცრუმოწმეობა, ბრაკონიერობა, მევახშეობა, ჯაშუშობა მეფის მტრების სასარგებლოდ, თვითმარქვიობა, დაყაჩაღება, არაწინასწარგანზრახული მკვლელობა, წინასწარგანზრახული და მოფიქრებული მკვლელობა. როგორიც არა უფრო ანომალიური ვიდრე ადაპტაციის ყველა სხვა პარალელური პროცესი არსებობის ცვალებად პირობებთან, რაც გამომდინარეობს სხეულებრივი ორგანიზმისა და მისი გარემომცველი პირობების თანასწორობიდან, როგორიცაა საჭმელი, სასმელი, შეძენილი ჩვევები, მისატევებელი სისუსტეები, სერიოზული დაავადებები. გარდუვალზე უფრო მეტი, გამოუსწორებელი.

რატომ უფრო მეტად განდგომილობა ვიდრე ეჭვიანობა და ნაკლებად შური ვიდრე აუღელვებლობა?

შეგინებიდან (ცოლ-ქმრობა) შეგინებამდე (მრუშობა) შეიძლება წარმოშობილიყო მხოლოდ შეგინება (კოპულაცია), და მაინც ცოლ-ქმრობაში შებღალულის ცოლ-ქმრობის შემბღალველი არ განიცდიდა შეგინებას მრუშობით შებღალულის მრუში შემბღალველისაგან.

რა შურისგება იყო მოსალოდნელი თუკი საერთოდ იქნებოდა?

მკვლელობა, არასოდეს, რადგან ორი ბოროტება ერთ სიკეთეს ვერ შექმნის. დუელი სიკვდილამდე, არა. განქორწინება, ახლა არა. მხილება მექანიკური საშუალებით (საწოლის ავტომატური მოწყობილობით აღჭურვა) ან ინდივიდუალური მოწმით (დამალული თვითმხილველი), ჯერ არა. სარჩელის წარდგენა ზარალის გამო სასამართლოს წესით ანდა თავდასხმის სიმულაცია მიყენებული სხეულის დაზიანებით (თვითმიყენებული), არა შეუძლებელი. გასამრჯელოს მოთხოვნა დუმილისთვის მორალური ზეგავლენის გზით, შესაძლებელი. ნებისმიერი აშკარა წაყრუების შემთხვევაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონკურენციის მოხმობა (მატერიალური, წარმატებული სარეკლამო სააგენტოს სახით: მორალური, წარმატებული რაყიფის სახით ინტიმურ სფეროში), სახელის გატეხა, ამხედრება, დამცირება, დაშორიშორება, დაშორებულის დაცვა მეორისაგან, დამშორებლის დაცვა ორივესგან.

რა მოსაზრებით ამართლებდა თავის გრძნობებს, როდესაც თავად იყო გაურკვევლობის სიცარიელის შეგნებული მოწინააღმდეგე?

ცოლ-ქმრული კავშირის წინასწარგანსაზღვრული სიმყეფე: სავარაუდო მიუწვდომლობა საგნისა თავისთავად:[22] შეუთავსებლობა და დისპროპორცია ზღვარგადასული დაძაბულობისა, როდესაც რაიმეა გასაკეთებელი და ხანმოკლე შვებას შორის, როდესაც საქმე გაკეთებულია: ყოვლად მცდარი აზრი ქალის სისუსტეზე: მამაკაცის სიძლიერეზე: ეთიკური კოდექსების ცვალებადობა: ბუნებრივი გრამატიკული გადასვლა ინვერსიის მეშვეობით, რომელიც აორისტულ პრეტერიტულ[23] დებულებას აზრს არ უცვლის, (შედგენილი მამრობითი სქესის ქვემდებარისაგან, ერთმარცვლიანი ხმაბაძვითი გარდაუვალი ზმნისა და მდედრობითი ქსესის პირდაპირი დამატებისაგან) მოქმედებითი გვარიდან ვითარებითში (შედგენილი მდედრობითი სქესის ქვემდებარისაგან, დამხმარე ზმნისა და კვაზიერთმარცვლიანი ხმაბაძვითი წარსული მიმღეობისა და მამრობითი სქესის ირიბი დამატებისგან): თესლის დამთესველების შეუჩერებელი წარმოშობა დაბადების საშუალებით: თესლის შეუჩერებელი წარმოება დისტილაციის გზით: ტრიუმფის ან პროტესტის ანდა შურისგების უნაყოფობა: განდიდებული სათნოების ამაოება: აგნოსტიკური მატერიის ლეთარგია: ვარსკვლავთა აპათია.

რა საბოლოო კმაყოფილებაში შეერთდნენ, უმარტოვეს ფორმამდე დაყვანილი, ეს ანტაგონისტური აზრები და გრძნობები?

კმაყოფილება ყველგან სუფევაში დედამიწის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნახევარსფეროებში, ყველა დასახლებულ მიწასა და კუნძულზე გამოკვლეულსა თუ გამოუკვლეველზე (შუაღამის მზის ქვეყანა, ნეტარი კუნძულები, საბერძნეთის კუნძულები, აღთქმული მიწა), ქალის ფუმფუშა ფრონტალური და უკანა ნახევარსფეროებში, რომლებიც რძისა და თაფლის არომატს, ცხოველმყოფელურ და სპერმატულ სითბოს გამოსცემენ, მომრგვალებული მრუდების სეკულარულ ოჯახებს რომ წააგავს, არ ექვემდებარება განწყობილებათა ცვალებადობისა თუ გამონათქვამთა წინააღმდეგობრივ გამოხატვას, რამეთუ თავად მხოლოდ უტყვ და მარადიულ ცხოველურობას გამოხატავს.

კმაყოფილების წინარე თვალნათლივი ნიშნები?

ნაწილობრივი ერექცია: გაღვიძებული სიმპათია: თანდათანი წამოწევა: ფრთხილი გამოჩენა: უტყვი ჭვრეტა.

შემდეგ?

აკოცა მის დუნდულა ბორცვოვან ნესვოვან სურნელოვან გავას, ორივე ფუნჩულა ნესვოვან ნახევარსფეროს, მათ ბუსუსოვან მთაგორებს, დაბინდული ხანგრძლივი გამომწვევი ნესვსურნელოვანი კოცნით.

კმაყოფილების შემდგომი თვალნათლივი ნიშნები?

მდუმარე ჭვრეტა: ფრთხილი მიფერება: თანდათანი დაწევა: გამოღვიძებული ანტიპათია: ერექციის გაქრობა.

რა მოჰყვა ამ მდუმარე მოქმედებას?

მძინარე გამოძახილი, ნაკლებად მძინარე ცნობა, თანდათანი ალგზნება, კატეხიზური გამოკითხვა.

რა ცვლილებებით უპასუხა მთხრობელმა ამ გამოკითხვას?

უარყოფითი: საჭიროდ არ ჩათვალა ეხსენებინა საიდუმლო მიმოწერა მართა კლიფორდსა და ჰენრი ფლაუერს შორის; საქვეყნო აყალმაყალი ბერნარდ კირნანისა და კომპანიის დაწესებულებაში, მცირე ბრიტან-სტრიტი 8, 9 და 10; ეროტიკული გამოწვევა და მისი რეაქცია მასზე რაც გერტრუდის (გერტის), გვარი უცნობია, ექსჰიბიციონიზმის შედეგი იყო. დადებითი: საჭიროდ ჩათვალა ეხსენებინა ქ-ნ ბენდმან პალმერის მიერ "ლეას" წარმოდგენაში მონაწილეობა გეიეტის თეატრში, სამხრეთ კინგ-სტრიტი 46, 47, 48, 49; ვახშამზე მიპატიჟება ოტელ "ვინში" (მერფის), ქვედა ები-სტრიტი 35, 36 და 37; ცოდვილი პორნოგრაფიული ტენდენციის წიგნი, სათაურით "ცოდვის სიამენი", ანონიმი ჯენტლმენის ავტორობით; დროებითი შოკი, რაც მოჰყვა

საჭმლის მონელების შემდეგ ჩატარებული ვარჯიშის არასწორ მოძრაობას, რისი მსხვერპლიც შეიქნა (მალევე მომჯობინდა) სტივენ დედალოსი, მასწავლებელი და ლიტერატორი, საიმონ დედალოსის, გაურკვეველი საქმიანობის, ცოცხლად დარჩენილი უფროსი ვაჟი, მისი (მთხრობელის) აერონავტიკული მიღწევა მოწმის, ხსენებული მასწავლებლისა და ლიტერატორის, თანდასწრებით ზუსტად და გიმნასტიკური სიმარჯვით შესრულებული.

სხვამხრივ თავისუფალი თუ იყო თხრობა ცვლილებებისგან?

სავსებით.

რომელი შემთხვევა ან პიროვნება იქნა წამოწეული წინა პლანზე თხრობისას?

სტივენ დედალოსი, მასწავლებელი და ლიტერატორი.

აქტიობის რა შეზღუდვას და ცოლ-ქმრული უფლების, უშუალოდ მათთან დაკავშირებულ, რა შეფერხებას გრძნობდნენ მსმენელი და მთხობელი ამ წყვეტილი და სულ უფრო და უფრო ლაკონური თხრობის პროცესში?

მსმენელის მხრიდან მისი ნაყოფიერების შეზღუდვა, იმდენად რამდენადაც ქორწინება იდღესასწაულეს მისი დაბადების მე-18 წლისთავის (1870 წლის 8 სექტემბერი) 1 კალენდარული თვის შემდეგ, ანუ 8 ოქტომბერს და იმავე რიცხვში აღასრულეს და ასული ნაშიერი იშვა 1889 წლის 15 ივნისს, რომლის ჩასახვა დაიწყო იმავე წლის 10 სექტემბერს, ხოლო სრული ფიზიკური კავშირი, თესლის დანთხევით ქალის ბუნებრივ ორგანოში უკანასკნელად შედგა 5 კვირით ამაზე ადრე, ანუ 1893 წლის 27 ნოემბერს, სანამ 1893 წლის 29 დეკემბერს დაიბადებოდა მეორე (ერთადერთი მამრობითი სქესის) ნაშიერი, რომელიც 1894 წლის 9 იანვარს გარდაიცვალა 11 დღის ასაკში, ისე რომ მთელი 10 წლის, 5 კვირისა და 18 დღის განმავლობაში მათი ფიზიკური ურთიერთობა არასრული იყო, ქალის ბუნებრივ ორგანოში თესლის დაუნთხევლად. მთხრობელის მხრიდან აქტიურობის შეზღუდვა, გონებრივი და ფიზიკური, იმდენად რამდენადაც სრული გონებრივი ურთიერთობა მასსა და მსმენელს შორის არ დამყარებულა მას შემდეგ რაც მთხობელისა და მსმენელის მდედრობითი ნაშიერი მოწიფდა, რაზეც მიანიშნებდა ყოველთვიური სისხლის დენა, 1903 წლის 15 სექტემბერს, ისე რომ მთელი 9 თვისა და 1 დღის განმავლობაში, მოწიფულ ქალებს (მსმენელსა და ნაშიერს) შორის წინასწარ ნავარაუდევი ბუნებრივი ურთიერთგაგების ურთიერთგაუგებრობის შედეგად, მოქმედების სრული ფიზიკური თავისუფლება შეზღუდული იყო.

როგორ?

სხვადასხვაგვარი ხშირი ქალური გამოკითხვებით მამაკაცის მარშრუტების შესახებ, საით, რა ადგილას, რა დროს, რა ხნით, რა მიზნით, დროებით სხვაგან წასვლის შემთხვევაში, რაც დაგეგმილი ან უკვე შემდგარი იყო.

რა დასტრიალებდა ხილულად მსმენელისა და მთხრობელის უხილავ აზრებს?

ლამპისა და აბაჟურის ანარეკლი, ზევით ატყორცნილი, სინათლისა და ჩრდილის კონცენტრული წრეების უსისტემო სერია სინათლისა და ჩრდილის სხვადასხვა გრადაციით.

რა მიმართულებით იწვნენ მსმენელი და მთხრობელი?

მსმენელი სამხრეთ-აღმოსავლეთი - აღმოსავლეთი: მთხრობელი ჩრდილო-დასავლეთი - დასავლეთი: ჩრდილო განედის 53-ე პარალელი და დასავლეთ გრძედის მე-6 მერიდიანი: 45 გრადუსით დედამიწის ეკვატორთან.

უძრავ თუ მოძრავ მდგომარეობაში?

უძრავნი თავის თავთან და ერთმანეთის მიმართ. მოძრავნი იმდენად რამდენადაც თითოეულს და ორივეს ერთად დედამიწის მარადიული მოძრაობა დასავლეთისაკენ, შესატყვისად წინ და უკან, მარადუცვლელი სივრცის მარადცვალებად გზებზე მიაქანებდა.[24]

რა მდგომარეობაში?

მსმენელი: მარცხენა გვერდზე სანახევროდ წამოწოლილი, მარცხენა ხელი თავქვეშამოდებული, მარჯვენა ფეხი პირდაპირ გაჭიმული და მარცხენა მოკეცილ ფეხზე შემოდებული, გეა-ტელუსის[25] პოზაში, (აღსრულებული) და გაწოლილი, თესლით გაჯერებული. მთხრობელი: მარცხენა გვერდზე დაწოლილი, მარჯვენა და მარცხენა ფეხი მოკეცილი, მარჯვენა ხელის ცერი და საჩვენებელი თითები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხვირის ფუძეზე, იმ პოზაში, ოდესლაც პერსი ეპჯონის მიერ გადაღებულ სურათზე რომაა, დაქანცული ბალღიკაცი, კაციბალღი საშოში.

საშოში? დაქანცული?

ისვენებს. ნამოგზაურია.

მასთან ერთად?

სინდბადი ზღვაოსანი და ტინბადი ტინოსანი და ჯინბადი ჯინოსანი და ვინბადი ვინოსანი და ნინბადი ნიჩბოსანი და ფინბადი ფინთოსანი და ბინბადი ბინდოსანი და პინბადი პიროსანი და მინბადი მინდოსანი და ჰინბადი ჰინდოსანი და რინბადი რიდოსანი და დინბადი ქიდოსანი და შინბადი შინდოსანი და ლინბადი ქშინოსანი და ქსინბადი ფშინოსანი.

როდის?

გზად ბნელი ლოგინისაკენ იყო სინდბადი ზღვაოსანის როჰის ალკას ოთხკუთხა მრგვალი კვერცხი ყველა როჰის ალკას ბნელბადი შუქმფენდოსანის სარეცელის უკუნეთში.

სად?

## შენიშვნები

1. "ბლუმი" ყვავილს ნიშნავს.
2. (ლათ.) "მუდამ მზადყოფნაში".
3. (ლათ.) "საპატიო წოდება".
4. ჩამოთვლილ პროექტებს შორის ზოგიერთი განხორციელდა საუკუნეთა მიჯნაზე, ზოგიერთი კი ფიქციაა.
5. ჩამოთვლილ ცნობილ ფინანსისტთა სიაში შეცდომაა, უნდა იყოს ბლამ-ფაშა (სერ ჯულიუს ბლამის ზედმედსახელი, რომელიც მან ეგვიპტეში შეიძინა კაპიტალის დაგროვების პროცესში).
6. ვირა ფოსტერი (1819-1900) - ანგლო-ირლანდიელი განმანათლებელი, რომლის წიგნებით მე-19 საუკუნეში ინგლისის სკოლებში კალიგრაფიას ასწავლიდნენ.
7. ელიგზანდრა (1844-1924) დანიის პრინცესა, ინგლისის მეფე ედუარდ VII-ის მეუღლე.
8. (ებრ.) მიცფა, სათვალთვალო კოშკი; ბიბლიაში ასეთი დასახელების სულ ცოტა 6 ადგილია.
9. ლეოპოლდ ბლუმის ფსევდონიმი.
10. (პირდაპირი მნიშვნელობით: "ხნულივით გადაბრუნებული") ანბანის წინ და უკან შებრუნებით ერთმანეთზე დადებული კრიპტოგრაფიის სახეობა.
11. რ. კიპლინგის პროპაგანდისტული ლექსის რემინისცენცია.
12. (გერ.) "გული... ღმერთი... შენი..."
13. სანახაობრივად მიმზიდველი ადგილები ირლანდიაში, არამარტო ტურისტებისთვის, არამედ პოპულარული საკუთრივ ირლანდიელთა შორისაც.
14. ჩრდილოეთის ვარსკვლავის პოვნის ტრადიციული წესის რთული (და ასტრონომიული თვალსაზრისით არასწორი) აღწერა.
15. შდრ.: გამოსვლა 13:21.
16. 1485 წლის მორილიტეს (რომლის პერსონაჟები არიან სიკეთე, ბოროტება, მეგობრობა და ყოველი, ანუ კაცობრიობის პერსონიფიკაცია) რემინისცენცია.
17. მინიშნება ნიმფა კალიფსოზე "ოდისეადან".
18. მინიშნება რიპ ვან უინკლზე, შინ დაბრუნებულ ოდისევსზე და 1882 წლის პოპულარულ მელოდრამაზე "ვერცხლის მეფე".
19. იუდაიზმისა და ქრისტიანობის მთავარი რიტუალების ჩამონათვალი.
20. შდრ.: "ოდისეას" 21-ე თავში ზევსი ქუხილით ამხნევებს ოდისევსს ხელისმთხოვნელთა წინააღმდეგ ბრძოლაში.
21. მოლი ბლუმის მრუშობის დამადასტურებელი სია; თუმც მრუშობა არა ყოფითი, არამედ ბიბლიური გაგებით, შდრ.: მათე 5:27-28.
22. იმანუილ კანტის ერთ-ერთი დებულების რემინისცენცია.
23. ბერძ. გრამატიკაში: აორისტა - ზმნა განუსაზღვრელ ნამყოში; პრეტერიტი - ნამყო.
24. ირლანდიურ მითოლოგიაში დასავლეთი გარდაცვლილთა მხარეა.
25. ქალღმერთების ბერძნ. გეასა და რომ. თელას შეერთება მიწიერებისა და ნაყოფიერების მეტაფორული მნიშვნელობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ირაკლი აბაშიძე – 90

ანდრო ბუაჩიძე

## თეთრი აჩრდილის მძებნელი

ზოგჯერ პოეტის შემოქმედებაში დგება დრო, როცა მისი ნიჭიერების გამომხატველი ყველა ნიშანი ერთად იყრის თავს და განუყოფელ მთლიანობად წარმოსდგება. ვთქვათ ლირიკული მგრძნობელობის უნარს ეპიკური სიცივე და შეუვალობა ერწყმის, წრფელ აღსარებით ინტონაციას მკაცრი რიტორიკა ეთავსება, მჭიდრო მეტაფორულობას - ვრცელი, გაშლილი თხრობითობა და ა.შ. ასეთ ვითარებაში ურთიერთსაწინააღმდეგო უკიდურესობანი ერთმანეთს ჩაენაცვლებიან და სასურველ სინთეზს ქმნიან. ასე მოხდა ირაკლი აბაშიძის ლექსების ციკლში "პალესტინა, პალესტინა". მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ციკლის მაღალმხატვრულობა და შთამბეჭდაობა არა მხოლოდ დაპირისპირებულ ნიშანთა ურთიერთჩანაცვლებამ და შერწყმამ განაპირობა, არამედ წარმოსახვის სიძლიერემ. სხვაგვარადაც შეიძლება ვთქვათ, ძლიერმა წარმოსახვამ შექმნა წესრიგი და მთლიანობა პოეტურ მეტყველებაში.

როცა კითხულობ ამ ლექსებს, გრძნობ, რომ პოეტს მართლაც ჩაესმოდა რუსთაველის ხმა. და თუმცა ეს ხმა სხვადასხვა ლექსში შინაარსობრივად განსხვავებულ სათქმელს ამბობს, მაინც ერთნაირ ინტონაციურ ჟღერადობას გამოსცემს. გავიხსენოთ "ვინ იცის, როგორ მელის ვარძია". ეს არის წრფელი და კამკამა ლირიკული აღსარება სამშობლოს მოწყვეტილი კაცისა. ამ კაცს ელოდება ვარძია, თმოგვის კედლები, ხერთვისი და ამავე დროს: "ნამი, რომელიც ველის ვარდზეა". ეს არის პრელუდია ციკლისა "პალესტინა, პალესტინა".

ირაკლი აბაშიძის პოეზიისთვის დამახასიათებელმა აღსარებითმა ინტონაციამ, რიტორიკულმა შეკითხვებმა და გამეორებებმა პალესტინური ლექსების ციკლში ყველაზე უფრო მკაფიო გამოხატულება ჰპოვა. ყოველივე ეს კი ერთ თემატურ რკალში მოქცეულმა მოტივებმა განაპირობა. შეიძლება ითქვას, რომ ირაკლი აბაშიძის მიერ განვლილი მთელი პოეტური გზა, გარკვეული აზრით, იყო მზადება ამ ციკლის შესაქმნელად. აქ იგულისხმება არა მხოლოდ მრავალგზის დამუშავებული მხატვრული ხერხები, არამედ მსოფლმხედველობრივი განვითარების ეტაპები. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მანამდე გაფანტულმა ცალკეულმა მოტივებმა, ამ ციკლში ერთი თემატური ღერძის ირგვლივ მოიყარა თავი. მამული, ენა, სარწმუნოება - ასეთია ეს თემატური რკალი, რომელსაც, რა თქმა უნდა, სხვა დიდი და მცირე შენაკადები ასაზრდოებს. ყველაფერი კი ქართული თვითცნობიერების უმთავრეს ნიშანსვეტს - რუსთაველს დაუკავშირდა. ამ სულიერების ქურუმის მსოფლაღქმაში გადატყდა სხვადასხვა სატკივარი, რომელსაც იგი თავის მონოლოგებში ღაღადებს. სწორედ ამგვარი თემატური გამორჩეულობა ქმნის ამაღლებულ განწყობილებას, აღსარების და ლოცვის მსგავს ტონალობას, ლირიკული სუბიექტის კათარზისულ სულიერ გამჭვირვალებას.

ყველაფერი კი უბრალო და მკაცრი სისადავით აღბეჭდილი ეპიგრაფით იწყება: "გულით წყუროდა შენს შორეულ შთამომავალს წარმოედგინა, რას განიცდიდი და ფიქრობდი შენ სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში.

მაშ, ეს "ხმები" ისე ჩაუთვალე მას, თითქოს მართლაც გაეგონოს იგი პალესტინის ქართულ ჯვარის მონასტერში, შენს უკანასკნელ თავშესაფარში, შენი დაკარგვიდან შვიდასი წლის შემდეგ".

ირაკლი აბაშიძის პოეტური ციკლი აქედან იღებს სათავეს. "შენ აქ ხარ" ასე ჰქვია პირველივე ლექსს და მართლაც, პალესტინის ქართული ჯვრის მონასტერი არის პოეტის აზრის და ვნებათაღელვის, თავშეკავებული სწრაფვის ათვლის წერტილი. აქედან უნდა შემოიწეროს ის ტრაექტორია, რომელსაც მაძიებელი აზრი, წარმოსახვა, ჩუმი ჭვრეტა გაივლის.

**სად,**
**სად არ გძებნე -**
**მესხეთს თუ სამცხეს:**
**მე გული ჩემი**
**შენს მონად ვრაცხე...**
**ერთ უქმნელ სურათს**
**ვქმნიდი და ვშლიდი,**
**მე შენს თეთრ აჩრდილს**
**კვალდაკვალ ვდევდი,**
**მესმოდა შენი**
**ფეხის ხმა მშვიდი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტორმა მიაგნო რუსთაველის კვალს, მის რეალობაში უკვე გაჩნდა ის ფიზიკური სივრცე, რომლის წიაღშიც წარმოსახვამ უნდა დაიწყოს თავისი ცხოველმყოფელი მოქმედება. "მე შენს თეთრ აჩრდილს კვალდაკვალ ვდევდი" - "თეთრი აჩრდილი" - რას ნიშნავს ეს მეტაფორა? იქნებ რაღაც მოუხელთებელს და უჩინარს, მერყევს და მყიფეს, ძნელადმისაგნებს და თვალშეუვლებს? ასეა თუ ისე, წამოძახილი "შენ აქ ხარ" ნიშნავს იმას, რომ "თეთრი აჩრდილის" ადგილსამყოფელი, მისი ნაკვალევი მიგნებულია და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ფიზიკური სივრცე ძლიერი წარმოსახვისათვის საყრდენის ფუნქციას ასრულებს. შემდეგი ლექსი პალესტინური ციკლისა - "ვინ იცის, როგორ მელის ვარძია" უკვე მოვიხსენიეთ როგორც ლირიკული პრელუდია, მაგრამ უფრო სწორი იქნება, თუ მას ინტერლუდიას ვუწოდებთ, რადგან ის უფრო ჩანართად, შემაკავშირებელ რგოლად წარმოგვიდგება.

პალესტინური ციკლის ზოგად განწყობილებაზე და ინტონაციაზეც უნდა ითქვას ორიოდე სიტყვა. რა თქმა უნდა, თემატური გამორჩეულობა ერთგვარ ზეაწეულობას სძენს ამ ლექსებს. მაგრამ აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ლექსების მთავარი პერსონაჟი რუსთაველის ხმაა, რომელიც სხვადასხვა გარემოში, უფრო ხშირად მონასტრის კედლებში ვიბრირებს. ამ ფაქტორს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ხმა ადამიანის კვინტესენციაა, მისი შიშველი არსია, სუფთა რეფლექსიაა ყოველგვარი მინარევებისგან განწმენდილი. ხმა მატერიალურია, მოსმენადია და არა ხილვადი, მაგრამ ისევე ავსებს მონასტრის სივრცეს, როგორც ვიწრო სარკმლიდან შემოჭრილი სინათლე. ამ ხმამ შვიდასი წლის სიღრმიდან მოაღწია ავტორამდე.

ირაკლი აბაშიძის ციკლის "პალესტინა, პალესტინას" მაღალმხატვრულობის უეჭველი ნიშანი ის არის, რომ აქ შემთხვევითობის, სპონტანურობის წილი ძალზე მცირეა. ეს ციკლი გარკვეულ წესრიგს და კანონზომიერებას წარმოაჩენს, რაც, უპირველეს ყოვლისა, ლექსების თანმიმდევრობაში ჩანს. ერთი პოეტის ძალზე საგულისხმო აზრით, ვრცელი პოემების დრო დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა, გაჩნდა ახალი ჟანრი - ლექსების წიგნად ან ციკლად წოდებული. ამ ჟანრისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს უწყვეტი პოეტური აზრის დინამიკას, არა ფრაგმენტულობას და ქაოსს, არამედ მთლიანობას და კოსმოსს, ყოველი ფრაზის, ტროპის, შესიტყვების გარკვეულ კონტექსტში აღქმას. ლექსების თანმიმდევრობა მკაცრად დაცული ქრონოლოგიური სიზუსტით კი არ უნდა იყოს განსაზღვრული, არამედ სათქმელის რაობით, ე. ი. შინაარსობრივი პრინციპით. ასეა "პალესტინა, პალესტინაშიც". ყოველი ლექსი შოთა რუსთაველის მიერ გამოთქმული აღსარებაა, მაგრამ ყოველი აღსარება მისი მსოფლმხედველობრივი ნიშანსვეტის გამომხატველია. პირველი "ხმა" ეს არის "ხმა ჯვარის მონასტრის გალავანთან" და უშუალოდ ქრისტესადმი, მაცხოვრისადმი, ქრისტიანული რწმენისადმია მიმართული. შემდეგი მონოლოგი "ხმა ჯვარის მონასტერში" ნამდვილი რეფლექსიაა, ამ ცნების ყველაზე უფრო მკაცრი გაგებით, ეს არის თვითჩაღრმავება, საკუთარი ცდომილებების აღიარება, ცოდვების მონანიება და მართალი, განმკითხავი აზრის ძიება. "ხმა ზეთისხილის ბაღში" - სამშობლოს აპოლოგიაა, "ხმა სამრეკლოსთან" - ასევე სამშობლოსათვის ლოცვაა; თერთ სენაკში დარხეული ხმა თამარისადმია მიძღვნილი: აქ რუსთაველი თავის აღსარებას თამარ მეფეს ანდობს. "ხმა კატამონთან" დედა ენის მადლმოსილებაზე და უკვდავებაზე წარმოთქმული ჰიმნია. ამ ლექსში თითქოს ოდნავ იცვლება კიდეც ინტონაციური რეგისტრი და მართლაც ჰიმნის პათეტიკა იჭრება. ქრისტესადმია მიძღვნილი აგრეთვე "ხმა გოლგოთასთან", მხოლოდ ეს მიძღვნა თავისებურია: რუსთაველი საკუთარ თავს ქრისტეს "შუქზე" ხედავს. ქრისტესგან გადმოღვრილი სინათლე წარმოაჩენს რუსთაველის პიროვნულ ნაკლს და ღირსებას, მისი ცხოვრების გზას. "ხმა ჯვარის მონასტრის ბინდში" ისევ თამარისადმი წარმოთქმული აღსარებაა, ოღონდ ამ ლექსში თითქოს ყველაფერი თავმოყრილია, რაზეც მანამდე იყო საუბარი - ენაც, მამულიც და სარწმუნოებაც:

**მხოლოდ მას მარადს**
**ღმერთს ვავედრებ**
**სამარის კარად -**
**ჩვენს მართალ მამულს,**
**მის კლდეთა დგმას,**
**მის წყალთა დენას,**
**ეს ლოცვა ჩემი**
**ათას წლებში**
**ფარვიდეს ფარად**
**მის უკვდავ მთა-ბარს,**
**უკვდავ მაჯას,**
**მის უკვდავ ენას.**

ციკლის უკანასკნელი, დამაგვირგვინებელი ლექსია "უცნობი მინაწერი პალესტინის ქართულ პერგამენტზე". როგორც სათაურიდან ჩანს, ეს უკვე არც ავტორისეული ხმაა და არც რუსთაველისეული. აქ დიდი პოეტის ბოლო დღეების უხილავი მომსწრე გვესაუბრება. ის ერთი შეხედვით მშრალად აღნუსხავს მომაკვდავის სიკვდილისწინა წუთებს, მაგრამ არა! ეს არ არის გულისდამწყვეტი და შემზარავი მომენტის მშრალი აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუსხვა! ამ ამბის მომსწრე ფაქტთან ერთად თავის გულისნადებსაც გადმოგვცემს:

**დღეს აღესრულა შოთა რუსთველი,**
**კვალად ზვიადი,**
**კვალად უცვლელი,**
**ათი დღე-ღამის უჭმელ-უსმელი**
**სენაკის თვისის ჭერს შესცქეროდა:**
**სწამდა, სჯეროდა...**
**სწამდა, სჯეროდა.**

"პალესტინა, პალესტინას" მწყობრ კომპოზიციაში, მაცხოვრისადმი, სამშობლოსადმი, თამარისადმი, დედაენისადმი მიძღვნილ მონოლოგებში უმთავრესია ერთი მომენტი: მკითხველის ინტერესს იწვევს ამ აღსარება-მონოლოგების არა თემატური ნიშნით დაყოფა, ე.ი. იმის აღნიშვნა თუ ვისდამია მიძღვნილი ეს ლექსები, არამედ თვითონ ლირიკული სუბიექტი, - რუსთაველი, რომელიც ყოველ აღსარებაში სხვადასხვა რაკურსით წარმოაჩენს თავის სახეს. აქ საერთო და საზიაროა მხოლოდ ერთი ნიშანი: დრამატიზმი. დრამატიზმს კი ჩვეულებრივი, მოკვდავი კაცის ეჭვები, ჩივილები, აუხდენელი სურვილები ქმნის: "ვარ მხოლოდ მღილი, ვარ ცოდვილი, ვარ სამოწყალო, მაგრამ ხმა შენი ჩემებრ ქვეყნად სხვას ვის უგრძვნია?", "პალესტინა, პალესტინას" მხატვრულ დონეს სწორედ ლირიკული სუბიექტის "ადამიანური ასპექტი" განსაზღვრავს. ეს "ხმები" სწორედ მრავალტანჯულ, ტრაგიზმით აღბეჭდილ კაცს ეკუთვნის. რასაკვირველია, ასე რომ არ იყოს, იგი არც წარმოთქვამდა თავის აღსარებებს, მაგრამ მაინც ძალზე შთამბეჭდავია, რომ ამ მონოლოგებს უმაღლესი ღირებულებების წინაშე ქედდადრეკილი მოკვდავი კაცი და დიდი შემოქმედი წარმოთქვამს. თავისი ცხოვრების უკანასკნელ დღეებში მას სხვაგარი სიბრძნე, სინანული და სინათლე ეწვია:

**გადავუფურცლეთ დამასკელი**
**მისგან რჩეული**
**- იქნებ, განგიქრეს**
**სევდა ძველი**
**გულს დაჩნეული,**
**უსმინე შენებრ**
**კვლავ აღგანთებს**
**მის ცეცხლის ალი...**
**არა ინდომა,**
**ოდნავ სველი**
**მილულა თვალი.**

ეს რუსთაველის უკანასკნელი წუთებია, რომელიც მკაცრად და სადად, უბრალოდ და ზედმეტი ხატოვანების გარეშეა გადმოცემული. მთელ ციკლს ხატვის ეს პრინციპი და ესთეტიკა ქმნის.

ერთმა პოეტმა შეიმუშავა ცნება-მეტაფორა "სალექსო ქსოვილი". მისივე სიტყვით, სალექსო ქსოვილი შეიძლება იყოს გამჭვირვალე ან სქელი, უხეში ან უბრალო, მაგარი ან რბილი და ა.შ. როცა "პალესტინა, პალესტინას" სალექსო ქსოვილზე ვფიქრობ, ნებსით თუ უნებლიეთ ერთი სიტყვა-ეპითეტი მახსენდება: "ასკეტური". არ ვიცი, როგორ მიესადაგება ეს ეპითეტი სალექსო ქსოვილის ცნებას, მაგრამ ფერადოვნების სიმწირე, აზრისმიერობა, ზოგჯერ კლიშედქცეული მეტაფორები ნამდვილად ნიშნეულია ირაკლი აბაშიძის პოეტური ციკლისათვის. იქნებ იმიტომაცაა ასე, რომ ამ ლექსებში ინტონაციური სიზუსტეა არსებითი და არა მეტაფორული სიუხვე? აზრობრივი აქცენტებია გადამწყვეტი და არა ლირიკული შუქ-ჩრდილები? აბა კიდევ ერთხელ დავაკვირდეთ ერთ ფრაგმენტს ყველაზე უფრო მკაფიო ნიმუშიდან, ყველაზე მძაფრი და მეტყველი აღსარებიდან, შესანიშნავი ლექსიდან "ხმა კატამონთან":

**დაეცეს, იქნებ, სიმაგრე ყველა,**
**მოისრას, იქნებ, ყველა ყმა ველად,**
**დაედოს მტვერი ყველა დიდ ხსოვნას,**
**დააკვდეს აზრი ნაპოვნის პოვნას,**
**ყოველ ნერგს, იქნებ, დაატყდეს მეხი,**
**ყოველ ძეგლს, იქნებ, დაედგას ფეხი,**
**მხოლოდ შენ, უჭკნობს,**
**შენ, ხატად ქცეულს,**
**რა დრო, რა დასცემს**
**შენს უკვდავ სხეულს?**

აქ ყველა სალექსო კომპონენტი მართლაც უბრალოა და მარტივი, მხოლოდ ზეაწეული ინტონაცია და აზრის დინამიკა ქმნის წარუშლელ შთაბეჭდილებას. და ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან ჩვენს წინაშეა შვიდასი წლის წინ გარდაცვლილი პოეტის ხმა, მისი აღსარება. ის თავის უკანასკნელ სათქმელს ყველაზე უფრო უბრალო და მკაცრი სიტყვებით ამბობს. სხვათაშორის, ირაკლი აბაშიძე თავის ერთ ადრინდელ ლექსში გულისტკივილით წერს, ვაითუ, ჩემმა სტრიქონმა მომავალში ჭაბუკურად აღარ გაიჟღეროსო:

**სიტყვას დაეტყოს აზრის მეტობა,**
**ფერი არ დაჰყვეს მდიდარ მაისის,**
**ენამ დაკარგოს მიამიტობა**
**დაღი დაეკრას სიდარბაისლის.**

"პალესტინა, პალესტინაში" მართლაც ასე მოხდა - სიტყვას "აზრის მეტობა" დაეტყო და "მდიდარ მაისის" ფერი არ დაჰყოლია, ენამ მიამიტობა დაკარგა და სიდარბაისლე შეიძინა. ყოველივე ამან კი სასიკეთო შედეგი გამოიღო და უთქმელი მადლი შესძინა ნაწარმოებს. ჩვენ ხელთ გვაქვს არა ჭაბუკის, არამედ ჭარმაგი ოსტატის ქმნილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანანა კაკაბაძე

# დამაარსებელი

საიდუმლოებითაა მოცული ჟურნალ "მნათობის" დაარსება.

დღემდე ხმამაღლა არ თქმულა, ვინ იყო მისი რედაქტორი და დამაარსებელი.

1832 წელს გამოვიდა "სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი". ყველამ ვიცით, რომ მისი რედაქტორი სოლომონ დოდაშვილი იყო, დიდი მოღვაწე, საკაცობრიო, მოწინავე იდეების მგზნებარე მქადაგებელი, ოცდათორმეტი წლის შეთქმულების ერთ-ერთი მოთავე და ორგანიზატორი.

"ცისკრის" რედაქტორი და დამაარსებელი გიორგი ერისთავი გახლდათ. ესეც ყველასათვის ცნობილია, ასევე, დიდად მნიშვნელოვანი ფიგურა ქართულ მწერლობაში. მისი საქმის გამგრძელებელი ივანე კერესელიძე, აგრეთვე შესანიშნავი ჟურნალისტი და მწერალი იყო, ესეც ვიცით.

"საქართველოს მოამბის" დამაარსებელი ხომ ყველასათვის სათაყვანო, დიდი ილია ჭავჭავაძე ბრძანდებოდა.

გასულ საუკუნეში არსებობდნენ პერიოდული გამოცემანი "დროება", "ივერია", "კვალი", "აკაკის თვიური კრებული" და სხვ., ჩვენ ვიცით ყველა ამ ჟურნალისა და გაზეთის დამაარსებელი, და ისიც ვიცით, რომ მნიშვნელოვანი ჟურნალი შემთხვევით კაცს არასოდეს შეუქმნია, ისევე, როგორც მნიშვნელოვანი ნაწარმოები შემთხვევით კაცს არასოდეს დაუწერია.

საინტერესო ჟურნალის შექმნა, საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯისცემას რომ გამოხატავს და მის წინსვლას ხელს უწყობს, ისეთივე ძნელი და დიდი საქმეა, როგორც ეპოქალური ნაწარმოების დაწერა.

ჩვენთვის ცნობილია XIX საუკუნის სახელოვანი მოღვაწენი, რომელთაც დიდებული საქმე გააკეთეს, დააარსეს ჟურნალები და გაზეთები, საუკუნის ცხოვრებას რომ პასუხობდნენ და ეროვნულ ტკივილებსა და მისწრაფებებს გამოხატავდნენ.

ამავე დროს, ყოველთვის არსებობდნენ მეორეხარისხოვანი პერიოდული გამოცემანი, რომლებიც მაღალი საჟურნალო ხელოვნების დონეზე ვერ ადიოდნენ, დიდ მწერალთა მიერ დაარსებულ პერიოდულ გამოცემებს ვერ ედრებოდნენ.

ასე იყო გასულ საუკუნეშიაც და ასეა დღესაც, ზოგი პერიოდული გამოცემა თავის გავლენას და მნიშვნელობას დიდხანს ინარჩუნებს, ზოგი უკვალოდ ქრება და მალე მისი გახსენება ალარავის სჭირდება.

ყველა მწერლის სურვილია, ალბათ, შექმნას რაღაც დიდებული, მნიშვნელოვანი, სასახელო და სანაქებო, მაგრამ ბუნება არ არის ასეთი გულუხვი, არ აჯილდოვებს ყოველ ადამიანს მაღალი ნიჭით. მხოლოდ ერთეულებს ძალუძთ დიდი ნაწარმოების შექმნა, ხოლო მათ გვერდით, ასობით მოკალმე დავიწყების მორევში იძირება სიკვდილის უმალ, ხოლო ზოგჯერ სიცოცხლეშიაც.

მნიშვნელოვან ნაწარმოებებს მხოლოდ მნიშვნელოვანი მწერლები წერენ, დიდ ნაწარმოებებს დიდი შემოქმედნი ქმნიან.

მაღალი შემოქმედებაა ჩადებული დიდებული ჟურნალის შექმნაშიაც, და მას ჩვეულებრივი და რიგითი ლიტერატორი ვერ შეძლებს - რიგითი კაცი მხოლოდ რიგით ნაწარმოებს დაწერს, რიგით გაზეთსა და ჟურნალს შექმნის, ხოლო მნიშვნელოვანსა და განსაკუთრებულს - მხოლოდ დიდი შემოქმედი.

ჩვენ ვიცით, ვინ დააარსა "სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი", ვიცით, ვინ შექმნა "ცისკარი", "საქართველოს მოამბე", "ივერია", "დროება". ისიც ვიცით, ვინ დააარსა მეოცე საუკუნეში "მეოცნებე ნიამორები", "$H_2SO_4$", "კავკასიონი", მაგრამ თურმე არ ვიცით, ვინ დააარსა მეოცე საუკუნის ყველაზე დიდი ჟურნალი, სამოცდათხუთმეტი წელი რომ მოსდევს ერის ცხოვრებას, ასახავს მის მაჯისცემას, მის ლიტერატურულ ნერვს წარმოადგენს. არ ვიცით, ჩვენი მთავარი ჟურნალის შემქმნელის სახელი. ვლაპარაკობთ ჟურნალზე, მის მნიშვნელობაზე, მის ღვაწლზე, მის სპეციფიკაზე, მის დამსახურებაზე, მის ხასიათზე და თავისებურებებზე, მის სულსა და უკვდავ ძალაზე, მაგრამ თითქოს არც არასოდეს გვიცდია, გაგვერკვია, როგორ დაიბადა იგი. ვინ არის ის ანონიმი ავტორი, რომელიც ამ დიდი შემოქმედების უკან დგას.

ვლაპარაკობთ შემდეგდროინდელ რედაქტორებზე, მავანზე და მავანზე - დამსახურება ყველასი აღინიშნა, ხოლო დამაარსებელი - ვინც იგი შექმნა ისეთად, როგორიც არის, ვინც მისცა მას სახე, ერთიანი ორგანიზმი, რკინასავით ჩამოსხმული, მტკიცე სამოქმედო პროგრამა - დაავიწყდათ.

დამსახურება ყველასი აღინიშნა, როგორც ღმერთების ნადიმზე, მხოლოდ შემოქმედი დაავიწყდათ.

ქება შეასხეს ყველას... ვინც ედისონის ნათურა აანთო ქუჩებში, ხოლო ედისონი საბჭოთა კავშირში იაბლოჩკოვით შეცვალეს, ორთქლის მანქანა კი პოლზუნოვის გამოგონებად გამოაცხადეს.

უსამართლობის ქვეყანაში სიცრუე არავის უკვირდა, "რაც უფრო დიდ ტყუილს ვიტყვი, ტაში უფრო უნდა დამიკრათ" - ამბობს ყვარყვარე. ნუთუ ყველაზე დიდ ტყუილს ყველაზე დიდი ოვაციებით უნდა ვაჯილდოვებდეთ დღესაც?

მაშ, რატომ გრძელდება მალვა იმ მოღვაწის სახელისა, რომელიც ათასწლეულების წინ კი არ ყოფილა, ჩვენი თანამედროვე გახლდათ.

"ყვარყვარეს" შემოქმედი "მნათობის" დამაარსებელიც იყო.

მთელი ცხოვრების მანძილზე მუდმივ რეპრესიას რომ განიცდიდა, არც სიკვდილის შემდგომ შეცვლილა მაინცდამაინც მისადმი დამოკიდებულება. იგი ხომ საბჭოთა იდეოლოგიის მოწინააღმდეგე იყო და ისეთი რამ დაუწერა ამ იდეოლოგიით შექმნილ ქვეყანას, რომ რამდენიც გინდა შალო - ვერ ნაშლი, ურტყა - ვერ მოკლავ, იმიტომ რომ უკვდავია, მარადიულად ცოცხლობს ყველა ადამიანში, პირველ და უკანასკნელ კაცში.

ნუთუ დღესაც უნდა გაგრძელდეს ეს დევნა? რომლის ერთ-ერთი გამოხატულება ისიც გახლდათ, რომ მის მიერ გაკეთებულ დიდ საზოგადოებრივ საქმეს, ჟურნალის შექმნას, სხვებს, გაურკვეველ და უსახო ავტორებს მიაწერდნენ - საბჭოური წესით, როგორც ედისონის ნათურას - იაბლოჩკოვს! მაგრამ ეს "სხვები" ველარც კი დასახელდა გვარ-სახელებით და ზოგადი ფრაზებით იყო ხოლმე მიფუჩეჩებული "მნათობის" დაარსების საკითხი. როდემდე? ნუთუ დღესაც იგივე უნდა განმეორდეს?

ანდა ეს "კოლექტიური შემქმნელები" ალარ უნდა მოვიშალოთ? კოლექტივმა შეიძლება დაწეროს "მერანი", "განთიადი", "ვეფხისტყაოსანი", დააარსოს "საქართველოს მოამბე", "ივერია", "ცისკარი"? კოლექტივს თავისი საპატიო ადგილი აქვს ყოველ საქმეში. უამრავი მუშა და სპეციალისტი ეხმარებოდა მიქელანჯელოს, რაფაელს თავისი გრანდიოზული ნამუშევრების შექმნაში, ამიტომ თანაავტორები იყვნენ? ან ილია ჭავჭავაძის თანაავტორები არიან მისი ჟურნალის და გაზეთის თანამშრომლები? თუმცა მათ ილიაც აფასებდა და ჩვენც. ამიტომ "საქართველოს მოამბეს" და "ივერიას" დამაარსებელი არ ჰყავდა?

ანდა, განა მხოლოდ მე ვიცი ეს ამბავი?

პოლიკარპე კაკაბაძის როლზე "მნათობის" დაარსებაში და ჟურნალის სახელწოდების წარმომავლობის შესახებ ჩვენ დავწერეთ კიდეც, როცა მწერლის საარქივო მასალები გამოვაქვეყნეთ (იხ. "დრამატურგია", 1990, № 1, გვ. 179). სატელევიზიო გადაცემებშიც ითქვა რამდენიმეჯერ, რომ პოლიკარპე კაკაბაძეა "მნათობის" დამაარსებელი. იმავე აზრმა გალაკტიონის საარქივო ჩანაწერებშიც გაიელვა და ეს მასალა პრესაშიაც გამოქვეყნდა. მაგრამ ეს ფაქტი თითქოს არც ყოფილა.

ნურავის შეაშინებს პოლიკარპე კაკაბაძის ღვაწლის ხსენება, ისევე, როგორც მის გენიოსობაზე ლაპარაკი. სახელმწიფოები წარმოიშვებიან და დაიშლებიან, ყვარყვარე კი იქნება, როგორც ღვთაებრივი სიტყვით შექმნილი სინამდვილე.

ჩვენი კი, ოდესმე მაინც ხომ უნდა ვთქვათ, რომ "მნათობი" თავისით არ დაბადებულა, თუ "ყვარყვარე თუთაბერს" ჰყავს ავტორი, "მნათობსაც" ჰყავს თავისი ავტორი, თავისი შემოქმედი. და მისი შემოქმედი ყოველთვის ამაყობდა ამ თავისი ქმნილებით, თავისი ნიჭისა და ენერგიის, შემოქმედებითი ძალის ამ ნაყოფით, თავისი შექმნილი ჟურნალით, რომელსაც მან სული შთაბერა და მიანიჭა სიცოცხლე, შექმნა იგი ჩვეულებრივი მასალისაგან და უკვდავ ნაწარმოებად აქცია. მიწისაგან შექმნეს კაცთა მოდგმის მამამთავარიც და უბრალო ჭიაც. მწერლის მიწა ხომ ის მასალებია, რომელთაგან შეიძლება დიდებული ჟურნალიც შეიქმნას და უგემოვნო და უხანო პერიოდული გამოცემაც.

მიკიბვ-მოკიბვით მოიხსენიებენ ხოლმე, რომ "დაარსდა ჟურნალი "მნათობი". რედაქტორი ვინ იყო? ვინ დააარსა? "ცეკას" მდივნებმა კახიანმა და ქართველიშვილმა, ოფიციალურად რომ აწერენ ხელს პირველ ნომრებს?

ეს იგივეა, "ცისკრის" შექმნა ვორონცოვს რომ მივაწეროთ, როგორც იმდროინდელ მთავრობას, გ. ერისთავს რომ მისცა ჟურნალის დაარსების სანქცია.

მაინც, როგორ დააარსა არამწერალმა, რიგითმა, ჩვეულებრივმა კაცმა - მაგრამ "ცეკას" მდივანმა - სიტუაციათა გამო ერისათვის მტარვალად მოვლენილმა - ამ ყვარყვარემ, უცებ ამოდენა ლიტერატურული ორგანიზმი. ასეთი პროფესიული, ასეთი მნიშვნელოვანი, ასეთი მრავალმხრივი, ეროვნული ჟურნალი, მუდამ რომ გამოხატავდა ეპოქის მაჯისცემას, მუდამ რომ იყო ლიტერატურული ცხოვრების ცენტრში, და დღემდე ფეთქავს, როგორც მთავარი პულსი ლიტერატურულ ვნებათაღელვაში.

რა ალარ გამოიგონეს, ვალია ბახტაძეც კი გაიხსენეს, იმ ხანად, "მნათობი" რომ შეიქმნა, იქ მუშაობდაო. თითქოს ვალია ბახტაძე დიდი მოვლენა იყო ლიტერატურულ ცხოვრებაში და აბა, სხვას ამოდენა საქმე ვის უნდა გაეკეთებინა.

მერე ერთმა, ამ სიბნელეში ხელის ფათურით, მოსე გოგიბერიძე გაიხსენა - ჩემის აზრით, სწორედ ის იქნებოდა ჟურნალის შემქმნელიო.. თუმცა ამის არავითარი საბუთი არ გააჩნდა, გარდა იმისა, რომ ეს შესანიშნავი მეცნიერი ჟურნალში იმ დროს, ნამდვილი, ფაქტობრივი, რედაქტორის მიწვევით, მართლაც მუშაობდა. მაგრამ რედაქტორის ვინაობის შესახებ ეს უსაბუთო და უსუსტესი განცხადებები ლუღლუღით და ცალყბად იხსენიებოდა, იმიტომ, რომ სინამდვილესთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა... და კვლავ იყო მაჟორული ლაპარაკი და ქება ჟურნალისა, რომლის შემქმნელი დღემდე თურმე ფაქტობრივად უცნობია. ათასი წლის წინანდელ და უფრო ადრინდელ ფაქტებსაც ვადგენთ, რა გახდა ასეთი, რომ ჩვენს თვალწინ მომხდარი ამბავი ველარ გაგვიგია, და თუ გაგვიგია, ვის ვუმალავთ, ხალხს?! ნუთუ ვინმე ფიქრობს, რომ თუ არ ვახსენებთ დღეს "მნათობის" ავტორის ნამდვილ გვარს, ეს საქმე სამუდამოდ დაიმარხება. მთელმა მწერალთა კავშირმა იცოდა ადრეულ წლებში, ვინ იყო "მნათობის" ნამდვილი დამაარსებელი. - "მნათობის" დამაარსებელი" - ასე ეძახდნენ პოლიკარპე კაკაბაძეს ძველი მწერლები იმ წლებში, როცა ეს ჯერ კიდევ მნიშვნელოვან ამბად ითვლებოდა და არაოფიციალური "ვეტო" ჯერ ისე თამამად არ ჰქონდა დადებული.

ამ "საიდუმლომ" პრესაშიაც კი გამოჟონა ამ რამდენიმე წლის წინ, როგორც უკვე მოგახსენეთ, გალაკტიონის საარქივო მასალების გამოქვეყნებისას. - დღეს რუსთაველის პროსპექტზე შემხვდა "მნათობის" დამაარსებელი, პოლიკარპე კაკაბაძე, - ჩაუწერია გალაკტიონს თავის დღიურში.

ერთხელ მამაჩემს ვკითხე, როგორ უნდა დადასტურდეს, რომ "მნათობის" ნამდვილი დამაარსებელი შენა ხარ მეთქი - რადგან "მნათობის" ნომრებზე მისი გვარი, როგორც რედაქტორისა, აღნიშნული არ იყო, და მხოლოდ იმ თანამშრომელთა შორისაა ნახსენები, თვითონ მან რომ მოიწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვია ჟურნალში სამუშაოდ. გაეცინა და მიპასუხა, ეს ძალიან ადვილია, ჟურნალის დაარსების არქივი შენახულია, ყველა საბუთზე, როცა იქმნებოდა ჟურნალი, ხელს მე ვაწერ - ჩემი ხელითაა დაწერილი ჟურნალის პროგრამა, და პროგრამაა მთავარი. ყველა თანამშრომელი ჩემი მოწვეული იყო. ჩემი შექმნილია განყოფილებები. მე განვსაზღვრე, როგორი მიმართულება უნდა ჰქონოდათ მათ, რა მიზანი.

პოლიკარპე კაკაბაძემ თავისი განსაკუთრებული მონდომებითა და ინიციატივით მოიწვია ჟურნალში სამუშაოდ გალაკტიონი, რომელთანაც ახალგაზრდობიდან დიდი მეგობრობა ჰქონდა. გალაკტიონი ერთი წლის მანძილზე, 1919-1920 წლებში, პოლიკარპე კაკაბაძესთან მის ბინაში ცხოვრობდა, რომელიც ამ უკანასკნელს დაქირავებული ჰქონდა. ეს ბინა მდებარეობდა ქუჩაზე, რომელიც ამჟამად გალაკტიონ ტაბიძის სახელს ატარებს.

პოლიკარპე კაკაბაძემ ჟურნალში სამუშაოდ აგრეთვე თავისი მეგობარი, მოსე გოგიბერიძეც მოიწვია, რომელსაც დიდი გულისტკივილითა და სიყვარულით იხსენებდა ყოველთვის.

ვალია ბახტაძეც თვითონ მიიყვანა "მნათობში". სამწუხაროდ, ისიც მისი სიყრმის ამხანაგი იყო, იმ ხანად უკვე საკმაოდ ბობოლა კომუნისტი. რადგან ჟურნალი ოფიციალურ მთავრობას ექვემდებარებოდა, მის ფაქტობრივ რედაქტორს პოლიკარპე კაკაბაძეს მოსთხოვეს, რომ "მნათობში" აუცილებლად ყოფილიყო კაცი, მის იდეურ მიმართულებას რომ გააკონტროლებდა. ასეთ კაცად პოლიკარპე კაკაბაძემ თავისი ნაამხანაგარი, ახლა უკვე პარტიული ელიტის წევრი, ვალია ბახტაძე ჩათვალა და მიიყვანა კიდეც ჟურნალში იდეოლოგიის განყოფილების გამგედ. სწორედ ბახტაძის გამო დატოვა შემდგომში ჟურნალი (ეს ბახტაძე, 1925 წელს მონამეთას დარბევას ხელმძღვანელობდა. კომკავშირლები, წმინდანთა ძვლებით ხელში, ქუთაისის ქუჩებში დარაზმულები მოაბიჯებდნენ და შიშის ზარს სცემდნენ შეძრწუნებულ მოსახლეობას).

მაგრამ სჯობს ყველაფერი თავიდან დავიწყოთ.

დავიწყოთ სათაურიდან, საიდან წარმოიშვა სახელწოდება "მნათობი". მაგრამ მანამდე ნიკო ავალიშვილის "მნათობზე" ორიოდე სიტყვა ვთქვათ, ვინაიდან ბატონმა ვასო კიკნაძემ მეტად საჭოჭმანო ვარაუდი გამოთქვა, თითქოს ავალიშვილის ორგანოს ჰქონდა რაიმე საერთო პოლიკარპე კაკაბაძის ჟურნალთან (იხ. "ლიტ. საქ.", 1998, 24 ივლ.).

## ნიკო ავალიშვილის "მნათობი"

ცნობილი თეატრალი, მთარგმნელი, ჟურნალისტი, ნიკო ავალიშვილი (1844-1929), 1867 წლიდან, ვიდრე 13 წლის მანძილზე, მუდმივი დასის ჩამოყალიბებამდე, სცენისმოყვარეთა დასის ყველაზე აქტიური თანამშრომელი გახლდათ. იგი იყო რეჟისორი, მთარგმნელი, მსახიობი. შემდგომში ავალიშვილი წერდა, რომ მისი მიზანი იყო შეექმნა თეატრალური ჟურნალი.

ნ. ავალიშვილმა 1869 წელს დააარსა ჟურნალი "მნათობი", რომელმაც ოთხი წლის მანძილზე იარსება. მაგრამ ნ. ავალიშვილის ჟურნალი აღიარებული ხალხოსნური ორგანოა: ჟურნალისტიკის ისტორიაში, როდესაც "მნათობს" შეეხებიან, განიხილავენ მას, პირველყოვლისა, როგორც ხალხოსნური ტენდენციების ორგანოს და არა როგორც თეატრალურ ჟურნალს (იხ. მ. ზანდუკელი, "ქართული ლიტერატურის ისტორია", ტ. 3; ზ. მშველიძის "ქართველი ხალხოსნები" და სხვ.).

მართალია, "მნათობში" იბეჭდებოდა სცენისმოყვარეთა წარმოდგენების ანგარიშები, ორიგინალური და თარგმნილი პიესები, დაიბეჭდა ნ. ავალიშვილის ერთადერთი წერილი თეატრზე - "თეატრი და მისი საჭიროება ჩვენი საზოგადოებისათვის" (1869 წ., ივლ.-აგვ.). მაგრამ ეს მასალა არ იყო იმდენად ჭარბი და მნიშვნელოვანი, რომ ჟურნალის ძირითადი მიმართულება განესაზღვრა და თეატრალური ორგანოს სახე მიეცა მისთვის.

ავალიშვილის "მნათობის" როგორც ჟურნალის ხასიათი, განსაზღვრა იმ მხატვრულმა და კრიტიკულმა ლიტერატურამ, ორიგინალურმა, თარგმნილმა თუ გადმოკეთებულმა, რომელიც იქ ქვეყნდებოდა. აგრეთვე მისმა პუბლიცისტიკამ, ყოფითი, სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის თხზულებებმა, ჟურნალის ხალხოსნური ტენდენციებისათვის შესანიშნავ ფონს რომ ქმნიდნენ.

ჟურნალს პირველივე ნომრიდან აშკარად ემჩნევა ხალხოსნური ტენდენციები. აქ მოთავსებული მხატვრული მასალისაგან ვხვდებით ცნობილ ხალხოსანთა: ს. მგალობლიშვილის, გ. წყალტუბელის, დიმ. ჯანაშვილის ვრცელ თხზულებებს.

ამ ჟურნალის მუდმივი და აქტიური თანამშრომლები არიან: ნ. ლომოური, რაფიელ ერისთავი, დიმ. ჯანაშვილი (ინგილო), გ. ჭალადიდელი, მოსე ქიქოძე, გერასიმე კალანდარიშვილი, ნ. და ალ. ცხვედაძეები, გ. იოსელიანი, ს. მგალობლიშვილი, ნ. ინაშვილი, ივ. ელიოზიშვილი, ეკ. ღვინიაშვილი და სხვ. ცნობილი ხალხოსნები.

"მნათობის" მუდმივ ავტორთა სიაც მეტყველებს მის ტენდენციასა და ხასიათზე. ცნობილ მკვლევარს, პროფ. ს. ხუნდაძეს "მნათობი" ხალხოსნური და უტოპიური სოციალიზმის მქადაგებელ ჟურნალად მიაჩნია. იგი განიხილავს სათანადო მასალებს, ნ. ინაშვილის, ანტ. ფურცელაძის და სხვათა სტატიებს, სადაც ევროპული უტოპიური სოციალიზმის სისტემებია გაანალიზებული, შექებული და საზოგადოებისათვის შემოთავაზებული. აქ, ამ ჟურნალში, პირველად ჩვენში, განმარტებულია სოციალიზმის ცნება ("სოციალიზმის" ამ პირველ განმარტებას თანდათან რაც მოჰყვა, თავად მოგეხსენებათ).

"ასე და ამ გზით, - წერს ს. ხუნდაძე, - ჩვენი საზოგადოება ეცნობოდა ევროპის სოციალისტური მოძღვრების შინაარსს უკვე სამოციანი წლების მიწურულიდან. ეს ფაქტი აუცილებლად უნდა იქნეს აღნიშნული ჩვენი სოციალისტური აზროვნების ისტორიაში" ( ს. ხუნდაძე, "სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში", ტ. 1, გვ. 130).

ამრიგად, ნ. ავალიშვილის "მნათობი" XIX საუკუნის 60-70-იანი წლების ქართულ პერიოდულ პრესაში ხალხოსნური მიმართულებისა და უტოპიური სოციალიზმის მქადაგებელ ორგანოდ გვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლინება. ასევე შეაფასეს იგი მეცნიერებმა და სრულიად გაუგებარია ღრმად პატივცემულ ბატონ ვასო კიკნაძის სურვილი, გააიგივეოს იგი 1924 წელს პოლიკარპე კაკაბაძის მიერ დაარსებულ ჟურნალ "მნათობთან", მხოლოდ იმის გამო, რომ აქ სახელწოდებების დამთხვევასთან გვაქვს საქმე.

"მნათობი", "ზარია", "ცისკარი", "ზვეზდა", "ზარია ვოსტოკა", "სევერნაია ზვეზდა" და სხვ. ამგვარი სახელწოდებები ევროპულ-რუსულ ჟურნალისტურ პრაქტიკაშიც ხშირად გვხვდება. შეიძლება ითქვას, ისინი პერიოდული გამოცემების საერთაშორისო სახელწოდებებად იქცნენ და მერწმუნეთ, საქართველოდან არ წასულა ეს ტენდენცია.

ნუთუ ჩვენს "ცისკარს" რაიმე აქვს საერთო "მორნინგ სტართან", იმიტომ რომ ერთი და იგივეა მათი სახელწოდებები?

ადამიანთა სახელებიც ხომ ემთხვევა ერთმანეთს, ნუთუ ამის გამო ყველა ისინი ერთნაირები არიან. ნუთუ ყველა "გიორგი" და ყველა "პავლე" ერთმანეთს ჰგავს და ყველა ისინი წმინდა გიორგის და წმინდა პავლეს?

"ბოლშევიკებს ერთი კალაპოტი მოუტანიათ, ვინც პატარაა, იმაზე გაადიდებენ, და ვინც დიდია, იმაზე დაამოკლებენ"...

ეს ჟურნალები სრულიად სხვადასხვანი არიან, და ნურავინ ეძებს მემკვიდრეობას იქ, სადაც იგი არ არის და არც შეიძლება იყოს.

რა კარგად გადაიჭრა "მნათობის" დაარსების საკითხი, გამოსავალიც მოიძებნა, ნულარ ვეძებთ მის ნამდვილ შემოქმედს, საჭირო აღარ არის მისი გამოაშკარავება, ვინაიდან უავტოროდაც გადავწყვიტეთ ავტორობის პრობლემა. თუ აქამდე ვჩქმალავდით ამ საკითხს და ავტორზე საერთოდ არ ვლაპარაკობდით, უცებ, გამოსავალი აქაც მოიძებნა. აგერ, ბატონო, XIX საუკუნეშიც ხომ იყო "მნათობი", მთელი ოთხი წელი იარსება, მერე რა, რომ ხალხოსნური ორგანო იყო, თეატრალური და სხვადასხვა ინტერესებით, სახელწოდება ხომ არსებობს!

XIX ს. "მნათობი" და XX ს. "მნათობი" - ორივე ლიტერატურული ორგანოა, ორივეს ქართული ენა და მწერლობა, თეატრი, ქართული ქცევა და ყოფა აინტერესებს... (როგორც ბ-ნი ვასო კიკნაძე ბრძანებს) - რა დამთხვევებია! რომელ ლიტერატურულ ჟურნალს არ აინტერესებდა და არ აინტერესებს ეს საკითხები!

ბ-ნი ვასო კიკნაძე, რომელსაც მე დიდად პატივს ვცემ, როგორც პიროვნებასა და როგორც მეცნიერს, ბრძანებს - ავალიშვილის "მნათობი" არც ერთი ჯგუფის ინტერესებს არ გამოხატავდაო... მაშ, ხალხოსნური ორგანო როგორღა იყო, "ცისკარს" ბრძოლა რომ გამოუცხადა, ეს როგორ მოხდა? ძველი მოსისხლე მტრები ანტ. ფურცელაძე და ნ. ავალიშვილი ახლა რომ გაერთიანდნენ და "ცისკარს" ერთად უტევდნენ "მნათობის" ფურცლებიდან? ავალიშვილი საკმაოდ გალიზიანებულად ებრძვის გიორგი ერისთავს და არ მიაჩნია იგი XIX საუკუნის ქართული თეატრის ფუძემდებლად, ნამდვილი თეატრი მხოლოდ ჩვენ შევქმენითო, ილია ჭავჭავაძის როლზე ქართული თეატრის შექმნის საქმეშიც ფრიად ნიჰილისტურ პოზიციას გამოხატავს.

ავალიშვილის "მნათობმა" ვერ წაიყვანა XIX საუკუნის ქართული ინტელექტუალური ცხოვრება, ავალიშვილის ჟურნალი ვერ იქცა ეროვნული სულის წინამძღოლად. იგი ვერასოდეს შეედრებოდა თავისი როლითა და მნიშვნელობით "საქართველოს მოამბეს", "ცისკარს", "ივერიას", "დროებას", "კრებულს", აკაკის ჟურნალს, "ტფილისის უწყებანის" ლიტერატურულ დამატებას და სხვ. ავალიშვილის "მნათობი" XIX საუკუნის პრესაშიაც მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა და მისი ხალხოსნური ხაზის XX საუკუნეში რაიმე გაგრძელებაზე ლაპარაკი, დღეს, პირდაპირ რომ ვთქვათ, საქმეში ჩაუხედაობაა. იგი მხოლოდ ღიმილს გამოიწვევს სპეციალისტთა შორის. XIX საუკუნეშივე პოპულარობით არ სარგებლობდა ავალიშვილის "მნათობი" და იგი მალე მიეცა დავიწყებას, მას არავითარი მემკვიდრე და გამგრძელებელი მაშინაც არ ჰყოლია. და არავის არასდროს მოსვლია აზრად მისი გამგრძელებლები XX საუკუნეში ეძებნა, და ისიც ჟურნალ "მნათობის" სახით, რომლის ფურცლებზე აისახა მთელი XX საუკუნის მწერლობა. 20-იანი წლებიდან დაწყებული, იგი იყო და არის წამყვანი, უპირველესი ლიტერატურული ჟურნალი, ეპოქის მაჯისცემას და ტკივილებს რომ ეპასუხება.

ავალიშვილის პირდაპირი და არაპირდაპირი ბრძოლა ილია ჭავჭავაძესთან სწორედ იმ ხალხოსნური, მაშინ "ახალმოდური", სოციალისტური ტენდენციების გამოძახილიც იყო, მის ჟურნალში რომ სუფევდა და ილია ჭავჭავაძე ყოველთვის ეჭვით რომ უყურებდა.

ყველასათვის დღესავით ნათელია, რომ ილია ჭავჭავაძე იყო ის მოღვაწე, რომელმაც ქართული ლიტერატურული და კრიტიკული აზროვნება წაიყვანა, და არა ნიკო ავალიშვილი თავისი "მნათობით", როგორც ცდილობს წარმოგვიდგინოს ეს საქმე ვ. კიკნაძემ.

და თუ ვინმეს მემკვიდრეა პოლიკარპე კაკაბაძის იდეები, რომლებიც მან "მნათობის" პროგრამაშიაც გამოხატა, სწორედ ილიას იდეებისა, და არა ხალხოსან ავალიშვილის მიმართულებისა, რომლის "მნათობის" არსებობა, მას არც არასოდეს გახსენებია.

მე არ მსურს, დავამცირო ნ. ავალიშვილის, როგორც მოღვაწის მნიშვნელობა, ჯერ მისი "დონ-კიხოტისა" და შილერის დრამების თარგმანები რად ღირს! მაგრამ მის "მნათობს" არაფერი აქვს საერთო პოლიკარპე კაკაბაძის "მნათობთან".

როცა მთავრობამ აღიარა, რომ სოციალიზმი გაკოტრდა და საბჭოთა წყობილება ყოველთვის უვარგისი წყობა იყო, მაშინ ყველამ აღიარა ეს ჭეშმარიტება, მანამდე კი ვაქებ-ვადიდებდით, თუმცა კარგად ვიცოდით, რაც იყო. იქნებ მთავრობის სანქციას ელოდება "საბჭოურ" შიშს ნაჩვევი საზოგადოება, რომ აღიაროს, პოლიკარპე კაკაბაძე "მნათობის" დამაარსებელია და ეს ადრეც ვიცოდით, მაგრამ ამ ფაქტზე ყურადღებას არ ვამახვილებდითო... თუკი ღმერთები დუმან, ჩვენ რაზე უნდა ვილაპარაკოთო! ასეა?

## "შვიდი მნათობი" და "მნათობი"

"მნათობის" წარმოშობის ისტორია კი ასე იყო: ჯერ წარმოიშვა "შვიდი მნათობი", იგი პოლიკარპე კაკაბაძემ შექმნა 1918-1919 წლებში, ეს ჟურნალი იყო წინამორბედი "მნათობისა".

კომუნისტების ახლადშექმნილ სახელმწიფოს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისევ რომ დასჭირდა ლიტერატურული ცხოვრებისაკენ მოხედვა, გადაწყვიტეს, ჟურნალიც საჭიროაო, და პოლიკარპე კაკაბაძეს მოუხმეს, როგორც იმ ხანად ყველაზე სერიოზული და მრავალმხრივი ჟურნალის შემქმნელს, და "შვიდი მნათობის" აღდგენა სთხოვეს.

"შვიდი მნათობი" იყო "მნათობის" წინამორბედი.

საბჭოურმა მთავრობამ, როცა ჟურნალის პროექტი განიხილა, მის ავტორს მოთხოვნა წაუყენა, ჟურნალის სათაურიდან სიტყვა "შვიდი" მოეშორებინა, ვინაიდან "შვიდი მნათობი" მისტიკურ და მარადიულ, რელიგიურ სიმბოლოებს უკავშირდებოდა. იგი მეტად ეროვნული და პატრიოტული იყო - დამოუკიდებელი საქართველოს ღერბზე ხომ გამოხატული იყო წმინდა გიორგი შვიდი მნათობით.

ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, წმინდა გიორგი საქართველოში მთავარი ღვთაებაა, იგი სინათლის უძველესი ღვთაების, აპოლონის ფუნქციებს ატარებს და ხელოვნებას მფარველობს.

მამაჩემს როცა ვკითხე, თუ რატომ აირჩია ასეთი სახელწოდება თავისი ჟურნალისათვის, მიპასუხა: "შვიდი მნათობი" ავიღე წმინდა გიორგის სიმბოლიკიდან, რომელიც გამოხატავს ქართულ კულტურას, ხელოვნებას, პოეზიას, მეცნიერებას და განათლებასო. თანაც მითხრა, როცა ოცდასამ წელში ხელახლა დავიწყე ჟურნალის გამოცემა, მომთხოვეს, რომ "შვიდი" მომეშორებინა ჟურნალის სახელწოდებიდან, როგორც რელიგიური ჟღერადობის სიმბოლო (იგი მათ მოაგონებდათ დამოუკიდებელი საქართველოს გერბსაც) და ასე დარჩა ჟურნალის სახელწოდებად "მნათობი", მაგრამ ამ სახელწოდებაში იგივე მნიშვნელობა იგულისხმებაო.

ამრიგად, ჟურნალის სახელწოდებად დამკვიდრდა "მნათობი", რომლის სიმბოლიკაში იგულისხმებოდა ყველა ის თვისება, რომელიც ჟურნალის ავტორს თავიდან ჰქონდა მასში ჩადებული, როცა "შვიდი მნათობი" უწოდა.

"მნათობი" "შვიდი მნათობიდან" მომდინარეობს თავისი ღრმა შინაარსით და დანიშნულებით. იგი მისი გაგრძელებაა.

როგორი იყო "შვიდი მნათობი", რომელიც დღეს ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა? ლიტერატურის ინსტიტუტში ამ ჟურნალის შესახებ უკვე ინტენსიური კვლევა მიმდინარეობს სათანადო განყოფილებაში. ჩვენ კი ზოგადად მოგახსენებთ ორიოდე სიტყვით, თუ რას წარმოადგენდა "მნათობის" ეს წინამორბედი.

პოლიკარპე კაკაბაძის "შვიდი მნათობი" 1919 წელს გამოვიდა, თუმცა მასზე მუშაობა მწერალმა 1918 წელს დაიწყო. სულ დაისტამბა ჟურნალის ორი წიგნი, პირველი - აპრილ-მაისში, ხოლო მეორე - ოქტომბერში. თითოეული წიგნი 400-500 გვერდს შეიცავდა. დროთა ვითარების და უსახსრობის გამო შეწყდა ჟურნალის გამოცემა, მაგრამ მის აღდგენაზე ავტორი სულ ოცნებობდა, ეს შესაძლებლობა მას 1923-1924 წლებში მიეცა.

"შვიდი მნათობი" დააფინანსა საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ცაგარელმა, რომელიც კოოპერატიულ მოძრაობას ედგა სათავეში იმ ხანად საქართველოში. ამის გამო მთელი სიცოცხლე მადლობელი იყო პოლიკარპე კაკაბაძე ამ პიროვნებისა.

ჟურნალს თავფურცლის მეორე გვერდზე აქვს შესანიშნავი ორნამენტით შესრულებული საგამომცემლო ნიშანი, რომელშიაც ჩასმულია წარწერა: "გამომცემლობა ამიერკავკ. კოოპ. კავშირისა.", ხოლო ყდის მეორე გვერდზე ქვემოთ წარწერილია: "ამიერკავკასიის კოოპერაციული კავშირის სტამბა".

ეს წარწერები გვამცნობენ, თუ რომელმა ორგანიზაციამ ითავა ჟურნალის დასტამბვა და მისი ხარჯები. სამაგიეროდ, მათ ჟურნალში ჰქონდათ ერთი განყოფილება - "კოოპერაცია", სადაც თავიანთ მასალებს ბეჭდავდნენ. ჟურნალის ფორმატია 24 x 19 სმ., იგი ჩინებულ ქაღალდზეა დაბეჭდილი.

"შვიდი მნათობი" მხატვრულად დავით კაკაბაძემ გააფორმა. ჟურნალის ყოველი გვერდი, ყოველი ფურცელი ნიმუშია დიდებული მინიატურული მხატვრობისა, თვალი უკეთესს რომ ვერაფერს ინატრებს.

ძველი ქართული ორნამენტები, საოცარი თავსართები და ბოლოსართები ამშვენებენ ყოველ ფურცელს, ყოველ ნაწარმოებს, ყოველ წარწერას. ჟურნალში ჩართულია ძველი ქართული და იმდროინდელი მხატვრობის საუკეთესო ნიმუშები.

ასე, ჟურნალის პირველ ნომერში მოთავსებულია დავით კაკაბაძის "ნახაზობა" და "ძველი ტფილისი", 3 ნახატი, ლადო გუდიაშვილის "შოთა რუსთაველი", ტბეთის სახარების წინა ყდა, წყაროსთავის სახარების ყდა.

ჟურნალის მეორე ნომერი კიდევ უფრო მდიდარია თავისი მხატვრობით. აქ წარმოდგენილია იაკობ ნიკოლაძის "სალომე" (იმავე ნომერში იბეჭდება ოსკარ უაილდის "სალომე"), მოსე თოიძის "დარბაზი", შალვა ქიქოძის "ავტოპორტრეტი", ლ. გუდიაშვილის "ქალაქგარეთ", დავით კაკაბაძის "იმერეთი" (დედაჩემი), ლეონარდო და ვინჩის " ავტოპორტრეტი". აქვე დაბეჭდილია ერეკლე მეორის პორტრეტი (მისი თანამედროვე სურათიდან) და საქართველოს ხედების შვიდი ფოტოსურათი, რომლებიც ერთვიან ცნობილი მეცნიერის ვ. გაბეს მეტად საინტერესო გამოკვლევას საქართველოს ბუნებისა და მისი წიაღისეული სიმდიდრის შესახებ.

ჟურნალის სული, მისი სახელწოდების სიმბოლიკა და იქ ჩადებული აზრი განხორციელებული იყო მის შედგენილობაში. ჟურნალის განყოფილებები გამოხატავდნენ მის პროგრამას, გვამცნობდნენ, თუ რა მიზნებს ისახავდა იგი სამოქმედოდ. "შვიდი მნათობი" იყო "სალიტერატურო, სამხატვრო და სამეცნიერო ჟურნალი", როგორც მისი სატიტულე ყდის წარწერაც ადასტურებს.

ჟურნალის შედგენილობა შემდეგნაირია: სიტყვაკაზმული ლიტერატურა, მხატვრობა, მეცნიერება, პოლიტიკა, კოოპერაცია.

ამ ხუთ განყოფილებას ერთვოდა მეექვსე - ბიბლიოგრაფია. ეს იყო ფაქტობრივად კრიტიკის განყოფილება. იგი იმ ახლადგამოცემული წიგნების მიმოხილვასა და შეფასებას გვთავაზობდა, ჟურნალის საპროგრამო ინტერესებს რომ შეესაბამებოდა. ბიბლიოგრაფიაში განხილულია როგორც მხატვრული ლიტერატურა, ასევე სამეცნიერო და პოლიტიკური.

ბიბლიოთეკა

წერილები უფრო ხშირად ფსევდონიმებითაა ხელმოწერილი, ზოგი მათგანი ჩემთვის ცნობილია, მაგ., "ვ. ჩ." - ვასილ ჩხენკელი. "ვ.ნ." და "Victor" - ვიქტორ ნოზაძე.

ამრიგად, ჟურნალის ექვსი განყოფილება მის ძირითად მიმართულებას ასახავდა. ჟურნალის მნიშვნელობასა და ხასიათზე მეტყველებს ის მასალა, რომელიც ამ განყოფილებებშია მოთავსებული.

ასე, ჟურნალის პირველ ნომერში დაიბეჭდა შემდეგი ლიტერატურული ქმნილებები: ი. გრიშაშვილის - "ლოტოსი" (ლექსი), ლეო ქიაჩელის - "მკვლელობა კოხტა გორაზე", პოლიკარპე კაკაბაძის - "სისხლი სინათლემდე", ნ. ლორთქიფანიძის - "ერთი დრამის ეპილოგი", სანდრო შანშიაშვილის თარგმანი - "შორეული დედოფალი", ედ. როსტანისა.

ხოლო მეორე ნომერში გამოქვეყნდა: გრ. რობაქიძის - "საქართველოს" (ლექსი), პაოლო იაშვილის - "წერილი დედას" (ლექსი), სანდრო შანშიაშვილის - "ელბერდ ბატონიშვილი", გრ. რობაქიძის თარგმანი -"სალომე" ოსკარ უაილდისა, ნ. ლორთქიფანიძის - "ძლიერნი სულნი", პოლიკარპე კაკაბაძის - "სამი ასული".

აქ ჩამოვთვალეთ ყველა ის ლიტერატურული ნაწარმოები, რომლებიც ამ ჟურნალის ორ წიგნშია მოთავსებული, სულ თერთმეტი ნაწარმოები. ყურადსაღებია, რომ ყველა ისინი ქართული თუ უცხოური ლიტერატურის ბრწყინვალე ნიმუშებია. პოლიკარპე კაკაბაძის ჟურნალში ვერ ნახავთ არა თუ მდარე, არამედ მეორეხარისხოვან ლიტერატურულ ქმნილებასაც კი. მასალა მეტად მაღალი გემოვნებითა და ლიტერატურისადმი უდიდესი და უმკაცრესი მოთხოვნითაა შერჩეული.

ძნელად თუ დაასახელებს ვინმე მეორე ჟურნალს, ანდა რომელიმე ჟურნალის რომელიმე ნომერს, სადაც ყველა ლიტერატურული მასალა ასეთი მაღალი დონისა იყო, და ასე მკაცრად შერჩეული.

თვით პოლიკარპე კაკაბაძის ორი ლირიკული დრამა გამოქვეყნდა ამ ჟურნალში, და ამით დაიწყო მისი, როგორც დიდი დრამატურგის შემოქმედებითი გზა. დიდებულია ნიკო ლორთქიფანიძის აქ დაბეჭდილი მოთხრობები, ლეო ქიაჩელის "მკვლელობა კოხტა გორაზე", გრ. რობაქიძის "სალომეს" თარგმანი, პაოლო იაშვილის "წერილი დედას" და სხვ.

ჟურნალში არ დაბეჭდილა არც ერთი მეორეხარისხოვანი ავტორი, თანაც ამ ავტორთა უკეთესთა შორის უკეთესი ქმნილებებია შერჩეული.

მაგრამ არა მხოლოდ მხატვრული ლიტერატურაა ასეთი შერჩევით დაბეჭდილი. პირველად აქ გამოქვეყნდა წერილები მხატვრობის შესახებ, რომლებიც ეკუთვნოდა დავით კაკაბაძეს. ეს არის დიდი მხატვრის შესანიშნავი თეორიული ხასიათის კვლევები, როგორც ზოგადად მხატვრობის საკითხებზე, ასევე ძველი ქართული ხელოვნების შესახებ, ჟურნალის ფურცლებზე შეფასებულია იმ პერიოდის მთელი ქართული მხატვრობა. "შვიდი მნათობის" პირველ ნომერში გამოქვეყნებულია დავით კაკაბაძის წერილი - "საქართველოს ღერბი". ვფიქრობთ, დღეს, როცა გერბის შექმნის საკითხი ასე კარდინალურად დგას, ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა თანამედროვე პრესაში ამ მასალის ხელახლა გამოქვეყნება, რომელსაც შეეძლო გარკვეული სამსახური გაეწია დღესაც ამ საკითხით დაინტერესებული საზოგადოებისათვის.

"შვიდი მნათობი" ეროვნულ საკითხებს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა სარგის კაკაბაძის უაღრესად მნიშვნელოვანი გამოკვლევა - "საქართველო ერეკლე II-ის დროს".

საგულისხმოა, რომ ისტორიკოსი აქ ასახელებს იმ მოღალატეთა ჯგუფს და ზოგიერთ პიროვნებასაც კი, კრწანისის ომის დროს მტერს რომ შემოუძღვნენ თბილისის დასაპყრობად.

ასე რომ, ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო მასალისაგან, ზოგს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა და თანამედროვე მკითხველისთვისაც ინტერესს მოკლებული არაა.

ჟურნალს ჰქონდა განყოფილება - "კრიტიკა და ბიბლიოგრაფია". პირველი ნომრის ამ განყოფილებაში მოთავსებულია ცხრა კრიტიკული წერილი, ხოლო მეორეში - თერთმეტი. ამ წერილებში მიმოხილულია ახლადგამოცემული წიგნები, მათ შორის: გალაკტიონ ტაბიძის ლექსთა კრებული, ივ. ჯავახიშვილის - "ქართული სამართლის ისტორია", ვახუშტის - "გიორგი ბრწყინვალე" და სხვ.

მიმოხილულია ამ პერიოდში გამოცემული პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურა, ასე, მაგალითად: ლენინის - "სახელმწიფო და რევოლუცია", რომელიც საკმაოდ მწვავედაა გაკრიტიკებული, დაბეჭდილია წერეთლის, ჩხეიძის, ნ. ჟორდანიას და სხვ. საპარლამენტო სიტყვები და სხვ.

როგორც ვთქვით, წერილები ძირითადად ფსევდონიმებითაა ხელმოწერილი. Victor, "ვ.ნ." "ვინი", ამ ხელმოწერით მასალები ეკუთვნის ცნობილ ლიტერატორს, შედგომში დიდ რუსთველოლოგს, ვიქტორ ნოზაძეს, რომელიც აქტიური თანამშრომელი იყო ჟურნალისა. "ვ. მოძველი" (ვფიქრობ, ესეც ნოზაძეა).

არ ვიცით, ვინ არიან: "მოსკოველი", "ლიკსუსი", "ბ. ნიკრისელი".

"ვ.ჩ." - ვასილ ჩხენკელს (თამაზ ჩხენკელის მამა), განხილული აქვს გალაკტიონ ტაბიძის 1919 წელს გამოცემული ლექსთა კრებული. ეს წერილი წარმოადგენს გალაკტიონის ამ კრებულის პირველ კრიტიკულ შეფასებას და ამითაც მნიშვნელოვანია.

"გალაკტიონ ტაბიძე წმინდა წყლის რომანტიკოსია. მის პოეზიაში მოდერნიზმი და მისი უკანასკნელი ზედნაქსოვები ახალი რომანტიზმის სალებავშია გავლებული. მისი ფუტურიზმიც კი უაღრესად რომანტიკულია. მისი სტიქია არის გაღრმავებული პირადი გრძნობა და პიროვნებაში ჩაკეტილი ქვეყნის ჭაპანწყვეტა" - წერს ავტორი ("შვდ. მნათ." № 2, გვ. 452).

ამრიგად, ჟურნალში თავმოყრილი და განხილული იყო ის საკითხები, რომლებიც იმ პერიოდში ლიტერატურული და სამხატვრო, სამეცნიერო და პოლიტიკური ვნებათაღელვის ცენტრში ტრიალებდა და საზოგადოებრივ ცხოვრებას თავის კვალს აჩენდა.

"შვიდი მნათობის" დაარსების მთელი მასალები თვითონ პოლიკარპე კაკაბაძემ არქივს გადასცა მაშინვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიკარპე კაკაბაძე სრულიად ახალგაზრდა, ფაქტობრივად, მარტო გადაწყვეტს, რომ მის სამშობლოს სჭირდება სერიოზული და მრავალმხრივი ჟურნალი.

- ეს საკითხი მე ძალიან მაწუხებდა, მსურდა, ჩემი ქვეყნისათვის შემექმნა ჟურნალი, რომელიც ლიტერატურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებას გაუძღვებოდა. მე მოვნახე ადამიანი, რომელმაც ჟურნალისათვის სათანადო ეკონომიური ბაზა შემიქმნა, - იტყვის იგი შემდგომში, ჩვენთან საუბრისას.

პოლიკარპე კაკაბაძემ თავის ჟურნალში მოიწვია თანამშრომლად დავით კაკაბაძე, რომელმაც ბრწყინვალედ შეასრულა ჟურნალის მხატვრობა და დაწერა დიდებული წერილები მხატვრობის შესახებ. ჟურნალს სხვა მუდმივი თანამშრომელი არ ჰყოლია.

იყვნენ მხოლოდ ორნი, ჟურნალის დამაარსებელი, მწერალი და მის გვერდით ერთადერთი თანამშრომელი - მხატვარი.

- ყველა სამუშაოს მე თვითონ, პირადად ვასრულებდი, - ამბობდა შემდეგ პოლიკარპე კაკაბაძე.

მან შეადგინა ჟურნალის პროგრამა, განსაზღვრა, რა მიმართულება და ხასიათი უნდა ჰქონოდა ჟურნალს, რა საკითხები უნდა დაეყენებინა და გაეშუქებინა თავის ფურცლებზე. იმ ხანად მომრავლებული იყო მოდერნისტულ-ფუტურისტული მიმართულების პრესა, რომელსაც ხშირად, ვიწროდ სპეციფიკური, ცალმხრივი ხასიათი ჰქონდა.

"შვიდი მნათობი" ფართო, მრავალმხრივი ინტერესების ჟურნალი იყო, კლასიკური და ღრმად ეროვნული მიმართულების. მას იმჟამად საქართველოში არ ჰყავდა ამ საქმეში წინამორბედი. პოლიკარპე კაკაბაძემ სრულიად დამოუკიდებლად შექმნა ასეთი ჟურნალი.

იგი პირადად თვითონ ასრულებდა ყველა სარედაქციო სამუშაოს. ყველა ტექსტი ჟურნალში მისი ხელითაა ჩასწორებული, წერილების დიდი ნაწილი სანახევროდ მისი დაწერილია. თვითონ აძლევდა გეზს ავტორებს, თუ რა ხასიათის მასალა უნდა შეექმნათ მისი ჟურნალისათვის.

ის დიდი ენერგია და სულის მგზნებარება, რომელიც მან ამ საქმეში ჩადო, შემდგომ გაგრძელებას მოითხოვდა. ჟურნალის მუშაობა მალე შეწყდა, მხოლოდ ორი წიგნი გამოვიდა, მათი საერთო რაოდენობა დაახლოებით 900 გვერდამდე აღწევდა.

"სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი" სულ ხუთი ნომერი გამოვიდა, თითოეული 24 გვერდი, სულ 120 გვერდი, მაგრამ უდიდესი როლი შეასრულა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

"შვიდ მნათობს" ჰქონდა გავლენა ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაზე. პავლე ინგოროყვას "კავკასიონი" "შვიდი მნათობის" მიხედვით არის შედგენილი, "კავკასიონის" პროგრამა ზუსტად იმეორებს "შვიდი მნათობის" პროგრამას. თუ დახედავთ ამ ორი ჟურნალის განყოფილებებს, ნახავთ, რომ ისინი ერთნაირები არიან.

სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ 1924 წლის იანვარში გამოსული "კავკასიონი", სულ ერთი თვის შემდეგ, თებერვალში გამოსულ "მნათობს" ნაავავს თავისი პროგრამით. სინამდვილეში, ორივენი "შვიდი მნათობიდან" მოდიან. "მნათობი" 1923 წელს მომზადდა და როცა "კავკასიონი" გამოვიდა, იგი სტამბაში იყო ჩაშვებული.

პოლიკარპე კაკაბაძემ "მნათობში" სათანამშრომლოდ მოიწვია ქართული მწერლობის და შემოქმედებითი ინტელიგენციის საუკეთესო ძალები. ჟურნალის პირველ გვერდზე ჩამოთვლილია მათი გვარები, რომელთა შორის არიან: ალ. ახმეტელი, ირ. გამრეკელი, კონსტანტინე გამსახურდია, ვალ. გაფრინდაშვილი, მ. გოგიბერიძე, ს. გორგაძე, პაოლო იაშვილი, ვანო იოსელიანი, სარგის კაკაბაძე, კონსტ. კაპანელი, გიორგი ლეონიძე, ნიკო ლორთქიფანიძე, ნიკო მარი, კოტე მარჯანიშვილი, შალვა ნუცუბიძე, კოლაუ ნადირაძე, გრიგოლ რობაქიძე, გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, აკაკი ფალავა, დემნა შენგელაია, ნიკოლოზ შენგელაია, კონსტანტინე ჭიჭინაძე, მიხეილ ჯავახიშვილი - ადამაშვილი და სხვ. სულ სამოცდახუთი კაცი. ამ დიდებული სახელების ჩამოთვლაც კი უკვე მრავალს მეტყველებს ჟურნალის ხასიათზე, მის საერთო მიმართულებასა და მნიშვნელობაზე.

ჟურნალის ამავე გვერდზე მოთავსებულია უცხოეთის ქვეყნებში მომუშავე კორესპონდენტების სია. მოსკოვი, ლენინგრადი, ლონდონი, გერმანია, ლატვია, პარიზი - ის ადგილებია, საიდანაც ჟურნალს უნდა მოსვლოდა სხვადასხვა ხასიათის მასალები. ეს კორესპონდენტები ცნობილი მწერლები და სახელოვანი მოღვაწენი არიან.

ასე იწყებოდა "მნათობის" მუშაობა.

ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოებაც. "მნათობში" სათანამშრომლოდ მოწვეულთა შორის ბევრია პირადად პოლიკარპე კაკაბაძის უახლოესი ადამიანი და მეგობარი, მაგ., გალაკტიონ ტაბიძე, მოსე გოგიბერიძე, სარგის კაკაბაძე, ვანო იოსელიანი, ნიკო ლორთქიფანიძე, გრიგოლ რობაქიძე, ლეო ქიაჩელი და სხვ. ასე იყო "შვიდ მნათობშიც". დავით კაკაბაძე, ადამიანი, რომელიც მან გვერდში ამოიყენა, მისი ახლო ნათესავი და მეგობარი იყო. ასევე, მისი მეგობრები და ახლობლები იყვნენ "შვიდი მნათობის" ყველაზე აქტიური ავტორები: სარგის კაკაბაძე, ვიქტორ ნოზაძე, ვასილ ჩხენკელი, ნიკო ლორთქიფანიძე, გრ. რობაქიძე, ლეო ქიაჩელი და სხვანი. "შვიდი მნათობის" ბირთვი "მნათობის" უაქტიურესი თანამშრომლებისგან შეიქმნა.

დავით კაკაბაძე, რომელიც უკვე პარიზში იმყოფებოდა იმ ხანად, პოლიკარპე კაკაბაძემ დანიშნა "მნათობის" პარიზელ კორესპონდენტად. ცხადია, ამ პერიოდში პარიზში ხელოვნების სხვა მოღვაწენიცა და მწერლებიც იყვნენ, მაგრამ სწორედ დავითი ამოარჩია "მნათობის" დამაარსებელმა, მისმა ფაქტობრივმა რედაქტორმა პოლიკარპე კაკაბაძემ, ვინაიდან მას ყველაზე მეტად ენდობოდა, როგორც თავისი ჟურნალის, "შვიდი მნათობის" ძველ თანამშრომელს.

პოლიკარპე კაკაბაძის მახლობელი იყო აგრეთვე "მნათობის" მოსკოვური კორესპონდენტი, ლუნდბერგი. მან შემდგომში "ყვარყვარე თუთაბერი" თარგმნა რუსულად და იმ პერიოდში, რამდენიმე ხანს, პ. კაკაბაძესთან აგარაკზე ცხოვრობდა კიდეც, რაც მათ უადვილებდათ

ბიბლიოთეკა

"ყვარყვარეს" რუსულ თარგმანზე ერთად მუშაობას.

"მნათობში" მისი შექმნისთანავე დაიბეჭდა ქართული ლიტერატურის საეტაპო მნიშვნელობის ნაწარმოებები. ასე, ჟურნალში დაიბეჭდა მიხეილ ჯავახიშვილის "კვაჭი კვაჭანტირაძე". ამ ნაწარმოებით დიდებული მწერალი კვლავ დაუბრუნდა ლიტერატურულ საქმიანობას, რომელიც გარემოებათა გამო, კარგა ხნის მიტოვებული ჰქონდა.

მამაჩემი მიამბობდა, თუ როგორ მივიდა მასთან "მნათობში" მიხეილ ჯავახიშვილი, როგორ მიუტანა ჯერ კიდევ დაუმთავრებელი "კვაჭი კვაჭანტირაძე", თითქმის მხოლოდ ჩანაფიქრი. მამაჩემი აღფრთოვანებაში მოუყვანია ამ მეტად ორიგინალურ, თავისებურ, ნიჭიერად ჩაფიქრებულ ნაწარმოებს. წაკითხვის შემდეგ ბევრი უსაუბრიათ ნაწარმოებზე, ყოფილა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. შემდეგ მიხეილ ჯავახიშვილს "კვაჭი კვაჭანტირაძე" კიდევ გადაუმუშავებია, გაუზრდია და ახლა უკვე საბოლოოდ დამთავრებული მიუტანია "მნათობში" პოლიკარპე კაკაბაძესთან. ამის შემდეგ მათ შორის განსაკუთრებული ურთიერთპატივისცემა და მეგობრობა ჩამოვარდნილა.

მამაჩემი ყოველთვის აღფრთოვანებით ლაპარაკობდა ამ ნაწარმოებზე, გამორჩევით მოსწონდა იგი და ჯავახიშვილის რომანებში ყველაზე მაღლა აყენებდა.

შემდგომში პოლიკარპე კაკაბაძე ყოველთვის სიამოვნებით იხსენებდა ამ ნაწარმოების შექმნისა და დაბეჭდვის ისტორიას.

"მნათობის" პირველ ნომერში დაიბეჭდა დემნა შენგელაიას "სანავარდო", და ამით დაიწყო დემნას შემოქმედებითი ზრდა.

"მნათობი" უპირველეს და ერთადერთ, განუმეორებელ პერიოდულ ორგანოდ იქცა საქართველოში, რომელიც მის ლიტერატურულ მაჯისცემას ასახავდა.

"მნათობი", დაარსების უმალ, უმნიშვნელოვანეს ზეგავლენას ახდენდა ერის ლიტერატურულ ცხოვრებაზე.

ჟურნალის მრავალმხრივი ხასიათი, ფართო დიაპაზონი, კლასიკური, მაღალი სამწერლობო იდეალისაკენ სწრაფვა, ეროვნული სული, სერიოზული და ღრმა დამოკიდებულება თავისი მოვალეობისადმი, ერთგვარად განსაზღვრავდა და ტონს აძლევდა მწერლობას, რათა შეენარჩუნებინა და განევითარებინა ქართული მწერლობის კლასიკური ტრადიციები.

ჟურნალში გამეფებულმა ამ მოთხოვნებმა გარკვეულწილად შეაკავეს ის ლაზღანდარული ტონი, პროლეტარული მწერლობის აქტივისტებს რომ შემოჰქონდათ ლიტერატურაში, შემდგომში სოცრეალიზმად რომ ჩამოყალიბდა.

ათეული წლების მანძილზე ამ ჟურნალში იბეჭდებოდა თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ლიტერატურული ქმნილება, რაც კი საბჭოეთის მძიმე და მკაცრ ეპოქაში ქართულმა მწერლობამ შესძლო შეექმნა. სამოცდაათი წელიწადი, თითქმის მთელი საუკუნეა, მოსდევს იგი ქართულ მწერლობას და აქ დაბეჭდილი მასალა ყოველთვის იყო საზომი ქართული მწერლობისა და ლიტერატურათმცოდნეობის დონისა.

მძიმე და წინააღმდეგობებით სავსე ეპოქაში მოხდა "მნათობის" დაარსება.

რევოლუციის ეპოქამ მოიტანა ნგრევა არა მარტო საზოგადოებრივ წყობაში, არამედ ადამიანთა სულებში. რწმენის და სიწმინდის ფენომენი, საზოგადოებრივი მორალი და ეთიკა განიცდიან საშინელ დარტყმას. რუსეთის რევოლუცია მატერიალიზმის და ათეიზმის ფესვებზე იდგა, ამიტომ მიიღო საოცრად მახინჯი ფორმა რევოლუციით მოტანილმა ყველა ცვლილებამ საზოგადოებრივ ყოფაში. ადამიანთა ცნობიერებაში კეთილისა და ბოროტის კატეგორიები აირია. ესთეტიკური ფენომენი დაინგრა, ხელოვნება საშინელმა კრიზისმა მოიცვა.

პროლეტარული მწერლობა დროს აყოლილი დანაშრევია, რომელიც შეებრძოლა მაღალ ფასეულობებს ხელოვნებაში.

სცენაზე გამოდის ცხოვრების სიტკბოს დახარბებული, დროის ფერხულს აყოლილი ფსევდომწერლობა. ეგოიზმი ლიტერატურაში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. იგი არ იკიცხება, პირიქით, მას შენატრიან და დღემდე ზოგჯერ მისაბაძად მიაჩნიათ. ხდება გაორება პიროვნებაში და იგი გადადის ლიტერატურაში და საშინლად იკიდებს ფეხს. მწერალი ერთდროულად სამშობლოს, მის წმიდათა-წმიდას და მის დამსამარებელ მტერს აქებ-ადიდებს. ორი ბატონის მსახური ხდება.

"მე", რომელიც რომანტიკოსებმა მოიტანეს ხელოვნებაში, როგორც უდიდესი მონაპოვარი, ახლა დეგრადირებულია და ათასგვარ ყალბ, ცრუ და მახინჯ ფორმებში გადაიზრდება. იგი განიცდის სრულ დაცემას. არსებული მკაცრი და ამორალური სინამდვილე იძლეოდა საფუძველს ლიტერატურაში სოცრეალიზმის, ამ ცრუ მიმართულების წარმოშობისა და გაბატონებისათვის. ჩამოყალიბდა დესპოტიის რეჟიმით შექმნილი მწერლობა. სოცრეალიზმის შემოქმედნი - შეკვეთით მოაზროვნენი, ულმერთობისა და სისხლისმღვრელი ბელადების ტრუბადურები, ერთიმეორის გასაწირად სიებზე ხელის მომწერნი... თეთრზე შავის მთქმელნი, კეთილზე ბოროტისა და ბოროტზე კეთილისა, მხდალზე და არამზადაზე - გმირისა.

მთავარი პრინციპი სოცრეალიზმისა იგივე იყო, რაც სახელმწიფოს იდეოლოგია - სიცრუე, უკულმა თქმა და უკულმა მოქმედება, ცინიზმი.

მაგრამ ეს მხოლოდ ზოგადად, იგი ერთი მხარეა იმ ტრაგიკული სინამდვილისა, რომელმაც წალეკა ადამიანთა სულები და საშინელი წნეხით დააწვა ხელოვნების მსახურთ.

ამ მძიმე და სასტიკმა დრომ წარმოშვა აგრეთვე არნახული შესაძლებლობები სულით მაღალ, დიდებული ნიჭის შემოქმედთათვის, რათა შეექმნათ ამ ტრაგიკული ეპოქის სახე და გაეხსნათ ადამიანის მარადიული ბუნება ახლებურად. დიდმა ტკივილებმა დაანახა მათ კაცური ბუნების ის თავისებურებანი, სწორედ აქ რომ წარმოჩინდა, აქ დატრიალებულ სიტუაციათა წყალობით. ამ შემოქმედთა ჯვარი მეტად მძიმე იყო, მათ წილად ხვდათ ტანჯვა, სიღარიბე, გამუდმებული დევნა, დამცირება, შევიწროება, ჩაქოლვა, ჩაჩუმება, ხშირად - ნაადრევი სიკვდილი. ეპოქის მთელი უსამართლობა მათ თავზე ბრუნავდა სრული ძალით, ებრძოდა და კლავდა. მაგრამ არ კვდება სუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, და არც ნამდვილი შემოქმედება... რამდენიც არ უნდა ეცადო, ვერ მოკლავ "ყვარყვარეს", ვერც ვერაფერს დააკლებ, თუნდაც რომ ლანძღო და ჩქმალო... გენიალური ქმნილებაა და იმიტომ, ზოგადსაკაცობრიო მარადიული ტკივილების, მარადიული ვნებების გამომხატველია და იმიტომ.

მცირედმა შესძლო გაეძლო დროის სასტიკი ქარიშხლებისათვის. "მრავალ არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ", ეს მცირედნი არიან "მარილი სოფლისა" და მათ გამოატარეს ქართულ მწერლობაში ეროვნული სული.

მაგრამ განა მართლაც ცოტაა თუნდაც რამდენიმე დიდი შემოქმედი ეპოქისათვის? ან რატომ უნდა მოვთხოვოთ ყველა კაცს გენიოსობა. მრავალ ლიტერატორთა ფონზე, რომლებიც შრომობდნენ როგორც შეეძლოთ, ყველა ეპოქაში, ყველა ქვეყანაში და ყველა საუკუნეში, ერთეულები იყვნენ უკვდავნი და დიდებულნი, გენიოსობა კი უიშვიათესი ხვედრია საუკუნეთა მდინარებაში.

მეოცე საუკუნის საქართველო ხელოვნებით ინარჩუნებდა თავის სულს უმძიმეს და უსასტიკეს ხანაში.

ჟურნალ "მნათობის" ფურცლებზე აისახა მთელი ეპოქა, მისი ტკივილები, გამოხატული მის შემოქმედთა ნააზრევში, აისახა ქართული მწერლობის ძლიერი და სუსტი მხარეები, მისი ბრძოლები, სამართლიანი და უსამართლო ვნებათაღელვანი, ეპოქის ტრაგედია, ცხოვრება თავისი მრავალი სახით და ფერით.

"1924 წლიდან პოლიკარპე კაკაბაძე იყო ჟურნალ "მნათობის" სარედაქციო კოლეგიის წევრი და სალიტერატურო-სამხატვრო ნაწილის ხელმძღვანელი", წერდა დიმიტრი ბენაშვილი ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში (იხ. მისი "კრიტიკული წერილები XX საუკ. ქართული ლიტერატურის ისტორიიდან", 1967, გვ. 391). ამ ფაქტს ადასტურებს ყველა მკვლევარი, ვინც პოლიკარპე კაკაბაძის ცხოვრების გზას ეხება (იხ. გ. ციციშვილი, "ქართული საბჭოთა დრამატურგია", 1962, გვ. 216; "ქართული ლიტერატურის ისტორია", ტ. III, 1956, გვ. 280; მწერლის ნეკროლოგები და სხვ.).

მეტი რა დაეწერათ საბჭოთა პერიოდში? ცეკას მდივნები ქართველიშვილი და კახიანი არ იყვნენ "მნათობის" ნამდვილი დამაარსებლები და მათი რედაქტორობა მხოლოდ ფიქცია იყოო? ვინ გაბედავდა ამის დაწერას!

"მნათობის" სალიტერატურო-სამხატვრო ნაწილი იყო მისი ნამდვილი სახე. ამ მხრივ მკვეთრად განსხვავდებოდა "მნათობი" იმ პერიოდის პრესისაგან ("მეოცნებე ნიამორები", "$H_2SO_4$", "დროშა", "ლომისი", "რუბიკონი" და სხვ.).

"მნათობში", როგორც ვთქვით, პოლიტიკური ნაწილი ვ. ბახტაძეს მიჰყავდა. იგი ცეკას მდივნებთან ერთად აწერდა ხელს მეორე ნომრიდან ჟურნალს: "პასუხისმგებელი რედაქტორები: მ. კახიანი, ვ. ბახტაძე" (იხ. "მნათობი" № 2 და შემდგომ...). პირველ ნომერს ქართველიშვილი აწერდა ხელს.

მაგრამ "მნათობი", როგორც მის სატიტულე ყდაზე წარწერაც გვამცნობს, იყო "ყოველთვიური სამხატვრო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი".

ამ სალიტერატურო და სამხატვრო ნაწილში იყო განხორციელებული ჟურნალის პროგრამა, რომელიც პოლიკარპე კაკაბაძემ შექმნა "შვიდი მნათობის" პროგრამის მიხედვით.

"მნათობი" "შვიდი მნათობისაგან" განსხვავდება პოლიტიკური ხაზით, როგორც საბჭოური სამთავრობო ორგანო.

ამ პოლიტიკურ ხაზს კარგი არაფერი შეუქმნია მწერლობის განვითარებისათვის, და იგი მხოლოდ ხელის შემშლელი იყო ჟურნალისათვის. ამიტომაც ებრძოდა მას თავიდანვე პოლიკარპე კაკაბაძე თავის დაარსებულ ჟურნალში. ამ ბრძოლების გამო იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა "მნათობი".

## ბრძოლები "მნათობში", კაენის აქტი

დაარსების უმალ, "მნათობში" მალე ატყდა ბრძოლები, რომლებიც პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. უკვე ოცდაოთხი წელი იყო, გარემო დაიძაბა, საქართველოში მზადდებოდა პოლიტიკური გადატრიალება და ჰაერი გაჟღენთილი იყო დენთის სუნით. მთავრობა მკაცრად მოითხოვდა, რომ ჟურნალში ბოლშევიკების პოლიტიკური ხაზი მკვეთრად ყოფილიყო გატარებული, ამ თვალსაზრისით ამოწმებდნენ ყოველ მასალას. პოლიკარპე კაკაბაძეს ეს არ მოსწონდა, ხელი ეშლებოდა, ნერვიულობდა. მისი მოყვანილი ვალია ბახტაძე, ახლა უკვე გადიდკაცებული, ბობოლა კომუნისტი, კრიჭაში ჩაუდგა და მუშაობას არ აცლიდა, პოლიტიკურ პროვოკაციებს უწყობდა, ემუქრებოდა. პოლიკარპე კაკაბაძე ჟურნალში ოფიციალურად მხოლოდ მხატვრული ლიტერატურის განყოფილების გამგედ იყო დანიშნული, ხოლო რედაქტორობას ფორმალურად "ცეკას" მდივანი აწერდა ხელს. მთავრობის დადგენილებით ხომ ჟურნალი სამთავრობო ორგანოდ იყო გამოცხადებული. იგი მათ ეკუთვნოდათ. ასე გაჩნდა "მნათობში" თავიდანვე კახიანისა და ქართველიშვილის გვარები, რედაქტორის მაგიერ.

პარტიაში შესვლაზე სასტიკი უარი განაცხადა პოლიკარპე კაკაბაძემ. წარმოიშვა კონფლიქტი. ინტრიგა მოუწყვეს. ჯერ მისი მიყვანილი გალაკტიონი გამოაგდეს ჟურნალიდან, აპოლიტიკური მასალა გაეპარაო და ამის გამო ფაქტობრივ რედაქტორს, პოლიკარპე კაკაბაძესაც დაექადნენ. შენი ბრალიც არისო. მუქარას მუქარა მოსდევდა. ბოლოს გამართეს კრება. კრებას ვალია ბახტაძე ხელმძღვანელობდა. სასტიკად დაამუშავეს პოლიკარპე კაკაბაძე, "მნათობში" ანტისაბჭოთა პოლიტიკის გატარებისათვის. დაჭერას ძლივს გადაურჩა. "მნათობის" დამაარსებელი იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი შექმნილი ჟურნალი.

"აპოლიტიკურობის გამო მომიწყვეს ეს ამბავი, დამამუშავეს, გამაძევეს", - იტყვის შემდგომში იგი, როცა "მნათობის" ერთ-ერთ მორიგ იუბილეს გამართავენ და მის სახელს არც კი ახსენებენ. ზოგადად იტყვიან - "მნათობის" დამაარსებლებიო", ვითომ ჟურნალი თავისით დაარსდა, მას შემოქმედი არ ჰყოლია. "რატომ ხმას არ იღებ" - ეტყვის გულდაწყვეტილი მეუღლე - "მაშინ იტყოდნენ, რომ აპოლიტიკურობის გამო გამაძევეს და არ მინდოდა ეს აღნიშნული ყოფილიყო" - იმ დროს ჯერ კიდევ შეეძლოთ ძველი საქმეები ამოექექათ, ისევ თავიდან გასწორებოდნენ, ახალი

დაპირისპირება და ბრძოლები აღარ უნდოდა, მაგისთვის აღარ ეცალა.

მწერლის სიკვდილის შემდგომ, 1972 წლის 28 ოქტომბერს, ტელევიზიით მისადმი მიძღვნილ გადაცემაში ითქვა, რომ პოლიკარპე კაკაბაძე მთავარი დამაარსებელია ჟურნალ "მნათობისა". მაგრამ შემდგომში ამ საკითხზე ისევ მიჩუმდნენ.

ამრიგად, პოლიკარპე კაკაბაძე 1924 წლის ბოლოს ტოვებს თავის დაარსებულ ჟურნალს, ამ დროს სასტიკი დღეები უდგას საქართველოს. სისხლში აღრჩობენ ოცდაოთხი წლის ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას. დაჭერილია და დახვრეტილი მწერლის უამრავი მეგობარი და ახლობელი, დააპატიმრეს ოჯახის წევრები, შესანიშნავი მამულიშვილები, პოლიკარპე კაკაბაძის ძმა - ჭიჭიკო და ცოლის ძმა - მიხეილი, ქუთაისის შეთქმულთა ორგანიზაციის აქტიური წევრი, მას ევალებოდა ბანკის, ფოსტისა და ტელეგრაფის ხელში ჩაგდება, სასწაულებრივ გადაურჩნენ მაშინ სიკვდილს ეს ვაჟკაცები.

ვალია ბახტაძე ამ დროს დასახვრეტთა სიებს ადგენდა. 1924 წ. მან საკუთარი, თანშეზრდილი მეგობარი, კორნელი კაკაბაძე დაახვრეტინა, რის გამოც პ. კაკაპაძესთან დიდი და საბოლოო განხეთქილება მოუვიდა. კორნელი პ. კაკაბაძის უახლოესი მეგობარი იყო. 1925 წელს ბახტაძე მონამეთას დარბევას ხელმძღვანელობდა. ამის შემდეგ იგი მალე დაავადდა და გარდაიცვალა. სიკვდილის წინ განუწყვეტლივ ხრიალებდა მის მიერ დახვრეტილი მეგობრის სახელს. ასე, ამ სახელის ხსენებით ამოხდა ცოდვილი სული.

მე ბავშვობიდან ყოველთვის მესმოდა, რომ "მნათობი" მამაჩემის დაარსებულია, ეს საუბრები არაერთხელ მომისმენია თვითონ მამაჩემისაგან, ჩვენი ოჯახის წევრებისაგან, აგრეთვე მამაჩემის მეგობართა წრეში, როცა ისინი ჩვენთან იყვნენ სტუმრად. ეს ამბავი დაფარული არასოდეს ყოფილა, მამაჩემს "მნათობის" დამაარსებელს უწოდებდნენ. ოფიციალურად ამაზე თუმცა არ იყო ლაპარაკი, მაგრამ ძალზე იშვიათად, სადღაც ითქმებოდა და უმალ მიჩუმდებოდა ხოლმე.

საბჭოეთის სინამდვილეში ყოველგვარი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საქმიანობა მხოლოდ "მათი კაცის" ხელში უნდა ყოფილიყო, უნდა წაერთმიათ ნამდვილი შემოქმედისათვის და მიეწერათ სხვისთვის. სხვისთვის მიწერა მეტად გავრცელებული გახლდათ. ეს ყველამ ვიცით, და ამის მაგალითების მოყვანა სრულიად ზედმეტია.

ამრიგად, "მნათობის" დამაარსებლის სახელის წართმევა მოახერხეს, მაგრამ სხვისთვის მიწერა ვერა. ყველა მცდელობა აშკარა სიყალბე იყო. და ასე დარჩა "მნათობი" დამაარსებლის გარეშე.

ცეკას მდივნები - კახიანი და ქართველიშვილი რომ არავითარი მწერლები არ იყვნენ და ვერავითარ ჟურნალს ვერ დააარსებდნენ, ამაზე ვფიქრობ, სიტყვის გაგრძელება ზედმეტია. ასეთი სიყალბე მხოლოდ საბჭოთა პერიოდში შეიძლებოდა კაცს მოეთმინა. და ალბათ, დროა, თავისი სახელი დავარქვათ ფაქტებს.

პოლიკარპე კაკაბაძეს უყვარდა თავისი დაარსებული ჟურნალები, "შვიდი მნათობი" და "მნათობი", იგი მათ სიამაყის გრძნობით იხსენებდა, იქ გაწეულ შრომასაც აფასებდა და თვლიდა, რომ დიდი საქმე გაუკეთა თავის ერს.

მას ესმოდა ისე, როგორც არავის, მნიშვნელობა ამ საქმისა, სიძნელე ჟურნალის შექმნისა და მისი ფასი ერის სულიერი ცხოვრებისათვის.

მას სრულიად , განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა შვიდი მნათობის სიმბოლიკისადმი. როცა მასზე ლაპარაკობდა, ყოველთვის ამაღლებული გრძნობით წარმოსთქვამდა ამ სიტყვებს - "შვიდი მნათობი", "მნათობი". ეს მისთვის ჩვეულებრივი სიტყვები არ იყო, როგორც ჩვენთვის, თითქოს რაღაც დიდი, ღვთაებრივი თაყვანება და პოეტური ვნება იდგა მათ უკან.

"მნათობი", "შვიდი მნათობი", ეს მისი იდუმალი პოეზია იყო, რომლისთვისაც იგი სულს დადებდა. მას უყვარდა ისინი, როგორც თავისი შემოქმედების განუყოფელი ნაწილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა თეთვაძე

# "ივერია" და საქართველოს მოსახლეობა

პოლიტიკურ-ლიტერატურული პერიოდული გამოცემა - "ივერია" საქართველოში ცარიზმის კოლონიზაციის და დემოგრაფიული ექსპანსიის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანო იყო ("ივერია" გამოვიდა თბილისში 1877 წლის 3 მარტს ყოველკვირეულ გაზეთად, 1979-1885 წლებში გამოდიოდა ჟურნალის სახით, ხოლო 1886 წლიდან 1906 წლის 27 აგვისტომდე - დახურვამდე ყოველდღიურ გაზეთად). მისი თემატური მრავალფეროვნება განსაზღვრა ქართველი ხალხის ეროვნულმა, სოციალ-ეკონომიკურმა და კულტურულმა ვითარებამ ცარიზმის მკაცრი ცენზურის მიუხედავად, გაზეთი დიდ ყურადღებას უთმობდა ქართველთა ეროვნული თვითშეგნების გაძლიერების, ხალხისა და ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრების მთავარ და საარსებო პრობლემებს. "ივერიის" კორესპონდენციათა, ნარკვევებისა და სტატიების ყურადღების ცენტრში იყო რუსიფიკაციის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლის, მიგრაციის, მოსახლეობის სტრუქტურისა და გადაადგილების, შავიზღვისპირეთის, სამაჩაბლოს, ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის დემოგრაფიული ვითარების, უცხო ტომთა მიერ ქართველთა შევიწროების, ქართულ გვართა და ტოპონიმთა შეცვლის, ისტორიულ სიძველეთა მითვისების, ეკლესია-მონასტრებზე ქართული წარწერების წაშლის და სხვა საკითხები. გაზეთის მიერ ეროვნული პოზიციებიდან დაყენებული დემოგრაფიული პრობლემები თანამედროვე საქართველოს რთულ ეკონომიკურ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას ეხმაურება. ამიტომ მათ მეცნიერულ-შემეცნებითი და პრაქტიკულ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოსათვის.

●

"ივერიის" პუბლიკაციებში სათანადო სტატისტიკური მასალის ანალიზის და განზოგადების საფუძველზე წარმოჩენილია საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობისა და დემოგრაფიული ვითარების პრობლემები. მეცნიერული სიღრმითა და პრაქტიკული მნიშვნელობით უნდა გამოვყოთ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის, დავით ჩუბინაშვილის, დიმიტრი ბაქრაძის, დიმიტრი ჯანაშვილის, მიხეილ თამარაშვილის, მოსე ჯანაშვილის, პეტრე უმიკაშვილის, სოლომონ ასლანიშვილის, ვლადიმერ მიქელაძის, ნიკო ხიზანიშვილის, დუტუ მეგრელის, დავით მიქელაძის, პეტრე მირიანაშვილის, მიხეილ კიწნურაშვილის, იოსებ იმედაშვილის, ილია ნაკაშიძის, სტეფანე მჭედლიშვილის, გიორგი ჟურულის, ალექსანდრე ფრონელის (ყიფშიძე), ანთიმოზ ჯუღელის, თედო სახოკიას, ნიკოლოზ ჯანაშიას, ალექსანდრე დავითაშვილის, ივანე ახლაშენიშვილისა და სხვათა პუბლიკაციები.

ილია ჭავჭავაძის თანამოაზრეთა და თანამებრძოლთა უდიდეს დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დროს გამოჩენილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მზადყოფნა. აქტიური ორგანიზებულება, საკუთარი მისიის შეგნება, მოვლენათა განვითარებაში წვდომის უნარი და ოპერატიულობა. ყოველივე ამან გადამწყვეტი როლი შეასრულა იმ მხრივ, რომ სამხრეთ საქართველოს პრობლემა მთლიანად ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ გადაწყვეტილიყო, "ივერია" ყველაფერს აკეთებდა აჭარა-ჭანეთის მიტაცებული მიწა-წყლის შემოსამტკიცებლად. მის პუბლიკაციაში მთავარი ადგილი ეთმობა იმის დასაბუთებას, რომ სამხრეთ საქართველო ქვეყნის ბურჯი და ეროვნული კულტურის მედროშე იყო. ყურადსაღებია ისიც, რომ თურქეთის უღელქვეშ ქართველებს არასდროს დაუკარგავთ ეროვნული სახე. პეტრე უმიკაშვილი მიუთითებდა, რომ "საერთოდ, მთელი ოსმალოს საქართველო მცხოვრებლებით მჭიდროდ არიან დასახლებულნი. ასე რომ ზოგნი ჰგონებენ ნახევარ მილიონს სულს და ზოგნი ჭანეთით ერთს მილიონ სულამდის სთვლიან, ესე იგი, თითქმის იმოდენა ხალხსა სთვლიან, რაც ქართლ-კახეთ-იმერეთში მცხოვრებელია"[1]. აღნიშნულია, თუმცა სარწმუნოებით ისინი მაჰმადიანებია, მაგრამ ჩვეულებით, ხასიათითა და ენით დღესაც ქართველნია თითქმის ყოველისფერში.[2]

"საქართველოს ერი, - წერდა დავით ჩუბინაშვილი, - ენისა და ლაპარაკის მიხედვით, განიყოფება ორად. პირველს შეადგენენ: ქართველნი, ე.ი. მცხოვრებნი: ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა, გურიისა, სამცხე-საათაბაგოსი, და მეორესა: მეგრელნი და ჭანელნი, მოსახლენი სამეგრელოსი და ჭანეთისა ან ძველი კაპადოკიისა"[3]. ამის ხაზგასმას მაშინ, როცა ქართველ მოსახლეობას შეგნებულად ანაწევრებდნენ და ცალკეულ ტომებს ერთმანეთს უპირისპირებდნენ, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

"ივერიის" პუბლიკაციებში ქართველი ხალხის ერთიანობის დიდმნიშვნელოვანი პრობლემებია დაყენებული. ამ მხრივ საყურადღებოა ილია ჭავჭავაძის წერილი "ოსმალოს საქართველო". ილიას მტკიცედ სჯერა, რომ რუსეთ-თურ-

1. "ივერია", 1877, 21 აპრილი, № 8.
2. იქვე.
3. "ივერია", 1877, 2 ივნისი, № 14.

ბიბლიოთეკა

ქეთის ომში რუსეთის გამარჯვებას შეიძლება მოჰყვეს თურქეთის მიერ მიტაცებული ქართული რაიონების განთავისუფლება. მაგრამ ტერიტორიის შემოერთება ყველაფერს როდი ნიშნავს, მთავარია აჭარელ-ლაზების სულიერი შემომტკიცება. ამისათვის კი მას აუცილებლად მიაჩნია ადგილობრივი საზოგადოების გაცნობიერება-აღზრდა. პუბლიკაციაში მოკლედაა გაშუქებული სამცხე-ჯავახეთის ისტორია და მისი დიდი დამსახურება ქართული კულტურისა და სახელმწიფოს მშენებლობაში.

სამხრეთ საქართველოს რაიონების შემოერთებით აღტაცებული ი. ჭავჭავაძე წერდა: "... ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლ-ხორცი, ჩვენთან ერთა მებრძოლი "შავი ბედისა", ჩვენის გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო დღეს ჩვენ შემოგვიერთდა და თუ კარგად მოიქცევიან, ვის ხელთაც ან იმათი ბედია, ჩვენთან იქნება კიდეც სამუდამოდ"[4].

ილია ჭავჭავაძე ეკამათება იმათ, ვინც აჭარა-ლაზისტანს ჩვენად არ ცნობენ და საქართველოს დაკნინების მიზნით ახლადშემოერთებულ ტერიტორიაზე უცხოელთა ჩასახლებას მოითხოვენ. ილია ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ აჭარა-ლაზისტანი ივერიის განუყოფელი ნაწილია და ასეთად უნდა დარჩეს.

●

"ივერიის" ისტორიულ დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება. ქართველურ ტომთა კონსოლიდაცია, ერთიანი ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბების დაჩქარება, რაც საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ამოცანებს უპასუხებდა.

"ივერიის" შინაურ მიმოხილვებში ქართველი ერის კონსოლიდაციის პრობლემებზეა მსჯელობა, მითითებულია მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიდნენ ერის შეკავშირებას. ივერიელებს ქართველი ერის ერთიანობის ხელშემშლელ ძირითად მიზეზად გულგრილობა მიაჩნდათ. "საიდამ დაგვჩემდა ეს საუბედურო თვისება? რამ გადააჩვია ჩვენი ჭკუა, გონება, გული საყოველთაოდ საქმეს? რამ დაგვიბა თვალი და ყური მარტო მასზედ, რასაც "ჩემობის" ფერი ადევს და არა "ჩვენობისა".

იპ. ვართაგავა თავის წერილებში მიუთითებს, რომ თუ ერს სურს პროგრესულ გზას დაადგეს და გაიუმჯობესოს გონებრივი, ზნეობრივი და ეკონომიკური ცხოვრება, უპირველეს ყოვლისა, მტკიცე ეროვნულ ნიადაგზე უნდა იდგეს. თუ ერს ეროვნული თვითცნობიერება არა აქვს, ან აქვს, მაგრამ ძალიან სუსტი, მაშინ უშედეგოდ ჩაივლის მისი ყოველი მეცადინეობა, ამიტომ იგი "... ვერ ჩაებმება კულტურულ ხალხთა ფერხულში და ხმასაც ვერ ამოიღებს საკაცობრიო კონცერტში". იპ. ვართაგავა გულისტკივილით განაგრძობს: "ჩვენში გამეფებულია შური, შუღლი, აყალ-მაყალი, დავი-დარაბა, დას-დასობა, ორპირობა, ანგარება, გაუტანლობა, უნდობლობა და სხვ. და ეს იმისათვის, რომ ჩვენში არ არის ჯერაც შეგნებული ძალა ზნეობრივის მოვალეობისა, თანხმობა ერთობისა და ეროვნული თვითცნობიერებისა"[5].

"ივერია" გამოეხმაურა ერეკლე II კარზე რუსეთის რეზიდენტის, იაკობ რაინეგსის ნაშრომს კავკასიის შესახებ, რომელშიც სტატისტიკური მასალა იყო მოტანილი საქართველოს მოსახლეობის შესახებ; "ივერიამ" ასე შეაფასა მისი ნაშრომი: "ბევრი უსამართლო და უსაფუძვლო შენიშვნაა ამ წიგნში, ბევრს ნაკლოვანებასა გვწამებს, რომელსაც ჩვენ აცილებელნი ვართ, მაგრამ ბევრს მოსმენასა და მწარეს სიმართლესაც გვეუბნება. სიმართლეს ყური დავუგდოთ და თავქარიანობით ჩაგონებულს ოცობოდო შენიშვნებს კი ყური მოვუყრუოთ"[6].

"ივერიაში" გამოქვეყნდა აკაკი წერეთლის მეტად აქტუალური "სიტყვა სამეგრელოს სათავადაზნაურო სკოლის კურთხევის დროს"[7]. აკაკიმ აღნიშნა, რომ ის ერი, რომელსაც წარსული არა აქვს, ემსგავსება ახლადდაბადებულ უსუსურ ყრმას. ქართველები არ ეკუთვნიან ასეთ ერს. მსოფლიოში არ არის ქართველ ერზე ისეთი პატარა ერი, რომელსაც უფრო დიდებული და ღირსშესანიშნავი წარსული ჰქონდეს. გასაოცარი გმირობითა და მხნეობით ჩვენმა წინაპრებმა დაიცვეს ქრისტიანული სარწმუნოება და მისი საფუძველი - ქართული დედა ენა. ქართველობამ ერთმანეთის სიყვარულითა და თანადგომით უნდა შეისწავლოს თავისი წარსული და გაუფრთხილდეს მას. "საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი ძმები ვართ, - ამბობს აკაკი, - სამგზის ძლიერის უხრწნელის კავშირით საუკუნოთი შეხორცებულნი: საერთო ისტორიით, ქრისტეს სარწმუნოებით და ერთის დედა-ქართულით. ერთის ბუდიდან ვართ გადმოსხმულნი"[8].

ქართველი ხალხის ერთიანობის, თბილისის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის პრობლემებია დაყენებული იაკობ გოგებაშვილის სტატიაში "ქართველი ერის დაქუცმაცება". ავტორი ასაბუთებს, რომ პატარა ერის დასუსტების საუკეთესო საშუალებაა მისი ტომობრივი დანაწილება, ამის მაგალითად დასახელებულია გერცენშტეინის მიერ შედგენილი და გამოცემული "თბილისის სამაგიდო კალენდარი". სტატიაში ხაზგასმითაა მითითებული, რომ გერცენშტეინს "ქართველი ერის შტოები ცალკე ხეებად გადაუქცევია, თემები ცალკე ხალხებად, და ერთი ეროვნული სხეულის თორმეტ-ცამეტ სხეულად მოუჩვენებია. ქართველები ამდენი არიან, მეგრელები ამდენი, იმერლები ამდენიო, ფშავლები ამდენნი, თუშები ამდენნი, ხევსურები ამდენნიო, უყურეთ რამდენი ნაცია აღმოუჩენიათ ქართველებში"[9].

4. "ივერია", 1879, № 1, გვ. 137.
5. "ივერია", 1901, 17 ივნისი, № 130.
6. "ივერია", 1879, № 4, გვ. 143.
7. "ივერია", 1885, № 11, გვ. 107-109.
8. აკაკი წერეთელი, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტომი IV, "საქართველო", თბ., 1990, გვ. 380.
9. "ივერია", 1902, 17 იანვარი, № 13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

"ივერიის" პუბლიკაციებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა შავიზღვისპირეთის დასახლების პრობლემას. რუსული პრესის პერიოდულ მიმოხილვებში და ცალკეულ სტატიებში ყურადღება გამახვილებული იყო ზღვისპირეთის ადგილობრივი მოსახლეობის დასახლების აუცილებლობაზე.[10] "ივერიის" მიმოხილვებში აღნიშნულია, რომ რუსული შოვინისტური ჟურნალ-გაზეთები ამ პრობლემას მხოლოდ პოლიტიკური თვალსაზრისით განიხილავდნენ და არა ეკონომიკური. 1880-1900 წლების რუსულ პრესაში გამოითქვა კატეგორიული აზრი იმის შესახებ, რომ კავკასიის სხვადასხვა ადგილებში დაესახლებინათ მხოლოდ რუსი კაზაკობა, რუსი შოვინისტები "ასაბუთებდნენ", რომ ამ ადგილებში "კავკასიის არც ერთი ერი, მათ შორის, ქართველები, არ გამოდგება დასასახლებლად, ვინაიდან მათ არაფრით არ დაუმსახურებიათ პოლიტიკური ნდობაო"[11].

რუსი შოვინისტები არ მალავდნენ კოლონიზაციისა და დემოგრაფიული ექსპანსიის მიზანდასახულობას კავკასიაში. "ივერია" იტყობინებოდა, რომ რუსეთში გამოქვეყნდა პუბლიცისტ სერგეი კრივენკოს ახალი წიგნი კავკასიის შესახებ. ავტორი ასაბუთებდა, რომ რუსეთის სახელმწიფოს კავკასიის მართვა-გამგეობაზე ყოველწლიურად 45 მილიონი მანეთი ეხარჯებოდა. შემოსავალი კი ამ მდიდარი ქვეყნიდან 18 მილიონს არ აღემატებაო. კავკასიის ბევრ ადგილას ძარცვა-გლეჯა და ავაზაკობააო, რუსების დასახლებას არ თანაუგრძნობენო. ს. კრივენკო დაასკვნიდა: "კავკასია მხოლოდ მაშინ გადაიქცევა რუსეთის საკუთრებად, როცა ამ ქვეყანაში ათიოდე რუსს კი არ დავასახლებთ, არამედ ასი ათასობით... უფრო უკეთესი იქნება, რომ ადგილობრივ მცხოვრებთ იარაღი ავყაროთ და მათ შორის ყველგან რუსები დავასახლოთო.[12]

კავკასიის მთავარმართებლობამ გააძლიერა მხარის კოლონიზაცია უცხო ელემენტებით. თავისუფალ ადგილ-მამულებს ურიგებდნენ რუს კოლონიზატორებს, მაშინ როცა ადგილობრივ მოსახლეობა მიწის დიდი სივიწროვეს განიცდიდა, ცარიზმი განსაკუთრებული გულმოდგინებით შეუდგა შავიზღვისპირა რაიონების ათვისებას. გათვალისწინებული იყო სოხუმ-გაგრის რაიონების რუსულ ახალშენებად გადაქცევა. კოლონიზატორული ღონისძიებათა განხორციელებაში ცარიზმს მხარში ედგა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია. იდევნებოდა წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე, დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადა ქართველ-აფხაზთა კულტურულ ურთიერთობას. აფხაზთა შორის ხელოვნურად ინერგებოდა ანტიქართული განწყობილება. "ივერია" იტყობინებოდა, რომ შავი ზღვის ოლქის და სოხუმის განყოფილების საუკეთესო ადგილები რუს მოხელეებს დაურიგდათ და ზოგიც გაიყიდა. ნაწილი კი ადგილობრივი ადმინისტრაციის დახმარებით სომხებმა, ბერძნებმა და თურქებმა იგდეს ხელთ.[13]

ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკა მაშინ მიზნად ისახავდა საქართველოში დემოგრაფიული ვითარების შეცვლას. "ივერია" თავის პუბლიკაციებში გმობდა რუსეთის დემოგრაფიულ ექსპანსიას, გადაჭრით აყენებდა შავი ზღვისპირეთის დაუსახლებელ ადგილებში ქართველთა ჩასახლების საკითხს. ივერიელები არაერთგზის აღნიშნავდნენ, რომ მთავრობამ რამდენჯერმე სცადა შავი ზღვისპირეთის რუსი მოსახლეობით დასახლება, მაგრამ უცხო ქვეყანაში რუსი ხალხი ვერ შეეთვისა კავკასიის ბუნებას და ვერ გაუგო ადგილობრივი სოფლის მეურნეობის თავისებურებას. მთავრობამ დიდი ხარჯი გაიღო, მაგრამ რუსობამ ფეხი ვერ მოიკიდა.[14] "ივერია" ხაზგასმით მიუთითებდა, რომ "... ნუთუ სახელმწიფოს არ ურჩევნია, როდესაც ყველა ქვეშევრდომს, განურჩევლად ნაციისა, ერთი და იგივე კანონი უწევს მფარველობას, ყველა ერთ აზრს ემსახურება, ის ხალხი დაასახლოს ამ ადგილებში, რომლის დასახლებაც არავითარ ხარჯს არ თხოულობს, მაშინ, როდესაც "რუსის ელემენტის" შავი ზღვის პირად დამკვიდრებას, ეჭვი არ არის, დიდი ხარჯი დასჭირდება?"

გადალმელი (ანთიმოზ ჯუღელი) სოხუმიდან იტყობინებოდა, რომ მეოთხე წელია რაც ადგილობრივს საგუბერნიო ადმინისტრაციის განკარგულებით შავი ზღვისპირეთში ქართველების დასახლება შეჩერდა. ბევრი ქართველი გლეხი ითხოვდა სახელმწიფო მამულებში დასახლებას, მაგრამ სოხუმის ოლქის უფროსი უარს ეუბნებოდა იმ მიზეზით, რომ "ქუთაისის" სამხედრო გუბერნატორისაგან ბრძანება გვაქვს, სოხუმის ოლქის სახელმწიფო მამულები გარდა რუსებისა, სამოსახლოდ არავის არ მიეცემა, რადგან მთავრობას ჰსურს, შავი ზღვის ნაპირა ადგილები რუსი გლეხებით დაასახლოს და არა ქართველებითო".[15]

"ივერია" ჯერ კიდევ 80-იანი წლების დასაწყისის პუბლიკაციებში ასაბუთებდა, რომ საქართველოს გლეხობა უფრო მეტად განიცდიდა მიწის ნაკლებობას, ვიდრე რუსეთის. რუსეთში 1 კვ. მილზე საშუალოდ 500 კაცი ცხოვრობდა, საქართველოში კი - 1000 კაცი. თუ მხედველობაში იქნებოდა მიღებული ის გარემოებაც, რომ საქართველოს ნახევარი მთა-გორიანი იყო და სახნავ-სათესად არ ვარგოდა, მაშინ უფრო ცხადი გახდებოდა ქართველი გლეხების გაჭირვება.

ივერიელები დაუფარავად ამხელდნენ ცარიზმის დემოგრაფიულ პოლიტიკას. ქართველებს თავისავე სამშობლოში თავისუფალ მიწა-წყალზე დასახლების უფლებას არ აძლევდნენ. მცირე მიწიანობა ქართველობას აიძულებდა, სამშობლო დაეტოვებინა. "ივერია" ე. კახელის ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წერილში "მცირე მამულობა სა-

10. "ივერია", 1886, 26 ნოემბერი, № 256, 1887, 22 მარტი, № 61; 1888, 13 თებერვალი, № 330, 1890, 22 აპრილი, № 84; 1891, 11 იანვარი და სხვა.
11. "ივერია", 1888, 13 თებერვალი, № 33.
12. "ივერია". 1893, 8 აპრილი, № 70.
13. "ივერია", 1895, 31 მარტი, № 68.
14. "ივერია", 1889, 20 ივლისი, № 152.
15. "ივერია", 1895, 8 მარტი, № 51.

ქართველოში და ჩრდილო კავკასიის ქართველობა" აღნიშნულია, რომ თერგის, ყუბანის და დაღესტნის ოლქებში, აგრეთვე, აზოვისა და დონის მხარეში 1 600-მდე ქართული ოჯახი იყო დასახლებული. ისინი უმთავრესად რაჭისა და დუშეთის მაზრებიდან იყვნენ წასული.[16]

აქვე ვგებულობთ, რომ 14 ქართველი ირკუტსკის გუბერნიაში მიემგავზრებოდა. იქაურ ქართველობას სტატისტიკურ მასალებში ქართველებად არ მოიხსენიებდნენ. ჩაწერილნი იყვნენ რუს კაზაკებად და ქართული გვარები დამახინჯებული და გადაკეთებული ჰქონდათ.[17]

ალექსანდრე ხახანაშვილის წერილის "მიწის სიმცირე კავკასიაში და გადმოსახლების პოლიტიკა" ფაქტობრივად ივერიელთა საბრალდებო დასკვნაა რუსეთის დემოგრაფიული ექსპანსიის მიმართ. მასში ავტორი მიუთითებს, რომ ადგილობრივი მოსახლეობისადმი უნდობლობით, რაღაც "პოლიტიკური მოსაზრებით" უნდა აიხსნას ის, რომ მეგრელებსა და იმერლებს ნებას არ აძლევენ დასახლდნენ შავი ზღვის სანაპიროს ქართულ მიწებზე.[18]

●

აფხაზეთის სამთავროს გაუქმებისა და რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ 1866 და 1877-1878 წწ. აფხაზეთში საყოველთაო აჯანყებები მოხდა. ამ გამოსვლებს ხელისუფალთა მხრიდან სასტიკი რეპრესიები მოჰყვა და აფხაზთა მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული გახდა, თურქეთში გადასახლებულიყო. ეს ტრაგიკული ამბები ისტორიაში ცნობილია "მაჰაჯირობის" სახელით. მაშინდელ ქართულ პერიოდულ პრესაში, მათ შორის, "ივერიაში" გამოქვეყნდა არაერთი სტატია და წერილი აფხაზების დასაცავად, მათი იძულებითი ემიგრაციის წინააღმდეგ. პუბლიკაციებში დაგმობილი იყო რეპრესიული ღონისძიებები აფხაზთა მიმართ და მოითხოვდნენ ემიგრაციის შეჩერებას. ამ მხრივ საკმარისია გავიხსენოთ "ნახული და გაგონილის" (მგზავრის შენიშვნების) ქვესათაურები: სოხუმი, აფხაზეთი; აფხაზეთი უაფხაზეთოდ; ახალი მცხოვრებნი აფხაზეთისა; აფხაზეთის სიმდიდრე; რა ეჭირვება აფხაზეთს? რათა დავრწმუნდეთ, თუ როგორ ზრუნავდა მოწინავე საქართველო თავის მოძმეებზე, როგორ ესმოდა აფხაზეთის ჭირ-ვარამი და საჭიროებანი. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ილია ჭავჭავაძე სოხუმში ჩავიდა და ქალაქის საზოგადოებრიობის წინაშე აფხაზეთის - ამ ქართული მიწაწყლის მოვლა-პატრონობის შესახებ საყურადღებო საკითხები დააყენა.[19]

"ივერია" იტყობინებოდა, რომ რუსეთ-თურქეთის ომის დროს ერთი აფხაზური სოფელი მთლიანად გადასახლებულა თურქეთში, მათ ადგილზე კი ანატოლიის მხრიდან მოსული სომხები დასახლებულან, შემდეგ თურქეთიდან მკვიდრი აფხაზები დაბრუნებულან და თავიანთი სოფლის მახლობლად დამკვიდრებულან, მაგრამ სახნავ-სათესის გამო მათ შორის ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ შეტაკებებს.[20]

"ივერია" განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა იმ ტომებისა და კუთხეების ეროვნულ შემომტკიცებას, სადაც ისტორიული ბედუკუღმართობის მიზეზით შეირყა და შესუსტდა ქართული ეროვნული შეგნება, ერთიანი საქართველოს სულისკვეთება. ივერიელთა წერილებსა და კორესპონდენციებში გაშუქებული იყო ბათუმის ოლქის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, საინგილოსა და სხვა კუთხეების მოსახლეობის წესჩვეულებანი და სარწმუნოება. "ივერია" დამაჯერებლად აჩვენებდა, რომ მოლათა აგიტაციის და სხვადასხვა ჭორების გავრცელებირს შედეგად ახალციხისა და ახალქალაქის მაჰმადიანი მოსახლეობა მიწას მუქთად ჰყიდდა და მიდიოდა ოსმალეთში. მაჰმადიან ქართველთა მტრები, რომელთაც ჰსურდათ მათი ადგილ-მამულის ხელში ჩაგდება, ხმებს ავრცელებდნენ, თითქოს მათ სახლებში ჯარისკაცები უნდა ჩაესახლებინათ.[21] "ივერია" მკაცრად გმობდა ამ ანტიქართულ მონაჭორს და მიუთითებდა, "ეტყობა, რომ ამ საქმეში ვიღაც ავი სულია ჩარეული და იმნაირად ჩაუგონებია ქართველი მაჰმადიანებისათვის, ისეთი გესლი ჩაუწვეთებია მათთვის, რომ აღარავისი გონივრული სიტყვა აღარ სჯერათ".[22]

ივერიელთა ვრცელ პუბლიკაციებში დიდი ადგილი ეთმობა ზემო და ქვემო ქართლის მოსახლეობის ეროვნული სტრუქტურისა და დემოგრაფიული სიტუაციის საკითხებს. "ივერიამ" რამდენიმე წერილი მიუძღვნა სოფელ რუხის ქართველების მტკივნეულ პრობლემებს. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ ილ. ალხაზიშვილის, ზ. გულისაშვილისა და სხვათა წერილები.

რუსეთის დემოგრაფიული ექსპანსიისა და შოვინიზმის მკაფიო მაგალითად გამოდგებოდა მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარის, არქეოლოგ პ. უვაროვას მიერ 1897 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი "მოგზაურობა ფშა-ხევსურეთში". ავტორი უარყოფდა მცდარ აზრს, ვითომდაც ხევსურები ჯვაროსნები იყვნენ, მაგრამ ამასთან უფრო მცდარ დებულებას აყენებდა მათ შესახებ. იგი ხევსურებს ზაპოროჟიელი კაზაკებისა და სარმატების შთამომავლებად მიიჩნევდა. ამასთან დაკავშირებით "ივერია" ირონიულად წერდა: "მიულოცეთ ხევსურებს ზაპოროჟცებისა და სარმატების ჩამომავლობა, რაც მტკიცდება პ. უვაროვას აზრით ულვაშებით, წვერითა და შარვლით."[23]

"ივერიას" პრინციპული პოზიცია ეკავა კავკასიის ხალხთა ერთიანობის, საქართველოში მც-

16. "ივერია", 1903, 30 მარტი, № 72.
17. "ივერია", 1894 წ., 23 ივნისი, № 132.
18. "ივერია", 1905, 11 სექტემბერი, № 162.
19. იქვე, 1903, 4 ივნისი, № 118.
20. იქვე, 1891, 12 თებერვალი, № 33.
21. "ივერია", 1891, 2 აგვისტო, № 163; 1892, 13 თებერვალი, № 34.
22. "ივერია", 1892, 22 თებერვალი, № 40.
23. იქვე, 1898, 6 იანვარი, № 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოვრებ ყველა ხალხთა მეგობრობისა და ერთად თანაცხოვრების საკითხებზე. ამასთან, ივერიელები ვერ ითმენდნენ უცხო ტომთა მიერ ისტორიული ფაქტების დამახინჯების, ისტორიულ სიძველეთა, ქართული მიწა-წყლის მითვისებისა და ქართველთა შევიწროვების აღმაშფოთებელ ფაქტებს. ამ მხრივ უნდა დავასახელოთ დიმიტრის ბაქრაძის ნაშრომი "პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიული წყაროები", რომელიც პოლემიკური ხასიათისაა და ღრმა მეცნიერული დასკვნებით გამოირჩევა.[24] დ. ბაქრაძე მიუთითებს, რომ ქართულ-სომხურმა წყაროებმა უნდა შეავსონ ერთმანეთი და რომელიმეს შეუფასებლობა გაუმართლებელია. ამით იგი უპირისპირდება პატკანოვს, რომელიც ქართული მატიანისადმი ("ქართლის ცხოვრება") შეგნებულად იჩენდა აგდებულ დამოკიდებულებას.

დ. ბაქრაძე ასაბუთებს, რომ პატკანოვის მრავალ დასკვნა არაობიექტურია და არ ითვალისწინებს ისტორიულ ფაქტებს. სომეხი პროფესორი წერდა, თითქოს ტაოს კარი, ჭოროხის ხეობა ადრე სომხებს ეკუთვნოდათ და მე-10 საუკუნეში ქართველებმა მიიტაცესო. დ. ბაქრაძემ დამაჯერებლად ცხადჰყო ამ თვალსაზრისის უსაფუძვლობა, მოიშველია რა ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე პორფიროგენეტის წერილი, რითაც აშკარად ჩანს, რომ ჭოროხის ხეობა X საუკუნემდე ქართველ ბაგრატიონთა მფლობელობაში იყო. ამასვე ლაღადებენ ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები - ეკლესიები და მონასტრები. დ. ბაქრაძე წერს: "გვერწმუნოს გ. პატკანოვი, რომ ჩვენ თვითონ მოგვივლია მთელი ახლად შემოერთებული ბათუმისა და ყარსის მხარე, მაგრამ არც ერთის საუკუნის კვალი სომხებისა ჭოროხის ხეობაში არსად გვინახავს, მაშინ, როდესაც საქართველოს ძველი გავლენა ცხადადა სჩანს შუაგულ სომხეთში, ყარსის მხარეს."[25]

ამავე საკითხს ეხება "ივერიის" სარედაქციო წერილი - "ქართვლობა და სომხობა", რომელშიც მითითებულია, რომ "... უკეთესი ურთიერთობისა და კეთილ განწყობილებისათვის ყველა ხალხმა უნდა იცოდეს თავის ეთნოგრაფიული და ისტორიული საზღვრები, რომელიც ან მას, ან სხვა ხალხებს ეკუთვნის".[26]

ე. შილდელის (ესტატე მირიანაშვილი ) წერილი "სომხები ახალციხე-ახალქალაქის მაზრაში" მოგვითხრობს XIX საუკუნის 20-იან წლებში არზრუმის საფაშოდან სომხების გადმოსახლებას ქართულ მიწა-წყალზე. სომხებმა საუკეთესო ადგილები დაიკავეს და თავიანთი ყოფა-ცხოვრებაც კარგად მოაწყეს. ყოველივე ეს ქართველობისათვის სასიხარულო და სასიამოვნო იყო, მაგრამ "ეს მოსული სტუმარი რანაირად მოეპყრო თავის გულკეთილს და სტუმართმოყვარე მასპინძელს - ქართველებს... დააფასა თუ არა სტუმარმა სიკეთე თავისი მასპინძლისა? - კითხულობს წერილის ავტორი და თვითვე პასუხობს, "სტუმარმა არ დაინახა და არ დააფასა გულკეთილობა თავისი მასპინძლისა... სომხები ვერ მოექცნენ ქართველებს ისე, როგორც უნდა მოჰქცეოდნენ".[27]

ქართველი ხალხის ამავე საჭირბოროტო საკითხს ეხება ვინმე მესხი ივანე გვარამაძის წერილი "ხმა ოცხედან", რომელიც მიუთითებს, რომ პასკევიჩის მიერ გადმოსახლებულ სომხობას ადგილობრივ ქართველებთან ურთიერთთანხმობით, ძმურად უნდა ეცხოვრათ, მაგრამ მათ "რა გაიმაგრეს წელზურგი და მოიდგეს ყველგან მტკიცედ ფეხი, გამდიდრდნენ, გაძღნენ, ჩაიცვეს, დაიხურეს, გაამაყდნენ, აღარავინ დაინდეს, არც მოყვარე, არც ნაცნობი, არც მეგობარი: თავიანთებურად მათ არა მარტო მათ წესი აუგეს, არამედ მიჰყვნენ და სადაც ქართველების ძველი ეკლესიები იყო, ზოგი დაიჭირეს თავიანთ ეკლესიებად და ზოგს კიდევ დაუწყეს დაქცევა-დარბევა, ძველი ხუცური და მხედრული წარწერების წახოცა და მის წილ სომხურების ბლაჯვნა, არა მარტო ეკლესიებზე, არამედ კლდეებსა და ლოდ-ბალავრებზედაც მრავალგან. ჩვენ თვალწინ საბლის კათოლიკეთა ძველის საფლავების ქართული წარწერები სულ დაამტვრიეს, დალეწეს. მაჭატის ეკლესიითგან ანაძრობი ქვებით მორთულია სომხების სასაფლაონი. ასეა სხვაგანაც."[28]

ივერიელთა ერთ-ერთი კორესპონდენციიდან ვგებულობთ, რომ ნუხის მაზრის დაბა ვართაშენში, რომელიც უძველესი დროიდან საქართველოს კუთხე იყო, სომეხმა მღვდლებმა ძველი ქართული ეკლესიის კედლებიდან ქართული წარწერიანი ქვეა სომხურ წარწერიანი ქვით შეცვალეს და "ყველას არწმუნებდნენ, რომ ეს ეკლესია და თვით ვართაშენიც იმთავითვე სომხეთის კუთვნილებააო".[29]

წერილი "ცხოვრების გამოძახილი", რომელიც "ივერიამ" კლდიას (პეტრე მირიანაშვილი) ფსევდონიმით გამოაქვეყნა, მოგვითხრობს, რომ თბილისელმა მდიდარმა მოქალაქემ, ვინმე მირზოევმა ბორჩალოს მაზრის სოფელ ბაიდარახში შეიძინა დიდძალი მამულები, პატარა-პატარა ნაკვეთებად დაყო და ერევნიდან თავისი ერთმორჯულე ხალხი დაიბარა: მოდით, დასახლდდით, მიწა დაამუშავეთ, მეც მარგეთ და თქვენც ისარგებლეთო. ავტორი დასძენდა: "მირზოევის "საერთო საქმე" არც პირველია და არც უკანასკნელი იქნება, უნდა ვიფიქროთ, რომ მის კვალს შეუდგება არამიანცი, რომელმაც თავად სიმონ წერეთლისაგან ბორჩალოშივე ეხლახან დიდი მამული შეიძინა. ასე და ამა პირსა ზედა თავადების: მელიქიშვილთა, ბარათაშვილთა და ორბელიანთა სამკვიდრებელი მალე ჰაიასტანად იქნება გამოცხადებული".[30]

პეტრე მირიანაშვილი, მკითხველს შეახსენებს, რომ სომხები სხვა დროსაც გადმოსახლებულან საქართველოში, მაგრამ ეს გადმოსახლე-

24. იქვე, 1884, № 7-8, გვ. 54-88.
25. "ივერია". 1884, № 708, გვ. 58.
26. იქვე, 1889, 18 მაისი, № 123.
27. იქვე, 1895, 18 მაისი, № 103.
28. "ივერია", 1903, 13 დეკემბერი, № 266.
29. იქვე, 1903, 2 მარტი, № 49.
30. "ივერია", 1901, 1 სექტემბერი, № 188.

ბა საშიში არ იყო, რადგან მაშინ სომხურ მოქალაქეობრივ მისწრაფებას მათ შორის ადგილი არ ჰქონდა. მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, ამ მიმართულებამ აშკარად იჩინა თავი და "სომეხ აზგასერებს იმედი მიეცათ ჩვენის დიდების ნანგრევებზე თავიანთი ერის ბედნიერება აეგოთ", მაგრამ მათ ერთი რამ დაავიწყდათ: რამდენადაც კარგი და მოსაწონია ღვიძლი ერის პატრონობა, მის დარაჯად დგომა, იმდენად ცუდი დასაგმობია "მისი წაქეზება სხვა ერის სამკვიდროს დასაპატრონებლად, მეტადრე მაშინ, როცა წამქეზებელნი ამ ერის ქვეყნის შვილები არიან და მისი პურ-ღვინით უდგათ სული".[31]

"ივერიის" ფელეტონში გამოქვეყნებული პეტრე მირიანაშვილის სტატია სადღეისოდ ქართველ-სომეხთა ურთიერთობის, ქართული ენის, საქართველოს ისტორიის გაყალბების აქტუალურ საკითხებს ეხება: ავტორი მიუთითებს, რომ ჩვენი მეზობლები ყველაფერს ქართულს ითვისებდნენ. მათი აზრით, ქრისტიანობის გავრცელება, ხუცური ანბანის გამოგონება, ბაგრატიონთა მეფობა და მათი ძლევამოსილება, ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება თურმე სულ სომეხთა ნაწყალობევია, ხოლო თვითონ საქართველო დიდი სომხეთის ნაწილიაო.[32]

ამრიგად, "ივერია" საქართველოში რუსეთის ცარიზმის კოლონიზაციის საკითხებსა და მიმდინარე დემოგრაფიულ პროცესებს აშუქებდა საქართველოს მდიდარი და მრავალფეროვანი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ისტორიის საერთო ფონზე. ივერიელები კრიტიკულად განიხილავდნენ მთელ რიგ ისტორიულ და სტატიტიკურ დემოგრაფიულ წყაროებს. პუბლიკაციათა ყურადღების ცენტრში იდგა შავი ზღვისპირეთის, სამაჩაბლოს, ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, მიგრაციის, უცხო ტომთა მიერ ქართველთა შევიწროვების, ქართული გვარებისა და ტოპონიმიკის შეცვლის, საქართველოს სიძველეთა მითვისების, ეკლესია-მონასტრებზე ქართული წარწერების წაშლის და სხვა საკითხები. საქართველოს მოსახლეობის პრობლემებზე "ივერიის" შეფასებას, განზოგადებასა და დასკვნებს დიდი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

31. იქვე.
32. იქვე, 1904, 9 ოქტომბერი, № 231.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე სიგუა

# ნაპოვნი ფურცლები

ეს არის ამბავი, თუ როგორ გადაარჩინა რეჟისორმა ალექსანდრე მიქელაძემ განადგურებას არქივის რკინის სეიფიდან მოპარული და საიდუმლოდ გამოტანილი ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ სასამართლო დადგენილება. ამიტომ ვიწყებ, ერთი, ჩემი აზრით, მეტად საინტერესო წერილით:

ბატონო ალექსანდრე!

თქვენ მთხოვთ მოგაწოდოთ ზოგიერთი ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ ჩაუვარდა ბიძაჩემს, რეჟისორ საშა მიქელაძეს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ სასამართლო დადგენილება.

ვასრულებ თქვენს თხოვნას:

1926 წელს ბებიაჩემმა ნადია ნანეიშვილმა, ბიძაჩემი საშა მიქელაძე გაგზავნა ახლომდებარე საბაყლოში ხორცის საყიდლად. იგი რეჟისორ მიხეილ ჭიაურელის მამის, ედიშერის საკუთრება იყო. საბაყლო მდებარეობდა მაშინდელი კირკის - ამჟამინდელ მარჯანიშვილის ქუჩაზე. ნაყიდი ხორცი ყასაბმა შეუხვია დიდი ზომის დავთრიდან ამოხეულ ქაღალდის ფურცელში. საშას თვალში ეცა ქაღალდზე თვალსაჩინო შრიფტით გამოსახული ნაწერა - **"Дело об убийстве князя Ильий Григорьевича Чавчавадзе."** საშამ ყასაბს სთხოვა სხვა ქაღალდში შეეხვია ხორცი და მისთვის მიეყიდა დარჩენილი აკინძული ქაღალდები. საშამ ყასაბს ფული გადაუხადა და წიგნად აკინძული მთელი "საქმე" შინ მოიტანა. შინ მივიდა თუ არა, ეს ამბავი გაუმხილა დედმამას. ქაღალდი, რომელშიც ყასაბმა ხორცი გაუხვია, იყო ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ სასამართლო დადგენილების ოქმი. აკინძული ქაღალდებიდან ბევრი იყო ამოხეული, მაგრამ მაინც შეიძლებოდა მისი აღდგენა ქრონოლოგიური წესით. ნაწერში სხვა მონაწილე მკვლელებთან განსაკუთრებული შრიფტით იყო გამოყოფილი გიგლა ბერბიჭაშვილის გვარი.

30-იან წლებში ძალიან სახიფათო იყო ამ მასალის აღმოჩენა და გახმაურება. ამიტომ სახელდახელოდ შეახვიეს და მამაჩემის ბინაში კლარა ცეტკინის ქუჩაზე შეინახეს.

1926 წელს საშა მოსკოვში წავიდა და იქ სწავლობდა მჭედლიშვილის მიერ დაარსებულ სამხატვრო თეატრის ქართულ სტუდიაში. სტუდიის დამთავრების შემდეგ 1928 წელს ალექსანდრე მიქელაძე თბილისში ჩამოვიდა და მუშაობა დაიწყო დუშეთში, კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებაში. აქ გაეცნო ილია ჭავჭავაძის მკვლელს გიგლა ბერბიჭაშვილს, რომელიც თურმე იკვეხნიდა, ილია ჭავჭავაძეს მე ვესროლე ბერდანის ტყვია და ეტლიდან ჩამოვაგორეო.

რამდენიმე ხნის შემდეგ, ბიძაჩემი ალექსანდრე მიქელაძე დუშეთიდან თბილისში გადმოვიდა და მუშაობა დაიწყო რეჟისორად. მის მიერ მამაჩემის სახლში შენახული და აკინძული ილია ჭავჭავაძის მკვლელობის სასამართლო დადგენილება იძულებული შეიქნა გადაეცა იმათი არქივისათვის, საიდანაც ადრე მოიპარეს და ყასაბს მიჰყიდეს. როდესაც მან ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ მთელი მასალა არქივს გადასცა და კიბეზე ჩამოდიოდა, ერთი ხანში შესული ჭაღარათმიანი კაცი აედევნა, კიბეზე წამოეწია და აღელვებულმა და თვალცრემლიანმა საშას გულისტკივილით უთხრა: თქვენ, ახალგაზრდავ, დიდი შეცდომა დაუშვით, რომ თქვენ მიერ გადარჩენილი დიდი ილიას მკვლელობის სასამართლო ოქმი არქივს დაუბრუნეთ. მოხუცის ამ სიტყვებში ყველაფერია ნათქვამი და ჩემი განმარტება-კომენტარი, ვფიქრობ, საჭირო არ არის. არქივში მასალების დაბრუნების შემდეგ საშასთან ხშირად მოდიოდნენ მწერლები: მიხეილ ჯავახიშვილი, თედო სახოკია, იოსებ გრიშაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე და სხვები. ისინი ითხოვდნენ დაწვრილებით ეამბნა, თუ როგორ ჩაუვარდა ბიძაჩემს ხელში ილია ჭავჭავაძის მკვლელობის სასამართლო დადგენილება. ზოგიერთი საზოგადო მოღვაწის გვარი არ მახსოვს.

აი, მოკლედ ყველაფერი ის, რაც მე ვიცი ბიძაჩემის, ალექსანდრე მიქელაძის ნაამბობის მიხედვით, თუ როგორ ჩაუვარდა მას ხელში ილია ჭავჭავაძის მკვლელობის სასამართლო დადგენილების დიდმნიშვნელოვანი ოქმი.

ოთარ მიქელაძე

●

ოთარ მიქელაძის მოგონების მოყვანა აქ იმან განაპირობა, რომ ზოგიერთი ჟურნალისტი, როდესაც ეხება ილია ჭავჭავაძის მკვლელობას, გაუგონარ ტყუილს წერს: ვითომ არქივიდან ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ მასალები არ მოუპარავთ და არქივის რკინის სეიფში ინახებაო. ამის შესახებ ჩემს მონოგრაფიაში "ვინ მოკლა ილია ჭავჭავაძე" ყველაფერია ნათქვამი და გაანალიზებული, აქვეა მოთავსებული ალექსანდრე მიქელაძის ნაამბობის მიხედვით ჩაწერილი "მკვლელები არქივიდან", მაგრამ, ვიმეორებ, წიგნს დაკვირვებით უნდა წაკითხვა და არა ისე, უშინაარსოდ, როგორც გოგოლის პეტრუშკა კითხულობდა.

ბიბლიოთეკა

ამ ვითომდა მკვლევარებს თავიანთი ლიტერატურული ბიოგრაფია, თუ მათ ასეთი აქვთ, უნდათ დაუკავშირონ ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. სხვა მხრივ არ არიან დაინტერესებული იკვლიონ და მოძებნონ, თუ ვინ მოკლა ქართველი ერის მამა - ილია ჭავჭავაძე.

არქივის ხელმძღვანელობა თუ როგორ ეპყრობოდა და უვლიდა ცენტრალური არქივის რკინის სეიფში შენახულ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის სასამართლო დადგენილების საბუთებს, იქიდან ჩანს, რომ 1926 წელს რკინის სეიფიდან გამოტანილი და მოპარული მასალების შესახებ არქივის ხელმძღვანელობამ არაფერი იცოდა. ამ დოკუმენტების მოპარვა-გამოტანა ცნობილი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც რეჟისორმა ალექსანდრე მიქელაძემ არქივს ჩააბარა ყასბისაგან შეძენილი ილიას მკვლელობის სასამართლო დადგენილების ოქმი და სხვა დიდმნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტები.

არქივის ხელმძღვანელობას მოპარული მასალების შესახებ პროკურატურაში სასწრაფოდ უნდა აღეძრა სისხლის სამართლის საქმე, თუ როგორ მოხდა არქივის რკინის სეიფიდან ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ დიდი ისტორიული მნიშვნელობის მასალების გამოტანა. ამავე დროს რეჟისორ ალექსანდრე მიქელაძისათვის პრესის საშუალებით მადლობა გამოეცხადებინათ, მაგრამ ამის მსგავსი არქივის ხელმძღვანელობას არაფერი გაუკეთებია, ვინაიდან თვითონ ცდილობდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მასალების მოსპობასა და განადგურებას.

როგორც ცნობილია, სხვა გამოჩენილ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან ერთად, ალექსანდრე მიქელაძესთან ხშირად მოდიოდა იოსებ გრიშაშვილი, რათა დაწვრილებით გაეგო, თუ როგორ მოხდა მის ხელში ილიას მკვლელობის სასამართლო დადგენილების დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტები.

აი, ამ დიდი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტს გრიშაშვილმა მიუძღვნა სევდის მომგვრელი ბრწყინვალე ლექსი, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ყველასთვისაა ცნობილი.

ვის შეუძლია ამ ლექსის წაკითხვა ცრემლისა და დიდი გულისტკივილის გარეშე, თითქოს პოეტი თავისი თვალით ხედავდა არქივის რკინის სეიფიდან ილია ჭავჭავაძის მკვლელობის სასამართლო დადგენილების გამოტანასა და მოპარვას.

**"მე დავდიოდი, როგორც შამილი,**
**მერმისის ფიქრი კვლავ და კვლავ მდევდა -**
**და იზრდებოდა გულში შხამივით**
**ბესიკის ბაღში გაზრდილი სევდა..."**

აი, ის სულიერი ჯანყი, ის სულიერი ტრაგედია, რომელიც გამოიწვია პოეტის შემოქმედების სამყაროში ხელშეუხებელი და მიუვალი არქივის რკინის სეიფიდან ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ სასამართლო დადგენილების საბუთების გამოტანამ და ვიღაც ხორცის გამყიდველისათვის შესახვევ ქაღალდად გადაცემამ. რეჟისორ ალექსანდრე მიქელაძის სახელი კი ყოველთვის დიდი მადლიერების გრძნობით უნდა მოვიხსენიოთ.

ალბათ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არქივიდან გამოტანილი ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მასალები უეჭველად რამდენიმე ტომი იქნებოდა, თორემ რამდენიმე ფურცელს, რამდენიმე გვერდს ყასაბი არ შეიძენდა ხორცის შესახვევად...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატო ჭანტურია

# აკაკი წერეთლის პირადი წერილების პარიზული ციკლი

ეპისტოლური მასალა აკაკი წერეთლის პიროვნების გაცნობის, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ნიუანსების შესწავლის ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა. პოეტის პირადი წერილების პარიზული ციკლი შემოქმედის სულის სიღრმეებში გვახედებს და სრულიად ახალი კუთხით წარმოაჩენს მის პიროვნებას.

აკაკი წერეთლის პირადი წერილების პარიზული ციკლი სრულიად უცნობი იყო ქართველი საზოგადოებისათვის 1964 წლამდე. ამდენად, იგი ვერ შევიდოდა გიორგი აბზიანიძის რედაქტორობით გამოქვეყნებული თხუთმეტტომეულის მე-15 ტომში, რომელიც 1963 წელს გამოიცა. მხოლოდ არსებობდა თეორიული ვარაუდი იმის თაობაზე, რომ საფრანგეთში, სადაც ცხოვრობდნენ აკაკის მეუღლე და ვაჟიშვილი, შესაძლებელი იყო მათი არსებობა.

1964 წლის გაზაფხულზე ქართველ მწერალთა და მეცნიერთა ჯგუფმა კარლო კალაძის, იოსებ ნონეშვილის, შოთა ძიძიგურის, გივი გაჩეჩილაძის, გულნარა ჯაფარიძის, ეთერ გუგუშვილისა და ბესარიონ ჟღენტის შემადგენლობით საფრანგეთში იმოგზაურა. მათი მიზანი იყო საფრანგეთის საქვეყნოდ ცნობილ ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება, ქვეყნის პოლიტიკური და საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების გაცნობა. პარიზში ისინი შეხვდნენ იქ მცხოვრებ ქართველებს, კერძოდ კი, ქართული დიასპორის ხელმძღვანელს, ლევან ზურაბიშვილს. პარიზის დათვალიერების დროს მათ მეგზურობა გაუწია გიორგი ნოზაძემ. მან ბ. ჟღენტს აჩვენა კედელი, რომელზეც პირველი მსოფლიო ომის წინ საფრანგეთში მყოფ პაოლო იაშვილს ქართულად წაუწერია: "გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს".

პარიზში ჩასვლისთანავე ბ. ჟღენტმა გ. ნოზაძისაგან გაიგო, რომ ერთ-ერთ ქართულ ოჯახში ინახება უცნობი კოლექცია აკაკი წერეთლის პირადი წერილებისა ცოლ-შვილისადმი. როგორც ცნობილია, 1943 წელს საფრანგეთში გარდაცვლილა აკაკის ვაჟი - ალექსი, რომლის პირად არქივში დაცული ყოფილა აკაკის ხელით რუსულად დაწერილი 90-მდე პირადი წერილი მეუღლისა და ვაჟიშვილისადმი. ბ. ჟღენტი დაინტერესდა ამ ცნობით და სთხოვა გ. ნოზაძეს, გამოერკვია შესაძლებლობა წერილების ასლის გადაღებისა და სამშობლოში წამოღებისა მათი გამოქვეყნების მიზნით, რათა ეს ხელნაწერები ხელმისაწვდომი გამხდარიყო როგორც მკვლევარ-სპეციალისტთა წრისათვის, ისე მკითხველთა ფართო ფენებისათვის.

ვ. ჩუბინიძის დახმარებით ბ. ჟღენტი და ე. გუგუშვილი შეხვდნენ მიხეილ სტურუას, რომლის ოჯახშიც ინახებოდა აკაკის წერილები. მ. სტურუა დაინტერესებული იყო, რომ საქართველოს არ დაჰკარგვოდა ქართული მწერლობის ისტორიისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი განძი. მას განზრახული ჰქონდა ამ წერილების გაგზავნა სამშობლოში, მაგრამ ელოდა ხელსაყრელ შემთხვევას და საიმედო პიროვნებას.

აკაკის პირადი წერილების პარიზული ციკლის შესახებ პირველი ცნობები (და თვით ეს წერილები) გამოქვეყნდა ჟურნალ "მნათობის" 1965 წლის მე-9 და მე-10 ნომრებში. ამ ნომრებში სულ წარმოდგენილია 90 წერილი, მათ შორის, 88 წერილის ადრესატია აკაკის ცოლ-შვილი, ხოლო 2 წერილისა - ლიუბოვ პეტროვნა - ნატალია ბაზილევსკაიას და. ჟურნალის მე-9 ნომერში დაბეჭდილია ბ. ჟღენტის წერილი - "ძვირფასი შენაძენი აკაკის ბიოგრაფიისათვის" (1, 127-146), შემდგომ ამისა წარმოდგენილია "აკაკი წერეთლის მიწერ-მოწერა ცოლ-შვილთან" (სულ - 37 წერილი). პირველი და მეორე წერილი დათარიღებულია 1900 წლით, სხვა დანარჩენი - 1904 წლით (2, 147-159). "მნათობის" მე-10 ნომერში გრძელდება წერილების ბეჭდვა. აქ წერილების დათარიღება იწყება 1904 წლით და მთავრდება 1909 წლით. სულ წარმოდგენილია 53 წერილი (3, 152-170). წერილებს ერთვის შენიშვნები და ცნობები მათში მოხსენიებული ზოგი პირისა და გეოგრაფიული პუნქტის შესახებ. ეს წერილები რუსული დედნიდან ვანო წულუკიძემ თარგმნა, შენიშვნები კი პაპუნა წერეთელმა დაურთო.

1966 წელს ბ. ჟღენტის რედაქტორობით გამოიცა წიგნი "აკაკი წერეთელი, წერილები ცოლ-შვილთან" (4). წიგნში წერილთა ქრონოლოგიური თანამიმდევრობა თუმცა მიახლოებითია, მაგრამ უფრო სარწმუნოა ჟურნალ "მნათობში" მოცემულ თანამიმდევრობასთან შედარებით, სადაც აღრეულია წერილთა რიგი. ისინი დალაგებულია ძირითადად თვეებისა და რიცხვების მიხედვით, ნაკლები ყურადღება ექცევა წლებს, ამიტომაც ზოგი 1903 წელს დაწერილი წერილი 1904 წლითაა დათარიღებული, ზოგიც 1905 წლით; 1905 წელს დაწერილი წერილი 1908 წლითაა დათარიღებული და ა.შ. წიგნსაც დართული აქვს შენიშვნები და წერილებში მოხსენიებულ პირთა და ტოპონიმთა შესახებ ცნობები. კომენტარებში გახსნილია რამდენიმე უცნობი პიროვნების ვინაობა, ზოგისა კი გაუხსნელია.

აკაკი წერეთლის პირადი წერილების პარიზული ციკლის დედნები დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტის აკაკის ფონდში. წერილები ძირითადად საყოფაცხოვრებო ხასიათისაა და მხოლოდ იშვიათად, აქა-იქ თუ იჩენს თავს ესა თუ ის საზოგადოებრივი მოვლენა, ისტორიული თუ ლიტერატურული ხასიათის რეალიები. ჩანს, ცოლ-შვილს შორეული კავშირი ჰქონდა დიდი პოეტის საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან, მის შემოქმედებით ცხოვრებასთან. ეს გარემოება საკმარისია იმისათვის, რომ გავითვალისწინოთ მთელი სიღრმე და სიმწვავე იმ ტრაგედიისა, რომელსაც პირადი ცხოვრების სფეროში

ბიბლიოთეკა

განიცდიდა პოეტი, მას არ შეეძლო, თავისი იდეალები და მისწრაფებანი გაეზიარებინა უახლოესი ადამიანებისათვის - ცოლისა და ერთადერთი ვაჟისათვის. ამიტომაც აკაკის ამ პირად წერილებში ცოტა რამ არის ისეთი, რაც ჩვენს ცოდნას რაიმეს მატებს პოეტის შემოქმედებისა და მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობის ხასიათზე, აზრსა და შინაარსზე. და მაინც, ამ მხრივაც, ამ წერილებში ზოგი მნიშვნელოვანი რამ ამოიკითხება. მაგალითად, საყურადღებოა ის გულისწყრომა, რომლითაც პოეტი მოუთხრობს ადრესატებს რეაქციის წლებში (1905-1907 წწ.) ჩვენს ქვეყანაში დატრიალებული ჯოჯოხეთური ამბების შესახებ: "აქ ისეთი საშინელება ტრიალებს, რომ კალმით არ აიწერება, - წერს პოეტი ერთ-ერთ ბარათში, - ქალაქში სამხედრო წესებია და ამ დღეებში უკვე საალყო წესებიც გამოაცხადეს... ახლახან დაარბიეს და აანიოკეს სომხის ბაზარი. ქალაქის ცენტრში ზარბაზნებს ისროდნენ და განურჩევლად გაწყვიტეს ხალხი. დაიღუპნენ უდანაშაულონი. გუშინ აიკლეს ნაძალადევის მთელი უბანი, დღეს ქუჩებში ჰყრია რამოდენიმე ასეული ადამიანის გვამი და დამმარხავიც არავინ არის, საერთოდ, საკმაოა ვინმე ხულიგანმა ან გიჟმა ფუჭად გაისროლოს თოფი, რომ კაზაკებმა განურჩევლად დაუწყონ ჟლეტა მშვიდობიან გამვლელ-გამომვლელთ. რასაკვირველია, ასეთ დროს სახლიდან არ გადიხარ, მაგრამ მაინც არავინ არის დაზღვეული და ყოველ წუთში მოელი სიკვდილს" (4, 133).

მეორე წერილში პოეტი ამცნობს მეუღლეს: "ქუთაისის გუბერნია გავერანებულია... ინვის სახლები, დუქნები და მაღაზიები გაძარცვულია, ადამიანებს ხოცავენ ბუზებივით, არ არჩევენ მართალს და მტყუანს. საჩხერე დარბეულია" (4, 120).

ერთ-ერთ წერილში აკაკი ასე აღწერს აღნიშნულ ტრაგიკულ მოვლენებს: "უპრავაში სასაკლაო დატრიალდა..." (4, 128). ამ ფაქტთან დაკავშირებით "შენიშვნებში" აღნიშნულია, რომ იგულისხმება 1905 წლის 29 აგვისტოს პოლიციელთა და კაზაკთა მიერ მშრომელების დახვრეტა თბილისის ქალაქის თვითმმართველობის სხდომათა დარბაზში (4, 150).

"გახურებული ტერორი მძვინვარებს, ახლახან თვით ეგზარხოსიც კი მოკლეს", - "სამხედრო წესები და ირგვლივ გაფიცვებია, არ არის არც მიმოსვლა, არც ტელეგრაფი, არც წერილები, არც გაზეთები, ქუჩებში დღისით-მზისით ძარცვა-გლეჯაა, მკვლელობა, საშინელება..." (4, 124).

პოეტის პირად წერილებში გაფანტული ასეთი სტრიქონები ეთანხმება და აძლიერებს იმ ზიზღსა და მძულვარების პათოსს, რომლითაც აკ. წერეთელმა რეაქციის წლებში დაწერილ მხატვრულ ნაწარმოებებში ამხილა თვითმპყრობელობის სისხლიანი თარეში საქართველოში.

საყურადღებოა, რომ ამ წერილებში მოცემულია ცნობები პოეტის იუბილეს შესახებ, კერძოდ, კმაყოფილება იმის გამოა გამოთქმული, რომ 1908 წელს სრულიად საქართველომ იდღესასწაულა მისი დაბადებიდან 68 წლისთავი.

პოეტი დაწვრილებით აცნობებს ცოლ-შვილს ამ იუბილეს სამზადისისა და მიმდინარეობის შესახებ: "გაზეთებში უკვე დაიწყეს ლაპარაკი ჩემს იუბილეზე, რომელიც გადახდილი იქნება 5 თვის შემდეგ" (4, 136)... "თბილისისა და ქუთაისის ბანკებმა 150-150 მანეთი პენსია დამინიშნეს, მაგრამ მათი მოცემა იუბილეს მიუსადაგეს, იუბილეს გადახდა კი უნდათ 27 ნოემბერს" (4, 137).

ამრიგად, ამ წერილებიდან ვიგებთ, პოეტის წუხილს, რომ ამ ბედნიერ დღეებში იგი მარტოა და მის გვერდით არ არიან ოჯახის წევრები: "... ძალიან მსურდა თქვენც დასწრებოდით ჩემს იუბილეს, მაგრამ საშუალება არ მაქვს" (4, 139).

"დაიწყო ჩემი იუბილე. 7 დეკემბერს გაიმართა თბილისში. 14 დეკემბერს ქუთაისში... 21 დეკემბერს ბაქოში ვიქნები" (4, 143), - წერს აღფრთოვანებული პოეტი. ერთ-ერთ წერილში აღნიშნავს, რომ მისი იუბილე სახალხო დღესასწაულად იქცა: "უნდა გითხრათ, რომ ეს არ არის უბრალო იუბილე. ეს არის ხანგრძლივი სახალხო დღესასწაული" (4, 144).

პოეტის ბუნებისა და ხასიათის ნათელსაყოფად გარკვეული მნიშვნელობა აქვს ცოლ-შვილისადმი მიწერილ იმ ბარათებსაც, რომლებიდანაც ვიგებთ, თუ როგორ უჭირდა აკაკის სამშობლოდან გამგზავრება, თუნდაც მცირე ხნით დაშორება მშობლიურ მიწა-წყალთან.

თუმცა აღნიშნული წერილები არ იძლევა მდიდარ მასალას პოეტის საზოგადოებრივი იდეალებისა და მოღვაწეობის დასახასიათებლად, მაგრამ ეს გარემოება არ ამცირებს მათ ისტორიულ-ლიტერატურულ ღირებულებას. აკაკის მსოფლმხედველობა, მისი შემოქმედებისა და მოღვაწეობის შინაარსი, ეპოქა, რომელშიც იგი ცხოვრობდა და ქმნიდა, ჩვენთვის საკმაოდ ცნობილია მრავალფეროვან წყაროთა მეშვეობით. აკაკი წერეთლის პირადი წერილების ამ კოლექციის მნიშვნელობა კი უმთავრესად ისაა, რომ იგი ფარდას ხდის პოეტის ცხოვრების ისეთ მხარეს, რომელიც დღემდე ყველაზე ნაკლებად იყო ცნობილი და გამუქებული სამეცნიერო ლიტერატურაში; ეს არის პოეტის პირადი ცხოვრება, მისი დრამატულ-ტრაგიკული ურთიერთობა მეუღლესთან და შვილთან, რაც უთუოდ უარყოფით გავლენას ახდენდა მგოსნის სულიერ ცხოვრებაზე და, მაშასადამე, მისი შემოქმედებისა და მოღვაწეობის ხასიათზეც.

დიდ ქართველ კლასიკოსთა შორის აკაკი წერეთლის შემოქმედებითი ბიოგრაფია და პირადი ცხოვრების ისტორია ყველაზე ვრცლად და მრავალმხრივად არის შესწავლილი ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში. საკმარისია დავასახელოთ ლ. ასათიანის წიგნი "ცხოვრება აკაკი წერეთლისა", მაგრამ ამ ნაშრომშიც აკაკის პირად ცხოვრებას, მის ურთიერთობას ცოლ-შვილთან მცირე ყურადღება აქვს დათმობილი სწორედ იმიტომ, რომ პოეტის ბიოგრაფიის ამ მხარის შესახებ არ მოიპოვებოდა სათანადო მასალები.

აკაკის პირადი წერილების ამ ახალი კოლექციით ჩვენს თვალწინ პირველად გადაიშალა პოეტის ოჯახური ცხოვრების ჭეშმარიტი სურათი, გამსჭვალული ღრმა დრამატიზმითა და მწვავე გულისტკივილით. სწორედ ამ წერილების გაცნობამ დაგვარწმუნა იმაში, რომ ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი "პირადი მწუხარებისა", რაც გამოხატულია აკაკი წერეთლის მთელ რიგ ლირიკულ შედევრებში, უმთავრესად ოჯახურ ტრაგიზმში უნდა ვეძიოთ:

**"ჩემს შარბათში ნაღველს ვჭვრეტ და**
**ვარდში გველს,**
**მისთვის ვწყევლი და ვემდური ამ სოფელს,**
**რომლისგანაც მე გზები ამერია!.." -**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოდებდა პოეტი. ცოლ-შვილისადმი მიწერილი წერილების გაცნობის შემდეგ ჩვენთვის ნათელი ხდება, რომ მისი დაუსრულებელი სატანჯველის ერთ-ერთი მიზეზი იმ დიდ გულისტკივილთან ერთად, რომელსაც პოეტი თავისი ხალხის ეროვნული და სოციალური მონობის გამო განიცდიდა, ყოფილა პირადი ცხოვრების მოუწყობლობა, მუდმივი სიმარტოვე, საყვარელი ცოლ-შვილისაგან შორს, უბინაოდ, მიუსაფრად ყოფნა, ნივთიერი გაჭირვება, მეუღლესა და შვილთან ურთიერთობაში მწვავე წინააღმდეგობანი და უსიამოვნებანი.

დავაკვირდეთ მის ხელმოწერებს წერილების ბოლოს. ცოლ-შვილისადმი მიწერილი ყველა წერილი ხელმოწერილია სიტყვებით: "გკოცნით. თქვენი აკაკი"; "მარად თქვენი მოყვარული აკაკი"; "კუბოს კარამდე თქვენი აკაკი". ეს მინაწერები ცხადყოფენ აკაკის უზომო სიყვარულს ოჯახისადმი, ამიტომ იყო, რომ იგი მტკივნეულად განიცდიდა მათგან მუდმივ დაშორებას: "თქვენთან განშორებამ ძალიან ცუდ გუნებაზე დამაყენა... მეორე დღეს ხარკოვს ნერვებაშლილი ჩავედი..." (4, 43); "ხვალ მივდივარ საჩხერეს, რომ გავყიდო ყველაფერი, რაც ხელში მომხვდება... უკვე დროა ჩამოხვიდეთ..." (4,55); "პირადი ბედნიერება არასოდეს მქონია, შვილის ბედნიერებაში მაინც მინდოდა მეპოვნა იგი" (4,70), - წერს აკაკი და ასეთი მძიმე სულიერი განწყობისას ზოგჯერ სიკვდილსაც ნატრობს: "შემშურდა ანდრო წერეთლისა, რომელიც რამდენიმე დღის წინათ მოკვდა ფილტვების ანთებით..." (4,73); "გემუდარებით, შემატყობინოთ, რა დაგემართათ, ნუ მაწამებთ ასე საშინლად უამისოდაც უბედური ვარ" (4, 102). იგი არაფერს იშურებდა იმისათვის, რომ ცოლ-შვილი გვერდით ჰყოლოდა: "გიგზავნით უკანასკნელ ფულს გამოსამგზავრებლად..." (4, 105).

პოეტს გულს უკლავდა'ის ფაქტი, რომ მისი ერთადერთი ვაჟი არ ფლობდა მშობლიურ ენას: "შენმა ქართულმა წერილმა ძალიან გამახარა, არასოდეს საეჭვოდ არ მიმაჩნდა შენი ნიჭიერება და ენერგია და სწორედ ამიტომ მტკივა გული, რომ მას ამაოდ ხარჯავ ჩემგან შორს, არა ჩემს ახლოს. შეგეძლო აქ ასჯერ მეტი სარგებლობა მოგეტანა და ჩვენც ასე არ გავწამებულიყავით" (4, 140).

მარტოხელა პოეტს ოცნებად ჰქონდა გადაქცეული ოჯახთან ახლოს ყოფნა: "მე პირდაპირ მოვისწრაფი თქვენთან, რომ როგორმე თავი დავიღწიო ამ დაწყევლილ მხარეს... მინდა სიბერის წლებში მაინც ვიცხოვრო თქვენთან ერთად" (4,87). როგორც ჩანს, მეუღლესა და შვილს არ ესმოდათ აკაკის დიადი საზოგადოებრივი იდეალები, მისი პატრიოტული სულისკვეთების ისტორიული აზრი და მნიშვნელობა: "მე როგორც ადამიანი და მეგობარი, ზედმეტი ვარ" (4, 93), - წერდა გულგატეხილი და მარტოსული აკაკი.

პეტერბურგის მდიდრულ წრეებში აღზრდილმა ნატალია ბაზილევსკაიამ ვერ შეიყვარა საქართველო - მეუღლის ქვეყანა და ხალხი. ნატალიას გული არ უდგებოდა საქართველოში, მას პეტერბურგში თუ საზღვარგარეთ ცხოვრება იზიდავდა. ალექსიც დედის გავლენით გულგრილად ეკიდებოდა საქართველოს და თავის დიდებულ მამას. ნიჭიერი და განათლებული ახალგაზრდა გატაცებული იყო მუსიკალურ-თეატრალური ანტრეპრიზით, რაც მოითხოვდა გამუდმებით მოგზაურობას სხვადასხვა ქვეყნებში და რაც ყოველთვის დაკავშირებული იყო დიდ ხარჯებთან, რისკთან და ხიფათთან. დედა-შვილი ცხოვრობდა ხან პეტერბურგში, ხარკოვში, კიევსა და რუსეთის სხვა ქალაქებში, ხან პარიზში, ნიცაში, ბერლინში, მილანში. ალექსის მოღვაწეობა უმრავლეს შემთხვევაში მოლოდინის გაცრუებით და ზარალით მთავრდებოდა. უფრო მეტიც, ალექსის ძვირადღირებული ფანტასტიური გეგმების ჩაშლის გამო მას დიდი ვალები ედებოდა და მევალეები პრეტენზიას აცხადებდნენ აკაკის ქონებაზე, პოეტის სახლ-კარსა და ადგილ-მამულს გაყიდვით ემუქრებოდნენ ვილაც უცხოელი ავანტიურისტები. ეს ყოველივე კარგად ჩანს პარიზულ წერილებში: "ლიოლიას ხაზინის ვალის გამო ყადაღა დაადვეს ყველაფერს" (4,72), - ვკითხულობთ წერილში ლიუბოვ ბაზილევსკაიასადმი. "რას ჩადიხართ, თავზე დამაჯინეთ ვილაც არამზადა, რომელმაც სამეძაო სახლად აქცია ჩემი სახლი. ყველა დაარწმუნა, რომ როცა მე მოვკვდები, ეს კი მალე მოხდება, მთელი ქონება მის ხელში გადავა, როგორც ლოლიას კრედიტორის ხელში..." (4, 81).

ცოლ-შვილის მდგომარეობით შეძრწუნებული აკაკი ცდილობს, დაუყოვნებლივ მიაწოდოს მათ საარსებოდ აუცილებელი ფული: "სამგზავრო ფული ბერლინში გამოგიგზავნეთ, თქვენ კი პეტერბურგში ყოფილხართ", - წერს შეშფოთებული აკაკი (4, 105); "ვეცდები აღდგომის მერე გამოგიგზავნოთ სამგზავრო ფული" (4, 104). უკიდურეს გაჭირვებამდე მისული პოეტი იძულებულია კარდაკარ იხეტიალოს ორიოდე გროშის საშოვნელად: "მთელს ქუთაისში ვეძებ და ვერ მიშოვია ხუთი-ექვსი მანეთი, რომ მალე წავიდე საჩხერეს, იქ შევეცდები სულ მცირე ფასად გავყიდო ყველაფერი" (4, 99). გალატაკებული პოეტი მზადაა, გაყიდოს ყველაფერი და წავიდეს შორს ცოლ-შვილთან: "ყველაფერს, რაც მამულში დღემდე შეაგროვეს და რის შოვნასაც მოვასწრებ, ფოსტით გამოგიგზავნი და მის კვალზე მეც წამოვალ..." (4,53).

აკაკი ეძებს ათასგვარ გამოსავალს: ხან მარგანეცის წარმოებაში, მადნეულის გაყიდვა-დაგირავებაში მოელის ხსნას ("აქ გამოჩნდა გ., რომელიც მარგანეცში გვთავაზობს 50 ათას მანეთს... მიწის ნავთობიანი ნაკვეთი მივიღე და ახლა საჭიროა დაიდგას ჭაბურღილები" /4, 68/), ხან ტყეებისა და მასალის ძებნასა და გასაღებაში ("... ტყიდან კი ბრძოლით უკვე დავიბრუნე 100 დესეტინა, რომელშიც 5 თვის შემდეგ მივიღებ 10 ათას მანეთს" /4, 101/), ზოგჯერ სალებავების ქარხნის მოწყობაში ("თურმე ჩვენი ახალი საქმე - სალებავები უფრო მნიშვნელოვანი ყოფილა, ვიდრე მარგანეცი..." /4, 45/) და ა.შ., მაგრამ სულ სხვაგვარი იდეალებისა და მოღვაწეობისათვის დაბადებულსა და მოწოდებულ აკაკის უმრავლეს შემთხვევაში არ უმართლებდა ამ კომერციულ წამოწყებებზე დამყარებული იმედები. მას უსინდისოდ ატყუებდნენ გაიძვერა საქმოსნები. პოეტს ხშირად უცრუვდებოდა სათავადაზნაურო ბანკისა თუ მარგანეცის მრეწველთა საბჭოს მხრივ ეფექტური ნივთიერი დახმარების მოლოდინიც, თავისი მამულიდან მიღებული მცირე შემოსავალი და ლიტერატურული ჰონორარი ცოლ-შვილისათვის გასაგზავნად ძლივს ჰყოფნიდა და თვითონ გამუდმებულ ნივთიერ სივიწროვესა და გაჭირვებაში ცხოვრობდა.

შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხოთ ცოლ-შვილისადმი მიწერილი წერილების ის სტრი-

ქონები, საიდანაც ირკვევა, რომ ქართველი ხალხის მიერ დიდების შარავანდედით მოსილ პოეტს არასოდეს ჰქონია საკუთარი ბინა და თავშესაფარი, რომ იგი მოკლებული იყო ოჯახურ სითბოსა და სიხარულს. მართალია, პოეტს გულით უყვარდა მშობლიური სხვიტორი, თავისი მამა-პაპისეული სახლი, მაგრამ მუდამ სოფლად ცხოვრება შეუძლებელი იყო მისთვის. აკაკის უთუოდ საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრში უნდა ეტრიალა, ამიტომაც ცხოვრობდა თბილისისა და ქუთაისის სასტუმროებში, მუდმივ ვალებში, სიმარტოვესა და მიუსაფრობაში: "არ არის იმაზე უსასტიკესი სასჯელი ღვთისა, როგორც ხელმოკლეობა სიბერის პერიოდში. დღემდე ისევ სასტუმრო "ვეტცელში" ვზივარ როგორც ტუსაღი და ვისმენ უსიამოვნო სიტყვებს, ვალები კი იზრდება და იზრდება" (4, 88), - ასეთი სიტყვებით იწყება აკაკის ერთ-ერთი წერილი. ხანდაზმულობის ასაკში შესული, ასეთი მძიმე, გაუსაძლისი ცხოვრებით დაღლილ-დაქანცული პოეტი ამაოდ ოცნებობს ცოლ-შვილთან სიახლოვეზე. იგი ეხვეწება მათ, ჩამოვიდნენ საქართველოში, ესტუმრონ მის მშობლიურ სხვიტორს. ემუდარება შვილს, შეისწავლოს ქართული ენა, ჩამოვიდეს სამშობლოში, მხარში ამოუდგეს მოხუც მამას და მშობელი ქვეყნის სამსახურს მოახმაროს თავისი ნიჭი და ენერგია: "მთელი ჩემი სწრაფვა და მიზანი ის არის, - სწერს პოეტი ცოლ-შვილს, - რომ სიბერის წლებში მაინც განვახორციელო ჩემი იდეალი: ვიცხოვრო ჩემს ოჯახში, ალტაცებას ვეძლეოდე ჩემი იდეალური ნატაშათი (რომელმაც თვითონ არ იცის თავის ფასი და ნერვების წყალობით ხშირად ისახიჩრებს თავს), ვგრძნობდე თავს ლოლიას ახლო, ვხარობდე მისი სიხარულით... ეს მიზანი რომ არა მქონოდა, აქამდე თავს არ ვიცოცხლებდი" (4, 114).

მეუღლისა და შვილისადმი პოეტის სიყვარულის დასახასიათებლად საკმარისია მოვიტანოთ ორიოდე სტრიქონი მათთვის გაგზავნილი ერთი წერილიდან: "ღმერთია მოწმე, რომ პირადად მე ყველაფერი მომბეზრდა, თვით საკუთარი ინტერესებიც კი აღარ აღელვებს ჩემს გულს და მე სიამოვნებით არ ვიცოცხლებდი თავს, თქვენ რომ არ მყავდეთ. მხოლოდ თქვენ გეკუთვნით ჩემი სიცოცხლე, მხოლოდ თქვენით არის აღსავსე ჩემი გული და თავი" (4, 48).

ერთ-ერთ წერილში პოეტი, ამბობს: "თქვენგან დაშორებულმა არც კი ვიცი, როგორ დავიმშვიდო თავი" (4, 48). "ოხ, რა მძიმეა ჩემი ცხოვრება მუდმივ განშორებაში. აქამდე ვოცნებობდი: როცა ღვთის შეწევნით ცხოვრებას მოვიწყობ, მაშინ მაინც ვიცხოვრებთ ერთად-მეთქი, მაგრამ, ვაგლახ, ახლა ეს ოცნებაც გაფრინდა. ვიცი, რომ მე არა ვარ გაჩენილი პირადი ბედნიერებისათვის. იმას მაინც ვეცდები და მაქვს ღვთის იმედი, რომ თქვენ მაინც გაგხდით ბედნიერს, თქვენ მაინც ნუ გაიტანჯავთ თავს უკეთესი მომავლის მოლოდინში" (4, 46).

ერთხელ აკაკის საქართველოში მცირე ხნით ჩამოსული და უკანვე პეტერბურგს გამგზავრებული მეუღლე გაუცილებია და ამ განშორებით გამოწვეული განცდები ამგვარად გამოუთქვამს: "შენი გამგზავრების დღე იყო ყველაზე დამტანჯველი დღე მთელს ჩემს სიცოცხლეში: პირველ ყოვლისა, ფაციფუცში არ მომეცა საშუალება დაგმშვიდობებოდი, თითქმის ცრემლმორეული დავბრუნდი შინ... როცა შენი საწოლი უკვე ცარიელი დამხვდა, კინაღამ ჭკუაზე შევიშალე... საერთოდ ყოველივე ამან ისე იმოქმედა ჩემზე, რომ სიკვდილის პირამდე მივედი" (4, 57).

მეუღლისადმი გაგზავნილ ერთ წერილში პოეტი ამგვარად ახასიათებს თავის შვილს, ალექსის: "თავისი წლოვანებისათვის იგი უფრო მეტია, ვიდრე წარმატებული... მე იგი მომწონს არა როგორც მამას, არამედ როგორც მკაცრ მსჯავრმდებელს. ეს კი ბევრი რამ არის. ვზრუნავ მისი საქმეების გამო, რაც სამწუხაროდ დიდ დროს მართმევს და არ მაძლევს საშუალებას მასთან ერთად ვიყო" (4, 80). მართლაც, პოეტი გამუდმებით ზრუნავს ცოლ-შვილის კეთილდღეობისათვის. ცდილობს, არ მოაკლოს მათ საარსებო სახსრები, ამშვიდებს, აიმედებს. პოეტი ემუდარება ცოლ-შვილს, ხშირად მოწერონ წერილები და თავის მხრივ დაუყოვნებლივ პასუხობს მათ წერილებს.

როდის დაიწერა პარიზული წერილები? - უმრავლესობა იმ წერილებისა, რომლითაც ეს კოლექცია შედგება, ორი-სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს დაწერილი. სამწუხაროდ, წერილები ზუსტად არაა დათარიღებული. საერთოდ, პოეტს ჩვეულებად არა ჰქონდა თავისი პირადი წერილების ზუსტად დათარიღება, ამიტომაც ძნელი დასადგენია, როდის არის დაწერილი და გაგზავნილი ესა თუ ის წერილი. ამ საკითხის მიახლოებით გარკვევა მხოლოდ წერილების შინაარსის მიხედვით ხდება შესაძლებელი.

ეს მრავალრიცხოვანი კორესპონდენციები გამსჭვალულია ცოლ-შვილისადმი უსაზღვრო სიყვარულით, მაგრამ მისი სათაყვანო ადამიანები მზრუნველობით როდი პასუხობდნენ პოეტს, ისინი მხოლოდ ფულებს მოითხოვდნენ აკაკისაგან, ავალებდნენ მას შეენახა ნატალიას ნათესავების ოჯახი, დაეფარა ალექსის ვალები და, თუ ამას ვერ მოახერხებდა, გულსაკლავი საყვედურებით ავსებდნენ ავადმყოფ მოხუცს. ერთ-ერთ ბარათში აკაკი ასე მიმართავს ცოლს: "შენმა წერილებმა იმ ზომამდე მიმიყვანა, რომ ყოველთვის, როცა შენს წერილს ვიღებ ხოლმე, კრუნჩხვა მეწყება. ამას წინათ შენი წყალობით კინაღამ დავიღუპე და ახლაც თითქმის იგივე მომივიდა... ბუნებით კეთილი ხარ, მაგრამ არსებითად ჩადიხარ ბოროტებას და ყველაფერი ეს ხდება იმიტომ, რომ შენი გული ჩემსკენ არ მოიწევს. ეჰ, რა ბევრი ვილაპარაკო, ვგრძნობ როგორც საერთოდ ყველასათვის, ასევე თქვენთვისაც მე როგორც ადამიანი და მეგობარი ზედმეტი ვარ" (4, 93).

სხვა წერილებში პოეტი კიდევ უფრო მღელვარედ გამოხატავს თავის გულისტკივილს: "რომ იცოდეთ, როგორ ვარ შეწუხებული ფიზიკურად და მორალურად, მაშინ ასე არ მისაყვედურებდით და არ მიმართავდით ჩემი თავმოყვარეობის შეურაცხმყოფელ ვარაუდებს. თქვენ კარგად ვერ ცხოვრობთ, მაგრამ ერთი იკითხეთ, მე როგორ ვცხოვრობ? ყველასაგან, თვით საკუთარი ოჯახისაგან მიტოვებული და მუდამ ფარისევლებითა და მტაცებლებით გარშემორტყმული, მწარე სიკვდილის მოლოდინში... ო, როგორ მინდა სიბერის ჟამ უკანასკნელი დღეები გავატარო თქვენთან, ისე მინდა გამოვიქცე. ყოველი ზედმეტი დღე ჩემი აქ ყოფნისა მუდმივი გაუთავებელი წამებაა" (4, 55).

ასეთი განუკურნებელი სულიერი ტკივილების გამომხატველია წერილების მთელი ეს კოლექცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველი წერილი გვიჩვენებს, თუ რარიგ მწარე იყო აკაკის პირადი ცხოვრება, როგორი ტანჯვითა და მწუხარებით ალსავსე იყო მისი ცხოვრების უკანასკნელი წლები. მაშინ, როცა მთელი საქართველო ადიდებდა და ეთაყვანებოდა თავის მგოსანს.

აკაკის პირადი წერილების პარიზულ ციკლში შედის ტასო მაჩაბლის მიერ ნატალია ბაზილევსკაიასადმი მიწერილი ერთი წერილი (4, 140-141), სადაც იგი სთხოვს - "ნუ მომერიდებით, მომწერეთ და მეც დიდი სიამოვნებით შევასრულებ თქვენ დავალებებს. აკაკი ხომ ერთ ადგილზე არ ზის, ხან ქუთაისშია, ხან საჩხერეში და ა.შ.".

1996 წლის ჟურნალ "მნათობში" (№9-10) გამოქვეყნდა ნორა კოტინოვის პუბლიკაცია: "აკაკი წერეთლის პირადი წერილები ანასტასია ბაგრატიონ-მაჩაბლისადმი". ამ წერილებიდან ირკვევა, რომ ცოლ-შვილისაგან უცხოეთიდან მოწერილი წერილები ტასოს სახელზე იგზავნებოდა, რისთვისაც პოეტი უბოდიშებს ტასოს: "მადლობას გწირავთ შვილის წერილის ბოძებისათვის და ბოდიშს ვიხდი, რომ გაწუხებთ, და კიდევ თქვენის ადრესით მეგზავნება, მაგრამ ეს მაშინდელი ცოდვაა ჩემის მხრით, როცა სულ სხვანაირად ვგრძნობდი და ვფიქრობდი ამ უკულმართობას, როგორც გამოდგა, ჩემის მხრივ მოვსპობდი, რომ ამ ორმოცის შემდეგ მალე წამსვლელი არ ვიყო და, მაშასადამე, ეს უზრდელობაც, ე.ი. თქვენი სახელით წერილის მიღება, თავისთავად მოისპობა" (5, 158).

ამ წერილებში აკაკი რამდენიმე ადგილას მოიხსენიებს თავის ცოლ-შვილს. აქედან ირკვევა, რომ აკაკის მეუღლეს, ნატალია ბაზილევსკაიას მიმოწერა ჰქონდა ტასო მაჩაბელთან. ერთ მათგანში აკაკი წერს ტასოს: "ჩემმა ცოლმა რა მოგწერა, არ ვიცი. და რას აყოლილხარ ამის ახირებულობას? ის არ კმარა, რომ თვითონ თავის თავით აწუხებს და დითაც არ აწუხებდეს სხვებს, ამატა და ამატა! - ნეტავი ადამიანი მაინც იყოს და ღირდეს რამედ? თვალი ამეხილა, მაგრამ ვერარას ვხედავ მაინც ცალი თვალით და ძალიანაც გააფთრებული ვარ ჩემს თავზე. ყმაწვილი რომ ვიყო, თავს მოვიკლავდი, მაგრამ ბებერი ვარ და რაღა საჩქაროა? ისეც ველი სიკვდილს" (5, 157).

ამ სიტყვებიდან კარგად ჩანს პოეტის გულნაკლულობა როგორც საკუთარი მეუღლის, ისე მისი დის, ამატას გამო. აქ კონკრეტულად არაფერია ნათქვამი ფაქტებზე, მაგრამ სავსებით ნათელია, თუ რაოდენ უკმაყოფილოა აკაკი. კარგად ჩანს მისი გულისწყრომა განსაკუთრებით ცოლის დის, ამატას გამო. ცოლ-შვილისადმი მიწერილ წერილებშიც ხშირად გამოთქვამს უკმაყოფილებას ამ პიროვნების გამო: "რაც შეეხება ამატას... მე რომ არ ვეხმარებოდე, კაი ხნის მგლოვიარე იქნებოდით მასზე... ამას ვაკეთებ თქვენი გულისთვის, თორემ რა ჩემი საზრუნავი და სადარდებელია ბაზილევსკაიას და, ერისთავების ნაშიერი... ამატაც ამეკიდა თავისი ბავშვებით. ნუთუ შეიძლება გაანამოთ ავადმყოფი მოხუცი" (4, 86).

ტასოსადმი მიწერილი წერილებიდან ირკვევა მეტად უსიამოვნო ფაქტიც. აკაკი დამოკიდებულებისა შვილთან. იგი ტასოს სწერს იმის თაობაზე, რომ თავის ერთადერთ შვილთან სამუდამოდ გაწყვიტა კავშირი: "სწორედ მაგ მაღალბუნებოვნებამ დამაგმობია ჩემი შვილი, რომელთანაც დღეიდან საერთო აღარა მაქვს რა. დიახ, ჩემი სიცოცხლისა და ცხოვრების უკანასკნელი კავშირი გაწყდა და ვაი ამისთანა სიცოცხლეს!" (5, 158).

ვკითხულობთ დიდი პოეტის ამ წერილებს და კიდევ მეტი სიყვარულითა და თანაგრძნობით ვიმსჭვალებით ამ დიდი ადამიანისადმი, რომელიც პირადი ცხოვრებით მიყენებულ მწუხარებას გულში იკლავდა. "... ასეთ ვითარებაში სიცოცხლე არ ღირს, მაგრამ მე არ მიყვარს გარემოებათა წინაშე ქედის მოხრა და სულით არ ვეცემი. მივიტან ჩემს ჯვარს სამარის კარამდე... "

ამრიგად, აკაკის წერილების პარიზულ ციკლს დიდი მნიშვნელობა აქვს მწერლის ბიოგრაფიისათვის. აკაკის პირად ცხოვრებას, მის ურთიერთობას ცოლ-შვილთან მცირე ყურადღება ჰქონდა დათმობილი სწორედ იმიტომ, რომ პოეტის ბიოგრაფიის ამ მხარის შესახებ სათანადო მასალები არ მოიპოვებოდა. ამ წერილებით კი ჩვენ გავეცანით პოეტის ოჯახური ცხოვრების ჭეშმარიტ სურათს.

პირადი წერილების პარიზულ ციკლში სიტყვის დიდოსტატის სული იგრძნობა, თუმცა აკაკის მიზნად არ ჰქონდა მათ მხატვრულ დონეზე ეზრუნა - "აბა, სად არის ის იღბლიანი კაცი, - წერს აკაკი, - რომელიც ცხოვრებაში მხოლოდ და მხოლოდ ვარდეკლებს კრეფდეს? ვის არა აქვს ვალები? მაგრამ არავინ თავს არ იკლავს და, არ მოაქვს არც თავისთვის და არც სხვებისათვის უსარგებლო მსხვერპლი. როცა მონადირეები შემთხვევით ჭანჭრობში მოხვდებიან ხოლმე, ცდილობენ როგორმე დაალწიონ თავი იქაურობას და არ ისწრაფვიან სიღრმისაკენ, რომ კიდევ უფრო ღრმად ჩაეფლან" (4, 70).

აკაკის ამ წერილებში აქა-იქ გაელვებული მხატვრული ოსტატობით დაწერილი ღრმა აზროვანი სტრიქონები მის ეპისტოლურ მემკვიდრეობას გაწუმეორებელ მომხიბვლელობას ანიჭებს. ასე მაგალითად:

"... უნებლიედ მაგონდება, რომ ხისგან ჯვარიც შეიძლება გამოითალოს და ბარიც" (4, 56). ან კიდევ "... ტანჯვის ქირვეულობაში არის ერთგვარი პრომეთესებური მიზანი სიამაყისა და მეც ვემორჩილები ბედს" (4, 59).

აკაკის პირადი წერილების პარიზული ციკლი ამდიდრებს ჩვენს ცოდნას მის სულიერ მდგომარეობაზე სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში; განსაკუთრებით კი მის ურთიერთობებზე მეუღლესა და ერთადერთ ვაჟთან, რომლის შესახებაც ჩვენ თითქმის არაფერი ვიცოდით და რომელიც, როგორც ირკვევა, უდიდეს გავლენას ახდენდა პოეტის სულიერ განწყობასა და შემოქმედებით პროცესზე.

## ლიტერატურა

1. ბ. ჟღენტი, ძვირფასი შენაძენი აკაკის ბიოგრაფიისათის, ჟურნალი "მნათობი", №9, 1965 წ.
2. ბ. ჟღენტი, აკაკი წერეთლის მიწერ-მოწერა ცოლ-შვილთან, ჟურნალი "მნათობი", №9, 1965 წ.
3. ბ. ჟღენტი, აკაკი წერეთლის მიწერ-მოწერა ცოლ-შვილთან, ჟურნალი "მნათობი", №10, 1965 წ.
4. აკაკი წერეთელი, წერილები ცოლ-შვილთან, რედ. ბ. ჟღენტი, თბილისი, 1966 წ.
5. ნ. კოტინოვი, აკაკი წერეთლის პირადი წერილები ანასტასია ბაგრატიონ-მაჩაბლისადმი, ჟურნალი "მნათობი", №9-10, 1996 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოლემიკა

გიული ალასანია, თამაზ ბერაძე

## 1995 წლის საუკეთესო შოტლანდიური წიგნი საქართველოსა და ქართველებზე

1995 წელს დიდ ბრიტანეთში გამოიცა ცნობილი ედინბურგელი ჟურნალისტის "1986 წლის ჟურნალისტად" დასახებელული ნილ აჩერსონის წიგნი "შავი ზღვა", რომელიც, როგორც იმ წლის საუკეთესო შოტლანდიური წიგნი, პრემიით დაჯილდოვდა. 1996 წელს წიგნი ხელმეორედ გამოვიდა. "შავი ზღვა" ძალზე ემოციურად და ოსტატურად არის დაწერილი და მკითხველზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს. იგი საკმაოდ დიდი მოცულობისაა (306 გვერდი), მაგრამ ჩვენ ამჯერად მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ იმაზე, თუ როგორ არის აქ წარმოდგენილი შავიზღვისპირეთის ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფო - საქართველო. საქართველო და ქართველები წიგნში რამდენიმეჯერ იხსენიებიან სხვადასხვა ფორმით - კოლხეთი, კოლხები, მეგრელები, სვანები, ლაზები, აფხაზეთი. უკანასკნელის კუთვნილებას საქართველოსადმი ავტორი აშკარად ეჭვით უყურებს და, სოხუმის გამოკლებით, არ განიხილავს მას არც კოლხეთის ნაწილად, რომელიც, მისი აზრით, ფაზისის ირგვლივ და შავიზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა. მაშინ როცა ბერძნულ-რომაული და ქართული წყაროების შეჯერებით ირკვევა, რომ უძველეს ხანაში კოლხეთი (მოგვიანებით ლაზიკა), იგივე ეგრისი, მოიცავდა მთელ აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს. ავტორი იხსენიებს ქართულ, სვანურ, მეგრულ და ლაზურ ენებს, რომელთა ბედი, ქართულის გამოკლებით, მას ძალიან აწუხებს.

წიგნი შავ ზღვაზე არ წარმოადგენს ზღვის ისტორიას და მისი ავტორი არ არის ისტორიკოსი, თუმცა ისტორიულ ექსკურსებს აქ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ეს არის მგზავრის ჩანაწერები, შევსებული ზოგიერთი წერილობითი წყაროს ცნობით, თვითმხილველთა მონათხრობით, ავტორის ბიოგრაფიული მონაცემებით და მისი მსჯელობით, და მაინც წიგნი არ არის მგზავრის უბრალო ჩანაწერები. აქ მკითხველი იგებს, რომ ავტორის განსაკუთრებული დამოკიდებულება შავი ზღვის მიმართ იმით არის გამოწვეული, რომ მამამისი, 18 წლის ბიჭი, იმ ბრიტანული გემის გარდემარინი იყო, რომელსაც 1920 წელს ბოლშევიკების საბოლოო გამარჯვების შემდეგ ნოვოროსიისკიდან დამარცხებული დენიკინის თეთრი არმია გაჰყავდა. მრავალი წლის შემდეგ, 1991 წლის აგვისტოში, ბიზანტინოლოგთა კონგრესზე რუსეთში ყოფნისას ავტორი აღმოჩნდა პუტჩის მოწმე, რასაც სსრკ-ს დაშლა მოჰყვა. ხოლო ამ ორ მოვლენას შორის მთელი ეპოქაა მოქცეული - საბჭოთა კავშირის ისტორია. ამიტომ წიგნის შინაარსი ბევრად სცილდება შავ ზღვას. ავტორის ინტერესის საგანი ხდება სახელმწიფოს დაშლის მიზეზები, მიგრაციები, ასიმილაციური პროცესები, ურთიერთობები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, დაპირისპირება სხვადასხვა დონეზე, უმცირესობების ბედი, რომლებსაც ჰქონდათ ან არ ჰქონდათ თავისი საკუთარი პოლიტიკური მმართველობა, ეროვნული პოლიტიკა სახელმწიფოში, კონფლიქტები სსრკ-ს დაშლის შემდეგ და სხვადასხვა ხალხების და კულტურების თანაარსებობის პერსპექტივა, ერების ჩამოყალიბების პროცესი და ნაციონალიზმის პრობლემა ზოგადად. ავტორის აზრით, ყველა ეს პრობლემა ძალზე მკაფიოდ არის კონცენტრირებული შავი ზღვის ირგვლივ. ნილ აჩერსონი დასაწყისშივე აცხადებს, რომ მისი მიზანი არ იყო შავიზღვისპირეთის ყველა ქვეყნის მიმოხილვა, მაგალითად, თურქეთს, ბულგარეთს და რუმინეთს ნაკლები ყურადღება მიექცათ, ვიდრე ისინი იმსახურებენ. იგი მოივლის ყირიმს, ოდესას, თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთს, სადაც, მისი განმარტებით, პონტოელი ბერძნები ცხოვრობდნენ და ჯერ კიდევ არის ლაზური მოსახლეობა, ხოლო მისი გზის დასასრულს "პანანინა აფხაზეთია", რომელიც "საქართველოს მხოლოდ 1992 წელს გამოეყო." "მე შევეცადე შემეფასებინა აფხაზეთის დამოუკიდებლობის რეალობა და არარეალობა ყოველივე იმის საწინააღმდეგოდ, რაც მანამდე მოგზაურობისას შევიტყვე," - წერს ნილ აჩერსონი.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ავტორს აინტერესებს არა იმდენად შავი ზღვისპირეთში მდებარე სახელმწიფოები, რამდენადაც აქ დასახლებული ხალხების და ერების ბედი. ამასთანავე ერის ან ნაციის ის გაგება, რომელიც იკითხება წიგნში, ერთგვარად განსხვავდება ამჟამად ნაციონალიზმის პრობლემატიკაზე არსებული ლიტერატურაში გაბატონებული აზრისაგან, რომელიც ნაციას ახალი ისტორიის კუთვნილებად მიიჩნევს. ნილ აჩერსონის შეხედულებით, ნაციები ნებისმიერ სახელმწიფოზე ბევრად უფრო ადრე არსებობდნენ, მათ შორის ნაცია-სახელმწიფოზე და იარსებებენ მაშინაც, როდესაც ნაცია-სახელმწიფოები ისტორიას ჩაბარდება. ასეთი მიდგომიდანაც გამომდინარე სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა წიგნში ნაციის ჩამოყალიბების საქმეში იგნორირებულია. სახელმწიფო აქ ფაქტობრივად განიხილება როგორც ძალადობის მექანიზმი და ერთმანეთის გვერდით მცხოვრები და ერთმანეთის მიმართ მტრულად და უნდობლად განწყობილი ხალხების შემაკავებელი ძალა. სახელმწიფო, ავტორის აზრით, ჰომოგენურობით, ერთი სახელმწიფო ენით, ერთი რელიგიით, ერთი ხალხით, ხელს უწყობს ასიმილაციის პროცესებს და მიმართულია კულტურული მრავალფეროვნების წინაა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლმდეგ. იგი პატარა ერებისა და მათი თვითგამორკვევის თავგამოდებული მომხრეა და იბრძვის მათ გადასარჩენად. ამიტომ მთელი მისი სიმპათია მცირერიცხოვანი ხალხების მხარეზეა. ამავე მიზეზით იგი უპირისპირდება ყველას, ვინც, მისი აზრით, ელობება პატარა ერებს და ცდილობს მათ ასიმილაციას. მათ რიცხვში, ავტორის წარმოდგენით, არიან ქართველები, რომელთა მიმართაც ავტორის არცთუ კეთილი განწყობა სრულიად გამჭვირვალეა მთელ მის ნაშრომში.

შავიზღვისპირეთზე მსჯელობისას საქართველო, როგორც შავი ზღვის ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფო, საერთოდ გამორჩენილია. წიგნში პრიორიტეტულია შავიზღვისპირეთის პოლიეთნიკურობის თემა სხვადასხვა ეპოქაში. პოლიეთნიკურობის იდილიურ სურათს, ავტორის აზრით, აქ მხოლოდ ქართველები არღვევენ, რომლებიც მუდამ სხვისი მიწის დაპატრონებას, მათთვის კულტურის წართმევას და მათ ასიმილაციას ცდილობდნენ.

წიგნის ძირითადი დანიშნულებაა მკითხველის მობილიზება გაქრობის პირას მდგომი კულტურების გადასარჩენად. ძალზე კეთილშობილური მიზანია, მაგრამ საინტერესოა, როგორია ავტორის მუშაობის და კვლევის მეთოდები, წყაროები, მისი ცოდნა ამა თუ ის საკითხზე და ობიექტურობა?

"შავი ზღვა" რამდენიმე წლის მანძილზე იწერებოდა. თუმცა მისი შექმნის იდეა, როგორც ავტორს შემდეგ გაუცნობიერებია, მას ჯერ კიდევ 16 წლის ასაკში გასჩენია, შავ ზღვაზე მიხეილ როსტოვცევის კლასიკური ნაშრომის გაცნობის შემდეგ "ირანელები და ბერძნები სამხრეთ რუსეთში". ავტორი ასახელებს კიდევ რამდენიმე წიგნს და ავტორს, რომელთა გავლენაც მას განუცდია და განსაკუთრებით გამოყოფს ტომ ნაირნს, ნაციონალიზმის პრობლემების ცნობილ მკვლევარს. აღსანიშნავია, რომ კონსულტანტების სიაში, სადაც დიდი პატივისცემით არიან დასახელებული ენტონი ბრაიერი - ბირმინჰემის უნივერსიტეტის პროფესორი, ჯორჯ ჰიუიტი - ლონდონის აღმოსავლეთმოცოდნეობის და აფრიკამცოდნეობის სკოლის დოქტორი, რამდენიმე რუსი და უკრაინელი მეცნიერი, მათ შორის მუზეუმების დირექტორები, გერმანელი მეცნიერი ვოლფგანგ ფოიერშტაინი, ვერ ვხვდებით ვერცერთ ქართველს. ამ არც თუ შემთხვევითმა ფაქტმა აშკარად მოახდინა გავლენა ავტორსა და მის წიგნზე. შავი ზღვის საქართველოს სანაპიროზე ავტორს საგანგებოდ მხოლოდ აფხაზები და აფხაზეთი აინტერესებს, სადაც ის ომის დასრულების შემდეგ ჩავიდა, შეხვდა და ესაუბრა ოფიციალურ პირებს, ასევე უბრალო ხალხს და ამ ცალმხრივი ინფორმაციით შეიქმნა წარმოდგენა არა მარტო კონფლიქტზე, არამედ კუთხის წარსულსა და აწმყოზე. ამგვარად წიგნის წერას ის უკვე ჩამოყალიბებული შეხედულებებითა და განწყობილებით შეუდგა და ეს არცთუ ობიექტური მიდგომა და განწყობილება წიგნის სხვადასხვა ადგილას იჩენს თავს.

ავტორის ყურადღების ფოკუსში ექცევა ყველა ის ხალხი, ვინც სხვადასხვა დროს რეპრესიები განიცადა სსრკ-ში. ეროვნულ პოლიტიკაზე მსჯელობისას არაერთხელ ახსენებს სახელმწიფოს მეთაურებს იოსებ სტალინს და ლავრენტი ბერიას, რომელთა უშუალო ხელმძღვანელობითაც ხორციელდება წლების მანძილზე ეს უსამართლო აქციები. ავტორი მათ მიმართ აშკარად და სრულიად სამართლიანად უარყოფითად არის განწყობილი, მაგრამ ძნელია დაეთანხმო მას, როდესაც ის ცდილობს ეს მოქმედებები ლიდერების ეთნიკური და ეროვნული კუთვნილებით ახსნას, რომლებიც ნაშრომში იხსენიებიან როგორც "დიდი ქართველი" ან "ყველაზე გამორჩენილი მეგრელი", ვინაიდან იმ წლებში თვით ამ მეთაურების თანატომელები არანაკლებ ჩაგვრას განიცდიდნენ და ეს საკმაოდ კარგად არის ცნობილი. საერთოდ ხალხების დეპორტაციის პრაქტიკა რუსეთის იმპერიაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო და ბევრად უფრო ძველი, ვიდრე დასახელებული პირების მოღვაწეობის წლები, რაც ნაწილობრივ ამ წიგნშიც გამოჩნდა. ამის ერთერთი მაგალითია ჩრდილოეთ კავკასიელებისა და ყირიმელების ბედი გასულ საუკუნეში, რომელთა დიდ ნაწილს სამშობლოდან წასვლა მოუხდა. შეიძლება გავიხსენოთ ვოლგისპირეთის გერმანელების გადასახლების გეგმაც, რომელიც ჯერ კიდევ I-ლი მსოფლიო ომის დროს გაჩნდა. ლენინის დროს დაწყებული რეპრესიები შემდგომშიც გაგრძელდა და მისი აქტიური გამტარებლები იყვნენ ძერჟინსკი, იაგოდა, ეჟოვი, რომლებსაც ბევრად მეტი სისხლი ჰქონდათ დაღვრილი, ვიდრე სტალინს და ბერიას, რაც ცხადია უკანასკნელთა დანაშაულს არანაირად არ ამსუბუქებს.

ერთ-ერთი შეხვედრა ქართველებთან მკითხველს წიგნის იმ ნაწილში უხდება, სადაც ავტორი 1949 წლის 14-15 ივნისის ღამეს ბერძნების გადასახლების შემზარავ ამბავს გადმოსცემს: თუ როგორ მოხდა 100 000 კაცის გადასახლება რამდენიმე საათში და მათი გამგზავრება დახურული მატარებლებით, სადაც ბევრი მათგანი დაიღუპა. ავტორი სვამს შეკითხვას, რა იყო ამის მიზეზი, და დასძენს, რომ ზუსტი პასუხი ამ შეკითხვაზე არც დღეს არსებობს, თუმცა თვითონ ამის ერთ-ერთ ახსნას ქართველების ინტრიგასა და შურში ხედავს. არაერთხელ არის გამეორებული, რომ გადასახლებული ბერძნების სახლებს და კარ-მიდამოს სწორედ ქართველები დაეპატრონენ და ამგვარად ხელოვნურად გაზარდეს ქართული მოსახლეობის რიცხვი აფხაზეთში. აქვე მოტანილია ნაწყვეტი ფაზილ ისქანდერის რომანიდან "სანდრო ჩეგემიდან", სადაც ერთ-ერთ აფხაზს სთავაზობენ ასეთ მიტოვებულ სახლს ორი ღორის ფასად, მაგრამ მას შემდეგ, რაც სანდროს მამა, სოფლის პატრიარქი, განუმარტავს თავის შვილს, თუ რატომ არ შეიძლება ამ სახლში შესვლა, ის ამაზე უარს ამბობს. "ადრე თუ სისხლის ამღები თავის მტერს მოკლავდა, ის მისი ტანსაცმლის ღილსაც კი არ ახლებდა ხელს, მიიტანდა გვამს მტრის სახლთან, დადებდა მიწაზე და დაუძახებდა ოჯახს, რომ წაეყვანათ მიცვალებული". "შენ შეგიძლია იყიდო ის სახლი, მაგრამ მე იქ ფეხს არასოდეს დავდგამ და არც შენ გადმოგიშვებ ჩემი სახლის ზღურბლზე". - ეუბნება მამა შვილს. ამ მხატვრული

ბიბლიოთეკა

ნაწარმოების ციტირებით, რასაც ნაკლებად აქვს კავშირი რეალობასთან, ქართველებისა და აფხაზების დაპირისპირებაში ავტორის სიმპათია-ანტიპათია თავიდანვე აშკარად არის გაცხადებული.

საქართველოს კიდევ ერთი ხსენება აგრეთვე არცთუ სასიამოვნო კონტექსტში ადასტურებს ავტორის მყარ წარმოდგენას ქართველებზე. ჟურნალისტი იხსენებს, თუ როგორ გაძარცვეს სამხედრო ფორმიანმა მძარცველებმა თურქეთიდან ნავაჭრით მომავალი მგზავრები აქ, ქობულეთთან. მართალია, იგი შენიშნავს, რომ ისევე, როგორც სავაჭრო გზების უმრავლესობა, ეს გზაც სახიფათოაო, მაგრამ წიგნში მოტანილი კონკრეტული მაგალითი მხოლოდ საქართველოსთან არის დაკავშირებული და, ცხადია, მკითხველსაც ამ ქვეყნისადმი შესაბამისად განაწყობს. ამასთანავე შევნიშნავთ, რომ წიგნის ავტორის მოგზაურობისას ეს გზა მართლაც სახიფათო იყო. თუმცა საქართველოსათვის ეს არცთუ ბუნებრივი ვითარება, რაც მოჰყვა აქ სამოქალაქო ომს, ძველი სახელმწიფოს ნგრევას და ახლის დამკვიდრებას, დიდხანს არ გაგრძელებულა და ამჟამად წესრიგი და უსაფრთხოება აქ დიდი ხნის აღდგენილია.

ავტორი საგანგებოდ ჩერდება ლაზების პრობლემაზე. იგი სამართლიანად ითვლის, რომ თურქეთში მცხოვრები ლაზები და ჰემშინები არ არიან თურქები, ისინი უძველესი ეთნოსები არიან. მათ აქვთ თავისი სალაპარაკო ენები, რაც არ არის თურქული. მათ აქვთ საკუთარი მითები, ჩვევები, ჩაცმის მანერა. მაგრამ, როგორც ირკვევა, ეს ლაზები ავტორს არ მიაჩნია ადგილობრივ მოსახლეობად და იგი მსჯელობს იმაზე, თუ როდის უნდა გადმოსახლებულიყვნენ ისინი დასავლეთ საქართველოდან. მისი ვარაუდით, ლაზების დიდმა ნაწილმა დატოვა თავისი ქვეყანა კოლხეთი და კავკასია არაბთა შემოსევების შედეგად, დაახლოებით 1000 წლის წინ, შუა ბიზანტიურ პერიოდში, ხოლო მოგვიანებით, 1864 წლის შემდეგ, როდესაც "რუსეთმა საბოლოოდ გატეხა კავკასიის ჩრდილო-აღმოსავლეთის ტომების წინააღმდეგობა" და დასახლდა ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით. აქვე ავტორი შენიშნავს, რომ მცდარია ზოგიერთი ლაზის წარმოდგენა, თითქოს ისინი ტრაპიზონის ჩრდილო-აღმოსავლეთით დასავლეთიდან გადმოსახლდნენ. აქვე საუბარია მათი გაქრობის საფრთხეზე თურქეთში. მაგრამ, როგორც ირკვევა, ავტორს განსაკუთრებით აღელვებს საქართველოში დარჩენილი ლაზების ბედი. იგი სწორად შენიშნავს, რომ ლაზური ქართველურ ენათა ოჯახს ეკუთვნის, რომელიც შეიცავს აგრეთვე ქართულს, მეგრულს და სვანურს. მიუთითებს, რომ მეგრული განსაკუთრებით ახლოსაა ლაზურთან. როგორც ჩანს, ორივე ხალხი მეზობლად ცხოვრობდაო დაახლოებით 1000 წლის წინათ, "შავი ზღვის" აღმოსავლეთ ნაპირზეო. ერთიანი კოლხური ნაცია, ავტორის აზრით, არასოდეს არსებულა. აქ მოტანილია სტრაბონის და სხვა ანტიკური წყაროების ცნობები იმის შესახებ, რომ დიოსკურიის ბაზარზე 70 მეტ ენაზე ლაპარაკობდნენ (თუმცა აღნიშნული ცნობა დიოსკურიაში ჩასულ ხალხსაც გულისხმობს) და ნათქვამია, რომ პოლიეთნიკურობის ტრადიცია ამ ტერიტორიაზე ამჟამადაც გრძელდებაო. მაგრამ, ნილ აჩერსონის დაკვირვებით, ეს განსხვავება და მათ შორის ლაზების, ისევე როგორც მეგრელების, ქართველ პოლიტიკოსებს და ინტელექტუალებს აღაშფოთებს. ავტორის აზრით, ისინი შეცდომით მიიჩნევენ, რომ ქართული მათი მშობლიური ენაა. ხოლო მეგრული, ლაზური და სვანური უფრო დიალექტებია. საწინააღმდეგო არგუმენტები და ცდები - შეუქმნან ამ ენებს დამწერლობა და გრამატიკა - იხშობა, როგორც რუსეთის პოლიტიკა, რომლის მიზანია ქართული კულტურის დაყოფა და დამოუკიდებლობისათვის ძირის გამოთხრა. ავტორის ინფორმაციით საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა გააფთრებული ჩხუბი ქართულსა და მეგრულ ენებზე - უნდა ისწავლებოდეს თუ არა მეგრული სკოლებში და თუ უნდა ისწავლებოდეს, რომელი დამწერლობით და არის ეს საერთოდ ენა, თუ ქართული გლეხური ჟარგონი? შემდეგ ავტორი დიდსულოვნად აცხადებს, რომ მისთვის ადვილი გასაგებია (კიდევაც თუ არ არის მისაღები) ქართული კულტურული იმპერიალიზმი და ქართული პარანოია სეპარატისტულ მოძრაობაზე საქართველოში, რაც საგანგებოდ არის გაღვივებული შორეული მოსკოვიდან. უფრო შემაშფოთებელია, ავტორის აზრით, მეგრელი ინტელექტუალების და პოლიტიკოსების გააფთრებული მონაწილეობა ბრძოლაში იმის წინააღმდეგ, რომ მათი საკუთარი ენა ამაღლდეს სალიტერატურო ენამდე. აქ მაგალითად დასახელებული არიან "რევოლუციამდელი მეცნიერი თედო ჟორდანია" და საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. ავტორის აზრით, ორივე თავდადებული ქართველი პატრიოტები იყვნენ, რომლებისთვისაც ყველაფერი, სწრაფი და ტოტალური ასიმილაციის გარდა, გაერთიანებული ქართველური დანიშნულების ღალატს ნიშნავდა. აქვე მოტანილია ლავრენტი ბერიას მაგალითი, საქართველოს კომპარტიის თავკაცის 30-იან წლებში და სტალინის საიდუმლო პოლიტიკის უკანასკნელი, ყველაზე საშინელი უფროსის "ყველა მათგანზე უფრო ცნობილი მეგრელის". "მან ამოწყვიტა ქართველი ინტელიგენციის ნაღები და აგრეთვე მათი ოჯახები, მაგრამ არც საკუთარი ხალხისადმი გამოუჩენია სიყვარული. პირიქით, მის დროს მეგრული კულტურის ქართულთან ინტეგრაცია დაჩქარდა", - აღნიშნავს ნილ აჩერსონი.

გერმანელი მეცნიერის ვოლფგან ფოიერშტაინის მოღვაწეობა, რომელიც არ არის არცერთი უნივერსიტეტის ჰერ-პროფესორი და არც ჰერ-დოქტორი, მაგრამ ძალზე დაკავებულია იმით, რომ ქმნის ნაციას და კერძოდ ლაზურს, ავტორის განსაკუთრებულ პატივისცემას და აღფრთოვანებას იწვევს. იგი ყვება, თუ როგორ შეუქმნა ამ დაუღალავად მოღვაწე პიროვნებამ ლაზებს ანბანი, შემდეგ სახელმძღვანელო, თუ რა ხიფათისა და დაბრკოლებების გადალახვა მოუხდა მას ამ გზაზე და რა მნიშვნელობა ჰქონდა ყოველივე ამას გაქრობის პირას მდგომი პატარა ხალხისათვის. მთელი ეს ისტორია თავდება ციტატებით ჯ. ჰიუიტის ნაშრომიდან, რომელიც ასაბუთებს მეგრელებისათვის დამწერლობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შექმნის აუცილებლობას, ხოლო, წინაალმდეგ შემთხვევაში, უბიხურის მსგავსად, მას დალუპვას უწინასწარმეტყველებს. იგივე აზრს იმეორებს ნილ აჩერსონი ლაზური ენის შესახებაც, რომელიც დამწერლობის გარეშე გაქრება და მასთან ერთად "პატარა, მაგრამ უნიკალური ხალხის გული შეწყვეტს ცემას". მისი დაკვირვებით ფოიერშტაინისათვის, ისევე როგორც ჰიუიტისათვის, მეცნიერი არ არის ფოტოაპარატი და მეცნიერის მოღვაწეობა გაქრობის პირას მყოფი კულტურის წინაშე არა მარტო ის არის, რომ აღწეროს, არამედ დაუპირისპიროს კეთილგონიერება და თქვას: "ეს დასასრული არ არის გარდუვალი. არის გადარჩენის გზა და მე შემიძლია მასზე მიგითითოთ". ამას ემატება ინფორმაცია, რომ 1994 წლის დამდეგს, ახალგაზრდა ლაზებმა სტამბოლში გამოსცეს ჟურნალი "ოგნი", დაწერილი თურქულად და ლაზურად. მისი რედაქტორი დაპატიმრებულია და ელის გასამართლებას სეპარატიზმის ბრალდებით. ჟურნალის მეორე ნომერი რამდენიმე კვირის შემდეგ გამოიცა. ის უფრო მკაფიოდ, ვიდრე მანამდე, მოუწოდებდა ბოლო მოღებოდა ლაზური კულტურის ასიმილაციას. ერთ-ერთმა გამომცემელმა თქვა: "ახალი ერა დაიწყოო".

მთელ ამ მსჯელობაში, რომელიც ასე დაწვრილებით გადმოვეცით, არის რაციონალური მარცვალი და კეთილშობილური მიზნებიც, მაგრამ, გარდა იმისა, რომ ინფორმაცია დღეისათვის ნაწილობრივ მოძველებულია, თვალშისაცემია სხვადასხვა ხალხების განვითარების თავისებურების აშკარა უგულვებელყოფა.

ავტორი იცნობს ჰერდერის კონცეფციას სოციალურ განვითარებაში ენის გადამწყვეტი როლის შესახებ, აღნიშნავს, სხვათა შორის, რომ აქ განსხვავებულობა და განსაკუთრებულობა ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ პრაქტიკაში არასწორად იყენებს ამ ცოდნას. მას წარმოდგენა არა აქვს და არც უნდა რომ იცოდეს ქართველი ერის ჩამოყალიბების ისტორია და ქართული ენის როლი ამ პროცესში; რომ მეგრული და სვანური ლინგვისტური თვალსაზრისით დამოუკიდებელი ენებია, მაგრამ სოციოლინგვისტური თვალსაზრისით ქართული ენის დიალექტებს უთანაბრდება; რომ სხვადასხვა კუთხეებში და სხვადასხვა ეპოქაში მცხოვრები ქართველი ხალხი ინსტინქტურად გრძნობდა ლიტერატურული ქართული ენის მნიშვნელობას, შეძლებისდაგვარად შეჰქონდა თავისი წვლილი მისი განვითარების, გამდიდრების და დაცვის საქმეში, სათუთად გამოატარა საუკუნეებში და ხან "ქებათა ქება" უძღვნა, ხან კი არც თუ დიდი ხნის წინ ძეგლიც კი დაუდგა. შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ ცნობილ ტრიადაში, რომელიც ქართველ ხალხს უძველესი დროიდან გადარჩენის აუცილებელ პირობად მიუჩნევია - "ენა, მამული, სარწმუნოება" - პირველ ადგილზე ილია ჭავჭავაძემ სწორედ ენა დააყენა, გაითვალისწინა რა ხანგრძლივი და მყარი ტრადიცია. ის, რასაც ნ. აჩერსონი "ქართულ კულტურულ იმპერიალიზმს" უწოდებს, სავსებით მისაღები აღმოჩნდა საქართველოს ყველა კუთხისათვის საუკუნეების მანძილზე, ხოლო მათთვის დამატებითი დამწერლობის შექმნის ცდები ყოველთვის გარედან მომდინარეობდა. საერთოდ, ქართველების, მეგრელების და სვანების ვითომდა "განსხვავებულობა" პირველად რუსეთის ხელისუფლებამ შენიშნა და მე-19 ს. მეორე ნახევარში მსოფლიო პროცესების კვალდაკვალ საქართველოში ეროვნული თვითგამორკვევისაკენ სწრაფვის ვითარებაში დაიწყო "ზრუნვა" ქვეყნის სხვადასხვა კუთხისათვის განსხვავებული ანბანის შესაქმნელად. თუმცა ამ ცდებმა არა მარტო "ინტელექტუალების" და პოლიტიკოსების, არამედ ნებისმიერი კუთხის წარმომადგენლის ოდნავი მხარდაჭერაც ვერ ჰპოვა და პირიქით - წინააღმდეგობას წააწყდა. მანამდე კი შუა საუკუნეებში სამეგრელოს მთავრის კანცელარიაში საქმისწარმოება ქართულ ენაზე ხდებოდა და სწორედ აქ შეიქმნა "ვეფხისტყაოსნის" ერთ-ერთი უძველესი ხელნაწერი. ასეთივე ვითარება იყო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დეცენტრალიზაციის ხანაშიც კი. ქართველი ერის ჩამოყალიბების ისტორიის არმცოდნე ავტორისათვის ყოველივე ეს, ცხადია, გაუგებარი და აუხსნელი დარჩა.

არ არის სწორი ბრიტანელი ავტორი, როდესაც ლაზებს თურქეთში დღევანდელი განსახლების ადგილზე 1000 წლის წინ მოსულებად თვლის. მან არ იცის, რომ მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ანტიკური წყაროების მიხედვით მეგრულ-ჭანური მოსახლეობით იყო დასახლებული, ხოლო თვით ლაზები ამ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ახ. წ. მიჯნის ავტორთან მემნონთან არიან მოხსენიებული, ძვ. წ. I საუკუნის 80-იან წლებში მითრიდატეს ომებთან დაკავშირებით.

ჩვენ სრულიად არ გვინდა დავამციროთ ვოლფგანგ ფოიერშტაინის კეთილშობილური მისია ლაზური ენის გადარჩენის საქმეში, მაგრამ გვინდა შევახსენოთ ნილ აჩერსონს, რომ გერმანელი მეცნიერი არ იყო პირველი, რომელმაც ლაზური ენის შესწავლა დაიწყო და ამ საქმეში პრიორიტეტი ქართველ მეცნიერებს ეკუთვნის. ჯერ კიდევ 1907 წელს ლაზური ტექსტების შესწავლის მიზნით ამ მხარეში იმოგზაურა გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა ნიკო მარმა და შექმნა ნაშრომი (Н. Марр. Грамматика чанского языка - СПБ 1910) 1917 წელს ლაზეთში სპეციალურად იმოგზაურა მეორე ქართველმა ენათმეცნიერმა იოსებ ყიფშიძემ, რომლის ჩანაწერები დღემდეა შემორჩენილი. მონოგრაფია ჭანურ-მეგრულ ფონეტიკას მიუძღვნა სერგი ჟღენტმა, რომელმაც ჭანური ტექსტები გამოსცა. დღეს ლაზურ ენაზე წარმატებით მუშაობენ გ. კარტოზია, ნ. ქუთელია და სხვები. არანაკლები ყურადღება ექცევა ლაზების ეთნოგრაფიასაც. გვინდა შევახსენოთ ჩვენ ავტორს, რომ ლაზური დამწერლობა ქართული ანბანის ბაზაზე, რომელიც ყველაზე მეტად შეეფერება ამ ქარველურ ენას, დიდი ხანია შექმნილია და მას ხელახალი გამოგონება არ სჭირდება. ყურადღების გარეშე არ არის დატოვებული არც მეგრული ენა. გამოქვეყნდა მეგრულ-ქართული ლექსიკონი, სისტემატურად ქვეყნდება ენათმეცნიერული გამოკვლევები და ტექსტები. იგივე შეიძლება ითქვას სვანურ ენაზეც.

ბიბლიოთეკა

აფხაზეთისადმი მიძღვნილ სპეციალურ თავში ძალზე მოკლე ისტორიული ექსკურსი მკითხველს თითქმის ვერავითარ შთაბეჭდილებას ვერ შეუქმნის მხარის წარსულზე. აქ ვერ ნახავთ რაიმე მინიშნებას კუთხის სახელმწიფოებრივ ან ეკლესიურ კუთვნილებაზე, მიგრაციულ ტალღებზე ჩრდილოეთიდან გვიან შუა საუკუნეებში, რომელიც მე-19 საუკუნეშიც აქტიურად გაგრძელდა და რამაც მთლიანად შეცვალა აქ დემოგრაფიული და კულტურული ვითარება, საზღვრის მოძრაობაზე. ავტორმა, როგორც ჩანს, არ იცის, რომ საზღვარმა აფხაზეთსა და სამეგრელოს შორის ენგურზე, რის შესახებაც ინფორმაციას წიგნში რამდენიმეჯერ იძლევა, მხოლოდ მე-17 საუკუნის დასასრულს და ისიც დროებით გადაინაცვლა, რასაც მოყვა ქართული მოსახლეობის არნახული გენოციდი, ძირძველი ქართული მოსახლეობის ნაწილის თურქებზე ტყვედ გაყიდვა, ხოლო ნაწილის განდევნა. ადგილზე დარჩა მხოლოდ დაახლოებით 15-20%, რომელიც, დღევანდელი გალის რაიონის გამოკლებით, თითქმის მთლიანად გააფხაზდა. მანამდე კი საზღვარი ჯერ ანაკოფიასთან, მოგვიანებით - კელასურზე, ხოლო შემდეგ ღალიძგაზე გადიოდა. თუმცა ფაქტობრივად არც მე-18 საუკუნიდან გადიოდა საზღვარი მდინარე ენგურზე, რადგანაც მდინარე ენგურისა და ღალიძგას შორის მდებარე ტერიტორია ე. წ. სამურზაყანო თითქმის ყოველთვის სამეგრელოს სამთავროში შედიოდა. მხოლოდ 1867 წელს, სოხუმის ოლქის შექმნის შემდეგ, საბოლოოდ შევიდა მასში, მოგვიანებით კი - აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, სადაც თანამდებობის თუ სხვა პრივილეგიების მოსაპოვებლად მიმდინარეობდა ქართველების გააფხაზების პროცესი. არაფერი ეს ავტორმა არ იცის. ამიტომ გულწრფელად არის დარწმუნებული, რომ ქართველები ამ ტერიტორიაზე მხოლოდ 1864 წლის შემდეგ გაჩნდნენ, ძალით დაიკავეს რა ხან აფხაზი მუჰაჯირების, ხან კი დეპორტირებული ბერძნების ადგილები.

ბრიტანელ ჟურნალისტს საერთოდ მცდარი წარმოდგენა აქვს მხარის დემოგრაფიულ ვითარებაზე. მისი აზრით, სოხუმში, ისევე როგორც გუდაუთაში, გაგრაში, ოჩამჩირეში და სხვა ქალაქებში აფხაზები უმცირესობად იქცნენ და რომ სოხუმში ქართველები მხოლოდ ბერძნების გასახლების შემდეგ (1949 წ.) გაჩნდნენ. საკმარისი იყო ავტორს ჩაეხედა ამიერკავკასიის სტატისტიკური კომიტეტის მიერ ჩატარებული აღწერის მონაცემებში და დარწმუნდებოდა, რომ ვითარება სხვაგვარი იყო. კერძოდ, 1886 წლის აღწერის თანახმად სოხუმში, რომელიც იმ დროისათვის პატარა დასახლება იყო, დომინირებული მოსახლეობა იყო რუსები - 119, ქართველები - 112, ბერძნები - 93, სომხები -53, და სხვა. იმ დროისათვის იქ მხოლოდ 3 აფხაზი ცხოვრობდა. ხოლო მთლიანად სოხუმის ოლქში ქართველები შეადგენდნენ 41,7%, აფხაზები 30,4% (ეს რიცხვი ხელოვნურად არის გაზრდილი სამურზაყანოში მცხოვრები ქართველების ხარჯზე) ბერძნები - 13,2%, სომხები - 10,5% და სხვა. ის, რომ სოხუმი ქართული ქალაქი იყო, ამას ჩვენი ავტორის თანამემამულის პიეტრო ჯერალდის, სებასტოპოლისის, იგივე სოხუმის კათოლიკე ეპისკოპოსის კენტერბერიის არქიეპისკოპოსის და ინგლისის იერარქებისადმი 1330 წელს მიწერილი წერილიც ადასტურებს. მე-13-15 ს.ს. ევროპული წყაროებით კარგად ჩანს, რომ აფხაზები სოხუმში პირველად 1454 წელს გამოჩნდნენ, ისიც როგორც თავდამსხმელები.

მართალია, ნ. აჩერსონი არ ასახელებს წყაროს, ისევე როგორც სხვა შემთხვევაში, მაგრამ დაბეჯითებით ირწმუნება, რომ ბერძენი კოლონისტების მოსვლის დროს ძვ. წ. მე-6 ს-ში აფხაზები უკვე ცხოვრობდნენ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე და რომ 1931 წელს სტალინმა - "დიდმა ქართველმა" ეს ტერიტორია საქართველოს ავტონომიურ რესპუბლიკად აქცია. თუმცა ელემენტარული ობიექტურობა მოითხოვდა იმის აღნიშვნას, რომ იგივე პროცესები საბჭოთა კავშირის სხვა ტერიტორიებზეც მიმდინარეობდა და რომ სტალინის ქართული წარმოშობა ამ შემთხვევაში არაფერ შუაშია. არ არის სწორი ავტორის წარმოდგენა აფხაზეთის ძველი მოსახლეობის შესახებ. ბერძენი კოლონისტები შავიზღვისპირეთში ძვ. წ. მე-8-6 სს. მოვიდნენ, ხოლო ის ტომები, რომლებსაც მეცნიერთა ნაწილი დღევანდელი აფხაზების წინაპრებად მიიჩნევს, წყაროებში მხოლოდ ახ.-წ. I-II სს-დან ჩანან. თუმცა არსებობს მეორე აზრიც, რომლის მიხედვითაც დღევანდელი აფხაზების წინაპრები არიან ჩრდილოკავკასიელი ტომების შთამომავლები, განსხვავებული კულტურით, რომლებიც ძირითადად გვიან შუა საუკუნეებში არიან ჩამოსული. დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა - ჯერ ეგრისის (კოლხეთის "ლაზიკის"), შემდეგ აფხაზთა სამეფოს, ერთიანი ქართული სახელმწიფოს; მოგვიანებით კი - იმერეთის სამეფოს ნაწილი იყო.

საერთოდ მთელი ეს ნაწყვეტი აფხაზეთზე განსაკუთრებული სუბიექტურობით და ცალმხრივობით გამოირჩევა და არც არის გასაკვირი. ზემოთ მოხსენიებული ჯ. ჰიუიტის გარდა, ნ. აჩერსონის ინფორმატორები არიან, მისი ცნობით, აფხაზეთის ინფორმაციის მინისტრი ნათელა აკაბა, მისი მშობლები და ახლობლები, ყველა მათგანს განათლება მოსკოვსა და ლენინგრადში აქვს მიღებული და თუმცა ბევრმა არც კი იცის აფხაზური და მხოლოდ რუსულად საუბრობს, ისინი ამას არ განიცდიან. ძალზე უცნაურად გამოიყურება ის, რომ საქართველოში ყოფნისას ავტორმა არ მიიჩნია საჭიროდ მიემართა თუნდაც ერთი "განათლებული" ქართველისათვის და მისგანაც მიეღო ინფორმაცია და არ შემოესაზღვრა თავისი წყაროები მხოლოდ რამდენიმე აფხაზის მონათხრობით და ფაზილ ისქანდერის რომანებით. განსაკუთრებით კმაყოფილია ავტორი აფხაზების ეროვნული პოლიტიკით და ტოლერანტობით, რომელიც არავითარ უპირატესობას არ ანიჭებს აფხაზურ ენას, მაგალითად, რუსულთან შედარებით. ესენი ორივე სახელმწიფო ენებად არიან გამოცხადებული. აფხაზებს ნ. აჩერსონის ინფორმაციით, შენარჩუნებული აქვთ ქართული სკოლები, ისინი ზრუნავენ ქართულ კულტურაზე და ქართველებთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარება-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე, ქართველებისგან განსხვავებით, რომლებიც, წიგნში წარმოდგენილი სურათის მიხედვით, ვერაფრით ეგუებიან განსხვავებულობას. კარგი იქნებოდა, თუ ავტორი მიუთითებდა, სად აღმოაჩინა მან ქართული სკოლები ომის შემდეგ, გალის რაიონის გარდა, თანაც ისეთები, რომელსაც აფხაზეთის მთავრობა ინახავს. მართალია, ავტორი ზოგადად შენიშნავს, რომ ძალადობა და სისასტიკე ომის დროს ორსავე მხრიდან იყო დაშვებული, მაგრამ დაწვრილებით ჩერდება მხოლოდ ერთ ფაქტზე, რომლის შესახებაც ინფორმაცია სოხუმელი მასპინძლებისაგან აქვს მიღებული: თუ როგორ დაწვეს ქართველებმა ეროვნული მუზეუმი და დატოვეს აფხაზები მათი წარსულის გარეშე. ნაკლებად აწუხებს მას აფხაზების მიერ მოწყობილი გენოციდის დროს ათასობით დახვრეტილი და განდევნილი ქართველის და სხვა ეროვნების წარმომადგენელთა ბედი. არ არის ზუსტი წიგნში მითითებული ლტოლვილთა რიცხვი 150 000. მათი რიცხვი სულ ცოტა - 250 000.

ნილ აჩერსონის ძირითადი შთაბეჭდილება შავი ზღვის სანაპიროზე ასეთია. უძველესი დროიდან დღემდე აქ იყრიდა თავს და ხვდებოდა ერთმანეთს სხვადასხვა დასავლური და აღმოსავლური გავლენები, ნარევი ცივილიზაცია. მათ შორის არის ქალაქი სოხუმი, ბათუმი და ფოთი, რომლებიც ოდესღაც კოლხეთს ეკუთვნოდნენ და მიაღწიეს სსრკ-ს დასასრულს როგორც ადგილებმა, სადაც ერთად ცხოვრობდა ხალხი სხვადასხვა ენით, რელიგიით, საქმიანობით და წარმოშობით. ავტორს არ აინტერესებს რა ხდებოდა ამ დიდ შუალედში. მისი შთაბეჭდილებით შავ ზღვაზე ხელისუფლება არ იყო კონცენტრირებული. ის დანაწილებული იყო სხვადასხვა გაერთიანებებს შორის. უზენაესი გამგეობის ტიტული შეიძლებოდა ჰქონდა კაცს ან ქალს, რომლებიც წარმოშობით პასტორალური ველის მომთაბარეები იყვნენ - თურქი, ირანელი ან მონღოლი. ადგილობრივი მმართველობა და ეკონომიკა შეიძლებოდა ჰქონოდათ ბერძენ, ებრაელ, იტალიელ ან სომეხ ვაჭრებს. სამხედრო ძალა, ჩვეულებრივ დაქირავებული, შეიძლებოდა ყოფილიყო სკვითური ან სარმატული, კავკასიური ან გოთური, ვიკინგური ან ანგლო-საქსური, ფრანგული ან გერმანული. ხელოსნებს, ხშირად ადგილობრივ ხალხს, რომლებმაც შეითვისეს ბერძნული ენა და ჩვევები, ჰქონდათ საკუთარი უფლებები და მხოლოდ მონები იყვნენ ხელისუფლების გარეშე.

მოტანილ ნაწყვეტში თითქოს ილვიძებს ბრიტანელი, იმპერიალიზმის ხანიდან, რომელიც ადგილობრივ ხალხებს ზემოდან დაჰყურებს. ამასთანავე მისი ცოდნა სრულიადაც არ შეესაბამება სინამდვილეს. მაგალითად, შავი ზღვის საქართველოს სანაპირო, თუ არ ჩავთვლით ანტიკური ეპოქის და შუა საუკუნეების ცალკეულ მონაკვეთებს, ექვემდებარებოდა სახელმწიფოს, იყო ეს კოლხეთი, შუა საუკუნეების ერთიანი ქართული სახელმწიფო, თუ ქართული სამთავროები. გარდა ამისა, საქართველოს, რომელიც ფეოდალური ქვეყანა იყო, არასდროს სჭირდებოდა უცხოელები თავისი საზღვრის ნაპირის დასაცავად, მით უფრო, რომ მას ამისათვის საკუთარი სამხედრო გემები გააჩნდა. საინტერესოა, რომელ წყაროებზე დაყრდნობით იძლევა ავტორი ცნობას შავიზღვისპირეთში ფრანგებისა და გერმანელების არსებობის შესახებ. ერთადერთი ფრანგები ბურგუნდიელების სახით საქართველოს ნაპირებზე 1446 წელს გამოჩნდნენ, მაგრამ მათი დესანტი პირველსავე დღეს დაპატიმრებული იქნა გურიის მთავრის მიერ. უცნაურია ისიც, რომ კაცი, რომელსაც ალბათ, დათვალიერებული აქვს აფხაზეთის შავიზღვისპირეთის ქართული არქიტექტორული ძეგლები, საერთოდ უარყოფს ადგილობრივ შემოქმედებას, კულტურას, საერთოდ ადგილობრივი მოსახლეობის ფაქტორს.

ამგვარად, ნილ აჩერსონის გამორჩეული ნიჭიერების მიუხედავად, მისი წიგნი შავ ზღვაზე, კერძოდ საქართველოსთან დაკავშირებული პასაჟები, წარმოადგენს საიმისო ნიმუშს, თუ როგორ არ უნდა იწერებოდეს გამოკვლევა. აქ დაშვებული შეცდომების მიზეზი, ჩვენის აზრით, არის ისტორიის სრული უგულვებელყოფა და ავტორის უკიდურესი სუბიექტურობა. ჟურნალისტს, რომელიც შოტლანდიიდან არის, როგორც ჩანს, გაუჭირდა საქართველოს ვითარებაში გარკვევა ფსიქოლოგიურადაც, ვინაიდან ის თავიდანვე და უსაფუძვლოდ ხედავდა მსგავსებას შოტლანდია - ინგლისის და საქართველო - აფხაზეთის ურთიერთობებში. შოტლანდიისაგან განსხვავებით, რომელიც ინგლისმა ხანგრძლივი ბრძოლის და ცდების შემდეგ დაიპყრო და წაართვა მას დამოუკიდებლობა, აფხაზეთი მუდამ იყო ქართული სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილი და უფრო მეტიც: მე-8 საუკუნის დასასრულს საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება სწორედ აფხაზეთიდან დაიწყო. სიტყვა ქართველი, რომელიც პოლიტიკური ტერმინი იყო და არა ეთნიკური, თანაბრად ნიშნავდა საქართველოს ყველა მოქალაქეს და მათ შორის აფხაზსაც.

მაგრამ ამაზე საუბარს აღარ ვაგრძელებთ, ვინაიდან საქართველოს და დიდი ბრიტანეთის მთელი ისტორიის მოყოლა დაგვჭირდება, რაც მკითხველს თვითონაც შეუძლია ამოიკითხოს შესაბამის წიგნებში.

# ხელოვნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათელა ურუშაძე

## ფიქრთა ბინადარი სიტყვა

ჩვენი დროის დიდი მუსიკოსი ჰენრიხ ნეიჰაუზი თავის წიგნში "საფორტეპიანო ხელოვნების შესახებ" წერს: "ადამიანის ყველაზე სასწაულებრივი ქმნილება არის სიტყვა. "მართლაც, ხომ არ არსებობს ჩვენ ცხოვრებაში ისეთი უბანი, სიტყვა რომ არ იყოს საჭირო. იგი ჩვენთანაა მაშინ, როდესაც მას წარმოვთქვამთ და მაშინაც, როდესაც ვდუმვართ. ჩვენი ცხოვრება წარმოთქმული სიტყვისა და მდუმარების დაუსრულებელი მონაცვლეობაა, მაგრამ მდუმარე ადამიანი განა უსიტყვოა? უბრალოდ, სიტყვა არ ჟღერს მანამ, სანამ მისი წარმოთქმის აუცილებლობა არ გაილვიძებს. მაშინ დაიბადება იგი იმ მდუმარებიდან, წინ რომ უძღვის და თავისებურად ამზადებს სხვისთვის გასაგონად მისი წარმოთქმის საჭიროებას.

1907 წელს დაწერილ თავის ნარკვევში "ახალი თეატრის ლიტერატურული მაუწყებელნი" გამოჩენილი რეჟისორი ვსევოლოდ მეიერჰოლდი ამბობდა: "ყველა დრამატულ ნაწარმოებში ორი დიალოგია - ერთი "საგარეოდ აუცილებელი" ანუ ის სიტყვები, თან რომ ახლავან ქცევას, როგორც მისი ამხსნელი, მეორე - "შინაგანი" ანუ ის დიალოგი, რომელსაც მაყურებელმა უნდა მიაყურადოს არა სიტყვებში, არამედ პაუზებში. არა ყვირილში, არამედ მდუმარებაში. არა მონოლოგებში, არამედ პლასტიკურ მოძრაობათა მუსიკაში"(Вс. Мейерхольд. Статьи, письма, речи. ч.1. "Искусство". М. 1968. с. 125).

ილია ჭავჭავაძეს უთქმელი სიტყვისათვის 1886 წელს მიუქცევია ყურადღება გაზ. "ივერიაში" გამოქვეყნებულ თავის ფელეტონში: "ეგრეთწოდებული "მიმიკა" სახსარია მხოლოდ სიტყვით გამოთქმული აზრის შესავსებელი... იმისთანა აზრისა, რომლის გამოთქმაც "მიმიკით" უფრო მკაფიო და მჭრელია, ვიდრე სიტყვითა."

ერთი წლის შემდეგ - 1887 წელს, თავის ცნობილ წერილში "აკაკი წერეთელი და "ვეფხისტყაოსანი" ი. ჭავჭავაძე გვთავაზობს უთქმელად გამოვლენილი უძლიერესი გრძნობის ხატის ისეთ მაგალითს, რომლის მსგავსი ძნელად მოიძებნება:

"აილეთ ერთი მაგალითი კიდევ, საცა რუსთაველმა საოცარი ღრმად ცოდნა ადამიანის გულისა დაგვანახვა. გაიხსენეთ ის ადგილი, როცა ტარიელი პირველად შეეყრება სალაპარაკოდ ნესტან-დარეჯანსა, რომელიც ისეთსავე დიდის გულისთქმის დედაკაცია, როგორიც მამაკაცი ტარიელი. ტარიელი ამ ამბავს ასე მოგვითხრობს:

**ამიგდო ქალმა ფარდაგი მძიმე თავისა ძალითა,**
**სადა სდგა კუბო შემკული ბალახშითა**
**და ლალითა,**
**შიგან ჯდა იგი პირითა, მზისაებრ**
**ელვა-მკრთალითა;**
**მე შემომხედის ლამაზად მის მელნის**
**ტბისა თვალითა.**

**დიდხანს ვსდეგ და არა მითხრა სიტყვა**
**მისსა მონასურსა,**
**ოდენ ტკბილად შემომხედის, ვითამცა**
**რამ შინაურსა,**
**ასმათ უხმო, მოიუბნეს, ქალი მოდგა,**
**მითხრა ყურსა:**
**"აწ წადიო, ვერას გითხრობს" და სხვ.**

ამისთანაზედ იტყვიან ხოლმე, გენიოსური კალმის მოსმააო და სწორედაც ესაა. დიდად საგრძნობელს, თუნდ ერთი და იგივე ძირი ჰქონდეს, ისეთი ბოლო ზედმოქმედება არა აქვს, როგორც პატარას. დიდი მწუხარება ცრემლს უშრობს კაცს, პატარა კი ცრემლს ადენს, დიდს სიხარულს ხშირად ცრემლი მოჰყავს და პატარას კი - ღიმილი; დიდი გულისთქმა, ჭეშმარიტი გრძნობა მუნჯია, უტყვია, და პატარა კი - ყბედი და ლაქლაქა.

აი, გულთამხილავი რუსთაველი რამ-სიდიდე გრძნობას ჰხედავს ნესტან-დარეჯანის გულში და ხატით გვაჩვენებს ჩვენც მის ძლიერებას, სიდიადეს და ძლევა-მოსილობას: ქალმა ველარა სთქვარა, სიტყვა შეეკრაო... რა ხელოვნებით არის ნანიშნი იმა გრძნობის ძლიერება და სიდიადე, რომელსაც იმ წუთს უნდა შეეპყრა იმისთანა გულისთქმის ქალი, როგორიც ნესტან-დარეჯანია. რუსთაველი, სასწაულმოქმედსავით, ერთის კალმის მოსმით ჰქმნის ამ სასწაულსა და გვეუბნება, - ტარიელი დაითხოვა, ისიც სხვისა პირით: "ან ნადიო, ვერას გითხრობს." ესე იგი, ქალი დამუნჯდაო, - და, აბა, იფიქრეთ, რა გრძნობაა ამის მომქმედი გრძნობა! შეიძლება-ღა ამაზედ ცხოვლად, ამაზედ უკეთესად ოთხის სიტყვით კაცმა კაცს ანიშნოს ძლიერება და სიდიადე გრძნობისა, როგორც მით არის ნანიშნი, რომ იმ გრძნობამ ადამიანი დაამუნჯაო მაშინ, როცა თქმა და ლაპარაკი სამოთხესავით სანატრელია და ასე მოსალოდნელი ტრფიალის ქალისაგან, რაკი პირველად სალაპარაკოდ შეეყრება თვის სატრფოსა? აქ ერთის კალმის მოსმით გამოთქმულია ის, რასაც ეხლანდელი მწერალი მთელს ფურცლებს მოანდომებდა და მაინც ესოდენ ცხოვლად ვერ გამოგვიხატავდა სათქმელსა."

პროზაში უთქმელ სიტყვას მწერალი გვატყობინებს. ის გვაუწყებს რატომ დუმს ადამიანი და რას ფიქრობს ამ დროს. დრამატურგიაში მწერლის ამგვარი ჩარევა გამორიცხულია - პიესაც და როლიც მხოლოდ იმ სიტყვებისგან შედგება, რომლებიც წარმოითქმის. ამნაირ სიტყვიერ ნიადაგზე უნდა ამოიზარდოს მსახიობის სცენური ქმნილება. როლის სიტყვები მოიცავენ არა მარტო იმას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც სურს რომ გაამჟღავნოს მოქმედმა პირმა, არამედ იმასაც, რასაც ის მალავს და რამაც ათქმევინა როლის ტექსტით გათვალისწინებული სიტყვები. ამითაა მდიდარი დრამატურგიული სიტყვა. ამითვეა ამავე დროს მშვენიერი, რადგან იმასაც მოიცავს, რაც მის მიღმაა და ამ მიზეზით ინტონაციით შეფერადებული.

ცნება "როლი" მოიცავს არა მარტო იმას, რაც დაწერილია, არამედ იმასაც, რაც არაა დაწერილი და იგულისხმება. ამით როლის სიტყვიერი მასალა დიდ მოთხოვნებს უყენებს მსახიობს, რადგან დაუწერელი და უხილავი დაწერილსა და ხილულს განაპირობებს. როლზე მუშაობის დროს მსახიობი სწორედ ამ უთქმელის ამოცნობასა და განხორციელებას ცდილობს. წარმოთქმული სიტყვა კი ხან ამჟღავნებს ადამიანის შინასამყაროს, ხან პირიქით - ფარავს. გააჩნია, როგორ იყენებს მას მსახიობი, რომელ "გასაღებად" - რომელიც აღებს, თუ რომელიც კეტავს! სიტყვა ხომ ყველაფერში ეხმარება ადამიანს - მართალშიც, ტყუილშიც, ეშმაკობაშიც, სიკეთეშიც, სიბოროტეშიც... ეხმარება და ამავე დროს ავლენს პიროვნებას. როლის სიტყვიერი კარით შედის მსახიობი მომავალი სცენური გმირის შინასამყაროში და ამავე სიტყვების აჟღერებით გამოავლენს მას ცოცხლად.

ცხოვრებაშიც და სცენაზეც ყოველ ადამიანს აქვს უამრავი უთქმელი სიტყვა. აქაა მიმალული ის, რაც სურს, რომ მხოლოდ მას ეკუთვნოდეს. ამ სიტყვებს კ. სტანისლავსკი შინაგან მონოლოგს უწოდებდა. მსახიობი უნდა ჩაწვდეს მოქმედი პირის ფიქრთა მიმდინარეობას. სწორედ ამის შესახებ წერდა ვალერიან გუნია 1889 წელს: "განა შესაძლებელია ქაღალდზე დაიწეროს ყველაფერი ის, რასაც ადამიანი ფიქრობს და გრძნობს? განა ყოველი სულის და გულის წუთიერი მოძრაობა შესაძლებელია ქაღალდზე დაინიშნოს? ეს ყოვლად შეუძლებელია. ადამიანის ბუნებაში იმდენი აუარებელი რამ მოიპოვება, რომლის გამოხატვა არც აზრით, არც მართლმსჯელობით და არც სიტყვით არ გამოითქმება. ტანის მოძრაობა, სახე, თვალები, ხმა - აი, ამითი შემწეობით შეიძლება ყველაფერი გამოიხატოს, ხოლო ყოველივე ეს სცენის კუთვნილებაა."( ვ. გუნია. კრებული. "ხელოვნება". 1953. გვ. 82)

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ - 1949 წელს გამოქვეყნდება ცნობილი რუსი მსახიობის ვ. ტოპორკოვის წიგნი "სტანისლავსკი რეპეტიციაზე" და აქ დიდი რეჟისორის ასეთ სიტყვებს წავიკითხავთ: "ნუ დაგავიწყდებათ რითაა გაკვალული, რანაირ აზრებსაა შექსოვილი ხმამაღლა წარმოთქმული რეპლიკა. ადამიანი მის თავში დაბუდებულის მხოლოდ ათ პროცენტს გამოიხმობს ხოლმე, ოთხმოცდაათი პროცენტი უთქმელია... უნდა აღვადგინოთ ის ფიქრები, წინ რომ უძღვის წარმოთქმულ სიტყვას" (В. Топорков, Станиславский на репетиции. "Искусство." 1949. с. 156).

თუ სათქმელ სიტყვათა აღმოხდომის მიზეზები მათ მიღმა მდუმარების სიღრმეშია, მდუმარებაც აქტიური აღვსილობაა. ცხოვრება ამას ხშირად გვიდასტურებს. ერთი ნიმუში ს. ჩერვონაიას ნაშრომიდან "აფხაზეთი - 1992. პოსტკომუნისტური ვანდეა": "ყოვლისშემძლე კომუნისტურმა სისტემამ 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ გამანადგურებელი მარცხი განიცადა. ამ მარცხის სულისკვეთებამ დამუხტა სსრკ სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობა. რომელიც გაიხსნა მოსკოვში 1989 წლის 25 მაისს. და გაიხსნა იგი - ხელმძღვანელთა ყველა გეგმისა და განზრახვის საწინააღმდეგოდ - ლატვიის რესპუბლიკის დეპუტატმა ვილენ ტოლპეჟნიკოვმა, რომელმაც ისარგებლა პაუზით სანამ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ქაღალდების გადასინჯვით იყო დაკავებული, ავიდა ტრიბუნაზე და შესთავაზა დარბაზს წუთიერი დუმილით პატივი ეცათ 9 აპრილს თბილისში დაღუპულთათვის. შესაძლოა, სწორედ ეს წუთი, - წუთი, როდესაც ფეხზე ადგა დარბაზი, რომელმაც არად ჩააგდო ხელისუფალთა დაბნეულობა, გახდა დასაწყისი იმ დაუმორჩილებლობისა, რომელმაც განსაცვიფრებლად მცირე ისტორიულ ვადაში ტოტალიტარიზმი და კომუნისტური რეჟიმი ჩვენ ქვეყანაში სრულ კრახამდე მიიყვანა. ქართველი ხალხის მიმართ ჩადენილი დანაშაული გამოაშკარავებული იყო მთელი მსოფლიოს წინაშე, დასახელებული იყო მისი მთავარი დამნაშავე - ტოტალიტარული, კომუნისტური სისტემა" (С. Червонная. Абхазия - 1992. Посткоммунистическая Вандея. М. Мосгорпечать. 1993. с. 66-67).

ა. ჩეხოვს აქვს ნათქვამი თავის მოთხრობაში "მტრები": "ბედნიერებისა და უბედურების უმაღლესი გამოხატულება, უფრო ხშირად, მდუმარებაა."

დრამატურგიულ ნაწარმოებში აღწერა გამორიცხულია, მაგრამ მაღალმხატვრული პიესის მკითხველი ხომ გრძნობს რეპლიკათა შორის მდუმარებას, რომელშიც ხან სევდაა, ხან ტკივილია, ხან იმედი და მოლოდინი... მწერალმა იქ უნდა დაადუმოს მოქმედი პირი, სადაც მდუმრება აუცილებელ უსიტყვო ქმედებას გამოხატავს.

გაცხოველებული დიალოგიც სიტყვისა და მდუმარების მონაცვლეობაა - როცა ერთი ლაპარაკობს, მეორე დუმს. სიტყვათა შორის მდუმარებას პაუზას უწოდებენ. ის წინ უძღვის წარმოთქმულ სიტყვას და მისი სულისკვეთებითაა აღსავსე, რადგან მოქმედი პირის სულში სწორედ ამ სიტყვების წარმოთქმის აუცილებლობა ბუდობს. მდუმარება შეიძლება გრძნობათა უკიდურესი დაძაბულობის შედეგი იყოს, ხომ ვამბობთ - "სიტყვა არ მქონდა განცდის გამოსახატავადო!" ამიტომ უნდა ვიცოდეთ, რა მიზეზით აღმოცენდა მდუმარება. ისიც დრამატული შინაარსისაა, რადგან ადამიანი უთქმელობითაც რაღაცას გამოხატავს. ამიტომ პაუზაც გააზრებას და დამუშავებას ითხოვს. აგერ, კოტე მარჯანიშვილის დასტურიც: "მსახიობებისაგან მე მოვითხოვდი ცხოვრებისეულ სიმართლეს... ჩვენ ვალმერთებდით გუნება-განწყობილებით გაჟღენთილ პაუზას (К.Марджанишвили. Воспоминания, статьи и доклады. "Заря Востока". 1958. с. 15).

ასეთი პაუზებითაა ხოლმე გაჟღენთილი ყველა გამოჩენილი სცენური ქმნილება. ერთი ეპიზოდი მ. თუმანიშვილის სპექტაკლიდან "როცა ასეთი სიყვარულია":

... ლიდა და პეტრუსი საერთო საცხოვრებლის შესასვლელთან შეხვდნენ ერთმანეთს - პეტრუსი ცოლს უნდა მოლაპარაკებოდა განქორწინების თაობაზე. "რა ქენი?" - მოუთმენლად შეეკითხა ლიდა და მოლოდინით სავსე თვალები შეანათა სატრფოს. მოსალოდნელი საუბრით შეშფოთებუ-

ბიბლიოთეკა

ლი პეტრუსი აჩქარებული ნაბიჯით მოემართება. მის გვერდითაა ლიდა - საოცრად გულთბილი, ალერსიანი, ალსავსე ნდობით. მღელვარებისაგან დაქანცულნი, იქვე კიბის საფეხურებზე ჩამოსხდნენ. ლიდა ცოტა უფრო დაბლა, ვიდრე პეტრუსი. მიეყრდნო მის მკერდს და მაღლა აიხედა - ცის კამარა მშვიდად აფრქვევდა მოვერცხლისფერო ლურჯ სხივებს. ის არ გრძნობდა როგორ ბორგავს მის ქვეშ ორი ადამიანის სული. ვილაცის ღია ფანჯრიდან ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შეშფოთებული მელოდია მოისმოდა. ჩუმად, ძალიან დამაჯერებლად უამბობდა პეტრუსი ლიდას იმ სიცრუეს, რომელიც თვითონ შეთხზა ცოლის მიერ განქორწინებაზე უარის შესახებ. შემდეგ წამოდგა. წამოდგა ლიდაც და მუდარით სავსე მზერით ახედა პეტრუსს - ლიდას მთელი არსება გამამხნევებელ, სანუგეშო სიტყვას ელოდა. მაგრამ პეტრუსი დუმდა და სადღაც შორს იყურებოდა იმისთვის, რომ ლიდას უხმო შეკითხვა არ გაეგონა. ჩამოვარდა ისეთი დუმილი, რომელიც ყვირილზე უფრო ძლიერი იყო... ღამის ფარნების შუქი უკვე მეტისმეტად გაფერმკრთალდა. იმ ჩიტის ხმაც მოისმა, რომელსაც ამ დილით პირველს გაეღვიძა - თურმე რამდენი დრო გასულა!..

დუმილის ატანა აღარ შეიძლებოდა. "ასე გითხრა ხომ?" - თავისთვის ჩაილაპარაკა ლიდამ. მერე თითქოს გზა აებნაო, უაზროდ წავიდა ჯერ ერთ მხარეს, მერე მეორე მხარეს... შეჩერდა. ძლივს მოთოკა საშინელი მღელვარება, რომელიც სულს უხუთავდა და შეეცადა რაც შეიძლება მშვიდად ეთქვა - პეტრი, ძალიან მიყვარხარ... საშინლად მიყვარხარ... აკი შენ თვითონ თქვი დავქორწინდეთო... ჰოდა, უკან გიბრუნებ შენ სიტყვას..." - ამოიკვნესა ლიდამ და თითქოს გულიც თან ამოაყოლაო. გაოგნებული წინ წამოვიდა... საიდანღაც ბრამსის მუსიკის ნაცნობი მელოდია მოისმა. ამ ხმებმა თითქოს სიცოცხლე დაუბრუნეს ლიდას - გაახსენდა, როგორ გადაწყვიტა: "თუ ორთქმავლები სადგურზე შვიდჯერ დაიკივლებენ, პეტრის ცოლი გავხდები მანამ, სანამ ქალაქის გამღვიძებლების - რძის გამყიდველების ხმას გავიგონებ..."

ჩაიქროლა ღამის ტრამვაიმ... შემდეგ სასწრაფო დახმარების მანქანამ... პეტრუსმა უკვე წარმოთქვა ორი საშინელი სიტყვა - "მშვიდობით, ლიდა..." რძის გამყიდველები კი ჯერ არსად ჩანდნენ. "დამიბრუნე ჩემი სურათი!" - სასოწარკვეთილებით შესძახა ლიდამ, რომელიც ახლა ნამდვილად ხავსს ჩაეჭიდა. შეეშინდა - პეტრუსთან ყოფნის ეს წუთი ვაი, თუ უკანასკნელი აღმოჩნდესო. შემდეგ საკუთარ მუხლებზე პირისახით დაემხო და ელის... ელის... სწორედ ამ დროს შორიდან ძლივსგასაგონად მოისმა რძის გამყიდველის საყვირის ხმა. ბედნიერებით გასხივოსნებული წამოხტა, ხელებგაშლილი გამოიქცა ჩვენსკენ და თავისი უზომო სიხარული ჩვენც მოგვახარა - "ძლივს! მოაქვთ რძე!" - იმედი, სასოწარკვეთის ერთადერთი მეგობარი, კვლავ მასთან იყო, მაგრამ მეტისმეტად ხანმოკლე დროით.

შემდეგ მოვლენები დაუნდობელი სისწრაფით მოაწყდნენ ერთიმეორეს: პეტრუსმა უთხრა არ შემიძლია ცოლად შეგირთოო. ზურგში დამიზნულ ტყვიასავით მოხვდა ლიდას ეს სიტყვები. ფრთამოკვეცილი იქვე დაეცა კაფეში და დიდხანს იყო ასე დამხობილი სკამზე. ძალიან უნდოდა აზრის მოკრება, მაგრამ ვერაფრით ვერ მოახერხა. მარცხენა ხელით კი ისე ჩაბღაუჭებოდა საკუთარ გულს, თითქოს პირს უკრავდა, რომ არავის გაეგო როგორ ყვიროდა მისი გული საშინელი ტკივილისაგან. წამოდგომა კი მოახერხა, მაგრამ ეს უკვე ის ლიდა აღარ იყო - მას ეჭვი შეეპარა პეტრუსის სიყვარულში.

რაც უფრო რთული ემოციური შინაარსითაა აღვსილი მდუმარება, რაც უფრო უწყვეტია ამ დროს მოქმედი პირის შინაგანი ცხოვრება, მით უფრო მეტყველია უსიტყვობა, მით უფრო მრავლისმთქმელი და შთამბეჭდავი სახისა და სხეულის გამომსახველობა. დიდ მსახიობ მიხეილ ჩეხოვის თქმით "პაუზა - ეს შინაგანი ქმედების უკიდურესი ფორმა, როცა გამომხატველობის გარეგნული საშუალებები ქრებიან და იზრდება შინაგანი გამოსხივების ძალა" ( М. Чехов. О технике актера. Голливуд. 1945. с. 29) კ. სტანისლავსკის თქმით კი - "პაუზა სცენაზე - სასცენო ხელოვნების მწვერვალია" (К. Станиславский. Беседы в оперной студии. изд.2. "Искусство". 1952. с. 172).

დუმილი აქტიური მოქმედებაა, ვინაიდან მდუმარე ადამიანის გონებაში ელვის სისწრაფით ცოცხლდებიან მოგონებანი, ასოციაციები, დაეჭვება, მოსაზრება, მოულოდნელი "სვლის" იდეა და ა.შ. შესაძლოა, სწორედ ახლა, ამ წუთში, პარტნიორის გამოხედვამ ან მის მიერ წარმოთქმული სიტყვის რომელიღაც ინტონაციამ, მიახვედრა იმას, რაც მანამდე არ ესმოდა. იმ დუმილის წუთში მზადდება გადაწყვეტილება, რომელიც საპასუხოდ წარმოთქმულ სიტყვაში გამოვლინდება. ახლა ეს სიტყვა გამოიწვევს პარტნიორის შესატყვის რეაქციას. ისიც გამსჭვალული იქნებაართქმული აზრებით, ფარული ზრახვით და თავის მხრივ, ბუნებრივად შეამზადებს მოპასუხის შემდგომ, აგრეთვე სიტყვიერ "სვლას"... და ასე მანამ, სანამ დიალოგი დასრულდებოდეს ანუ "მებრძოლთაგან" რომელიმე გაიმარჯვებდეს.

ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს მიაჩნდა: "თუ მდუმარება არის, როლიც ყოფილა." ერთი ეპიზოდი ძველი ქართული თეატრის სასიქადულო მსახიობის ნატო გაბუნიას ხანუმას სცენური ცხოვრებიდან:

"... ხანუმამ უნდა უპასუხოს სონას: "შენი კაბა და რამეები მომეცი, მე ვეჩვენები" - მაგრამ ვიდრე ამ სიტყვებს იტყვის, ნატო ამრიგობაზე ხანგრძლივ პაუზას აკეთებს, საკვირველ პაუზას, რაც აქამდე არასოდეს არ მინახავს წინანდელ წარმოდგენებში. ჯერ კიდევ მისი სიტყვებიდან - "თქვენ არხეინად იყავით" დაწყებული ეშმაკური ღიმილით იმის სახეზე თანდათან იშლება, ფართოვდება და დუმილის დროს კუჭკუჭ სიცილად გადაიქცევა, - ნატო-ხანუმა თვით უცინის უსიტყვოდ მის თავში შეპარულ ოხუნჯურ, მაგრამ გაბედულ აზრს - მე ვეჩვენები კნიაზსო. მას თითქო ეშლება თვალწინ ის სასაცილო ამბავი, რაც უნდა მოხდეს და წინასწარვე ტკბება თავის ოსტატობით და გასულელებული თავადის მდგომარეობით და როდესაც ამბობს - "მე ვეჩვენებიო" - უკვე სიცილს ველარ იკავებს". ( ი. ზურაბიშვილი. თეატრალური პორტრეტები. "ხელოვნება". 1972. გვ. 214-215)

რამდენი მოგონება არსებობს ანა მანიანის ერთი მდუმარე ეპიზოდის შესახებ ჯოვანი ვერგას

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიესაში "ძუ მგელი", როდესაც დედამ უნდა გადაწყვიტოს შვილის გათხოვების საკითხი. ამ დროს ის იჯდა მინაზე მაყურებლის პირისპირ და მაღლა თავაწეული სადღაც შორს იყურებოდა. ფიქრობდა. ფიქრი რამდენიმე წუთს გრძელდებოდა. სცენაზე ეს ძალიან დიდი დროა. სულგანაბული მაყურებელი მზერას ვერ სწყვეტდა მის მედიდურ, მშვენიერ სახეს და მასთან ერთად ფიქრობდა. უძვირფასესია ასეთი წუთები მსახიობისთვისაც და მაყურებლისათვისაც, რადგან ერთი მარტოდმარტო, სხვათა დაუხმარებლად წარმოაჩენს თავის ხელოვნებას, მეორე კი მასსავით მღელვარედ ჩართულია მდუმარებაში და ცდილობს ამოიცნოს - რა ხდება ახლა დედის აფორიაქებულ სულში, სადაც მის ფიქრთა ბინადარი აზრები ებრძვიან ერთმანეთს.

დიალოგის დროს წარმოთქმული სიტყვები რომ შეივსოს იმით, რაც უფიქრიათ ამ დროს მის მონაწილეებს, ოღონდ არ წარმოუთქვამთ - ჩვენ მივიღებთ ადამიანთა ცოცხალი კავშირების იმ ფერადოვანსა და მრავლისმთქმელ სურათს, რომელიც ასე ბუნებრივად იქმნება ცხოვრებაში და ასე ძნელად მისაღწევია ხელოვნებაში.

დრამატურგიული ჟანრის ცნობილ მკვლევარ ვ. ვოლკენშტეინს ასეთი ნიმუში მოაქვს შექსპირის "კორიოლანოსიდან": "კორიოლანოსმა უღალატა რომს და მის მოწინააღმდეგე ვოლსკების მხედართმთავარს ეახლა. იგი წარმოთქვამს დიდ მონოლოგს, რითაც მომხრეობას სთავაზობს. ავფიდიუსი არცერთ სიტყვას არ წარმოთქვამს, მაგრამ კორიოლანოსის მონოლოგის დასასრულს გადაეხვევა მას.

პიესის მკითხველისათვის და სპექტაკლის მაყურებლისთვისაც ყველაფერი ნათელია. საიდან? კორიოლანოსის მონოლოგიდან, რადგან ის მოიცავს არა მარტო იმას, რასაც ამბობს რომაელი, არამედ იმასაც, რის გამოც დუმს ვოლსკი - მის უსიტყვო დაეჭვებას დასაწყისში, შემდეგ თანდათან გარდატეხას, ვიდრე ალტაცებამდე იმის გამო, რომ ასეთი ძლიერი მოკავშირე გაუჩნდა" ( В. Волькенштейн. Драматургия. "Искусство". 1937. с. 113).

როგორც ვხედავთ, დიალოგში შეიძლება არ იყოს ორმხრივი ხმამაღალი კამათი, მაგრამ ამის მიუხედავად, ინტენსიური სიტყვიერი და უსიტყვო აზროვნების პროცესი მაინც მიმდინარეობდეს.

დრამატურგიული სიტყვა იმდენად ტევადია, რომ ერთის, ამ შემთხვევაში კორიოლანოსის, მონოლოგი ავლენს კორიოლანოსსაც და ავფიდიუსსაც - ის ხომ გრძელდება იმის მიხედვით, თუ რას კითხულობს კორიოლანოსი ავფიდიუსის სახეზე! ეს ბადებს ყოველ შემდგომ მის სიტყვას. ამნაირ მდუმარებაზე მოქმედმა პირმა უფლება უნდა მოიპოვოს - ის უთუოდ აუცილებელი უნდა იყოს ლოგიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც. მაშინ მდუმარება სიტყვაზე მეტის მთქმელი იქნება, რადგან დაამატებს იმას, რაც მიუწვდომელია სიტყვისათვის. მართლაც, თუ პაუზა სცენური ხელოვნების მწვერვალია, ამ მწვერვალს პიესაში უნდა ჰქონდეს საფუძველი.

ვინ დუმს და ვინ ლაპარაკობს სცენაზე? არა თვით მსახიობი, არამედ პიესის მოქმედი პირი, რომელსაც ის განასახიერებს - მსახიობი ხომ სხვა ადამიანის სახით მოქმედებს! ესაა გარდასახვა - ვაზროვნებ, განვიცდი და ვიქცევი არა ისე, როგორც ასეთსავე ვითარებაში მე ვიფიქრებდი, განვიცდიდი და მოვიქცეოდი, არამედ როგორც პიროვნება, რომელსაც ამჟერად ვასახიერებ.

პიესის გმირის სახით ცხოვრება მისი ხასიათის მქონე ადამიანის ცხოვრებაა. ყოველ ადამიანს თავისებური ხასიათი აქვს ანუ თავისებური სულიერი აღნაგობა. ამიტომ გარემოს, მოვლენებსა და ფაქტებს ის თავისი თვალით უცქერს, როგორც ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკო ამბობდა - გონების ბრძანება აქვს თავისებური. ეს ბრძანება განაპირობებს სათქმელ სიტყვებსაც და ფიქრში მიმალულ ფარულ განცდასა თუ განზრახვას.

არსებობს სრულიად უსიტყვო, მაგრამ ამის მიუხედავად, უძლიერესი ეპიზოდები. გავიხსენოთ სესილია თაყაიშვილის მარადიას ეკრანული სიცოცხლის ბოლო ეპიზოდი ფილმიდან "ნატვრის ხე" ან ვერიკო ანჯაფარიძის კრიჭაშეკრული ოთარაანთ ქვრივი, შვილის ცხედარს რომ მიაცილებს ცხოვრების უკანასკნელ გზაზე, ან ორსერიანი მხატვრული ფილმი "ნიურნბერგის პროცესი", სადაც ლანკასტერი მთელი პირველი სერიის განმავლობაში დუმს.

არსებობს ისეთი მიზანსცენაც, რომელიც სრულიად უსიტყვოდ უმნიშვნელოვანეს შინაარსს გამოხატავს. ამის საუკეთესო ნიმუშია ცნობილი მიზანსცენა კოტე მარჯანიშვილის მიერ დადგმული "ოტელო"-დან - ის მომენტი, როდესაც იაგომ მიაღწია ნანატრ მიზანს და ოტელოს დეზდემონასადმი რწმენა შეურყია. მარჯანიშვილმა მოქმედ პირთა ცხოვრებაში მომხდარი ამ უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენის გამომხატველი განსაცვიფრებელი მიზანსცენა შეთხზა - საზარელი ჭეშმარიტებით განადგურებული მავრი მხედართმთავარი მიწაზე გდია გულშემოყრილი, გამარჯვებული იაგო კი, ფრთებივით ხელებგაშლილი, ფეხით შემდგარა მის მკერდზე და ნეტარებს - როგორც იქნა, წუთით მაინც ხომ არის მასზე მაღლა! ასე მიიღო ვერაგობამ მოზეიმე მტაცებელი ფრინველის სახე ქართულ სცენაზე. შექსპირს ამგვარი რამ არ უწერია. ეს იკითხებოდა დიდი რეჟისორის უსიტყვო, ცოცხალ სცენურ ქანადკებაში. რას ფიქრობდა ამ დროს უშანგის იაგო?.. ვინ იცის...

შეიძლება მთელი როლი იყოს სრულიად უსიტყვო. ასეთია, მაგალითად, ნენეს როლი პოლ ზინდელის პიესაში "გვირილა". ეს იმას ნიშნავს, რომ ნენეს სცენური ცხოვრება მთლიანად ამ მოქმედი პირის განმასახიერებელი მსახიობის ნაფიქრი სიტყვებისგან შედგება. ქართულ სცენაზე ის ვერიკო ანჯაფარიძემ განასახიერა.

შეიძლება უსიტყვო როლი პიესაში არ იყოს, მაგრამ იყოს სპექტაკლში, თანაც ბოლომდე გასდევდეს პერსონაჟთა ცხოვრებას, როგორც ესაა კინომსახიობთა თეატრში მიხეილ თუმანიშვილის მიერ დადგმულ "ჩვენ პატარ ქალაქში". აქრუსი დამლაგებლის, დუსიას როლის შემსრულებელ ნატო შენგელაიას არა აქვს არც ერთი სათქმელი სიტყვა. როლი დაიბადა პიესაზე სარეპეტიციო მუშაობის პროცესში.

მსახიობის ნაამბობიდან: თითქმის მზად იყო სპექტაკლი, როდესაც მხატვარ არჩილ გამრეკელის განმასახიერებელმა ზურაბ ყიფშიძემ შესჩივლა მიხეილ თუმანიშვილს - დუქანში რომ მოვდივარ ნაბახუსევი, ატმოსფეროს ვერ ვგრძნობ, ცა-

ნათელა ურუშაძე
ბიბლიოთეკა

რიელია აქაურობაო. მაშინ რეჟისორმა შესთავაზა ნატო შენგელაიას - დაასველე ტილო და მოუსვი იატაკს, იყავი დუსია დამლაგებელიო. შესრულდა თუ არა ეს დავალება, ზურაბ ყიფშიძე განთავისუფლდა უხერხულობისაგან. მ. თუმანიშვილს ისე მოეწონა ნატოს დუსია, რომ გადაწყვიტა დუსიას ცხოვრება სპექტაკლის დასასრულამდე გაგრძელებულიყო. ასე დაიბადა ეს უსიტყვო როლი.

არ ლაპარაკობს დუსია, მხოლოდ ზოგჯერ ოდნავგასაგონად ღიღინებს რუსულ სიმღერას. თან თვალმოუშორებლივ უცქერს არჩილ გამრეკელს - სათაყვანებელ არსებას, რომელიც საქართველოზე ლაპარაკობს, ალბათ, მისთვის გაუგებარ სიტყვებს - აბა, რა იცის დუსიამ რას ნიშნავს მიტოვებული ორმაგი პროვინცია! ის მხოლოდ გრძნობს, რომ ამის მთქმელი ძალიან ღელავს. ამიტომ მივა მასთან და ცდილობს დაამშვიდოს.

ძალიან მოსწონდა მ. თუმანიშვილს მსახიობის ეს ქმნილება. ყველაფრის ნება მისცა, გარდა ერთისა - სათქმელი სიტყვის გამოგონებისა - ეს მწერლის ხელოვნებააო! მსახიობის ხელოვნება მოქმედებაა. სიტყვიერი იმ შემთხვევაში, თუ ავტორმა გამოიმეტა იგი მოქმედი პირისათვის, თუ არა, მაშინ მხოლოდ უსიტყვო. ჰოდა, ნატო შენგელაიაც უსიტყვოდ მეტყველებს მთელი თავისი არსებით, განსაცვიფრებლად მოკრძალებული, მაგრამ ამავე დროს საოცრად მეტყველი პლასტიკით. ლაპარაკობს მისი სხეული, მისი ხელები, ასე სხვადასხვანაირად რომ ეხებიან საყვარელ არსებას! მისი თვალები! ეს თვალები ძალიან ახლოდან უნდა იხილო - ლამაზი, სათნო, სიკეთის სხივის გამომცემი, სიყვარულით აღსავსე თვალები. აკი მოქმედებენ კიდეც მაგიურად უბედურ მხატვარზე, რომელიც დუსიას გარდა არავისთვის არც საჭიროა და არც ძვირფასი. ეს როლიც ხომ, ბოლოს და ბოლოს, იმისთვის შეიქმნა, რომ არჩილ გამრეკელის განმასახიერებელი მსახიობისთვის იყო საჭირო. თავდაპირველად ერთი ეპიზოდისთვის, შემდეგ კი ამ მოქმედი პირის მთელი სცენური ცხოვრებისათვის. ამის ნათელი საბუთია ბოლო ეპიზოდი, სადაც საზეიმოდ გამოწყობილი, საბოლოოდ განწირული ნიჭიერი მხატვარი ხელში ერთადერთი წითელი ვარდით, გამოცხადდება სასაფლაოზე და კეთილი, მადლიერებით აღსავსე გრძნობით კარგა ხანს უცქერს ახლაც მის გვერდით მყოფ მდუმარე დუსიას. მერე მოუნდა თავზე ხელი გადაესვა მისთვის, მაგრამ არა, სატრფოს საფლავთან არა... და ხელი ჰაერში შეჩერდა... მერე მხატვარი წავიდა აქედანაც და ამ ქვეყნიდანაც. თან გაიყოლა დუსიას შუქჩამდგარი მზერა... დასასრულს, ისევ სასაფლაოზე, მხოლოდ დუსიამ მოაკითხა არჩილ გამრეკელს, მხოლოდ მან აუნთო სანთელი - დაიბადა კიდევ ერთი სცენური ხატი. სიყვარულის უხმო, უსიტყვო ხატი!

რა უცნაური სიტყვათშემოქმედებაა: მსახიობი თხზავს იმას, რის უფლებაც ლიად არა აქვს, რადგან სათქმელი სიტყვის შეთხზვა მწერლის შემოქმედებაა. უთქმელი სიტყვის შეთხზვაა მისი უფლებაც და ვალდებულებაც. მის მიერ განსახიერებული ადამიანის სცენურ ცხოვრებაში კი ეს ორივე - თქმულიც (მწერლისეული) და უთქმელიც (მსახიობისეული) განუყოფლად იქნებიან ერთმანეთთან გადაწნული.

უთქმელი სიტყვა მსახიობის ფარული შემოქმედებაა, მხოლოდ მისთვის ცნობილი, პარტნიორთა და მაყურებელთათვის საიდუმლო. ამიტომ ამოსაცნობი. თანაც იმდენნაირი, რამდენი მწერლის ინდივიდუალური ხელწერაც უნდა გაითავისოს, რადგან თქმულიც დაართქმულიც მისი პიესის პერსონაჟის კუთვნილებაა. მაშ, როგორ უნდა გრძნობდეს და ფლობდეს იგი სიტყვას, ყოველგვარი ზედმეტობისგან თავისუფალ სიტყვას!

ჩვეულებრივ, აქტიორულ სკოლას დიდმნიშვნელოვანი სცენური სახეების ნიმუშებით წარმოაჩენენ. ეს ბუნებრივია, რადგან სპექტაკლის მთავარი გმირის ცხოვრება მდიდარია ავტორის მიერ მისთვის შერჩეული ვითარებებით და კონფლიქტებით. აგრეთვე სხვა მოქმედ პირებთან ურთიერთობებითა და კავშირებით. მიხეილ თუმანიშვილის სკოლის შესახებ მსჯელობის დროსაც, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, მის სპექტაკლებში ხორცშესხმულ ამგვარ სცენურ სახეებს გაიხსენებენ, მაგრამ ამ სკოლის არსი სწორედ ისაა, რომ იგი ნებისმიერი სცენური სახისგან აუცილებლად ითხოვს უმთავრესს - სახეობრივი ქმედებით მეტყველებას. ამის მშვენიერი ნიმუშია უთქმელი სიტყვებით მეტყველი ნატო შენგელაიას უბრალო დამლაგებელი ქალი სპექტაკლიდან "ჩვენი პატარა ქალაქი". ძნელია ასეთი მოქმედი პირის სცენაზე გაცოცხლება, იშვიათი და ამის გამო ძვირფასი.

სცენაზე თქმული სიტყვაც უსასრულოდ მრავალფეროვანია და უთქმელიც. ორივე ერთად აცოცხლებს პიესის მოქმედ პირს, მაგრამ უთქმელი სიტყვა მაინც უფრო მეტად გვაახლოებს მოქმედი პირის მსახიობისეულ ინტერპრეტაციას - რომელია უფრო მნიშვნელოვანი, რასაც ადამიანი ფიქრობს, თუ რასაც ის ამბობს?

უსიტყვობა მაყურებელზე ზემოქმედების უძლიერესი საშუალებაა, უმაღლესი ინტიმური კავშირი, რომელიც მაყურებელში დიდ სულიერ ძვრებს იწვევს და ახალ თვისებაში გადაჰყავს იგი. სცენასა და დარბაზს შორის კონტაქტიც ყველაზე უკეთ პაუზაში მოწმდება. მაგრამ ეს ხდება მხოლოდ მაშინ, თუ ეს პაუზა დროულად აღმოცენდება და ასევე დროულად შეწყდება. პაუზის ყოველი წუთი მსახიობის, მაშასადამე, თეატრის კუთვნილებაა და ამის გამო თავის ბუნებით წმინდა თეატრალური. ამიტომაც სწორედ ამ დროს ხდება მაყურებელი განსაკუთრებით აქტიური, მასში ილვიძებს განცდა, ამუშავდება ფიქრი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისიც ქმედებს და ამნაირად ალასრულებს თავის დანიშნულებას - სპექტაკლის აუცილებელი კომპონენტის დანიშნულებას. არაა შემთხვევითი მსახიობ სერგეი იურსკის ცნობილი სიტყვები: "პაუზა - მაყურებლის შემოქმედების წუთებია". ანუ ის წუთები, როდესაც სცენაზე და დარბაზში მყოფნი ერთად ქმნიან თეატრის ხელოვნებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეა შაიშმელაშვილი

# არტურ ადამოვი - "ახალი თეატრის" მიმდევარი

ფრანგული თანამედროვე თეატრის ისტორიაში განსაკუთრებით გამოირჩევა 50-იანი წლები, ეპოქა, როდესაც სცენა არა მხოლოდ ფართო აუდიტორიის მქონე, სახელგანთქმულ დრამატურგთა წარმოდგენებს გვთავაზობს, როგორებიც არიან კლოდელი, ჟიროდუ, მონტერლანი, სარტრი, კამიუ და სხვანი, არამედ წარმოგვიდგენს სრულიად ახალ სახელებს, რომელთა მნიშვნელობაც დღითი-დღე იზრდება: ბეკეტი, იონესკო, ადამოვი, ჟენე, არაბალი, ვოტიე და სხვ. ამ ახლადგამოჩენილ დრამატურგთაგან პირველმა სამმა თეატრში ნამდვილი რევოლუცია მოახდინა. მათმა ნახელავმა იმდენად შეძრა ტრადიციული თეატრი, როგორც იდეოლოგიური, ასევე მხატვრული თვალსაზრისით, რომ შეძრწუნებული კრიტიკოსები უძლურნი აღმოჩნდნენ, აეხსნათ ეს ახალი მოვლენა და მისთვის სათანადო სახელწოდება მიეცათ.

მაინც რას წარმოადგენს "ახალი თეატრის" ფენომენი? რითი აიხსნება მისი წარმოშობა და რა არის მისი მიზანი?

50-იან წლებში ფრანგმა მწერალმა და ჟურნალისტმა, ფრანსუაზ ჟირუმ (1916), პირველმა შენიშნა სიახლე იმ ახალგაზრდა რეჟისორთა ნაშრომებში, რომლებმაც დადგენილი ნორმების წინააღმდეგ გაილაშქრეს. ამ სიახლის გამო ფ. ჟირუმ ფრანგულ თანამედროვე კინოს "ახალი ტალღა" უწოდა. ეს ტერმინი, კერძოდ სიტყვა "ახალი", მალე მიღებული იქნა მთელს ლიტერატურულ სამყაროში.

1957 წელს ფრანგმა მწერალმა და კრიტიკოსმა, ემილ ანრიომ (1889-1961), ახალგაზრდა ფრანგი რომანტისტების გამოჩენა "ახალ რომანად" მონათლა "Monde"-ის ქრონიკაში. ასევე მოინათლა ახალი თეატრიც და კრიტიკამ ამ დასახელების ქვეშ გააერთიანა ავანგარდული თეატრის სხვადასხვა გამოვლინება.

მაგრამ "ახალი თეატრი" 50-იანი წლების დრამატურგიის ერთადერთ სახელწოდებას არ წარმოადგენს. 60-იანი წლების დასაწყისში გაჩნდა ამ ახალი მიმდინარეობის აღმნიშვნელი მრავალი სხვა სახელიც: "აბსურდის თეატრი", "ექსპერიმენტული თეატრი", "ანტითეატრი", "თანამედროვე ტრაგიკომედიები", "დაცინვის (გაქირდვის) თეატრი", "ავანგარდული თეატრი", "ძიების თეატრი", "თეატრი-ლაბორატორია" და სხვ.

მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს მისი სახელი, ერთი რამ უდავოა: ამ თეატრმა საუკუნეების მანძილზე დამყარებული წყობა დაარღვია და რადიკალური ცვლილება მოუტანა ხელოვნების უძველეს ფორმას.

გულუბრყვილობა იქნებოდა, "ახალი დრამატურგები" თეატრის სფეროში პირველ რევოლუციონერებად მიგვეჩნია. ისინი მოძველებული ესთეტიკისა და პირობითი თეატრის უარმყოფელი ტრადიციის მემკვიდრენი არიან, ტრადიციისა, რომელიც XIX საუკუნის დასასრულიდან მომდინარეობს.

1887 წელს ფრანგულ სცენაზე გაბატონებული პრინციპების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება ანდრე ანტუანი და დააარსა "თავისუფალი თეატრი". ემილ ზოლამ ბრალდებაც კი წაუყენა პირობით თეატრს თავისი ცნობილი ესეით "ნატურალიზმი თეატრში".

სამი წლის შემდეგ პოლ ფორმა და ლუნე პომ იმავე სახის სხვა თეატრი შექმნეს: "ხელოვნების თეატრი", სწორედ ნატურალისტურ თეატრთან დაპირისპირების მიზნით ჩამოაყალიბა ამ ორმა ხელოვანმა საკუთარი ინსტიტუცია, მოგვიანებით კი ლუნე პომ დამოუკიდებლად დააარსა "შემოქმედების თეატრი".

50-იანი წლების "ახალი თეატრისათვის" უფრო მახლობელი გენეალოგიური ფესვების მოსაძებნად უკეთესი იქნებოდა, ყურადღება მიგვექცია რამდენიმე კერძო შემთხვევისათვის, რომლებიც ზემოთ აღნიშნულ თეატრალურ მიმდინარეობებზე არანაკლებ მნიშვნელოვანია. ჩვენს ყურადღებას გამორჩეულად იზიდავს ალფრედ ჟარის, აპოლინერის, ვიტრაკისა და განსაკუთრებით არტოს დრამატურგია.

1896 წელს "შემოქმედებითი თეატრის" მიერ წარმოდგენილი სპექტაკლით "მეფე უბუ" ალფრედ ჟარიმ ნამდვილი, ფეთქებადი, უპრეცენდენტო აურზაური გამოიწვია. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც თეატრმა პირდაპირ შეუტია დარბაზში მსხდომ საზოგადოებას. ამ პიესამ თავისი ალოგიკური კომპოზიციით, აბსურდული შინაარსით, საძრახისი, კარიკატურული და მარტივი პერსონაჟებით გარკვეულწილად დათესა "ახალი თეატრის" მარცვალი.

1917 წელს საზოგადოების რისხვა გამოიწვია ასევე "ტერეზას კერტების" წარმოდგენამ, რომელშიც დაირღვა ძველ დრამატურგიასთან დაკავშირებული ყველა ცნება, დაწყებული პერსონაჟის ცნებიდან, დამთავრებული სივრცისა და დროის ცნებით.

ასეთივე სკანდალური იყო როჟე ვიტრაკისა და ანტონენ არტოს წარმოდგენები: "ვიქტორი ანუ ბავშვები ხელისუფლებაში" (1928) და "სანსები" (1935). ორივე დრამატურგმა შეძრა საზოგადოება ისეთი ტრადიციული ღირებულებების წინააღმდეგ გალაშქრებით, როგორიცაა ოჯახი, ღირსება, მეგობრობა და სხვ.

ისტორიის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ახალი თეატრალური ესთეტიკის განვითარება დასავლეთში არ არის შემთხვევითი. მას, ანტი-თეატრის ხანგრძლივი ტრადიციის გარდა, ხელი შეუწყო აგრეთვე საუკუნის მანძილზე დასავლეთ ევროპაში არსებულმა, გამორჩეულმა სოციალურმა კლიმატმა.

XX საუკუნის დასავლეთ ევროპა განსაკუთრებით შეძრა ბედისწერამ. 1914 წელს კაცობრიობამ უპრეცედენტო უბედურება განიცადა - პირველმა მსოფლიო ომმა მთელი ევროპა კატასტროფაში ჩაითრია. ამას ოცი წლის შემდეგ მეორე ომი მოჰყვა. მართალია, 50-იანი წლებისათის ყველაფერი დასრულდა, მაგრამ ნანგრევების წინაშე დარჩენილ ადამიანის ტანჯვა მაინც არ დამთავრებულა. დიდია ადამიანის დანაკარგი, როგორც მატერიალური, ასევე სულიერი თვალსაზრისით. მას აღარ აქვს ღმერთისადმი ის რწმენა, რომელსაც ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მისი წინაპრები. ამიერიდან ადამიანისათვის "ღმერთი მოკვდა" და მასთან ერთად ცხოვრების ყველა იმედი გაუჩინარდა. ადამიანი დამწუხრებული, შეშინებული და იმედგაცრუებულია. მისი თანამგზავრნი ხდებიან მარ-

ტოობა, ტანჯვა და არსებობის აბსურდულობის შეგრძნება.

მაგრამ მხოლოდ ომები და ბუნებრივი უბედურებები არ აგებენ პასუხს ადამიანის დაცემაზე, რომელშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ასევე მეცნიერებათა განვითარება. ადამიანურ რწმენათა გაძლიერების ნაცვლად, მეცნიერებამ ისინი დაამსხვრია. კვლევა-ძიების შედეგად მიღწეულმა წარმატებებმა დაანგრია ის, რაც საუკუნეების მანძილზე ადამიანებს აბსოლუტურ ჭეშმარიტებად მიაჩნდათ.

ამრიგად, ახალი თეატრი არის როგორც ხანგრძლივი თეატრალური ტრადიციის დაგვირგვინება, მრავალი ავტორისა და დამდგმელი რეჟისორის ეფექტური და გაცნობიერებული მუშაობის ნაყოფი, ასევე კულტურულ და სოციალურ გარემოებათა შედეგი. მართლაც, ანტიკურობიდან დღემდე არცერთი ესთეტიკა, არცერთი თეატრალური ფორმა არ ყოფილა იზოლირებული ფენომენი. ისინი ყოველთვის მჭიდროდ არიან დაკავშირებული თავიანთ თანადროულ საზოგადოებასთან, მის იდეოლოგიასთან, პოლიტიკასთან, ესთეტიკურ გემოვნებასთან, ზნე-ჩვეულებებთან და სხვ. მოკლედ, ყოველი ესთეტიკისა და თეატრალური ფორმის დაბადება დამოკიდებულია გარკვეული საზოგადოების სუპერ და ინფრა სტრუქტურებთან.

და მაინც, ერთსა და იმავე საზოგადოებაში, ერთი და იმავე სუპერ და ინფრა სტრუქტურულ გარემოში შეიძლება არსებობდეს განსხვავებული იდეოლოგიური, პოლიტიკური, ეკონომიკური, ესთეტიკური, ლიტერატურული და სხვა მიმდინარეობები. სწორედ ამგვარად, საფრანგეთში ომების შედეგად და მხოლოდ თეატრალურ სფეროში შეიძლება შევხვდეთ ერთმანეთისგან განსხვავებულ ამდენ ავტორსა და დამდგმელ რეჟისორს. იმ ავტორებს შორისაც კი, რომლებსაც ერთად აჯგუფებენ, სხვაობა არ არის მინიმალური. ამგვარად, ბეკეტი გამოირჩევა იონესკოსგან, იონესკო-ადამოვისგან და პირიქით.

მიუხედავად იმისა, რომ "ახალ დრამატურგებს" საერთო სახელწოდება აერთიანებს, მათმა შემოქმედებამ დაამტკიცა, რომ ისინი არ ქმნიან თანამედროვე დრამატული მწერლობის ერთფეროვან მიმართულებასა თუ სკოლას. "ახალი თეატრის" თითოეული ავტორი - ეს არის მარტოსული ინდივიდი, იზოლირებული და ჩაკეტილი საკუთარ სამყაროში. თითოეულ მათგანს აქვს ფორმასა და საგანთან მიდგომის თავისებური მანერა, საკუთარი, გამორჩეული ფესვები და ფორმაცია.

და მაინც, მათ მრავალი რამ აქვთ საერთო, რადგან მათი შემოქმედება ასახავს თანამედროვეთა დიდი ნაწილის ფიქრსა და ემოციებს, წუხილსა და საზრუნავს. მათი საერთო დამახასიათებელი თვისებებიდან შეგვიძლია გამოვყოთ: დეკორაციის შემცირება, პერსონაჟთა გაუპიროვნება მათი სოციალური სტატუსისა და სახელის განსაზღვრის გარეშე, პანტომიმიდან თუ ცირკიდან გამოსული თოჯინების, მარიონეტებისა და ჯამბაზების წარმოდგენა სცენაზე, დიალოგის მინიმუმამდე დაყვანა, რომლესაც თითოეული სხვადასხვაგვარად იყენებს. ახალი დრამატურგები სიტყვებს მნიშვნელობას უკარგავენ, საუბარს აცალკევებენ ჟესტებისაგან, დიალოგს - სიტუაციისგან. წინა პლანზე გამოდის პაროდია, სატირა, ირონია. მოქმედება, რომელსაც პერსონაჟები კი არ ასრულებენ, არამედ განიცდიან, სცენიდან უჩინარდება. პიესა ემყარება უცვლელ, უძრავ სიტუაციაში სიტყვათა ბრუნვას ან მოძრავი სიტუაციის შუაგულში პერსონაჟთა დეზინტეგრაციას. მოცემული არ არის თამაშის არავითარი აზრი თუ ინეტრპრეტაცია.

ახალი დრამატურგები არისტოტელესეული, ძველი ესთეტიკისადმი ომის გამოცხადებით ერთხმად კიცხავენ რეალისტურ და ნატურალისტურ ხელოვნებას, რადგან რეალობის ზუსტი მიბაძვა, ან ბუნების კალკირება არ არის ნამდვილი ხელოვანის საქმე. შექმნა არც იმიტირებააა და არც ფოტოგრაფირება. თეატრალური ხელოვნება უნდა იყოს წმინდა და თვითმყოფადი.

"ახალი თეატრი" ავტორის პირადი, შინაგანი სამყაროს ასახვაა. მას არ ძალუძს არც ადამიანურ ურთიერთობათა კონფლიქტის შესწავლა, არც განსხვავებულ ტემპერამენტთა დაპირისპირების ჩვენება, მისი მიზანი არც ამბის თხრობაა სოციალური გაკვეთილისა თუ მორალის წარმოსადგენად. პიესის მოქმედება პოეტურ სურათთა ერთობლიობაა, პოეტური სურათი კი თეატრალური გამოცდილების ბირთვია და არა ილუსტრაცია.

სინთეტური შესწავლის საგანს წარმოადგენს ბეკეტი, იონესკო და ადამოვი - ეს სამი განდევნილი დრამატურგი, რომელთაც აირჩიეს პარიზი და ფრანგული ენა.

დამდგმელი რეჟისორი, როჟე ბლენი, ხაზგასმით აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ "სწორედ კრიტიკოსებმა დაამყარეს შეთანხმება იმ ავტორებს შორის, რომლებიც სრულიად მარტო იყვნენ, მსგავსება, რომელიც არ არსებობდა". აი, რას წერდა ა. ადამოვი 1954 წელს:

"უკვე დიდი ხანია, რაც კრიტიკოსებმა ჩემი გვარი ბეკეტისა და იონესკოს გვარებთან დააკავშირეს. ჩვენ სამივენი წარმოშობით უცხოელები ვიყავით, სამივემ ძველი ბურჟუაზიული თეატრის სიმშვიდე დავარღვიეთ. ცდუნება დიდი იყო, ჩვენც დავნებდით.

ვიცრუებდი, თუ ვიტყოდი, რომ ჩვენმა "სამეულმა" პირველ ხანებში გარკვეული სიამოვნება არ მომანიჭა. ამაოდ ვრჩებოდი ნაჩხუბარი იონესკოსთან, ბეკეტს კი მხოლოდ უიშვიათეს შემთხვევებში ვნახულობდი, მარტო აღარ ვიყავი, მე "ბანდის" ნაწილს შევადგენდი. ჩემი ბავშვური სურვილები დაკმაყოფილებული იყო. მეჩვენებოდა, რომ ამგვარად უფრო ადვილად შევძლებდი გამარჯვებას. მაგრამ თანდათან, "პინგ-პონგის" დაწერით, მე მკაცრად დავიწყე ჩემი პირველი პიესების განსჯა და ძალიან გულწრფელად, იმავე მიზეზით, ვაკრიტიკებდი პიესებს - "გოდოს მოლოდინში" და "სკამები". "ავანგარდში" უკვე ვხედავდი თავის დაძვრენის მარტივ ფანდს, რეალური პრობლემებისგან ყურადღების გადატანას, სიტყვა "აბსურდის თეატრი" უკვე მაღიზიანებდა. აბსურდული კი არ იყო ცხოვრება, არამედ ძალიან რთული. არაფერია ისეთი, რაც არ მოითხოვდეს უზარმაზარ, შეუსაბამო ძალისხმევას" (არტურ ადამოვი: "კაცი და ბავშვი").

მოგვიანებით თითოეულ ამ ავტორთაგანს განსხვავებული გზა უნდა გაევლო: ბეკეტს - დრამის ელემენტების სულ უფრო და უფრო დიდი შემცირებისაკენ, იონესკოს - თავისი დრამატურგიის ჩარჩოსა და თემების გაფართოებისაკენ, ადამოვს - ბრეხტის მიერ შთაგონებული, პოლიტიკური ხასიათის თეატრისაკენ. თითოეულს საკუთარი, განსხვავებული აღიარება ხვდა წილად: ბეკეტი 1969 წელს ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა, იონესკო 1970 წელს საფრანგეთის აკადემიაში აირჩიეს მაშინ, როდესაც ადამოვი ამავე წელს გამოეთხოვა ქვეყანას ისე, რომ არ მოუპოვებია არავითარი საპატიო წოდება. შესაბამისად, პირველი ორისადმი მიძღვნილი გამოკვლევები გაცილებით სჭარბობს ადამოვზე შექმნილ ნაშრომებს.

არტურ ადამოვი, რუსულ-სომხური წარმოშობის ფრანგი დრამატურგი, დაბადებული კავკასი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აში 1908 წელს, განათლებას იღებს ჟენევასა და მაიანსში და 1924 წლიდან მკვიდრდება პარიზში.

ორმოცი წლის ასაკში, სტრინდბერგის შემოქმედების გაცნობის შემდეგ, ადამოვი ინტერესდება თეატრით და იწყებს საკუთარი პიესების შექმნას. მას ამხნევებენ ისეთი გამოჩენილი მწერლები, როგორებიც არიან: ანდრე ჟიდი, ჟაკ პრევერი, რენე შარი.

ჟან ვილარი წერს კიდეც:

"დავსვათ კითხვა: ადამოვი თუ კლოდელი? მე ვპასუხობ: ადამოვი".

არტურ ადამოვი ცნობილი ხდება, როგორც "ახალი თეატრის" ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი. არტოს მეგობარი, სტრინდბერგისა და კაფკას დიდი თაყვანისმცემელი, იგი გერმანული ექსპრესიონიზმითა და ფროიდის შემოქმედებით იკვებება.

საკუთარი შემოქმედების მეორე ტომის (თეატრი II) წინასიტყვაობაში არტურ ადამოვი თავისი პირველი პიესის დაბადებას გვიხსნის: დაინახა რა ქუჩაში უსინათლოსა და ორი ახალგაზრდა ქალიშვილის შეხვედრა, რომლებიც ხედვისა და სიცოცხლის ბედნიერებას უმღერდნენ, მას აზრად მოუვიდა, სცენაზე რაც შეიძლება თვალნათლივ ეჩვენებინა ადამიანური მარტოობა.

"თეატრში თავდაპირველად სწორედ ადამიანთა მარტოობის გრძნობამ მომიყვანა... და ვიფიქრე, თუკი შევკრებდი ყველა ამ ადამიანს, თუკი ვაჩვენებდი არა მხოლოდ ერთი კაცის მარტოობას, არამედ მთელი ჯგუფისას, მივიღებდი რაღაც მეტად სანახაობრივს" (არტურ ადამოვი: "აქ და ახლა").

20-იან წლებში დაწერილი ა. ადამოვის პირველი პიესა იმდენად პატარაა, რომ მხოლოდ 5 წუთს გრძელდება:

"სკამზე დამდგარი გოგონა ხელს ჰკიდებს ასევე სკამზე მდგომ ბიჭს, უშვებს, ისევ ჰკიდებს. განხეთქილების თეატრია უკვე" (არტურ ადამოვი: "კაცი და ბავშვი").

პირველი პერიოდის ადამოვისეული თეატრს შეიძლება "განხეთქილების თეატრი" ვუწოდოთ. თეატრალური შემოქმედების ამ პირველი პერიოდის მანძილზე ("პაროდიიდან" დაწყებული "პინგ-პონგამდე") ადამოვი ცდილობს, დამკვიდრდეს, როგორც "ახალი დრამატურგი".

მისი პირველი პიესები წარმოადგენს ადამიანთა არაკომუნიკაბელობის თემატიკასა და უხილავ, მაგრამ მუდამ არსებულ ფატალურობას. ადამოვი დიდ ადგილს უთმობს სიზმარსა და შემთხვევას, უხილავის დღის სინათლეზე გამოტანას. მის თეატრალურ ტექნიკაში დომინირებს საგნები, სინათლეები, ხმაური და ენა, რომელიც ასევე საგნად აღიქმება.

ყველა ეს პიესა ტრიალებს ერთი ძირითადი სიტუაციის გარშემო, სადაც ანონიმურობამდე დასული ადამიანი კოშმარულ გარემოში განიცდის ადამიანური ყოფის აბსურდულობას. პიესებს მშრალი, დაძაბული დამწერლობა და აკვიატებული, ნევროზული ხასიათი აქვთ.

უკარგავს რა დროსა და ადგილს, სიზუსტეს, პერსონაჟებს - სიღრმეს, ხოლო დიალოგს - კომუნიკაციის ყველანაირ ღირებულებას, ადამოვი თავის პირველ ნაწარმოებებში აღწევს ტრაგიკულ აბსოლუტს, სადაც უსახო და უსახელო პროტოტიპები უმნიშვნელო, მაგრამ სრულ გრძნობებს განიცდიან. პერსონაჟი წინა პლანზეა და სცენა წარმოადგენს მისი ფანტაზმების წმინდა წარმოსახვით სამყაროს.

ეს პიესები, რომლებშიც სიმბოლიზმი იგრძნობა, შემაძრწუნებელი და ბრმა ტირანიის ზეწოლის ქვეშ მყოფი ხალხის, საფრთხით აღსავსე არსებობაზე მეტყველებს, ტირანიისა, რომელიც ხალხს ძარცვავს ("მსვლელობის აზრი"), ასახიჩრებს მათ ("დიდი და პატარა მანევრი"), დევნის და კლავს ხეიბრებს ("ყველა ყველას წინააღმდეგ"); ტერორი ჩანს იმ ტექსტებშიც კი, სადაც იგი ნაკლებად შემაძრწუნებელია ("პაროდია", "პროფესორი ტარანი", "დაპყრობა").

1954 წელს დაწერილი "პინგ-პონგი" და 1955 წელს დასრულებული "პაოლო პაოლო" შემობრუნებაა არტურ ადამოვის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში. იგი ორიენტაციას იღებს პოლიტიკური და სოციალური ვალდებულებებისკენ და, ბრეხტის გავლენით, სურს თავის ნაწარმოებებში აჩვენოს ცოცხალი ისტორია.

არტურ ადამოვი უკვე ეჭვის თვალით უყურებს დამწერლობის საკუთარ კონცეფციას და, შორდება რა თავდაპირველ განწყობას, აცხადებს, რომ მისი პირველი პიესები მეტაფიზიკური და არარეალურია.

"... თანდათან, "პინგ-პონგის" დაწერით, მკაცრად დავიწყე ჩემი პირველი პიესების გაკრიტიკება... "ავანგარდში" უკვე რეალური პრობლემებისგან ყურადღების გადატანის, თავის დაძვრენის მარტივ ფანდს ვხედავდი..." (არტურ ადამოვი: "კაცი და ბავშვი").

პოლიტიკით დაინტერესების შემდეგ არტურ ადამოვი ხელახლა შემობრუნდა ფსიქოლოგიის მისტერიული სამყაროსაკენ. დაუბრუნდა რა თავისი შემოქმედების პირველ პერიოდს ისე, რომ არ უარყო მეორე პერიოდის პოლიტიკურ-სოციალური მნიშვნელობა, მან თავის უკანასკნელ ნაწარმოებებში სიზმრისეული და პოლიტიკური თეატრის შერწყმას მიაღწია.

არტურ ადამოვი ცდილობდა, შეექმნა ცოცხალი თეატრი. იგი მკაცრად გმობდა ძველ თეატრს და სურდა, წმინდა ლიტერატურული და ხელოვნურად შექმნილი ფსიქოლოგიური ენა ცოცხალი ენით შეეცვალა.

თეატრი, რომელსაც ადამოვი ქადაგებს, ეს არის "თეატრი, სადაც ჟესტებს, ქცევებს, სხეულის საკუთარ ცხოვრებას უფლება აქვთ განთავისუფლდნენ ენის პირობითობისაგან, გასცდნენ ფსიქოლოგიურ პირობითობებსაც, ერთი სიტყვით, ბოლომდე ჩასწვდნენ თავიანთ ღრმა მნიშვნელობას" (არტურ ადამოვი: "აქ და ახლა").

არტურ ადამოვის აზრით, თეატრი მხოლოდ ერთ რომელიმე იდეოლოგიას აღარ უნდა ემსახურებოდეს, ამიერიდან იგი უნდა იყოს "ადგილი, სადაც ხილული და უხილავი სამყაროები ეხება და ეჯახება ერთმანეთს" (არტურ ადამოვი: "აქ და ახლა").

ამრიგად, ცოცხალი თეატრის ფუნქციაა, ხილული გახადოს ის, რაც უხილავია და ხაზი გაუსვას იმას, რაც შეიძლება კლასიკურ თეატრში უყურადღებოდ დარჩეს.

კლასიკურ დრამატურგიასთან შედარებით, ბერნარ დორი სამ უარყოფას ხედავს ადამოვისეულ თეატრში:

1. "კონფლიქტის, როგორც მოქმედების მამოძრავებელი ძალის, უარყოფა";

2. "გარე და შიდა სამყაროებს შორის ტრადიციული განსხვავების უარყოფა";

3. "უარყოფა, რომელიც ეხება პერსონაჟთა პირადობას" ("ადამოვის კითხვა").

ეს სიტყვები ადასტურებს, რომ ტრადიციულ თეატრსა და ადამოვისეულ თეატრს შორის განხეთქილება რადიკალურია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ელენე ქურდაძე

# ბილიკები და საფეხურები

ზღაპრის გმირი მუდმივად ეძებს ჯადოსნურ ნივთს. ძიების გზაზე მას მრავალი დაბრკოლების გადალახვა უხდება, რომელთაგან ყველაზე რთული ნივთის მცველი გველეშაპის დამარცხებაა.

ძველ ზღაპრებში და მითებში მოცემული მსგავსი სიუჟეტები, ხშირ შემთხვევაში, უძველესი რელიგიის ფარული არსის სახალხოდ გამოტანილ, გამარტივებულ, მაგრამ მაინც შენიღბულ, დაშიფრულ მხარეს წარმოადგენს. ამ სიუჟეტებში ნახსენები ჯადოსნური ნივთი, სინამდვილეში უძველესი, უკვე დაკარგული რელიგიის საიდუმლო ინფორმაციის შემცველი მაგიური რელიქვიაა, ამ ნივთის ძიების გზაზე გველეშაპის დამარცხება კი უძველესი მისტერიების მთავარი მოტივი. ეს რელიქვია ასევე შეიძლება დაკარგული სამოთხის ბაღთანაც გავაიგივოთ, რომლის დასაბრუნებლად არსებული უამრავი წინააღმდეგობა ძველ სამყაროში ლაბირინთის სახით ვლინდება. "ფსიქოლოგიური აზრით ლაბირინთი "ცენტრის" ძიების გამოხატულებაა და დაუმთავრებელი მანდალას ფორმას მოგვაგონებს." (2) ლაბირინთის მშვიდობიანად გავლა და გველეშაპის დამარცხება გარკვეული ცოდნის შეძენას და ამ ცოდნის საშუალებით სიბნელის, უმეცრების დამარცხებას ნიშნავს, ოღონდ ეს ის ცოდნაა, რომელიც ბრძოლის, ტანჯვის ფასად მოიპოვება. იგი გამარჯვებულთა ჯილდოა.

"ლაბირინთი შეიძლება ჩაითვალოს დიადი სამუშაოს სიმბოლოდ, რომლის მიმდინარეობის პროცესში უხეში მატერია გარდაიქმნება შინაგან შუქად, ოქროს სიბრძნედ, ჭეშმარიტ ფილოსოფიურ ქვად" (3). გოთიკურ ტაძრებში ხშირად გვხვდება იატაკზე დახაზული ლაბირინთები. დანიელ გოტიეს აზრით, ეს ლაბირინთები, ისევე როგორც ტაძრის მახლობლად განლაგებული წმინდა ჭები, ალქიმიურ სიმბოლიკას ატარებს. "საინტერესოა ის ფაქტი, რომ შარტრის ტაძრის გიგანტური ლაბირინთის ცენტრში მოთავსებულ ბრინჯაოს ფირფიტაზე თეზევსის, არიადნეს და მინოტავრის გამოსახულებებია ამოტვიფრული. ქრისტიანულ ტაძარში თითქოს უცნაურია წარმართი გმირების გამოსახვა, მაგრამ თავად მითი მეტად მნიშვნელოვანია, როგორც ჰერმეტიკოსებისთვის, ასევე ქრისტიანებისთვის, რადგან სიბრძნის წმინდა ძაფს (ქრისტე, კვადრივი, ხელდასხმა) გადაცემულს დედა ქალწულის მიერ (არიადნე, ეკლესია, მარია-სოფია) ჭეშმარიტად მორწმუნე განდობილისათვის (თეზევსი, კულტმსახური, ფილოსოფოსი) შეუძლია მისი მიყვანა ირაციონალურ, ყოვლის შთანთქმელ ცხოველურ (მინოტავრი, ცოდვა, უმეცრება) ბუნებაზე გამარჯვებასთან".

თავიდან შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, რომ თეზევსიც და მინოტავრიც პოსეიდონის შვილები არიან, მაგრამ ფსიქოლოგიურად თეზევსი არა ძმას, არამედ საკუთარ თავს, თავის მეორე, ცხოველურ ნაწილს ამარცხებს ლაბირინთში, რაც უძველესი ხელდასხმის მისტერიების ფილოსოფიური არსის გამოხატულებაა, და თუკი ეს მისტერიები ანტიკურ ხანაში გარკვეულ დღესასწაულებზე ეწყობოდა, ქრისტიანობისთვის უკვე ყოველდღიურ მოვლენად იქცა.

მისტერიების საშუალებით ადამიანს ეძლეოდა შანსი საკუთარ თავში ჩაბუდებული, ყველაზე ძნელად მოსარევი გველეშაპის - ეგოცენტრიზმის, შიშის, პირადი ამბიციების, ფიზიკური ვნებების დამარცხების გზით მატერიალური ყოფიდან ღვთაებრივ სიმაღლემდე ასულიყო, ანუ ცოდვის შედეგად დაცემული, კვლავ ღმერთს დამსგავსებოდა. ეს ბრძოლა ქრისტიანობის მთავარი იდეაა და ამ პოზიციიდან გამომდინარე ადამიანი განიხილება როგორც მარადიული მეომარი.

ამ მოვლენას ეხმიანება უძველესი საგმირო ეპოსი, ხოლო ქრისტიანულ ტრადიციაში წმ. გრაალის ძიება, რაც საკუთარ თავში ღვთაებრივი საწყისის ძიებას განასახიერებს რადგან "გრაალი ერთადერთია, რაც გადარჩა ყოფილი სამოთხიდან". (1).

"დიდი ხანია მიმდინარეობს კამათი, გრაალი თასია თუ თეფში" (1), მაგრამ რადგან გრაალი შუბთან ერთად იხსენიება და მეომრის (რაინდის) დაკარგულ ატრიბუტს წარმოადგენს, უფრო სავარაუდოა, რომ იგი თეფში ანუ ფარი იყოს.

"გრაალი თავის სიმბოლიკით ქალურ, პასიურ საწყისთან არის დაკავშირებული, რომელიც სულიერების დაბადების განცდას ასხივებს" (2), ამიტომაც ზღაპრებში, ხშირად, ჯადოსნურ ნივთს ლამაზი ქალის ძიება ჩაენაცვლება ხოლმე.

"წმ. გრაალი არის ჭურჭელი, რომელშიც სამყაროს სიცოცხლე ასხია. ამდენად იგი დიდი დედის, ბუნების სხეულის ნიშანს ატარებს. ქრისტიანისთვის კი, რომლის მისტიური რწმენაც განსაკუთრებით ემყარება სიყვარულის განცდას, გრაალი განასახიერებს გულს, სადაც უწყვეტად ბრუნავს მარადიული ცხოვრების მორევი. გრაალი ასევე შეიძლება იყოს ხორბლის მარცვალი, რომელიც უძველეს მისტერიებში ჩასახვის და აღდგომის ემბლემად გამოიყენებოდა, და თუ მისი თასისმაგვარი ფორმა ყვავილიდან მომდინარეობს, ეს ყვავილი ადამიანში სულიერი აღორძინების დამბადებელი ბუნებრივი ძალების განსახიერებად შეიძლება ჩაითვალოს" (1).

თუკი გრაალი სიმბოლურად მართლაც ბუნების სხეულს, გულს, ფარს, მარცვალს განასახიერებს, აუცილებლად უნდა უკავშირდებოდეს მისტიური დამწერლობის აღმნიშვნელ "კვრბს" ანუ ოქროს საწმისს, რომელიც "შუაგულს", "ცენტრს", გულს გამოხატავს, ფარივით მრგვალ საგანს წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რმოადგენს, ბუნების - დედამიწის სხეულს (თიხას, ქვას, ლითონს) განასახიერებს და მარცვალივით მეორედ მოსვლის, აღმოცენების ინფორმაციას შეიცავს. თითქოს ამასვე ადასტურებს მისი ეტიმოლოგიაც: ბერძ. Krater დიდი ჭურჭელი წყლის და ღვინის გასაზავებლად. ასევე აღნიშვნის ღირსია დასახელება იმ იდუმალი ციხისა, სადაც თითქოსდა გრაალი ინახება: "კორბენიკი" ან "კარბონიკი".

სითხის ჩასასხმელი ტყავის ჭურჭლის საინტერესო ტერმინისთვის მოუკვლევია თ. გამყრელიძეს "gursanum", იგივე მნიშვნელობით უგარიტულად "Krsn", რაც თითქოს წააგავს საწმისის ბერძნულ სახელს, ნასესხებს ხეთურიდან "Kursa". ყველა ამ ტერმინში ფიგურირებს ფუძე Kr, Kur, რომელსაც მოგვიანებით ჩაენაცვლება gr, gur.

ძველი ტრადიციისთვის არ არის უცხო ტყავის გამოყენება ღვინის ჩასასხმელად, მაგრამ ისევე როგორც "ოქროს საწმისი" მხოლოდ სიმბოლურად არის ტყავის (შესაძლოა იგი ტყავში ინახებოდა), გრაალიც სინამდვილეში ქვაზე, ლითონზე ან თიხაზე დაფიქსირებული ტექსტი უნდა იყოს, ხოლო ლეგენდაში მოცემული მწვანე ფერი, თითქოს გრაალის თასი ზურმუხტისგან არის გამოთლილი, სინამდვილეში დედამიწის საფარველი მცენარეულობის, მისი "ტყავის" ფერია, რაც ასევე წითელსაც გულისხმობს (მწვანე საგანი ფოტოფირზე წითლად ჩანს) და სიმბოლურად ადამს, მარსს, ღვინოს, ცეცხლს - დედამიწიდან მცენარესავით ცისკენ სწრაფვას გამოხატავს. არქიტექტურაში ამ მოვლენას მთა-პირამიდა ასახავს. ამ ტერმინის ფუძედ მიჩნეულია ბერძნული სიტყვა "pur" - ცეცხლი. ეგვიპტეში კი, როგორც ვარაუდობენ, სწორედ პირამიდები იყო მისტერიების ჩასატარებელი ადგილი, თითქოს შიგვე იყო მოწყობილი ლაბირინთიც და რადგანაც პირველი პირამიდის აგების ტრადიციას ატლანტიდელებს მიაწერენ, ცეცხლის ანუ მზის რელიგიის დაბადების ადგილსაც მკვლევარები იქვე გულისხმობენ (ჩვენთვის ამ მოვლენებში გარკვევა იმითაც არის საინტერესო, რომ მზიური ღვთაების ანუ ეზოთერული ცოდნის დაბადების ადგილად კოლხეთი მივიჩნიეთ).

თანამედროვე მეცნიერთა უმრავლესობა ატლანტიდის მითს განიხილავს როგორც ისტორიულ, ასევე ალეგორიულ მოვლენას. ზოგი მას დაკარგულ სამოთხესთან აიგივებს, ბევრს კი მიაჩნია, რომ ეს ისტორია ფარავს უდიდეს ფილოსოფიურ მისტერიას. "ატლანტიდის კუნძულის ცენტრში აღმართული მთა ბევრი ხალხის მითოლოგიიდან ცნობილი სამყაროს ღერძი, წმინდა მთაა, რომლის წვერზე ღმერთების ტაძარი დგას. იგი მოგვაგონებს ოლიმპოს, ასგარდთან, მერუსთან დაკავშირებულ მითებს" (1).

საინტერესოა ძველინდურ მითოლოგიაში ცნობილი სამყაროს ღერძის, ოქროს მთის - მერუს ძველი დასახელება "სუმბერი", "სუმერუ" (მონღოლურ მითებში "სემბერი"). ეს სახელები მეტად უახლოვდება შუმერთა სახელს "სუმერი" და ხურიტული ტომების სახელს "სუბარი", საიდანაც თითქოსდა წარმოსდგა ტერმინი "იბერი".

პლატონის მონათხრობის მიხედვით, ატლანტიდის დედაქალაქი ხელოვნურ კუნძულზე მდებარეობდა (გავიხსენოთ ცნობები, რომელთა თანახმად აიეტის დედაქალაქი და ოქროს საწმისი კუნძულ აიაზე მდებარეობდა, ზოგი ვერსიით ქალაქს კირკეუმი ერქვა, რაც ბერძნულად წრიულს ნიშნავს. ასევე ის ფაქტი, რომ აიეტი მზის შვილად არის ცნობილი). კუნძულს იდეალური, ფარგლით შემოვლებული წრის ფორმა ჰქონდა. მას წყლის სამი და ხმელეთის ორი რგოლი გამოყოფდა მატერიკისგან, ხოლო გრძელი არხით ზღვას უერთდებოდა. რგოლები, თორმეტი ხიდის მეშვეობით, ჯვრის ფორმით ოთხად იყო გაყოფილი, რაც გეგმაში წრეში ჩახატულ ჯვარს გვაძლევს და ზუსტად ემთხვევა, როგორც კვრბის კომპოზიციას, ასევე ფესტოს დისკოს რიცხობრივ დაყოფას, არის კიდეც მოსაზრება, თითქოს "ფესტოს დისკო ატლანტიდის დამწერლობის ნიმუშია". (4).

კუნძული რომ ნამდვილად კვრბს, საკრალური ქორწინების პირველ ადგილს წარმოადგენს, ამას თავად ტექსტი ადასტურებს: როდესაც ღმერთებმა კენჭისყრით დაინაწილეს მთელი დედამიწა, პოსეიდონს წილად ატლანტიდა ერგო, რომელზეც სამი ადამიანისმაგვარი არსება ცხოვრობდა - ევენოსი, მისი ცოლი ლევკიპა და ქალიშვილი კლეიტო. გოგონა ძალიან ლამაზი იყო, პოსეიდონს შეუყვარდა და ცოლად შეირთო. მათ ეყოლათ ხუთი ტყუპი ვაჟი. მამამ ათივეს დაუნაწილა მიწები, ხოლო უფროსი ატლასი მათ მმართველად დააყენა, კუნძულს კი მის საპატივცემულოდ ატლანტიდა უწოდა.

პითაგორელთა თანახმად, რიცხვი ათი უდიადესი რიცხვია (ამ რიცხვის საკრალურობაზე მიუთითებს ათი მცნების რაოდენობა). იგი მოიცავს ყველა არითმეტიკულ და ჰარმონიულ პროპორციებს. რიცხვები ერთიდან ათამდე განაგებენ სამყაროს, თავის მხრივ კი ამ რიცხვებს მართავს მონადა-მთავარი მათ შორის. მკვლევარების აზრით, პოსეიდონის ათი ვაჟი განასახიერებს ტეტრაქტისს (ათი წერტილი) რიცხვს, რომელიც ხუთი ურთიერთსაპირისპირო წყვილისაგან შედგება. აღსანიშნავია ისიც, რომ ლათინურში (ასევე ჩინურში და იაპონურში) ეს რიცხვი დახრილი ჯვრის სახით გვხვდება. შუამდინარეთში რიცხვი ათი მარდუქის ციფრად იყო მიჩნეული, ხოლო მისი მამა პოსეიდონივით თევზკაცი ენკია.

ტექსტში მოცემული მთავარი სიმბოლოების, წყლის და მიწის, სამ-სამი რგოლი ზეციური ღვთაების და მიწიერი არსების სამსახოვნებას განასახიერებს. სამი ერთმანეთში ჩახატული წრე, როგორც მზის, შესაძლოა ოქროს აღმნიშვნელი ნიშანი, უძველეს ქართულ არქეოლოგიურ მასალებში ხშირად გვხვდება, ხოლო ალქიმიური სიმბოლიკით წრე ცენტრით-ოქროს გამოხატავს, ანუ შეიძლება ითქვას, რომ ატლანტიდის წრიული კუნძული შუაში ღმერთის ტაძრით, სიმბოლურად ოქროს, მზის კუნძულია.

სამი წრე იგივე სამკუთხედია, ხოლო წყლის და მიწის ორი სამკუთხედის შეერთებით მიიღება ჰექსადა-ექვსქიმიანი ვარსკვლავი, რაც ძველ კულტურებში ფართოდ გავრცელებული ნიშანი იყო, ტრადიციული ახსნა მასში გულისხმობს "სველის" და "მშრალის", წყლის და ცეცხლის, ქალური და მამაკაცური სიმბოლოების (საწყისის) მისტიურ კავშირს, მაგრამ ასევე შეიძლება ვიგულისხმოთ წყალი და ღვინო, ღვთაებრივი და ადამიანური კავშირი, მოთავსებული წრიულ ჭურჭელში, რაც კუნძულის სიმბოლიკას გრაალის თასთან (ქრისტეს ორბუნებოვან სახესთან) აახლოვებს. "კლიმენტი ალექსანდრიელის ცნობით, პითაგორელები, ძველ მისტერიებზე დაყრდნობით მიიჩნევდნენ, რომ ჰე-

ქსადა წარმოადგენს სამყაროს შესაქმეს. იგი ასევე ქორწინების სიმბოლოა". (1) ებრაულ ტრადიციაში ექვსქიმიანი ვარსკვლავი ცნობილია, როგორც "სოლომონის ბეჭედი" და "დავითის ფარი".

მაგრამ ატლანტიდა ასევე თიხის ანუ ადამის კუნძულია, ხოლო როგორც ვარსკვლავი - იშთარის ქვეყანა. მათ ორივეს გადაფარავს მეორე ადამი და იტყვის: "მე ვარ ცისკრის კაშკაშა ვარსკვლავი".

მკვლევარების მიერ ატლანტიდის დედაქალაქის "ახალი იერუსალიმის" არქეტიპად მიჩნევა, მას მეორედ მოსვლის საიდუმლოსთან აახლოვებს.

პლატონის გადმოცემით, ატლასის შთამომავლობამ თავისი ბრძნული მმართველობით ქვეყანა განვითარების უმაღლეს საფეხურზე აიყვანა, რასაც ხელს უწყობდა ბუნებრივი რესურსების სიმდიდრე და ზომიერი ნახევრადტროპიკული ჰავა. ატლანტიდელები აშენებდნენ სასახლეებს, ტაძრებს, დასასვენებელ ბაღებს, გიმნასიებს. მათ ჰქონდათ აბანოები და იპოდრომი. ჭალებში და ბაღებში ცივი და ცხელი წყალი ამოდიოდა, რომელსაც სამკურნალო თვისებები ჰქონდა. მოსახლეობა აშინაურებდა პირუტყვს, წელიწადში ორ მოსავალს იღებდა. ზამთარი წვიმიანი იყო, ზაფხულში კი მიწებს არხების საშუალებით რწყავდნენ, რომლებიც ქვეყნის სხვადასხვა მხარეს ერთმანეთთან აერთებდა. მრავლად იყო ხიდები და ჯებირები. ზღვიდან ცოტა მოშორებით ულამაზესი მაღალი მთები მოჩანდა, რომლებიც ქვეყანას ჩრდილოეთის ქარისგან იცავდა.

ატლანტიდელები ძალიან კარგი მეომრები იყვნენ. ყველა მეფე აკონტროლებდა თავის მხარეს, მათი ურთიერთდამოკიდებულება განისაზღვრებოდა სვეტზე ამოკვეთილი კოდექსით, რომელიც პოსეიდონის სასახლეში იყო აღმართული. პოსეიდონის წმინდა ჭალაში გაშვებული იყო ხარები (შევადაროთ აიეტს, რომელსაც არესის ჭალაში გაშვებული ყავდა სპილენძისფეხებიანი ხარები). გარკვეულ დღესასწაულზე ხარებიდან ერთ-ერთს, რომელსაც მეფეები თავად დაიჭერდნენ (პარალელი კორიდასთან), მიიყვანდნენ სვეტთან და ისე დაკლავდნენ წვერზე, რომ სისხლი წარწერებზე ჩამოღვრილიყო. ეს ცნობა ატლანტიდელთა დამწერლობას, დამწერლობა კვრბების მსგავსად, ხარის კულტთან ანათესავებს. საინტერესო ფაქტია ისიც, რომ სოლონის კანონები, ვისაც თითქოსდა ატლანტიდის ამბავი ეგვიპტეში ქურუმებისგან მოუსმენია, კვრბებზე ეწერა. კვრბები კი როგორც დამწერლობა სვეტებს უკავშირდებოდა.

მეფეების მთავარი კანონი იყო, ხელი არ აღემართათ ერთმანეთზე და საფრთხის შემთხვევაში ყველანი ერთმანეთს დახმარებოდნენ. ისინი დიდხანს ცხოვრობდნენ ბედნიერად, მაგრამ საკუთარმა დიდებამ და ძლიერებამ ბოლოს ჭეშმარიტების და სიბრძნის გზას გადააცდინა, ცრუ ამბიციებით შეპყრობილებს გაუჩნდათ სურვილი მსოფლიოს დაპყრობისა. ზევსმა განრისხებულმა მათი დაცემით, გადაწყვიტა ისინი დაესაჯა, რათა გამოფხიზლებულიყვნენ და ჭკუა ესწავლათ.

"ძალიან მალე მოხდა საშინელი მიწისძვრა, რასაც მოყვა წყალდიდობა. ერთი დღე-ღამის განმავლობაში გადაუღებლად წვიმის შემდეგ მთელი არმია ჩაიხრჩო მიწაში და ატლანტიდის კუნძული გაქრა, დაიძირა ზღვის ფსკერზე. ზღვა კი იმ ადგილას გაუვალი გახდა დიდი რაოდენობით ტალახის გამო, რაც ჩაძირულმა კუნძულმა წარმოშვა."

რასაკვირველია ატლანტიდის მითში სამოთხის ამბავია გადმოცემული. ატლანტიდა მაღალგანვითარებული ხალხის ქვეყანაა. მათ აქვთ ყველა სიკეთე, რადგან ფლობენ კოსმოსიდან მომდინარე განსაკუთრებულ ცოდნას, რომელიც დედამიწაზე ზოგადსაკაცობრიო წესრიგის, ადამიანის კეთილდღეობის, სამყაროში კოსმიური ჰარმონიის შესანარჩუნებლად არის გამიზნული, ანუ ღმერთისაგან წამოსული ცოდნა ღმერთის საქმეს უნდა მოხმარდეს, მაგრამ ადამიანი, რომელიც ივიწყებს ამ იდეას, შორდება ღვთაებრივ საწყისს, რის შედეგადაც მისი ცნობიერება იძირება მატერიალურ ყოფიერებაში, მომაკვდინებელ უმეცრებაში. იგი იწყებს კოსმიური ცოდნის პირადი მიზნების, ამბიციების, ფიზიკური ვნებების დასაკმაყოფილებლად გამოყენებას, რაც ბიბლიაში ნაყოფის "ჭამის" სახით გვხვდება, ანუ სიცოცხლის ხის ნაყოფი - მისტიური საზრდო - კუჭით შეიმეცნება, ფიზიკური სურვილის დაკმაყოფილებას ხმარდება, რაც სამოთხეში სიშიშვლის მატერიალური მხარის დანახვაშიც ვლინდება. ეს მოვლენა ბადებს შიშის განცდას და სიცრუის, როგორც თავის დახსნის საშუალების ილუზიას. ადამიანიც უკვე ამ გზით იწყებს სიარულს და "განვითარებას", ამიტომაც მისი ინტუიცია სუსტდება, ჩლუნგდება. იგი ველარ აკონტროლებს სამყაროში მიმდინარე პროცესებს, ველარ გრძნობს მოსალოდნელ გლობალურ ცვლილებებს, რომლებიც იწვევენ კატასტროფას. ამიტომაც ისინი "ჭამდნენ, სვამდნენ, ცოლს ირთავდნენ და თხოვდებოდნენ იმ დღემდე, ვიდრე ნოე კიდობანში შევიდოდა, და არ იცოდნენ, ვიდრე წარღვნა მოვიდოდა და ყველას წალეკავდა, - ასევე იქნება კაცის ძის მოსვლაც" (მათე 24, 37-39)

"ამიტომ ფხიზლად იყავით, რადგან არ იცით როდის მოვა სახლის პატრონი - სალამოთი თუ შუაღამისას, მამლის ყივილზე თუ გამთენიისას" (მარკოზი 14. 33).

ბუნებრივია, ყველას უჩნდება კითხვა, გადარჩა თუ არა კატასტროფის დროს ატლანტიდის ფილოსოფიური, რელიგიური და მეცნიერული ცოდნა, რომელსაც ფლობდნენ ქურუმები. არის ცნობები, რის მიხედვითაც, უძველესი ხელნაწერები, რომლებიც კაცობრიობის წარღვნამდელ ისტორიას ასახავს, დამალულია საიდუმლო საცავებში, პირამიდების ქვეშ.

არაბი მეცნიერი იბნ ბატუტა მე-16 ს. წერდა: პირამიდები აგებულია ჰერმესის მიერ, რათა გადაერჩინათ მეცნიერების და ხელოვნების მიღწევები წარღვნის დროსო.

რომაელი ისტორიკოსი მარცელიუსი ახსენებს ეგვიპტელი ქურუმების მიერ გადამალულ უძველეს ჩანაწერებს: "იქ (ეგვიპტეში) არის მიწისქვეშა დაგრეხილი დერეფნები და ჩიხები, სხვადასხვა ადგილებში რომ ააშენეს ბრძენმა ქურუმებმა, რომლებმაც იწინასწარმეტყველეს წარღვნა. ამის საშუალებით ისინი ცდილობდნენ გადაერჩინათ საიდუმლო რიტუალები".

ბევრი თვლის, რომ ატლანტიდელებისგან კაცობრიობამ შეითვისა არა მარტო ხელოვნება და ხელობა, ფილოსოფია და მეცნიერება, რელიგია და ეთიკა, არამედ სიძულვილი, დაპირისპირება და გარყვნილება. მაგრამ მეცნიერები იმასაც ვარაუდობენ, რომ ბევრი ხალხის მითებიდან ცნობილი ღმერთები, რომლებმაც ადამიანები ცივი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიზაციას აზიარეს ატლანტიდიდან მოსული ქურუმები იყვნენ. "ინდიელთა შამანები ყვებიან წმინდა ხალხზე, წყლიდან მოსულებზე, რომლებმაც ადამიანებს ასწავლეს სხვადასხვა ხელობა და მეცნიერება. შუამდინარული მითები მოგვითხრობენ წყლიდან ამოსულ თევზ-კაცებზე, რომლებმაც გაავრცელეს საკაცობრიო ცივილიზაცია. მაიას ტომებში ღმერთი - გადამრჩენი, კეცალკოატლი, მოვიდა ზღვიდან, ასწავლა ადამიანებს ყველაფერი, რაც საჭირო იყო კულტურული ცხოვრებისთვის და შემდეგ კვლავ წყალში გაუჩინარდა. ხომ არ იყვნენ ეს ნახევრად ღმერთები მითიური საუკუნის ატლანტიდიდან მოსული ქურუმები? პრიმიტიულ ტომებს მათ შესახებ ყველაზე მეტად დაამახსოვრდათ ოქროს ტანსაცმლის ბრწყინვალება, მათი სიბრძნის უპირატესობა და სიმბოლოების - ჯვრის და გველის - სიწმინდე. ყველგან, სადაც კი ატლანტიდელები ადგილობრივ მოსახლეობას მოაქცევდნენ თავის რწმენაზე, შენდებოდა პირამიდები და ტაძრები, მსგავსი "ოქროს ჭიშკრის ქალაქის" ტაძრისა. ასეთია ეგვიპტის, მექსიკის, ცენტრალური ამერიკის პირამიდების წარმოშობის ისტორია. ნორმანდიის და ბრიტანეთის სამარხი ყორღანები, მსგავსი ამერიკელი ინდიელების ხელოვნური ნაყარი მთებისა, ერთი კულტურის ნაშთია."(1)

მსოფლიო კოლონიზაციის და "მოქცევის" პროგრამის აპოგეაში მოხდა კატასტროფა, რომელმაც ჩაყლაპა ატლანტიდა. "წმინდა ფრთის ინიცირებული" ქურუმები, რომლებიც დაპირდნენ ხალხს, რომ კვლავ მოვიდოდნენ, უკან აღარ დაბრუნებულან და მრავალი საუკუნის გასვლის შემდეგ დარჩა ფანტასტიკური მოგონებები ღმერთებზე, რომლებიც გამოვიდნენ იმ ადგილიდან, სადაც ახლა წყალია. (1)

პლატონი აღწერს თეთრ, შავ და წითელ ქვებს, რომლითაც ატლანტიდელები აშენებდნენ შენობებს. ეს ის ფერებია, რა ფერებშიც შუმერული ზიქურატები ილებებოდა და რადგანაც იგი თევზკაცის სხეულს გამოხატავდა, ხოლო ატლანტიდელთა მთავარი ღვთაება და უშუალო წინაპარი ასევე თევზ-კაცი იყო, ჩვენ საერთო კულტურულ ტრადიციასთან გვაქვს საქმე, ხოლო ორივე ეს ტრადიცია ენათესავება კოლხურ-კავკასიურ ეთნო-რელიგიურ ტრადიციას, რადგან, როგორც ადრეც აღვნიშნავდით, აქაც იკვეთება წყლის და თევზის უძველესი კულტი, ბერძნული ცნობების თანახმად კი კოლხების წინაპრად მდინარის ღმერთია მიჩნეული. ასევე საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ქართულ ბრინჯაოს სარტყელებზე "წყლის ხალხია" გამოსახული, ასეთებად კი ატლანტიდელები და ქართველთა წინაპარი ტომები არიან ცნობილი.

თუკი ატლანტიდა მართლაც ცეცხლზე გამომწვარი მრგვალი თიხა (ცივილიზაციის სიმბოლო, რომელიც მოგვიანებით ისევ ტალახად იქცევა) ანუ კვრბი, მოწესრიგებული მიწის ნაკვეთი, სამოთხის ბაღი, მისტიური ცოდნაა, იგი აუცილებლად უნდა აისახებოდეს ამირანის მითში. ატლანტიდის ისტორია, ისევე როგორც სამოთხის ამბავი, ძალზედ წააგავს ამირანის ამბავს, რომელიც ატლანტიდელთა მსგავსად ამბიციურობის გამოა დასჯილი. ისევე როგორც ამირანი უნდა გათავისუფლდეს, ატლანტიდაც, გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ უნდა ამოვიდეს წყლიდან, როგორც ატლანტიდა, ამირანიც თევზ-კაცის შექმნილია. ამ ორი ამბის ნათესაობა იქიდანაც ჩანს, რომ ბერძნულ მითოლოგიაში ატლასი პრომეთეს ძმაა. ძალზედ საინტერესოდ მეჩვენება ანტიკური ხანის წრიული კომპოზიცია, რომელზეც პრომეთე და ატლასი ერთად არიან გამოსახული. საინტერესო ის არის, რომ პრომეთე მიჯაჭვულია არა მთაზე, არამედ სვეტზე, რომელზეც სფინქსი ზის. რადგან სფინქსი სიმბოლურად ოთხი ელემენტის კავშირს გამოხატავს, რასაც ასევე განასახიერებს კვრბი, გამოდის რომ პრომეთე იმ სვეტზეა მიბმული, რომელზეც კვრბი იდო, ანუ სიმბოლურად კავკასიონი სამყაროს ღერძად არის გააზრებული. ატლასი კი, რომელიც მხრებით ზეცას აკავებს, თავად არის ეს სვეტი, ცის და მიწის შემაერთებელი მთა-პირამიდა, ზიქურატი, მერუ, მუხა - რომელზეც საწმისი იდო.

წრეში მოთავსებული ექვსქიმიანი ვარსკვლავი შუაში ცენტრით, ასევე გაიაზრება როგორც წრეში ჩახატული 7 წერტილი. სწორედ ამ სიმბოლოს ვხვდებით მე-2 ათასწ. ქართულ ბრინჯაოს სარტყელზე. მასზე გამოსახულ მეომარს ხელში უჭირავს ფარისმაგვარი მრგვალი საგანი. ზუსტად იგივე საგანი, როგორც დამწერლობის ნიშანი, ფესტოს დისკოზეც ხატია, ასევე კეცალკოატლისთან დაკავშირებულ ძველ ამერიკულ კომპოზიციებზე.

არქეოლოგი ბ. პიოტროვსკი სიტყვა "ქამარს" ტერმინ "კამარადან" მომდინარედ თვლიდა და აღნიშნავდა ამ ატრიბუტის მეტისმეტ მნიშვნელობას ძველ სამყაროში. ქამრის შეკვრა საკუთარი თავის მაგიურ წრეში მოქცევას გულისხმობდა, რაც საუკეთესო საშუალებად იყო მიჩნეული ყოველგვარი ბოროტებისაგან თავის დასაცავად. ფარსაც იგივე დანიშნულება აქვს და რადგანაც კვრბი-ოქროს საწმისი ფარისმაგვარი საგანი იყო (არა მარტო ფორმით, არამედ თავის ფუნქციით და არსით), იგი პირდაპირ კავშირშია ბრინჯაოს სარტყელებთან და მათზე გამოსახულ კოსმოგონიურ კომპოზიციებთან, ასევე ჩვენში აღმოჩენილ უძველეს გრავირებულ ფირფიტებთან (კარტთან). ეს რომ ნამდვილად ასეა, ამას მოწმობს ის, რომ სარტყელებზეც და "კარტზეც" მხოლოდ ნადირობის სცენებია ამოტვიფრული და იგი რომელიღაც უძველეს "დამცავ" მისტერიას ასახავს.

ადრეც აღვნიშნეთ, რომ ინდოევროპულში სათამაშო ბანქოს აღმნიშვნელი ტერმინი "კარტი" შესაძლოა "კვრბიდან"-მაგიური ნიშნებით დაფარული მყარი მასალის ფირფიტებიდან მომდინარეობს. ევროპაში კარტის გამოჩენასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ზოგი ვერსიით კარტი - ტაროტი იყო ნაწილი იმ მისტიური სიბრძნისა, რომელიც ტამპლიერებმა სირიის ერთ-ერთი საიდუმლო სექტიდან გადმოიღეს. ევროპაში დაბრუნებისთანავე, დევნის თავიდან ასაცილებლად, დაფარეს სიმბოლოების საიდუმლო მნიშვნელობა და თავისი მაგიური წიგნის ფურცლები გასართობ თამაშად აქციეს. სხვა მოსაზრებით, ალექსანდრიაში სერაპისის ტაძრის დანგრევის შემდეგ მრავალრიცხოვანი ქურუმები გაერთიანდნენ, რათა გადაერჩინათ საიდუმლო რიტუალები. მათ შთამომავლებად მიჩნეული არიან ბოშები, რომელთაც თითქოსდა გადაარჩინეს ალექსანდრიის დამწვარი ბიბლიოთეკის ყველაზე ძვირფასი წიგნი - ენოქის წიგნი, ანუ ტოტი (ტაროტი). მოხეტიალე ბოშები, რომლებიც ევროპაში გამოჩნდნენ, ამ ფურცლებს სამკითხაოდ იყენე-

ბდნენ. პ. ქრისტიანი თავის წიგნში "მაგიის ისტორია" ერთ-ერთ ფრანგულ საიდუმლო საზოგადოების ცნობებზე დაყრდნობით წერს, რომ ეგვიპტურ მისტერიებში ინიციაცია მიმდინარეობდა ტაროტის 22 კარტის ფონზე, რომლებიც გიგანტური ზომის იყო. ყოველი კარტის სიმბოლურ მნიშვნელობას ინიციატორი უხსნიდა კანდიდატს. ინიციაციის იგივე პროცედურას აღწერს ე. შიურე ჰერმეტიულ მისტერიებში. ტაროტი, ეჭვს გარეშეა, დიდ როლს თამაშობდა როზენკროიცერების სიმბოლიზმშიც, ხოლო პითაგორელებმა აღმოაჩინეს შეფარდება კარტის ციფრებსა და იმავე კარტის ნახატის სიმბოლოებს შორის. მიჩნეულია, რომ ტაროტს გააჩნია ანალოგია არა მარტო სამყაროს ნაწილებთან, არამედ ადამიანის სხეულის ნაწილებთანაც. იგი ადამიანის მაგიური კონსტიტუციის გასაღებს წარმოადგენს. ტაროტის კარტი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ცალკეული, ასევე თავისთავად სრული იეროგლიფები, რომლებიდანაც თითოეული ბუნების ცალკეული პრინციპს, კანონს, ძალას ან ელემენტს განასახიერებს, ხოლო როგორც ყველა, ელემენტებისაგან შემდგარი სტრუქტურა, ტაროტის კარტიც, ფილოსოფიური სტრუქტურის კომპონენტებია.

სიმბოლური მნიშვნელობების სიმდიდრის თვალსაზრისით, ტაროტის კარტის მსგავსად, სხვა თამაშებთან შედარებით, ჭადრაკი ყველაზე საინტერესოა, რადგან მასაც იგივე პრინციპი უდევს საფუძვლად. თამაში გავრცელებული იყო ჩინეთში და ინდოეთში ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ევროპაში გამოჩნდებოდა. ჭადრაკის დაფა 64 შავ-თეთრი მონაცვლე უჯრით, განასახიერებს იატაკს "მისტერიების სახლში". აზროვნებისა თუ არსებობის ამ ასპარეზზე მოძრაობენ უცნაური ფიგურები, ყოველი თავისი გარკვეული კანონით, და კოსმოსის უსასრულო სივრცეებში თამაშდება ხანგრძლივი ომი სინათლესა და სიბნელეს შორის, და თუ მივიჩნევთ, რომ თეთრი მეფე თავის ამალით განასახიერებს "მე"-ს და მის შესაძლებლობებს, ხოლო შავი - ცრუ ეგოს, ამგვარად თამაში წარმოგვიდგება როგორც ბრძოლა ადამიანის რთული ბუნებისა საკუთარი ჩრდილის წინააღმდეგ.

მკვლევარების აზრით, თანამედროვე სათამაშო კარტი ტაროტის შემცირებული ვარიანტია, მაგრამ ამგვარი შეკვეცილი ფორმითაც კი იგი უდიდეს სიმბოლურ მნიშვნელობას ატარებს, რადგან მათი დაყოფა შეესატყვისება წელიწადის დროების სეზონურ დაყოფას, 12 კოსტიუმირებული კარტი შეესატყვისება ზოდიაქოს ნიშნებს, 13 ყველა მასტიდან არის მთვარის თვეების რაოდენობა წელიწადში, 52 კი კვირა წელიწადში და ა. შ. ეს ცნობები მიუთითებს იმაზე, რომ კარტი სიმბოლურად კოსმიურ ინფორმაციას, ვარსკვლავების და პლანეტების "მოძრაობის" სქემებს შეიცავს, ანუ იდეაში იგი კოსმიურ რუკას განასახიერებს (იგივე კალენდარულ ციფრებს სტოუნხენჯში ვხვდებით).

ადრეც აღვნიშნეთ, რომ ტერმინი "კარტი" შესაძლოა "კვრბიდან" მომდინარეობს. ამასვე ამტკიცებს თანამედროვე კარტის ოთხ მასტად, ანუ ოთხ ელემენტად დაყოფა (რომელთაგან ორი "ცხელია", ორი "ცივი"). ასევე მისი ძირითადი ფერები: თეთრი, შავი, წითელი, სამყაროს ვერტიკალზე დაყოფის, ატლანტიდის, შუმერული ტაძრების ფერები. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს სამი ფერის და ოთხი ელემენტის კავშირთან, რაც საბოლოო ჯამში გვაძლევს ციფრს 7, რომელიც პითაგორული სიმბოლიკით არესის და ოსირისის ციფრად არის მიჩნეული. "ასევე ადამიანის მისტიური ბუნების გამომხატველ ციფრად, შემდგარს სამი სულიერი სხეულისაგან და ოთხი მატერიალური ფორმისაგან, რაც სიმბოლიზირებულია კუბში (კამათელში)". (1)

საქართველოში არქეოლოგებმა ფირფიტებთან ერთად კოჭები და კამათლებიც იპოვეს. "გრავირებული ფირფიტები დედოფლის გორაზე სასახლეში ორ ჯგუფად აღმოჩნდა. ორივე შემთხვევაში ფირფიტებს ახლდა ღორის ფალანგები, პირველ ჯგუფთან 42, მეორესთან 147. კარიბჭესთან ფირფიტები და ფალანგები ეწყო 20x20 სმ ზომის ხის კოლოფში, რომელიც თიხის ოთხი ნახევარსფერული მოყვანილობის ბულით იყო დაბეჭდილი". (5)

საქართველოში კარის დაბეჭდვის ფაქტი (რაც მოვლენის ჰერმეტიზაციაზე მიუთითებს), შენიშნული გვქონდა გიორგობის დღესასწაულზე. ასევე გიორგისთან არის დაკავშირებული ირმის და ხარის კულტი. ჩვენ ისიც აღვნიშნეთ, რომ შესაძლოა, მონადირე და მეომარი გიორგი წყლის უძველესი ღვთაება ყოფილიყო. თითქოს ამ მოვლენებს ეხმიანება ის ფაქტი, რომ ჩვენში აღმოჩენილი "კარტი" ირმის რქისგან არის დამზადებული. ფილოსოფოს დემოკრიტეს გადმოცემით, ირმის რქის მასალა გამკვრივებული, სახეცვლილი სითხეა, რასაც ირმის ორგანიზმი ჭარბად წარმოშობს. ამ მიზეზით შესაძლოა ირმის კულტი და ფირფიტები სინოტივის, ნაყოფიერების მამაკაც ღვთაებასთან დაგვეკავშირებინა, რომელიც ნადირობას, ომს განაგებდა.

ძველ რომში საბრძოლო მოქმედებებში გადაწყვეტილების მისაღებად იყენებდნენ სამკითხაო კამათლებს "ტესერას", რაც კუბიკ-კამათელს და მის წრიულ მოძრაობას "გაგორებას" ომის ღვთაებასთან (მარსთან) აკავშირებს (ძველ დროში საკითხის კენჭისყრით გადაწყვეტა მეტად მიღებული იყო. თავად პლატონის მონათხრობი ატლანტიდაზე იმით იწყება, რომ ღმერთებმა კენჭისყრით დაინაწილეს დედამიწა. ჩვენში სამეკვლეო კვერის შეგორების გზით წინასწარმეტყველებაც ამ მოვლენებს უკავშირდება და მის გაგრძელებად უნდა ჩაითვალოს მონეტის წალმა ან უკულმა დაცემის საშუალებით არჩევანის გაკეთება). კამათელი იგივე კოჭია, კენჭია. კოჭებით თამაშს კი უწოდებენ "ყომარს", რაც არაბულ სიტყვად არის მიჩნეული და ძალზედ უახლოვდება ამირანის მიერ მოტაცებული ქალის სახელს "ყამარი", ასევე "კამარა", "ქამარი" (გომარი). ადრეც ვწერდით, რომ უძველესი მაგიური ნიშნები, ნაპოვნი საფრანგეთის გამოქვაბულში მდინარის კენჭებზეა დახატული. ქართულ ენაში კენჭის ყრას ასევე "წილის ყრაც" ჰქვია. სიტყა "წილს" კი დიდი დატვირთვა აქვს ქართულ ეზოთერულ ტექსტში, სადაც იგი ქართული ანბანის ასოს აღნიშნავს. ეს მოვლენა ქართული დამწერლობის ასოებს ანათესავებს უძველეს მაგიურ ნიშნებთან, ასევე ძველ ევროპაში ცნობილ საკულტო დამწერლობასთან "რუნა", რომლის მეშვეობით მკითხაობის ყველაზე გავრცელებული ფორმა შემდეგში მდგომარეობდა: ქურუმი დასვამდა შეკითხვას, შემდეგ ხელს ჩაყოფდა ტომარაში, რომელშიც 24 რუნა ეყარა და ერთ-ერთს, რომელსაც ამოიღებდა, პასუხად ჩათვლიდა. სიტყვა "რუნას" ეტიმოლოგია გარკვეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი არ არის, სავარაუდოდ მიჩნეულია, რომ ტერმინი აღნიშნავს "საიდუმლოს", მიუხედავად იმისა, რომ ეს სიტყვა რუსულში საწმისს ჰქვია, ამ ორი მოვლენის ნათესაობა არსად მითითებული არ არის, მაგრამ მაინც ჩნდება ვარაუდი, რომ დამწერლობა "რუნა" და კოლხური ოქროს საწმისი რაღაცნაირად უკავშირდებოდა ერთმანეთს. რუნებიც, ისევე როგორც ოქროს საწმისი სიცოცხლის ხის კულტიდან იღებს სათავეს. ნიშანდობლივია ისიც, რომ რუნების აღმომჩენი ოდინის კულტი და მისი მისტერიები, ისტორიული ცნობების თანახმად, ასების ტომის ბელადმა დაახლ. I ს. კავკასიიდან რუსეთის გავლით ევროპაში ჩაიტანა.

ოდინი, იგივე ვოდანი, ვოტანი (ფონეტიკურად მეტად წააგავს ინდოევროპულ ენებში წყლის დასახელებას) ომის და სიბრძნის ღვთაება, განიხილება როგორც შუამავალი ღმერთსა და ადამიანებს შორის, რაც მას ჰერმესთან და ატლასთან, სიცოცხლის ხესთან აახლოვებს. განაგებს და მფარველობს საომარ ინიციაციებს და სამხედრო კავშირებს. მისი ატრიბუტი, როგორც სიმბოლო საომარი სიძლიერისა და სამხედრო მაგიისა არის შუბი. ამ სიმბოლოთი იგი არესსაც ენათესავება, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, გაიგივებულია ჰერმესთან და კვირის დღეებიდან შეესატყვისება ოთხშაბათი, უფრო ზუსტად, გერმანულ და ინგლისურ ენებში ოთხშაბათს მისი სახელი ჰქვია.

რუნების ცოდნის მისაღებად ოდინმა თავი მსხვერპლად შესწირა, საკუთარი შუბით თვალგამოთხრილი ცხრა დღის განმავლობაში სიცოცხლის ხეზე იყო მიჯაჭვული.

რუნები, ანუ მაგიური ნიშნები, ხის ფირფიტებზე ეხატა (ეწერა). ფირფიტები ტყავის ტომარაში ინახებოდა. მისი ნახვის უფლება, ქურუმის გარდა, არავის ჰქონდა. ქურუმები რუნებს, ოდინის მსგავსად, საკუთარი სისხლით აფერადებდნენ. კვლავ გავიხსენოთ მეზოლითის ხანის კენჭები, რომლებზედაც წითლად შეღებილი ნიშნები ეხატა. ოდინის მისტერიები, სხვა ანტიკური მისტერიების მსგავსად, გამოქვაბულში იმართებოდა. კენჭებიც გამოქვაბულშია ნაპოვნი, რაც თითქოს მიანიშნებს ამ მოვლენების საერთო ძირიდან წარმომავლობას. რუნებთან მჭიდრო კავშირში იყო რიტუალური ცეკვები. თითოეულ რუნას ცეკვის გარკვეული მოძრაობა და მუსიკალური ბგერა შეესატყვისებოდა, ასევე გარკვეული პლანეტიდან მომავალი ენერგია.

დედოფლის გორაზე აღმოჩენილ ფირფიტებზე გამოსახული ცხენოსანი მონადირეების პოზა - შუბით ნადირის განგმირვისას, მეტად წააგავს წმ გიორგის საქვეყნოდ ცნობილ კომპოზიციას, მაგრამ თუკი გიორგი გველეშაპს ამარცხებს, ფირფიტებზე გამოსახული მონადირეები ირმებს და ტახს კლავენ. ამ სცენებში, რომლებზედაც სიმბოლურად, უძველესი ხელდასხმის მისტერიის მთავარი იდეაა ასახული, შუბს, ისარს, როგორც ცხოველური, ბნელი მხარის გასანადგურებლად გამოყენებულ იარაღს, მისტიური, კოსმოგონიური ფუნქცია ენიჭება. აქ ჩვენ სიცოცხლის ხის სიმბოლიკის სახეცვლილებასთან გვაქვს საქმე, რომელიც დროთა განმავლობაში სიცოცხლის დამამკვიდრებელი, კოსმიური ინფორმაციის შემცველი ფალიკური სიმბოლოდან გაშიშვლებულ საომარ იარაღად იქცევა. აგრესიის, ომების ეპოქაში ძალიან სახიფათოა თუ ეს "იარაღი" უმეცარ, ბნელ ხალხს ჩაუვარდება ხელში, ამიტომაც ასე საგულდაგულოდ მალავდნენ ქურუმები ამ ცოდნას და მხოლოდ ურთულეს გამოცდებში გამოვლილ მისტებს ანდობდნენ და ისიც მხოლოდ ზეპირად. როდესაც სიცოცხლის ხე იარაღად იქცევა, მასზე შემოდებული "პური" უკვე ფარი ხდება, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ეს ფარი უკვალოდ იკარგება და ადამიანიც დაუცველი რჩება. ეს სწორედ ის ფარია, რომელსაც ეძებს მისტი, რაინდი. შუბი და ფარი ერთი მოვლენის ორი მხარეა, ერთი ღვთაების ორი გამოვლინებაა.

რომში მარსის ბრინჯაოს პატარა ფარი ციდან ჩამოვარდება და იდუმალი ხმა კაცთმოყვარე მეფე ნუმს აუწყებს, რომ რომი გაძლიერდება და იარსებებს იქამდე, სანამ ფარს შეინახავენ, როგორც ყველაზე დიდ სიწმინდეს. მარსის დღესასწაულებზე წითელ ტუნიკებში გამოწყობილი წითელმოსასხამიანი ქურუმები, თავზეც წითელფოჩიანი მუზარადები რომ ეხურათ, ფლეიტისტებთან ერთად, ქუჩებში გამოდიოდნენ, გამოჰქონდათ მარსის თორმეტი შუბი და ფარი, რომელთა შორის ციდან ჩამოვარდნილი ერია, და მუსიკის რიტმში, ფარებზე შუბების დარტყმით საკუთრხევლის გარშემო ასრულებდნენ ისეთ ძველ საომარ ცეკვებს და ჰიმნებს, რომ სიტყვების მნიშვნელობა თავადაც აღარ ესმოდათ.

რომში მარსის ცხოველად ტახი იყო მიჩნეული. ტახი აგრეთვე ოდინთან დაკავშირებული ცხოველია. მის მიერ წმინდა მთაზე აშენებული ჯადოსნური სასახლის - ასგარდის მახლობლად ომში გმირულად დაღუპული მეომრები მთელი დღის განმავლობაში ერთმანეთს ერკინებოდნენ. ღამით, ნადიმზე მათი ყველა ჭრილობა ხორცდებოდა, ხოლო ტახი, რომლის ხორცსაც ჭამდნენ, მათ თვალწინ ცოცხლდებოდა. გერმანელებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ტახის კულტი, იგი ტოტემურ ცხოველად ითვლებოდა და უკავშირდებოდა ღვთაებრივ ტყუპებს (შევადაროთ მარსს, როგორც რომულის და რემის მშობელს). ადრეული კელტური ტრადიციისთვის დამახასიათებელი იყო ფარებზე, საომარ აღჭურვილობაზე, მონეტებზე ტახის, როგორც საკულტო სიმბოლოს გამოხატვა. ზოგი ტრადიციით, ტახს გამანაყოფიერებელი ფუნქცია ენიჭებოდა.

ჩვენში ფირფიტებთან ერთად ღორის ფალანგების აღმოჩენა, ასევე ფირფიტებზე ტახის გამოსახულების არსებობა, ამ მოვლენის მეომარი ღვთაების და მუხის, ანუ სიცოცხლის ხის კულტთან სიახლოვეზე მიანიშნებს. ადრე გამოვთქვით მოსაზრება, რომ ინდოევროპელთა წყლის და ომის ღვთაება პერკუნი, რომლის სახელიც მუხის დასახელებას უკავშირდება, შესაძლოა ძველ ქართულში არესის სახელი "ტერკუნიდან" მომდინარეობს. ისიც აღვნიშნეთ, რომ ტერკუნი ღვთაება გიორგის არქაული იერსახეა და შესაძლოა მასვე უკავშირდება მუხის კულტი და ის ფაქტი, რომ კვრბი - ოქროს საწმისი არესის ჭალაში მუხაზე იდო. ბერძნული წყაროები დამწერლობა "კვრბების" შექმნას კიბელას ქურუმ კორიბანტებს მიაწერენ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კარტი, კამათლები და ღორის ფალანგები არესს და მუხას უკავშირდება. მაგრამ ასევე მუხას უკავშირდება რკოს მჭამელი ტახის კულტი. ტახი კი კიბელას შვილის და ქურუმის ატისის გამგმირავი და ხშირ შემთხვევაში მკვლევარებისაგან მის იპოსტასად მიჩნეული ცხოველია. ზოგი ვერსი-

ბიბლიოთეკა

ით, ტახი მას არესმა მიუგზავნა და თითქოს ისე გამოდის, რომ ატისი იგივე არესია, უფრო ზუსტად არესის სუსტი, ადვილად მოსარევი ნაწილია, თითქოს უკვდავ ღვთაებას თან ახლავს მოკვდინებადი ნახევარი (სიმბოლურად ძმა).

მონადირის მიერ ნადირის განგმირვის სცენა, ტორეადორის ხართან ბრძოლა, ზღაპრის გმირის დევებთან შებმა, ტახის მიერ ატისის დაგლეჯვა, თეზევსის მიერ მინოტავრის დამარცხება - ერთი და იმავე მისტერიის სხვადასხვა გამოვლინებას ასახავს. ამ დაპირისპირებაში ადამიანში სულის და სხეულის, გონების და გრძნობის, სინათლის და სიბნელის - მუდმივი შინაგანი ბრძოლაა ასახული. ჩვენ აქ აბელ-კაენის ამბის პარალელსაც ვამჩნევთ, და თუკი თეზევსი მინოტავრის სახით ადამიანში ცხოველურ საწყისს ამარცხებს, ბიბლიურ სიუჟეტში პირიქით, კაენი - ფიზიკური ვნება კლავს სულიერ საწყისს, მაგრამ ბიბლიურ სიუჟეტს თითქოს რაღაც აკლია, კერძოდ ის, რომ აბელი თავის პროტოტიპების: დუმუზის, ოსირისის, ატისის მსგავსად მკვდრეთით უნდა აღსდგეს. ამას მოწმობს ამ სიუჟეტის უფრო ძველი, შუმერული ვერსია, თუმცა ამ მითში აბელ-დუმუზის მოკვდინებასთან მიწათმოქმედს არანაირი კავშირი არა აქვს. მას ღუპავს ინანას ქმრობა, უფრო ზუსტად მისთვის თავის გაწირვის უუნარობა, მისი, როგორც მისტიური ცოდნის სათანადოდ ვერშეყვარება. მისი მთავარი ნაკლია, რომ არ შეუძლია იყოს გმირი, იგი სუსტია, უმწიფარია სიყვარულის ქალღმერთის ქმრობისათვის. ინანას მეშვეობით ვერ შედგა ხელდასხმა, რაც ჩაფიქრებული იყო მათი ქორწინებით, ხოლო ბიბლიურ სიუჟეტში უფრო მოგვიანო, მიწათმოქმედ მჭედელ ქურუმთა "კაბირთა" მისტერიაა ასახული, რომელიც მხოლოდ განდობილ მამაკაცთა ვიწრო წრეში საიდუმლოდ სრულდებოდა. და თუკი უძველეს მითში დუმუზი ინანას გამო ილუპება, აბელ-კაენის ვერსიაში ინანას კაენი ჩაენაცვლება. ეს სიუჟეტი მითოლოგიაში ტყუპი ძმების ანუ უკიდურესი პოლუსების დაპირისპირებაში ვლინდება, სადაც "აქტიური" იმარჯვებს "პასიურზე" და ერთი მოვლენის ორ მხარეს განასახიერებს. აბელი და კაენი გაორებული ადამია, ანუ სიკეთე და ბოროტება შეცნობილი, რის შემდეგაც იგებს, რომ არსებობს მაღლა და დაბლა, ქალი და კაცი, სიცოცხლე და სიკვდილი, წალმა და უკუღმა, მარჯვენა და მარცხენა, რაც იარსებებს იქამდე სანამ ერთ "ღამეს ორნი იქნებიან ერთ საწოლში, ერთს წაიყვანენ და მეორე დარჩება. ორნი დაფქვავენ ერთს, ერთს წაიყვანენ, მეორე დარჩება. ორნი იქნებიან ყანაში: ერთს წაიყვანენ, მეორე დარჩება" (ლუკა 18. 34, 35), რადგან სამოთხის მდგომარეობა ვერ ეგუება დუალიზმს.

როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, კარტი მკვლევარების მიერ განიხილება როგორც სამყაროს, ასევე ადამიანის ცალკეული ნაწილი, რომელიც ერთ დასტად შეკრული ერთ მთლიან მოვლენას, მიკროკოსმიურ სხეულს იძლევა. დანაწევრებული ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში დიონისეა, ხოლო ეგვიპტურში ოსირისი, რომელიც სიმბოლურად ცოდნას განასახიერებს. ეგვიპტის კეთილ მეფეს ოსირისს მისი ბოროტი ძმა სეთი თოთხმეტ ნაწილად აკუწავს და მთელს ქვეყანაზე მოაბნევს. ოსირისის მოსიყვარულე ისიდა მოაგროვებს მის ნაწილებს და მაგიური ქმედებების შედეგად აღადგენს თავის მეუღლეს. ისიდას მიერ ოსირისის ძიება, მისი პოვნა და აღდგინება უძველესი ეგვიპტური რელიგიის უმთავრესი თემაა, რომელზეც აღმოცენდა თვითმყოფადი ეგვიპტური კულტურა.

ქართულ ეზოთერულ ტექსტში ყურადღებას იქცევს ფრაზა - "თავსა მათეჲსსა წილი ზის, რომელ ასოჲ არს", საიდანაც ირკვევა, რომ ქართული ანბანის ასო იგივე წილია, მაგრამ "ასო" ქართულში ასევე სხეულის ნაწილს ნიშნავს და თუ ჩვენ გავიხსენებთ დავათის სტელის კომპოზიციას, სადაც ქართულ ანბანს თევზის ფორმა აქვს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქართული ანბანი რომელიღაც ღვთაების, კერძოდ თევზკაცის, სხეულს განასახიერებს, ხოლო ასოები, ღვთაების ცალკეული ნაწილებია. ეს არის "დანაწევრებული", მოკვდინებული და აღდგინებული ღვთაება, რასაც ქართული დამწერლობის მეორენაირი დასახელება "ლაზარეც" ადასტურებს. თავად სახელი ლაზარე, რომელიც ქართულ ტრადიციაში თიხის თოჯინას განასახიერებს და წვიმის მოსაყვან რიტუალებში გამოიყენებოდა, ამჟღავნებს იგივეობას წვიმის, წყლის და აქედან გამომდინარე, თევზის სიმბოლიკასთან.

მათეს სახარება იწყება სიტყვით "წიგნი", მაგრამ აქ ლაპარაკია წიგნზე, დამწერლობაზე, რომელიც ასოც (ადამიანის) არის და "იტყვის ყოვლად ოთხ ათასსა მარაგსა". ასეთ დამწერლობად კი ჩვენ შეგვიძლია მივიჩნიოთ კვრბი, რომელიც ასოც არის, კვერცხიც და მარაგის მსგავსად დაფლულია მიწაში, რაც მხოლოდ სამიწათმოქმედო ტარდიციისათვის არის დამახასიათებელი. ეს ის მარაგია, რომელიც ძველმა ქურუმებმა გადამალეს საიდუმლო საცავებში, რათა ტექნიკურად მაღალგანვითარებულ, მაგ-რამ სულიერი კრიზისის ეპოქაში მცხოვრებ ადამიანს, გლობალური ნგრევის წინაშე მდგარს, გადარჩენის შანსი ჰქონდეს.

**ლიტერატურა**


1. Менли П. Холл "Энциклопедическое изложение масонкой, герметической, каббалистической и розенкрейцеровской символической философии. Москва, Новосибирск. 1997.
2. Ганс Бидерман. Энциклопедия символов. Москва. 1996.
3. Тайны готических соборов. Даниэль Готье. "Карты. Вечности". 1996.
4. Сергей Наровчатов, "Книгопечатание".
5. ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები. ი. გაგოშიძე, მ. წონელია "არამეულწარწერებიანი ფირფიტები დედოფლის გორიდან". თბ. 1991.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეცნიერება

გვანცა სულაბერიძე

## მუსიკალური ჟანრები ქართულ ისტორიულ წყაროებში

დადგენილია, რომ მუსიკა თან ახლდა ადამიანის ყოველდღიურ საქმიანობას და ამ საქმიანობის პროცესში ვითარდებოდა. მუსიკის ერთ-ერთ სათავედ მიჩნეულია პირველყოფილი ადამიანის საქმიანობასთან - ნადირობასთან დაკავშირებული ყვირილი და ხმაური. პირველყოფილ მუსიკას საფუძვლად დაედო არა მარტო ბუნებრივი ინტონაციების (ფოთლების შრიალი, ტალღების ხმაური, ჩიტის ჭიკჭიკი და სხვ.) ნატურალური ბაძვა-გადმოღება, არამედ საზოგადოებრივ ყოფაში ისტორიულად ჩამოყალიბებული ინტონაციური მიმოქცევებიც. პირველყოფილ საზოგადოებაში მუსიკა იყო შრომითი პროცესის ორგანული შემადგენელი ნაწილი, საზოგადოებრივ-შრომითი საქმიანობის შედეგი[1].

ქართული ხალხური სიმღერაც საყოფაცხოვრებო ტრადიციის კომპონენტია. მუსიკალურ-ეთნოგრაფიული მასალის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ქართული ხალხური სიმღერა საყოფაცხოვრებო ტრადიციის წიაღში ჩნდება და ყალიბდება, გარკვეული შინაარსის მქონეა და ყოფის ცალკეული მხარეების ამსახველი. მოიცავს არა მხოლოდ მუსიკალურს, არამედ სიტყვიერ ტექსტს, მათ შორის მჭიდრო ინტონაციური და სემანტიკური ურთიერთკავშირი არსებობს. ტრადიცია განსაზღვრავს სიმღერის შესრულების წესს, ხასიათს და შესაძლოა მის ასაკსაც. თავის მხრივ, სიმღერის ხნიერება განსაზღვრავს შესაბამისი ტრადიციის ასაკს. საყოფაცხოვრებო ტრადიციამ არსებითი როლი შეასრულა ქართული ხალხური მუსიკის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, მუსიკალური ჟანრების ფორმირებაში. მუსიკალურ-ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, მუსიკალური აზროვნების განვითარების უადრეს საფეხურებზე სიმღერა სანესო მოქმედებათა კომპლექსში შემავალი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტთაგანია.[2]

მხარს უჭერს თუ არა ამ მოსაზრებას ქართულ საისტორიო თხზულებებში დაცული რომელიმე ცნობა ქართული ხალხური მუსიკის შესახებ? დასტურდება თუ არა ისტორიული წყაროებით კავშირი საყოფაცხოვრებო ტრადიციასა და ქართულ ხალხურ სიმღერას შორის?

ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ბასილი ეზოსმოძღუარის თხზულება "ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი", რომელშიც ნათქვამია, რომ მწყემსი-მენახირე ახალგაზრდები მიწის ხვნის დროს თამარის საქებარ ლექსებს წარმოთქვამდნენ: "ყრმანი მემროწლენი, განპებასა შინა ორნატთასა, თამარის ქებათა მელექსეობდიან". ეს ცნობა სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია ცნობად სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული შრომის სიმღერების შესახებ.[3]

სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სამუშაოთა ერთი წყება მოითხოვდა კოლექტიურ შრომას. ეთნოგრაფიული მონაცემებით, საქართველოში ცნობილია შრომის გაერთიანების სხვადასხვა ფორმები: მოდგამი, ნაცვალგარდობა, რიგ-რიგა, მამითადი, ნადი, მეშველი და სხვ. ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, რომ კოლექტიურ შრომას თან ახლდა სიმღერა. სიმღერა წარმართავდა შრომის პროცესს. იგი სრულდებოდა მძიმე შრომის გასაადვილებლად და შრომის ტემპის დასაჩქარებლად. მაგალითად, ახოში მუშაობისას მეშველთა რიგს გვერდზე ამოუყენებდნენ მესრიელეს, რომლის მოვალეობა სრიელის სწორად წაყვანის გარდა სიმღერითა და საკუთარი მაგალითით მუშაობის სწრაფი ტემპის დაცვა იყო. ყანაში მუშაობისას გაჯიბრება იცოდნენ და მესრიელად ირჩევდნენ ყველაზე სხარტ და კარგ მუშას;[4] სამეგრელოში ნადი "შესდგება ორმოცდაათის და სამოცის ჩარაზმულ მთოხნელისაგან. იმ დროს რომ გაამხნევოს ისინი, პატრონიც თავში ჩაუდგება თოხით და თოხნის, როგორც დანარჩენები. სიმღერა, რომელიც მოჰყვება ნადს, გამოუგონიათ მარტო ამიტომ კი არა, რომ ეს მხიარული კრება გაამხნევოს, არამედ იმისათვისაც, რომ იმათ ჩქარა იმუშაონ. ამისათვის საგანგებო სიმღერა აქვთ, რომლის ხმაზე თოხნასაც ისე აწყობენ, როგორც საკრავზე ცეკვას: რამდენადაც სიმღერას ააჩქარებენ, იმდენად თოხნასაც ააჩქარებენ. ამისათვის თავში დადგება ორი მომღერალი და იწყებს სიმღერას. ამ მეთაურებს ერთი-ორად ეძლევა ულუფა იმისათვის, რომ თოხნა დააჩქარებინოს სხვებს. საჭმელი საკმაოდ უხვი აქვთ, რადგან იგია მათი შრომის ერთადერთი ფასი. დღის განმავლობაში სამჯერ მიუტანებენ საჭმელს ყანაში. დალამებისას კი პატრონის სახლში უმზადებენ ვახშამს, რომელიც მეტად უხვია. ამ დროს ყოველსავე დარდს მუშაობის შასახებ თავიდან იშორებენ, შუაღამემდის სხედან და დროს ატარებენ ჭამაში, სმაში და სიმღერაში. რა მშვენიერი სანახავია, როცა მზის ჩასვლისას თოხნას გაათავებენ და მიდიან პატრონის სახლში. თითქოს ერთი დროშის ჯარისკაცებიაო. გაუდვიათ მხრებზე თოხები და ექვს თუ რვა წყებად, ნელ-ნელა მიდიან, თან მიიმღერიან და დიდის ამბით შედიან პატრონის ეზოში. აქ შემოვლენ თუ არა, დასხდებიან ირგვლივ და მაშინ მათ მოუტანენ საჭმელს".[5]

მასალის მიხედვით, შრომის დროს - ახოში მუშაობისას ან თოხნის დროს, ასრულებდნენ შრომის სიმღერებს. მთოხნელთა რიგს სათავეში ედგა ორი მომღერალი, რომელთაც ევალებოდათ თოხნის დაჩქარება, რისთვისაც მათ ერ-

ბიბლიოთეკა

თიორად ეძლეოდათ ულუფა. ამგვარად, შრომის ტემპს განსაზღვრავდა სიმღერის ტემპი.

შრომის სიმღერების (დასავლურქართული ნადური სიმღერები "ოდოია", "ხელხვავი", "ოჩეშხვეი" და სხვ). სიტყვიერ ტექსტებში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ლოცვა-ვედრებას ნაყოფიერების, მოსავლის გადიდებისათვის. ეს სიმღერები სრულდებოდა ღომისა და სიმინდის თოხნის დროს ან მოსავლის აღებისას და მოსავლიანობის ძალისადმია მიძღვნილი.[6] თოხნის დროს შრომის სიმღერების შესრულება მოწმდება ისტორიული წყაროთიც - ბასილი ეზოსმოძღუარის თხზულებით "ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი". წყაროში დამოწმებულია სიმღერა, როგორც შრომის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი.

"ქართლის ცხოვრების" მიხედვით მეფისა და დიდებულთა სასახლის კარზე, ზეიმზე, ქორწილსა თუ ნადიმზე აუცილებლად იმყოფებიან მუსიკოსებიც, სხვადასხვა მუსიკალურ საკრავებზე დამკვრელები და მომღერლები-მგოსნები, მუტრიბები, მეჩანგენი. ზეიმზე ისმის ქოსისა და წინწილის ხმა. მაგალითად, თამარის მეფედ კურთხევის დროს "ჰკრეს სპერმურთა, ბუკთა, ქოსთა და წინწილთა".[7] როსტომ მეფემ სასახლის კარზე "მოიყვანა მეჩანგენი და მუტრიბნი".[8] თამარის სასახლის კარზე ერთ-ერთი დარბაზობის დროს "იქმნა სიხარული გამოუთქმელი, ვითა მართებს ნადიმსა და წყლიანობასა ამის სახლისა დიდებულთა მოყმეთა, უკლებლობასა მრავალგუართა სახეობათა მუტრიბთა და მოთამაშეთა განწყობილობათა".[9] ხოლო თამარის მეორე ქორწინების დროს "იყო ზმა მგოსანთა და მუშაითთა, სახიობათა მჭურეტელნი იყო რაზმთა სიმრავლე".[10]

თამარის ისტორიკოსის ამ ორი ცნობიდან პირველი მიჩნეულია ცნობად სანადიმო-საწესო, ხოლო მეორე საქორწილო სიმღერების შესახებ.[11]

სანადიმო-საწესო და საქორწილო სიმღერების შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის არქ. ლამბერტი: "პურის ჭამაზე მეგრელები ძალიან დიდხანს სხედან... მასპინძლის წინ გაშლილ სუფრაზე მერიქიფე აწყობს შვიდს თუ რვას ვერცხლის თასს, თავში სულ პატარას, მერე უფრო დიდს და ბოლოში სულ დიდს. მაშინ დგება პირველი წყება მსმელებისა და მიდიან დანიშნულ ადგილისაკენ. ისინი მიდიან ნელის ნაბიჯით, მძიმედ და ისეთის სახით, თითქოს მიდიოდნენ სასმელად კი არა, არამედ რაიმე სამძიმო საქმის შესასრულებლად. რომ მიუახლოვდებიან დანიშნულს ადგილს, მერიქიფე გაუვსებს თასებს და მიართმევს ჯერ პატარას და მერე უფრო და უფრო დიდებს. მაშინ რამდენიმე მომღერალი იწყებს შეუწყობელ სიმღერას. რამდენადაც ეს სიმღერა ჩვენს ყურს არ ესიამოვნება, იმდენად იქაურებს ატკბობს. ამ სიმღერის დროს მსმელები სცლიან თასებს და მერიქიფე ავსებს"; ჯვარის წერის შემდეგ ეკლესიიდან, "ყველაზე დიდის სიამოვნებით და სიხარულით მიდიან სახლში, რათა დიდი ნადიმი გადაიხადონ. ყველანი დასხდებიან, კაცები ერთ მხარეზე და ქალები - მეორეზე. მეფე-დედოფალი დასხდებიან გამორჩეულ და საპატიო ადგილზე: მეფე - კაცების მხრით და დედოფალი - ქალების მხრით. ჩვეულებრივ აგრე გაატარებენ მთელ ღამეს ჭამაში, სმაში და სიმღერაში... ქალი რომ მიჰყავთ ქმრის სახლში, თან ახლავს მრავალი ცხენოსანი კაცი და ქალი და მშობლის საჩუქრებით დატვირთული ყმები. ეს ხალხი მთელი გზა სიმღერით და დიდის მოლხენით მიდის. როცა მივლენ ქმრის სახლში, აქ ხელახლა გააჩაღებენ ნადიმს და დაურიგებენ საჩუქრებს იმათ, ვინც ქორწილში მონაწილეობა მიიღო;" "პირველ აგვისტოს იწყება მესამე მარხვა, ღვთისმშობლის მიცვალების სახსოვრად... ამ ორი კვირის განმავლობაში სამეგრელოში ჩვეულებად აქვთ, რომ დაღამებისას მამაკაცები და დედაკაცები, დიდები და პატარები გამოვლენ სახლიდან მინდორში და აქ გაატარებენ ღამის უმეტეს ნაწილს ცეკვაში და სიმღერაში რომლითაც ისეთ ხმაურობას შეჰქმნიან, რომ თუ ვინმე სახლში დარჩა, ამას არ შეუძლიან თვალი დახუჭოს და მოისვენოს."[12]

მოტანილი მასალით, სიმღერა საქორწილო რიტუალის აუცილებელი ელემენტია, სიმღერა სრულდება ნადიმისა და ლხინის დროს.

საკითხთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ვახუშტი ბატონიშვილის თხზულება "აღწერა სამეფოსა საქართველოსა". თხზულებაში, იქ, სადაც აღწერილია "ზნენი და ჩჳეულებანი საქართველოსანი," ნათქვამია: "კუალად უწყოდიან დღესასწაული კერპთა, ღმერთთა თვსთა: განვიდის თვით მეფე და დიდებულნი და მცირებულნი ბუკ-დაბდაბითა და ყოვლითა ძნობითა და სახიობითა; შესწირვიდიან ძროხათა, ჴართა, ცხოვართა და ნადირთა. თაყვანისცემდნენ არმაზს, შემდგომად ზადენს და მერმე სხუათა ღმერთთა, არამედ უმეტს დიდი იყო დღესასწაული არმაზისა; და შემდგომად თაყვანისცემისა ჰყვიან ნადიმნი და განცხრომანი დიდითა ჭამითა და ღვინის სმითა, როკვითა ფერჴისითა, სახიობითა და ძნობითა სამ დღე და მოიქციან თვს-თვსად სახიდ... ხოლო ჟამსა ქრისტეანობისასა ნაკერპავთა მათ მთათა მაღალთა და ბორცუთა ზედა ესევითარივე იყო განცხრომა-როკვანი; ამისთვს აღაშენეს მათ ზედა ეკლესიანი და ჯუარებობდიან მუნ, ვითარცა აწ ფერჴისა სიმღერითა გაათენიან;" აღდგომის დღესასწაულზე "ხოლო აღდგომის წესი იყო ადრე ნათლებისად წირვა და შემდგომად წირვისა მცირედითა სანოვაგითა ჴორცთათა აღიჴსნიდიან პირთა მეფე და დიდებულნი... მერმე შემოვიდიან მეფისა თანა და შექმნიან ნადიმნი და პურობანი დიდნი მგოსანსახიობითა". იქ, სადაც ისტორიკოსი აღწერს სამცხე-საათაბაგოს "საჩინო" ადგილებს, წერს: "... არა არს ციხე, ანუ დაბანი, ანუ აგარიანი, რომელსა წინა არა იდგეს საყდარი ანუ ეკლესია, თლილის ქვით ნაშენნი, ორი ანუ სამი, დიდნი და მცირენი, და აგრეთვე ყოველთა ადგილთა საქართველოსა შინა, რომელნიცა აღვსწერენით. კუალად არიან გორა-მთათა ზედა შენნი ეკლესია-საყდარნი, სადაცა ძნიად ხუდებიან კაცნი, თვნიერ დღესასწაულთა მათთა, ამისთვის რამეთუ, ვინაითგან კერპობასა შინა მათ მთაგორათა ზედა იყვნენ კერპნი აღმართებულნი, და დღესასწაულობდნენ მუნ სილოდობითა, და ქრისტეანობასა შინა შემუსრნენ კერპნი, არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედ კუალად არა დასცხრნეს მუნვე განცხრომასა სიმთვრალითა, სილოდითა და როკვითა, აღაშენეს მათ ზედა მუნ ეკლესიანი, რათა თაყვან-ცენ ამათ და არღარა მოიჴსენონ კერპნი სილოდა-განცხრომითა."[13]

როგორც ვხედავთ, წყაროებში დამოწმებულია სიმღერა, როგორც საწესო მოქმედებათა კომპლექსში შემავალი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი.

ბატონიშვილი ვახუშტის თხზულებიდან ამოკრეფილ ამ ფრაგმენტებში გარკვევითაა ნათქვამი, რომ წარმართობის დროინდელი დღესასაწულები (არმაზის საკულტო დღესასწაული და სხვ.) მსხვერპლის შეწირვისა და კერპების თაყვანისცემის შემდეგ მთავრდებოდა დიდი ნადიმით, რომელსაც თან ახლდა ძნობა, სახიობა, როკვა, ფერჴისა და სოლოდა-განცხრომა. ამგვარივე დროსტარება, განცხრომა-როკვანი და ღამისთევა საფერხულო სიმღერებით სცოდნიათ გაქრისტიანების შემდეგაც.

ტერმინი ფერხისა "ქართლის ცხოვრების" იმ თხზულებამაც შემოგვინახა, რომელშიც XIV-XVII საუკუნეთა ისტორიაა აღწერილი და რომელსაც "ახალი ქართლის ცხოვრებას" (II ტექსტი) უწოდებენ. თხზულებაში ნათქვამია, რომ "უწყალომან ლანგ-თემურ" და "სპათა ლანგ-თემურისთა" ყველგან "სადაცა განვლეს, დაწვეს და მოაოჴრეს დაბანი და შენობანი ზემოკერძოთა სანახებთანი. და ესევითარითა სიბოროტითა მიინივნეს ქუაბთაჴევს, და იგიცა მოიცვეს და წარმოსტყუენეს. და ყვეს მრავალი ბოროტი გარეშე წმიდისა ეკლესიისა, და ინებეს წმიდისა მის ეკლესიისა ცეცხლითა დაწვა და დარღუევა, რამეთუ შინაგან ტაძრისა მის შელტოლვილ იყვნეს ყოველნივე მუნ მყოფნი, წმიდანი მღდელნი, დიაკონნი და ფირჩოსანნი, მღდელმონაზონნი, გლახაკნი და ულონონი დავრდომილნი, და დედანი მონაზონნი, რომელნი მდგომ იყვნეს აზნაურთა და თავადთა ასულნი და დედანი.

ხოლო ესე ყოველნივე მონაზონნი გამოიყვანნა და შეასხნა სამეჩანგო შესასხმელნი, და დაჰკიდნა ეჟუანნი და ზარნი და ფერჴისა დააბმევინა, ათამაშა და ამღერა. და ერთმან ვინმე მონაზონმან აღმოთქუა: "ვაი ჩუენს დედაბრობასა, ეს რა გუეჟღარუნებიან". ამისა შემდგომად რომელნიცა ინებეს, წარიყვანეს, და რომელთა არა დაუტევეს სჯული ქრისტესი და ურჩ ექმნენ მათ და გლახაკნი და დავრდომილნი რომელნიცა იყვნეს, მათ ყოველთა შეუკრნეს ჴელნი და ფერჴნი, და დაანყვეს საშუალ ეკლესიისა, რამეთუ იყო ჴმა მათი ვაებისა და ოჴრებისა, ვითარცა ქუხილი ცისა. ხოლო მათ ყოველთა, უკეთურებითა აღსავსეთა, აღაგზნეს შინაგან და გარეშე ტაძრისა მის აღატყინეს ცეცხლი მძლაფრი და დაწვეს ტაძარი იგი ქუაბთაჴევისა ღმრთისმშობელისა, და მას შინა მყოფნიცა იგი წმიდანი და სამგზის სანატრელნი სამღდელოთა დასნი......."[14]

ქართული როკვის ან ცეკვის შესახებ ცნობას გვაწვდის ქსენოფონტე. ქსენოფონტეს ცნობით, ქართველ ტომებს ჯერ კიდევ წარმართობის ხანაში ჰქონიათ საცეკვაო სიმღერები და ბრძოლის წინ ან ბრძოლაში გამარჯვების შემთხვევაში სცოდნიათ ცეკვა. თხზულებაში "ანაბაზისი" ქსენოფონტე წერს: "ხალიბები მაშინ მღეროდნენ და როკავდნენ, როდესაც მტერი უყურებდა;"[15] მოსინიკები ბრძოლის შემდეგ "თავებს ჭრიდნენ მოკლულებს... უჩვენებდნენ თავის მტრებს და თან რაღაც ჰანგზე როკავდნენ და მღეროდნენ."[16]

საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა ვერცხლის თასი თრიალეთიდან. მატერიალური კულტურის ეს ძეგლი თარიღდება ძვ. წ. აღ-ის II ათასწლეულით (შუა ბრინჯაოს ხანა).[17] ჭურჭლის ტანზე ორ რიგად განაწილებულია რთული კომპოზიციები; ქვედა ფრიზზე გამოსახულია ერთმანეთის კვალდაკვალ მიმავალი ირმების ერთი რიგი, ზედაზე კი მოცემულია რთული რიტუალური სცენა - ერთმანეთის უკან დგას ოცდაორი ანთროპომორფული ფიგურა ადამიანებისა, რომელთაც ფეხთ აცვიათ ცხვირაწეული, ჭვინტიანი ფეხსაცმელი, ტანზე მოკლე ქულაჯისებური სამოსი. ყველა მათგანს ხელში უჭირავს მაღალი სასმისი. ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია კიდევ ერთი ფიგურა სასმისით ხელში, რომელიც სკამზე ზის და წინ უდგას მაღალი სამფეხა საკურთხეველი. საკურთხევლის ორივე მხარეს გამოსახულია ორი ცხოველი. უკან, ფრიზის მთელ სიმაღლეზე გამოსახულია სიცოცხლის ხე.[18]

თასზე ასახული სიუჟეტის შესახებ დღემდე გამოთქმულია არაერთი მოსაზრება; კუფტინი თასზე ასახულ კომპოზიციაში ხედავს ნადირობასთან დაკავშირებულ საკულტო სცენას.[19] შ. ამირანაშვილი ბუნების ნაყოფიერების ღვთაების კულტთან დაკავშირებულ რელიგიურ რიტუალს.[20] ვ. ბარდაველიძის აზრით, თასზე მოცემულია მთავარი სატომო ღვთაების წინაშე შეკრებილი სათემო ღვთაებები.[21]

განიხილა რა თასზე ასახული სიუჟეტის შესახებ გამოთქმული მოსაზრებები, ნ. მაისურაძემ ყველაზე მისაღაბად მიიჩნია ვ. ბარდაველიძის აზრი, რომლის თანახმად, ცენტრალური ფიგურის მიმართ მდგომი ფიგურები "ღვთის კარზე" ღვთისშვილთა შეკრებას ასახავს, რაც არ გამორიცხავს ვარაუდს იმის შესახებ, რომ ფეხზე მდგომი ფიგურები შესაძლებელია საფერხულო წყობას ასახავდეს.[22]

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, თრიალეთის ვერცხლის სასმისზე ასახულია ნიღბოსანთა საფერხულო მითოლოგიურ-რიტუალური სანახაობა, რელიგიურ-საცეკვაო რიტუალი ფერხულის ფორმით რომელიღაც ღვთაების პატივსაცემად.[23] ზემოხსენებული მოსაზრებების გაზიარების შემთხვევაში მატერიალური კულტურის ეს ძეგლი - ვერცხლის თასი თრიალეთიდან წარმოადგენს მნიშვნელოვან არქეოლოგიურ მასალას იმის საბუთად, რომ ფერხულები ქართველ ტომთა რელიგიური წეს-ჩვეულებების აუცილებელ კომპონენტს შეადგენდნენ.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ფერჴისა არის "მრავალთ მობმით როკვა", ფერჴული "მრგვალთ წყობა", ცეკვა "ფერჴით თითებით როკვა", ხოლო როკვა "სამა ცეკვა და მისთანანი".[24]

საფერხულო ცეკვა ჩაიწერა და აღწერა ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯამბაკურ-ორბელი-

ბიბლიოთეკა

ანმა, რომელსაც სიყმანვილეში უნახავს, თუ როგორ "დააბეს" ქალებმა ქორწილში წარმართობის დროიდან მომდინარე ქართული რიტუალური საფერხულო ცეკვა "სამაია".

"სამაია" "ქალნი და კაცნი ორ დასად გაყოფილი ერთმანეთის პირდაპირ კარგა მოშორებით, ჴელი ჴელს გაბმულები მწკრივათ, ჯერ ერთი გაბმული დასი წარმოვიდოდა, თავის პირისპირ დასისა, წყნარად მომავალნი და თან ამას მომღეროდნენ: "სამაია სამთაგანა რა ტურფა რამ ხარო... და სხუანი. ასე უნდა გამოსულიყვნენ მოპირდაპირე დასთან, ეს მომღერალი დასი, მასუკან მღერითვე გატრიალებულიყვნენ და თავის ადგილს მისულიყვნენ ეგრეთვე მღერით. იქ მწკრივათ დადგებოდნენ ჴელებ გაბმულები პირველისავე რიგით. ეს პირველი დასი თავის ადგილს რომ დადგებოდა მწკრივათ, დადგომასთან სიმღერა უნდა დაესრულებინათ მაშინვე, ამ დროს ეს მეორე დასი ჩამოართმევდა სიმღერას პირველს დასსა თან პირველის დასის რიგით წარმოვიდოდა და იმათის რიგით შეასრულებდა იმ წესსა. ეს ორი გაყოფილი დასი ხან ერთი მოვიდოდა მეორესთან, ხან მეორე პირველთან, მაგრამ თან და თან კი აჩქარებდნენ სიმღერასა თავის შეწყობილის ლექსებითა. ბოლოს დროს ისე უნდა აეჩქარებინათ სიმღერა, რომ სალაღოთ გარდაექციათ და ერთმანეთისათვის ბალდადის ხელცახოცები ესროლათ ანუ წყნარა დაეკრათ ეგრეთ მღერით".[25]

ფერხულები ფორმისა და შინაარსის მიხედვით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ფორმის მიხედვით არსებობს შემდეგი სახის ფერხულები: წრიული, წრიული ორი და სამსართულიანი, ნახევარწრიული, მწკრივის სახის - გრძელი ერთრიგა ან ორრიგა, ერთიმეორის უკან და ერთმანეთის პირდაპირ.[26]

ქორეოგრაფები ვარაუდობენ, რომ ფერხისებად ინოდებოდნენ მწკრივებში და რკალგვარად შესრულებული ფერხულები. [27]

შინაარსის მიხედვით განასხვავებენ პატრიოტულ, სამხედრო ანუ საბრძოლო და საყოფაცხოვრებო ფერხულებს. ამ უკანასკნელთა ჯგუფს მიაკუთვნებენ ფერხულებს, რომლებიც სრულდება სასოფლო და საეკლესიო დღესასწაულების დროს.

პატრიოტული ფერხულის მაგალითია "ძაბრა", რომელშიც აირეკლა ქართველი ხალხის ბრძოლა შინაური და გარეშე მტრების წინაალმდეგ. "ძაბრას" მონაწილენი ჯოხებით ხელში გარს უვლიან ქუდს, რომელშიც მებატონე იგულისხმება და ცდილობენ დაფლითონ იგი. ფერხული მთავრდება მტერზე გამარჯვებით - ქუდი დაფლეთილია.

სამხედრო ანუ საბრძოლო ფერხულია "ორსართულა" ანუ "ზე-მყრელო", რომელიც აგებულია სართულების პრინციპით. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს ფერხული განასახიერებს იერიშს მოწინააღმდეგის მიუვალი ციხის კედლებზე.[28]

სამხედრო-პატრიოტული, საბრძოლო შინაარსის ფერხულია ცეკვა "ხორუმი", რომელიც ოთხი ნაწილისაგან შედგება: - 1) მეომართა დასაბანაკებლად ადგილის ძებნა, 2) მტრის დაზვერვა, 3) იერიში (ბრძოლა), 4) გამარჯვება და ზეიმი. მეოთხე ნაწილს, ე. ი. მტერზე გამარჯვებასა და ზეიმს, "ხორუმის" ხალხურ ვარიანტში "გადახვეული ხორუმის" სახით ვხვდებით. "ხორუმის" დასკვნითი ნაწილის, "გადახვეული ხორუმის" არსი მდგომარეობს დამარცხებული მტრის მოჭრილი თავის გარშემო ცეკვაში. მოცეკვავენი ასრულებენ ისეთ ილეთებს, თითქოს აგორებენ და ქოლავენ წრის შიგნით მოქცეულ და დამარცხებული მტრის მოჭრილ თავს. ჩანს, ცეკვის ამ ილეთში აირეკლა მოსინიკების ის ჩვეულება, რომლის შესახებაც მოგვითხრობს ქსენოფონტე თავის "ანაბაზისში" და რომლის თანახმადაც, მოსინიკები ბრძოლაში გამარჯვების შემთხვევაში ბრძოლის შემდეგ დამარცხებული მტრის დაღუპულ მებრძოლებს თავს სჭრიდნენ, მოკვეთილ თავებს მტრებს უჩვენებდნენ და ამ დროს რაღაც ჰანგზე ცეკვავდნენ და მღეროდნენ. ვარაუდობენ, რომ "გადახვეული ხორუმის" საფუძველს მოსინიკების ეს ჩვეულება წარმოადგენს.[29]

ეთნოგრაფიული მონაცემებით, ფერხულები სრულდებოდა ქორწილში და ხატობა-დღეობებზე. როგორც ქორწილში, ისე ხატობა-დღეობებზე საფერხულო ცეკვა, ფერხულის მოწყობა ერთნაირად ხდებოდა. რაც შეეხება საფერხულო სიმღერებს, ქორწილისაგან განსხვავებით, დღეობებზე უმთავრესად ჯვარ-სალოცავების "სადიდებო" სრულდებოდა, რომელიც იმ ხატს მიეძღვნებოდა, რომლის სახელზედაც იმართებოდა დღეობა. ერთსართულიან წრიულსა და გრძელ ფერხულებს მამაკაცები და ქალები მართავდნენ, ხოლო ორსართულიან წრიულ ფერხულს მამაკაცები.[30]

ფერხულის შესრულების წინ ირჩევდნენ "ფეჴისაის ზეზამდგმურს"; მეფერხულენი ასრულებდნენ იუმორისტული, საისტორიო და საგმირო ხასიათის სიმღერებს. "ფეჴისაის ზეზამდგმური" წრის ცენტრში ლუდით სავსე სპილენძის ქვაბს დგამდა და მამაკაცებს ლუდით უმასპინძლდებოდა. თუ ლუდით სავსე ქათხას დაუგვიანებდა, მეფერხულე "ზეზამდგმურს" სიმღერით მიმართავდა; "დალიე დამალევინე, სული ნუ დამალევინე, ასწიე და წამახარე, ჩემი გული გაახარე", რასაც ფერხულში მონაწილე ყველა მამაკაცი იმეორებდა. ამასთან ერთად, წრის შიგნით ხუმრობდა და ხალხს აცინებდა "დათუაი" (დათო, დათვიაი) - ხუმარა და სიტყვა მოსწრებული დედაკაცი, რომელიც მამაკაცის გადმობრუნებულ ტყაპუჭში იყო გამოწყობილი.[31]

საინტერესოა მოხეური ორსართულიანი წრიული ფერხული "აბარბარე", რომელშიც ცამეტი კაცი მონაწილეობდა, რომელთაგან ექვსი კაცი პირველ სართულს ქმნიდა, ექვსი მეორეს. მეცამეტე წრის ცენტრში მეკოდედ დგებოდა და პირველი სართულის მონაწილეებს ლუდით უმასპინძლდებოდა. ზედა წრის მონაწილენი დაბლა მდგომთა მხრებზე იდგნენ. ზედა წრის რომელიმე წევრის ჩამოვარდნის შემთხვევაში ფერხული იშლებოდა. თუ მეფერხულენი შესძლებდნენ ფერხულის წარმართვას გარკვეული დროის მანძილზე, ბოლოს ქვედა წრეში მდგომნი მაღლა მდგომთ გამოაცლიდნენ მხრებს და დაბლა ჩამოყრიდნენ. ფერხულს თან ახლდა სიმღერა; "აბარბარე ბარბარე - ნუ გადმოყრით მალ-მალე. - თუ გადმაყრა არ გინდათ, ლუდი გოსონ მალ-მალე".[32]

ფერხულის სასიმღერო ტექსტში მოხსენიებულ სახელწოდებას "ბარბარე" მკვლევარები უკავშირებენ ქართველ ტომებში ცნობილ მზის ქალღვთაება ბარბარეს. ღვთაება ბარბარეს შესახებ არსებული შეხედულებები ქართველ ტომებში, ამ ღვთაების ბუნება, ფუნქციები და მისი სახელობის დღესასწაულები კვლევის საგნად გაიხადა ვ. ბარდაველიძემ.

ქრისტიანული ბარბარას კულტი პირველად აღმოსავლეთში ჩასახულა, საიდანაც იგი სხვა ქვეყნებში გავრცელებულა. ბარბარა მიაჩნდათ სხვადასხვა სენისაგან მკურნალ და ავადმყოფობის მფარველ წმინდანად, აგრეთვე ცეცხლისა და ქარიშხლისაგან დამცველ წმინდანად.[33]

ქართველ ტომებში ბარბალე ითვლებოდა თვალის სინათლის მიმნიჭებელ, თვალის ავადმყოფობის გამჩენ, თვალის ტკივილის და გადამდებ სნეულებათაგან დამცველ ღვთაებად. ამ შეხედულების საფუძველზე ვ. ბარდაველიძეს ბარბალე მიაჩნია ასტრალური ბუნების ღვთაებად - მნათობი მზის ღვთაებად.

ქართველ ტომებში ბარბალე წარმოდგენილია როგორც ნაყოფიერებისა და გამრავლების ღვთაება. მთაში (სვანეთში) ბარბალეს მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების ღვთაებად მიიჩნევდნენ, ბარში (იმერეთი, გურია, ქართლი) ბარბალე შინაურ ფრინველთა გამამრავლებელი უზენაესი არსებაა.[34]

ასტრალური კულტურის მატარებელ ხალხებში, მზის და მთვარის ღვთაებებს გამოსახავდნენ ბორბლით და დისკოთი. ვ. ბარდაველიძის აზრით წრისა და დისკოს მოყვანილობის უნდა ყოფილიყო ქართული ტომების მზის ღვთაების ემბლემაც. ამ მოსაზრების გაზიარების შემთხვევაში მკვლევარები ფიქრობენ, რომ გარშემოვლითი რიტუალი, წრიული ფერხულები სიმბოლურად მზის ქალღვთაება ბარბარეს განასახიერებენ. ამასთან, გამოთქმულია მოსაზრება, რომ, წრიულ რიტუალურ რელიგიურ ქმედებებში საძიებელია უფრო ვრცელი კონცეფცია, რომელიც ასახავს არა მხოლოდ ასტრალურ წარმოდგენებს, არამედ დროის აღრიცხვის წრიულ, ციკლურ წესსაც, ბუნების კვდომა - აღორძინების შესაბამისად.[35]

ჩვენამდე მოღწეული მუსიკალური ძეგლების ანალიზის შედეგად გამოვლინდა ქართული მუსიკალური ფუძე-ენა, ფუძე-ჰანგი, რომელიც ქართული ხალხური სიმღერების საერთო ინტონაციურ საფუძველს წარმოადგენს. ამასთან, ფუძე-ჰანგის განვითარების პროცესი და ინტონაციური თავისებურება, რომელიც ქართული ხალხური სიმღერების დამახასიათებელ საერთო ნიშნად იქცა, მკაფიოდ აისახა საფერხულოებში. ამ მხრივ საინტერესოა საწესო საფერხულო საგალობელი "ივანანა", რომლის მელოდია მიჩნეულია უძველესად და განვითარების გარკვეულ ეტაპად ქართველი ხალხის სულიერი კულტურის ისტორიაში. "ივანანას" ინტონაციურ არეში ექცევა მრავალი საწესო, შრომის თუ საყოფაცხოვრებო სიმღერა.[36]

ამრიგად, ჩვენს მიერ დამოწმებულ წყაროებში ცეკვის აღმნიშვნელი ტერმინებია, ფერხისა, როკვა, ფერხულის დაბმა, თამაში. წყაროების მიხედვით, ფერხულები ადრეული პერიოდიდან მომდინარეობენ და ქართველი ხალხის მუსიკალური ხელოვნების ორგანულ ნაწილს შეადგენენ. აქედან გამომდინარე ბუნებრივია, რომ ფერხულმა ასახვა ჰპოვა ისეთ მნიშვნელოვან ქართულ ისტორიულ წყაროში, როგორიცაა "ქართლის ცხოვრება."

ზემოთ წარმოდგენილი მასალიდან ნათლად ჩანს, რომ ქართული ხალხური სიმღერა ქართველი ხალხის ყოფის ცალკეული მხარეების ამსახველია. ისტორიული წყაროებით დასტურდება კავშირი საყოფაცხოვრებო ტრადიციასა და ხალხურ სიმღერას შორის. წყაროში დამოწმებულია სიმღერა, როგორც შრომის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი; სიმღერა, როგორც საკულტო დღესასწაულებისა და საწესო მოქმედებათა კომპლექსის აუცილებელი ელემენტი; წყაროში დამოწმებულია სანადიმო, საქორწილო, საფერხულო სიმღერები.

## შენიშვნები:


1. Р. Н. Грубер, Всеобщая история Музыки, ч, I, Москва, 1960, ст. 8-33.

2. ნ. მაისურაძე, ქართული ხალხური მუსიკა და მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები, თბ., 1989, გვ. 3, 47.

3. ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1990, გვ. 259; ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 146; მ. ჩიქოვანი, ლიტერატურამდელი პერიოდის ქართული ფოლკლორი, "მნათობი", 1981, # 4, გვ. 152; გ. ახვლედიანი, ქართლის ცხოვრების ფოლკლორული წყაროები, თბ., 1990, გვ. 100-101.

4. ნ. ბრეგაძე, მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, თბ., 1969, გვ. 210, 212, 213.

5. არქ. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, ლ. ასათიანის რედაქციით, თბ., 1938, გვ. 52.

6. ნ. მაისურაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 43.

7. თამარის ისტორიკოსი, ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. II, თბ., 1959, გვ. 27.

8. ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ტექსტი I, ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 424.

9. თამარის ისტორიკოსი, ისტორიანი... გვ. 43.

10. იქვე, გვ. 47.

11. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 262-263; გ. ახვლედიანი, (დასახ. ნაშრომი,) გვ. 97.

12. არქ. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 48-49, 86-135.

ბიბლიოთეკა

13. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 25, 29-30, 690.

14. ახალი ქართლის ცხოვრება, II ტექსტი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 452-453.

15. თ. მიქელაძე, ქსენოფონტის "ანაბაზისი", თბ., 1967, გვ. 81-82.

16. იქვე, გვ. 101.

17. **Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети, I, Тбилиси, 1941, гв. 79, 87-92;**

18. საქართველოს ისტორიის ნარკვევები... გვ. 212.

19. **Куфтин Б. А. гв. 87, 92.**

20. შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, I, თბ., 1944, გვ. 31, 34.

21. **В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тбилиси, 1957, гв. 101-103, 248-249.**

22. ნ. მაისურაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

23. დ. ჯანელიძე, თრიალეთის სახილველი, საბჭოთა ხელოვნება, 1981, # 12, გვ. 87; ლ. გვარამაძე, ქართული ხალხური ქორეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 16.

24. სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949, გვ. 284, 357, 429.

25. ა. ჯამბაკურ-ორბელიანი, ივერიანელების გალობა, სიმღერა და ღიღინი. ჟურნ. "ცისკარი", 1861, იანვარი.

26. **В. В. Бардавелидзе, гв. 55.**

27. ა. თათარაძე, ქართული ხალხური ცეკვების მოკლე მიმოხილვა, თბ., 1970, გვ. 22-23.

28. ლ. გვარამაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 16-18, 24-30.

29. ა. თათარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 42-44.

30. ვ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 261, 265-266.

31. იქვე, გვ. 261-262.

32. იქვე, გვ. 264-265.

33. ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ), თბ., 1941, გვ. 2-3.

34. იქვე, გვ. 4-5, 42.

35. იქვე, გვ. 63. ი. სურგულაძე, არქაული ელემენტები ქართულ ხალხურ დღესასწაულებში მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXI, თბ., 1981, გვ. 111-116.

36. შ. ასლანიშვილი, ნარკვევები, I, გვ. 40, 78-82, 122; ნ. მაისურაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 11-12, 28.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯონდო გვასალია

# წმინდა ნინოს ნაკვალევზე

საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება მე-4 საუკუნის 20-30-იან წლებში მოხდა. აქ ქრისტიანობის პირველი მქადაგებლები უკვე პირველ საუკუნეში გაჩნდნენ - ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი. მათ იქადაგეს აჭარასა, მესხეთსა და დასავლეთ საქართველოში. სვიმონ კანანელი აფხაზეთში, ნიკოფსიაში არის დაკრძალული.

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება, რაც ჩვენი ხალხის ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობის კულტურულ-პოლიტიკური აქტი იყო, დაკავშირებულია მე-4 საუკუნეში წმინდა ნინოს სამისიონერო მოღვაწეობასთან. წმ. ნინო წარმოშობით კაპადოკიელი იყო. მისი მამა იმპერატორ მაქსიმიანეს მხედართმთავარი ყოფილა. შემდეგ მას სამსახურისათვის თავი დაუნებებია და იერუსალიმში წასულა, სადაც შეურთავს იერუსალიმის პატრიარქის - იუბენალის და სუსანა. ბოლოს ბერად აღკვეცილა, სუსანა კი გლახაკთა სამზრუნველოს მსახური გამხდარა. იერუსალიმიდან ნინო იმპერატორ კონსტანტინე I-ის კარზე მოხვედრილა, სადაც დედოფალ ელენესა და სეფე ქალებს ქრისტიანობას უქადაგებდა. ნინო მსახურებდა ერთ ღვთისმოსავ ქალს - სარა ნიაფორს. სწორედ მან ქრისტეს შესახებ საუბრისას ახსენა ქალაქი მცხეთა, სადაც იქაურმა ებრაელებმა, ქრისტეს წამების შემდეგ, უფლის კვართი (სამოსი) მცხეთაში წაიღეს. მცხეთელ მკვიდრ ქალს - სიდონიას ქრისტეს კვართი გულში ჩაუკრავს და დიდი განსაცდელისაგან გარდაცვლილა, მკვდარ სიდონიას ვერაფრით ვერ მოაშორეს გულში ჩაკრული კვართი და იძულებულნი გახდნენ კვართიანად დაემარხათ.

იმდენად დიდი იყო სარა ნიაფორისაგან მიღებული შთაბეჭდილება, რომ სრულიად ნორჩმა ნინომ თავისი ცხოვრების მიზნად მცხეთის მოხილვა და იქ ქრისტიანობის ქადაგება დაისახა.

საქართველოში მოსული წმ. ნინო ჯავახეთში, ფარავნის ტბასთან შეხვედრია მცხეთელ მწყემსებს, რომელთა რჩევით ჯავახეთის მტკვრის გზას დასდგომია და მისულა ჯერ ქალაქ ურბნისში, ხოლო შემდეგ, მტკვრის მარჯვენა ნაპირის გაყოლებით, მცხეთაში.

ნინოს მცხეთაში, თავის სადგომში, სალოცავად აღუმართავს ვაზის "ნასხლევისაგან" (ტოტისაგან) გაკეთებული ჯვარი, რომელიც თავისი თმებით შეუკრავს (ეს ჯვარი დღემდე დაცულია თბილისის სიონის ტაძარში). ნინოს ქადაგებითა და სამკურნალო ხელოვნებით მოსახლეობის სიყვარული დაუმსახურებია. ნინოს წყალობით მცხეთაში ქრისტიანობას მრავალი მიმდევარი გასჩენია. მცხეთაში მისვლიდან მეექვსე წელს ნინომ გააქრისტიანა ქართლის დედოფალი ნანა, ხოლო შემდეგ მეფე მირიანი.

ნინოს რჩევით მეფემ მოციქულები გაგზავნა იმპერატორ კონსტანტინესთან სამღვდელოების ჩამოსაყვანად, რათა ხალხი მოენათლად და ეკურთხებინათ ახლად აგებული ეკლესია. ნინოს სამისიონერო მოღვაწეობა გაუგრძელებია ქართლის სამეფოს სხვა კუთხეებშიც. ერისთავის, სამღვდელოების და ჯარის თანხლებით წმ. ნინო მცხეთიდან ასულა არაგვის ხეობაში და ადგილ წობენში გასაქრისტიანებლად მოუხმია მთის მოსახლეობა.

ინტერესს იწვევს წობენის ლოკალიზაციის საკითხი. "მოქცევაჲ ქართლისაჲს" ჭელიშური ნუსხა (მე-14 ს.) ნინოს მიერ მთიელთა გაქრისტიანების შესახებ შემდეგს მოგვითხრობს: "და ვითარცა ესე თქუა დედოფალმან, წარვიდა და უკუანა ჰყვებოდა სანატრელსა ნინოს. და წარიყვანეს მათ თანა მთავარეპისკოპოსი და მღვდელნი და ერისთავი, და წარვიდეს და დადგეს წობენს, და მოუწოდეს მთიელთა ყოველთა, ჭართალელ-ფხოველთა, წალკასნელთა ("წილკანელთა" მე-10 საუკუნის შატბერდული ნუსხით - ჯ. გ.) და შემოკრბა ერი ურიცხვი... და ვითარცა მეზმა უყვეს, შიშით მისცნეს თავნი მათნი ნათლისღებასა, და დალეწნეს კერპნი მათნი, და წარვიდეს ერწოდ და დადგეს ედომს დაბასა, ჟალეთს, და ნათელ-სცა ერწო-თიანელთა" (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1, 1964, გვ. 88-89).

მე-11 საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი კი იმავე ისტორიულ ფაქტს ასე აგვიწერს: "და წარვიდა წმინდა ნინო და ეპისკოპოსი იოვანე, და მათ თანა წარატანა მეფემან ერისთავი ერთი, მივიდეს და დადგეს წობენს, და მოუწოდეს მთეულთა, პირუტყუთა სახეთა მათ კაცთა, ჭართალელთა, ფხოელთა, წილკანელთა და გუდამაყრელთა, და უქადეგეს მათ სჯული ქრისტიანეთა ჭეშმარიტი, მიმყვანებელი ცხოვრებად საუკუნოდ. ხოლო მათ არა ინებეს ნათლისღება, მაშინ ერისთავმან მეფისამან მცირედ წარმართა მახვილი მათ ზედა, და ძლევის შემუსრნა კერპნი მათნი" (ქართლის ცხოვრება, 1, 1955, გვ. 125).

ხუთვერსიან რუკაზე, არაგვის მარცხენა ნაპირზე, ჟინვალის სამხრეთით 10 კილომეტრზე აღნიშნულია სოფელი წობონა და მთა წობონო. დღესაც არსებობს ამ ადგილას სოფელი სახელწოდებით "წობანი".

1970 წელს ჟინვალის არქეოლოგიურ ექსპედიციაში მუშაობის დროს, ხალხში შეკრებილი მონაცემების მიხედვით დავადგინე, რომ ჟინვალის სამხრეთით, არაგვის მარცხენა ნაპირზე მდებარე მინდორს საკანაფე ანუ ბოდავის ხევამდე, რომლის სამხრეთით უკვე სოფ. ჩინთის ტერიტორია იწყება, ეწოდება წობენი ანდა წობნები. საინტერესოა, რომ კახეთში ცნობილია ვაზის ჯიში წობენურას სახელწოდებით. ხალხურ ლექსში იგი ახმეტურასთანაა დაპირისპირებული.

ბიბლიოთეკა

რამდენადაც არაგვის მარცხენა ნაპირზე სახელი "წობენი" რამდენჯერმე მეორდება მცირე ცვლილებებით (წობენი, წობნები, წობანი, წობანო) და აღნიშნავს სოფელს, მთას და სავენახე ადგილს, საფუძველი მაქვს დავუშვა, რომ წობენი გარკვეულ ტერიტორიულ თემს აღნიშნავდა. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს მე-7 ს-ის სომხურ გეოგრაფიაში მოხსენიებული თემის სახელწოდება "წობენორ"-ი. მას უნდა სჭეროდა ტერიტორია საგურამო-ხერკის ჩრდილოეთით ჟინვალამდე.

წობენი თუ მასთან ფონეტიკურად ახლო მდგომი სახელწოდებები (წობანი, წობანო) რამდენიმე პუნქტს მიემართება. ისმის კითხვა: აქედან რომელს უნდა მიეცეს უპირატესობა, როგორც წმ. ნინოს ქადაგებისა და მთიელთა ქრისტეს რჯულზე მოქცევის ადგილს? ასეთი უნდა იყოს ჟინვალთან (ისტორიულ ჟინვანთან) მდებარე წობენი. ჯერ ერთი, ამ ადგილს დღემდე უცვლელად შემორჩა "მოქცევაჲ ქართლისაჲში" დაცული ფორმა "წობენი". მეორეც, წობენის მინდვრის სამხრეთი საზღვრის - საკანაფე (ბოდორნის) ხევის პირას, თანამედროვე სოფ. ჩინთის ტერიტორიაზე, მის განაპირას მდებარე მინდორზე, ამოზიდულია 15 მეტრამდე სიმაღლის კლდე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა "ნინოს ქვას" უწოდებს. კლდეზე შეინიშნება კირხსნარისა და ქვის კედლის წყობის ნაშთი (სავარაუდოა, რომ ამ კლდეზე იყო აღმართული მთიელთა კერპები, რომელთა შემუსვრის შემდეგ აქედანვე იქადაგა წმ. ნინომ). მესამეც, სწორედ წობენის მინდორია (ანუ ჟინვანის მიდამოები) ის ადგილი, რომლის ზევით იწყება ისტორიული ფხოვი და ჭართალ-მთიულთ-გუდამაყარნი.

ფხოვი ინდენტიფიცირებულია ფშავ-ხევსურეთთან: ჭართალი-ანანურ-ციხისძირის ჩრდილოეთით მთიულთ-კარამდე (ხამუშას ციხე); გუდამაყრის თემი - გუდამაყრის ანუ შავი არაგვის ხეობაში, ხოლო მთიულეთი და წილკანის თემი - თეთრი არაგვის ხეობაში ჯვართა ყელამდე (ჯვრის უღელტეხილამდე).

წობენის მინდორი (და ჟინვანი) მთისწინეთია, სადაც ცენტრალურ ხელისუფლებას III-IV საუკუნეებისათვის უკვე მტკიცედ უნდა ჰქონოდა ფეხი მოკიდებული. სწორედ წობენის მოპირდაპირედ არანისის მახლობლად ე. წ."ზანდუკლიანთ ნავენახრებში" აღმოჩნდა ახ.წ. III ს.-ის ადგილობრივი დიდებულის "არმაზული ტიპის" მდიდრული სამარხები (არქეოლოგიური გათხრები რ. რამიშვილის ხელმძღვანელობით),

მთიელთა გაქრისტიანების აქტში უნდა ვეძიოთ კლასობრივი (ადრეფეოდალური) ბარის შეტევა წარმართული მთისაკენ. ეს შეტევა მე-4 საუკუნისათვის რელიგიურ ხასიათს ატარებს. შემდეგ საფეხურზე კი გორგასალის სახელს უკავშირდება და მხედრული აქციაა.

მეტად ნიშანდობლივია, რომ შუაფეოდალურ ხანაში ჟინვანი სამეფო ქალაქია. ჟინვანის ერთ-ერთი ციხე შუაფეოდალური ხანისა ჩანს და "თამარის ციხის" სახელწოდებას ატარებს. შესაძლოა, ეს ციხე მართლაც თამარის სახელს დაუკავშირდეს და თავისი ფუნქციით უნდა იყოს მთისაკენ ბარის შემტევი ციხე. ფაქტობრივად ხომ აქედან იწყება ფშავის არაგვის მთა; ჩრდილოეთითაა ისტორიული ფხოვი, რომელიც თამარის ცენტრალურ ხელისუფლებას და ფეოდალურ ბარს აუჯანყდა და, როგორც ჩანს, წარუმატებლად. განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში ჟინვანის ყველა უბანზე დუღს სიცოცხლე. ჟინვანი სამეფო ქალაქია, არაგვის ხეობაზე ცენტრალური ხელისუფლების ბატონობის საფუძველი.

არაგვის მარცხენა ნაპირზე მიმავალი გზა, რომელიც ნინომ გამოიყენა თავის სამისიონერო მოღვაწეობისათვის, წარმოადგენდა ამ ხეობაზე გამავალ ცენტრალურ მაგისტრალს. მე-5 საუკუნეში ამ გზით გადადის ვახტანგ გორგასალი ოსეთში. მასვე იყენებს მე-9 საუკუნეში ბუღა თურქი, როდესაც მიემართება არაგვის მთიელთა დასარბევად.

წობენიდან წმ. ნინო გადადის ერწო-თიანეთსა და კახეთში. შიგნით კახეთში სამისიონერო მოღვაწეობის დროს იგი ავად გამხდარა და გარდაცვლილა სოფ. ბოდინში (ახლანდელი ბოდბე), სადაც საეპისკოპოსო კათედრალში განისვენებს.

P.S. ძნელია სიტყვებით გადმოვცე ის განცდა, რომელიც დამეუფლა წობენისა და, განსაკუთრებით, იქ აღმართული "ნინოს ქვის" მიკვლევის დროს. ასეთი ბედნიერი იშვიათად თუ ვყოფილვარ. მქონდა შეგრძნება, რომ ნინოს ნაკვალევზე ვმოგზაურობ, რომ ვეხები წმინდანის ნატერფალს, რომლის შესახებაც ხსოვნა ასე ცხოვლად შემოუნახავს ხალხის მეხსიერებას.

# ფაქტები, მოგონებები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეო ბაბუნია

## ორი პორტრეტი

ჩემი ცხოვრების გზაზე არაერთ შესანიშნავ ადამიანს შევხვედრივარ. მაგრამ ყველაზე მეტად ბედმა დამაახლოვა ორ მათგანს, ლეო დავითაშვილსა და ხარლამპი ლლონტს. მათ საერთო არაფერი ჰქონდათ, გარდა იმისა, რომ ორივე დიდად აფასებდა დავით კლდიაშვილის შემოქმედებას. ორივე იშვიათი ნიჭის პატრონი იყო და ფრიად განათლებული ბუნებისმეტყველი. ერთმანეთს მხოლოდ შორიდან იცნობდნენ და დაახლოვების არც არავითარი სურვილი არ გამოუჩენიათ. არსებითად ანტიპოდები იყვნენ, სრულიად განსხვავებული ბუნების, ცხოვრების წესისა და მისწრაფებების ადამიანები. პირველი - სახელმოხვეჭილი მეცნიერი იყო, მეორე - ქართული კულტურის მოკრძალებული მოღვაწე და საზოგადო საქმისათვის თავდადებული კაცი. პირველს დიდი გასაჭირი არ შეხვედრია ცხოვრებაში, მეორეს არც გადასახლება დაჰკლებია და არც ციხე. ერთიც საკმაოდ რთული პიროვნება იყო და მეორეც. მათი პორტრეტების შექმნა, თუნდაც მხოლოდ მიახლოვებულის, საკმაოდ ძნელი საქმეა და მოითხოვს მწერლურ ნიჭს, რომელიც მე არ გამაჩნია. და თუ მაინც გადავწყვიტე მეცადა აღმედგინა ამ ორი შესანიშნავი პიროვნების სახე და მოკლედ შევხებოდი მათ ცხოვრებას, ეს უფრო იმით აიხსნება, რომ ახლა აღარავინ მეგულება ისეთი, ვინც ჩემზე უკეთ იცნობდა ან ერთს, ან მეორეს. უდავოა, რომ ქართული ხასიათის თავისებურებისა და ნიჭიერების გამომხატველი ეს ორი პიროვნება იმსახურებს განსაკუთრებულ ინტერესს და სპეციალურ გამოკვლევასაც კი, მაგრამ ეს უკვე გამოცდილი ისტორიკოსების საქმეა და მოითხოვს ვრცელი საფონდო და საარქივო მასალის შესწავლას. მე შემოვიფარგლები უმთავრესად ამ პორტრეტებისათვის დამახასიათებელი შტრიხების შემოხაზვით. რა თქმა უნდა, ვეცდები ავარიდო თავი ყოველგვარ შელამაზებას, რომ არ გამოვიდეს იმ ეპიტაფიის მსგავსი რამ, რომელზედაც ბაირონი ამბობდა, საფლავის ქვას აწერია არა ის, თუ ვინ იყო იგი, არამედ ის, თუ ვინ უნდა ყოფილიყო.

### ლეო დავითაშვილი

1979 წელს პალეონტოლოგთა მონპელიეს საერთაშორისო თათბირში ვმონაწილეობდი. დღის ბოლოს შემატყობინეს, რომ ჩემი ნახვა სურდა უნივერსიტეტში სტუმრად მყოფ სტრასბურგელ პროფესორს, მადმუაზელ ჟიეს. გამიკვირდა. პროფ. ჟიე აღარც მეგონა ცოცხალი (იმხანად უკვე 85 წელს ყოფილა გადაცილებული) და საერთო ინტერესებიც არა მქონია მასთან. მიმიყვანეს უნივერსიტეტის პალეონტოლოგიის ლაბორატორიაში, სადაც ხალისიანად შემომეგება ძალიან გამხდარი, მეტყველი სახისა და მკვირცხლი გონების ქალი, რომელმაც სწრაფად დამაყარა შეკითხვები ნამარხ მოლუსკებზე მომუშავე ქართველ სპეციალისტებზე და მთხოვა დაწვრილებით მომეთხრო ლეო დავითაშვილის უკანასკნელ დღეებზე. მერე თვითონაც დიდი მოწიწებითა და პატივისცემით მელაპარაკა ბ-ნ ლეოზე და ბოლოს მითხრა, რომ მის წერილებს სათუთად ვინახავ, როგორც ეპისტოლარული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებსო. რუსი კოლეგებისგანაც მსმენია, რომ დავითაშვილის გონებამახვილურ და ზოგჯერ გესლიან წერილებს ისინიც საგანგებოდ ინახავდნენ, მაგრამ ფრანგი მეცნიერის გაოცებამ და ბ-ნ ლეოს ფრანგულ ენაზე დაწერილი წერილებით მოხიბვლამ მაინც მოახდინა ჩემზე შთაბეჭდილება. მით უმეტეს, რომ ფრანგულს თურმე ინგლისურსა და გერმანულზე ნაკლებად ფლობდა. კარგად იცოდა აგრეთვე ლათინური და ბერძნული, ესპანური, იტალიური, პოლონური და თითქმის ყველა სხვა სლავური ენა. ჭეშმარიტი პოლიგლოტი იყო, თუმცა ზოგიერთი სხვა პოლიგლოტისაგან განსხვავებით, ის უცხო ენებს ღრმად, თუ შეიძლება ითქვას, მეცნიერულად ფლობდა. უცხო ენის მასწავლებელი, თუ გიმნაზიაში წლებს არ ჩავთვლით, მას არასოდეს არ ჰყოლია. ლათინურის გიმნაზიაში მიღებული ცოდნით მან საფუძველი შეიმზადა ევროპული ენების შესასწავლად, ხოლო დანარჩენი უკვე მისი იშვიათი ნიჭისა და ფენომენალური მეხსიერების ნაყოფი იყო.

ლეო დავითაშვილს პირველად სტუდენტობის დროს შევხვდი.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეხუთე კურსზე ვიყავი, როდესაც დაირხა ხმა, რომ ინსტიტუტის გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრას სათავეში ჩაუდგა მოსკოვიდან ჩამოსული სახელგანთქმული გეოლოგი და პალეონტოლოგი ლეო დავითაშვილიო, ავტორი პალეონტოლოგიის ცნობილი სახელმძღვანელოსი, რომლითაც უკვე მრავალი წლის განმავლობაში ასწავლიდნენ საბჭოთა კავშირის ყველა შესაბამისი პროფილის უმაღლეს სასწავლებელში.

კარგად მახსოვს მისი პირველი გამოჩენა ინსტიტუტში. აუდიტორიაში შემოვიდა საკმაოდ მაღალი ჭალარათმიანი და შავულვაშიანი კაცი, რომლის ჩამოგრძელებულ სახეს კიდეც უხდებოდა დიდი კეხიანი ცხვირი. სათვალის სქელი მინები ვერ ფარავდა მისი პატარა, ნაცრისფერი თვალების გამჭოლ მზერას. შარვალი მოკლე ჰქონდა და ჰალსტუხი ცოტა გვერდზე მოქცეული. ლექციის კითხვის მისი მანერა ძალიან სადა იყო და რაღაც თავისებური მონოტონურობით ხასიათდებოდა. თავს არ გვაწონებდა არც მოხდენილი შედარებით და არც ამა თუ იმ მნიშვნელოვანი ფაქტის აქცენტირებით. გვიკითხავდა საბ-

ბიბლიოთეკა

ჭოთა კავშირის გეოლოგიის შესავალს. ლექცია უფერული და მოსაწყენი გვეჩვენებოდა, და მხოლოდ ბევრად უფრო გვიან მივხვდით, რომ თითქმის ყოველი მისი ლექცია დასრულებული გამოკვლევა იყო, გარეგნულ ეფექტებს მოკლებული, მაგრამ ორიგინალური და ნოვატორული. ამიტომ საგნის მომზადება მხოლოდ მისი ლექციების კონსპექტით იყო შესაძლებელი და მთელი ჯგუფი ლექციების ჩაწერაში გაწაფული ორი სტუდენტის იმედად რჩებოდა.

გაზაფხულზე, გამოცდის შემდეგ საფუძვლიანი საუბარი გვმიბა. არსებითად ეს იყო პალეონტოლოგიის დარგში მუშაობის შემოთავაზება. როგორც წესი, მითხრა მან, პალეონტოლოგიას სუსტი ჯანმრთელობის მქონე ხალხი მისდევს - გეოლოგები, რომლებიც საველე სამუშაოების სიძნელეს ვერ უძლებენ ანდა ისეთნი, სივრცობრივი წარმოდგენა რომ ღალატობს და, მაშასადამე, გეოლოგებად არ ვარგანანო. საუკეთესო შემთხვევაა, თუ ჯანმრთელი ხარ და მეტ-ნაკლებად გეოლოგიაშიც ერკვევიო; თქვენ სწორედ ასეთი ახალგაზრდის შთაბეჭდილებას სტოვებთო, მე კი - დასძინა ბ-მა ლეომ - უფრო პირველ კატეგორიას ვუახლოვდები და ჩემი გაპალეონტოლოგებაც ამით იყო განპირობებულიო. პირველად ვუსმენდი დავითაშვილს და ყოველ მის სიტყვას ვუჯერებდი. მხოლოდ გვიან გავიგე, რომ უყვარდა თურმე თავის მოკატუნება: გეოლოგიაშიც ისეთივე ძლიერი იყო, როგორც პალეონტოლოგიაში.

მამათქვენს რამდენჯერმე შევხვედრივარ, - განაგრძო მან, - უპირველესი გეოლოგი იყო, საინტერესო მოსაუბრე და თავაზიანი ადამიანი. თუმცა ერთხელ, მართალია მისდა უნებურად, ისეთი რამ მითხრა, რომ, როგორც გეოლოგს, მაინც გულზე მომხვდა. ერთ უხეირო გეოლოგზე თქვა, ის რა გეოლოგია, შტოლნაც კი არ უნახავსო - გავჩუმდი, რადგან შტოლნა არც მე მენახაო, დააყოლა მან ღიმილით.

გავიდა წელიწადზე მეტი. უკვე ქვანახშირის საძიებო ტრესტში ვმუშაობდი ინჟინრად, დავითაშვილს რომ შიო ჩიტაძის ქუჩაზე შევხვდი. აღარც მეგონა, თუ მიცნობდა. მან კი გამაჩერა და ამჯერად კიდევ უფრო უცნაური სახით შემომთავაზა პალეონტოლოგიის გზას დავდგომოდი. ასპირანტურის ერთეული გამოუყვეს ჩვენს კათედრასო, მითხრა მან. კიდეც მყავს შერჩეული კანდიდატი, რომელსაც აუცილებლად მხარი უნდა დავუჭირო, რადგან მამამისს, ძალიან ცნობილ და პატივსაცემ მეცნიერს დავპირდი; კარგი იქნებოდა თქვენც მიგეღოთ კონკურსში მონაწილეობაო. მადლობა მოვახსენე, მაგრამ იქვე გადავწყვიტე ამ წინადადებაზე სერიოზულად არ მეფიქრა. ერთგვარ უხერხულობასაც რომ თავი დავანებოთ, ასეთ არახელსაყრელ პირობებში კონკურსში მონაწილეობა უაზრობად მივიჩნიე. ერთი თვის შემდეგ დავითაშვილმა შემომითვალა, რომ მის მიერ შერჩეული კანდიდატი რაღაც გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო გამოეთიშა კონკურსს და დაუყოვნებლივ შემოიტანეთ საბუთებიო. მალე გავხდი მისი ასპირანტი და ჩვენი ხანგრძლივი ურთიერთობაც იმ მომენტიდან დაიწყო.

ბ-მა ლეომ თავიდანვე გამომიცხადა: "მე არ ვეკუთვნი იმ მეცნიერ-ხელმძღვანელთა რიცხვს, ასპირანტებს რომ სათბურის მცენარეებივით უვლიან, ყოველდღე რწყავენ და აკვირდებიან. მე თქვენ მოგცემთ სადისერტაციო თემას, მუშაობის მიახლოებით გეგმას; დაგითმობთ ჩემს შეუსწავლელი ნამარხი მასალის ნაწილს, რაც რამდენადმე გაგიადვილებთ საქმის დაწყებას. დანარჩენი უკვე თქვენზეა დამოკიდებული. მხოლოდ ერთი პირობა უნდა ჩამოგართვათ. დღეიდანვე უნდა შეუდგეთ დარვინის "სახეობათა წარმოშობის" შესწავლას. ჩემი პალეონტოლოგიაში წვრთნაც "სახეობათა წარმოშობით" დაიწყო.

ბ-ნი ლეო იმ დროს მოსკოვშიც განაგრძობდა მუშაობას და წელიწადის უმეტეს დროს ამ ქალაქში ატარებდა. ხშირად მიხდებოდა მასთან ჩასვლა; მით უმეტეს, რომ, როგორც ითქვა უკვე, მოსკოვის გეოლოგიურ-საძიებო ინსტიტუტში დაცული საკუთარი კოლექცია მან დასამუშავებლად გადმომცა. უყვარდა ძველი მოსკოვი. დამატარებდა მის მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში და ხან წარსულის ამბებს იგონებდა და ხან კი ახლო მომავლის გეგმებს აწყობდა. ამ სეირნობის დროს მოთხრობილმა ამბებმა მისი ოჯახის ისტორია და ბავშვობისა თუ სიყრმის წლები გამაცნო. მამამისი, შიო დავითაშვილი, გორის მკვიდრი იყო. იგი ახალგაზრდობიდანვე აქტიურად ჩაება თურმე ხალხოსნურ მოძრაობაში. თავადაზნაურობის დაუძინებელი მტერი იყოო, მითხრა ბ-მა ლეომ, მაგრამ აკაკი წერეთელს ეთაყვანებოდა. ეს მისი განწყობილება მემკვიდრეობით გადმოსცემოდა, როგორც ჩანს, მის შვილსაც, ბ-ნ ლეოს, რომლის სამუშაო ოთახს ბოლომდე ამშვენებდა აკაკისა და დარვინის პორტრეტები. რომში გამოქვეყნებულ იმ პირთა ვრცელ სიაში, რომლებიც იტალიის მთავრობას გარიბალდის გარდაცვალების გამო სამძიმარს უცხადებდნენ, ერთი ქართველი ჟურნალისტის შიო დავითაშვილის სახელიც იყოო, - მიყვებოდა ბ-ნი ლეო. პირველი ცოლისაგან შიოს ორი ვაჟი ჰყოლია - ორივე უსწავლელი გლეხი, რომლებიც ადრე გარდაცვლილან, კოლექტივიზაციის წლების დასაწყისში. მათთან ლეოს ურთიერთობა არ ჰქონია. მეორე ცოლისაგან ეყოლა ქალიშვილი, შემდგომში ცნობილი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი ნინო დავითაშვილი, ხოლო მესამისაგან - ვაჟი ლეო. ნინოს ბ-ნი ლეო ხშირად იგონებდა. მშობლებისაგან არ მახსოვს ისეთი ალერსი და სიყვარული, როგორიც მისგანო. მიყვარდა მასთან მისვლა იმიტომაც, რომ ნინოს ხშირი სტუმრები იყვნენ მაიკო საფაროვა-აბაშიძე, ნატო გაბუნია, ვასო აბაშიძე და სხვა გამოჩენილი მსახიობები და მის ოჯახში მუდამ მხიარულება სუფევდაო; ვასო აბაშიძე უბადლო კომიკოსი იყო - ისე ბაძავდა ახლობლებს და ისე გვიყვებოდა თითქოსდა უმნიშვნელო ამბავს, რომ სიცილით ვიხოცებოდით; იმპროვიზაციის დიდი ოსტატი იყო, არაჩვეულებრივი, მეტყველი მიმიკისა და ჟესტიკულაციის წყალობით შეეძლო განუმეორებელი მუნჯური სცენების გათამაშება. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოუხდენია პატარა ლეოზე შემთხვევას, როდესაც ვასომ მოულოდნელად წარმოადგინა, თუ რა გაჭირვებით იცვამდა მაკოს ნაყიდ ახალ ტანსაცმელს, რომელიც ვიწრო გამოსდგომია.

აშკარა იყო შიოს დიდი გავლენა შვილზე. ძველი სლავურის ისეთი მცოდნე არ შემხვედრიაო, იგონებდა ბ-ნი ლეო. სწორედ მამამისისაგან გამოჰყვა, როგორც ჩანს, უცხო ენების დაუფლების იშვიათი ნიჭი, მებრძოლი სული და მიზანსწრაფვა გიმნაზიას რომ ამთავრებდა, უკვე ისე გამოიჩინა თავი ფილოსოფიის საფუძვლების ცოდნით, რომ ზოგიერთნი ურჩევდნენ სწავლის ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარგში გაგრძელებას უცხოეთში, მაგრამ ბუნებისმეტყველების ინტერესმა და დარვინის მოძღვრებით გატაცებამ ("სახეობათა წარმოშობა" მისთვის სალოცავ წიგნად ქცეულა) გადასძლია და ახალგაზრდა ლეომ მოსკოვის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტს მიაშურა.

სამოქალაქო ომის წლებში ახალგაზრდა ლეოს ძალიან გაუჭირდა მოსკოვში ცხოვრება და დროებით შეუწყვეტია უნივერსიტეტში სწავლა. მეოთხე კურსის სტუდენტი იყო, რომ დაბრუნდა თბილისში, სადაც რომელიღაც დაწესებულებაში დაიწყო მუშაობა ბუხჰალტრად (საგულისხმოა, რომ ამ დროს მან თარგმნა გერმანულიდან რუსულად და გამოსცა საკმაოდ სქელტანიანი "საბუხჰალტრო საქმე"). თითქმის ორი წლის ინტერვალის შემდეგ მან კვლავ განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლა, ხოლო შემდეგ უკვე მოსკოვის ნავთობის ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა პალეონტოლოგიის მასწავლებლად.

საქართველოში საბოლოოდ რომ დაბრუნდა, დავითაშვილი უკვე აღიარებული იყო რუსეთში როგორც ევოლუციური მოძღვრების დიდი მცოდნე. მისი პალეონტოლოგიის სახელმძღვანელოს დიდი წარმატებაც სწორედ იმით იყო შეპირებული, რომ მან პირველად მსოფლიო ლიტერატურაში ნამარხ ორგანიზმთა მდიდარი სამყარო დარვინის იდეების შუქზე წარმოგვიდგინა. ამ დროს უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა "იდეებისა და მეთოდების განვითარება პალეონტოლოგიაში დარვინის შემდეგ" (1940).

მოსკოვის ქუჩებში სეირნობის დროს ბ-ნი ლეო დაწვრილებით მიყვებოდა საბჭოეთში პალეონტოლოგიის განვითარების გეგმაზე და მიზიარებდა თავის მოსაზრებებს უმნიშვნელოვანეს მეცნიერულ პრობლემებზე. მას განზრახული ჰქონდა თბილისში შეექმნა პალეიბიოლოგიური უჯრედი და საქართველოდან დაეწყო ამ დარგის გარდაქმნის, ახლებურ დარვინისტულ ლიანდაგზე გადაყვანის დიდი საქმე. იგი გაბედულად უპირისპირდებოდა პალეონტოლოგიის მოსკოვურ და ლენინგრადულ სკოლებს და ამ სკოლების სათავეში მყოფ განთქმულ მეცნიერებს. ამ თამამი გეგმების განხორციელების რეალობა ეჭვს ბადებდა, მაგრამ ისეთი მტკიცე რწმენისა და შეუპოვრობის ეჭვის ქვეშ დაყენებას ვერ ვბედავდი; მით უფრო, რომ უკვე ვიცოდი, მასთან შეკამათებას კარგი არაფერი მოჰყვებოდა. მოსკოვში დავრწმუნდი, რომ თუმცა დავითაშვილი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა და მას დიდ ანგარიშს უწევდნენ, მისდამი პატივისცემას ხშირად რაღაც შიშისა და კრძალვის გრძნობაც ახლდა. ვინც იცნობდა, მასთან შედავებას და მის გახელებას ერიდებოდა. როგორც გაირკვა, ამისათვის საფუძველი საკმარისი ჰქონდათ. ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში აქვეყნებდა იგი მახვილ პოლემიკურ წერილებს, მიმართულს დარვინიზმის გაყალბებისა და ბუნებისმეტყველებაში სხვადასხვა ყაიდის რეაქციული იდეების გაბატონების შესახებ. ეს წერილები, განსაკუთრებით მათი იდეოლოგიური მიმართულება, აღიზიანებდა ბ-ნ ლეოს რუს კოლეგებს.

ბ-ნმა ლეომ მომიყვა. დავითაშვილის კრიტიკით განაწყენებულმა მოსკოვის უნივერსიტეტის ერთმა პროფესორმა 1937 წ საბოლოოდ გაიმეტა იგი: დაასმინა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში. - შუაღამე ახლოვდებოდა, როდესაც გამომიძახეს ამ დაწესებულებაში. ძნელი მისახვედრი არ არის, რა გუნებაზე დავდგებოდი. საკმაოდ სოლიდური ასაკის განყოფილების გამგემ მიმილო და გამაცნო "ბრალდება", რომლის თანახმად მე მადანაშაულებდნენ დაშნაკთა პარტიის მხარდაჭერაში. გავშმაგდი (წარმომიდგენია, რა ისტერიკას მოუწყობდა იგი ჩინოსან ჩეკისტს). დავიწყე ყვირილი, მე და დაშნაკიო? ქართველ კაცს რომ დაშნაკობას აბრალებთ, ვერ ხვდებით, რომ საქვეყნოდ იჭრით თავს? ამ "თხზულების" ავტორს დასმენაც არ სცოდნია, სრულიად უვიცი და უბადრუკი ყოფილა-მეთქი.

ზოგიერთ შემთხვევაში დავითაშვილის მწვავე რაექციას დადებითი შედეგიც მოჰყოლია. ლენინგრადის უნივერსიტეტში სადოქტორო დისერტაციას იცავდა აწ განსვენებული ფარნაოზ მჭედლიშვილი. ოპონენტმა, პრფ. ნ. ილინამ თავისი მკაცრი რეცენზიის ბოლოს განაცხადა: დისერტანტი რუსულშიც ხშირად სცოდავსო. რამდენიმე წუთის შემდეგ დავითაშვილმა სიტყვა მოითხოვა: პროფ. ილინამ, თქვა მან, დისერტანტს მისცა რიგი სერიოზული შენიშვნებისა, რაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ნაშრომის გამოსაცემად მომზადების დროს, ხოლო რაც შეეხება ენობრივ შეცდომებს, სამწუხაროდ, ზოგჯერ მათი თავიდან აცილება, ეტყობა, არც ისე იოლია. მე ახლა გადავხედე პროფ. ილინას რეცენზიას და პირველ სამ გვერდზე 7 შეცდომა შევნიშნე. მერე აღარ გავაგრძელე კითხვაო - დასძინა მან. დარბაზში სიცილი ატყდა და კრიტიკული განწყობილება, პროფ. ილინას ბოლო შენიშვნამ რომ გამოიწვია, თანდათან გაქარწყლდა.

40-იანი წლების მიწურული მეტად დაძაბული ხანა იყო ლ. დავითაშვილის ცხოვრებაში. ამ დროს დაამთავრა და გამოსაცემად ამზადებდა თავის ერთ-ერთ უმთავრეს გამოკვლევას, რომლის გამოქვეყნება მოულოდნელად წააწყდა დიდ სიძნელეს. ლისენკოს ბატონობის ეპოქა იყო და ბუნებისმეტყველების ყველა დარგის ნაშრომს, რომელიც მის ახალ "მოძღვრებას" ეწინააღმდეგებოდა, ყადაღა ედებოდა. ასეთი საფრთხე შეექმნა ბ-ნ ლეოს მონოგრაფიასაც. რედაქციამ მოსთხოვა ზოგიერთი ადგილის წიგნიდან ამოგდება, ხოლო ზოგიერთის გადამუშავება. ავტორს ან უნდა გამოეჩინა მაღალი პრინციპულობა და უარი ეთქვა მისი ფუნდამენტური ნამუშევრის, თითქმის უკვე ბოლომდე აწყობილი წიგნის გამოცემაზე, ანდა გარკვეულ დათმობაზე უნდა წასულიყო და ასე თუ ისე დაეგვირგვინებია მრავალი წლის წინათ დაწყებული საქმე. დიდი ყოყმანისა და განცდების შემდეგ მან მეორე გზა აირჩია. მაგრამ წიგნიდან თითქმის არაფერი ამოუგდია, გადასამუშავებელი ადგილები ისე შეცვალა, რომ ვერ გაიგებდი, ლისენკოს ეთანხმებოდა, თუ ეწინააღმდეგებოდა. სახეობის ევოლუციაზე გარემოს გავლენის საკითხში იგი თითქოს უახლოვდებოდა ლისენკოს თვალსაზრისს. უმთავრესად ამ პრობლემის კვლევის გაღრმავებაზე გაამახვილა მან ყურადღება. საქმე ისაა, რომ დავითაშვილი ადრევე ავითარებდა აზრს, რომ სახეობათა ცვალებადობას მიმართული ხასიათი აქვს და რომ ამ მიმართულებას იგი გარემოს უშუალო გავლენით იძენს. ეს მრავალრიცხოვან პალეონტოლოგიურ დაკვირვებებზე დაყრდნობილი დებულება ეწინააღმდეგება თანამედროვე გენეტიკის ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს, რომლის თანახმად ინდივიდის არსებობის მანძილზე

შეძენილი თვისებები მემკვიდრეობით არ გადადის. ეს მეტად რთული პრობლემაა და აქ ჩვენ ამაზე ყურადღებას ვერ გავამახვილებთ. უნდა აღინიშნოს მხოლოდ, რომ დავითაშვილის იდეა ცვალებადობის მიმართული ხასიათის შესახებ არ არის უსაფუძვლო, მაგრამ საჭიროა როგორმე მივუსადაგოთ იგი გენეტიკის უახლეს მონაცემებს (თუ მივიღებთ ცვალებადობის მიმართულ ხასიათს, რაზეც თითქოს ნამარხი მასალა მეტყველებს, უფლება გვექნება დავასკვნათ, რომ მან ხელი უნდა შეუწყოს ბუნებრივი გადარჩევის პროცესის დაჩქარებას და ამგვარად განაპირობოს ევოლუციის მაღალი ტემპი). მართალია, გადამუშავებული სახით წიგნი გამოქვეყნდა და სტალინის პრემიაც დაიმსახურა (1949 წელს ბიოლოგიის დარგში მხოლოდ ორ მეცნიერს მიენიჭა სტალინის პრემია, ტრ. ლისენკოსა და ლეო დავითაშვილს), მაგრამ საბოლოო ჯამში მისი უკმაყოფილონი დარჩნენ ლისენკოც (ღმერთო დამიფარე დავითაშვილისთანა მომხრეებისაგანო, უთქვამს თურმე მას) და ჩაჩუმებული ანტილისენკოელელებიც. პირველს არ მოსწონებია ბ-ნ ლეოს "დათმობები" და მისკენ მიმართული არაფრისმთქმელი რევერანსები, ხოლო მეორეთათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა ლისენკოს საწინააღმდეგო იდეების შერბილების ცდა და ცვალებადობის მიმართული ხასიათის დავითაშვილისეული კონცეფციაც ლისენკოს "მოძღვრების" მხარდაჭერას ნიშნავდა.

ამასობაში მე რამდენადმე შევიცვალე პროფილი. უხერხემლოთა პალეონტოლოგიიდან გადავინაცვლე ხერხემლიანთა პალეონტოლოგიაში, რის გამოც მთელი წლით გადავსახლდი მოსკოვში, სადაც უნივერსიტეტის ზოოლოგიის ფაკულტეტზე ხერხემლიანთა შედარებით ანატომიის დიდ პრაქტიკუმს ვესწრებოდი. ამ პერიოდში კიდევ უფრო ხშირად ვხვდებოდი ლეო დავითაშვილს, რომელიც ზოგჯერ თვითონ მაკითხავდა ბინაზე. იგი სულ უფრო ხშირად მიზიარებდა თავის გეგმებს თბილისში, მიყვებოდა ევოლუციური პალეონტოლოგიის უჯრედის შექმნის შესახებ. მისი რჩევით, ფრანგულიდან რუსულად ვთარგმნე ევოლუციური პალეონტოლოგიის ფუძემდებლის ვლ. კოვალევსკის კლასიკური მონოგრაფია ცხენისნაირთა პალეონტოლოგიური ისტორიის შესახებ, რაც შესანიშნავი წვრთნა იყო ჩემთვის ხერხემლიანთა პალეონტოლოგიასა და დარვინიზმის საფუძვლებში.

ბ-მა ლეომ აგრეთვე შემომთავაზა ვლ. კოვალევსკის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა, რისთვისაც საჭირო იყო ამ თხზულებათა არა მარტო ფრანგულიდან, ინგლისურიდან და გერმანულიდან რუსულად თარგმნა, არამედ მათი გაანალიზება მეცნიერების თანამედროვე მიღწევათა შუქზე და ვრცელი კომენტარის მომზადება. ამ საქმეში ჩავრთე ჩემი თანამემამულეები, ბიოლოგები ლევან ნათაძე და გივი თუმანიშვილი. საერთო რედაქცია და შესავალი ნაწილის დაწერა იკისრა დავითაშვილმა. მალე მოსკოვის გამომცემლობის ჩვენს ნაცნობ რედაქტორთან ხელშეკრულება გავაფორმეთ და სამ წელიწადში მკითხველს კოვალევსკის თხზულებათა სამტომეული მივაწოდეთ. იმავ ხანებში დაკმაყოფილებულ იქნა ლ. დავითაშვილის შუამდგომლობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან პალეობიოლოგიის სექტორის შექმნის შესახებ. 1951 წ. დასაწყისიდან ეს ახალი საკვლევო დაწესებულება მწყობრში ჩადგა, ხოლო 1957 წლიდან იგი გარდაიქმნა ბიოლოგიისა და მედიცინის განყოფილების ინსტიტუტად. ამ დროისათვის ბ-ნ ლეოს უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა პალეონტოლოგიის სრული კურსი და, გარდა "ევოლუციური პალეონტოლოგიის ისტორიისა", რომელმაც სტალინის პრემია მოიპოვა, გამოკვლევები ევოლუციურ პროცესზე, სახეობათა ამოწყდომისა და სქესობრივი გადარჩევის შესახებ და ზოგიერთი სხვ. ამ უკანასკნელმა, რომელიც შემდგომ მოსკოვში ცალკე წიგნად გამოიცა, დიდი გამოხმაურება პოვა. აქ ავტორმა კოლოსალური ნამარხი მასალის შესწავლის საფუძველზე დაგვანახა, თუ რა დიდსა და ზოგჯერ გადამწყვეტ როლს ასრულებდა ცხოველთა ევოლუციაში ბუნებრივი გადარჩევის ის სახე, რომელსაც დარვინმა სქესობრივი გადარჩევა უწოდა.

პალეობიოლოგიის ინსტიტუტში დავითაშვილმა ნიჭიერი ახალგაზრდები შემოიკრიბა. დაიწყო ნამარხი მასალის მოპოვება და ინტენსიური კვლევა. იყო წლები, როდესაც ჩვენი პატარა ინსტიტუტი, რომელიც იმ დროს 40 თანამშრომელს თუ ითვლიდა, წელიწადში, გარდა შრომათა კრებულისა და ცალკეული წერილებისა, 7-8 მონოგრაფიას აქვეყნებდა. მისი ავტორიტეტი სულ უფრო მატულობდა, ხოლო აღიარება შორს სცილდებოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ფარგლებს. ეს ლეო დავითაშვილის დიდი გამარჯვება იყო.

საბჭოთა კავშირში მას უკვე თეორიული პალეონტოლოგიის ლიდერად მიიჩნევდნენ. მრავალტომიან "პალეონტოლოგიის საფუძვლებში", რომელსაც საკავშირო აკადემია ამზადებდა, თეორიული თავების დაწერა მთლიანად მას მიენდო. პოლიტიკური სიტუაციის შეფასებაში ბ-ნი ლეო არ იყო ძლიერი, არც მომავლის განჭვრეტა ეხერხებოდა. ამ უპარტიო კაცისათვის ძალიან ახლო იყო კომუნისტური მორალი და მისი ერთგვარი შეზღუდულობაც აქედან გამომდინარეობდა. ძალიან გაჯავრდა (ასეთ შემთხვევაში წითლდებოდა და იწყებდა ხელების ფშვნეტას). როდესაც სტალინის გარდაცვალების პირველსავე დღეებში გამოვთქვი ვარაუდი, რომ მალე სტალინის პიროვნების დაკნინების მოწმენი გავხდებით, ამისი ნიშნები უკვე იგრძნობა-მეთქი. - ეს სულ თქვენი ფანტაზიის ნაყოფია, - მომაძახა მან.

ბ-ნმა ლეომ შესანიშნავად იცოდა მითოლოგია და მსოფლიოს ხალხების ისტორია. მან იცოდა ბევრი ისეთი ისტორიული ფაქტი, რომელსაც ძნელად თუ ამოიკითხავდი სადმე. ვწუხვარ, რომ ზოგი მისი ნაამბობი არ ჩავიწიშნე და არ დავაზუსტე. მაგალითად, აღარ მახსოვს, რა ძველი გამოცემა იყო ის, სადაც მან მიმითითა დოკუმენტი, რომელიც მოგვითხრობდა იმის თაობაზე, თუ როგორ შესთავაზეს XIX საუკუნის დასაწყისის რუსეთის გავლენიანმა სამხედრო პირებმა პეტრე ბაგრატიონს რუსეთის მეფის ტახტის დაკავება (პეტრეს მტკიცე უარი უთქვამს და კიდეც დაუსაბუთებია უარის მიზეზი). მაგონდება მეორე შემთხვევა, როდესაც უცხოური წიგნების დასტიდან გამოაძვრინა ძველი ფრანგული გამოცემა და წამიკითხა ნაპოლეონის სიტყვა, რომლითაც მან მიმართა ეგვიპტელებს. ეს მიმართვა, რამდენადაც მახსოვს, იწყებოდა სიტყვებით: ეგვიპტელებო, საუკუნეთა მანძილზე თქვენ გჩაგრავდნენ და გძარცვავდნენ ქართველები, ჩერქეზები და ა. შ. (ც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხადია, რომ მამელუკები იგულისხმებოდნენ). ეს მეორე ფაქტი, ვგონებ, უფროა ცნობილი ისტორიკოსთა წრეში, ვიდრე პეტრე ბაგრატიონისათვის რუსთა მეფის ტახტის შეთავაზება (ამ ამბის მცოდნე ჯერ არავინ შემხვედრია). ხშირად მაცნობდა ცნობილ მოღვაწეთა იშვიათ წერილებს (სწორედ მისგან გავიგე, რომ თურმე მარქსი ერთ თავის მეგობარს წერდა, მე მარქსიზმთან საერთო არაფერი მაქვსო. დაუსრულებლად შეიძლებოდა ბ-ნ ლეოსთან საუბარი მხატვრულ ლიტერატურაზე, თუმცა მის გემოვნებას მუდამ ვერ ვიზიარებდი. ზოგიერთი მწერალი წინასწარ ჰყავდა ამორჩეული, არც წაეკითხა და არც მათი სახელის გაგონება უნდოდა (მაგალითად, ჰიუგოსი). ზოგიერთი კი წაეკითხა არა მარტო დედანში, არამედ ყველა მისთვის მისაწვდომ ენაზე თარგმნილიც (მაგალითად, სერვანტესი). შვეიკის თავგადასავალი ყველაზე უკეთ გერმანელებს უთარგმნიათ - მითხრა მან ერთხელ, ხოლო ქართულ თარგმანს ეტყობა, რომ ბევრი მისი ადგილი რუსულიდან არის გადმოღებულიო. გოგოლს აღმერთებდა, დიკენსს პროზის უგვირგვინო მეფედ მიიჩნევდა. შექსპირი დაუპყრობელი მწვერვალია, ხოლო რუსთაველს მართლაც ძნელად თუ მოეპოვება ბადალიო, აღფრთოვანებით ლაპარაკობდა დავით კლდიაშვილზე. ძალიან მოსწონდა აკაკისა და ვაჟას პოეზია და მიხეილ ჯავახიშვილის პროზა. რუსულ მწერლობას ზედმიწევნით კარგად იცნობდა. ხშირად ახსენებდა გოგოლის, სალტიკოვ-შჩედრინის და გონჩაროვის გმირებს, ხოლო ჩეხოვის ზოგიერთი ნაწარმოები ზეპირად იცოდა. ერთხელ მისი მოთხრობები გი დე მოპასანის ნოველებს შეადარა: რამდენად უკეთესია პირველი მათგანი - მითხრა მან და კიდეც განმარტა - რუსი მწერლის მოთხრობებში მეტია სიკეთე, სინატიფე და სიღრმეო. უყვარდა წერილების კითხვა. კერძოდ, სიამოვნებით კითხულობდა იმავ ჩეხოვის წერილებს, რომელიც შთაბეჭდილებას ახდენდა მასზე თავისი მოქალაქეობრივი პოზიციითა და ობიექტურობით. რუსი კლასიკოსების უმეტესობისაგან განსხვავებით, იგი სრულიად მოკლებულია ეროვნულ შეზღუდულობასო - დაასკვნა მან და ნათქვამის დასადასტურებლად წამიკითხა ნაწყვეტი ჩეხოვის სუვორინისადმი (მისი გამომცემელი იყო) მიწერილი წერილიდან, რომლის შინაარსი კარგად დავიმახსოვრე: - ბევრს ვლაპარაკობთ იმის თაობაზე, რომ ინგლისელები ინდოელებს ექსპლოატაციას უწევენო, მაგრამ ისინი თავიანთი კოლონიების მოსახლეობას შესანიშნავად აღჭურვილ საავადმყოფოებს უშენებენ, თანამედროვე დონის სასწავლებლებსა და ბიბლიოთეკებს, ჩვენ კი?! ექსპლუატაციას ვუწევთ და არც არაფერს ვაძლევთო. ბ-ნ ლეოს აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც შეიტყო, რომ ნონა გაფრინდაშვილმა რომელიღაც საერთაშორისო ტურნირში ყველა პარტია მოიგო. ოთახიდან ოთახში დადიოდა და თავის სიხარულს ყველას უზიარებდა. არ იყო მუსიკის დიდი მოყვარული, მაგრამ ჩვენი შემსრულებლების ყოველ გამარჯვებას საერთაშორისი კონკურსებში არაჩვეულებრივი ენთუზიაზმით ეგებებოდა.

ძალიან უყვარდა ანეგდოტებისა და კიდევ უფრო მეტად ჭორების მოსმენა. ერთხელ სერიოზულად მისაყვედურა: «თქვენ თუ ნ-ის გათხოვების ამბავი იცოდით, აქამდე როგორ არ მითხარითო. ჩვეულებრივ დიდი ხალისით ესწრებოდა ბიოლოგიისა და მედიცინის განყოფილების სხდომებს. გამომიტყდა განყოფილების აკადემიკოსმდივანი, აკად. კოწია ერისთავი, ენამოსწრებული კაცია, ძველ ამბებსაც შესანიშნავად ყვება და ხშირად აკადემიკოსებს ისეთ "სისულელეებს" ათქმევინებს ხოლმე, რომ უკეთეს გასართობს ვერაფერს მოისმენო. ზოგჯერ მიყვებოდა ამ "სისულელეებს" და სიამოვნებას ვერ ფარავდა. საერთოდ მწარე ენა ჰქონდა. ბოლო დროს ივ. ბერიტაშვილისა და ნ. მუსხელიშვილის გარდაცვალების შემდეგ უკლო აკადემიაში სიარულს, მაგრამ როდესაც რაღაც საქმეზე მაინც მოუხდა პრეზიდიუმში მისვლა, უკმაყოფილო დაბრუნდა: ჩემთვის გასაგებ ენაზე ველარავის ველაპარაკებიო - მითხრა მან. არც ცინიზმი იყო მისთვის უცხო. ამა და ამ კაცს უსინდისოდ მოვექეციო, გაიხსენა მან ერთი ძველი ამბავი, მაგრამ გეგულებათ კი ვინმე, ვისაც სიცოცხლეში ერთი უსინდისო საქციელი მაინც არ ჩაედინოსო, უსინდისობა ადამიანის დამახასიათებელი თვისებააო. არც ურჯუკობა იყო მისთვის ძალიან უცხო. სწორედ ჩემზეა ნათქვამი - თუ სულელი ხარ, სულელად დარჩებიო - უთქვამს მას ჩემთვის, - ბევრ შეცდომას ჩავდივარ და ჭკუას მაინც ვერ ვსწავლობო. ასეთ თვითგვემაზე მე ჩვეულებრივ არ ვრეაგირებდი, რადგან ვიცოდი, რომ ამას მხოლოდ უარყოფითი რეაქცია მოჰყვებოდა.

დავითაშვილმა იცოდა სხვისი გასაჭირის გულთან ახლო მიტანა და დახმარება სიტყვითაც და საქმითაც. მისი იშვიათი გულისხმიერების მრავალი მაგალითი შეიძლება გავიხსენოთ. ერთი განსაკუთრებით ჩამრჩა მეხსიერებაში. მისმა ძველმა მეგობარმა შეატყობინა მოსკოვიდან, რომ სწორი ნაწლავის რაღაც დაავადება აღმოაჩნდა, რომელსაც ქირურგები ვერაფერს უხერხებენო. გამოირკვა, რომ ახალგაზრდობაში თვით ბ-ნ ლეოსაც გადაუტანია ეს ავადმყოფობა და ქირურგიულმა ჩარევამ უშველა. ამის შესახებ დავითაშვილის მეგობარს უთქვამს თავისი მკურნალი ექიმისათვის, მაგრამ მოსკოველმა დასტაქარმა განუცხადა, რომ დღევანდელ ქირურგიულ პრაქტიკაში მსგავსი რამ არ არსებობს და არც მისი აღწერა შეგვხვედრიაო. მაშინ ბ-მა ლეომ განიზრახა ამ ოპერაციის დაწვრილებით აღწერა და ყველა მისი თანმიმდევრული ეტაპის სრულად აღდგენა. მან ვრცელი მასალა (მანქანაზე ნაბეჭდი 4 გვერდი) გაუგზავნა თავის მეგობარს, ხოლო უკანასკნელმა გადასცა მოსკოველ სპეციალისტებს. ერთი თვის შემდეგ ბ-ნ ლეოს მოუვიდა მოსკოველი მეგობრისა და მისი მკურნალი ექიმის ვრცელი მადლობის წერილი. თურმე დასტაქარს წარმატებით გაუკეთებია მისი მეგობრისათვის ბ-ნ ლეოს მიერ აღწერილი ოპერაცია და ავადმყოფიც სულ მთლად განკურნებულა. და რამდენ თავის თანამშრომელს გაუწოდა ბ-ნმა ლეომ დახმარების ხელი, რამდენს დაეხმარა გონივრული რჩევით და ზოგჯერ საქმეში ჩარევითაც.

მაგრამ ძალიან სწრაფად ეცვლებოდა გუნება-განწყობილება. დღეს რომ შეურაცხყოფას მიაყენებდა ვისმე და ლამის მიწასთან გაასწორებდა, მეორე დღეს უკვე ეფერებოდა და უბოდიშებდა. ბოდიშის მოხდა არ უძნელდებოდა, არც ცოდვის მონანიება. ვოლტერის სიტყვები გაიხსენა ერთხელ: მონანიება მოკვდავთა სიმამაცეაო.

სამოციანი წლების მიწურულს აკად. ი. ორლოვი ძალიან დაგვიმეგობრდა. ხშირად ჩამოდი-

ოდა თბილისში და ზოგჯერ ჩვენს სამეცნიერო სესიებსაც ესწრებოდა. ჩემთან საუბარში გულწრფელად აღიარებდა დავითაშვილის უპირატესობას მასთან: ლეო დავითაშვილი ღვთის მსახურია, მე კი მხოლოდ ეკლესიისაო - მითხრა მან ერთხელ. მეცნიერულ პრობლემებს იშვიათად ეხებოდა დავითაშვილთან საუბარში. უფრო საორგანიზაციო საკითხზე მსჯელობდნენ და ძველ ამბებს იგონებდნენ. დავითაშვილი არ ერიდებოდა ორლოვთან ხელისუფლების კრიტიკას. ერთხელ რუსთაველის პროსპექტზე რომ მოვსეირნობდით და ილიას და აკაკის ძეგლს გავუსწორდით, ორლოვმა სინანულით თქვა, კარგი იქნებოდა ძეგლს თუნდა ერთ უცხო ენაზე ჰქონდეს წარწერა, სტუმარმაც ხომ უნდა გაიგოს ვინ არის ეს ორი მოღვაწეო. აი, როდესაც რუსეთი ჩვენს საქმეებში ჩარევას დაანებებს თავს, მაშინ შეიძლება ინგლისურადაც წავაწეროთ და რუსულადაცო - მოუჭრა ბ-ნმა ლეომ.

ბოლო 15-20 წელი განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ლეო დავითაშვილის ცხოვრებაში. ამ ხნის განმავლობაში მან გამოაქვეყნა რიგი ფუნდამენტური გამოკვლევებისა, რომლებმაც დიდი გამოძახილი პოვეს როგორც საბჭოეთში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ვგულისხმობ მის მონოგრაფიებს ევოლუციური მოძღვრების ისეთ ცენტრალურ პრობლემაზე, როგორიცაა ადრევე აღნიშნული სქესობრივი გადარჩევა (1960), ორგანული სამყაროს შესწავლის მეთოდოლოგიური საკითხები (1968), ორგანიზმთა ამოწყდომის მიზეზები (1970), მოძღვრება ევოლუციური პროგრესის შესახებ (1972) და აგრეთვე შემაჯამებელი "ევოლუციური მოძღვრება", რომლის პირველი ტომი გამოქვეყნდა 1977 წ, ხოლო მეორე - ავტორის გარდაცვალების შემდეგ (1979).

შეიძლება ითქვას, რომ დავითაშვილმა მიზნად დაისახა ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლის განვითარების თითქმის ყველა პრობლემის გაშუქება და ეს უაღრესად რთული ამოცანა, რომლის დაძლევა ერთი ადამიანისათვის თითქოს და შეუძლებელი ჩანს, მან წარმატებით გადაწყვიტა. მან პირველად დაასაბუთა უმდიდრეს პალეონტოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით, რომ თეორიული ბიოლოგიის კარდინალური პრობლემების შესწავლაში პალეობიოლოგიას გადამწყვეტი როლი ეკუთვნის. ამ გამოკვლევათა მკაფიო იდეოლოგიური მიმართულება მხედველობიდან არ გამორჩენიათ დასავლელ მეცნიერებს და თუ მან ფრანგი ფილოსოფოსის ბუატოს მოწონება დაიმსახურა, ამას ვერ ვიტყოდით ამერიკელ პალეონტოლოგ ე. ოლსონზე. მაგრამ ერთიც და მეორეც, ისევე როგორც დავითაშვილის ბევრი სხვა თანამოაზრე თუ მოწინააღმდეგე, ერთხმად აღიარებს მის თეორიულ გამოკვლევათა უაღრესად დიდ მეცნიერულ ღირებულებას. გამოჩენილი ამერიკელი ევოლუციონისტი ჯ. გ. სიმპსონი, რომელიც დასავლეთის ქვეყნებში გაბატონებული და დავითაშვილის მიერ საფუძვლიანად გარჩეული სინთეტიკური ევოლუციის თეორიის ერთი შემქმნელთაგანი იყო, მის წიგნებს ორგანიზმთა ამოწყდომისა და ევოლუციური პროგრესის შესახებ "უაღრესად საინტერესო" და "დიდად სასარგებლო" გამოკვლევებად მიიჩნევდა. იგი აღნიშნავდა, რომ მას არ ეგულებოდა მეორე თანამედროვე გამოკვლევა ევოლუციის პრობლემებზე, რომელიც ისეთ მდიდარ მასალას ეყრდნობოდეს და საფუძვლიან ანალიზს შეიცავდეს, როგორც მოცემულია დავითაშვილის წიგნში "მოძღვრება ევოლუციის პროგრესზე". მეორე ამერიკელი ევოლუციონისტი ს. გულდი დავითაშვილის სქესობრივ გადარჩევაზე დაწერილი წიგნის გამოქვეყნებას საბუნებისმეტყველო მეცნიერების განვითარების შემობრუნებად მიიჩნევს: დავითაშვილმა ჯერ კიდევ თხუთმეტი წლის წინათ განავითარა იდეები, რომლებიც ამერიკელმა პალეონტოლოგებმა დღეს ახლად აღმოაჩინესო. ბულგარელი აკადემიკოსი ი. ცანკოვი თვლიდა, რომ გამოცემა დავითაშვილის შრომისა "მოძღვრება ევოლუციურ პროცესზე" მსოფლიო პალეონტოლოგიის დიდი მიღწევააო, ხოლო ცნობილი რუსი ბუნებისმეტყველი პროფ. ვ. სტუდისტსკი ამავე წიგნის გამო დავითაშვილს სწერდა: "ეს არის ახალი მნიშვნელოვანი წვლილი ბიოლოგიაში დარვინიზმისათვის ბრძოლის ამ დიდ საქმეში, რომელსაც თქვენ მეთაურობთ". ავსტრალიელი გეოლოგი და პალეონტოლოგი მ. გლესნერი აცხადებს, რომ ევოლუციის პრობლემებისადმი მიძღვნილი ქართველი მეცნიერის შრომები მას აოცებს და აღაფრთოვანებს. ასეთივე მაღალ შეფასებას აძლევენ დავითაშვილის თეორიულ გამოკვლევებს უპსალელი პალეონტოლოგი ს. დილონი, ამერიკელი მ. ელიასი, ჩეხი კ. პოკორნი და ბევრი სხვა. მეოცე საუკუნის შუა წლების პალეონტოლოგიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წინამძღოლთაგანი, პოლონელი აკადემიკოსი რ. კოზლოვსკი ენთუზიაზმით ეგებებოდა დავითაშვილის ყოველ ახალ პუბლიკაციას. "გაოცებას იწვევს თქვენი არაჩვეულებრივი ერუდიცია"... "აღტაცებული ვარ თქვენი მეცნიერული მოღვაწეობით" - სწერს იგი ქართველ პალეონტოლოგს. ასეთსავე აღტაცებას გამოთქვამენ მისი არაჩვეულებრივ ნაყოფიერი მუშაობის გამო და მაღალ შეფასებას აძლევენ მის გამოკვლევებს კერძო წერილებსა თუ გამოქვეყნებულ რეცენზიებში სახელმოხვეჭილი ნიუიორკელი გენეტიკოსი ი. დობჟანსკი, რუმინელი ბიოლოგი კ. მოტაში, ბულგარელი ი. კარაგეორგიევი, რუსი აკადემიკოსი ა. იანშინი, პროფ. ტოლმაჩოვი და სხვა.

დიდია დავითაშვილის წვლილი მოლუსკების პალეონტოლოგიისა და ისტორიული გეოლოგიის საკითხების კვლევის დარგში. ამ შრომებში, რომელთა დიდი უმრავლესობა დაკავშირებულია მისი მოღვაწეობის ადრინდელ პერიოდთან, მან დიდი ყურადღება დაუთმო ნამარხ ორგანიზმთა ფილოგენიასა და ეკოლოგიას, ზღვიურ ფაუნათა წარმოშობასა და განვითარებას და ამ ისტორიული პროცესის კანონზომიერებების დადგენას. მან ბევრი თქვა ახალი და საყურადღებო, რაც შემდგომ დაადასტურეს და განავითარეს მისმა მოწაფეებმა. თავისი მოღვაწეობის ადრინდელ პერიოდშივე გამოყო მან შავი ზღვა კასპიის ზღვის ზოლის ორი დიდი გავრცელების ჰორიზონტი, საყარაულო და კონახური. აღმოსავლეთ ევროპის ნეოგენის დღევანდელ სკოლაში ორივე ეს ჰორიზონტი ფიგურირებს როგორც ადრე მიოცენის ორი დამოუკიდებელი საუკუნე. გეოლოგიაში მტკიცედ მოიკიდა ფეხი აგრეთვე მის მიერ გამოყოფილმა ევპატორიის ჰორიზონტმა და ქართველურმა შრეებმა.

ლეო დავითაშვილი იყო მრავალმხრივ განათლებული, პალეონტოლოგიაზე ფანატიკურად შეყვარებული, საოცრად ნიჭიერი და ფენომენალური მეხსიერების ადამიანი; ჭეშმარიტი პოლიგლოტი და კალმოსანი, დიდად ემოციური, სწრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფად "ფეთქებადი", განრისხების ჟამს ყოვლად დაუნდობელი და უმოწყალო, ამასთანავე კეთილი და გულითადი; ენაწყლიანი და გონებამახვილი. მისი გამსჭვალავი, სულში ჩამწვდომი მზერა და ირონიული ღიმილი არასოდეს დაავიწყდებათ მათ, ვინც მას ახლოს იცნობდა. იცოდა კრიტიკული აზრის მკაცრად გამოთქმა და ძვლებამდე რომ ატანს, ისე გამგმირავად გამოხედვა. და იმავ დროს გულმხურვალედ გამოსარჩლებაც იცოდა, იშვიათი გულისხმიერების გამოჩენა, ცხარე დისკუსიის მომენტში გადამწყვეტი სიტყვის დროულად და მოხდენილად ჩართვა. ეს იყო მგზნებარე ბუნებისა და ძლიერი ნებისყოფის ადამიანი. როდესაც გარდაცვალებამდე ორიოდე კვირით ადრე ვინახულე მოსკოვის აკადემიის საავადმყოფოში, სიკვდილი თავს დასტრიალებდა, ის კი მოღლილი, ჩაწყვეტილი ხმით, მაგრამ უჩვეულოდ ალგზნებული, მომითხრობდა მისი მორიგი გამოკვლევის შინაარსსა და ე. კოპისა (ამერიკის პალეონტოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებლის) და ვლ. კოვალევსკის ახლად მიგნებულ მიწერ-მოწერაზე.

ლეო დავითაშვილი გარდაიცვალა 1977 წ. 3 სექტემბერს, 82 წლის ასაკში. მოსკოვში მისი ნეშტის კრემაციის დღეს ბევრ პალეონტოლოგსა და გეოლოგს მოეყარა, თურმე, თავი (ამ დროს უცხოეთში ვიყავი). სამგლოვიარო მიტინგზე დასამახსოვრებელი სიტყვით გამოსულა საბჭოთა კავშირის გეოლოგთა ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე აკად. ვ. მენერი, რომელმაც ბ-ნი ლეო დაახასიათა როგორც უპირველესი პალეონტოლოგი, სახელგანთქმული ევოლუციონისტი და მებრძოლი დარვინისტი. ორი კვირის შემდეგ ურნა ლეო დავითაშვილის ფერფლით ჩამოასვენეს თბილისში და მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეებისა და ახლობლების თანდასწრებით დაკრძალეს საბურთალოს პანთეონში.

დრო გავა და შორიდან უკეთ გამოჩნდება ლეო დავითაშვილის ღვაწლი; კიდევ უფრო გამოიკვეთება ის ღრმა კვალი, რომელიც მან დააჩნია საბუნებისმეტყველო მეცნიერებას.

## ხარლამპი ღლონტი

1937 წლის აგვისტოს მიწურულსა და შემოდგომის დასაწყისში ჩვენს ოჯახში უბედურებათა კორიანტელი დატრიალდა. სულ რამდენიმე დღეში გამოგვეცალა ყურის ანთების რაღაც იშვიათი გართულებით ჯერ კიდევ ახალგაზრდა და ჯანღონით სავსე მამა. ხოლო მისი გარდაცვალების ორმოცი დღის თავზე, სასაფლაოზე გასვლის წინა ლამეს, დაიჭირეს ბებია, ბაბუა, დეიდები, ლოლა და დარეჯანი და ბიძა. (დარეჯანის მეუღლე). უპატრონოდ დარჩენილი სამი ბავშვი (ლოლას ქალიშვილი ლენა ვიდერი და დარეჯანის ვაჟი მიხეილ და ოთარ ქობალიანები) შეიკედლა ახლადდაქვრივებულმა დედაჩემმა, რომელსაც შინ კიდევ სამი თავისი შვილი ჰყავდა მოსავლელი, მათ შორის ერთი - ძუძუთა ბავშვი. სასაფლაოზე მისულთ მალე შემოგვადნა ხალხი. იგებდნენ ჩვენს ამბავს და გაოგნებულნი გვშორდებოდნენ. იმ მცირერიცხოვან ახლობლებს შორის, ვინც იმ დღეს ბოლომდე დარჩა ჩვენთან და შინაც გამოგვაცილა, იყო ერთი ჩემთვის თითქმის უცნობი ხნიერი კაცი, დეიდა ლოლას სამსახურის, სახალხო განათლების მუზეუმის დირექტორი ხარლამპი ღლონტი. შემდგომ მან ისეთი მზრუნველობა გამოიჩინა ჩვენი ოჯახის მიმართ, ისეთი ახლობლობა გაგვიწია, როგორიც სხვისგან არავისგან გვიგრძვნია. ეს, როგორც ეტყობოდა, ნაადრევად გაჭაღარავებული კაცი, ყურადღებას იპყრობდა არაჩვეულებრივ კეთილშობილური, მომხიბლავი იერითაც. ვისაც ერთხელ მაინც ენახა, ალბათ, არსოდეს დაივიწყებდა მის სიკეთით გაცისკროვნებულ, თითქოს ძველი ქართული ფრესკიდან გადმოსულ მადლმოსილ სახეს და ალერსიან გამოხედვას.

ერთი კვირა არ იყო იმ დღიდან გასული, რომ ხარლამპი ღლონტი შინ გვეწვია. ხილი და ტკბილეულობა მოგვიტანა, მე და ლენას - ლამაზ ყდაში ჩასმული წიგნები ხელოვნებაზე. დედა გაამხნევა, დაპირდა ისეთ სამსახურს, რომელიც შინ მუშაობის საშუალებას მისცემდა. მალე კიდეც შესრულდა ეს დაპირება: შეგვიკვეთა მუყაოს პატარა კოლოფების დამზადება (მასალა თვითონვე მოგვიტანა) ზოოლოგიური და ბოტანიკური ნიმუშების შესანახავად. დედამ მე და ჩემი დეიდაშვილი ლენაც ჩაგვრთო ამ საქმიანობაში - ოჯახში პატარა საამქრო გვქონდა. იმ დროიდან მოყოლებული ხარლამპი ღლონტი ხშირი სტუმარი იყო ჩვენი და ყოველი მისი მოსვლა ნამდვილი ზეიმი იყო ოჯახისათვის, პატარებისათვის ისევე როგორც უფროსებისათვის. ძალიან მორიდებული, თითქმის ბავშვივით მორცხვი ბ-ნი ხარლამპი ბევრს არ ლაპარაკობდა, ბავშვებს არ ეფერებოდა, მაგრამ მთელი თავისი არსებით უხვად აფრქვევდა სითბოს და სიკეთეს. გადახედავდა შესრულებულ სამუშაოს, მოგვიწონებდა, ვგონებ, მაშინაც, როდესაც მთლად მოსაწონი არ იყო, და ახალ შეკვეთას გვაძლევდა. შეკვეთების ხასიათი იცვლებოდა დროთა განმავლობაში. ერთხანს, მახსოვს გვახატვინებდა შუა საუკუნეების მეომრებისა და ისტორიული პირების ტანსაცმელს (საბედნიეროდ, მეც და ლენასაც გვემარჯვებოდა ხატვა), გვაგროვებინებდა ბოტანიკურ კოლექციებს, გვამზადებინებდა ქართველი პოეტების ნაწარმოებთა ბწკარედ თარგმანს რუსულად და სხვ. ზოგჯერ შთაბეჭდილება მექმნებოდა, რომ საგანგებოდ იგონებდა ჩვენთვის შეკვეთებს და, შესაძლოა, შრომასაც საკუთარი სახსრებით გვინაზღაურებდა. უსაზღვროდ დიდი იყო ხარლამპი ღლონტისადმი პატივისცემა. კარგად მახსოვს, თუ როგორ ამოუდგა გვერდში სამსახურიდან მოხსნილ დეიდა ლოლას. ჩემი უფროსი დეიდა მეტეხის მუზეუმის განყოფილების გამგე იყო, და როდესაც 1937 წ. გაზაფხულის დამდეგს იგი თანამდებობიდან გაათავისუფლეს, ყველასთვის ნათელი გახდა, რომ დაჭერა ემუქრებოდა. ასეთ "საეჭვო" პირებს სხვაგან აღარ ილებდნენ მაშინ სამსახურში. ბ-ნმა ხარლამპიმ კი უყოყმანოდ მიიწვია სამუშაოდ სახალხო განათლების მუზეუმში. ეს იყო გაბედული, მე ვიტყოდი, გამომწვევი ნაბიჯი, რომლის გადადგმა მხოლოდ რაინდული სულის უმწიკვლო ადამიანს შეეძლო. და ვინ იცის, რამდენი გაჭირვებულისათვის გაუწვდია ამ სათნო ადამიანს დახმარების ხელი, რამდენი სასოწარკვეთილი გაუმხნევებია, რამდენი ახალგაზრდისათვის გაუღვივებია მშობელი ხალხის სამსახურის სიყვარული და რამდენისათვის გაუკაფავს გზა სიკეთისაკენ.

ჩემი სტუდენტობის ბოლო პერიოდში და ასპირანტურის კურსის გავლის დროს, კიდევ უფრო

ბიბლიოთეკა

დავუახლოვდი ბ-ნ ხარლამპის, განსაკუთრებით მისი ციხიდან განთავისუფლების შემდეგ (1942-43 წლებში იგი დაპატიმრებული იყო, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პიროვნება), ვსაუბრობდით მეცნიერებასა თუ ცხოვრების სხვადასხვა პრობლემებზე და ამ შეხვედრების დროს მე საშუალება მეძლეოდა კარგად დამენახა მისი ცოდნის სიღრმე და ნიჭის გაქანება. ძირითადად სწორედ ამ საუბრებს ეყრდნობა ხარლამპი ღლონტის პორტრეტის შექმნის ეს ცდა.

ბ-ნი ხარლამპის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთი მხარე ჯერჯერობით ბურუსით არის მოცული. მას დარჩა ვრცელი მოგონებები, მაგრამ, სამწუხაროდ, აქამდე ვერ მივაგენი მათ. ამ უაღრესად მოკრძალებულ და თავმდაბალ ადამიანს აზრადაც არ მოსვლია თავისი მემუარების გამოცემა. გარდაცვალებამდე ორი-სამი წლით ადრე შემოიარა ჩვენთან და გვიჩვენა მოგონებების მანქანაზე დაბეჭდილი ეგზემპლარი (თუ არ ვცდები, 300 გვერდს აღემატებოდა). გვითხრა, ორ ცალად გადავაბეჭდვინე და, ვფიქრობ, ერთი ჩვენი სახელმწიფო მუზეუმის არქივს ჩავაბარო, ხოლო მეორე ჩემს დას დავუტოვოო. ორიოდე წლის წინ რომ გავიკითხე, ხარლამპი ღლონტის მოგონებების კვალიც არ აღმოჩნდა არც მუზეუმში და არც ხელნაწერთა ინსტიტუტში, ხოლო ახლო ნათესავები მას აღარ დარჩენია. მაინც არ ვკარგავ იმედს, რომ ამ საკმაოდ სქელტანიან მემუარებს სადმე მივაკვლევთ. მაშინ შუქი მოეფინება ბ-ნი ხარლამპის ცხოვრების ყველაზე ნაკლებად ცნობილ პერიოდებსაც (ბავშვობა, სიყრმე, ოდესის უნივერსიტეტში სწავლა და პარიზში ცხოვრების ხანა). თავისთავად ეს მოგონებები ქართული ინტელიგენციის XIX ს მიწურულსა და XX ს პირველი ნახევრის ისტორიის ამსახველი მნიშვნელოვანი დოკუმენტია და მათი მოძებნა, ქართულად თარგმნა და გამოქვეყნება ფრიად საშური საქმეა.

ომის შემდგომ წლებში ძეგვის მიდამოებში შეიძლება შეხვედროდით წელში მოხრილ ჩანთამოკიდებულ მოხუცს, ნელა რომ მოაბიჯებდა შიომღვიმისაკენ მიმავალ გზაზე. ზოგჯერ მისი ზურგჩანთა წიგნებით იყო დამძიმებული, ხან კი - ნერგებით. ეს იყო ხარლამპი ღლონტი, რომელმაც თავისი სიცოცხლის ბოლო პერიოდი შიო-მღვიმის მონასტერში გაატარა, სადაც მცველის მოვალეობას ასრულებდა. აქ ერთ-ერთ საკანში დაიმკვიდრა მან ბინა და აქვე მოიწყო სამუშაო ადგილი. თბილისში იშვიათად ჩამოდიოდა (პატიმრობის შემდეგ თბილისში ცხოვრების უფლება წართმეული ჰქონდა), მაგრამ ჩამოსვლისას აუცილებლად გვესტუმრებოდა. მერე, როგორც წესი, ვაცილებდი ან სიონის უბნამდე, სადაც მისი ძველი მეგობრები სახლობდნენ, ხან კი პლეხანოვის პროსპექტამდე, მისი დების საცხოვრებელ სახლამდე.

განსაკუთრებით დამამახსოვრდა მისი ბოლო სტუმრობა 1959 წელს, ადრე შემოდგომაზე. მაშინ გაიგო, რომ მეოთხე შვილი შემეძინა. თვალზე ცრემლი მოერია, რა ბედნიერებააო, ჩაილაპარაკა და მაგრად ჩამკიდა ხელი მკლავში (ამ უკიდურესად თავშეკავებული კაცისათვის ეს ჟესტი გულში ჩაკვრის ტოლფასი იყო). მაგრამ ეს მისი ბოლო ვიზიტი კიდევ იმ საუბრის გამოც დამამახსოვრდა, რომელიც მან გაცილების დროს გამიბა. ლენინის მოედანზე რომ გავედით, დაახლოებით ტაბიძის ქუჩის კუთხეში, ხელი ჩამკიდა და ლენინის ძეგლისაკენ გაიხედა. - თქვენ მოესწრებით ამ ძეგლის დანგრევას, - მითხრა მან, - სხვა კერპებისა და დიქტატორების დამხობასაც მოესწრებით და მე მწამს, რომ ქართველი კაცის ნიჭი გადაარჩენს მას ამ ძეგლთა ნანგრევების ქვეშ მოყოლას.

მის სიტყვებში ურყევი რწმენა და ამასთანავე რაღაც სევდა გამოსჭვიოდა. გაოცებული ვუსმენდი, რადგან ხარლამპი ღლონტისთანა მორიდებული და სიტყვაძვირი კაცისაგან ასე თამამად ნათქვამ სიტყვას ნამდვილად არ მოველოდი; მით უმეტეს, რომ ორმოცი წლის წინათ ლენინი და მისი სისტემა ლამის უძლეველ ბოროტებად მიგვაჩნდა, რომლის მოსპობა, ყოველ შემთხვევაში ახლო მომავალში, წარმოუდგენელ ამბად გვესახებოდა. - მე ქართველი ახალგაზრდობის ძალიან მჯერა, - განაგრძობდა ბ-ნი ხარლამპი, - ჩვენი ახალი თაობის უსაზღვრო რწმენა და იმედი მაქვს, იგი ნამდვილად ააშენებს ბედნიერ მომავალს, ხოლო კერპთაყვანისცემა და მასთან დაკავშირებული უმსგავსობანი საბოლოოდ მიეცემა დავიწყებას.

უნდა გამოვტყდე, რომ ეს მისი ოპტიმიზმით სავსე სიტყვები შიო-მღვიმის მონასტერში გადახვეწილი მოხუცის ცოტა არ იყოს გულუბრყვილო ოცნებად მივიჩნიე. იქვე დავშორდით ერთმანეთს და აზრადაც არ მომსვლია, რომ ეს ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა იყო. ერთი თვის შემდეგ მომიხდა რუსეთში გამგზავრება, ხოლო თბილისში დაბუნებულს ხარლამპი ღლონტი ცოცხალი აღარ დამხვდა. გამახსენდა ჩვენი განშორების ჟამს წარმოთქმული მისი წინასწარმეტყველური სიტყვები, რომლებიც დღეს შატობრიანის ერთ გამონათქვამს მაგონებს: "ვხედავ იმ დღის განთიადის გამონაკრთომს, რომლის გათენებას ვეღარ მოვესწრები".

ბ-ნი ხარლამპის შიო-მღვიმის მონასტერში ცხოვრების ერთი ეპიზოდის შესახებ საინტერესოდ მოგვითხრობს წიგნში "ერთგულება" გეოლოგი ლიდა კოლოშვილი. "მისი გარდასახვა შრომისმოყვარე მცველმინათმოქმედიდან წმინდა საგალობლების გატაცებით მომღერლად, მომღერლიდან - დაულალავ ექსპერიმენტატორად, ორგანიზატორად, პედაგოგად, - კოლოშვილი - მაღელვებდა თავისი არაჩვეულებრივობით და იმავდროულად ამაღლებული უბრალოებით. და მივხვდი, რომ მისი ვაჟკაცობა იმ იშვიათთა ხვედრია, ვინც დაჯილდოებულია უჭკნობი სიჭაბუკითა და გულის ნიჭით - შთაგონებით ფეთქავდეს უკანასკნელ წამამდე, ვიდრე ხელი და აზრი სამშობლოს კეთილდღეობას ემსახურება".

მუსიკის თემას მხოლოდ ერთხელ შეეხო ბ-ნი ხარლამპი ჩემთან საუბარში. იშვიათად, მაგრამ მეტ ყურადღებას უთმობდა მაინც მხატვრულ ლიტერატურას, განსაკუთრებით იმ ხანებში, როდესაც მისი შეკვეთით ზოგიერთი ქართველი პოეტის რუსულ ბწკარედებს ვამზადებდით. დიდი მოტრფიალე იყო ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიისა. ამ პოეტების თხზულებათა იშვიათ ცოდნას ამჟღავნებდა. ასევე ღრმად იყო ჩამწვდარი ბესიკისა და დავით გურამიშვილის პოეზიას, ხოლო ვაჟა-ფშაველას, მისი სიტყვით, ბადალი არ ჰყავდა. - მრავალმწვერვალიანია ჩვენი პოეზია, რომელსაც გენიალური რუსთაველის გარდა, ბევრი სხვა დიდი მგოსნის სახელიც ამკობსო, - მითხრა მან ერთხელ, - მაგრამ ამას ვერ ვიტყვით, სამწუხაროდ, პროზაზე, თუმცა ისეთი მწერლით, როგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიც იყო დავით კლდიაშვილი, ნებისმიერმა მდიდარი მწერლური ტრადიციების მქონე ქვეყანამ შეიძლება იამაყოსო. უხსენებია სხვა დროს გიორგი წერეთელი, მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ეგნატე ნინოშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე. მაგრამ უბრუნდებოდა მხოლოდ დავით კლდიაშვილსა და მის გმირებს. ალექსანდრე ყაზბეგი-მეთქი? - ვკითხე ერთ-ერთი ჩვენი ადრინდელი საუბრის დროს. ალექსანდრე ყაზბეგი ძალიან ნიჭიერი და გულწრფელი საყმაწვილო მწერალიაო, მიპასუხა მან. მაშინ ამ პასუხმა ცოტა არ იყოს გული მატკინა.

სხვა ქვეყნების მწერლობაზე იშვიათად თუ წამოსცდებოდა სიტყვა. რაღაც გარემოების გამო, ერთხელ ახსენა გოგოლი, ხოლო მეორედ ტიუტჩევის რომელიღაც ტაეპი გაიხსენა. რამდენჯერმე მოწიწებით მოიხსენია შექსპირი (ისიც, მგონი, ივანე მაჩაბლის ბრწყინვალე თარგმანის გამო) და არანაკლები პატივისცემით - ლამანჩელი რაინდის უკვდავი სახე. ცხადი იყო, რომ შესანიშნავად იცნობდა როგორც რუსულ, ისე უცხოურ ლიტერატურას, მაგრამ თვითონ უხალისოდ გიზიარებდათ თავის ნაფიქრალსა და შთაბეჭდილებებს. უნდა გამოგეწვია სასაუბროდ, რასაც მე იშვიათად ვახერხებდი. მერიდებოდა კიდეც ამ შედარებით სიტყვაძუნწი კაცისათვის შეკითხვებით თავის მობეზრება.

ამიტომ ჩვენი საუბრის თემა ჩვეულებრივ რაღაც გარემოებით იყო ნაკარნახევი; ან შეეძლო უბრალოდ სიტყვას მოეტანა. ასე, მაგალითად, ერთხელ მისი ჩვენთან ყოფნის დროს დედამ გაიხსენა მამიდამისის, ქრისტინე დუმბაძის მონაყოლი. 1905 წელს გურიაში მოკლული რუსი ოფიცრის გასვენებაზე ხელისუფალთ უბრძანებიათ, რომ სამგლოვიარო პროცესიაში ადგილობრივ მოსახლეობასაც მიეღო მონაწილეობა. გურულმა ქალებმა ისე უნდა დაიტირონ გარდაცვლილი, როგორც საკუთარ მკვდარს დასტირიანო. სახლიდან გამორეკილმა ქალებმა თმა გავიშალეთ და მოვრთეთ კივილი, ყვებოდა თურმე კასინე (ასე ვეძახდით შინაურები ქრისტინე ბებიას) - უი-უი-უი, მოგვენია ყველა შენიანი და შენი რჯულის ადამიანი, უი-უი-უი, ძაღლი მიაკვდა შენს საფლავს... და ამგვარი წყევლა-კრულვით მივაცილეთ მკვდარი სასაფლაომდეო.

ბ-ნ ხარლამპის გაეღიმა. მერე კი სერიოზულად განაგრძო: რუსებისთანა ბოროტი და თავგასული მჩაგვრელები ქვეყნად არ არსებობენო -თქვა მან. მათ ვერ შეედრებიან ვერც ფრანგი და ვერც ინგლისელი კოლონიზატორები; მამიდათქვენის მიერ მოყოლილი შემთხვევა დამახასიათებელია მათთვის, - უთხრა მან დედას, - ისინი არა მარტო ჩაგრავენ და უმოწყალოდ აწვალებენ დაპყრობილ ხალხს, არამედ ცდილობენ მის დამცირებას, სულიერად დათრგუნვასა და განადგურებასო. გამიკვირდა ასეთი ანტირუსული განწყობილების გამჟღავნება კაცისაგან, რომელსაც მეორე ცოლი რუსი ჰყავდა და ცხოვრების საკმაოდ დიდი ნაწილი გატარებული ჰქონდა ვორონეჟში, სადაც, როგორც ამას შემდეგ ვნახავთ, რუსები ხელის გულზე ატარებდნენ. მაგრამ ხარლამპი ღლონტს თავის დროზე ძალიან მწვავედ განუცდია რუსეთის დამსჯელი რაზმების თარეში გურიაში და ახლო მიუტანია გულთან მათ მიერ ჩადენილი შემაძრწუნებელი ბოროტების ამბავი. თბილისის რომელიღაც ოფიციალურ შეკრებაზე მან ისე მგზნებარედ ამხილა და დაგმო რუსეთის ჯარის არაადამიანური მოქმედება გურიაში, რომ მის გამოსვლას თურმე ინგლისის პარლამენტი გამოხმაურებია. ყოველივე ეს შევიტყვე პროფ. პარმენ ჯიქიასაგან, რომელმაც სხვათაშორის გაიხსენა აგრეთვე ბ-ნ ხარლამპის ბრწყინვალე სიტყვა, წარმოთქმული საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაარსების დღეს. ხარლამპი შესანიშნავი ორატორი იყო, მითხრა მან.

ცნობები ხარლამპი ღლონტის ცხოვრების შესახებ ნაწილობრივ თვითონვე მომაწოდა, ზოგი რამ თავის დროზე სახალხო განათლების მუზეუმის არქივში ამოვკრიფე და კიდევ უფრო მეტი იმ მასალაში მოვიძიე, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ თავაზიანად გადმომცა აკადემიკოსმა ევგენი ხარაძემ და რომელშიც ბ-ნი ხარლამპის ავტობიოგრაფიის ნაწყვეტებიც აღმოჩნდა.

ხარლამპი ღლონტი დაიბადა 1878 წ 23 თებერვალს ოზურგეთში. პირველდაწყებითი განათლება, როგორც ჩანს, იქვე მიუღია, ხოლო შემდეგ გააგრძელა სწავლა ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში, რომელიც 1896 წ დაუმთავრებია. იმავე წელს ჩარიცხულა ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე, სადაც იმ დროს ასწავლიდნენ საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერები ი. მეჩნიკოვი, ა. კოვალევსკი, ვ. პეტრიაშვილი, პ. მელიქიშვილი, ა. გოლოვკინსკი და ზოგიერთი სხვა. ნიჭითა და სიბეჯითით მან თავიდანვე მიიპყრო პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღება, მაგრამ მალე მეფის ოხრანკის ყურადღებაც მიიქცია. როგორც სტუდენტთა გამოსვლების აქტიური მონაწილე, 1899 წ მაისში გარიცხეს უნივერსიტეტიდან და ეტაპით დააბრუნეს საქართველოში. მაგრამ აქ დიდხანს არ გაჩერებულა. ახლობლების დახმარებით შეძლო პარიზში გამგზავრებულიყო, სადაც დაენაფა აგრობიოლოგიის საფუძვლების შესწავლას, გამოჩენილი პროფესორების ლექციების მოსმენის და საერთოდ ქალაქის კულტურულ ცხოვრებას; დაუახლოვდა იმ დროს პარიზში მცხოვრებ ნიკო ნიკოლაძეს, იაკობ ნიკოლაძეს, ალექსანდრე მრევლიშვილს, თედო სახოკიასა და სხვებს. ბ-ნი ხარლამპის მოგონებების გადაფურცვლამაც (როდესაც მან ამ მოგონებების ერთი ეგზემპლარი მანახა) დამარწმუნა, რომ ის იქ დიდ ადგილს უთმობს პარიზში ცხოვრების ხანას და, კერძოდ, ქართველ მოღვაწეებთან შეხვედრებს.

ერთი წლის შემდეგ ხარლამპი ღლონტი აღადგინეს ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტად. ამჯერად იგი განსაკუთრებით დაუახლოვდა ვ. პეტრიაშვილის ოჯახს, რომელსაც თავის მეორე უნივერსიტეტად თვლიდა. დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მასზე აგრეთვე შეხვედრებს პ. მელიქიშვილთან. ამ ორ გამოჩენილ მეცნიერსა და მოღვაწეზე ის დიდი პატივისცემითა და სითბოთი წერს აღნიშნულ მოგონებებში.

1903 წ. ხარლამპი ღლონტმა წარჩინებით დაასრულა ოდესის უნივერსიტეტი. უკანასკნელ წელს ის დასპეციალდა ანალიზური ქიმიის დარგში და, როგორც ჩანს, პროფ. ვ. პეტრიაშვილის რჩევით, შეასრულა ორი მეცნიერული გამოკვლევა "აბრაუ-დიურსოს" შამპანურის ქარხნის ქიმიურ ლაბორატორიაში. ორივე ნაშრომმა მაღალი შეფასება მიიღო და ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საგამოცდო კომისიამ ეს გარემოებაც გაითვალისწინა, როდესაც მას პირველი ხარისხის დიპლომი მიაკუთვნა.

ბიბლიოთეკა

მაგრამ საპროფესოროდ მომზადება, ალბათ, არ შეესაბამებოდა ხარლამპი ღლონტის მისწრაფებასა და ტემპერამენტს. დაუყონებლივ ენადა მშობელი ხალხის სამსახურში ჩადგომა. კიდეც დაბრუნდა თბილისში, სადაც სათავადაზნაურო გიმნაზიის (დღევანდელი პირველი სკოლა) ფიზიკის მასწავლებლად დაინიშნა. აქ ის გვერდში ამოუდგა ცნობილ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს, გიმნაზიის იმდროინდელ დირექტორს შიო ჩიტაძეს. შეუდგა მასწავლებლობასა და იმავ დროს ენერგიულად ჩაება კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ მუშაობაში. დაიწყო თანამშრომლობა "ცნობის ფურცელსა" და სხვა გაზეთებში, სადაც აქვეყნებდა ვრცელ წერილებს საშუალო განათლების ძირეული რეორგანიზაციისა და კერძოდ, დედა ენაზე სწავლების შემოღების თაობაზე, გიმნაზიებში პოლიტეკონომიისა და სახელმწიფოთმცოდნეობის პროგრამაში შეტანისა და სხვათა შესახებ; აქტიურად მონაწილეობდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუშაობაში, კითხულობდა საჯარო ლექციებს კულტურის და განათლების საკითხებზე; დააარსა საქველმოქმედო საზოგადოება და პატრიოტული მიმართულების ყოველკვირეული გაზეთი "გლეხი", ჩამოაყალიბა გამომცემლობა "გუთანი", ჩაება გაზეთ "სხივის" გამოცემის საქმეში, საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოების მუშაობაში, ქართული კულტურის შემსწავლელი საზოგადოების საქმიანობაში და სხვ. ყოველივე ამის გამო მან კვლავ მიიპყრო ხელისუფლების ყურადღება და 1906 წ. გიმნაზიის დარბევისა და შიო ჩიტაძის მკვლელობის დღეს მის გვერდით მდგომი ხარლამპი ღლონტი ხმლით მძიმედ დაჭრეს და დააპატიმრეს. ციხიდან გათავისუფლების შემდეგ მეფის ოხრანკამ მას მკაცრი მეთვალყურეობა დაუწესა. არ მოჰკლებია არც ჩხრეკა და არც პოლიციაში გამოძახება. ამგვარმა დევნამ საბოლოო ჯამში აიძულა გადასულიყო საცხოვრებლად ბაქოში, სადაც რეალურ სასწავლებელში იწყებს მუშაობას ფიზიკის მასწავლებლად. ბობოქარი სულისა და დაუცხრომელი ენერგიის პატრონი ვერც იქ ისვენებს: ქმნის და სათავეში უდგება ბავშვთა სიკვდილიანობასთან ბრძოლის საზოგადოებას; აყალიბებს მუშათა საღამოს კურსებს, ყირიმ-კავკასიის სამთო საზოგადოების ბაქოს განყოფილებას, კითხულობს საჯარო ლექციებს. რა თქმა უნდა, მისი აქტიურობა არც აქ რჩება შეუმჩნეველი და 1909 წ. გადაჰყავთ სამუშაოდ ვორონეჟის მექანიკურ-ტექნიკურ სასწავლებელში. ვორონეჟში საკმაო გასაქანი მიეცა მის დიდ ცოდნას და იშვიათ ორგანიზატორულ ნიჭს.

აქ მას შემდეგ იწვევენ საგუბერნიო პედაგოგიური კურსების ლექტორად, სამშენებლო კურსების სასწავლო ნაწილის გამგედ, ომის დროს ევაკუირებული ლიტვის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორად, ვორონეჟის პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორად და კერამიკის ფაკულტეტის დეკანად; ნიშნავენ, უკვე ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, გუბერნიის პროფგანათლების განყოფილების გამგედ, ირჩევენ საქალაქო საბჭოს დეპუტატად, გუბერნიის ალმასკომის კონსულტანტად. განუზომელია, როგორც ამას ვორონეჟის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები ადასტურებენ, მისი დამსახურება სხვადასხვა დარგის სასწავლებლების, გამომცემლობებისა და მუზეუმების დაარსებაში. კერძოდ, მან ჩამოაყალიბა მუშათა საღამოს სამშენებლო კურსები, სამშენებლო ტექნიკუმი და კერამიკული მუზეუმი (ვორონეჟის საგუბერნიო მუზეუმი) და სხვ. სამოქალაქო ომის მძიმე წლებში ის სათავეში ჩაუდგა შიმშილთან ბრძოლის კომისიას და მრავალ სხვა კეთილშობილურ წამოწყებას. უფრო გვიან მან აქტიური მონაწილეობა მიიღო პირველი საკავშირო-სამეურნეო გამოფენის მოწყობაში, რისთვისაც 1922 წ. საგამოფენო კომიტეტის მადლობა დაიმსახურა. იმავე წელს მის მიერ ჩამოყალიბებული ვორონეჟის საწარმოო-ეკონომიკურ ტექნიკუმს, რომელმაც საბჭოთა კავშირში საუკეთესო ტექნიკური სასწავლებლის სახელი მოიპოვა, როგორც ითქვა უკვე, ხარლამპი ღლონტის სახელი ეწოდა.

1923 წ. ბ-მა ხარლამპიმ შეიტყო ჯერ დედის, ხოლ შემდეგ მამის გარდაცვალების ამბავი. ამ უბედურებას მალე მოჰყვა მეუღლის გარდაცვალება, რამაც საბოლოოდ შეარყია მისი ჯანმრთელობა (ახალი გადატანილი ჰქონია პარტახტიანი ტიფი). მდგომარეობა გაურთულდა კიდევ იმის გამოც, რომ ჰყავდა ორი გარდამავალი ასაკის ვაჟი, რომლებსაც ვერ უთმობდა სათანადო ყურადღებას. ექიმებმა დაბეჯითებით ურჩიეს საცხოვრებელი ადგილის შეცვლა. მან სერიოზულად დაიწყო სამშობლოში დაბრუნებაზე ფიქრი; მით უმეტეს, რომ, როგორც ერთ მის ჩანაწერში ვკითხულობთ, წლების მანძილზე, როდესაც მოშორებული ყოფილა სამშობლოს, "ჩემი ქვეყნის სიყვარულს და მისდამი ერთგულებას მუდამ გულში ვატარებდი... ვნატრობდი ამ კეთილშობილ ქვეყანაში ცხოვრებასა და მუშაობას"-ო. ზოგიერთი მისი ვორონეჟელი მეგობარი მოსკოვში გამგზავრებას ურჩევდა, თბილისში თქვენს ნიჭსა და შესაძლებლობას გასაქანი არ ექნებაო. მაგრამ ბ-ნი ხარლამპი აღარ ყოყმანობდა. მას უკვე მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი სამშობლოში დაბრუნება და აბრკოლებდა მხოლოდ ის, რომ არავითარი დანაზოგი არ გააჩნდა და არ იცოდა, რა მოელოდა თბილისში. ამ დროს სულზე მოუსწრო საქართველოს განსახკომის წინადადებამ გადმოსულიყო თბილისში სამუშაოდ. ეს 1924 წლის ბოლოს მოხდა, ხოლო 1925 წ. დასაწყისში ვორონეჟის მადლიერი საზოგადოებრიობა მას უკვე აცილებდა სამშობლოში. ბევრი თბილი სიტყვა უთხრეს, ხოლო გამოსათხოვარი ადრესი იწყებოდა სიტყვებით: "თქვენი მოღვაწეობის დახასიათება ნიშნავს დაწერო ვორონეჟის მხარის კულტურული ცხოვრების ისტორია, გაიხსენო მისი ყველა ბრწყინვალე მიღწევები..." აი, კიდევ რამდენიმე სტრიქონი ამ დოკუმენტიდან: "თქვენ თავიდანვე მოგვევლინეთ როგორც დიდი ორგანიზატორი და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე. არ დაიშურეთ ძალა სასწავლო დაწესებულებათა (მათ შორის ვორონეჟის საშუალო-ტექნიკური სასწავლებლისა, რომელმაც რუსეთში საუკეთესო სახელი დაიმკვიდრა) შესაქმნელად. თქვენ წარმოგვიდექით იმ პედაგოგად, რომელმაც წინასწარ განჭვრიტა თანამედროვე მეცნიერული აზრის სამეცნიერო-პედაგოგიური და მეთოდოლოგიური მიღწევები..." "თქვენი სახელი ჩვენ გვესახება როგორც სიმბოლო დაუღალავი მოღვაწეობისა და კრისტალურად წმინდა ადამიანისა, რომელმაც მთელი თავისი მისწრაფებანი და საკუთარი თავიც საზოგადოების და ადამიანის სამსახურს მიუძღვნა".

1925 წ. თებერვლიდან ხარლამპი ღლონტი უკვე საქართველოშია. მის მოღვაწეობას აქაც ფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთო სარბიელი მიეცა. თბილისში ის სათავეში უდგება განათლების სახალხო კომისარიატის პროფგანათლების სამეცნიერო-ტექნიკურ სექციას და სახელმწიფო გამომცემლობის სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის განყოფილებას. იმავ დროს კონსულტანტად იწვევენ ამიერკავკასიის ნაგებობათა ინსტიტუტში, სადაც მას 20-ზე მეტი დასკვნის შესრულება მოუხდა (ეს მასალა ნაწილობრივ შესულია წიგნში: მ. ნეპრინცევი და ხ. ღლონტი "მასალები შენობათა ტიპობრივი პროექტების შესადგენად", 1933, 155 გვ.). 30-იანი წლების დასაწყისში მას დაევალა განსახკომის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და საქართველოს მუზეუმების ჯგუფის ხელმძღვანელობა და ამავ დროს რესპუბლიკის სამეცნიერო საკვალიფიკაციო კომისიის სწავლული მდივნობა. 1932 წ. ბ-ნი ხარლამპი აყალიბებს პოლიტექნიკურ მუზეუმს, რომელიც შემდგომ სახალხო განათლების მუზეუმად გარდაიქმნა და თვითონვე უდგება მას სათავეში. 1933 წ. მას ირჩევენ საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალის სამეცნიერო კონსულტაციისა და პროპაგანდის კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ და განსახკომის მეცნიერების სექტორის სწავლულ მდივნად. 1935 წ. ბ-ნი ხარლამპი აარსებს და სათავეში უდგება საქართველოს განსახკომის ზოობიოლოგიის სადგურს, რომელიც შემდგომ გადაეცა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალს (აქ შესრულებულ სამუშაოთა საფუძველზე იმ ხანებში 8 დისერტაცია იქნა დაცული). იმავე დროს იგი ინიშნება საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გენეტიკისა და ჰიბრიდიზაციის ლაბორატორიის დირექტორად. 1938 წ. ბ-ნი ხარლამპი ბაკურიანში აყალიბებს და წლების მანძილზე ხელმძღვანელობს ემბრიოლოგიურ სადგურს, რომელიც 1942 წ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას გადაეცა (ამ სადგურში იმ დროს შესრულდა მნიშვნელოვანი გამოკვლევები, რომლებიც იბეჭდებოდა საბჭოთა კავშირის აკადემიის მაცნეში და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოცემებში). 1939 წ. ბ-მა ხარლამპიმ დააარსა დამწყებ მეცნიერ თანამშრომელთათვის განვითარების მექანიკისა და უმარტივესთა ტიპის შესწავლის მოკლევადიანი კურსები.

ხარლამპი ღლონტი საქართველოში დიდ საზოგადოებრივ და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდა. კულტურული ურთიერთობათა საკავშირო საზოგადოების ხაზით მას მოუწყვია არაერთი მნიშვნელოვანი გამოფენა. მაგალითად, (1937 წ.) და სხვ. აქტიურ მონაწილეობას იღებდა აგრეთვე ისეთი საერთაშორისო გამოფენების მოწყობაში, როგორიცაა "ანტიიმპერიალისტური ლიგისა" პარიზი (1931), ბავშვთა შემოქმედებისა ჩიკაგოში, საგამომცემლო საქმისა პარიზში, "ქალები და ბავშვები" იაპონიაში, "სახალხო განათლება" ლონდონში, "ქალები და სახალხო განათლება" თურქეთში და სხვ.

ხარლამპი ღლონტის საზოგადოებრივი საქმიანობის მასშტაბების საჩვენებლად საკმარისია თუნდაც დავასახელოთ სათაურები მოხსენებითი ბარათებისა, რომლებიც მას მთავრობისათვის წარუდგენია: "საქართველოს გზების მდგომარეობის შესახებ", "სამოქალაქო და საქარხნო მშენებლობის შესახებ", "უმაღლესდამთავრებულთა კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ", "თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაისა და სუბტროპიკულ მცენარეთა კულტურისა და ტექნოლოგიის კათედრის დაარსების აუცილებლობის შესახებ", "მაღალმთის ბიოლოგიური სადგურების შექმნა", "უმაღლესი ვეტერინარული განთლების ორგანიზაცია", "ჩაის მეურნეობის საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დაარსების შესახებ" და მრავალი, მრავალი სხვა.

1940 წ. ბ-ნი ხარლამპის ესტუმრა ერთი ცნობილი გერმანელი მეცნიერი, რომელიც ძალიან დაინტერესებულა ბაკურიანის ბიოლოგიური სადგურის მუშაობით. ბ-მა ხარლამპიმ მისთვის ჩვეული დაკვირვებით უმასპინძლა და შეძლებისდაგვარად გაუადვილა ზოოლოგიური დაკვირვებების წარმოება. რამდენადაც ვიცი, გერმანელ მეცნიერთან ერთობლიობა ერთი იმ ბრალდებათაგანი იყო, რომელიც წარუდგინეს 1942 წ დაპატიმრებულს ანტისაბჭოური ორგანიზაციის საქმიანობაში მონაწილეობაზე; წაართვეს ბინა და გაანადგურეს მისი მდიდარი პირადი ბიბლიოთეკა. როდესაც გაათავისუფლეს, მას აღარც საცხოვრებელი ბინა გააჩნდა და არც თბილისში ცხოვრების უფლება. მართლაც რომ ბედის ირონია შეიძლებოდა დარქმეოდა ამას: საქართველოს ერთ-ერთ უღირსეულეს მოქალაქეს და უპატიოსნეს ადამიანს დედაქალაქში ცხოვრება ეკრძალებოდა.

ციხიდან გამოსულმა ბ-მა ხარლამპიმ დიდ ხანს იავადმყოფა (საექიმო კომისიამ მეორე კატეგორიის ინვალიდობა დაუდასტურა), მერე რამდენიმე თვით აღიდგინა თავი თავის მიერ შექმნილი სახალხო განათლების მუზეუმის თანამშრომლად და ბოლოს, როგორც ვიცით უკვე, შიო მღვიმის მცველის თანამდებობა მოიპოვა და საბოლოოდ გადასახლდა მონასტერში საცხოვრებლად.

ბ-ნი ხარლამპის მრავალფეროვანი მოღვაწეობა, მის მიერ შექმნილი დაწესებულებები და დაკავებული თანამდებობები უკვე თავისთავად მოწმობენ ამ იშვიათი შესაძლებლობების ადამიანის საბუნებისმეტყველო ცოდნის არაჩვეულებრივ ფართო დიაპაზონს. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ზოგიერთ დარგში ის ცოდნის საოცარ სიღრმესაც ამჟღავნებდა. აშკარა იყო, რომ ბ-ნი ხარლამპი ყურადღებით ადევნებდა თვალს მეცნიერების უახლეს მიღწევებს და რომ მას განსაკუთრებით აღელვებდა იმდროინდელი ბიოლოგიის კარდინალური პრობლემები. კვლევის მეთოდების დახვეწა და უზუსტესი ხელსაწყოების შექმნა, მისი აზრით, ამ პრობლემების შესწავლას არნახულ პერსპექტივებს უსახავდა. ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებდა იგი ბიოქიმიას, ბიოფიზიკასა და გენეტიკას და დარწმუნებული იყო, რომ ამ დარგებში მეცნიერება უდიდესი აღმოჩენების ზღურბლზე იდგა. ეს იყო ომის შემდგომი წლები, როდესაც ბიოლოგია უკვე საფუძვლიანად აღიჭურვა ელექტრონული მიკროსკოპებით და დაეუფლა ცენტრიფუგირების მეთოდებს. საფუძველი ეყრებოდა თანამედროვე ციტოლოგიასა და მოლეკულურ გენეტიკას. იმ ხანებშივე დადგინდა, რომ გენეტიკური ინფორმაციის წყაროს წარმოადგენდა დეზოქსირიბონუკლეინმჟავა (დნმ) და გაირკვა მისი აგებულება. ბ-ნი ხარლამპი გატაცებით მიზიარებდა თავის მოსაზრებებს 50-იანი წლების ბიოლოგიის სიახლეებზე და ზოგჯერ ცდილობდა ამ სიახლეების მოსალოდნელი შედეგების განჭვრეტასაც: შორს არ არის ის დრო, თუმცა მას მე უთუოდ ვერ მოვესწრები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

- მეუბნებოდა იგი, - როდესაც ადამიანი შესძლებს მისთვის სასარგებლო გენური ინფორმაციის უჯრედში შეტანასო.

რამდენადაც მახსოვს იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო გენური ინჟინერიის ხსენება, მაგრამ ის, რასაც ხარლამპი ღლონტი წინასწარმეტყველებდა, სხვა რა იყო, თუ არა გენური ინჟინერია. ამ დარგში დღევანდელი მიღწევები და ამ მიღწევებით გამოწვეული დაეჭვება და შეშფოთებაც უკვე საქვეყნოდ არის ცნობილი.

ბ-ნი ხარლამპი დარწმუნებით მელაპარაკებოდა ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივების რეალურ შესაძლებლობებზე და იმ მოსალოდნელ პროგრესზე, რომლისთვისაც მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების გამოყვანისა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების საქმეში უნდა მიეღწია მეცნიერებას. ვუსმენდი მას და ზოგჯერ ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, რომ ჩემს წინ იჯდა გაცოცხლებული ჟიულ ვერნი, რომლის საოცრად მდიდარ ფანტაზიას ამჯერად ბიოლოგიის სფერო მოეცვა.

ხარლამპი ღლონტი გაცინებული არ მახსოვს. ზოგჯერ ელიმებოდა მხოლოდ, იშვიათად ოდნავ ირონიულად (ერთხელ თანამშრომლებმა დაიყოლიეს თურმე ექსკურსიით გორში გამგზავრება, გზაში ელიმებოდა, - მაშ, მივდივართ წმინდა ადგილების მოსანახულებლადო? - წამოსცდა ბოლოს). თქვენს საქმეში არ ჩაერეოდა, მაგრამ თუ გეტყოდათ რასმე, ჩვეულებრივ ტაქტიანად და შეუცდომლად. როდესაც ჩემი დეიდაშვილი ლენა უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე აბარებდა გამოცდებს და სულ ხუთიანებს იღებდა, ბოლო მომენტში შეკრთა - მათემატიკა უნდა ჩაებარებია და ამ საგანში ვერ გრძნობდა თავს მყარად. ბ-მა ხარლამპიმ ნახევრად ხუმრობით ურჩია, პითაგორას თეორემა გაიმეორე და ნუ იღელვებო. ჩემს დეიდაშვილს ხუმრობა ხუმრობად მიუღია, მაგრამ პითაგორას თეორემისათვის მაინც გადაუხედია. გამომცდელს, ილია ვეკუას კმაყოფილებით გადაუვლია თვალი გამოსაცდელის ხუთიანებისათვის და უკითხავს მისთვის სწორედ პითაგორას თეორემა. პასუხი იმდენად მოეწონა ბ-ნ ილიას, რომ ხუთიანიც დაუწერია ჩემი დეიდაშვილისათვის და რჩევაც მიუცია მისთვის, ფილოლოგიის ფაკულტეტიდან გადაიტანეთ საბუთები ფიზიკა-მათემატიკისაზეო. როდესაც ბ-მა ხარლამპიმ ეს ამბავი შეიტყო, ერთხელ კიდევ გაელიმა: აი, რა კარგია, გონივრულ რჩევას რომ ანგარიშს უწევთო, - დასძინა მან.

ხარლამპი ღლონტი უმწიკვლო ადამიანი იყო. არ ვიცი, რა შეიძლებოდა მისთვის გვესაყვედურა. იქნებ მხოლოდ ის, რომ ზოგჯერ ბევრ დროს უთმობდა ისეთ საქმეს, რომელიც სხვისი გასაკეთებელი უფრო იყო და რისთვისაც არც მისი მაღალი განსწავლულობა ჩანდა აუცილებელი და მისი ძვირფასი დროც დასანანი იყო? მაგალითად, პირველი მსოფლიო ომის დროს რატომღაც მან გადაწყვიტა ეზრუნა ფეხსაცმლის შემკეთებელთა რაზმის შექმნაზე, რომელსაც ევალებოდა ჯარისკაცთა გაცვეთილი და დახეული ჩექმების სასწრაფოდ შეკეთება და ფრონტზე გადაგზავნა (სამხედრო უწყებამ მას ამისათვის საგანგებოდ გამოუგზავნა მადლობა). ან რატომ უნდა ეკისრა სწორედ მას ტუბერკულიოზით დაავადებულთა მკურნალობის ორგანიზაცია ვორონეჟში? ანდა ბავშვების სიკვდილიანობასთან ბრძოლას ბაქოში რატომ უნდა ჩასდგომოდა სათავეში სწორედ ხარლამპი ღლონტი? მაგრამ შეიძლება განა ყველა ეს კეთილშობილი საქმე სასაყვედუროდ გავუხადოთ მას?

ხარლამპი ღლონტი სრულიად მოკლებული იყო კარიერისტულ განწყობილებას და პატივმოყვარეობას. ეს რომ არა, დარჩებოდა კიდეც სამუშაოდ ოდესის უნივერსიტეტის ორგანული ქიმიის კათედრაზე და, ჩემი ღრმა რწმენით, სახელს მოიხვეჭდა როგორც მეცნიერი; ქართული ენციკლოპედიაც დაუთმობდა მას შესაფერ ყურადღებას (ახლანდელში არ აღმოჩნდა მისთვის ადგილი).

მან კი ცხოვრების მთავარ მიზნად გაიხადა კაცთმოყვარეობა, გაჭირვებულთა და მაშვრალთა დახმარება, სამშობლოს უანგარო სიყვარული. მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე დაუღალავად იღვწოდა კაცობრიობის ამ უმაღლესი იდეალების სამსახურში. ხშირად უჭირდა, მაგრამ არასდროს არავისთვის არ შეუჩივლია. ბოროტებას სიყვარული დაუპირისპირა და ყველგან, სადაც კი ბედი გადააგდებდა, მხოლოდ სიკეთეს თესავდა.

ცხოვრების ბოლო 15 წელი ამ ღვთის კაცმა განდეგილის ცხოვრებით იცხოვრა, მაგრამ ადამიანზე ზრუნვა არც ამ დროს შეუწყვეტია და თუ საბჭოთა პერიოდის საქართველოში ვინმე იმსახურებს წმინდანად შერაცხვას, მასთან ერთად უთუოდ, ხარლამპი ღლონტიც.

ხარლამპი ღლონტის ცხოვრება გვესახება ქართველი კაცის ამაღლებული სულისა და ნათელი გონების ჭეშმარიტ განსახიერებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რეცენზია

ანდრო ბუაჩიძე

## წიგნი ქართული მწერლობისა და ისტორიის საკითხებზე

როგორც ილია ამბობს, ისტორია მთხრობელია იმისა, თუ რანი ვიყავით, რანი ვართ, და რა შეიძლება ვიქნეთ მომავალში. ეს ღრმა და უბრალო განმარტება საიდუმლო ძაფით აკავშირებს ერთმანეთთან ბურუსში ჩაფლულ წარსულს და ჯერ გაუცხადებელ მომავალს. ამ უხილავ ძაფს თვალნათლივ ხედავდნენ მე-19 და მე-20 საუკუნეების ის ქართველი მწერლები, რომლებიც ისტორიას იკვლევდნენ და ისტორიულ თემაზე ქმნიდნენ თხზულებებს - წერილებს, ლექსებს, პოემებს, მოთხრობებს, რომანებს. სწორედ მათ შესახებ მოგვითხრობს აკადემიკოს როინ მეტრეველის მონოგრაფია "ისტორიზმი ქართველი მწერლების შემოქმედებაში".

პირველი თავი ამ წიგნისა ეძღვნება ილია ჭავჭავაძეს. ამ თავის დასაწყისშივე ჩანს, რომ ილია, როგორც ავტორი წერს, "იყო პროფესიული ცოდნითა და ჩვევებით აღჭურვილი ისტორიკოსი". ილიას ინტერესი ისტორიული წარსულის მიმართ მრავლმხრივობით გამოირჩეოდა. მას აინტერესებდა ისტორიის სხვადასხვა ასპექტები: საზოგადოებრივი, ფილოსოფიური, ეროვნული ხასიათის წარმომჩენი, ეკონომიკური და სხვ.

ძალზე საგულისხმოა ავტორის მიერ მოყვანილი ივანე ჯავახიშვილის აზრი ილიას ისტორიისადმი დამოკიდებულების შესახებ: "ილია ჭავჭავაძეს საქართველოს ისტორია ეროვნული თავმომწონეობის თვალსაზრისითა და ეროვნული სიამაყის გრძნობის ჩასანერგავად კი არ უნდოდა და სჭირდებოდა, არამედ მას წარსულის მხოლოდ უტყუარი და დაუნდობელი, მაგრამ პირუთვნელი შეფასება აინტერესებდა". პირუთვნელი და დაუნდობელი იყო ილია მაშინაც, როცა ისტორიის საკითხებზე კამათობდა . როინ მეტრეველი თვალნათლივ წარმოაჩენს ილიას, როგორც პოლემისტს, რომელიც მიწასთან ასწორებს ივ. ჯაბადარის "მცდარ და უცნაურ" დებულებებს ქართველი ერის თაობაზე.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ პირველად სწორედ ილიას მოუთხოვია საქართველოს ისტორიის განხილვა ეკონომიკური თვალსაზრისით. "ჩვენი ხალხი - აღნიშნავდა ილია - თითქმის ორი ათასი წელიწადი იბრძოდა, ომობდა, სისხლსა ღვრიდა... ვსთქვათ, მკლავმა და გულმა შესძლო ეს გოლიათობა, საკვირველი ეს არის - რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა ჰკვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძლვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრასა?".

როინ მეტრეველი დაწვრილებით განიხილავს ილიას წერილს "დავით აღმაშენებელი". ამ წერილში ილია ხატავს ქართველი მეფის, მოღვაწის და პიროვნების პორტრეტს. ილია ეხება დავითის ერთ-ერთ უმთავრეს თვისებას - რჯულთშემწყნარებლობას. "რჯულთშემწყნარებლობითი პრინციპი დამახასიათებელი იყო მთელი მე-12 საუკუნის საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკისთვის" - წერს როინ მეტრეველი. ილიას მიერ ამ მომენტის ხაზგასმა არ შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს. რაღა თქმა უნდა, ცალკე აღნიშვნის ღირსია ილიას, როგორც მწერლის დამოკიდებულება საქართველოს ისტორიისადმი. ისტორიული კატაკლიზმები, სახეები, პრობლემები აღელვებდა და შთაგონებას უღვივებდა მას. პოემები "აჩრდილი", "მეფე დიმიტრი თავდადებული" ისტორიულ მასალაზეა შექმნილი. მოთხრობაში "ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი" ასევე ისტორიული სინამდვილეა წარმოჩენილი.

გამოკვლევის მეორე თავი ეძღვნება აკაკი წერეთლის მოღვაწეობას. აქ საუბარია ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1907 წელს დაარსებულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაზე, რომლის წევრებიც ცნობილი ქართველი მწერლები (ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, ვასილ ბარნოვი, დავით კლდიაშვილი) იყვნენ. ამ საზოგადოების პირველ საპატიო წევრად აირჩიეს აკაკი წერეთელი. ეს მოხდა მაშინ, როცა აკაკის იუბილე აღინიშნებოდა. როინ მეტრეველი წერს: "ეს საყოველთაო ეროვნული ზეიმი იყო. საქართველო ამ ზეიმში თავის პოტენციური ძალის დემონსტრირებას ახდენდა, ილიას მოკვლისათვის ასწორებდა ანგარიშს".

ავტორი საგანგებოდ უსვამს ხაზს აკაკის ანდერძს. პოეტმა თავის ქონება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას დაუტოვა. ეს მრავლისმეტყველი ფაქტია. მრავლისმეტყველია ისიც, რაც აკაკიმ თავის ანდერძში აღნიშნა: "ვენახსა და დანარჩენ ჩემს მამულს ვუტოვებ საკუთრებად საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ქართული ზღაპრებისა, არაკებისა და საერთოდ ზეპირ თქმულებათა შესაკრებად".

საეთნოგრაფიო საზოგადოებამ 1919-1920 წლებში ცალკე წიგნებად გამოსცა "თორნიკე ერისთავი", "პატარა კახი", "თამარ ცბიერი" და "გამზრდელი". აქედან ჩაეყარა საფუძველი აკაკის თხზულებათა გამოცემის დიდ საქმეს.

"იაკობ გოგებაშვილი და ისტორია" - ასე ეწოდება მომდევნო თავს. როინ მეტრეველი უაღრესად საინტერესო და განსხვავებული კუთხით წარმოგვიჩენს იაკობ გოგებაშვილს, როგორც საზოგადო მოღვაწეს და ისტორიით დაინტერესებულ პიროვნებას.

---

1. როინ მეტრეველი. "ისტორიზმი ქართველი მწერლების შემოქმედებაში". თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1999 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

"დედა ენის", "ბუნების კარის", შესანიშნავი ისტორიული მოთხრობების ავტორი, ჩვენს წინაშე წარმოჩნდება როგორც პუბლიცისტი, რომელიც მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს აანალიზებს. როინ მეტრეველი ხაზს უსვამს მწერლის საერთაშორისო ისტორიის საკითხებით დაინტერესებას, მის მაღალ პროფესიონალიზმს და ისტორიულ ალღოს.

როინ მეტრეველის გამოკვლევაში არც მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებებია დატოვებული ყურადღების მიღმა. კერძოდ, აქ საუბარია კონსტანტინე გამსახურდიას "დიდოსტატის მარჯვენაზე" და იმ ისტორიულ რეალიებზე, რომლებიც ამ რომანს დაედო საფუძვლად. მკვლევარი მიუთითებს ცნობილ ისტორიულ წყაროებს ("მატიანე ქართლისა", დავით ალმაშენებლის ისტორიკოსი და სხვ.) გამსახურდიამ მასალად რომ გამოიყენა. მკვლევარის აზრით, მწერალი საფუძვლიანად იცნობდა მე-II საუკუნის საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკურ ვითარებას. მან დამაჯერებლად და ზედმიწევნით ზუსტად დახატა რომანის ისტორიული ფონი. მწერალმა აქცენტი ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებზე გადაიტანა, ვინაიდან როგორც თვითონ ამბობდა, ეს პროცესები წყვეტდნენ ქვეყნის ბედს.

როინ მეტრეველი მიჯნავს ერთმანეთისგან მწერლის წარმოსახვით შექმნილ და რეალურ-ისტორიულ პერსონაჟებს. ცხადია, რეალური პერსონაჟებიც მწერლის ფანტაზიით არიან ხორცშესხმულნი, მაგრამ მათი ხასიათის ხატვისას, როგორც მკვლევარი შენიშნავს, ისტორიული შტრიხებია გამოყენებული. ვთქვათ, "მატიანე ქართლისაში" გიორგი პირველის შესახებ ნათქვამია: "ახოვანი იყო და უშიში ყოვლითურთ ვითარცა უხორცო". ეს თვისება არსებითია ამ უმთავრესი პერსონაჟის სახეში.

"დიდოსტატის მარჯვენაზე" საუბრისას როინ მეტრეველი სამართლიანად ასკვნის, რომ ისტორიულ მასალას კონსტანტინე გამსახურდიამ სიცოცხლე შთაბერა, და რომანის ორგანულ ნაწილად აქცია. მკვლევარი წერს: "ისტორია სისხლხორცეულია კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებისათვის. იგი მისი აღიარებისა და წარმატების უდიდესი საწინდარიც არის".

გამოკვლევის შემდეგ თავში "სიტყვის კონა ანუ ცოდნის სალარო" საქართველოში ენციკლოპედიურ-ლექსიკოლოგიური ცოდნის ისტორიაა განხილული. ეს ისტორია მე-20 საუკუნეს და კერძოდ, ჩვენს უახლოეს წარსულს შეეხება - საბჭოთა პერიოდში გამოცემულ ქართულ ენციკლოპედიას.

უმნიშვნელოვანესი დაკვირვებებია თავმოყრილი თავებში: "ქართლის ცხოვრების" მარიამ დედოფლის ნუსხის ექვთიმე თაყაიშვილისეული მარგინალიები" და "დავით ალმაშენებელი და პეტრე პირველი". აქაც მკვლევარი-ისტორიკოსის მახვილი თვალი მრავალ ისეთ სიახლეს ამჩნევს, რომელთა წარმოჩენაც უეჭველად გაამდიდრებს მკითხველის თვალსაწიერს.

როინ მეტრეველის გამოკვლევა "ისტორიზმი ქართველი მწერლების შემოქმედებაში" მეტად საჭირო წიგნია. ამ თემის პარამეტრები მრავლისმომცველია. მე-19 და მე-20 საუკუნეების საუკეთესო ქართველი მწერლებისთვის ისტორიული სინამდვილე დღევანდელობის ტოლფასი ცნება იყო, ამ მიმართულებით წარიმართა მათი აზროვნება და წარმოსახვა, ისინი ისტორიის წიაღში ეძებდნენ პასუხს მარადიულ და ყველაზე საჭირბოროტო საკითხებზე. ამიტომაც არის ეს გამოკვლევა მნიშვნელოვანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით მუსხელიშვილი

# ძველი ჰერეთის მატიანე

ისტორიული საქართველოს აღმოსავლეთი პროვინციის, ჰერეთის, ერთ-ერთმა კუთხემ, რომელსაც დღეს ჩვენ საინგილოს ვუწოდებთ, მთელი ჩვენი ქვეყნის წარსული ჟამთა სიავის პროცესში ისევე, როგორც სამხრეთ-დასავლეთ პროვინციებმაც, განსაკუთრებით მძიმე ხვედრი ინვნია: გვიან შუა საუკუნეებში, ირანის აგრესიული პოლიტიკის შედეგად, იგი ფაქტობრივად, მოსწყდა საქართველოს და მთიდან ჩამოწოლილი ლეკების მფლობელობის ქვეშ მოექცა, რამაც მისი მოსახლეობის უდიდესი ნაწილის გამაჰმადიანება განაპირობა. მიუხედავად ამისა, ძველი საქართველოს ამ ულამაზეს და უმდიდრეს კუთხეს არასოდეს დაუკარგავს კულტურული კონტაქტები დედასამშობლოსთან და მე-19 საუკუნეში, როდესაც, მთელს საქართველოსთან ერთად, ეს მხარეც რუსეთის იმპერიის მიერ იქნა დაპყრობილი და საუკუნის მეორე ნახევარში შედარებით მშვიდობიანობა დამყარდა, ქართული კულტურის მინავლებულმა კერამ აქ კვლავ გაღვივება დაიწყო. მართლაც, დღესაც და წარსულშიც საინგილოდან ცნობილია არა ერთი განათლებული მოღვაწე, რომელთაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს ქართული კულტურის ფართო სარბიელზე.

ამ მამულიშვილთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფელ კახის მკვიდრი, მოსე ჯანაშვილი (1855-1934 წწ.), რომელიც მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20-ის პირველ მესამედში, ორმოცდაათი წლის განმავლობაში უანგაროდ მოღვაწეობდა ეროვნული კულტურის ასპარეზზე. ეს იყო დიდი ნიჭით და კოლოსალური ენერგიით დაჯილდოებული ადამიანი, რომლის ინტერესები შესაბამისად უაღრესად მრავალფეროვანი იყო, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პრაქტიკული საკითხებით დაწყებული ქართველი ხალხის ეთნოგენეზისა და ქართული სახელმწიფოს წარმოქმნის ურთულესი თეორიული პრობლემების ჩათვლით. მისი უზარმაზარი მეცნიერული მემკვიდრეობა, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი მის არქივშია ხელნაწერების სახით დაცული, ჯერ კიდევ არ არის მთლიანად შესწავლილი და შეფასებული. "მარტოოდენ მეცნიერული რიგის ნაწერებიც რომ გამოვყოთ, წერდა 1930 წელს აკად. ს. ჯანაშია, მათი მოცულობა დამკვირვებლის გაოცებას იწვევს ენერგიისა და შრომისმოყვარეობის მხრივ. მ. ჯანაშვილს მის ტოლთაგან ბევრნი ვერ შეედრებიან, და თუ მოვიგონებთ იმ პირობებს, რომელშიაც მაშინ მუშაობა უხდებოდათ ჩვენს სიძველეთმცოდნეობის მუშაკებს, - როცა მსგავსი შრომისმოყვარეობისათვის წმინდა ინტერესს გარდა სხვა სტიმული არ არსებობდა, - ჩვენთვის ნათელი გახდება ამ გარჯილობის ნამდვილი ფასი".

მოსე ჯანაშვილი გახლდათ არქეოგრაფი, წყაროთმცოდნე, ისტორიკოსი, ისტორიკოს-ფილოლოგოსი, ისტორიკოს-გეოგრაფოსი, ენათმეცნიერი, ლექსიკოგრაფი და ა.შ. განსაკუთრებული ღვაწლი მან დასდო ქართულ ეთნოგრაფიას, რომლის ერთ-ერთ ფუძემდებლადაც იგი ითვლება.

ამ თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია თავისი მშობლიური კუთხისადმი მიძღვნილი მონოგრაფია, რომელსაც ასევე ეწოდება - "საინგილო". პირველად ეს ნაშრომი გამოიცა 1913 წელს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებულში "ძველი საქართველო", ტ. მე-2, რომელიც ე. თაყაიშვილის რედაქტორობით გამოდიოდა. ამ ნაშრომმა იმთავითვე ქართული განათლებული საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია და მაღალი შეფასებაც მიიღო. ფრიად მნიშვნელოვანია, რომ იგი დღემდე ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას.

მართლაც, საინგილოს შესახებ თუმცა კი მანამდეც არსებობდა წერილები თუ ნარკვევები, მაგრამ მ. ჯანაშვილის ნაშრომი სრულიად განსხვავებული ხასიათისაა, რამდენადაც აქ ამ მხარის მოკლე პოლიტიკური ისტორიის გარდა, საგანგებოდ ცალკეული ნარკვევების სახით აღწერილია მისი ფიზიკურ-გეოგრაფიული ლანდშაფტი, მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტები და საეკლესიო არქიტექტურის ძეგლები, მოსახლეობის კარმიდამოს თავისებურებანი, მისი მეურნეობის სპეციფიკა, სავაჭრო ურთიერთობანი, შინაური ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულებანი და ასე შემდეგ. გარდა ამისა შეკრებილია ინგილოური ზღაპრები და თქმულებანი, სპეციალური თავი ეძღვნება ინგილოურ დიალექტს, ხოლო ბოლოს დართულია ინგილოური სიტყვათა ლექსიკონი.

ამგვარად, მოსე ჯანაშვილის ეს მნიშვნელოვანი მონოგრაფია, ფაქტობრივად, წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ისტორიული მხარის, ჰერეთის მოსახლეობის ეთნოგრაფიულ თავისებურებათა კომპენდიუმს, რომლიდანაც სპეციფიკური ყოფა-ცხოვრებითი თუ ენობრივი მახასიათებლების ფონზე კარგად ჩანს ინგილოთა - ძველ ჰერთა შთამომავლების - საერთო ქართული ეთნოკულტურული იდენტურობა. ამ თვალსაზრისით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოსე ჯანაშვილის ამ თვალსაჩინო გამოკვლევას დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა და ფრიად დასანანი იყო, რომ იგი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენდა. მით უფრო მისასალმებელია ამ მონოგრაფიის ცალკე წიგნად გამოცემა ასრათ ომარაშვილის ძალისხმევით, მისივე წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, რომელიც გამომცემლობა "ნაკადულმა" განახორციელა. ქართველი მკითხველი საზოგადოებისათვის ეს გამოცემა ჭეშმარიტად ძვირფასი და სასარგებლო საჩუქარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან ფრუიძე

# სიმართლე აფხაზეთზე

ავტორის დიდი ძალისხმევითა და რუდუნებით მკითხველთა ფართო წრემ მიიღო პროფესორ გერონტი გასვიანის მონოგრაფია "აფხაზეთი, ძველი და ახალი აფხაზები". ნაშრომი შესრულებულია გრანტით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. გამოსცა გამომცემლობა "ფავორიტმა", თბილისი, 1998 წელი. წიგნის რედაქტორია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ნოდარ ნათაძე, რეცენზენტები - პროფესორები ვალერიან მაჭარაძე და ალექსანდრე ონიანი.

**აფხაზეთი** - რამდენი ცრემლი, სისხლი და ტკივილია ჩაქსოვილი ამ სიტყვაში. ტრაგედია წლობით მზადდებოდა, იმ დღიდან, როცა საქართველოს მიწაზე რუსმა ჯარისკაცმა ფეხი დადგა და კავკასიის ხალხები რუსული, აგრესიული იმპერიის პირისპირ აღმოჩდნენ.

XIX საუკუნის დასაწყისი და XX საუკუნის დასასრული, დროის ამ მონაკვეთში თავსდება საქართველოს უძველესი კუთხის - აფხაზეთის გადაგვარებისა და მტაცებლურად მითვისების ავბედითი მცდელობა. ეს მტკივნეული პროცესი ხასიათდება მკვიდრ მოსახლეობაზე ბარბაროსული ზემოქმედებით, ადამიანის ელემენტარულ უფლებათა ფეხქვეშ გათელვით, მოსყიდვით, მკვლელობითა და სხვა მსგავსი უკიდურესობებით, რამაც XX საუკუნის დაისზე ქართველთა უმაგალითო ხოცვა-ჟლეტა, 300 ათასი კაცის მშობლიური კერიდან აყრა და საკუთარ სამშობლოში დევნილად ქცევა გამოიწვია. ასეთი შემზარავი ბოროტება ქართველი ერის შინაგამცემელთა და გარეშე იმპერიულ ძალთა დანაშაულებრივმა ალიანსმა წარმოშვა.

ავტორი მეცნიერებას მიტმასნებულ მუცლითმეზღაპრეთა ვრცელ სიას წარმოგვიდგენს, რომელთა ავადმყოფურ ფანტაზიასა თუ ანგარებას, ვერცხლისმოყვარეობას საზღვარი არა აქვს. ამათგან გ. ტურჩანინოვისა და ი. ვორონოვის კურიოზული "ქმნილებანი" გამოირჩევა, სადაც ქართველი ხალხის ისტორიის გაყალბებისა და დამახინჯების რეკორდებია დამყარებული. გინესის წიგნში "მეცნიერული" სიყალბეები თუ შედის, იქ უსათუოდ ლენინგრადელი ფილოლოგის, გ. ტურჩანინოვის "აღმოჩენაც" დაიმკვიდრებს კუთვნილ ადგილს, სადაც ანბანის არმქონე აფსუები საკაცობრიო წერა-კითხვის ეთნარქებად არიან დასახულნი. მან ე. წ. "აფხაზურ-ბიბლოსური დამწერლობა" ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში გადაიტანა და ექსტრემისტ აფსუათა საამებლად შუმერული ცივილიზაცია ჩამოწერა. ი. ვორონოვის ნაშრომი აფხაზებსა და აფხაზეთის ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე ისტორიული სინამდვილის ფალსიფიკაციის შედევრია. მიზანი ერთია, - როგორმე კაცობრიობის კულტურიდან ამოშანთონ ქართული ცივილიზაცია.

კურიოზების ამ "ლიტერატურას" მეცნიერებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. იგი ქართველი, მკვიდრი, მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკება-დარბევისა და აყრა-დახოცვის გასამართლებლად შეიქმნა და შედეგიც აშკარაა.

შედარებითი "ზომიერებით" თითქოს პროფესორების, ზურაბ ანჩაბაძისა და შალვა ინალ-იფას ნაშრომები გამოირჩევა, მაგრამ ეს ორი ავტორი ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავდებიან: შ. ინალ-იფა უფრო იაფფასიან, ზერელე ექსტრემიზმს ანსახიერებს, ხოლო ზ. ანჩაბაძე აკადემიურ ტონს ინარჩუნებს, მაგრამ არა ისტორიული სიმართლის სასარგებლოდ, არამედ მტრის გულისმოსაგებად. გავიხსენოთ სიმონ ყაუხჩიშვილის, პავლე ინგოროყვას და სხვა მამულიშვილთა მაშინდელი გამოსვლები მრავლისმეტყველმა დუმილმა თუ აშკარა ჩაქოლვამ არარაობად რომ აქცია. და როცა მეცნიერულ მონოგრაფიაში ძალაუნებურად ვწერთ, რომ "აფხაზები და ქართველები", ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდნენ, ამ ეთნიკურ ცნებათა საბედისწერო აღრევა საქართველოს გაყალბებულ ისტორიაშია.

ძველი ბერძენი და რომაელი ავტორები საკმაოდ ზერელედ იცნობდნენ ანტიკური ხანის საქართველოს სინამდვილეს. ისინი მითოლოგიურ-ეგზოტიკურ სამოსელში ხვევდნენ იმჟამად მათთვის შორეული ქვეყნის ყოფასა და კულტურას; გვაძლევდნენ გაუცნობიერებლად და საკმაოდ არაზუსტად ტომთა განლაგების თავისებურ მოზაიკას და ცდილობდნენ ავტოქტონთა "ბარბაროსობის" წარმოჩენას. მიუხედავად იმისა, რომ რეალურად მოაზროვნე ქართველი და უცხოელი მეცნიერები მათ ნააზრევს კრიტიკულად იყენებდნენ და აფასებდნენ, დღემდე დაძლეული არ არის ამ ცნობათა ტენდენციური ინტერპრეტაცია და ყალბი ეთნიკური კავშირების ძიება, რაც ხშირად პოლიტიკური გაუგებრობის წყარო ხდება, სწორედ ამიტომ თვით XX საუკუნის დასასრულს საქმე სისხლისღვრამდე მივიდა, რასაც მკვიდრი ქართველი მოსახლეობის აყრა მოჰყვა.

წერილობითი წყაროების მიუკერძოებულმა ანალიზმა და არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია ყოველთვის ქართველური მოდგმის ხალხით იყო დასახლებული, იქ ქართული ცივილიზაციის საფუძველზე ქართულმა სახელმწიფოებრიობამ ღრმად გაიდგა ფესვები, ქვეყნის გაერთიანების პროცესი აღმავლობის გზით წარიმართა და საქართველო გაერთიანდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლიან საშუალო საუკუნეებს, როგორც იქნა, თავი დავაღწიეთ, შემდეგ მოყვარულად მოსულმა რუსეთმა დაგვიპყრო, დაგვწეწა, დაგვანაწილა და ეროვნული ისტორიაც შეგვიბღალა. ამჟამად ნაგლეჯილი აფხაზეთი და შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი არა მარტო დასაბრუნებელია, არამედ დამახინჯებული ისტორიაც მშვენელს მოელის. სწორედ ამიტომ პროფ. გ. გასვიანის მთელი ძალისხმევა იქეთაა მიმართული, რომ ფართო მკითხველს ისტორიული სიმართლე თვალნათლივ დაანახოს და რენეგატები მიზანმიმართულად ამხილოს, აქედან გამომდინარე, თანმიმდევრულად განიხილავს აფხაზეთის საზღვრებს და იქაური მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის საკითხს.

მძაფრ დავას იწვევს ბერძნულ და რომაულ წერილობით წყაროებში მოხსენებული (ახალი წელთაღრიცხვით I და II სს) აფსილებისა და აბაზგების წარმომავლობა, თავდაპირველი ბინადრობის ადგილი და ეთნიკური კუთვნილება. გ. გასვიანი აღნიშნავს: "მკვლევართა ნაწილი ამტკიცებს, რომ აფშილები და აბაზგები ქართველური ტომებია (პ. ინგოროყვა და სხვა), რომლებიც უძველესი დროიდანვე ცხოვრობდნენ კოლხეთში და კოლხურ ეთნო-კულტურულ სამყაროში შედიოდნენ. მეორენი თვლიან, რომ ისინი ადიღურ-ჩერქეზული მოდგმის არიან და სხვადასხვა დროს ჩამოსახლდნენ ჩრდილოეთ კავკასიიდან. მესამენი (უპირატესად აფსუა მკვლევარები) თვლიან, რომ აფშილები და აბაზგები (ორივენი) აფსუების (თანამედროვე აფხაზების) წინაპრები არიან, რომელთა ნაწილი სამხრეთიდან (მცირე აზიიდან), ხოლო ნაწილი ჩრდილო კავკასიიდან არიან მოსულნი და რომლებიც ადგილობრივ და მოსულ ხალხთა შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდნენ აფსუებად ანუ აფხაზებად (ზ. ანჩაბაძე, შ. ინალ-იფა, და სხვ.) არსებობს სხვა, განსხვავებული მოსაზრებებიც..." (გვ. 27.)

ავტორის დასკვნა ასეთია: აფსუების აფხაზეთში უძველესი დროიდან განსახლების დამადასტურებელი არავითარი მყარი მონაცემი არ გაგვაჩნია. მოტანილი მასალები ტენდენციური ვარაუდების სფეროს განეკუთვნება და კრიტიკას ვერ უძლებს.

VI საუკუნის დამლევს და VII საუკუნის დასაწყისში დასუსტებულ ეგრისის სამეფოს, ბიზანტიის თანადგომით აბაზგია (აფხაზეთი) გამოეყო და ბიზანტიაზე დამოკიდებულ პოლიტიკურ ერთეულად გადაიქცა. მან თანდათან შეძლო შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი მონაკვეთის მოსახლეობის გაერთიანება და აფხაზთა ძლიერი სამთავროს ჩამოყალიბება.

ბიზანტიასა და საქართველოს ამ დროს მაჰმადის მოძღვრებით აღფრთოვანებული არაბების სახით საშიში საერთო მტერი გამოუჩნდა. აუცილებელი გახდა იდეურად და სამხედრო თვალსაზრისით საუკეთესოდ აღჭურვილი არაბების წინააღმდეგ მთელი ქრისტიანული სამყაროს დარაზმვა. საქართველოს გაერთიანებისათვის ხელსაყრელი საგარეო ვითარება შეიქმნა, შინაგანადაც ეს პროცესი მომწიფებული იყო და ბიზანტიას თავშეფარებული აფხაზეთის საერისთაო ჯერ სამთავროდ, ხოლო შემდეგ სამეფოდ გადაიქცა, რომლის დედაქალაქი, სრულიად კანონზომიერად, ქუთაისი გახდა. მიუხედავად ამისა, საქართველო არაბთა უღელს ვერ ასცდა. ბიზანტიამ არაბთა შემოსევა მოიგერია, მაგრამ გაჭირვებით, ამიტომ მას გვერდით საქართველოს ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფო სჭირდებოდა, აქედან გამომდინარე, "მეორე რომი" აფხაზთა, იგივე ქართველთა, დასავლურ ქართულ სამეფოს ქვეყნის გაერთიანებაში ხელს უწყობდა.

რა თქმა უნდა, რომელიმე ტომი (აფშილები იქნებიან ისინი თუ აბაზგები) აქ არაფერ შუაშია. გარდამავალ ისტორიულ ტეხილს გლობალური პოლიტიკა ქმნიდა, პოლიტიკა, რომელიც განპირობებული იყო არაბეთის აღზევებულ სახალიფოსთან ბიზანტიის იმპერიისა და საქართველოს სამეფოს სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებით. ასეთ ვითარებაში მოცემულ გეოგრაფიულ სივრცეზე სრულიად უცნობი, სახელმწიფოებრივი ცივილიზაციის არმქონე ეთნოსის გასახელმწიფოებრიობა გამორიცხულია და აფსუებისთვის ამ როლის დაკისრება შეიძლება უვიცობად ან გულუბრყვილობად ჩაითვალოს, ქართველი ერის წინააღმდეგ მზაკვრული, მუხანათური მიზანდასახულობა რომ არ ჰქონდეს.

გვიანდელ საშუალო საუკუნეებში, საქართველოს ძნელბედობის გამო, აფხაზეთში "მთის ჩამოწოლა" მოხდა. მოწინავე მხარე სოციალურ-ეკონომიკურად და მსოფლმხედველობრივ-რელიგიური თვალსაზრისით ძლიერ დაქვეითდა. მიუხედავად ამისა, ქართული კულტურა, ეროვნული ცნობიერება იქ მაინც არ მოშლილა, ცივილიზაციის ყველა ნიშანი ქართული ყოფითა და სინამდვილით იყო ნასაზრდოვები, მხოლოდ და მხოლოდ ქართულად გააზრებული და გადმოცემული. ასე იყო, ვიდრე ქართულ სახელმწიფოებრიობას, ენასა და კულტურას რუსული არ შეენაცვლა. რუსი დამპყრობლები მთელ კავკასიაში ცეცხლითა და მახვილით იკაფავდნენ გზას და ყოველივე ეროვნულს სისხლში აღრჩობდნენ. ცარიზმის დრაკონული რეჟიმი წითელი იმპერიის ბოლშევიკურმა ძალადობამ და დემაგოგიამ გააგრძელა, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების რუსულად ამეტყველების შემდეგ ჯერი აფხაზეთზე მიდგა. ქართული ენისა და კულტურის მიზანმიმართულ შევიწროვება-განდევნას ქართველთა მიმართ პათოლოგიური სიძულვილის დანერგვა მოჰყვა. მიზანი საშუალებას ამართლებდა და შედეგიც შესაფერისი მივიღეთ: ძირძველი, აბორიგენი ქართული მოსახლეობის ამოწყვეტა, ცოცხლად დარჩენილების მშობლიური კერიდან აყრა-განდევნა. ეს საშინელი პროცესი დღესაც გრძელდება, საერთაშორისო ორგანიზაციები გულგრილნი აღმოჩნდნენ, სისხლი კვლავ ილვრება, ხოლო საკუთარ სამშობლოში დევნილი ასეულ ათასობით ადამიანი უსახლკარობითა და შიმშილით იტანჯება.

გ. გასვიანის მონოგრაფიის წამკითხველს, ერთხელ კიდევ მიეცემა საშუალება, თვალი გადაავლოს აფხაზეთის ტოპონიმიკას და ერთხელ კიდევ დარწმუნდეს, რომ ეს ქართული მიწა მარტოოდენ ქართულადაა ამეტყველებული. ბუნებრივია, ეს ასეც უნდა იყოს, რადგან უხსოვარი დროიდან საქართველოს ამ განუყოფელ ნაწი-

ლში მარტოოდენ ქართული მოსახლეობა ცხოვრობდა და მტრების ბარბაროსულ მცდელობათა მიუხედავად, მისი წაშლა შეუძლებელია.

წერილობით მონაცემებთან და არქეოლოგიურ მასალასთან ერთად, გეოგრაფიულმა სახელწოდებებმა როგორც მაკრო, ისე მიკრო ტოპონიმიკამ პირველხარისხოვანი ისტორიული წყაროს მნიშვნელობა შეიძინა. ახლა როცა საქართველოს სხეულს შინაური თუ გარეშე მტერი ყვავ-ყორნებივით ძიძგნის, იძულებულნი გავხდით ვამტკიცოთ, რომ ჩვენი ეზო-კრამიდამო ჩვენ გვეკუთვნის. მაშასადამე, ისტორიული და ენათმეცნიერული კვლევა-ძიება, დღეს მაინც, როდესაც დამოუკიდებელი სახელმწიფოს პრეტენზია გვაქვს, სწორი პოლიტიკის წარმოების საფუძველი უნდა გამხდარიყო, მაგრამ სამწუხაროდ ეს ასე არ მოხდა. ორი საუკუნის წინ, როცა რუსეთმა გეორგიევსკის ხელშეკრულება დაარღვია და საქართველო კოლონიად გაიხადა, ქართველთა აღმოფხვრა მთავარ ამოცანად დაისახა. მიუხედავად იმისა, რომ დღესაც ამ ბოროტ განზრახვას ვეწირებით, საფრთხე ბოლომდე მაინც არ გვაქვს გაცნობიერებული. საკუთარი მიწა-წყლის დაცვაში არა მარტო სრული სამხედრო უმწეობა და დაბნეულობა გამოვავლინეთ, არამედ პოლიტიკურად, მეცნიერულ იდეოლოგიურად მთლიანად განიარაღებული აღმოვჩნდით. მართალია, საბჭოთა ხელისუფლების წლებში სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, კათედრები და მეცნიერ-თანამშრომლები არ გვაკლდა, მაგრამ ქვეყნის მთლიანობისათვის რაც საჭრო იყო, სწორედ ის არაა გაკეთებული. მრავალ აუცილებლობათა შორის არ გაგვაჩნია ისტორიული საქართველოს ტოპონიმიკური და ონომასტიკური ატლასი, სადაც სრულყოფილად, ამომწურავად იქნებოდა ასახული ქვეყნის გეოგრაფიული ნომენკლატურა, გვარ-სახელები და ა. შ. მაშინ თითოეულ მეცნიერს ცალცალკე არ მოუხდებოდა ტოპონიმიკაზე მსჯელობა და ზოგჯერ გულუბრყვილო ეტიმოლოგიების წარმოჩენა, რასაც დროდადრო კრიტიკულად ავლენენ ტოპონიმიკის ცნობილი ენათმეცნიერი სპეციალისტები. ფუნდამენტური ტოპონიმიკურ-ონომასტიკური ატლასი ერთხელ და სამუდამოდ ნათელს გახდიდა, ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე, ჩრდილოეთ კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში ძირითადად ქართული ეთნოსი რომ ცხოვრობდა: მაშინ გ. გასვიანს აღარ დასჭირდებოდა ცალკე პარაგრაფებად გამოეყო "აფხაზეთის სვანურ-მეგრული ტოპონიმების საკითხისათვის" (გვ. 83-107) და "რას ამბობენ აფხაზეთის ქართული ტოპონიმები და წერილობითი წყაროები" (გვ. 107-135). დაბეჯითებით დაწერდა, რომ აფხაზეთსა და ასევე მთელ ისტორიულ საქართველოში პირველადი გეოგრაფიული სახელები ქართული ფუძე-ენის დროინდელია, ისევე როგორც ცხუმი (გვ. 90), შემდგომ კი საერთოდ ქართველურიდან გამოყოფილი სვანურ-მეგრული. გამორიცხული არ არის საქართველოს ტოპონიმიაში, ათასწლეულების მანძილზე, კავკასიის ყელზე ანუ ევრაზიის ხიდზე გამვლელ-გამომვლელ სხვა ეთნოსებსაც დაეტოვებინათ მცირეოდენი კვალი, მაგრამ ეს მოცემულ ტერიტორიაზე ქართველთა ავტოქტონობას არაფერს მატებს და არც აკლებს. ამ შემთხვევაში აფხაზეთში აფსუათა აბორიგენობის "თეორეტიკოსები" ხავსს ეჭიდებიან, რაც პროფ. გ. გასვიანის კვლევამ ერთხელ კიდევ დაადასტურა.

წერილობითი წყაროების ამომწურავმა ანალიზმა ისევ და ისევ ნათელი გახადა, რომ აფსუური გვარ-ჩამომავლობის არცერთი პიროვნება არ მოიპოვება არც წარჩინებულებსა და არც მდაბიოებში, თვით გვიანდელ საშუალო საუკუნეებშიც კი. "მთის ჩამოწოლის" შედეგად ქართული აბორიგენი მოსახლეობა მნიშვნელოვნად შეთხელდა და შევიწროვდა. ხოლო ადგილობრივი ქრისტიანული კერები დაკნინდნენ და დაქვეითდნენ, მაგრამ გაურკვეველი, რაღაც ნარმართულ-მაჰმადიანური რწმენის მქონე აფსუები მაინც ქართული ცივილიზაციის წრეში აღმოჩნდნენ და მხოლოდ ქართული დამწერლობით, კულტურით მოახერხეს მეტნაკლებად თვითდამკვიდრება. ასე იყო, ვიდრე რუსმა დამპყრობლებმა ჩრდილოეთ კავკასიის უდამწერლობო ხალხებისა და, მათ შორის, აფსუების გადარუსება არ შეძლეს.

გ. გასვიანმა თავი მოუყარა მდიდარ წერილობით მასალას და ერთხელ კიდევ ცხადი გახადა, რომ XIX საუკუნეში აფხაზეთის ძირითადი მოსახლეობა ქართველობა იყო და ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეთითხნილი მითი, თითქოს აფხაზეთში ქართული მოსახლეობა მოგვიანებით, ხელოვნურად ყოფილიყოს შეყვანილი. სარეცენზიო ნაშრომის ერთ-ერთი ღირსება ის არის, რომ დემოგრაფიული მდგომარეობის ყველა მონაცემი წიგნშია მოთავსებული საყოველთაოდ მიღებული მეცნიერული წესით. დამტკიცებულია, რომ ავტოქტონი ქართული მოსახლეობა მხოლოდ კოდორამდე კი არ აღწევდა, როგორც აქამდე იყო ცნობილი, არამედ ბზიფამდე და უფრო შორსაც - (გვ. 143). სხვა გამოკვლევებთან ერთად პროფ. ზურაბ რატიანის მონოგრაფიის გამოქვეყნების შემდეგ, ეჭვი არავის ეპარება, რომ ჩრდილოეთ კავკასიის გარკვეული ტერიტორია, ქართველებით იყო დასახლებული, ხოლო აფსუათა წინაპრები მოცემულ ტერიტორიაზე გვიანდელ საშუალო საუკუნეებში გამოჩდნენ, ოღონდ არც დემოგრაფიულად და არც კულტურულად რეგიონზე არავითარი ზეგავლენა არ მოუხდენიათ.

ყველაფერი აირია XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, როდესაც რუსეთმა აფხაზეთში ფეხი მძლავრად მოიკიდა. ისინი, უწინარეს ყოვლისა, აფხაზეთის ქართული მოსახლეობის დაშლა-გადაგვარებას შეუდგნენ. გ. გასვიანი წერს:

"თვითმპყრობელობის მიერ აფხაზეთის დაყოფა ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით კი არ მოხდა, არამედ იმპერიული ნაცადი პრინციპის მიხედვით: აფხაზეთში ქართველი რომ ბევრი არ გამოსულიყო, ამიტომ მეგრელები ცალკე გამოყო, მეგრელებისგან ლაზები, ორივესაგან - "სამურზაყანოელები", თუმცა სამურზაყანოში მხოლოდ მეგრელ-ლაზები ცხოვრობდნენ. ასევე ქართველებისაგან იმერლები და გურულები გამიჯნეს, სამაგიეროდ, რაკი ცოტანი იყვნენ, აფსუებს ჩერქეზები, უბიხები და ჯიქები მიუმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტა, ხოლო წებელდელები და ფსხუელებიც ცალკე გამოჰყო. ამასთან, აფხაზეთში უმრავლესობა ძველი ქართველები (მეგრელები) იყვნენ, მაგრამ მათგან აფსუები არ გამიჯნა და ერთად აღრიცხა" (გვ. 150-151).

მსოფლიო ბატონობაზე მეოცნებე რუსი აგრესორები კავკასიის დაპყრობას არ სჯერდებოდნენ, ცდილობდნენ კავკასიის ეთნიკური რუკა მთლიანად შეეცვალათ, მკვიდრი მოსახლეობის ნაწილი იმპერიის შიგა გუბერნიებში გაესახლებინათ, ნაწილი თურქეთში გაეძევებინათ, მათ ადგილას კი რუსები ან სხვა სანდო ხალხი ჩამოესახლებინათ. ამით შავ ზღვას შემოიმტკიცებდნენ, თან შორს გამიზნულ სამხედრო-სტრატეგიულ და სავაჭრო-ეკონომიკურ ინტერესებს აისრულებდნენ. ამ პოლიტიკის განხორციელება ჩვეული რუსული უხეშობით, იარაღის ძალით და მოსყიდვა - ავანტურების შეხამებით დაიწყო. კავკასიის აბორიგენ მოსახლეობას შავი დღე გაუთენდა, მათი რიცხვი თანდათან მცირდებოდა. XIX ს-ის დასაწყისში აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე ქართველებისა და აფხაზებად წოდებული აფსუების საერთო რაოდენობა 30-35 ათას კაცს აღწევდა. სრულიად გაუმართლებელი და უსაფუძვლოა აფსუა ისტორიკოსთა "მტკიცება", რომ თითქოს იმ დროს აფხაზთა (იგულისხმება აფსუები) რაოდენობა 100-150 ათასი სული იყოო. ეს ყალბი ვარაუდი არავითარ სანდო სტატისტიკურ წყაროს არ ემყარება.

თურქეთი ამჯერადაც ტრადიციულად ცდილობდა შავიზღვისპირეთში რუსეთის ტრიუმფალური სვლა როგორმე შეეჩერებინა, რისთვისაც სამხედრო ძალასთან ერთად, მისგანვე გამაჰმადიანებულ ადგილობრივ მოსახლეობას იყენებდა. 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის მორიგი ომი თურქეთის დამარცხებით დამთავრდა. რუსეთმა ყუბანის შესართავიდან აჭარის ჩრდილოეთ საზღვრამდე მთელი შავიზღვისპირეთი მიისაკუთრა.

1864 წელს აფხაზეთის სამთავრო გაუქმდა, მთავარი მიხეილ შერვაშიძე სახლობით ვორონეჟში გადაასახლეს. აფხაზეთში რუსული მმართველობა დამყარდა. როგორც მოსალოდნელი იყო რუსული უღლის სიმძიმემ 1866 წელს აფხაზეთში გლეხთა აჯანყება გამოიწვია. აჯანყება სისხლში ჩაალრჩვეს. გამაჰმადიანებული მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი თურქეთში გაიქცა. აფხაზეთის კოლონიზაციას ხელს არაფერი უშლიდა. მიტოვებულ სოფლებში თადარიგში გასული რუსი ოფიცრები და ჯარისკაცები, სექტანტები, მწვალებლები და ათასნაირი ჯურის ბედის მაძიებელი ესახლებოდა და მკვიდრდებოდა. რუსმა კონკისტადორებმა წებელდის ქედმოუხრელი მოსახლეობაც თურქეთში გაასახლა. 1867 წელს აფხაზეთიდან თურქეთში მუჰაჯირად 19.342 კაცი წავიდა, დაცლილი მიწები რუსი და სხვა ეროვნების კოლონისტებით შეივსო. თურქეთიდან - ანატოლიიდან ბერძნები და სომხები ჩამოსახლდნენ, ტუაფსე-სოჭის მხარე რუსულენოვანმა მოსახლეობამ დაიკავა. საქართველოს მთიანეთიდან სტიქიურად დაძრულ უმიწაწყლო გლეხობას უკან ერეკებოდნენ და მტკაველ მიწას არ აძლევდნენ. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ რუსეთმა აფხაზეთის კოლონიზაცია უფრო ენერგიულად გააგრძელა. კავკასიის ხაზის სტრატეგიული დანიშნულების ადგილებში კაზაკების დაბებს ქმნიდნენ. სამარიდან და ყირიმიდან აყრილი ესტონელები აფხაზეთში სოფლებად დაასახლეს. გ. გასვიანი სწორად აღნიშნავს: "კავკასიაში და კერძოდ აფხაზეთში რუსეთის იმპერიის ხელისუფლების ღონისძიებათა მთელი სერიალი ისე იყო დაგეგმილი, რომ რაც შეიძლება მალე და მყარად განხორციელებულიყო შავიზღვისპირეთის მიწა-წყლის ათვისება, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის ხელოვნური რუსიფიკაცია და კოლონიზაცია. ასეთი პოლიტიკით გამოირჩეოდნენ კავკასიის მეფისნაცვლები: ვორონცოვი, ერმილოვი, ბარიატინსკი, გოლიცინი, ვორონცოვ-დაშკოვი, რომანოვი და სხვ. ყველა მათგანის მიზანი იყო რაც შეიძლება მეტი რუსი და მისი მომხრე უცხო ტომი მთელ კავკასიაში ჩაესახლებინა, კერძოდ აფხაზეთშიც და მეტი ადგილობრივი გაერუსებინა" (გვ. 196). ასე და ამრიგად, საქართველოს ეთნიკური რუკა მნიშვნელოვნად შეიცვალა. საქართველოში ქართული მოსახლეობის დევნა-შევიწროება, აღმოფხვრის პოლიტიკა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით შემდეგაც გაგრძელდა და აფხაზეთის ავტონომიური სოციალისტური რესპუბლიკის შექმნით დაგვირგვინდა, ასე ჩამოყალიბდა ბუნებაში არარსებული "აფხაზი ერი".

მარქსისტული მოძღვრებით აღჭურვილმა ბოლშევიკურმა რეჟიმმა ქართველთა დევნაში ცარიზმს გადააჭარბა. აფხაზეთში საბჭოთა დემოკრატიის საბურველქვეშ ფაქტობრივად აპარტეიდული მმართველობა დამყარდა. ვინც ქართველობაზე ხელს აიღებდა და "აფხაზად" დაეწერობოდა, ის თანამდებობდას, ჩინ-მედლებს და შესაფერის სარფს მიიღებდა. ზოგიერთმა სულმოკლემ ცდუნებას ველარ გაუძლო და ერთი შვილი ქართველად დატოვა, მეორე კი "გააფხაზა". ამ გახრწნა-გადაგვარებას უკვალოდ არ ჩაუვლია. სწორედ ასეთმა ქმედებებმა განაპირობა ჩვენი საუკუნის 90-იანი წლების ტრაგედია, რაც მთელი ქართველი ერისათვის საბედისწეროა.

რუსეთ-თურქეთის შავ ზღვაზე გაბატონებისათვის მრავალსაუკუნოვანი ჭიდილი კავკასიის მოსახლეობისთვის ნამდვილი ტრაგედია იყო. დაპყრობა-იავარქმნას, არა მარტო ხოცვა-ჟლეტვა, ძარცვა-რბევა და დატყვევება მოსდევდა, არამედ ფიზიკური და ზნეობრივი გადაგვარება. თურქეთმა ადგილობრივი, მის მიერვე გამაჰმადიანებული მოსახლეობის სახით საიმედო დასაყრდენი ჰპოვა და მუდმივმოქმედი (დღესაც და ალბათ XXI საუკუნეშიც) საკონფლიქტო სიტუაცია შექმნა. და აი, როცა XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ცხადი გახდა რუსული იარაღის "უძლეველობა", ფართო მასშტაბი მიიღო ე. წ. მუჰაჯირობამ ("მუჰაჯირი ისტ. აჭარიდან ან აფხაზეთიდან ოსმალეთში გახიზნული, ემიგრირებული. "ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. V, 1958, გვ. 1178). მუჰაჯირობა - ნამდვილი ეთნიკური უბედურებაა, კავკასიის აბორიგენი ხალხების წინააღმდეგ თურქულ-რუსულმა ალიანსმა დაბადა, რომელმაც უმაგალითო ეთნოციდის სახე მიიღო. ამჯერად ორივე მტაცე-

ლევან ჭრელაძე
ბიბლიოთეკა

ბელს ერთი მიზანი ჰქონდა: კავკასიაში როგორმე თავისუფლებისმოყვარე კავკასიელები ამოფხვრილიყვნენ. რუსეთისაგან დევნილი და შევიწროვებული მოსახლეობა იძულებული ხდებოდა მშობლიური ადგილებიდან აყრილიყო და თავშესაფარი ერთმორწმუნე თურქეთის მიწაზე ეძებნა. ამრიგად, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის გასამრუდებლად თურქეთი მაჰმადიანური რწმენის ადამიანთა მფარველად გვევლინებოდა, რუსეთი კი ქრისტიანთა დამცველის მანტიით იმოსებოდა, თან ქართველთა მართმადიდებლურ რწმენას ტალახიანი ჩექმებით ტლანქად თელავდა. ორივე მტარვალი ასეთნაირად ანადგურებდნენ და დღესაც ანადგურებენ კავკასიის მკვიდრ ერებს.

აფხაზეთიდან მუჰაჯირთა ერთ-ერთი პირველი ტალღა რამდენიმე ასეულ სულს უდრიდა, მთავარი ტალღა 60-იანი წლებიდან დაიძრა. რასაც საბოლოოდ 20 ათასამდე ადამიანის გადასახლება მოჰყვა. აფხაზეთის ისტორიის გამყალბებელი ავტორები აფხაზეთიდან და ადიღე-ჩერქეზეთიდან თურქეთში გადასახლებულთა რიცხვს ძალიან აზვიადებენ (800 ათას კაცამდე), ამათგან თითქოს აფხაზთა (აფსუებს გულისხმობენ) რაოდენობა 400 ათას სულს უდრიდა, რაც სრული სიცრუეა. სანდო სტატისტიკური მონაცემებით XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისშიც, თურქეთში გადასახლებამდე აფხაზეთის მთელი მოსახლეობა 20 ათასს თუ აღწევდა (გვ. 207). გ. გასვიანი კრიტიკულად მიმოიხილავს ყველა სტატისტიკური მონაცემსა თუ ვარაუდს და აფხაზეთიდან თურქეთში გადასახლებულთა რიცხვს 19.342 სულით აზუსტებს (გვ. 220).

უცხო ქვეყანაში მუჰაჯირებად გადახვეწილი ლტოლვილები შეპირებული ოქროს სასახლეებისა და ბედნიერი ცხოვრების ნაცვლად უკიდურეს ეკონომიკურ სიდუხჭირესა და პიროვნულ თუ ეროვნულ ჩაგვრა-დამცირების ვითარებაში აღმოჩნდნენ. მათ რუსეთს უკან დაბრუნების თხოვნით მიმართეს, მაგრამ სასტიკი უარი მიიღეს, ხოლო თვითნებურად ჩამოსულები სამშობლოს მიწა-წყალს არ გააკარეს. ამ საშინელი უსამართლობის და სახელმწიფოებრივი უსინდისობის წინააღმდეგ ქართული მოწინავე საზოგადოებრივი აზრი დაუცხრომლად იბრძოდა, მაგრამ ამაო იყო თვით ილიას, აკაკის, ვაჟას და სხვა გამოჩენილ მამულიშვილთა ბრძოლა და შემართება. უხეში ძალა აღმართს მაინც ხნავდა და დღესაც ხნავს.

რაც შეეხება აფსუა მეცნიერების მიერ აფხაზეთიდან მუჰაჯირთა რიცხვის გაზვიადებას, მზაკვრულ მიზანს ისახავს: თითქოს მთელი აფხაზეთი და დასავლეთ საქართველო მრავალრიცხოვან აფსუათა საცხოვრისი იყო და მათი შემცირება მუჰაჯირობამ გამოიწვია...

1993 წელს მოსკოვში ცნობილმა ფალსიფიკატორებმა (ი. ვორონოვი, პ. ფლორენსკი, ტ. შუტოვა) გამოსცეს "აფხაზეთის თეთრი წიგნი", ისტორიული სინამდვილის ამაზრზენად დამახინჯების ნიმუში, სადაც დემოგრაფიული მონაცემები მთლიანად გაუკუღმართებულ-გაყალბებულია. მოსყიდული ავტორები ცდილობენ აფსუები აფხაზეთის უმთავრეს ეთნოსად წარმოადგინონ. მათთვის მიზანი საშუალებას ამართლებს და რაოდენობის გაზრდა ქართული ეთნოსის ხარჯზე ხდება. გ. გასვიანი სწორედ აღნიშნავს: "ამით მათ სურთ ისეთი საზოგადოებრივი აზრის შექმნა, რომ აფსუები უწინ უამრავნი იყვნენ, მაგრამ ტრაგიკული წარსულის გამო შემცირდნენ და განადგურდნენ. ასეთი მაქინაციებით ცდილობენ აფსუა ავანტიურისტები საზოგადოების სიმპათია და მხარდაჭერა მოიპოვონ" (გვ. 239).

სტატისტიკური მონაცემების ამომწურავად და ზუსტად გათვლამ ცხადი გახადა, რომ აფხაზეთში აფსუები იმდენად მცირე რაოდნეობით იყვნენ დაბა-ქალაქებში საერთოდ არ ცხოვრობდნენ (გვ. 240). მიუხედავად იმისა, რომ კავკასიასა და შავიზღვისპირეთში რუსეთის გაბატონების შემდეგ აფხაზეთში ქართველთა დევნა-შევიწროვება, აშკარა თუ ფარული გენოციდი იმპერიული მიზანსწრაფულობით ხორციელდებოდა, ჩვენი საუკუნის 80-იან წლებში ოფიციალური აღწერით იქ 240 ათასი ქართველი და 90 ათასი "აფხაზი" ცხოვრობდა. გამოთვლითმა ანალიზმა ცხადი გახადა, აფხაზთა აბსოლუტური უმრავლესობა (ე. ი. 90 ათასი სული) ქართველია. ამას ადასტურებს მათი გვარები, რომლებიც გ. გასვიანს ნაშრომში ამომწურავად აქვს მოტანილი, ხოლო აფსუა - ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსახლებულთა შთამომავალნი ძალიან ცოტანი ჩანან. საბოლოოდ ავტორის დასკვნა ასეთია: "ზემოაღნიშნული ეგრეთწოდებული აფხაზურ-აფსუური გვარეულობების აბსოლუტური უმრავლესობა (თავისი გენეტიკური წარმომავლობით) ქართულ-აფხაზურია, რომლებიც ბედუკუღმართი ვითარების გამო გააფსუვდნენ და თავის მოძმე ქართველებს დაუპირისპირდნენ, რითაც, როგორც თავს, ასევე თანამოძმეებს სიკვდილი და უბედურება მოუტანეს, ხოლო ომის გამჩაღებლებს ნამქეზებლებს - თანამდებობები და ფული" (გვ. 246).

ამრიგად, ეგრეთწოდებული "ორი აბორიგენი ერის" ვაითეორია ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, მავნეა და თავსდატეხილი ყველა უბედურების ერთ-ერთი ძირითადი სათავე. აქედან გამომდინარე, მხოლოდ და მხოლოდ ისტორიულ სამართლიანობაზე დამყარებულ სახელმწიფოებრივ პოლიტიკას შეუძლია უმძიმესი მდგომარეობის გამოსწორება, რუსეთის მიერ მიტაცებული აფხაზეთისა და რაჭა-შიდა ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილის საქართველოსათვის დაბრუნება. ამ გადაუდებელი ეროვნული ამოცანის გადაჭრის გზაზე სარეცენზიო წიგნი ერთ-ერთი ძლიერი, მშვიდობიანი იარაღია. სასურველია ის ყველა იმ ენაზე ითარგმნოს და გამოიცეს, რომელი ქვეყნებიც აფსურ-ოსური პრობლემით დაინტერესებული არიან.

წიგნის დამატება - "აფხაზეთსა და აფხაზებზე სინამდვილე უნდა ვწეროთ" პროფ. ნოდარ ლომოურის შეხედულებათა კრიტიკას მოიცავს. გ. გასვიანი წერს: "ბატონო ნოდარ! ძალიან იოლად წყვეტთ აფშილებისა და აფხაზების ვინაობის პრობლემას. თავდაპირველად მეც ასე მეგონა, რომ ხსენებული ტომები აფხაზები იყვნენ, ხოლო აფხაზები არაქართველები, რადგან მაშინ მათი წარმომავლობა და ვინაობა სპეციალურად არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიკვლევია, (იხ. ჩემი წიგნი, ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან, თბ., 1991), მაგრამ ინტენსიური კვლევა-ძიების შედეგად მზამზარეულად მიღებული შთაბეჭდილება შემეცვალა. თქვენ უდავო ჭეშმარიტებად მიიჩნევთ, რომ აბსოლუტურად არავითარი არგუმენტაცია არ არსებობს მის დასტურად, რომ აფსილები და აბაზგები ქართველი ტომები იყვნენ". მე კი შევაბრუნებ თქვენს კატეგორიულ ბრძანებას და განვაცხადებ, რომ აბსოლუტურად არავითარი სარწმუნო არგუმენტაცია არ არსებობს იმის დასამტკიცებლად, თითქოს აფსილები და აბაზგები ადიღური ტომები არიან, პირიქით კი საკმარისად ბევრი" (გვ. 260).

რუსული წითელი იმპერიის მარწუხებში მყოფი ქართველი მეცნიერები, უხეში ზეწოლის და სისხლიანი რეპრესიების მიუხედავად, მაინც თავიანთი მრწამსისა და სინდისის მიხედვით მოღვაწეობდნენ. ივანე ჯავახიშვილის , სიმონ ყაუხჩიშვილის, მიხაკო წერეთლის, პავლე ინგოროყვას, ნიკო ბერძენიშვილისა და სხვა მამულიშვილთა ნაშრომებმა ტრადიციული მაგისტრალური ხაზი "ქართლის ცხოვრებისა" ხალხთა ძმობისა და ჭეშმარიტებისა, ღირსეულად გააგრძელა. თუ რა ფასად დაუჯდა თითოეულ მათგანს, ასეთი პრინციპულობა და პატიოსნება, ყველასათვის ცხადია და სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ბოროტების იმპერიის - საბჭოთა კავშირის დამხობას და საქართველოს დამოუკიდებლობას სასიკეთო გარდატეხა უნდა მოეხდინა, მაგრამ, ჯერჯერობით, ყველაფერი ძველებურად რჩება. ისევ გასავალი აქვს რენეგატობას, ერის ინტერესების გაყიდვას და საქართველო მსოფლიო სახელმწიფოთა თანავარსკვლავედში კუთვნილ ადგილს ვერა და ვერ იმკვიდრებს. მართალია საერთაშორისი აღიარება მოპოვებულია, მაგრამ შინაგანი სიდუხჭირე და განუკითხაობა ყველაფერს აფუჭებს. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია. ქართველობა საკუთარ სამშობლოში გაუგონარ, უმაგალითო დევნას განიცდის, აღარას ვამბობ საყოველთაო ეკონომიკურ კრიზისზე. ხსნა მარტოოდენ ისტორიული სამართლიანობის აღდგენაშია. სახელმწიფო პოლიტიკა სწორ მეცნიერულ ნააზრევზე უნდა აშენდეს და კოლონიური რეჟიმიდან შემორჩენილი ყველა ბიწიერება უნდა განიწმინდოს. თუ თვალს გადავავლებთ კულტურის ისტორიას, კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, რომ ნებისმიერი ერის სახელმწიფოებრიობის წარმოშობას ცივილიზაცია განსაზღვრავს და ე. წ. "აფხაზური სახელმწიფოებრიობა" მხოლოდ და მხოლოდ ქართული ცივილიზაციის ნაყოფია და უბრალო ჭეშმარიტების გამო, რომ მოცემულ ტერიტორიაზე ქართულის გარდა სხვა ცივილიზაცია არ არსებობს ატეხილი დავა, რომელიც თითქმის საუკუნენახევარია მიმდინარეობს თავსმოხვეულია, ინსპირირებულია და მტრის ამ ვერაგულ ხრიკს მთელი ქართველი ერი ეწირება.

ამჯერად ერთი რამ ცხადია: ანტიეროვნულმა ორაბორიგენობის ყალბმა "თეორიამ" ქვეყანა დაღუპვის პირას მიიყვანა. ჩვენთან საკმაოდ არიან მეცნიერები, რომელთაც კარგად იციან და სწამთ, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია, აფხაზი კი ისეთივე ქართველია, როგორც მეგრელი, სვანი და ქართი, ხოლო ოსები საქართველოში ხიზნები არიან. ამ თვალსაზრისით საქართველოს ისტორიის კარდინალური ხაზი, რომელიც "ქართლის ცხოვრებიდან" იწყება და ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ყაუხჩიშვილისა და პავლე ინგოროყვას ნაშრომებში მთავრდება, არასდროს არ გამრუდებულა.

გ. გასვიანის მონოგრაფია "აფხაზეთი, ძველი და ახალი აფხაზები" ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ საქართველოს მთლიანობა შინაური და გარეშე მტრისგან მკრეხელური ბოროტმოქმედებითაა დარღვეული და მისი აღდგენა მხოლოდ რეალურად მოაზროვნე ეროვნული ძალებითაა შესაძლებელი.

მიუხედავად ყველაფრისა, სისხლი სისხლით არ გაიბანება, მტრის საცდური საქართველოში მცხოვრებმა ყველა ხალხმა უნდა დაძლიოს და ავტოქტონ ქართველ ერთან მშვიდობიანი თანაცხოვრება შეძლოს.

და ბოლოს, შეიძლება დაბეჯითებით დავასკვნათ:

სათანადო ქართული და უცხოური წერილობითი წყაროების, ახლად მიკვლეული საარქივო და სტატისტიკური მასალების, შესაბამისი მდიდარი ლიტერატურის ღრმა მეცნიერულ-თეორიული ანალიზის საფუძველზე გერონტი გასვიანმა განხილული დიდმნიშვნელოვანი მონოგრაფიით ცხადი გახადა, რომ:

1) ძველი და ახალი აფხაზეთის მიწა-წყალი უძველესი დროიდან საქართველოს სახელმწიფოს (კოლხეთ-ეგრისისა და გაერთიანებული საქართველოს) ორგანული და განუყოფელი ნაწილია;

2) ძველი აფხაზეთის მოსახლეობა, ეთნონიმიკა, ტოპონიმიკა, ჰიდრონიმიკა, მატერიალური კულტურის ძეგლები, საერთო და სასულიერო დამწერლობა, მწერლობა და საერთოდ ცივილიზაციის ყველა ნიშანი უცილობლად ქართულია, XVI-XVII საუკუნეებამდე აფსუა-აბაზურისა და ადიღურ-ჩერქეზულის არავითარი კვალი არ შეინიშნება;

3) ძველი აფხაზეთის მოსახლეობის ყოფაცხოვრების, წეს-ჩვეულებებისა, მართვა-გამგეობის, სწავლა-განათლების, წირვა-ლოცვის ენა და ცხოვრების ნიშანწესი მარტოოდენ ქართულია;

4) თანამედროვე აფხაზეთის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის გენეტიკური წარმომავლობა ქართულია, მიუხედავად მათი ნაწილის ამჟამინდელი მრწამსისა, ხოლო უმცირესობაა (დაახლოებით 20%) აფსუა-ჩერქეზი, ძირითადად, ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები აბაზების შთამომავალნი;

5) აფხაზეთში ჩამოსახლებული აფსუების წინაპარი აბაზას ტომი, როგორც მომთაბარე ხალხი, კასპიისპირეთში ცხოვრობდა (იხ. პლინიუს უფროსი, დიუბუა დე მონპერე), შემდეგ ყუბანისპირეთში (ჯაკობო გასტალდი, ლატიშევი და სხვ.), ხოლო XVI-XVII საუკუნეებიდან ახლანდელ აფხაზეთშია ჩამოსახლებული. ხიზნებმა საქართველოს ამ კუთხის და მცხოვრებთა სახელი (აფხაზეთი და აფხაზები) გაითავისეს, მა-

ბიბლიოთეკა

გრამ მასობრივი ჩამონოლისა და საქართველოს განსაკუთრებული ძნელბედობის გამო მათი გაქართველება შეფერხდა და ისევ მარტივ ადათწესებზე დარჩნენ, ბოლოს კი რუსული ენა და კულტურა მიიღეს;

6) აფსუა-აბაზების ჩამონოლის შედეგად ტრადიციული აფხაზეთის ყოფა-ცხოვრება მკვეთრად შეიცვალა: ინტენსიური მეურნეობა ექსტენსიურმა შესცვალა, თანდათან ჩაქრა ქრისტიანობა (XVII საუკუნეში სამი საეპისკოპოსო გაუქმდა). მისი ადგილი პრიმიტიულ წარმართობაში განზავებულმა მაჰმადიანობამ დაიკავა. მოსული აფსუები ციხე-ქალაქებს და ეკლესია-მონასტრებს არ ეკარებოდნენ, ტყეებში გვარებად დაყოფილნი ბინადრობდნენ, გარდაცვლილს ხის ორეში დებდნენ და ხეზე ჰკიდებდნენ, თევზეულს არ მიირთმევდნენ და თავს მომთაბარულ, ტყიური მესაქონლეობით ირჩენდნენ;

7) რუსეთის ხელისუფლებამ 1810 წელს დაპყრობილი აფხაზეთი იმპერიული პრინციპით დაყო ქართველთა ოდინდელი ტომობრიობისა თუ კუთხურობის მიხედვით: ქართებად, იმერლებად, მეგრელებად, ლაზებად, სამურზაყანოელებად, წებელდელებად, დალელებად და ა. შ. ამასთან მიზანმიმართულად დაიწყო ქვეყნის კოლონიზაცია - "რუსული აფხაზეთის" შექმნა, ქართველთა აფხაზეთიდან გაძევება ან გარუსება-გააფსუება, ქართული ენის აკრძალვა როგორც საერო, ისე სასულიერო სფეროში, მის ადგილზე რუსულის ჩანაცვლება;

8) ცარიზმისა და ბოლშევიკური რუსეთის იმპერიული პოლიტიკა აფხაზთში, XIX და XX საუკუნეებში ისე ჰგავს ერთმანეთს, ვითარცა წყლის ორი წვეთი: ესაა მცდელობა ქართველების კუთხურობის მიხედვით დაყოფისა, დაუოკებელი მისწრაფება მათი ცალცალკე ეთნოსებად წარმოჩენისა, შემდეგ - ერთმანეთთან დაპირისპირება, აფსუების ქართველთა წინააღმდეგ წაქეზება-გადაკიდება და ა. შ. ამ პოლიტიკის მიზანი ყოველთვის ამართლებდა და ამართლებს საშუალებას, რათა დაპყრობილ ხალხთა დაკნინება-დაქუცმაცებით შეუზღუდავად იბატონონ, მოსახლეობა განუკითხავად ძარცვონ და ეროვნულ უფლებებზე ფიქრიც კი სისხლში ჩაახრჩონ.

ყოველივე ამის პირდაპირი გამოხატულებაა ბოლო ათწლეულში აფხაზეთსა და შიდა ქართლში დატრიალებული შემზარავი სისხლიანი მოვლენები, ქართველთა ალვირახსნილი ეთნოციდი, რაც დღესაც ასე ულმობლად გრძელდება აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან გამოდევნილ ქართველთა მიმართ.

სარეცენზიო ნაშრომში მყარი, მეცნიერულ-ლოგიკური არგუმენტებითაა შუქმოფენილი ბნელი ძალების "საქმენი-საგმირონნი", ისტორიული სიმართლის, ჭეშმარიტების გაყალბების მძიმე შედეგები, ასევე ნაჩვენებია ქართველთა და აფსუათა დაპირისპირების ტრაგედია, რომელიც ორივე ხალხისათვის საბედისწეროა. აქედან გამომდინარე, დიდია ამ წიგნის თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა, ისტორიის ფალსიფიკატორებს, გამყალბებლებს საკადრისი პასუხი გაეცათ.

საქართველოს ხელისუფლებამ, ამ მონოგრაფიასთან ერთად, ალბათ უნდა გაითვალისწინოს ქართული მეცნიერული აზრის ყველა რაციონალური მონაპოვარი და მართალი, პრინციპული პოლიტიკით ქვეყანა კრიზისიდან გამოიყვანოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# გამოსათხოვარი

## ხსოვნას პატივისცემით შეინახავენ

რევაზ ჯაფარიძეს კარგად იცნობდა და პატივს მიაგებდა ქართველი მკითხველი. მისი მწერლობა და საზოგადოებრივი მოღვაწეობა განუყოფელი იყო ერთმანეთისგან. რევაზ ჯაფარიძე საბჭოთა ტოტალიტარიზმის პერიოდში საჯაროდ გამოთქვამდა თავის უკომპრომისო და პირუთვნელ აზრს ყველა იმ მანკიერი წამოწყების შესახებ, რომელიც იმპერიის მესვეურებს ეროვნული თვითმყოფადობის გასაცამტვერებლად ჰქონდათ ჩაფიქრებული.

მწერლის პირველი რომანი "ხევის პატარძალი" ომის შემდგომი ქართული სოფლის ჭირ-ვარამს ეძღვნება. რომანმა "ჯარისკაცის ქვრივი" გამოქვეყნებისთანავე მიიპყრო მკითხველის ყურადღება. სხვა ვრცელ პროზაულ ნაწარმოებებსაც - "მძიმე ჯვარი", "გზა გოლგოთისკენ", "მხევალი უფლისა" - არ მოჰკლებია ჩვენი საზოგადოების გულისხმიერი გამოძახილი. რევაზ ჯაფარიძის კალამს ეკუთვნის მოთხრობების კრებულები: "ზონდი", "ახლო არს გაზაფხული", "ჯიმარაის ტუსაღები", "მარუხის თეთრი ღამეები", "ვერცხლის აბლაბუდა" და სხვა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მწერლის პუბლიცისტიკა. მისი წერილების კრებულები - "კაენის ცოდვა" და "აწონილი სიტყვა" ჩვენი ყოველდღიურობის ყველაზე აქტუალურ საკითხებს უყრის თავს. რევაზ ჯაფარიძე მთარგმნელობით მოღვაწეობასაც ეწეოდა - გავიხსენოთ ისააკ ბაბელის, იური ბერესტოვის, ნიკოლოზ ტიხონოვის ქართული თარგმანები.

გულისტკივილით ეთხოვება მწერალს ჟურნალ "მნათობის" რედაქცია, სადაც იგი 1955-56 წლებში პროზის განყოფილებას უძღვებოდა.

რევაზ ჯაფარიძის, რუსთაველის და საქართველოს სახელმწიფო პრემიებით დაჯილდოებული მწერლის და პიროვნების ხსოვნას პატივისცემით შეინახავენ მისი მეგობარი მწერლები და მკითხველები.

ჟურნალ "მნათობის" რედაქცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი, რუსთაველის გამზ. №28
ტელეფონები: მთ. რედაქტორის — 99-51-61
პ\მგ. მდივნის და განყოფილებების — 99-91-00

გადაეცა ასაწყობად 14.07.99 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.10.99წ., ანაწყობის ზომა 7 1\4 x12, ფორმატი 70x108 1\16; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 10. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 13,1. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 13.89. ტირაჟი 400. შეკვეთა №44.

გამომცემლობა "მერანი", რუსთაველის გამზ. №42

ფასი ორი ლარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინდექსი
76125